ალილუია

2019 №1 (31)

ქალბატონო მაყვალა, გილოცავ 60 წლის იუბილეს. ბედნიერი ეოფილიეავი ოჯახთან და შენს საყვარელ საქართველოსთან ერთად.

სიყვარულის დედოფალო

(მაყვალა გონაშვილს)

სინაზე გშვენის, უფლის მადლით მირონცხებულო,
იის სურნელით გაგილენავს ქალური კალო...
ყურძის მტევანო, ფუტკრის თაფლში ამოწებულო,
ვინ შეგედრება სილამაზით, პოეტო ქალო.
აისის ნამო, სიკეთით სავსევ, ვარდო-ბალნარო,
რიოშო არა, მარგალიტო და ფირუზ-ლალო,
უმხურვალესი ცხელ ზაფხულის შენ ნიავქარო,
ლომისის მადლმა გიფარველოს, პოეტო ქალო.
იასამანო, გაზაფხულის ასურნელებავ,
სამშობლოსათვის ერთგულო და დილისა ცვარო.
დედო სულისავ, ნატურმორტო, მშვენიერებავ...
ეფაქიზები ერის შვილებს, პოეტო ქალო.
დედა ხარ, დედა, ეგ ქალობა მისაბაძია,
ოლიანდრები გილიმიან, შენ, ცისკრის კარო...
ფული?.. სხვას მისცემ, თუკი უჭირთ, რაც გაბადია,
ამიტომ გლოცავ საყვარელო, პოეტო ქალო.
ლელს კაფავ, იბრძვი და საქმისთვის ყოველთვის ჩქარობ,
გრდემლში ნაჭედო, ნატყვიარო, ფოლადის ნალო,
ლექსის მჭედელო, ბრძოლების დროს სამშობლოს ფარო,
მეამაყები... დედოფალო, პოეტო ქალო.

გულნაზ ხარაიშვილი – ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი.

UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2019 / 1 / (31)

თბილისი
2019



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

უნდა იცოცხლო უწმინდესო

დედამიწა ჩვენთან შენით ბრუნავს,
ენატკბილო, ჩვენო უწმინდესო,
საქართველოს განძ-საძვალეს მუდამ
ო, კვლავ მინდა ისევ შენ უმწყემსო.

გულნაზ ხარაიშვილი

მამა გაბრიელი

მამა გაბრიელ შენით ვეღირსე
ცის ვარსკვლავეთში გასეირნებას,
ლექსები შენით გავიმერმისე,
დილის რიჟრაჟი მადლით ბრწყინდება.

გულნაზ ხარაიშვილი

მთავარანგელოსთა დასი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

ჯვარცმა

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები,**
არჩილ სარჯველაძე



აღდგომა

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები,**
არჩილ სარჯველაძე



მამა მერაბი

ეს ხატი ოჯახის მფარველია,
ეს ხატი რწმენით მავსებს მამავ,
ეს ხატი შენი შექმნილია და
ეს ხატი მომევლინა წამლად.

გულნაზ ხარაიშვილი

მამა ამირან ამირანაშვილი

საქართველოს საპატრიარქო წმიდა სინოდი: წმინდანად შემრაცხველ კომისისას

დღეს, ისე როგორც არასდროს დღევანელ ქართველ ახალგაზრდობას ჭირდება ცოცხალი მაგალითები თუ როგორ ეწირებოდნენ მათი თანატოლები, განსაკუთრებით მოწამეობრივად აღსრულებულნი მე-17 საუკუნის პერიოდში სისხლისმსმელ შაჰ-აბაზ პირველის მეფობის დროს.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის 40 წლიანმა დაუღალავმა ლოცვამ შთააგონა ერის მორწმუნე საზოგადოებას: მწერლებს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიას, ფაზისის აკადემიას, მხატვრებს, აჭარის მწერალთა კავშირს, თეატრალურ საზოგადოებას, შვილგარდაცვლილ მშობლებს, ქალდეას აკადემიას, სტუდენტ-ახალგაზრდობას, მორწმუნე პატრიოტ მრევლს, რომ მოგმართოთ თხოვნით, სამშობლოსათვის მოწამეობრივად აღსრულებულნი: პაატა სააკაძე, ძმები – ალექსანდრე და ლევან ბაგრატიონები, შეირაცხონ წმინდა მოწამეებად და გამოცხადდნენ ქართველი ახალგაზრდობის მფარველ წმინდანებად, როგორც ცოცხალთა, ასევე, უდროოდ გარდაცვალებულთათვის.

მომავალი თაობისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ახალგაზრდებმა განსაკუთრებულად შესთხოვონ მათ მეოხება და თანადგომა, ხოლო შვილგარდაცვლილმა მშობლებმა ილოცონ – „წმინდათნნო პაატა, ალექსანდრე და ლევან ევედრეთ ქრისტესა ღმერთსა და შეწყალებად შვილთა ჩვენთათვის“.

***

გიორგი სააკაძის ოჯახს ურთულეს პერიოდში მოუწია ცხოვრება, შიდა აშლილობა, რელიგიათა გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის,, სამშობლოს გადასარჩენად და უამრავი მსხვერპლი, ამ ნიადაგზე მუსლიმანური სამყარო დაუნდობელი იყო განსხვავებული რელიგიებისა და აზრის წინააღმდეგაც, რომელთაც ეწირებოდნენ თვით მაჰმადიანურ სამყაროში მოღვაწე ლიდერები, მაგალითად ბაბი, რომელიც 1850 წელს შაჰის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

მეცად საყურადღებო მდგომარეობითი ანალიზი.

ჩვენი თანამემამულენი:

1. ლუარსაბ II მაჰმადიანური სარწმუნოების არ მიღებისათვის შაჰ-აბასისაგან წამებით აღესრულა 1622 წელს;

2. ქეთევან-დედოფალი, მაჰმადიანური სარწმუნოების არ მიღებისათვის, შაჰ-აბასისაგან წამებით აღესრულა 1624 წელს.

პაატა სააკაძე, მარტყოფის ველზე დიდი გამარჯვებით ქართველებისაგან მაჰმადიანობის უარყოფას შეეწირა.

პაატა სააკაძე, მარტყოფის დიდი გამარჯვებით, საქართველოში ქართველების დარჩენას, და ვერ გადასახლებას შეეწირა.

ყურანის 113 სურაში ნათქვამია: „თქვი, მივმართავ უფალს განთიადისას, რომ დამიფაროს, ყოველი ბოროტებისაგან, რაც გააჩნია“ ანუ ბოროტება ალაჰის საკუთრებაა და ამით სარგებ-

ლობდნენ მუსლიმანები. მაგალითად კაცის კვლა ცოდვაა – ბოროტებაა, მაგრამ ჯიჰადის დროს პირიქით წმინდა საქმედ ითვლება.

ეს მცირე წიაღსვლა დამჭირდა, რომ ჩვენი ქვემოთ მოყვანილი არგუმენტები – პაატა საკაძის წამება და თავის კვეთა არ იყო გამოწვეული მარტო გიორგის „ღალატის“ გამო, არამედ მისი გამაჰმედიანების უარყოფისა და გახარებული პაატას საქართველოს დიდი გამარჯვებით აღფრთოვანება და ქრისტიანობაზე მტკიცედ დგომამ გახადა მიზეზი მისი მოწამეობრივი აღსასრულისა.

ყოველივე ამას თვალს ადევნებდნენ ევროპელი კათოლიკები და თუ არა ქრისტიანობის ცხედრის გამოხსნა და გაპატიოსნებას ისინი არც მოისურვებდნენ და ვერც გაბედავდნენ ისე თამამად, როგორც ვიცით მათ მოახერხეს პაატას ნეშთი დაეფლათ ქრისტიანული წესით და შემდეგ დიდი რისკის ფასად გადმოეცათ საქართველოს მსტოვრებისათვის, ვაჭრების სახით.

მეორე არგუმენტი (ჩვენი ვარაუდით) შეეხება საქართველოში იმდროინდელი ეკლესიის მდგომარეობას. პოლიტიკოსები ხშირად იცვლიდნენ მრწამსს, ნებსით თუ უნებლიედ და ერის ძირითადი დასაყრდენი ეკლესიამ აიღო თავის თავზე. ისინი მკაცრად იცავდნენ მართმადიდებლობას და მის რჯულის კანონებს.

ასე რომ არაქრისტიან, თუნდაც საეჭვო ადამიანის გვამს არც წესს უგებდნენ და მით უმეტეს ტაძარში არ დაკრძალავდნენ. ერთაწმინდის წმ. ესტატეს სახელობის ტაძარი დღეს წმინდად ინახავს წმინდა ნაწილებს პაატა საკაძისას, ხოლო იქაური მრევლი ოდითგანვე, პატივს მიაგებს და ლოცულობს პაატას საფლავთან და შესთხოვენ მეოხებას როგორც სხვა წმინდანებს. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ სოფ. ერთაწმინდის და კასპის რაიონის სოფლების მცხოვრებთა პაატისადმი, როგორც წმინდანისადმი დამოკიდებულება კანონიზებული იქნას წმინდა სინოდის მიერ სრულიად საქართველოს მორწმუნე მრევლისათვის და განსაკუთრებით თანამედროვე ახალგაზრდობისათვის.

პაატა საკაძე

1612 წელს, 20 მაისს, შაჰ-აბასის გავლენის ქვეშ მოქცეულმა დიდებულთა ნაწილმა, წავკისში, გიორგი საკაძეს შეთქმულება მოუწყვეს და მისი ოჯახის განადგურება განიზრახეს.

პაატა იმ დროს იქნებოდა 5-6 წლის.

ლტოლვილი გ. საკაძის ოჯახი დიდგორის ტყეში, უსმელ-უჭმელნი ორი კვირის განმავლობაში, ვაი-ვიშით ათენ-აღამებდნენ.

სარისკოდ ადიდებული მტკვრის გადალახვა, სვეტიცხოველის ტაძართან ლოცვის ჩატარება, და თასის შეწირვა, არაგვის, ნუგზარ ერისთავთან მისვლა, რჩევის საკითხავად, ირანში წასვლა, რომ საკაძე თანამოძმეთა შუღლის მიზეზი არ გამხდარიყო.

შაჰ-აბასის კარზე გატარებული პაატას სიყმაწვილე 1612 წლიდან გ. საკაძეს შეცნობილი აქვს შაჰ-აბასის ავი გეგმები საქართველოს წინააღმდეგ. გიორგიმ მიზნად დაისახა ქვეყნის გადარჩენა და იგი ბრუნდება ქართლში 1615 წელს. იმ დროში გ. საკაძეს თავის შვილი პაატა უკვე გამოტირებული ჰყავს.

1612 წლის, წავკისის შეთქმულთაგან განწირული უბელო, შეუკაზმავი ცხენით ნოსტესკენ გარბის (წავკისიდან ნოსტემდე 70 კმ-ია), რომ ოჯახის წევრები გადაარჩინოს, შემდეგ როცა ჩვენს სამშობლოს შველა დასჭირდა, ძლივს გადარჩენილ შვილს პაატას გ. საკაძე შაჰ-აბასს მძევლად უტოვებს.

გ. საკაძისაგან შვილი პაატა გამოტირებული იყო მაშინაც, როცა მან 1620 წელს, სასამართლო მოაწყო თანამემამულეთა შემოსარიგებლად რომ ქართული ერთსულოვნება აჯანყებისათვის განმტკიცებულიყო.

ნოსტეში დარჩენილი, კვამლით გაშავებული აკვნიდან, პაატას ბავშვობა ქართველ ერს ისევ შემოსტირის.

ღევანი და ალექსანდრე თეიმურაზის-ძე ბაგრატიონები

1613 წელს, შაჰ-აბასმა, სომხეთზე ილაშქრა, დიდად დააზარალა სომხეთის მოსახლეობა, 300 ათასი კაცის ირანში გადაასახლა.

შაჰ-აბასმა სომხეთის საქმე რომ მოათავა, შემდეგ საქართველოს დასალაშქრავად მოემზადა.

1614 წელს, შაჰ-აბასი, ირანული ჯარით განჯაში მივიდა და დაიბანაკა, მან ელჩი ზაქერ-აღა, კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან გაგზავნა და შეუთვალა, ოსმალეთზე ლაშქრობას ვაპირებ, პაპაშენივით ოსმალეთს რომ არ მიუდგე და ჩემი ერთგულება დაამტკიცო შენი ერთი შვილი მძევლად გამომიგზავნეო.

თეიმურაზ I-ის მეუღლე ანა – მამია გურიელის ასული 1610 წელს გარდაცვლილი ჰყავდა. 1614 წელს, მათი შვილები იყვნენ ობოლნი.

ლევანი იყო 5 წლის ალექსანდრე 3 წლის. ისტორიკოთა განმარტებით, სწორედ მათი ობლობა იყო მიზეზი ირანში წაყვანისა.

შაჰ-აბასმა მეორე ელჩი მოჰამედ-ბეგ თალიში ოსმალეთში გაგზავნა სულთანთან, და შეუთვალა, ჩემგან ოსმალეთზე გავრცელებული ლაშქრობის ხმები მართალი არ გეგონოს, ეს ქართველების თვალის ასახვევად გავაკეთეთო.

კახეთის დიდებულებმა თეიმურაზს ურჩიეს 3 წლის ალექსანდრე გაეგზავნათ, რადგან პატარა იყო, და შაჰ-აბასი უკან დააბრუნებსო.

ქეთევან დედოფალი დიდად დააფიქრა შაჰ-აბასის ულტიმატუმმა. მან გადაწყვიტა თვითონაც გაჰყოლოდა შვილიშვილს.

ქეთევან დედოფალი, პატარა ალექსანდრე, ნოდარ ჯორჯაძე და ზაქარ-აღა განჯაში ჩავიდნენ შაჰ-აბასთან. შაჰი პატარა ალექსანდრეს ხილვით განრისხდა, შაჰ-აბასმა, ნოდარ ჯორჯაძე და ზაქარ-აღა ისევ თეიმურაზთან გაგზავნა და შეუთვალა შენი უფროსი შვილი გამომიგზავნე, ქეთევან-დედოფალს და ალექსანდრეს უკან დავაბრუნებ, და მე ჩემი ჯარით ირანში დავბრუნდებიო. ქეთევან-დედოფალი თეიმურაზს კონსპირაციულად აუწყებდა, ლევანი არ გაეგზავნა შაჰ-აბასთან, მაგრამ სამწუხაროდ თეიმურაზმა 5 წლის ლევანიც შაჰთან გაგზავნა.

შაჰ-აბასმა, ქეთევან-დედოფალი, შვილიშვილები ლევანი და ალექსანდრე ირანში გაგზავნა. ქეთევან-დედოფლის მიზანი იყო შვილიშვილებს თავის სახით ირანში მფარველი ჰყოლოდა, სამწუხაროდ შაჰ-აბასმა ისინი ერთმანეთს დააშორა.

შაჰ-აბასის ბუნება და ხასიათი

ლეავნი და ალექსანდრე დედით ობლები, მამისაგან მოცილებულნი, ობლების ერთადერთი ნუგეში ბებია ქეთევანიც დააშორეს.

1614 წლიდან 1620 წლამდე, ქეთევან-დედოფალს შვილიშვილები თვალითაც აღარ უნახავს. 1620 წელს, შაჰ-აბასის ბრძანებით ისინი გაასაჭურისეს.

9 წლის ალექსანდრე ადგილზე გარდაიცვალა. 11 წლის ლევანი ჭკუიდან შეიშალა.

ისქანდერ მუნში.

ლევანი ორი კვირის მანძილზე შირაზის ქუჩებში ტანსაცმელშემოხეული უგზო-უკვლოდ დადიოდა. უცნაურ ხმებს გამოსცემდა, მხოლოდ ერთი სიტყვა იყო მისგან გასაგები, დედას-დედას უხმობდა საშველადო.

ლევანი და ალექსანდრე ბავშვობით ობოლნი, შაჰ-აბასისგან ირანში მძევლად წაყვანილნი, შირაზში, ქეთევვან დედოფალთან დაშორებულნი, ეულად მყოფნი, არავინ მათთვის დედობრივი სითბოს გამომხატველნი, საქართველოში ობლობას, ირანული მიუსაფრობა და განწირულობა დაუმატა.

ლევანისა და ალექსანდრეს ირანული ყოფა მოგვაგონებს შესაწირავად გამზადებულ ბატკნებს, დამწყვდეულებს, რომელთაც დღეს თუ ხვალ ჯალათის დანა უნდა შეხებოდათ. ლევანი და ალექსანდრე, როგორც ქრისტიანნი, შაჰ-აბასის საქრთველოსათვის ავის მოსურნე იდოლოგიას შეეწირნენ და მოწამეობრივად აღესრულნენ.

სრულიად საქართველოს მორწმუნე საზოგადოება
კერძოდ ქვემორე ხელის მომწერნი



„ათინათო"

„ათინათო", გაზაფხულდა გენაცვალე,
ტყის სურნელი გაგაბრუებს ალბათ მალე,
შენ დიდი ხარ, ათი წელი მიითვალე,
ავტორები მოკრძალებით ჩაგაბარე.
მადლიანო, ყველას მინდა მფარველობდე,
დამილოცე დიდები და პატარები,
გულში მომწვდი, გული უნდა მთა-ველობდეს,
მომიშუშე დარდი ჩუმად ნატარები.

ჟურნალ „ათინათის" მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

ნუ მოგვიშალოს

როდესაც დარდი გულზე ნევსს გვაბნევს
და თვალში შუქის ჩაქრობას ჩქარობს...
ვიცით, სიმღერა სიკვდილს რომ ჯაბნის
და ამ იმედით ვცოცხლობთ და ვხარობთ.
სიმღერაში და ღიმილში არის
ბედნიერების უშრეტი წყარო,
და თუ ჩვენი ხმა ხალხს დარჩა ფარად,
მაშ, შავფრთიანმა რაღა გვიშაროს?..
დარდი და სევდა თავის გზით წავა,
ჩვენ ეს სიკეთე ნუ მოგვიშალოს.

1970 წ. 12 დეკემბერი

უწმინდესისადმი დაბადების დღის მოსალოციდან

ვჭირს

მას, ვისაც შენთვის გული შესტკივა
მხოლოდ შენია, შენივ ღვიძლია,
უამინდობით თუ მწარედ ცივა,
უიმედობა არ შეგიძლია.
ჩამოჰკარ რწმენის გრიალა ზარებს,
თუ გადარჩები მხოლოდღა რწმენით,
დასახარჯავი დახარჯე ბარემ,
ზღვა ენერგია აღმოსკდეს შენი...
ჩამოჰკარ რწმენის გრიალა ზარებს,
თუ გადარჩები მხოლოდღა რწმენით...

ერი ჟამთა ხსოვნაში...

(ყოველთა ქართველთა სინანულის, აღსარების, შერიგებისა და სიყვარულის დღე)

ერი ჟამთა ხსოვნაში
ჩუქურთმებს რომ აქსოვდეს,
თავის თავის პოვნაში
ეს დღე უნდა ახსოვდეს.
... ის, რაც არის მთავარი,
გულში ვარდი გეშლება,
ჩაეჭიდე ღვთის კალთას,
იცან დიდი მშობელი,
ამომავალ ცისკართან
აღსთქვი საგალობელი,
ვიდრე არ ჩაკეტილა
ცის აღსავლის კარები,
იღავწებდე კეთილად
მადლით ნანეტარები.
გელის მწყემსი მზრუნველი,
მას გაუხსენ ეგ გული,
ვინც სიცოცხლე გაჩუქა,
იყავ მისი ერთგული,
ნუ გაცდუნებს ბოროტი,
სულთა მკვლელ-წარწმყმედელიი,
ურიცხვ მახის დაგები,
სულ სიავის მჭედელი.
სიყვარული გიყვარდეს,
შუქს ნუ ეტყვი, ბნელი ხარ,
ბინდში მყოფო, ცხოვარო,
ნათლის საპოვნელი ხარ.
... ის სჯობს ყველა საფიცარს:
კაცი მადლით იზომვის...
გელოდება ნათლის ცა
და მზე მარადისობის.

***

სხივს ნუ მოგვაკლებ, მზევ, თბილო,
იდიდე ცათა საჩენად...
ღმერთ გადღეგრძელოს, კეთილო,
მამულის გადასარჩენად.

2001 წლის 4 იანვარი

ქალი და ყვავილი ერთია
(ძველი ლექსებიდან)

ჩემს გრძნობებს ფიქრები ერთვიან
ხან ჰოდ და ხან კიდევ უარად,
ქალი და ყვავილი ერთია,
დაფიქრდით, ასეა თუ არა.
ყვავილზე მსუბუქი შებერვით
იბნევა ცვარები ციმციმით,
ყვავილის წამწამებს ეფერვი,
ლამაზს თვალები გიცინის.
მით ფიქრებს ფიქრები ერთვიან
ხან ჰოდ და ხან კიდევ უარად,
ქალი და ყვავილი ერთია,
დაფიქრდით, ასეა თუ არა?..

ჯვრის მონასტერს

ჯვარო, გვირგვინო დიდების,
ცათა მშვენების ხატებავ,
სიცოცხლის, ძლიერების და
სიკეთის გამოცადებავს!
ცას მადლის ძეწკვით მობმულო,
ცეცხლოვან მადლის მფრქვეველო„
ცისა და მიწის კავშირო,
დიდების საკურთხეველო;
შენ დაიფარე მამული,
მისი მთები და ველები...
ღვთის კალთა გადაგვაფარე
ტაძარო საკვირველების...

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.
ჩემო წმიდა ხატო
შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო – მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი – მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.
1973წ.



მამა ამირან ამირანაშვილი

უფლის ნება

ზამთრისათვის ემზადება
განიმოსა მწვანე ფარჩა,
დაგვირიგა ჭირნახული,
თავად კი შიშველი დარჩა.

გაეხვევა თეთრ საბანში,
არ შესცივდეს ქარ-ყინვაში,
ასე უნდა იცახცასოს,
იანვარში, თებერვალში.

მობრძანდება გაზაფხული
გაიხარებს არე-მარე
ბუნებაც კი დაივიწყებს,
რაც ზამთარში ნახა მწარე.

ახალ ფარჩებს შეიმოსავს
გაცოცხლდება ია ვარდი,
აპრილი გულში ჩამიკრავს
მგონი ძლიერ შევუყვარდი.

შენ ყოველ წელს იფურჩქნები,
მე ზამთარი მეძალება,
მე ვთეთრდები, შენ წითლდები,
აღარც მინდა შედარება.

ერთხელაც რომ მობრძანდები
ვარდი ხელში შეგაჭკნება,
ამ სოფლად ვეღარ მიპოვნი
აღსრულდება უფლის ნება!

ბათუმი
20/XI 2018 წ.

სამების მადლით

სამების მადლით მოვდივართ სამნი,
უშანგი, ანზორ და ამირანი.
ქარიშხალებში მივაპობთ ტალღებს,
ვერ დაგვეწევა ტატოს მერანი.
თუ ეს სამყარო ოკეანეა,
ჩვენ „ტიტანიკიც“ ვერ შეგვედრება,
„გვინდა კაცებად დავრჩეთ მარადის“
ღმერთმა ისმინა ჩვენი ვედრება.
გამოგვეცხადა „მაყვლოვანიდან“
„პატარა კახის“ ჯიშის – მაყვალა,
და მოისურვა გონაანთ ქალმა
მიწიერ კაცთა ზეცად აყვანა.
ანზორს უწოდა „ვაზის მაესტრო“, –
უშანგი სპილენძს ადნობს და აწრთობს,
ამირანი კი ლოცავს „სამეულს“
ამ დიდ სიყვარულს არასდროს დათმობს.
ჩვენზე სიბერე არვინ გაბედოს,
შოთას გმირებიც არ ბერდებიან.
საუკუნეებს გაუძლეს ძმებმა,
ჩვენც მათი ჯიში დაგვბედებია.
უშანგის, ანზორს, მამა ამირანს,
ვინც გვეფერებით – მადლობა ყველას.
ასე მთავრდება „ესე უსტარი“,
დამწერს და მკითხველს – მადლობა ყველას.

16.01.2019 წ.

სუფსარქისი

ქარი გლეჯს ტოტებს ღრიალით,
ცაში ახვეტა ფოთლები.
სიტყვები ცვივა ფრიალით,
სახლებს დაცვივდა ლოჯები.
ნეტავ რას გვერჩის სარქისი,
ქვეყანა ააწრიალა,
მერიკო სარქისიანმა,
ზეიმით ჩამიგრიალა.
ჰაოსის ხალხი ზეიმობს,
ჩვენ კი გვიბერავს ქარები.
ღმერთო, ქართლოსი დალოცე,
ხალხს აგვიხილე თვალები.
ვხედავდეთ მტერს და მოყვარეს,
ღმერთმა გვიმრავლოს დარები.
მოყვარე – გულში ჩავიკრათ,
მტერს – ჩაუკეტოთ კარები.

ამაღლება
19.02.2019 წ.

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

ერერსებული წერილი ნიკო სამადაშვილს

ღამეა, არაა სხვა გზა,
მე ისევ ბნელ ფერთან ვდგევარ,
თუმც არის სამყაროს განცდა...
ჰოდა – ეს სამყარო მე ვარ.
არ ვიცი, როგორ ვწერ ახლა,
არა მაქვს ამისთვის დრო და,
თუ გინდა ნაწერთა დაწვა,
მაშ დაწვი!.. მე ახლაც ვბოდავ...
სადაა, სულისთვის, გზები;
მე ჯვარცმულ რუსთაველს ვხედავ;
როცა პოეტები კვდებით,
ქრება პოეზიის დღე და,
ხომ მოვა, ხომ მოვა ქარი,
წაიღებს ცხოვრების ჯაგნარს,
აქვე იარაღიც არის,
ჰოდა საფერთქელმაც რა ქნას...
გათენდა, ეგება იყოს
დროება ახალი ფერის...
მე გწერ ამ სტრიქონებს, ნიკო,
ახლა სტრიქონები მშველის...

კომშის სურნელი

საღიმილოა, თუმც მაინც ვიტყვი, -
პოეტურია ყვითელი ბია;
ამაშიც არის რაღაც იმედი,
უიმედობა, რომელსაც, ჰქვია.
შენს თავს მაგონებს კომშის სურნელი,
არ ვიცი – როგორ, არ ვიცი – რატომ;
შენ ხარ ლამაზი, შენ ხარ სულელი,
და ჩემს დაღლილ გულს შორიდან ათბობ...
მე, სიყვარულზე, არა ვწერ ლექსებს.
მე მარტოობის პოეტი მქვია,
ცხოვრება მაწევს გადაღლილ მხრებზე,
როგორც პაოლოს თვითმკვლელის ტყვია;
და რომ გგონია – სიყვარულზე ვწერ,
ის ნაწერებიც სიობლეს მიაქვს...
შენს თავს მაგონებს კომში მზიანი,
არ ვიცი – როგორ, არ ვიცი – რატომ;
შენ ხარ ლამაზი, შენ ხარ ჭკვიანი,
ჩემთან არ ხარ და ყოველთვის გნატრობ.
ახლა ხომ მალე მოვა ზამთარი,
და ცა იქნება ფიფქთა ბალეტი.
გული – მარადი მზის მეომარი,
მოკვდება ცივი თვის არბალეტით.
მომენატრება, კვლავ, შემოდგომა,
გადამწიფებულ კომშის სურნელით,
და ისევ მოგწერ შენ, შორ მეგობარს,
რომ ხარ ლამაზი, რომ ხარ სულელი...
საღიმილოა, თუმც მაინც ვიტყვი, -
პოეტურია ყვითელი ბია,
რადგან მის სურნელს, სულ ბოლო დღემდის
შენი პატარა სახელი ჰქვია...

უსაზღვროეთი

ვისაც ვერ ხედავ, ის უნდა იგრძნო,
ვისაც ვეღარ გრძნობ, ისაა მკვდარი.
მე უნდა გულის წუხილი ვიძმო,
რომ არ მომიკვდეს ცოცხალი ქნარი.
ხომ შეიძლება, ხომ შეიძლება,
რომ ყველა ღამე თეთრად ვათიო,
ან ქნარი იყოს ადამიანი,
და შეცდომები მან მაპატიოს!

მე ვარ სამყაროს ბოლო პოეტი,
და პირველობას, ახლა, დავცინი.
გული კი, როგორც გზა, მარტოეთი,
არის უსაზღვრო ღმერთის ნაწილი...
იმქვეყნად ყოფნაც არ ნიშნავს სიკვდილს,
თუ მას, ვინც იქ არს, ინახავს გული...
ფიქრი მოძრაობს დიდ გრძნობის ირგვლივ,
უსაზღვროეთით განცვიფრებული...

შუქი ღამეში

ფანჯრები ანთია კუნაპეტ ღამეში.
თარეში, ლანდების თარეში.
ათია.
ოქტომბრის ათია.
სიობლით დაგეშილ
უშავეს ღამეში,
ფანჯრები ანთია.

გამჭვირვალ ფარდებში
ჩანს ქალის პროფილი,
ვით ძველი ფილმიდან
ძვირფასი კადრი და
სევდაა ახალი, სევდაა ყოფილი,
რომელიც, სიყვარულს,
მუსიკას ადრიდა.
მუსიკა და ქალი.
ტალღა და ნაპირი.

არაა ახალი
პოეტი და ტრფობა.
სიტყვები. სიტყვები.
ცხოვრება ვამპირი.
და თრობა
დათრობა,
დათრობა,
დათრობა!..

ჩემს წარმოსახვაში
თუ ბუდობს სიზმარი.
ვითომ – ბოტიჩელის ნახატი.
ათია.
კუნაპეტ ღამეში
მე არსად ვიჩქარი.
მუსიკის ტალღებად ფანჯრები ანთია.

მიძინება

ძველი მუსიკა.
გათოშილი კლავიში. თოვა.
მე კი ძველ რითმებს
თავს ვერ ვაღწევ, და არცა ვცდილობ.
აი, ამ წუთში,
უსასრულო სევდა აქ მოვა,
რომ დამიხატოს
თეთრი თოვლის ფერადი ტილო:

რომ სითეთრეა
მაგრამ ბევრ სხვას დაიტევს, ფერებს.
მე გეტყვი ახლა,
სიყვარული რომ არ არსებობს,
მაგრამ რადგანაც
პოეტები კვლავ მასზე მღერენ,
რადგანაც მღერენ, დაე იყოს!
ხოდა, ასე რომ,

კვლავ სიყვარულზე შენდებოდეს
მთელი სამყარო!
ახლა ეს სივრცე
გულის ძგერის სონატას იტევს.
დღეს უნდა დავთვრე,
ანგელოზნი უნდა გავყარო
იმ ღრუბლებიდან,
თუმც ვერაფერს შევკადრებ
ქრისტეს.

სიყვარულისთვის
მილიარდჯერ ჯვარცმულო ღმერთო,
შენს სადღეგრძელოს
თოვლადთეთრი სასმისით დავლევ.
უკვდავებასთან ყველა ჩვენგანს
აქვს, რამ, საერთო.
ხოლო მუსიკა ნელა ხუჭავს
სევდისფერ თვალებს.

ვიხი

მივედი ზღვასთან, გულს უხარია.
სადღაცა, მარჯვნივ, ზღვა დიდ მთებს ერთვის.
მე მოვიწყენდი ახლაც, ძალიან,
თუმც – ამ სივრცეში ვიგრძენი ღმერთი.
ხელს გადავუსვავ ბალახს, ნამიანს.
აქვე ქვიშაა. მზე ფაქიზია.
მარადისობა, ზოგჯერ, წამია,
და წამი, ზოგჯერ, მარადისია...

ქალი

როგორ დაგხატო...
სხვებს ჰგავხარ, თან
სრულიად სხვა ხარ.
ჩემს ფიქრებს, ახლა, აფერადებს
ბოთლი მარტინი.
მე მყარად მჯერა –
სიზმრებიან ცხადში სულ გნახავ.
თავზე დამნათის
უცნაური ცა – ჟელატინის.
თუ სიყვარული
ათას მზეზე უფროა მეტი,
არ უნდა გაცვდეს
სილურჯეში მყოფი პლანეტა.
შენი თვალები –
სევდის ორი ნათელი ღმერთი
შემომყურებენ,
აქვთ მაგია ოკეანეთა.
ან სად დაგხატო,
რეალურ თუ მითიურ დროში...
და თუ გაგხადოს
ჩემი მზერის ცხელმა შეხებამ,
არ მოგერიდოს,
რადგან პოეტს, მთელს სამყაროში,
სიტყვათა თეთრი სამოსელი,
შენთვის, ექნება.
შეიმოსები,
დედოფალი ცხადის და მითის,
და გაგრძელდება, უსასრულოდ,
თეთრი ზმანება...
ხოლო ცხოვრება
უბადრუკი ჩანჩალით მიდის,
შენ ვერ გეხება...
შენ ხარ ლექსი, წვიმა და ვნება...
როგორ დაგხატო.....

კახა ბაციკაძე

სივრცე შევალე

გულის ლოცვაში დასახლდა ვიღაც,
და უხმობს ფიქრებს, ვით ზღვა – ხომალდებს...
ვწვავ სამყაროში სულ ბოლო ნიღაბს,
თავისუფლების მზერა მოვმართე:
შევსვამ სივრცეთა, ლაჟვარდთა ღვინოს
თვალთა თასებით, მზეთა ავსებით,
ვგრძნობ – მსუბუქდება ცის ვიოლინო,
მოცარტის ნოტით ანალმასები.
ბალერინების თეთრი დასები,
თბილფანტელური გაბაასებით
სიზმრებად სიზმრის სიზმარს ქარგავენ,
არის ამქვეყნად განცდა ასეთიც:
მე ვარ სტრიქონი, მე ვარ მუსიკა,
და მე ვარ ფერი, ზღვები ღელდება...
გულო, იდუმალ მლოცველს უსმინე,
კრთის გრძნობის არსი ირგვლივ ელვებად...
ლოცვის მოცარტი ლოცვას აოცებს,
და სულის განცდა კოსმოსს ეხლება!..

შეძახილი

მხრებში გაიშალე ქართველო,
მტერს ნუ ეჩვენები ჩაგრულად!
სული რაც არ უნდა გათელონ,
მაინც გაიბრწყინებს ქართულად!
ფრთები გაუშალე სივრცეებს...
არწივს არ უხდება ხევები,
ნახე შენი ძმები ფიცს დებენ,
დგანან მთები, როგორც დევები.
მხრებში გაიშალე ქართველო,
ზეცას გაუსწორე თვალები,
მზეო – დედამიწის სანთელო,
გზები გაგვინათე მკრთალები.
გულში ვაზისფერი ახარე,
დარდის წიგნი აღარ დაწერო,
მზერით მზის სინათლე ატარე
ერო, ლექსად თქმულო, ნამღერო...
მხრებში გაიშალე ქართველო,
მტერს ნუ ეჩვენები ჩაგრულად!
სული რაც არ უნდა გათელონ,
მაინც გაიბრწყინებს ქართულად!

გზა ძველებური

როგორც დავიწყე, ისე ვაგრძელებ!..
გზები კვლავ გრძნობის ზღვებთან მიმიყვანს,
ამ ცხოვრებიდან თავს კვლავ ვაძევებ
და ვინარჩუნებ სევდის მიმიკას.
რადგან აქ, ირგვლივ, საგიჟეთია,
სიხარულისთვის არ გვაქვს მიზეზი,
დაბლა ბოდვაა, მაღლა ღმერთია,
და ვერ ხერხდება ამის სინთეზი.
როგორც მიყვარდა, მიყვარს ისევე!
მე კვლავაც მჯერა – გული ლურჯია...
დიდი ხანია მკვლელებს მისევენ,
დიდი ხანია ლექსი ბურჯია.
ხოდა ვაგროვებ ფრთების ნამსხვრევებს
და მოხშირებულ ცრემლით ვაწებებ,
თვალთა რაინდებს ისევ ვამხედრებ,
ისევ ვაღმერთებ ძმების ნაწერებს!
როგორც მაწვიმდა, ისე მაწვიმს მე...
შემოდგომაში მუდამ დავსახლდი...
წლები მიდის და ხეებს ამძიმებს
ამ წუთისოფლის გადასახადი...
ვრჩები წარსულის რწმენის იმედად
და წვიმის ხმების ბროლში ვმკრთალდები...
მე პოეტი ვარ, თანაც იმდენად,
რომ პოეზიით ავკანკალდები...
როგორც მჯეროდა, მჯერა ისევე!
ვერ ჩამილეწეს სულის მინები,
ვფიქრობ ზეცაზე, ვფიქრობ ქრისტეზე,
და წინააღმდეგ მივალ დინების!..

სიცყვების ცანგო

წვიმიან, ფიქრიან, სევდიან ამინდებს
უგნურნი ებრძვიან, უფალო, დაინდე,
რამეთუ მათ წვიმის ფასი არ იციან...
მე კი წვიმისფერი სიცოცხლე მიცვნია...
ფირუზის ტუზები ცეკვავენ მუზებთან,
ვარსკვლავთა კარავში კრთის ზეცის კალია,
ფერმკრთალი აჩრდილი კართან იტუზება,
მისი სიფერმკრთალე ცხოვრების ბრალია...
ღვინო და კინო და კინოდან კიოდა
ლამაზი, არმაზის ბილინგვის ფერებით,
ქალწული, რომელიც ბედს უჩიოდა,
და ჰკვეთდა სამყაროს კრიალა ბგერები...
ვგრძნობ ქარმა გაშალა კაშნები კაეშნის,
არ არის სიცოცხლე ლექსების გარეშე...
ოცნებავ, ზეცისკენ არ უნდა გამეშვი,
ახლა კი იცოცხლე უნაზეს მთვარეში...
და ისევ ლექსების, ლექსების მხარეში...
წვიმიან, ფიქრიან, სევდიან ამინდებს
უგნურნი ებრძვიან, უფალო, დაინდე,
რამეთუ მათ წვიმის ფასი არ იციან...
მე კი წვიმისფერი სიცოცხლე მიცვნია...

გიორგი ზუხბაია

უსასრულო მარტოობები

ცა არის ერთი, და ცაა ლურჯი,
და სევდის გარდა არარა შემწევს,
ეს არის სივრცე, თითქოს ვარ გულში,
საკუთარ გულში, როდესაც ლექსს ვწერ.
შორს ვარსკვლავნია გახსნილ თვალებად.
შენ, ჩემო თავო, ასე მტოვებდი.
და სამყაროთა იდუმალებას
ქმნის უსასრულო მარტოობები.
და ტაძარივით მიუსაფარის,
მე საოცრების ნახვა შევძელი,
და ახლა ვიცი, სული რა არის,
სულია, როცა სდუმხარ მეტყველი...
მე ისევ აქ ვარ, სადღაც შორიდან,
რადგან სამყაროს არვინ იცავდა,
თითქოს მიწაზე ცა ჩამოვიდა,
იცხოვრა აქ, და გარდაიცვალა.
მარტოობაა სივრცისგან მოკვდე,
მას გული აქცევს მარტოობებად,
და ახლა ვიცი, რა არის – გრძნობდე,
გრძნობდე – ეს არის არარსებობა...
და როს მიდიხარ, აქ გრჩება მხოლოდ
გზა ჩამავალი და გზა უჩვევი,
სხვა არაფერი, და მერე ცხოვრობ
მარტოობების თეთრ სიჩუმეში.
რა არის ღმერთი, და მე ვარ ღმერთთან.
გზა თუმც არ არის, მაინც სულ ვივლი.
ღმერთია, როცა უკვდები შენს თავს,
და ამით კვდები სხვების გულისთვის...
სივრცეებია გახსნილ თვალებად.
შენ, ჩემო თავო, ასე მტოვებდი,
რადგან სამყაროს იდუმალებას
ქმნის უსასრულო მარტოობები.

სიბრაღული

მე არასოდეს ვიქნები მკვდარი,
რადგან არაფერს, მარად ველოდი...
სინათლის გარდა არავინ არის, -
ახლა ქუჩაში დგას ანგელოზი.
და მზის სხივივით ჩუმი და სუსტი
ჩანს ერთი წამის იდუმალება;
ამ თეთრ ანგელოზს ახურავს ქუდი,
და უყვარს თეთრი ღვინის დალევა.
და მზე კვლავ ჩადის სულის წინაშე;
მე მეცოდება ყველა მიზანი;
ეს ანგელოზი კი დგას მიწაზე,
და ნატრობს – იყოს ადამიანი..
მე მეცოდება ეს ანგელოზი...

ჰაერის ია

შენ წაიკითხე ჰაერის წიგნი,
სული აგევსო იდეალებით,
ვიყავი შენი თვალების შიგნით,
და მე ვცხოვრობლი, სახლში, თვალების.
ცამ, როგორც სიტყვა, წარმოთქვა სევდა,
მე დამინახეს შენმა თვალებმა,
და მეც ვხედავდი, თუ როგორ მხედავ,
მინამ იხილა გამჭვირვალობა.
ჩამოიშალა სხივების კონა,
ჰაერის ყველა წერტილი ძგერდა,
მაშინ ვინატრე ნახატად ყოფნა,
მერე კი – ყოფნა, უბრალოდ ფერად...
არ ვარსებობდი, და დღე, ფერადი,
აღარასოდეს, სულში, შემოდის,
მთავარი იყო, რომ შენ მხედავდი,
ის კი არა, რომ არ ვარსებობდი.
არ ვარსებობდი, და თვალებს, დღიანს,
ჩემთვის შეექმნა მთელი სამეფო.
ხელში მეჭირა ჰაერის ია,
და შენ გჯეროდა, რომ ის არსებობს.
დარდი არასდროს აღარ გაივლის,
თუმც მზეს სხივიც კი არ დაჰკლებოდა.
ისე გჯეროდა შენ იმ ყვავილის,
რომ ის სარკეშიც ირეკლებოდა, –
ჰაერის ია...



გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

ვარძია

მდულარების მორევით აღმართულან გორები,
მძლავრი მთაგრეხილები, ტანად აზიდულები,
მარადისი ტანჯვანით, მარადისი ბრძნოლებით,
განივთებულ საწყისით – ჩვენი, ჩვენი სულები.

ატყორცნილა ვარძია, ცამ როს გადაარწია,
მზერა სტყორცნა სულღუმმა, სივრცის გალაქტიკებით,
შეყივნება ფასკუნჯმა, ფრთები – ფრთები არწივმა
და ღვთისმშობლით განათდა ზეცა ჩანამუქები.

იგი შესწვდა ვარსკვლავებს, ქვათა ღაღადისებით,
ზეცით შემოუძახეს, საუკუნო დიდება...!
ჩუმიერი გალობით, სხივოსანი რინდებით
მოახვიეს ცისფერი ჟამთა განადიმება.

აქ, ბილიკებს ატყვია ნაქოშარი ფეფების,
ცისიერის სუნთქვანი, თვალნი შენაფეთები,
მოგალობო ხმიერი დიოფალი თამარის,
მზე მარადის ქართველთა, სხივით ჩამომავალით.

ტინებს აქ აურეკლავთ ფარ-ბექთართა ჯახება,
აქ, ტინები ქცეულან გააფთრებულ ტახებად,
ქვათა აქ უშფოთვიათ მოგგუნე ზარებით,
აქ, უნახავთ გლოვანი ცათა შემაზარები.

მაგრამ, როდი მსხვრეულან, წრთობის, წრთობის რვალები,
შვილთა მამულს სწირავდნენ იბერთ ამორძალები,
მათ ღვთაება დაჰმზერდათ და ანგელოზთ კრებული,
მოისმოდა გალობა, ლოცვით მირონცხებული.

მოდიოდა არაგვი, მტკვარი, ენგურ-რიონი,
მოდიოდა თაობა სააკაძე გიორგის,
სააკაძე პაატას სული – სული დიადი,
მოურჩენელ ტკივილად, ცრემლად ჩამოკიდული.

2018 წ., თბილისი.

სამყაროს სპირალზე

წრეწირებს ხაზავდა პლანეტა
წამებთან, სულ ჭაპან-წყვეტებით,
ოჰ, ჩემო ძვირფასო ანეტა...!
ვეძიე ბრუნვათა ფესვები.

წიოდა შორს ქარი შეშლილი,
წრედშლილი სამყაროს სპირალზე
ჰყვაოდა ედემში ხეხილი
და კვნესდა ნიავთა სინაზე.

გვჩუქნიდნენ დროებს და წამ-წამებს,
წამწამებს ღვთაება ლისისას,
ოჰ, ჟამო! გალობა გვაცალე
და სივრცე ქორბუდა ირმისა.

წარსული ნელ-ნელა ივსება,
ვინ სთევას სიკეთეს მაჩვენეთ..?!
ნუ, მიშლით აწმყოის სიმღერას,
დამთოვეთ, დამწვიმეთ, დამსეტყვეთ;

გრეხილით, ჩახლართულ წნულებით
ვნულდებით და ვეძებთ საწყისებს,
მივდივართ, სხვა სახით ვბრუნდებით;
ცისათვის, წყლისათვის, სამიწეს.

უკვდავი მხოლოდღა სულია,
სულ ია, ვარდებით მორთული,
შვილები ჩვენ სულთა წნულია,
ლამაზი არსისთვის მოსულნი.

მაშ, ასე, მშობელო პლანეტავ..!
ღამეთა მარადის თენებით,
თუ, უკვდავებას გაბედავ,..
ღრმად გადგი ჩვენს არსში ფესვები.

2018 წ., თბილისი.

მდინარემა სთქვა ერთხელ

მდინარემა სთქვა ერთხელა;
მივალ და მივედინები,
ბოლოსკენა მაქვს სამზღვარი,
დიდსა წყალთ შევენივთები,...

ზღვაა და გაუხარდება,
ამაღლდებიან ზვირთები,
მეც მისით გავდიადდები,
ცის რაშად გარდავიქმნები.

ამიტაცებენ მზის სხივნი
მაღლა, ღრუბელთა გროვადა,
ჩემს სულსა ქარი წარიღებს
და კვლავაც, წვიმის ბროლადა

ჩამოვალ დედამიწაზე,
ჩემთა ხევებთან ბროლადა,
დიდსა გადავშლი დარანებს,
ალაზნებრ შემაჟრჟოლადა!

მოძმეთ ხომ არ ვუღალატებ,
მარადის ჩემზედ მლოცველთა,
ვერ დავსხამ და-ძმათ სატირლად
ბალხთ უწყალობით მგლოველთა,

ვერც ხეთა, ფესვით მომსკდართა,
ჩემს ძუძუთ ხარბად მწოველთა,
ყვავილთა – მიწის ვარსკვლავთა,
ველ-მინდვრის მანათობელთა.

ძველს კერას დაბრუნებული,
ვითა უძღები შვილია,...
სთქვა მდინარემა; ვიდინებ
სულ-მკერდით გადაშლილია.

2016 წ., თბილისი.

ზედაშე უკვე შეისვა

შორიდან გადმოვიხედე, ვცადე ჟამისა ჭვრეტანი,
გადმოვქექ-გადმოვალაგე კაცთ ყოფის ნამოქმედარი,
ზოგი რა გავისაგნისე, მარტივად გასაგებარი,
ზოგთ ვაპატიე, ზოგთ არა, ... თავისი მისაგებარი.

რანი ვართ, მაინც ვერ მივხვდი, ან, ვინ ირწმუნა რაობის..?
ის, რაიც ვსახე წმინდადა, მაქც იყო არარაობის,
საგულეს გული რომ მედგა, იმ გულით ვწარამარობდი,
ვინაც ერთგული მეგონა, ცრუდ აჩნდა გამხედვარობით.

ამაზედ ძლიერ დავღონდი: „ეს რა აზრები ვჩმახენი“,
თვალწინ დამიდგა მოყვარეთ აწ, გარდასული სახენი,
თითქოს საყვედურს მეტყოდნენ; კაცთა ეს სივაგლახენი
თან დაგვყვა, „ვერ ვსცანთ ზენარის“ და ასრეთ გავილახენით.

მითხრეს: ნუ სცდილობ აღავსო, რაც არის აღუვსებელი,
კაცთ განსჯა მძიმე ტვირთია, ღმერთი არს მისის მგებელი,
ვიკმაროთ, რაიც მოგვეცა, ვხარობდეთ საქმის კეთებით,
თავ მოსწონს პურეულითა, როცა სავსეა ბეღელი.

აწ, გვიანია, ძამიკო...! მავანთა სწამო ცილები,
ზედაშე უკვე შეისვა, დოქნი დგან გამოცლილები,
ვით, ნადიმობდა ნადიმად აქ, მუხად წამოზრდილები,
ის გმირნი აღარ არიან, დაცალეს ღამე-დილები.

მოუსავლეთი ვინც ნახა, იქ, მარად შვილნი ღიმისა,
აქეთკენ მობრუნებულნი, კვლავ, მოცინარის პირითა
აღარვის აღარ უნახავს, ამვლელ ან ჩამოვლილნიცა,
ობლად, ბუერას ჩრდილებში წყაროც ამაზედ სტირისა.

ყველაფერს თავის ბოლო აქვს, ჩვენს და სამყაროს შფოთასაც,
წუთისოფელი დაგვახლის ფინთიხს, თავისის თოფასა,
განვქრებით; ვერსად გაიგებ სიცილსა, ანდაც ოხვრასა,
ტაროსანი გამეფდებიან, გამართვენ თამაშობასა.

ჩვენ რა ვქნათ... გულზედ ხელები წინასწარ დავიკრიბოთა...
აქ, მოსახდენი მოხდების, ნუ სჩივ თავსა და ბოლოსა...?...
სჯობს, კაცად დავრჩეთ, პირშავად ნუ, შევალთ საიქიოსა,
გულში იმედი ვაცოცხლოთ, ცად ფრენამ გაგვაქოროსა!

წამოვა წუთისოფელი სხვა სახით – გარდაცვლილადა,
კაცნიც სხვა სახით მოვლიან, ფიქრთ ფრთებით შემოსილადა,
ერთურთის ძმანი ვიქნებით – ხენი ტყედ შემოზრდილადა.
ღვთაების სწორი კაცები, ვარსვკლავებრ შემომცინართა.

2018 წ.
თბილისი.

მარევ, გვესტუმრე!

ო, სადღაც განჰქრა სიოცის გუბე,
ჩვენ გადავბუგეთ ალერსის მდელო,
ღვარძლი ავლესეთ და დანებს უბე
გადავულოცეთ სისხლის სამრეკლოდ.

ცილისწამების ჭაობს შევსცურეთ,
სადაც მეფურებს ლაფის ღრეობა,
ჩამო ზეციდან მარევ, გვესტუმრე!
დაესწარ ყოფის მონაცვლეობას.

ის – კარგი დრონი... „ვაჰ, დრონი, დრონი“
ჩაბარდა წარსულს, წეიღო ჭირი,
დასრულდა კაცთა გზა-მარათონი
და ღვთიმშობელი მგლოვარე სტირის.

2018 წ., თბილისი.

უქროლავთ, უქროლავთ გრიგალებს

უქროლავთ, უქროლავთ გრიგალებს,...
გრიგალებს უხსოვარ დროიდან,
კლდეთ ახსოვთ – ქვადქცეულ ბინადრებს
და ქანებს, რკინად რომ მორკინდა.

მოჰქროდნენ მძვინვარე რაშებით,
დამშვებნი ელვათ და გრგვინვათა,
დარანებ, მძლავრ ფრთათა განშლებით,
ნამყომ რაც ცად გადაინახა.

მიჰყავდათ მშფოთვარე სულები,
სრულებით – არსთ დამამშვენები,
ბრუნვებით, ღვედივით კრულები,
ძაბრისებრ ბორბალას შენებით.

ზღვის ტალღებს სისწრაფეს მატებდნენ,
აგებდნენ ბასტიონთ ცათამდის,
ხომალდებს იალქნებს სტაცებდნენ
და მღერდნენ; ვიქროლებთ მარადის!

მარდის, ყოველთას ერთობის,
გონთ ბრძნობის და ყოფის საზრისით,
ფიქრისთვის, სხივისთვის,... ღმერთობით,
ცდად, „კაცთა ლამაზი არსისთვის!“

2018 წ.
თბილისი.

ჩვენ სულ სხვა კაცნი ვიყავით

ჩვენ სულ სხვა კაცნი ვიყავით,
სხვა ყოფის სიმთამჟღერეო,
სამყაროს ჰარმონიათგან
ჩამოსხმულ-დანაფერეო,

ერთობის ბევრი ხელები –
– გუნდად შეკრული მთელეო,
მზე-მთვარის დედაშვილობით,
სულ-გულით განამხელეო.

არც დასაწყისის ვიცოდით,
არცა სასრულის კიდენი,
ქარმა რომ მხრებზე შეგვისხა,
ცად ვარსკვლავთ გავეკიდენით;

ქვესკნელი მოვინახულეთ,
ზესკნელს გაგვიხსნეს რიდენი,
შავ ხაროს გადავერიეთ,
კიბენი გადავკიდენით.

მგელი, ავაზა, არწივი,
ვითა ღვთაებათ სახენი,
ჩვენ ოდითგანვე ვირწმუნეთ
და წინამდგომად ვსახენით.

სამყაროს ზღაპარს გვეტყოდა,
წყალთა ჩხრიალა ბაგენი,
ბევრს მივწვდით გულისყუროთი,
ცდომის გზით ვივაგლახენით!...

და მივხვდით; არცა რანი ვართ,
არცა რჩეულნი სხვაზედა,
მაინც სხვა კაცნი ვიყავით,
სხვა ცან გვეხურა თავზედა.

2017 წ., თბილისი.

მე, რაობას დავეძებდი

მე, რაობას დავეძებდი „არდაბრუნდის ქვეყანისას“,
მზე – შამაში დამცქეროდა ან-მარე და ბარბარ ცისა,
ცრემლი გულზე მეცემოდა, ანგელოზი ლამარისა.

2016 წ., თბილისი.

სვანური პანთეონის ღვთაებანი –
შამაში – ღვთაება
ან-მარე – ღვთაება სხივოსანი.
ლამარია – ღვთაება

ვეფვერებოდი მზიურ ღამესს

უხილავ ქარში, იმ თეთრონ რაშით
გავეთამაშე ზეცის კამარებს,
ვარსკვლავთა თვალებს, ხომლების განშლით
ღვთიურ კარავთან შემიკარავეს.

იქ, ჩამი სატრფო მომეალერსა,
მიფრთამალესა პეპელთა გუნდივით,
ვეფერებოდი მზიურ ღამესა,
გაჩენილს მხოლოდ სიყვარულისთვის.

2018 წ., თბილისი.

როგორც ნიავი მიჰყვები ქუჩებს

შენ აყვავილდი, შენ გაიფურჩქნე,
ვნებიერ ბაგეთ მჩუქნის აპრილი,
როგორც ნიავი მიჰყვები ქუჩებს,
ფოთოლთ შრიალით, ალვად ახრილი.

ხან ბალახი ხარ, ნაზად ბიბინა,
შემოირბინა ვნებამ ღიღილოდ,
სხივთა მფენი ხარ, მთრთოლი გვირილა,
წვიმის წვეთთან რომ გადიღიღინა.

2018 წ., თბილისი.

*

ირგვლივ ფერია იდუმალი, უდაბნოს ფერი,
სად, მირაჟებში ამოოსკვნით ვიღაცა მღერის.

*

მარადიული მოლოდინი ლოდის დარდია,
იგი, ოცნების ფერადებით, ზეცას აჰკვრია.

*

და აჰა, ისიც; ჟამი-ჟამი გამოთხოვების,
უაკანსკნელი, ზეცის სამოსით მონათოვები.

იქ, თამარი ბრძანებულა

*

ქვაბისხევი და სამრეკლო, ეკლესიის ფრესკა – ვისი..!
აწყურია, აწყურს მერე აღმართულა მძლედ ხერთვისი.
შორს ვარძია მიირწევა, საუკუნის კეცავს ხანებს,
იქ, თამარი ბრძანებულა, ძლევის ლხინიც გადიხადეს.
და იქ, და იქ, ვნების ველით დადიოდა რუსთაველი.

2018 წ., თბილისი.

გვემოსა ზეცა ოცნების დარი

რაღაცა გატყდა, თითქოს, რაღაცა...
გადაიფერფლა, გადინაცარა,
გაჰქრა ერთ წამში, ვით მოჩვენება,
როდი გვადროვა, როდი გვაცალა!

რამ...? და ჩვენეულ აქ ყოფნის ჟამმა,
ვით, გაელვებამ მონაბერ ქართა,
ვით, გახსენებამ შარშანდელ თოვლის,
მზის მწველ სხივებში უცებ რომ გაჰქრა.

ვის, ვის სუროდა, აქ, რომ მოვედით,
შემოსილები წუთისოფელით...?
ან, რა მიზნებით, ან, რა მისიით,
გარდაუვალით, დაუნდობელით..?

ის მოგვევლინა ციურ მშვენებად,
რაშთა მღელვარე გამოჭენებად,
მთა-მყინვარებად, წყაროთ ლიკლიკად
და გაშლილ ველთა გადამღერებად.

კრიმანჭულებად, წარსულ სულების,
მბორგავ მდინარე – გაზაფხულებით,
მერცხალთ სრიალით, ლაჟვარდის ფონზე,
როს ვმზერდით ღვინო გადაკრულები.

გვემოსა ზეცა, ოცნების დარი
და სიყვარული მკერდს შემომსკდარი,
სამყაროს გულთა ალერსი ქსოვდა,
ვით ჯადოსნური თეთრი ზღაპარი.

რაღაცა გატყდა...?... რეკს გლოვა ზართა...!
ო,.. არა,.. არა,.. ზეციურ ქართა
ამიტაცებენ სულის მხედრები,
მაცნენი სივრცის, ღვთაების კართან.

2018 წ., თბილისი.

*

მაღალი ყელით, სუროსავით, ნუკრის თვალებით,
მოირხეოდა შველივით გოგო, მკერდზე ნაღმებით.

*

მას არ სჭირდება ახლობლები, არც სამეზობლო,
პურის თავთავი თვითონ არის მთელი სამყარო.

*

გულითადობის გამო შევიყვარე ჩემი რჩეული
და მარადისად თაყვანსა ვცემ გულითადობას.

2017 წ., თბილისი.

შენ მოდიოდი სოველი თმებით

გარეთა წვიმდა და იმ წვიმაში
შენ მოდიოდი სოველი თმებით,
თვალნი მოგქონდა, თვალები ბინდად,
ვით სანატრელი სახენი მთების.

გარეთა თოვდა და იმ თოვაში
მოფრიალებდი, როგორც ფანტელი,
შენ, უწმინდესი ხატება გქონდა
და სული იყო შენი სახელი.

მერე, მარტების ცივი ქარებით,
თეთრი ტყემლებით, აპრილის ფიფქით
გაზაფხულების მდელოდ წახვედი,
აუხდენელი ვნებების ფიქრით...

და შემოხვედი ივლისის ხვატში
ოდოჟღერებით, თავთუხის ფერით,
სად მოფარფატე პეპლების ტბაში
მკა მიდოდა ცელების მღერით.

გარეთა წვიმდა და იმ წვიმაში
შენ მოდიოდი სოველი თმებით,
თვალნი მოგქონდა, თვალები ბინდად,
ვით სანატრელი სახენი მთების.

2009 წ., თბილისი.

სივრცეთ მატიანენი, ერთხელც დაიმქუხარებს

იდუმალად მქშინავმა დრო-ჟამების ქარებმა
მარადისად მქროლავმა, უბერ-უხნოვანებმა,
როდი დაიხვალიეს; არც აცხელ, არც აციეს,
ხეებს ფოთოლთ სამოსი ტანზე შემოაცვითეს.

როცა ვკითხეთ, ამ ქარებს, თუ, რა არის დროება...?
მათ პასუხი არ ჰქონდათ, ჰქროდნენ ამაოებას...
ფარულ ექოს მივმართეთ, თრთოლვით არდახანებით...
„მარადისმაც არ იცის დართა გამოდარების“;

არ ვიციას ღმუიან, არ ვიციას კიდესთან,
სადაც დრო-ჟამ-ხანების სახე გამოიკვეთა,
უხსოვართ წლოვანება ჯერაც არის ფარული,
სადღაც, მიჩუმათობით, მალვით გადაფარული.

ჰყვება სივრცეთ რაობა, ჟამთა არარაობას,
ფერთა ნაირფერობას, მზეთა უნახაობას,
ფორმათ მონაცვლეობას, ცელთა გადაშმაგებას,
მთვარის ციაგს მიუგდეს ის, ჩხავანა კატებმა!

ამ ამბავთა მნახველი, მთვარე მოძმე გრძნეულთა,
დაფლეთილი მგელთაგან, ყინვით ჩამომსხვრეულმა
თავი ღრუბლებს მიანდო, ვარსკვლავთ ჟამზე მწუხარემ,
სივრცეთ მატიანენი, ერთხელც, დაიმქუხარებს.

2018 წ., თბილისი.

*

როცა ახლობელს გულით ელი, უტყუარ გულით,
რა, შეედრება მოლოდინის ჩუმათ ღელვებსა...
იგი ხესა ჰგავს, ფოთლებით რომ არს დახუძლული,
შრიალს რომ იწყებს, ნიავი როს შემოევლება.

2017 წ., თბილისი.

*

დადაისების ჟამი დამდგარა... ქვითინებს გვრიტი.

2017 წ., თბილისი.

კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა

კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა
აჩხრიალებს ჩანჩქერი,
კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა
ნამქრავს თოვლის ნამქერი.

კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა
ჯიხვი ურტყამს ჩლიქებსა,
კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა
ქუჩი უბნევს ღილებსა.

კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა
სხივი ჩავა გვიანი,
კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა
წყარო მარილიანი

ვეძა ფერად გადაფერავს,...
წვიმა ტირილიანი
(როს შვავებად ჩაიშლება)
დაჰგლოვს პირსევდიანი.

2009 წ., თბილისი.

იქნება არც კი ვიყავი?!

ჭაბუკი ვიყავ უწვერო,
ნამყო ვერ მოვიგონეო,
ოდესღაც ბერი ვიყავი,
ჟამი ვერ მოვიგონეო.

თორელის ქალი მიყვარდა,
ციხენ ვერ მოვიგონეო,
ღალატით დანა მიტიეს,
მტერი ვერ მოვიგონეო,

სასწაულებრივ გადავრჩი,
მკურნალ ვერ მოვიგონეო,
ფიალით სითხე შემასვეს,
ღვინო ვერ მოვიგონეო.

სატრფო დუმილმა წამართვა,
რისთვის ვერ მოვიგონეო,
მდუმარ წყლებისკენ ვის გაჰყვა,
სიკვდილ ვერ მოვიგონეო,

აქ ვიყავ, არცა ვიყავი,
ვერ ვსცან, ვერ მვიგონეო,
დროთ უმოწყალოდ გამწირეს,
სივრცენ ვერ მოვიგონეო.

ასე ყოფილა მარადის,
დროთ ვერ აკავებს დირეო,
ვერც სივრცის უჩინ საზღვრებით
სამან ვერ მოვიგონეო,

მოვკვდი და სამარეს ჩამდეს,
საფლავ ვერ მოვიგონეო,
ვერც მესაფლავეთ სახენი,
რა ვქნა, ვერ მოვიგონეო,

შავეთს ანდაბნი მომისხდნენ,
ჩემს ბედზედ მოიმედეო,
ძველი ზღაპრები მომიყვნენ;
ნატრულნი, მოღიმღიმეო.

ცრემლი რომ გულზე დამეცა
თვალნი ვერ მოვიგონეო,
ზარის ხმა ნანად ჩამესმა,
დედა ვერ მოვიგონეო.

2014-2018 წწ., თბილისი.

სიჩუმე

ტბა ნაპირს აღარ ეხახუნება,
ხუმრობის ფანტი გადაიფიქრა,
ჭავლს დასტყობია ცრუ მოდუნება
და ირგვლივ უვლის კენჭებს ირიბად.

ნიავს ფოთოლთა ბურუსში სძინავს,
ხეები მოკვდნენ, გრძნება ობოლთა,
ნაჟური კლდეებს შესტირის მძივად,
ყინვა მოელის სხივების მოსვლას.

შეძახილი და ჩამოსცვივა ხეებს ფოთოლი,
წყაროს მაგიერ მხოლოდ ნესტი აგრილებს ქვიშას,
მოძრაობს ძერა ფთილა ღრუბლის მიმშვიდი ფონით,
უძრავ სხეულით მორგებია ნიღაბი ნიღაბს.

ვინღა სთლის ფანდურს, მისი ხმები არვის აღელვებს,
აღარც ჩონგურის ჟღერადება არის მოდაში,
აქ სიცივეა, დააკონე ბაგე ბაგეზე,
მკვდარს დასტირიან მიტოვებულ ძელურ ოდაში.

შორში, მოსჩანან მოფუსფუსე არსთა გუნდები,
ხმები არ ისმის, დაკარგულან კლდის ლურჯ ტანებში,
ოცნება მათი აღდგომის და კვლავ დაბრუნების,
მხოლოდ სუნთქვაა ხევის წყალთა, ყრუ მიძინების.

ხეთა ზრდის ხმებიც გაფანტულა მალულ განკრებით,
განცხრომათ ციკლი ნებიერობს მაძღარ ნადირში,
სიცარიელე სიჩუმეთა ურიცხვ თანხლებით,
ისე სავსეა, ვით სიჩუმე ქვანტურ ქარიშხლის.

მიჩუმათებულ ამბებს ნატრობს სივრცის განფენა,
უგალობია ჩიტს ოდესღაც ნიავის ჭავლზე,
მინდორს ჯეჯილი გაჰპარვია, ჩუმად ღამდება
და მოგონება მოგონებათ ტკვილებს ავლენს.

ასე უდაბნოს უდაბურება უსრულ სხეულთა მირაჟებს ხატავს,
ხაზი უნდოა, ხაზიც დუნდება, სულ ქვევით-ქვევით,
სულ მაღლა-მაღლა.
იქუფრებიან ოქროს ღრუბელნი,
ვერცხლებს ივარცხნის მთათა გრეხილი,

მომკილი არის ესე სამყარო, დანაპურები,
მოკვდა სიოცით განაკვირი, თვალგახელილი.

მიცვალებული, სიცივეა დიდი ცდუნებით,
პირმოკუმული, უძრაობით გაკვირვებული,
აღდგომის გრძნეულ მისტერიით შემობრუნდების
უკვდავი სულით, ხდომილების ტანჯვის სხეულით.

იგი არ გეტყვის, აღთქმის არგათქმას,
დუმილის – დუმილს, ქვითინით ლმობას,
თიხა, თიხის წილ როს სად ჩასახლდა,
ან ვით უყვარდა ბიჭს ის გოგონა.

დაძირულ ფსკერებს, ზღვათა სიღრმეში,
იმქვეყნიური ბორიალობის,
უსასრულობის ხაზით მიმხები,
არ იხილვების ღმერთი წყალობის.

ალბათ იწვიმებს, ალბათ ხმაური
ამოვარდება თეთრი ქარიშხლის,
ფეხადგმულ ნიავს სურს სასწაული
ჩუ, გენაცვალეთ, ჩუ,...
ნუ დავუშლით.

ჩვენ გამოვეკიდეთ ზეცაში

გზა, მრუდე ტრაექტორიის,
მზერა, წრფივი და ირიბი,
ვნებათა ცივი ამბორი,
დგომა გვერდზე და პირისპირ,

თვალთა გამზირის ვექტორი,
გრძნობათ ურიცხვი ფეთება,
აქვეა, რასაც ელტვოდი,
და რაც ამჯერად არ შედგა;

კოსმიურ წყვილების თამაში,
ფიქრთ გადამკვეთი ქვანტები,
მოდიან ჯგუფად და მხარგაშლით;
კაცები, ბავშვები, ქალები.

გორავენ სამყაროს გოგრები,
გოგნები ნახევრად შიშველი,
მიგნება – წრე გამაოგნები...
ვიპოვნე, მივფრინავ... მიშველეთ!

მირბიან, დღეს უკანასკელად,
მავთულზე კუწულობს ბიგელი,
დასხდომა, აქ, მოსწრებაზეა,
ეპოქაც ტროლბასით მიგელავს.

მარადის როლების მორგებით,
უტყვია თამაშის წესები,
გადავრჩეთ! დროს შემაშფოთები
წარღვნათა გრიგალი ეწევის.

ქაოსი ბზრიალებს ქარივით,
ქარს იქით, ქარს იქით, ქარს იქით,
ის არის რაც არსად არ ითქმის
და რასაც ყოველი განიცდის.

აქვეა მარადის ზეიმი,
თხევადი მიდამო ირწევა,
ჩვენ გამოვეკიდეთ ზეცაში,
ჩვენ ვეღარ ვბრუნდებით მიწაზე,

მიწიერს შეარხევს ქვენები,
ზეციერს, ზეციერს, ზეციერს,
სურსა და ენებოს ზენები,
მეცხელე, მეთბუნე, მეცივე...

სულო გრძნობებით აღსავსევ,
და განფენილო სფეროზე,
ღმერთო, თუ მსგავსად დაგვსახე,
იოცე, გვაკვირვე, გვეოცე.

ვიღაცა ტირის და სლუკუნებს,
ხითხითებს სიბნელის აურა;
არა-რა ანათებს უკუნეთს?
უკუნეთს სინათლე არ უნდა?

სინათლე შემოდის ჩრდილებში,
რაც მოხდა, რაც არის, რაც მერე
იყო და მარადის იქნების,
გალობავ მთელის ხმით იმღერე.

კვერცხი ვერ გახდება, რაც იყო,
ქათამს აღარ ძალუძს კვერცხობა,
ია ფურცელ-ფურცელ წარიღო
ქროლამ, როს სიბერე ენდომა.

ყვავილს აღარ ძალუძს კვირტობა,
ხილთა ვერ გარდაქმნი ყვავილად,
ქვევით მდინარე როს მირბოდა,
დროთა ლაბირინთით წარვიდა.

მითხარ, სად მოხდება შეხვედრა..?
მითხარ, ნუ დამალავ, გენაცვლე,
ნუთუ, არასოდეს ღმერთებთან,
ნუთუ, სულ ტყუილად ვილოცეთ...???

ღიმი გონის მიღმა ღიღინებს,
ჯვარცმა უდიადეს ტანჯვებით
იღე, იტვირთე და მიგიღებს
ღვთისა შეუცნობი ნათელი;

სადაც მოფარფატე ალურით,
ველებს მეგლოვია შესტირის,
თვალებს ფრთხილად აღებს წარსული,
მეც... ვსტვირი... მეც... ვსტვირი... მეც... ვსტვირი.

იმ ქარს

იმ ქარს, რომელსაც გუშინ ელოდი,
ის, დღეს მოვიდა, დაგვიანებით,
იყო ლოდინი, ლოდი მელოდის
და მდუმარება უტყვი ქანების.

ამ წვეთებს ღვარცოფი მოჰყვება

ღრუბელი მშფოთვარე ცხოვრების
მეტამორფოზებმა დაფლითეს
უთქმელი მოწამე მოვლენის
ივარცხნის ფუშფუშა აირთმებს,
ღურბელი წვიმა და მოწყენა,
მოსწყდება წვეთები ობოლი,
ამ წვეთებს ღვარცოფი მოჰყვება
და ზვავი უფსკრულის ბოლომდის.
ღრუბელის ქიმია მდუმარებს,
ქარები დაშლიან კრებულებს,
ღრუბელო, ნუ, მეტყვი უარებს,
ოცნების სავანედ მეგულვე.

უზარმაზარი ჩრდილი

იდგა ფანტობა, ჩემი სხეულის,
მოჩვენებებით ფანტავდა არეს,
უზარმაზარი ჩრდილი, შვეულით
ძირს ეშვებოდა დღე მოვარვარე.

ჟღერანი სიმთგამძლე

წავიდა ის საქმე, ეპოქებს
ჩაბარდა ჟღერანი სიმთგამძლე,
ებრძოდნენ, ოჰ, როგორ ებრძოდნენ
ეს დრონი, ამ ქარით, იმ ქარებს.

იმ სისრულეში ფრთებით მოვედი

გრძნობათ სისრულის იყო მომენტი,
გაელვებათა იდგა წამები,
იმ სისრულეში ფრთებით მოვედი,
ოცნებათაგან განაწამები.

მიმაქროლებდა ტალღა ტალღის წინ,
აღსავსე სული, გრძნობით და გრძნობით,
მეტმასნებოდა როკვით ქალწული,
ვნების არგათქმა, სიზმრის ქაოსი.

მე, ხომ სტვირივით ვერ ვიკვნესებდი,
ვერც ფანდურივით ავჟღერდებოდი,
სალამურს, ხმები შემონაფითრი,
დამეკარგა და ობლად ვხმებოდი.

ოდეს, ხე ვიყავ ოდეს გამთლიდნენ
და საკრავებში განსხვეულებულს
ლამაზ სიმღერებს თუ დამაცლიდნენ,
გამათენებდნენ კვლავ შეღამებულს.

მე, კი, მოწყენის გაუგებრობით
ჩუმად ვყლაპავდი სურვილის ცრემლებს,
არ მდომებია, არ მდომებია,
რაც სიყვარულზე ასე ვიკვნესე.

გრძნობით სისრულის იყო მომენტი,
გაელვებათა იდგა წამები,
იფერფლებოდა ნდომა როკვებით,
როგორც ქროლვები მძაფრი ქარების.

უკვე ღამდება

უკვე ღამდება, ბინდი აეკრა
კაეშნის ბადეს,
იგი დანებდა, სევდის კარებთან
იისფერ თაღებს.

...





ქობულეთის წიწაკვარი

ნახ. გულრავ ვეფხვიანი ფშვილოსი

სოფიო - სონა ფეფო, ალჯა ფაცა და ვეფი ფკილეები; ეკრიკეი-ეკრგაულიტა და ფაქარიტ - ფაქრო.

ნახატი: გფრაკ ფეღევანიფვილისა.



ნახატი: ბუნებრივ ფერადებით ,,ცისფერ-ოქროვანი ,,ლომი ყოფილიყო ტყიანეთის

ნახატი: ოთარ ვეფხვაძე „ეროვნული ფასეულობანი“.

მიძინება ხუროთმოძღვრისs

(გლოვის ბალადა)

ვუძღვნი
ოთარ ხუროთმოძღვარს

ვინ იყო ოთარი

ოთარის სული, მარადი სული
განძარცვა ისეთ ოსტატ-ოტატმა,
ვინც საუკუნო ზეცის დახურვით
დაჰქრის მთიების შესამოსავად.

იგი გაგვშორდა წყნარ სამლოცველოს,
საფლავის ქვებზე ლანდივით მოსჩანს,
სამწუხარს მოსწყდა, ტანჯვათა მდელოს,
დაიმსხვრა მზეზე, ყინულის ოხვრად.

არა რა ჰქონდა, არცა რას გვთხოვდა,
სხივებსა ფლობდა ქვად შენაერთებს
და ვით ვარსკვლავი ცის ტატნობს მოსწყდა,
შვენოდა მიწას, ამკობდა ღმერთებს.

.....
ის გაქრა, როგორც კვამლი ქრება
ნისლიან მთების,
როგორც ქრებიან მიმწუხრისას
მნათობის თმები.

* * *

ის, დაეძებდა ხაზებს, ის დაეძებდა ფერებს,
რითმებს ქვებიდან ქვებზე და ქვებს უტყვივით მჟღერებს.
იგი ეძებდა დროებს, ზამთარ-ზაფხულით მთვრალებს,
სივრცეს, აზრი რომ სწოვეს, დღეთ და მათ სიფერმკრთალეს.
ის შემოდგომის მწუხრით იყო განძარცვის მოწმე
და ზაფხულებით გულში მზერდა ტივტივა ქარებს.
იგი უხმობდა წვიმებს დადაისების ფონზე,
ყინვის წვეთურა მძივებს, სხივთ, სიცოცხლე როს სთხოვეს.
მას აწვალებდა ფორმათ ნაირნარობის შერწყმა,
მზერდა შორიდან – შორთა ისტორიათა ფეთქვას,
გრძნეულ პლასტიკათ როკვას, ჩიტთა გალობის მრუდეთ,
ანგელოზების მოსვლას, ციურ სხეულთა ზღუდეს.
კაცზე ფიქრობდა, კაცით განიზომების რადგანც
ფორმა, სივრცე და ხაზი, სიბრტყე და მათი ქარგა.
ისიც იცოდა, ყველა ვართ გარემოთა შვილნი,
სადაც წარსულით ღელავს დღე ნაგებობათ შლილით,
სადაც პარმაღის კარებს ვაღებთ მარადის კრძალვით,
სადაც შესასვლელ თაღებს ახლავს ლანდებრი თალხი,
იმ, წასულ კაცთა ხსოვნის, იმ, ბავშვთა ხმების ექოდ,
რაიც არასდროს მოდის, რაიც ხსოვნაში მეფობს;
აქ, რომ ჟრიამულს ტეხდნენ, კიბის ქვებზე რომ ისხდნენ,
რომ შესცქრეოდნენ მერცხლებს ცად და ციურის ცისფერს,
რომ კაცებივით იყვნენ ქუჩათ ურიცხვი წყება,
რომ მდუმარეიბს ფიქრებს მწყობრი მარაო ფენდა,
რიყის ჩაწყობილ ქვათა მიჯრით ასხმული ჯაჭვი,
ყველა დარდი და ტანჯვა, ყველა ხრიკი და ფანდი,
მწირთა სავალი გზებით, ცხენთ გრიალეთის რეტით.

* * *

აქ, მობინადრე ყველას ქალაქელები ერქვა
პაპა, მამა და დედა, ბებო ყრმათ ფეხდაფეხა
სდევდნენ პატარა გვრიტებს, ტაატით მავალ ბავშვთა,

შემონაკირწყლის პირზე, ხეთა მწკვრივების ფართან.
ქუჩებს სახელი ჰქონდათ, უბანს ნათლავდა ვიღაც,
ეზოს – ჩაკეტილ ეზოს უფრთხილდებოდნენ წმინდად.
სახლით ყინჩობდა ბევრი, თავი მოსწონდა მითი,
კვეთილ ჩუქურთმათ ჩქერით, მსგავსი არც-არავისის,
ასე, რომ ძერწდნენ ქუჩას; მაღალ-დაბალის კვლევით,
ყველგან ოჯახი ყუჩად იყო ღვთის მადლით მთელი.
ქუჩა სალხებსა ზრდიდა, სახლი ეზოთა მღვიმეს
და ეზოები ერთად მცირე უბნებსა ზრდიდნენ,
მცირე უბნები დიად საძმო უბანში რბოდნენ
და უბანთ მთელი წყება ქალაქის სტატუსს ფლობდნენ
ქალაქს, უძველეს ქალაქს ჰქონდა მთავარი ძარღვი,
მას გამზირს უძახოდნენ, სავსეს მილეთის ხალხით,
ხვდებოდნენ ქუდის მოხდით მოქალაქენი ერთურთს,
ქარიც ლაღობდა ქროლვით, მართავდა ცეკვა-ფერხულს;
ქალთა მკერდების ფონზე, კოცნა რომ ათრობს ძეწნას,
მთვარლ თეძოებს რომ მოსდევს წელთა ალვისებრ რხევა.
ყველგან ნაფიქრი, განსჯა, ხუროთმოძღვარის ხელი,
ხეში ჩუქურთმის განცდა, ლხინი გრეხილთა რთველით,
იქ რიკულების სუნთქვა, აქ ლავგარდანის ოხვრა,
მოუსხდებოდნენ ბუხარს, შინას ლამაზი მოდგმა;
ტკბილი ბაასით არსზე, ომზე ჭირ-ჭირთა თმენით,
ბევრჯერ, ქალზე და კაცზე, გიტართ სიმების ჟღერით,
სმურით, დალოცვით, ღიმით, სოფლის ავ-კარგის რაზე,
ხაში ადრიან დილით, ღამის ნაბახუსვარზე.
ინდუსტრიულიც ახსოვს, სხმული ბეტონის ტანი,
მისი შიგანი ფართო, ქარხნის საყვირის ხმანით,
რევოლუციის მარში და „პარადების“ ცვენა,
მძლავრი მკლავების განშლით, ნაგებობათა წყება;
ვამპირიული სიბრტყით, ნებათ დათრგუნვის დრონი,
ცათა გამხევი შპილი, შიშის, მილევის, ძრწოლის,
შემდეგ, უსახო ხაზთა ტყვეობა გულის მკვლელი,
ჯღანნი ტიპიურ სახლთა და მეტი არაფერი,
სოფლის ქალაქად დენა და თავკომპალად ქცევა,
ძირძველ მამულის ნგრევა, ანდრეზთა დავიწყება,
გადარეული ქუჩის ავტოსრბოლებით დოღი,
არსად ობოლი ქუჩი, არსად ბაღების ბროლი.
მაინც ვერ ჩაკლეს მასში, ღვთიურ ხილვათა ეშხი,
მას გამოყავდა ქვაში აზრი, სამყაროს მტევი,
ეჭიდებოდა ბეტონს, ეხუტებოდა ლითონს,
რაიც უცვლელად მზეობს, რასაც ღვთაება იცნობს,
როგორც მის სამფლობელოდ, აღმართულს ნიშანსვეტად,
როგორც ცის სადღეგრძელოს, ნასროლს ვნებების წყებად.

* * *

აუსრულებელ ოცნებაში ვეძებთ სასწაულს,
როგორც საქსაულს დაეძებდა კოსმოსის თვალი,
ნისლების კვალით მოქარგული ყოველ გაზაფხულს
დედამიწაა მოვარდნილი, ვით ამორძალი.

ოთარის მეუღლე სასაფლაოს ბაღში

ბაღში სიმშვიდე გადი-გამოდის,
როგორც შეშლილი თეთრი სამოსით,
დარად ქარისა.
ფოთლებს ჩამოჰყრის ხენი საროსი,
ბინდში; ღრუბლიან ზეცის ტაროსით,
ნიშნად დარდისა.
არცა ხე ბზისი, არც კვიპარისი
არა რას მეტყვის, გულს არ გამიშლის
სავსე მთვარისას.

* * *

არის მიძინება კედრების მიღმა,
ზეცას შუქი და ფერი ელევა,
ნატრობს ნანინას,
წმიდა მარიამს,
ნელ დამღერებას.

* * *

მკრთალ სიწყნარეში მშვიდად გაისმის
ხმა საფლავების, ლურჯი სიმღერის,
ლაჟვარდს ცის თეთრით მოსავს ყაისი,
თვე ვარდობისა, დედის იმედით...
ელის გარდაქმნას, ველის ქართა ხმას,
პეპლად მომავალს,
ვარდებს მაისით,
ქალწულის სხეულს, მას რაც მონამავს
ქვათა ქმნილებებს, ჰანგი კლავისის.

* * *

ბაღში ისეთი სიმშვიდეა შვიდივ ფერისა
არ მეშინია არავის და არაფერისა,
გარდა ხმიერი გალობათა დანაცრებისა,
კვნესის ბულბული.

ის, რაც უთქმელი დარჩა
ოთარის მეუღლისადმი

შენზე რას ვფიქრობ,
ვერასოდეს ვერ გეტყვის ბაგე,
ღმერთს შეეკითხე...
რა იყავი და რა ხარ ჩემთვის?
დადნება შენი გარსაკრავი, სხეულთა არე
და საგალობო, უჩუმარე, სუნთქვისმიერი.
გაქრები...
როგორც ჯანღი ქრება ნისლიან მთების,
მზიური თმების განშორებით, გადავიწყების
თეთრი ვარდები, ვარდისფერში ცისფერი
გზები
და მონატრება-დაფიქრების თრთვილი იქნები.
ვინა ვარ...?
ალბათ, ღმერთმა იცის, ჩემი თავ-ტანის,
მსურსა ნიავი შენი სუნთქვის,
ან სევდის ქარი,
რა, მინდა...?
ვიცი და არ ვამბობ...
გთხოვ ნუ გამკიცხავ,...
საიდან მოველ, საით მივალ...
თრთოლვით დამცილდა
ჩემი სიმწვანე,
ვით ჩურჩული ვერცხლის ფოთოლთა,
შრიალა ვერხვი ოდეს ვიყავ
კლდეთა კორტოხთან,
მერე, წავიქეცი,
ნაკადულმა წამახრიალა,
დამშალა, დამწნა,
გამომაშრო, როგორც ფიალა
და უცაბედად, შემაჩერა ქალღმერთის ტანთან;
ჭავლად მოვევლე,
კოცნითა და ალერსით ბანდა
ჩემი დაშლილი ნაწილაკის ყოვლის-ყოველი,
გლუვი მუცელი იმ ქალს ჰქონდა
დედა მშობელის,
მარჯნის კერეტებს სიტკბოების
ფუტკარი წოვდა,
იმ, ქალს, ლაჟვარდი, საფირონი
გუგები ჰქონდა.
მეც ვანათებდი, თვალთა მისთა
ცისფერი შუქით,
მიმაქანებდა დინება სწრაფი
და ამას ვწუხდი.
...
თუმცა მძიმეა,
განშორების გულის ტკივილი,
არ, მეშინია...
არვინ კვდება, ორი სიკვდილით.

ხუროთმოძღვარი მოვა

ცაში მიდიან ყელნი გუმბათის სრბოლად,
ციდან გადმოდის გუნდი ტატნობის მცხრალი,
ნაგებობათა სილუეტების კრთომა,
საუკუნეთა მარადიული ვალი.
ხუროთმოძღვარი, ხუროთმოძღვარი მოვა,
შეიმოსება, შეიმოსება ტანი,
გალამაზდება, გალამაზდება ველი,
სვეტიცხოველის და
ალავერდის ალით.
სვეტიცხოველი, სვეტიცხოველი,
მცხეთა,
ჯვარი-ფრინველი,
ციურ ნინველის თვალი,
ხუროთმოძღვარი – სული მოწამის
თოვა,
მთვარე მლოცავი,
ლაჟვარდს გალობის ხმანით.



ედვარდ უგულავა

ბოლო დროს

მამაციც თმობს და ლაჩარიც ბედავს,
თავის ნაკლი აქვს ასლსა და დედანს,
დღე კარგად ხედავს და ცუდად ესმის,
ღამეს კი ესმის და ცუდად ხედავს.
ათასი კითხვა ფეხდაფეხ დამდევს,
ვერ ავუდივარ ფიქრებს და ლანდებს,
თან ისეთ რამეს ვისმენ და ვხედავ,
კვლავ გულს ვუჯერებ _ რა უნდა მწამდეს.
მხოლოდღა ჟინი ბალახში წოლის
ყოველგვარ სურვილს მიფრთხობს და წონის
და თუ არ ვიცი, სად გადის ზღვარი
ირეალურს და რეალურს შორის,
იმდენი რამე დამიჯდა ძვირად,
ყოველღამ ვეძებ საწოლს და ბინას
და სიკვდილამდე ლოდინით დაღლილს,
ბოლო დროს მაინც თვალღია მძინავს.

ნინო

მზე აღარ დაეძებს სოფლებს და ქალაქებს...
აცივდა. სიცისფრე დასცვივდა ცის ფერს.
წვიმს. ნინო თაროზე ძველ წიგნებს ალაგებს
და ჩემთან ცხოვრების ერთ დღესაც ითმენს.
ის წასვლას ყოველ დღე აპირებს სახლიდან,
თუმცა თმა სავსე აქვს ბაჯაღლო ვერცხლით.
ნინო რომ ცხოვრებას იწყებდეს ახლიდან,
კვლავ ჩემთან იცხოვრებს, არაფერს შეცვლის.

შენ რომ არა

შენ რომ არა,
ამ ძველ ოდას, ამ მუხლმაგარ ყორეს
ნიაღვარი წაიღებს და ქარი წაიყოლებს.
შენი სათნო არსებობა იმ სიხარულს ბადებს,
ვარდებად და ენძელებად
რომ შობს ეკალ–ბარდებს.
შენ რომ არა,
ვინ გაბედავს მოსვლას ჩემდა შველად,
ვინ შედგება მკაცრ მგზავრობად
გზებზე ფეხშიშველა,
ვინ დაიდენს მერე ღაწვზე
ცრემლს მანამდე უღვრელს,
ვინ დამაფენს მხურვალ შუბლზე
გაავდრებულ ღრუბელს;
მაგრამ ვიდრე მომწყინდება
მზის ამოსვლის ცქერა,
ვიდრე ძარღვში არ შემწყდარა
სისხლის მიმოქცევა,
ვიდრე ბედი წამიკითხავს იმქვეყნიურ იგავს,
ვიდრე ძვლები მოძრაობს და
პირში სული მიდგას
,ვიდრე ისევ ცას ვუცქერ თუ
გზებს მივყვები ქვიანს,
ამ ყველაფერს, უსათუოდ, სიყვარული ჰქვია.

ბედი ჩემი

იღლებოდა გული ძგერით,
ტვინს მიფშვნიდა შთაგონება.
ლექსს ვწერდი და ბედი ჩემი
შავ კამათელს აგორებდა.
ისევ მთვარის შუქით ვთბები,
რაც მზემ თვალი ამარიდა,
მისი თბილი ნაფლეთები
ძლივს ამომაქვს სამარიდან.
სხვანაირი სუსხით ჰქრიან
ქარები და ხრავენ ტოტებს,
მე კი ღამის ჩრდილებიან
დერეფნებში დავაბოტებ...

სოფელი

რა უცნაური შეგრძნება არის,
ერთხელ გახედა სივრცეს ჯიქურად,
დროებით ვერც მან მოხურა კარი
და სამუდამოდ გამოიხურა.
წავიდა ისიც და სახტად დავრჩი
და, ალბათ, მისიც უნდა მესმოდეს,
როს ყელში სევდის ბურთულაგაჩრილს
მიაქვს იმედი ბოლო მეზობელს.
სიჩუმე მალე ყველაფერს დაღლის
და ასდის სოფელს სუნი სამარის _
მამლის ყივილი და ყეფა ძაღლის
სხვის ეზოებში აღარ გადარბის.
მზე ფანჯრებს
ახლაც რა თბილად კოცნის,
მაგრამ დუმილი წამსვე აობებს.
სოფლის წყაროსთან ქალები სოფლის
არ სხდებიან და არ ჭორაობენ.
აღარ დაადგა იმედს საშველი
და სინანული კვებავს ისევე.
ახლა უბეებს ცელქი ბავშვები
მოპარულ ხილით აღარ ივსებენ.
ნეტა, ფიქრადაც თუ ვინმეს ყოფნის,
რა ამოავსებს ამ დიდ დანაკლისს.
არ დარჩა ქალაქს იმედი სოფლის
და, მით უმეტეს, სოფელს _ ქალაქის.
ჩამივლის გვერდით, თითქოს და ვერ მცნობს
და უხილავი წყდება სიმები...
გადაავიწყდა ღიმილი ჩემ ცოლს,
მეც, რა ხანია, არ ვიღიმები.
ვარ ავსებული უმძიმეს სევდით,
თვალებში ცრემლი დგება ადვილად.
კვლავ იმ ტალახს ვზელ, რომელსაც ვზელდი
და სოფლის მთავარ გზაზე გავდივარ.
მაინც სხვაგვარად ხმაურობს სისხლი,
გულს ეს ხმაური ძგერად უღირდა:
ჩემი სახლიდან ბავშვის ხმა ისმის,
ამოდის კვამლი ჩემი ბუხრიდან...

სასაფლაო

შენ წარსულს ძვირფას მძივად შეები
და უცნაური ძალით ვღონდები,
როს შორი მთების სილურჯეები
ივსება თეთრი ირმის ჯოგებით.
ეს ბებერი მზე ჩამდის გუგებში
და ვუცქერ ირმებს მაღალრქებიანთ,
რომლებიც სისხლით მოსვრილ ზურგებით
ბარში ბღავილით იფანტებიან.
ასე იღვიძებს წყევლა ნამდვილი,
ვსუნთქავ სიმძაფრის ნაცნობ არომატს,
თითქოს დამბაჩა არგავარდნილი
საფეთქელიდან თრთოლვით ჩამომაქვს.
კვლავ ჩემი სულის დასჯას ვესწრები,
რომელიც ასე მწარედ გაროზგეს
და მოწითალო თოვლის ზეწრები
შრიალებს სოფლის სასაფლაოზე.
ნაძვები ყორნებს ისხამს გირჩებად
და შემოსილებს შავი სამოსით,
რატომღაც უკვე ხმა ეხლიჩებათ
და ხორხებიდან ხსენი ამოსდით.
ქარი გადარბის თოვლზე კივილით,
უკაწრავს სახეს დღეებს წინანდელს.
აშლილ ნერვებში ძვრება ტკივილი
და ჩადის ძვლამდე თუ ძვლის ტვინამდე.
უკვე ვერ ვიყოფთ ზიარ სარეცელს:
მონა ღვთისა და უფლის მხევალი.
ვინც მავსებდა და ახლაც დავეძებ,
ჩემ წინ მარხიხარ _ ის ნახევარი.
და უჩემობა ღმერთმა გაშოროს,
მე უშენობა წყევლად გამყვება.
რა სხვანაირი არის სამშობლო,
როცა შენ უკვე არ ხარ ამქვეყნად!..

ახლა შინ წადი

სულ მალე მოწვიმს
და იდაყვზე ჩამოვდებ ნიკაპს.
მიყვარს წვიმები,
მიყვარს, რადგან ფიქრები მიყვარს.
თუმცა შენს თვალში
სიყვარულის წყურვილი ნორჩობს
და სასურველი
ათრთოლებით მიწეწავ ქოჩორს.
წვიმს. ლამაზად წვიმს,
მე კი მაინც ვერა ვარ მშვიდად.
ახლა შინ წადი...
ახლა შენზე ვიფიქრო მინდა!

ნაირა უგულავა

სიცოცხლე ადიდა

ხემ ფოთლები ჩამოიბერტყა
— განა ატირდა,
ალისფერი კვირტებით სავსე
ტოტები ზეცას მიაპყრო
— სიცოცხლე ადიდა!..

პოეტი — პოეტს

ამ ეკლიან ჭაუხებში
საუკუნე ვიარე,
ალბათ, კარგად შეამჩნევდი
პირდაღებულ იარებს,
შეამჩნევდი ჩემს ხომალდზე
ჩამოფლეთილ იალქნებს;
ვიცი, ფიქრობ დანანებით,
თავი რით გავიტანე…
ახლა, როცა ზურგის ქარი
არხეინად რიალებს,
თანამგზავრნი რატომ გავხდით,
უკვირს ადამიანებს…
ეს ხატება შენ რომ გახლავს,
ვატყობ გულს დამიამებს…
მაინც ვფიქრობ, სინანულით,
ცოტა დაიგვიანე,
ჩემს ბაღებზე მძიმე ჯვარით
როცა გადაიარე…

გაზაფხული მოგილოცე დედა

როცა მთებზე თოვლი დნობას იწყებს,
ნაკადული ააჟღერებს ჩქერებს,
მარტი გაშლის აელვებულ კვირტებს,–
ჩამოუვლის გზებზე გამდგარ ტყემლებს.

ყოჩივარდა თავს დაუხრის იელს,
ვაზის ლერწი ვერ იკავებს ცრემლებს,
სადღაც ჩიტი ჩამოსჭყივლებს შვილებს,
გადაუვლის ჟრუანტელი ველებს.

ცისარტყელა ტყეს შემოხვევს ხელებს,
თვალს აუხელს ჭრელაჭრულა ფერებს;
გადმოაფენს ზურმუხტისფერ ფარდებს,–
დედამიწაც გახსნის გულის კარებს.

ეს ფუსფუსი – სიყვარული ენა
აამღერებს ცისთვალას და ქედანს;
მეც ავკინძე ერთი იის შეკვრა –
გაზაფხული მოგილოცე დედა.

მე მესმის შენი…

მე მესმის შენი, პოეზიავ, განა არ მესმის? –
შენ უნდა ხსნიდე ჯოჯოხეთის დახშულ დარაბებს;
მზის ბილიკებით ეშვებოდე სულის სარკმლამდე
და ბრილიანტებს ალაგ–ალაგ გზა–გზა ფანტავდე, —
რადგან უყვარხარ გამორჩევით, სულით ლამაზებს…
მაგრამ განგებით… უფრო ხშირად ყულფებს ამზადებ
და მასში აქსოვ, შიგადაშიგ ოქროს ქარაგმებს…
როცა სათავე ამოხეთქავს უკვდავ წყაროებს,
მაშინ რითმები ქარაგმებში სიბრძნეს აქსოვენ,
მაგრამ! ვაი რომ, არ იყენებს ამგვარ საზრდოებს, —
ავაზაკები შენს დიდებას აღარ წყალობენ…
ვაი, რა ცუდად იხარჯება ოქრო — მარაგი,
ვერ შეაძრწუნებს, ვერ შეალღობს ავ კაცს ქადაგი;
ვით უსაზმნოა წყალთა შინა ხმა და ღაღადი,
კედელთა ზედა შეაყარო ბარდა მარცვალი…

სევდის ანგელოზი

შენი სუსტი მხრები, ნაზი სილუეტი
დილაადრიანად სასაფლაოს კვეთავს...
როგორც ლანდი ქვებში, თვალთა სახოვანი,
მოგაცილებს ხშირად ვაჟი ახოვანი...
მაგრამ! – მოჩვენება სიზმარივით ქრება,
სასაფლაოს კართან თქვენი გზები წყდება...
მწვანე, როგორც ტბაში დალურჯული ზეცა,
თვალებს ეფინება დიდი სიღრმეები,
უსაზღვროა დარდი, უსაზღვროა სევდა, —
თქვენი ერთად ყოფნა არ ინება ღმერთმა...

როდის, როგორ, რისთვის ? – ჩაიხლართა ბედი...
იქნებ, თქვენს სიცილში ეშმას ჩაეღიმა,
იქნებ, ანგელოზსაც დუმძიმდა ფრთები, —
დაღლილს, თქვენს მკლავებთან მასაც ჩაეძინა...
...ახლა გიხმობს, გიწვევს საცეკვაოდ, ფრენად,
შენც გაუღე კარი კარჩაკეტილ სენაკს;
დაუჯერე, ისევ, უფაქიზეს სმენას,
მოიშორე ცრემლი, დაიოკე ღელვა...
შენს უძირო თვალებს, სიღრმეების ელვას,
გადააქცევს ფერი ულამაზეს ფრესკად.

ავი სიზმარი

სიზმარი ვნახე, მიწას ჰქონდა შავი ბზარები,
ბზარნი განიხვნენ და დაიძრა მთა ვულკანებით.
ვერ მოვასწარი სულის მოთქმა, ვერცა ყვირილი,
თავს წამომადგა შავი ტალღა ავი ყივილით...
არ ვიცი როდის... ცამ ღრუბელი გადაიყარა —
მე ორი ქვეყნის გასაყართან ვიდექ კარებში
და მოწყალებას ლურჯი ფრთებით დავატარებდი...

სათუთი ხელით მივეახლე ყველა იარას,
ცად–აღრენილი დავამშვიდე შავი ტალღები,
საკუთარ თვალში არეკლილი მზის სხივით ვმოსე,
ნარინჯისფერი გარდავსახე ცისფერ ზვავებად,
გადავაფინე მთის ჭრილობებს ლურჯი სტავრები,
კვლავ დავამსგავსე დედამიწა
ცისფერ პლანეტას...

გმადლობ, უფალო

გადამატარე ქარიშხლები პატარა ტივით,
შემომაცალე ბოროტება მახვილის პირით,
მრუდე სარკეში დამიდგინე წესი და რიგი,
მოყვასთან, ძმასთან დამიწესე კდემა და რიდი.

რაცა მწამლავდა, გულს მიღრნიდა — თან მდევდა ჩრდილი, —
ამაოება ცხოვრებისა, ზაფრი და შიში,
გონების თვალი ამიხილე — მომმადლე ნიჭი,
მომეც საძლისი, სიყვარულის ამიგე ხიდი.

ამ უკუნეთში მაპოვნინე იმედი დიდი;
ციებ–ცხელებით გამოწვრთნილი, სათუთად ზრდილი
მომეცი სიბრძნე — დამენახა ნათელი სხივი;
უფალო გმადლობ, ამ ტანჯვაში ხელახლა ვიშვი.



გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)

***

თოვს და
თოვს და
თოვლი ბზინავს...
ყინავს,
ყინავს,
ძლიერ ყინავს...
ქარი ქრის და
ქარი გმინავს...
ფანჯრის მიღმა
გოგოს სძინავს.
მე კი ვდგავარ
ფანჯრის წინა...
...იცრემლება
ფანჯრის მინა...

1986წ.

* * *

გზაო,
ფიქრებით დატვირთულო და საკვირველო,
შენს მხრებზე სიკვდილს არაერთხელ
შეუსვენია.
ცაო,
ერთ ფერში მოხატულო ლურჯო ფრინველო,
სასუფეველი შენში ჰპოვა
ყველა გენიამ.
... და საოცნებო სილურჯეში კაშკაშით იწვის
ფიქრი და
ეკვრის რუხი კვამლი ხატოვან ფერებს...
ცაო,
ანათე ვარსკვლავებად მარადი ნიჭი,
გზაო,
ატარე უკვდავება სიკვდილის მერეც...

1984წ.

***

ამ ზამთარში თოვლმა თავი დაიძვირა,
თებერვალში დაცხა, როგორც ივნისში.
მერე მარტში, სადღაც, ორი-სამი კვირა
ვძაგძაგებდი, როგორც ლოთი-ღვინისთვის.
აპრილს ფეხქვეშ გავეფინე ფიანდაზად,-
კვირტდამსკდარი ყვავილებად მათოვდა...
გაზაფხულმა გამონახა გვიან სხვა გზა,-
ქორწინებას წყვეტს ყინვების მნათობთან...

2015 წ.

* * *

ეს შემოდგომაც ჩაილია წელიწადივით,
ხეებს დასცვივდათ გახუნებულ ფოთოლთა წყება...
ჟამმა ჩამოფშვნა პრინცის კოშკი ხმელი მჭადივით,
მიზეზი, შედეგს აცდენილი, ფიქრივით წყდება.
სხივი კი სადღაც დაჭიატობს გვირაბის სასრულს,
მიწვევს და დღეც კი გზას მივიკვლევ ხელის ცეცებით...
იქ კი, ხელაწვდით, კაეშნიდან მირაჟში გასულს,
მზერა კვლავ ცისკენ გამირბის და მუხლზე ვეცემი...

2011 წ,

***

დრო, გაჟღენთილი ბოროტებით, ცოცავს ტაატით,
თვლემს დედამიწა,
შორეულს ჰგავს ნუგეშის პოვნა.
ახლა შენს მკერდზე დამაძინა მთელი საათი,
და მერე, თუნდაც, საუკუნეს შემოვრჩე ხსოვნად.
დამცეს, დამჩეხეს,
რწმენას არც კი მოსწყდა მისხალი,
დაფლეთილ გულში რასაც ვფიქრობ,
ცოტა რბილად ვთქვი...
შენ დამამარცხე,
შენ მაჯობე,
შენ ხარ ის ქალი,
ვისაც, ეს გული ამოვიღე,
და
ძღვნად მივართვი...

2001წ.

***

ზოგი ორმოცის ბრძენად დუღდება,
ზოგი-რომ სცდება სამოცს...
მეფეს სამოსი კი არ უხდება,
მეფე უხდება სამოსს.

2010წ.

***

ერთი ისე შემომცინე,
დამიმონე მთლად.
შენი ფიქრიც შემომწირე
დაგედები მტლად.
სიყვარული, ახლა მივხვდი,
ფრთებით დააქვს ქარს.
ამკიდებს და გადავიხდი
ებრაელის ვალს.
ციდან იდენს შარბათები,
გიძღვნი ძოწს და ლალს.
განა მარტო შაბათები,
უშენო დღე მკლავს.
ერთი წუთით გარეთ გამო,
შენთვის ვაწყობ ქნარს.
მოგაშორებ მე შენს გამო,
ვინც გადამყრის შარს.
ქარს თუ გირჩევ, ქარში წამო,
ნუ გაჰყვები დარს.
შენთვის, მნათო თვალ–წამწამო,
მთისგან შევქმნი ბარს.
მოგაშორებ ყველა მსურველს,
დონ–ჟუანს და ფანს,
შევუსრულებ ათას სურვილს
შენს ჩამოქნილ ტანს,
შურით გასკდეს არაერთი,
ეჭვი სწვავდეს თვალს,
ჩამახუტებს როცა ღმერთი
შენისთანა ქალს.

1972წ.

***

დეკოლტე–ცისფერი,
თვალები–ზღვისფერი,
ზღვის ღელვა მშვიდდება შენს ზღვისფერ თვალში.
სხვა ფერი
აზრს კარგავს
როდესაც შენ გიცქერი,
დაგიპყრობ,
გავქვითავ სამყაროს ვალში.
ჩამოდექ,
აქ ჰპოვე სატახტო, ავაზავ,
ბუნება შეგრჩება მომხიბვლელ ფერებად.
–ქალი როდის მოჩანს ყველაზე ლამაზად?
–ზღვიდან რომ გამოდის და მზეც ეფერება!..

1994წ

* * *

გზაჯვარედინი
დათრთვილული მოუცავთ ფიქრებს,
მიმოფანტულა სიყვარული
გზადაბნეული,
იასამნების ძრწოლას ელის,
ო, გული იქნებ?!
...მოვა ბავშვობა უმანკო და
გადარეული!..
შენი ღიმილი ჩაიქროლებს
გზაზე ანაზდად,
შემფრთხალი სულის
სიმღერის ხმა
შენამდეც მოვა.
...პირველ ღიმილზე ჩემი გული
ისე განაზდა,
ვით გაზაფხულზე ატმის ხეზე
კვირტების თოვა...
სადღაც, უმძაფრეს გრძნობის მიღმა
გადამალული,
იფეთქებს სული,
შთაგონების იყივლებს არე,
აგედევნები ისე ჩუმად
და სიყვარულით,
როგორც დასდევდა
გალაკტიონს
მთაწმინდის მთვარე...

1976წ.

შორენა მამალაშვილი

***

წვიმა უკრავს შემოდგომის ელეგიას,
ჭადრებს ტანზე შემოაცვდა ფოთლის ფარჩა,
მთვარე რუხი ღრუბლის ქულებს შერევია
და უმთვარო ღამე ისევ ჭინკებს დარჩა...

ბუ მოჰკივის სიბნელეში დამღრჩავლ ღამეს,
და ცის ცრემლებს, მისი ცრემლიც ურევია,
ატრიალებს უძილობით დათხრილ თვალებს,
ყველა ღამე მარტოს, თეთრად უთევია.

ტყის ნაპირას უსირცხვილოდ ანგლობს ქარი,
და ჭინკებიც, ძველ ხის წისქვილს გარს უვლიან,
ჭრაქის შუქზე კრთის იმედი ნაპერწკალი,
და შემცბარი ავსულები გვერდს უვლიან.

სანამ დილა სხივებს კვირტად ამოიყრის,
გაღვივდება სანამ ცისკრის ნაღვერდალი,
მზე ცის ტატნობს სანამ ეტლით ჩამოივლის,
ძველ წისქვილში კრთის იმედის ნაპერწკალი.

* * *

არ შემიყვარო!
ნუ აანთებ გრძნობის ჩირაღდანს,
თორემ ამ ცეცხლით გულდამწვარი,
ბევრი მინახავს...

არ შემიყვარო!
ნუ შეავლებ ხელს ჩემს იაზმას,
თორემ რაც იცი,
დაგავიწყებს გული იმასაც.

არ შემიყვარო!
ნუ მომართმევ ლექსებს ემბაზით,
გაგიურჩდები,
ვერ მომხიბლავ მაინც ვერაფრით.

არ შემიყვარო!
და არც მკერდით გადამეფარო,
ვაითუ სადმე,
ბეწვის ხიდზე გადამეყარო.

არ შემიყვარო!
ნუ მომაპყრობ თვალებს იმედით,
შენ რომ გგონივარ თვინიერი,
არ ვარ ისეთიც...

არ შემიყვარო!
შეიბრალე თუ გიყვარს თავი,
ვენერამ ჩემგან გამოძერწა
მაცდური ქალი.

არ შემიყვარო!
და თუ მაინც გინდა გიყვარდე,
გამეცალე და
ცხრა მთას იქით გადაიკარგე...

***

ეს შემოდგომა ვიცი უფრო ცივი იქნება,
ქარში გაფანტულ ფოთლებივით მებნევა სული,
ჩემმა ულმერთო ბედისწერამ ასე ინება,
რომ შემოდგომა უნდა მჭირდეს ყველაზე რთული.

რომ ხელისგულზე ამოტვიფრულ ცისფერ ხაზებზე,
იკითხებოდეს ტკივილი და სასოწარკვეთა,
გაფითრებული ოქტომბერი მაჩნდეს ბაგეზე,
გათენებამდე მაწამებდეს კვნესა ღამეთა.

ამეკვიატოს უნდა მკვდარი ფოთლების ვალსი
და როგორც უცხო პროცესიის ჭირისუფალი,
სასაფლაომდე ყვითელ ბილიკს მივდევდე ქარში,
მიმაცილებდეს მზე ქარვისფერ ფარჩის სუდარით...

***

და ჟინჟლავს მთელი დღე უგემურად,
ხეები ფოთლებმაც მიატოვეს,
ფიფქებზე მეფიქრება უნებურად,
ხვალ-ზეგ რომ ამ ხეებს დაათოვებს.

ნისლებს სველი ფრთებით ეხებიან,
ალვებში მობინადრე ბელურები,
მერე ცივ ბუდეში ეშვებიან,
მიუსაფარნი და ეულები.

და ტირის, ცა ტირის სევდიანი,
თვალები დავსებიათ ნასახლარებს,
მოდის ზამთარი თეთრ თექიანი
და ყინვით დამზრალ ფოთლებს ასაფლავებს.

***

ზოგჯერ მგონია,
გადამფრენი ფრინველები არ ბრუნდებიან,
მერე რაა თუ შენს უბეში ისწავლეს ფრენა.
ნუ დამაჯერებ, რომ გრძნობები არ ხუნდებიან
და ვინც წავიდა, უცილობლად დაბრუნდა ყველა.

ნუ დამარწმუნებ,
რომ გიყვარდი ისეთი გრძნობით,
რომ მზად იყავი ფიანდაზად დაგეგო გული,
ორივემ ვიცით, სიყვარული მიდის და მოდის
და უფრო ადრე კვდება გრძნობა ზღვარგადასული.

უბრალოდ გულში გრძნობის ნაცარს ვინახავთ დიდხანს
და გვჯერა ისევ აალდება ძველი სიშლეგით,
მაგრამ დრო გადის და ეს ნავლიც მღვრიე წყალს მიაქვს,
უსიყვარულოდ კვდება გული, განა სიბერით.

ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

ქალი ღვთისა

ცას მზე თვალებში ერწყმის
სხივებში ეხვევა გზნება,
ცისა და მიწის ღმერთი
მზემ სხივით შეაერთა.
შიგ იკვეთება ქალი,
ქალი ღმერთების დედა.
სამყარო როგორც ვარდში
ქალშიც სიცოცხლეს ხედავს.
გულში შეიჭრა ფიქრი,
გონების თვალზეც დღეა,
მეტს ველარაფერს ვიტყვი
ქალი ღმერთების მზეა.

* * *

გაღიმებულ ვარდებს
ალუბლებში სძინავთ.
მზეო იქნებ ღამე
გააბრწყინო სიზმრად,
იქნებ ლამაზ კოკრებს
კოცნის სხივი არგო,
იქნებ მოარული
გრძნობა გაიაზრონ.
დილის რიჟრაჟს ისევ
შემოასკდეს ფერი,
გულო შენი გრძნობა
ყვავილობას შველის.

* * *

ქვეყნიერების აღთქმა
და სულიერი შვება,
დროის გარკვეული კარმა,
სრულყოფილების ნება.
უკვე დაკარგა აზრი,
ყოფიერება ჭკნება,
ცის ორსულობის მადლით
სულიც დაიწყებს წმენდას.

გარდასახვა

ალბათ ყველაზე ამოუცნობი
ჯერ დაბადება კვირტთა,
შემდეგ სამყაროს გამონათება
ფიქრთა ჭიდილში იშვა.
აზრთა ტრიალი არსებობაში
სული სხეულის მიზნად,
ცნობიერება სინამდვილეში
უკვდავებისთვის იშვა.
ალბათ ყველაზე ამოუცნობი
გრძნობა მზის სხივებს მისწვდა,
მუდმივი აზრი განახლებისა
სიყვარულისთვის იშვა.
სიტყვას შემორჩა ზუსტი გაგება,
მარადისობა ღვთისა,
არსებობისთვის ადამიანი
ღმერთის დიდ გრძნობად იქცა.
მდუმარების ხმა
სიტყვები,
ჩუმი ფოთლების
-თებერვალს დაველოდებით.
ირგვლივ მიდამოს აოცებს
რას ჩურჩულებენ მორცხვები.
ფერები,
ათას ფერები,
სხივების ძაფით მოსილნი,
ოცნების ბადე ახურავთ
თვალის და გულის მპყრობლები.
ემშვიდობება ცას მიწა
ლოცვით იძინებს ყოველი
მადლობის მთქმელი სიტყვებით
ფოთლებით დავილოცებით.
დაგვეფინება ხალიჩად
ბოლოს და ბოლოს მივხვდებით,
რომ წელიწადი წავიდა
მსხვერპლად კი
ჩუმი ფოთლები.

* * *

ვარდის რტოები ლაჟვარდებს
აზრთა ბადეში იზიდავს,
სხვივშეპარული ოცნება
გულის სიღრმესაც იხილავს.
მიწას კვლავ უნდა სიცოცხლე
ფესვები მისი განძლია,
მკერდიდან ამოიყლორტა
იდუმალების ნათლია.
დედაო მიწავ იკურთხე,
მზევ შეიმოსე ნათელში,
სულის და გულის მეუფედ
ვარდო შენს ძალას დავნებდი.

* * *

ჩემი ლურჯი ფერია,
ცაზე ლურჯი ფერია,
ვამაყობდი რომ ყველგან
ზღაპრულ ფერში მღერიან,
მისი ლურჯი სამოსი
ცასაც მოუხვევია,
ხატავდა და ბრწყინავდა
ცაზე ლურჯი ფერია.
ანგელოზად მოჩანდა
ცად ასული გენია.
სუფთა სულის ნაყოფი
აქაც შეუმჩნევია.

* * *

სულის განა
ფიქრში ჩაძირულა
სულის სამყოფელი
გრძნობაც უჩვეულო
ძალამ ჩაითრია
ისე მონატრებით
შემაქვს საფუძველი
გული სინდისის ხმას
როგორ აჰყოლია,
მინდა მოვიპოვო
აზრთა სინამდვილე,
მინდა მარად შევსვა
სულის ჰარმონია,
მინდა სამყაროში
ვარსკვლავთ სიკაშკაშით
ძალავ სიყვარულის
გერქვას აგონია.
ჩურჩულს ვიწყებ ხმაში,
ფიქრმა სიღრმე მომცა,
მარად იწყებს კავშირს –
მარადიულობა.
დრო და სივრცე ფორმით
ხდება მატერია,
მსგავსის მიზიდვისას
ხდება მიმსგავსება.
ხოდა მინდა ვიყოთ
ისევ მაღლა ცისკენ
ისევ გონებით რომ
ვწეროთ სიმფონია,
ისევ ღმერთის ხმაზე
ვკვებოთ სიყვარული
თვალი თვალის გულში,
თვალთვალს მიეჩვია.
სიღრმევ მდუმარების
როგორ მენატრები,
ჩემი გულწრელობის
გრძნობა შეგრჩენია,
სული შემომქმედი
ვნებებს ამიშლის და
ფერთა სინათლეში
შექმნის მელოდიას.
სივრცევ უკვდავების
ხმაში მონარნარევ,
სხივში შემალულო
გრძნობის იმპერიავ,
ვარსკვლავთ სიყვარულზე
იშვა სინამდვილე,
დროში გაბრწყინებაც
დროის სინათლეა.
კვლავაც იბადება
გრძნობა საოცარი,
პოვნა უდიდესის
ღმერთთან კავშირშია,
მინდა მუდამ ვიგრძნოთ
სრული სინამდვილე,
რადგან სიყვარულში
იშვა ჰარმონია.

* * *

სამყაროს აზრი
მოვპარე მშვიდად,
გულიდან გულში
ჩახედვა მინდა.
მერე გრძნობები
ავასხი სხივზე,
რომ ყელსაბამად
დავკიდო მიზანს.
იასამნების სუნთქვა
ჩემს ოთახში იასამნებს
ფერით სივრცე შეუვსიათ,
სულიერი პრინციპები
ყვავილებსაც შეუძლიათ.
გულში ცხოვრობს
ავსებს გრძნობას
მზერა მზის სხივს შეუცვნია,
გადაშლილი ყვავილები
ცნობიერი მეუფეა.
ჩემს ოთახში იასამნებს
ჩემი სული შეუვსიათ,
მათი სუნთქვის სურნელებას
მომავალი შეუმცნიათ.



რუსუდან ანასტასია კალანდაძე

ძვირფასი დედის ლეილა ლომთათიძის ხსოვნას

ჭიშკარი

იკეტება თუ ღიაა კარი...
ბევრი ფიქრია მაინც ჭიშკარი...

როცა განჯაი დალაშქრნა, დავით,
დღეები იყო უბრწყინვალესი...
როს ხმლით აჰკიდნა ერის კარები
ჭიშკარი იყო უდიდესი...

როს არის იგი... კვლავაც დიადი?!
როცა სიცოცხლე კვლავ იწყებს ფეთქვას,
როცა ჭიშკრები უხმობენ ქვეყნებს
და დრო თესავს ღვთის კეთილ ნებას.

როცა ქვეყანა გულს დაიხურავს,
ჭიშკარი შიგნით ჩაირაზება,
მაშინ საომრად ხმალს იწვევს ხმალი
მაშინ სიკვდილი კარს ეპარება.

შემზარავია მართლაც ჭიშკარი
გინდა გაექცე სოფლის განგებას,
მაგრამ სად გინდა რომ დაემალო
სამყარო აჩენს თვისსა გუნებას

ჭიშკარი მუდამ ერის მუხლია
თუ კაცი გვეშვენ – ვითარცა შოთა
ზოგი ჭიშკარის გული ღიაა,
ზოგიც აცილებს საუკუნოთა

ჭიშკარი სულის ჩუქურთმა არის
ვაზმოხატული ნინოს ცრემლია
მტერთან ბრძოლაში ვინც იქცა ჭიშკრად
და კერის მტერი მოიგერია.

ჭიშკარი ღმერთის სამჭედლო არის
როცა სიწმინდის უდგას კანდელი,
ჭიშკარზე ერის სანთელი იწვის
როცა ლოცულობს გრიგოლ ხანძთელი

დღეს ჟამი უდგას ქართველს ბრძოლისა
როდი შემკრთალა გული სიმხდალით
თუმც ტროას ცხენი შემოაქვს მტარვალს
და ვინ გააღო მტრისთვის ჭიშკარი.

გორგასლის შუბი, ერეკლეს ხმალი
დააწყევლინებს მტერს მუდამ თავბედს,
ვერვინ დალეწავს ქართველთა ჭიშკარს
მარად რჩეული შვილების გამჩენს.

ცოტამ თუ იცნო რჩეული სოფლად
ან ვინ გაზომავს ზეცამდე მანძილს
უცებ მაღლდება ცამდე ჭიშკარი
როს სააკაძე აღმართავს მახვილს.

ზოგჯერ ჭიშკარი მოგონებაა
დაღლილი სევდა, ხავსში ჩაფლული
ზოგჯერ ჭიშკარი მოლოდინია
და უნუგეშო წლების წარსული

როცა პირველად სახლდება კაცი
ჭიშკარი არის ფუძის ცისკარი
და თუ წავიდა კაცი სოფლიდგან
დასასრულია მაშინ ჭიშკარი

როცა ქორწილი ცეკვავს ჭიშკართან
მაშინ ჭიშკარი გრძნობის ღვედია

მაგრამ კერია თუ ობოლია
ჭიშკარი უკვე დიდი ცრემლია

სადღაც გაფრინდა ჩემი ზაფხული
წლებით სიცოცხლე სულ მომეცელა
ჭიშკარი იყო ჩუმი დარაჯი
ვინც სეირნობდა ჩემს ორღობესთან

ხშირად ჭიშკარი გულის ფესვია
ბეჩავ სამშობლოს ბრძოლისთვის აშლის,
ჭიშკარი მუდამ დედის სახეა
და დედის ხსოვნას იებად გაშლის

ჭიშკარი მუდამ გულის მეხია
დედის ცივ ლოდზე როცა ცრემლია
ვეღარ ეხვევი დედას ჭიშკართან
ჭიშკარი უკვე სულის მკვლელია

დედას სტრიქონი როგორ დაიტევს,
წუთისოფელი მაშინ ვიცანი
როდესაც ბევრჯერ ტკივილი მკლავდა,
ეს დედა იყო ჩემი ჭიშკარი

ძალზე მძიმეა სოფლის ჭიშკარი,
ხშირად ჭიდილში გული დნებოდა
და სანამ დედა იყო ჭიშკარი
მე თავი მუდამ ბავშვი მეგონა

დედის თბილ გულზე რა უნდა მიწას
ამაზე ფიქრი მგონია, შემშლის,
დედა აღარ მყავს, მომისამძიმრეთ,
მთელი სამყარო დაობლდა ჩემთვის!

კუბოში იწვა მზე სიცოცხლისა,
და ეს მზე ედო გულს დამწველ ცეცხლად,
იქნებ გააღო ზეცის ჭიშკარი,
იქნება მითხრა, როგორ ხარ, დედა!

დაცარიელდა უშენოდ მიწა,
და დადგა ჩემთვის სულ სხვა ცისკარი,
გლოვის ზარები რეკდნენ ჩემს გულში
როცა გაიღო ბოლო ჭიშკარი

დრო ულმობელი მკვლელია თურმე
  და აწვიმს სულში ზაფხულის ბაღებს,
ჩემთვის სიკვდილი არის ჭიშკარი,
რომელსაც დედა ვერ შემოაღებს

ზოგჯერ ამაო არის სურვილი,
რაგინდაც გულით ღმერთთან ითხოვო„
მინდა სიკდილის ჭიშკრის შელეწვა,
რათა თავიდან დედავ, გიპოვო.

დედაშვილობა, ვიცი იცოცხლებს,
მე სიყვარული ულევი მინდა
სულს როგორ გავხვდი ძაძებს, არ ვიცი,
როცა ბოქლომი ჰკიდია ჭიშკარს!

ვფიქრობ, თუ, სოფლად რა დამრჩენია....
რახან სიცოცხლე ღმერთმა ინება,
ღმერთო, გვიკურთხე ქვეყნის ჭიშკარი
და ბასიანის ჰქონდეს, დიდება!

იკეტება თუ ღიაა კარი....
ბევრი ფიქრია, მაინც ჭიშკარი.

მზია ელიაძე

ჩემი ცხოვრება

დღეს ჩემი ყოფნა რა არის?
შორს გარიყლუ გემი...
ირგვლივ, მღელვარე ზღვა არის,
ღელვა – ფიქრია ჩემი...
გემს ეჯახება, ჰქანცავს
ტალღა მრისხანე, მძაფრი.
ქარს ვეომები, ანძას
შევრჩი დაფელთილ აფრით...
ზღვას კი ტალღების ცემით
მოჰყავს დაჭრილი გემი.
არ ჩანს ოცნების თხემი,
აი, ცხოვრება ჩემი!..

1981 წ.

ბავშვობის წლები დაუვიწყარი

(გოდერძი ჩოხელის მოთხრობის „გუგულის“ მიხედვით)

იყო ლამაზი გათენება და
მზის ულამაზეს სხივთან შეხვედრა...
იყო მცხუნვარე, მწველი ზაფხული,
გადავიწყება ყველა წარსულის...
იყო ყვითელი შემდგომა და
შემოდგომაზე ფრინველთ გაფრენა...
ყვითელ სამოსელს იძარცვავს ნელა
და სევიანი ფერით ირთვება...
გუნდ-გუნდად ფრინველთ შორეთში ფრენა,
ჩვენთვის – მოკვდავთა, დარდთან დარჩენა...
გრძელი ზამთარი, მწარე მოწყენა,
თვალცრემლიანი ზეცის გაცქერა...
წამსვლელი უკვე წავიდა ყველა,
მხოლოდ არწივი შეგვრჩა იმედად...
დროდადრო ყეფით, ფრთების ტყლაშუნით
თავს შეგვახსენებს, ზეცით დაგვხედავს.
და, ისევ იქით, სწრაფად მიიწევს,
ჭიუხებს მშობელთ მიწად მიიჩნევს...
ჰა, დგება ცივი, მკაცრი ზამთარი;
ცა თითქოს ყვავილთ ზეციდან ბარდნის...
უიმედობით შეწუხებულებს
უცებ გვახსენებს თავს გაზაფხული.
დღე დღეს მიჰყვება, წელი – წელიწადს
და ჩვენც ვიზრდებით ტანჯვა-წვალებით.

დროთა ცვლილება შვენის წელიწადს
ჩვენ გვშვენის გაზრდა და დაბერება!..

2011 წ.

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ არ ღირს სიცოცხლე
და უმისობა სიკვდილსაც არ რგებს...
მე, სიყვარულით მოვედი ქვეყნად
და სიყვარულით წავალ, იცოდეთ!..
სიყვარულითაც მშობა მშობელმა,
მწარე ობოლი გამზარდა ტკბილად.
სიყვარულისთვის ვქარგე და ვწერე,
ოცნების კოშკიც მრავალი ვძერწე!..
უსიყვარულოდ ცხოვრება არ რგებს
არც მოხუცსა და არც ახალგაზრდას;
არც ცხოველ-ფრინველთ, არც ყვავილთა გუნდს
მწერთა სიმრავლე უჯობთ, რომ ჰქონდეთ!..
მე სიყვარულით დავძარი მთები
და შევეჯახე დიდ კავკასიონს...
კლდეში ვკვეთე და იქ ვაჩუქურთმე
ვარძია ტკბილი და უფლისციხე!..
ბეთანია და წუღურუღაშენი,
იყალთო, გრემი და ალავერდი.
ხელიტ ვეფერე, სული ჩავბერე
ისე ვაშენე მე, ზედაზენი!..
დავით გარეჯი, სვეტიცხოველი,
ნიკორწმინდა და ძველი ყინწვისი...
წიგნში ჩავთესე ლექსი, სტრიქონი,
ბევრი რითმა და სიტყვა ურიცხვი...
ვით კვალში თესლი გაღივებული,
სიყვარულით რომ ზემოთ ამოდის;
ისეა გრძნობა გაღვიძებული,
რომ არ ილევა ქვეყნად ოროდის!..
უსიყვარულოდ წყაროც დაშრება,
არ იშრიალებს ფოთოლიც ხეთა...
უსიყვარულოდ მზეც არ ამოვა,
მთვარეს არ მისცემს თავის ნათებას...
ო, სიყვარულით შექმნა უფალმა
სამყარო ვრცელი, უკიდეგანო...
ფერთა სიმრავლე, დროთა ცვლილება
ჯადოსნურ ზღაპარს ძლიერ ჰგავს, კარგო...
სიყვარულია თვითონ უფალი
კაცობრიობის მოდგმა-შექმნაში...
სიყვარულია ის, რასაც ვხედავთ
ახალი სულის დაბადებაში!..

დგას კვლავ უტეხად ციხე-ქალაქი...

კედელს ჩაჰკვრია სურო ბალახი,
მარწუხში აქცევს, უჭერს ძალიან.
საწყალს ცრემლებად სცვივა კენჭები,
ინგრევ-იშლება ეს ისტორია...
სურო კი მიდის ზევით და ზევით,
ტან-სხეულს ფოთლით მეტად იმშვენებს.
საყრდენი ძალზე მყარი აქვს, იცის,
რატომ იდარდოს სხვის მწარე ბედზე?!
თავაწეული მიიწევს ზევით,
ციხე-გალავანს თავზე მოქცა!
კმაყოფილია თავისი ბედით,
მისი საყრდენი ძველი ციხეა...
... იცის გაუძლებს მის მკაცრ მარწუხებს!
ეს კედელი ხომ ძველისძველია...
ცრემლი ღვარად სდის საწყალ გალავანს,
ნუთუ, მთარდება მისი დღენია?..
სარეველაა სურო ბალახი,
როგორც მტარვალი – მტერი მრავალი...
საუკუნეებს გამობრძმედილი,
დგას კვლავ უტეხად ციხე-ქალაქი!..
უნდა გაუძლოს! უნდა გადარჩეს!
აქ, არ მთავრდება მისი სიცოცხლე...
... დგას და გაჰყურებს იმედის თვალით,
რომ არ გასწირავს მას მომავალი!..
იცის, არ დათმობს.

მომნატრებია

მომნატრებია როგორ მამული
მისი ტყე-ველი, მდინარე, მთები.
კავკასიონი თოვლში ჩაფლული
ნიავს უგზავნის კახეთს საამურს...
მომნატრებია: ჭაღარა, თეთრი,
გრძელი, უგრძესი კავკასიონი.
კარიბჭე – მცველი ობოლ ჰერეთის,
მდიდარი ტყით და ცივ ჩანჩქერებით.
მომნატრებია აფრთხიალება:
კაკბის და ხოხბის, გნოლის და მწყერის...
ამ საოცრებას თვალით იხილავ!
წარსულს იხსენებ გაოგნებული...
მომნატრებია ივრის ზეგანი,
უმისამართოდ გადაჭიმული.
ღამით ვარკვლავთა კიაფ-კაშკაში,
მისი დარი რომ არსად არ არის!..
მომნატრებია დილისის ზვრები,
ქარვისფერ ფერით დამშვენებლი.
ათქვირებული ატმის ნაყოფი,
თაფლივით ტკბილი და გემრიელი!..
მომნატრებია ტარიბანა და
კუთხე ამაყი ფლორა-ფაუნით;
უნიკალური ნაკრძალი დიდი –
ეს ვაშლოვანი ძველი წარსულით..
მომნატრებია შერწყმა ცა-მინის,
ვარსკვლავთ ჩამოსვლა მწვანე ჯეჯილში.
უწყლო, უდაბურ შირაქის ველში
ნამი დაღვრილი პურის თავთავში!..
მომნატრებია უმთვარო ღამე,
ფიქრთან დარჩენა, მუზის სტუმრობა,
გამთენიისას ტოროლას სტვენა,
მზესუმზირების შეხვედრა მზესთან!..
მომნატრებია ალაზნის ველი
და მის ცხელ გულზე ტკბილი კახეთი;
აკვნესებული ტკბილსალამური
მწყემსის დაკოჟრილ ხელით გათლილი...
მომნატრებია სწორი ქედები,
გადაჭიმული, მხრებში გაშლილი.
გულსმოგლეჯილი მწარე ჰერეთის
ცრემლიან თვალით გადამცქერალი!..
მომნატრებია თაკარა, ცხელი,
მწველი, კაშკაშა ბურთი წითელი.
მიწის სურნელი სულში ჩამწვდომი,
ამ მზის სხივებით გაჯერებული...
მომნატებია ივრის ჭალები,
მინდვრის ყვავილით აფეთქებული.
აპრილი ნაზი, პირმშვენიერი
იასამანში თავდაკარგული...
მომნატრებია ბიბინა კორდზე
ბავშვებთან ერთა ბოჩოლას მწყემსვა.
იის სურნელით გაბრუებულებს
მეჩეჩს ძირს ტკბილად, ღრმად ჩაძინება!..
მომნატრებია არწივთა ყეფა,
ფრთების ტყლაშუნით ირაო ცაში.
მრისხანე თვალით ნადავლის ძებნა
უკიდეგანო ტრიალ მინდორში...
მომნატრებია როგორც სიწმინდე
მამა-პაპათგან ნალოლ-ნაფერი.
ლომისის წმინდა გიორგის ნეშტთან
თავის დახრა და მოდრეკა მუხლის...
მომნატრებია საძვალე ჩემი,
მეტად მწარე და ასევე ტკბილიც.
წმინდა საფლავებს ხელით შეხება,
სანთლის ანთება და მოგონება!..

თემურ გოგსაძე

***

შენში სიცივე ვერ შევაჩერე!
იცრემლებოდა ჩუმად მთაწმინდა...
ჩვენს განშორებას ვხატავდი მერე,
თბილისში... სულში...
წვიმდა და წვიმდა.

* * *

მე მარადისობიდან მოვედი!..
წლები და წამები,
ლოცვით და წამებით
გადიოდა!..
დავალ რუსთაველზე
კრძალვით და იმედით!..
და ვხვდები, თქვენს გარდა,
კიდევ მათ,
ვინც ამ გზით, ჩვენამდე –
დიდი სიყვარულით დადიოდა.
და მერე ღვთაებრივ ლოცვათა მარულით
სხივს გაჰყვა ზენამდე!..
ვისაც სამყაროზე
თან სდევდა სევდა და
ცრემლი დადიოდა?
მე მარადისობიდან მოვედი!..
და დამაქვს რწმენა და
ულევი იმედი!..
გონება სავსეა
ფიქრით სამსჯავროზე,
რამეთუ გარდასვლის
ზღურბლამდე მივედი!..

ავტოპორტრეტი

სიყვარულის ტვირთი დამაქვს,
დავალ დედამიწაზე...
სასწაულთა ლურჯი გამა,
შევამჩნიო მსურს ცაზე!..
ზოგჯერ ბრძენთაბრძენი ვარ და
ზოგჯერ ძალით ვსულელობ...
მიმძიმს,
მაგრამ მაინც გამაქვს,
დამიწესდა რაც ლელო!..
ისევ მიყვარს, ვინც მიყვარდა,
თუმც არავინ არა მძულს!..
უსახელოდ სიკვდილი სჯობს
წუთისოფელს გალანძღულს!..
მყოფნის უფლის გასამრჯელო,
სული სხეულს დარაჯობს!..
მწამს სამება,
იმის გარდა
ღვთისმშობელი,
ხვედრი მისი –
ტანჯული საქართველო!..
ზოგჯერ ვიცი ხსნა-საშველი,
ზოგჯერ სასოწარკვეთილს
ვგრძნობ იმედს და შეცდომების
ვსწავლობ, მწარე გაკვეთილს!..
ბოლოს სული წავა ზეცას,
სხეულს მცირე ნაკვეთი
მშობელ მიწის, შეხვდება და,
კვლავ ვშობ ნაყოფს,
ზნეკეთილს!..
სიყვარულის ტვირთი დამაქვს,
მიდის წუთისოფელი...
მივუყვები აღმართ-დაღმართს,
გზებს შუქ-ჩრდილით მოფენილს.

***

ჩემი სხეული არის ტაძარი...
და ვცდილობ,
ვნება გაუმაძღარი
არ მოერიოს!..
მწყემსი მწყაზარი –
ლოცვის ხანძარი –
დარაჯად უდგას!..
ჩემი სხეული არის ტაძარი...
ჩემივე სული ამ ტაძარში
ლოცვად ანთია!..
განუწყვეტელი
რეკს შიშის ზარი.
ვინც ღმერთს განუდგა,
ვერ შეერთო ღვთიურ განთიადს?!.
ჩემი სხეული არის ტაძარი...
მონანიების მელოდია
ჟრერს და თავზარი –
ცოდვათა ჩემთა –
ადგილს უთმობს შენდობის ნიავს!.
ჩემი სხეული არის ტაძარი!..
სიკვდილ-სიცოცხლის უცნობი ზღვარი,
იშლება, ქრება –
ღვთის რწმენას მიაქვს!..
ჩემი სხეული არის ტაძარი!..

განთიადი

თენდება,
ახლად ცრემლშემშრალი
აღვავლენ ლოცვას
დედა – მზისადმი! –
სიტყვა,
სამშობლო
და სიყვარული
მაქვს მინდობილი
მაცხოვრისადმი!..

მრწამსი

მხოლოდ ერისთვის,
შენი ენისთვის,
დედა სამშობლო –
წმინდა ქვეყნისთვის
ილვაწე!..
იყავ სიტყვა – მზიანი!..
სიყვარულით და
სიკეთით ვლიდე!
მადლობა სწირე
ღმერთს გაჩენისთვის,
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი1
განუდექ ბოროტს,
იყავ ალალი,
შეინარჩუნე სულის სიწმინდე!..
გწამდეს, ღირს
მისი გადარჩენისთვის
ამქვეყნიური ტანჯვა-წვალება!.
როცა მოგიხმობს "გზაი მართალი"
რამეთუ მაშინ შენ მოგეახლოს
არა სიკვდილი –
გარდაცვალება!
გარდაცვალება და უკვდავება!

ბედნიერია

ბედნიერია,
ის, ვისაც თმები,
არა უბრალოდ დროის ჩარხმა,
არამედ ერის
ყველა ტკივილზე ფიქრმა-დარდმა
გადაუთეთრა!..
მარად შემოსავს
შარავანდი მას უკვდავების
და პირნათელი
მოვა ბოლოს
თვით მამა-ღმერთთან!..

ლეილა ვადაჭკორია

წმინდა ნინო

ჯავახეთით მოდიოდა
წმინდა ნინო ვაზის ჯვარით,
ქრისტეს რწმენა წინ უძღოდა
შორეთს რომ უსწორა თვალი.
ფარავნის ტბას ეამბორა,
წყალი მიიპკურა პეშვით,
ნიავსაც კი ეალერსა,
მზემ სხივი ჩააწნა თმებში.
წმინდა ნინომ ვაზის ჯვარით
მოილოცა საქართველო,
მოწიწებით თავს უხრიდა
მაღლა მთა და დაბლა მდელო.
იმ დროიდან ვერაფერმა
ვერ გატეხა ჩვენი რწმენა,
სალოცავად მამული გვაქვს,
სარწმუნოება და ენა.

წარსულის კვალი

წარსულმა თავის კვალი დატოვა,
კარგიც და ავიც მხრებს დაგვატოლა,
ისევ გრძელდება ბრძოლა, ჭიდილი,
ხან სხვასთან ერთად, ხანაც მარტოკა,
მზე გულს გვითბობს და გვიხმობს ჯირითში,
და ვხედავთ მთაზე როგორ დათოვა,
ვიყოფთ სიხარულს, ვიყოფთ სატანჯველს,
სინათლეს ვიყოფთ მაღალ მნათობთა.

ვინ გაყო ჩვენი გზები

რა რისხვამ გადაგვიარა,
ვინ გაყო ჩვენი გზები,
ერთმანეთს როგორ წაგვადეს
ერთ დროს ერთგული ძმები.
გვიყვარდით, დაგვეფიცება
ღმერთი, ხატი თუ რჯული,
ასე მგონია მკერდიდან
ამომაგლიჯეს გული.
სამაჩაბლოში დავტოვე
ჩემი წარსული მარტო,
და ახლა მამა-პაპათა
საფლავის ნახვას ვნატრობ.
მავთულხლართს გადავაბიჯე,
უცხომ ჩამავლო ხელი,
დამატუსაღა, ვყოფილვარ
თურმე მოსისხლე მტერი.
არადა ჩვენი მოყვრობა,
საუკუნეებს ითვლის,
მე ქართველს, ქართულ მიწაზე
ნაბიჯებს ვინღა მითვლის?
ვერც დრო, ვერც მავთულხლართები,
წარსულს ვერაფრით წაშლის,
ვინ დამავიწყებს ჩემს მამულს,
ჩემი სხეულის ნაწილს?!
ერედვს და ლამაზ აჩაბეთს
ხურვალეთსა თუ ტყვიავს,
ვერ წაშლის ჩემ გონებიდან
რომც დამახალონ ტყვია.
რა დამავიწყებს თამარისს,
ქსანს, მოდუდუნე ლიახვს,
ოდითგან, დასამაბიდან
ჩემი სამშობლო ქვია.

სულის ანარეკლი

მტერი ანგრევდა ჩვენს ციხე-კოშკებს
ჩვენ ნანგრევებზე ისევ ვაგებდით,
მაღლით ლახვარი ეკიდა ნიშად
სულ სისხლის ფასად არის ნაგები.
და თუ გადარჩა, თქვენამდე შვილო,
თუ მოაღწია ნატანჯ-ნაგვემი,
გახსოვდეთ, სულის ანარეკლია
მტერს რომ ვერკინეთ და არ დავნებდით.

დაბრუნება

შემინდე ვაზო, შენი ცრემლები
თან მდევდა როგორც ცრემლი დედისა,
კაკლის ხევ ნულარ გამებუტები
შენს ჩრდილში ყოფნა თუკი მეღირსა.
დავბრუნდი, განა თქვენ გაგექეცით,
არ გამქრობიხართ ისე, წამისად,
დღისით სხვის კერას დავგურგულებდი,
თქვენთვის მითვლილი ვიყავ ღამისად.
დავბრუნდი, გულზე მომეხსნა ტვირთი,
უცხო მგზავრს ისევე უყეფს მურია,
არ იცით, თქვენი ალერსი, სითბო,
როგორ მჭირდება, როგორ მწყურია?!

ნიღბები

მტერს და მოყვარეს როგორ გაარჩევ,
ისევ ნიღბებით გვიბნევენ თავ-გზას,
ისევ უკუნი ბნელი ღამეა
და მეც უფსკრულის ნაპირი მზაფრავს.
ნეტავ ნათელი როდის გვეღირსოს
როდის გავაღწევ ჯადოსნურ წრიდან,
ეშმაკებს ნიღაბს ვინ ჩამოაცლის
როდის გავარჩევთ ცასა და მიწას.

სიკეთის თესლი

ნუთუ არ იცი ჭაობშიც
რომ ღვივის სიკეთის თესლი,
ცდილობს იხაროს, აყვავდეს
შენ რომ მუდმივად ქვებს ესვრი.
კარგს ოსტატურად მიჩქმალავ,
აუგს საქვეყნოდ გვიცხადებ,
შენ ალბათ ბედნიერი ხარ
სხვას რომ სიცოცხლეს უმწარებ.

***

როგორ შევცდი, რომ მივენდე
აშარ ქარის დანაპირს,
ახლა ისე ვფორიაქობ,
აღარ მიხსნის დანა – პირს.
კიდევ თუ გადავეყარე
სადმე, სოფლის შარაზე,
ახლოს აღარ გავკარებ
გული ისე ჩავრაზე.

***

გამოანათე, გაათბე
სულიერი თუ უსულო,
მზეო, შენ ოქროს გული
გაქვს,
ზოგი ტყუილად
დიდგულობს.

გურამ ჭავჭანიძე

ასე ცხოვრება არ შეიძლება!

ასე ცხოვრება არ შეიძლება,
ნუთუ, ვერ ხვდები, ხალხო, ქართველო,
თუ ჩვენი ყოფა არ შეიცვლება!
გადაშენდება ეს საქართველო.

შემირცხვენია მილიონები,
თუ ხალხი ფეხზე დაკიდულია,
თუ ზეიმობენ ფულის მონები,
ხოლო სამშობლო გაყიდულია!

ქართული ანეკდოტი

გიჟი მოსდევს ჩვენს ბედოვლათ ქართველებს,
ვაი, იმას, ვისაც ყბაში მოსდებს,
ქართველების საქმეს ისიც აძნელებს,
არ იციან, ზუსტად რომელს მოსდევს...

არდაჩოქილ საქართველოს!

ჯერაც ქართულ მზეს და ზეცას, მთას და მდელოს,
იმ ნაღდ ქართველს, ვინც ერისთვის დაიხარჯოს,
უღალატო, უჯალათო საქართველოს,
არდაჩოქილ საქართველოს გაუმარჯოს!!!

* * *

არა მგონია, იყოთ მართალი,
ჩვენს დამაქცევარს ვინც რას პატიობთ.
ღმერთმა შეგინდოთ ეგ სამართალი,
ერმა იქნება, არც გაპატიოთ.

* * *

დღეს მეტად გვმართებს ძმობა, გატანა,
თორემ ვინ იცის, რა ბედი გველის.
სულ ახლოს ისევ მძლავრობს სატანა,
სულ ახლოს ისმის სისინი გველის.

მარტყოფის ველზე!

გვწამდეს, გვახსოვდეს აწ და მარადის
ჩვენი უბადლო მამულიშვილი,
გმირი მარტყოფის, გმირი მარაბდის,
პაატაც, გმირის ლეგენდა-შვილი.
თუ მათი მსგავსი არ ჩანს არავინ,
ნუ დავკნინდებით, ნუ დავღონდებით,
მარტყოფის ველზე დავდგი კარავი
და მამლის ყივილს დაველოდები.

ვერ გადავრჩებით უსიყვარულოდ!

ჩვენი სამშობლო განა მარტო
ლურჯი მთებია...
ქართველთა შორის სიყვარული
მომნატრებია,
„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს
ცის კამარაზე“,
არც ლურჯი მთები იარსებებს,
არც სილამაზე.
რამ დაუბინდა, ნეტა, ქართველს
სული ნათელი,
რამ შეაძულა, ნეტა, ქართველს
მოძმე ქართველი?
ბოღმით და შურით ეს ქვეყანა
ვერ გადარჩება,
თუ დავჭამთ ერთურთს, ლურჯი მთები
სხვას არ დარჩება?
ნუ ვუმტრობთ ერთურთს, დებო, ძმებო,
ვესიყვარულოთ.
ვერ გადავრჩებით, ქართველებო,
უსიყვარულოდ!

სიყვარულის დღესასწაული

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“,
მით უფრო მხიბლავს შენზე ოცნება,
რამ დამავიწყოს მომჯადოვები
შენი თვალების გასხივოსნება.

არა, ეს ტრფობა არ არის ცოდვა,
ეს ღვთის მადლია და სასწაული,
მიტომაც მჯერა მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული.

მართალს ვიტყვი

„მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა,
უფერულთა პირ-საფერად“.
გავსებულა ზღვისპირეთი
თურქ-სომხებით, ყაზახებით,
შენი გული, ვერაგული,
ცხადი გახდა, გასაგები.
ალბათ, მიტომ დაიფიცე
დავით მეფე მისაგები,
რომ ჩასახლდნენ აჭარაში,
„მოძმე სისხლის“ ყივჩაღები.
ალბათ მიტომ გაიყიდა
რკინიგზა და მდინარეთი,
რომ დაამცროთ ქრისტეს რჯული,
მოამრავლოთ მინარეთი.
ყველგან სისხლი, ყველგან ცრემლი,
სამართალი აღარაა?
შენ კი მუდამ იკრიჭები,
ციმიზმია, აბა, რაა?
შენეული დაპირება,
აღარა მწამს აღარც ერთი,
არ მგონია დაგვიბრუნდეს,
ცხინვალი და აფხაზეთი.
გიყურებ და ქართველური
არც შნო გაქვს და არც ლაზათი,
არც თბილისში გაზრდილ ბიჭის
სიფათი და მარიფათი.
არც ალალი ქართველ გლეხის
შესაშური გაზრდილობა,
სტუმრისა და მასპინძელის
არც წესი გაქვს, არც ზრდილობა.
ღიმილიც კი ყეყეჩის გაქვს,
რაღაც ავი თვალთა შუქი,
სულ არ გშვენის ქედმაღლობა
და არც ფუჭი ბაქი-ბუქი.
არც კი არი დასაჯერი,
მიტომ მიჭირს დასაჯერად,
კაცი, თვითონ დასაჭერი,
სხვებს რომ დასდევ დასაჭერად.
„მე თუ გინდა თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

* * *

ადრეც ბევრი დაგვიშავდა,
ახლაც ბევრი რომ შავდება?
იმდენს იზამთ, რომ წაშავდა,
ისევ უკან მოშავდება!

* * *

ქვეყანაში რაც დღეს ხდება,
აღარც მასკარადია,
ის, რაც ხდება, ყველა ხვდება,
უკვე მასხარადია.

ნეტა მართლა

ნეტა მართლა თქვენს სიტყვებს
ვარდებივით ეხარათ,
ჩვენი ხალხის იმედი
წყალში არ ჩაგეყარათ.

* * *

ასე ჩაწიხლული და ასე გადანათელი,
დავბერდი და არ მახსოვს ჩემი ხალხი ქართველი,
ყველა შემირცხვენია ის უგვანო მმართველი,
ვინც ამ დღეში ჩააგდო ჩემი ხალხი ქართველი.

* * *

ვაჰ, დრონი, დრონი, მოსანატრონი,
ლამის აღზევდეს ისევ სატანა,
თქმას რა აზრი აქვს, არ ჩანს გამგონი,
მიტომ გაჭირდა ლელოს გატანა.

ერი ძლეული, რჯულმორყეული,
ვინ მოაბრუნოს, ვინ აქართველოს?
გიგა-გოკებო, დემაგოგებო,
„ვაი, თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!“

* * *

აღარც ცოტნეა, აღარც თევდორე,
აღარც ერეკლე, აღარც ილია,
ქართულო გენო, იმძლავრე, თორემ
ლამის იმედი სულ დაილია!

* * *

ვაი, სირცხვილო, რამ დაგვაკნინა,
არც ძალა შეგვრჩა და არც მორალი,
ეს სისხლი მაინც რამ გაგვიყინა,
„ნადიდგორალი, ნაშამქორალი!“

* * *

ნეტავი ჩაწვდეთ ძია სემს სულში,
მიხვდეთ, ეგ ხვითო თუ რა ჯიშია,
რომ შორს არიან ობამაც, ბუშიც,
რუსი კი აგერ, ყურის ძირშია.



პაპუნა ქვარიანი

ღვთიური წვლილი

ისე ცქრიალებდა თეთრი ანგელოზი,
ფრთებით ასხივებდა არმაზს ჩუქურთმიანს...
ვეღარ დატკბებაო ჩვენზე სარკინოზი,
ჰაო! –– მოქიშპენიც დროშებს უკუ ხრიან...
დროზე ვითავისეთ ჯვარის სასწაული,
ნინომ მშიერ გულზე ცვარით იმარხულა,
მადლი გვიფარავდა ღვთიურ საწყაულის,
მთაში მონადირე სჭექდა მირანგულას.
ხშირად იგრიალა დუშმანთ აზვირთებამ,
ბევრჯერ აგვიცრემლეს მოყმე თუ დიაცი;
ქართველს არ სჩვევია ისე განივთება,
რომ არ ასულდგმულოს გენის ხვაშიადი;
რომ არ შეულეწოს მკერდი მოძალადეს,
რომ არ აგვირისტოს ხვალის ჭირნახული,
რომ არ ეთაყვანოს უფალს მოამაგეს,
რომ არ შემოსძახოს ჰანგი ცისმაყრული.
ასე მარქაფულად კვლავაც მედგრად ვივლით,
ისევ ვუკუვაგდებთ გრიგალს აუგიანს,
წმინდა მარიამის კუთვნილ ღვთიურ წვლილით,
ნათელ მყოფადის ბარტყს ფრთები აუსხია!

ღირსების მადლი

მშვენიერებავ, დასაკარგად არ მემეტები,
მწყურია, ვკრიფო უსასრულოდ ძოწის მტევნები,
სურნელის მადლი მოვაფრქვიო არსის ღვთაებას,
ლაბირინთების განუსაზღვრელ ქსელში გავება!
მშვენიერებავ, შენი სითბო როცა მაკლია,
ავი სულები სათნოებას აღარ მაცლიან.
ყოფიერების გზატკეცილი რადგან მრუდეა,
ჩამორჩენილ მგზავრს ბოლობოლო აღარ უცდიან!
ეჰ, ფარატინა სურვილებო, გაძარცვულებო,
წამხედურობით მივყვებოდით ბრბოს უგუნებოდ,
გაგვამზეურა შთაგონების გამოსხივებამ,
ჩამზრალ დილემას ეჩეხება გამოცდილება.
არ დაოკდება წინსვლის მრწამსი რადგან აროდეს,
ვნების წიაღში ია–ვარდი უნდა ხარობდეს.
განცდების ჯერის სიკასკასეს ავეფიცხები,
ჭეშმარიტებავ, მოამრავლე მადლი ღირსების!

შეკრთა საღამო

როცა გიხილე შეკრთა საღამო,
დაისს აჯობა მაგ თვალთა მზერამ.
მის მერე თან მდევს ის დღე საამო,
ვნების მახვილით მდაღავ და მსერავ.
ღვარცოფის ლაფი მოედო ნაპრალს,
სანატრელია სიწმინდის ხილვა,
ლაციცა სიტყვა სიცხადეს მალავს,
ყოფის ბრმა ეტლი ასკდება მირაჟს.
ძირმწარე ტოტზე როცა იფეთქებს
ნაირფერადი კვირტი ნუგბარის,
ბაგე შეაღო აზრის სიქველემ
და დაეწაფა ყვავილს ფუტკარი.
გიახლოვდები, შეთრთი, გამირბი,
შორიდან მიმზერ, ფარულად მზვერავ;
ერთგულებაში მცადე ყარიბი –
ციცაბ ქარაფზე მივუშვებ მერანს!

მიტოვებული ტაძარი

მიტოვებული ტაძრის კარს ვაღებ,
ობობას ქსელი წინ მებლანდება,
ჩამოსდით ცრემლი დაღარულ თაღებს,
გაქუფრებულა ფრესკის ხატება.
იავარქმნილა ვაზის თალარი,
ქვევრიც ლოდებით ამოგმანულა,
შეუსუდრიათ ბანდღებს მარანი,
უხსენებელი ხოხავს ფარულად.

დაოსებული კვნესის სამრეკლო,
ბუღი ნაპრალებს ხორხში ჩასჩრიათ,
ლამის ღრუბელმა სხივი გახედნოს,
უთრთის ულვაში ძელქვას ასწლიანს.
ფრთხილად ავყევი დანგრეულ კიბეს,
გუმბათზე ნანატრ ზარს ვახმიანებ,
სულის ზეობა სწვდება ცის კიდეს,
ტაძარი უხმობს ადამიანებს!

წამოდექ

გატრუნულია რადგან საუფლო,
ეს ჟამი ნატრობს ყივჩაღის ყიჟინს...
როგორ გავტოკდე, საით გავქუსლო,
ბრმა არჩევანის შეგრძნება მიჭირს.
ჩამეწყრილია სულის სანგარი
და ნამეხარი ბერმუხა იწვის...
მაინც ავლესე იატაგანი,
მაინც ვაკვნესე ზარები ყინწვისს.
ჩამოიღვენთა ფრესკების ცრემლი
და ნატყვიარი ჯვარი ატოკდა...
ნიღაბახდილი იმსხვრევა კერპი,
მყოფადს ეამა როკვა საშოდან.
ვიხმე ყივჩაღი რიკოთის თხემზე,
იმ ბაზალეთის ჩაქოლვა მინდა...
მამულიშვილო წამოდექ ფეხზე
და უსაყდრისე ასახდენ სიზმარს.

ნიღბების ცვენა

როს აირევა მწყობრი სისტემა,
გარდუვალია ნიღბების ცვენა,
გარეგნულ სახის ფორმის ცვლილება
ააწიწმატებს ბულბულის სტვენას.
ბნელეთის რისხვა ისე დათრგუნავს
და ააშფოთებს ცოდვილ ათასებს,
ობდება აზრი, გაჭირდა სუნთქვა,
ბუღი გარემოს გადააფასებს.
ხმა აფეთქების მოისმის შორით,
ნატყორცნი ლავა ელვარებს თვალწინ,
ჯადოსნურ ალმა მწველი ამბორით
ფრთა შეუსრუტა გულზვიად არწივს.
ბევრი შესცოდეს ავმა ენებმა,
წუთით სიჩუმემ დაისადგურა,
მწუხრის გოდოლის რომ ჭირს შენება –
მომხვდურს ვერ ვხვდებით მამაპაპურად!

სამხილი

ვერ ვსაზღვრავ, თუ როგორ მერგუნა
მთვლემარე ბოგინი,
დაღრეცილ უღელში შებმულმა
ვისხლეტე ორპირი.
ნუთუ, ვერ ვისრუტავ ვეროდეს
ღვთის მცნების ნათებას?!
ჯიგარი ჩაუღძა ჰეროდეს
მყოფადის საყეფად.
დასერა კოსმიურ ლახვარმა
მამულის საზღვრები,
ღრუბელმა ტატნობი ჩაფარცხა
მიმწუხრის ღვარძლებით...
მოედო ნამწვავის სამხილი
მარაბდის ხევხუვებს,
თავკერძულ ნაჭუჭში ჩასვრილი
ბაზალეთს შეჰყურებს!

კვლავ ჯიქურ

გაცვეთილ ქილიკის წინარე
თავი თუ დახარე,
მომხდური თილისმას იმარჯვებს,
ჯურღმულის საკვამლედ.
რა მოგდის მოკვდავო, იღვიძე,
მამალმა იყივლა,
დასეტყვილ განცდების სიმძიმე
განკვეთე ფიქრიდან!
თორემ ა, მიმწუხრის ფერებმა
კვლავ ჯიქურ იმარჯვეს,
გაქექილ თვალთმაქცთა ფერება
ინისლებს, იავდრებს.
მერე კი ჩამოჰკარ განგაშის
საკაწრი ზარები,
მითიურ ზმანების სახნავში
საუღლედ ჩაები!

მიწის ბღავილი

რა სავალალოდ დაილია ფიალა ფლიდის,
მშობლიურ მიწის ბღავილია, ვით დაჭრილ ირმის.
ყინვის მახვილი უღვთოდ სერავს შფოთიან თბილისს;
ქართველო! როგორ სიმწრით ისმენ დედათა ტირილს.
უზნეო ყოფამ როცა სული არივ–დარია,
აფუებული ხელის ჭუჭყი მძორის ფარია.
ჩემი სარკმლის წინ აჭრიალდა ძველი გალია,
ნაირ–ნაირი ჩიტუნები მწყრალად არიან.
ჯოჯოხეთს მისწვდა გათოშილი კოჭლი მწევარი;
სამოთხის კართან მომღიმარი მხოლოდ მზე არის.
მსახვრალი ჯინი ისევ სერავს გათანგულ თბილისს,
მამულიშვილი ეწირება ეროვნულ ტკივილს!

ეკატერინე ციცქიშვილი

ყინვის სითეთრე

თვალს რომ შევავლებ შორეულ მწვერვალს,
მეახლოვება ყინვის სითეთრე,
რუხი მიმინო ჰორიზონტს სერავს,
მესკია ჩუმ – ჩუმ ბუდეს იკეთებს.
როს ამიგორდა ღაწვზე კურცხალი,
კრძალვით შევნატრი ფრთოსანთა ნადიმს,
დააჭაშნიკა ლომმა პურ-წყალი,
მთვარეს ღრუბელი ჯიხვის რქას აწვდის.
მამულო, შენი ღირსების მადლი
თვითეულისთვის დიდი ტვირთია,
დღევანდელობის ჩაბჟირდა კადრი
და საცოდვილო გროშებს ითვლიან!

ბინდის წიოკი

საუძლურეთის კარუსელი
ისე ტრიალებს,
გაყურსულია ცისქვეშეთის
აყალ-მაყალი.
მალე ღრუბელი გადაავსებს
სივრცის ფიალებს,
შემცბარ აურას მიმოკაწრავს
სულის ფანცქალი.
დასანანია ოცნებების
გადაფითრება,
შემოეგებათ დილიჟანებს
ნისლი ჩაფხუტა;
თუკი, რომ ღვარცოფს ამაცილა
ნაწრთობ ფიქრებმა,
ბინდის წიოკი დაელმებულ
თვალებს დახუჭავს.

თუ შერჩს

ამ აღრენილი ყოფის შემყურემ,
როგორ არ ვშიფრო სიკვდილის შიში,
ჩამეწყრილ შარას ცრემლად ვეპკურე,
ბრბო სიავკარგის განვრცობას მიშლის.
ხვედრის ნაზვირთმა მხარი დაჩქლითა
და ვეხიდები სივრცის განედებს,
გასასტიკებულ მასის ჩაწიხვლა
ცოდვის სამსალას შემომაგებებს.
საფლავის ქვაზე წარწერის გარდა,
თუ შერჩა სულეთს რამე ამბორი,
ააზლუქუნებს სიფითრე ნაძრახს,
დაიგრუზება ჟამის სასწორი.

გაკვესს

როგორ სწყალობს სულის თრთოლვა,
სიდუხჭირის ტერასებს,
თანაგრძნობის მიმოქროლვა
გაბზარულ გულს ვერ ავსებს.
ცაში ძნელად იკრიფება
საცრემლისის ნექტარი,
თავგანწირვის ციტირებას
გაუხუნდა ზეწარი.
ამ მიწიერ ჯახირ ყოფას
რაი აღარ ვუსაგზლე...
დელგმამ მდელო მიმოცოფა -
ითავხედა მუზაზე.
მზემ კი – ისე გამიღიმა
მიმომაწრთო საკვნესად...
და ყოფითი სუნთქვის ბღილმა
უკუნეთში გაკვესა.

მძიმე ჯვარი

სულში სევდამ ჩამობარდნა,
შეგვძრა ცოდვის ზარებმა,
მოგვანიჭა ქრისტეს ჯვარცმამ
მძიმე ტვირთის ტარება.
სიკეთისა საუნჯებლად
შეეწირა კაცთ მოდგმას,
სიბოროტემ ააცრემლა
ყოფის მადლის განვრცობა.
სააღდგომო მცნების ცნობამ
დააჩოქა სიკვდილი,
უბერებელ მზის ტატნობთან
სიცოცხლის სვეს მივტირით,

მჭვალავს

როცა ოცნებების კერა
აღძრავს აღტკინების სითბოს,
სულის ხვაშიადი ელავს,
თმები აებურძგლა მითოსს.
ვდგავარ პომპეუსის ხიდზე,
მჭვალავს სვეტიცხოვლის სხივი,
ჯვარი დანანებით მიმზერს,
მტკვარი სიარაგვეს ჩივის!
ო, ეს საუკენეთ შერწყმა,
ისე გამოკვეთეს მთებმა,
მამა გაბრიელი კემსავს -
ოდით საუფლისო ეტრატს!

საცდურის საგმობი

შუბლი ამეწვა, გადათქერილ
მამულს გავხედე,
ეხამუშებათ დაკოჟრილი
სახრე სახედრებს.
მაგრამ იმდენად გადიდგულდა
ყალბი ელიტა,
საერისკაცო მრწმსის სუნთქვა
ჩამოგვეწრიტა.
ეჰ, გვაზღვევინებს როს განგება
საცდურის საგმობს,
საშვილიშვილო აღდგინება
გულისთქმას გვამცნობს!

ვარდების სიფრიფი

ისე დასჭექეს ცისკრის ზარებმა,
შეიკუნტრუშა წუთით ქორბუდამ,
ამ სასიამო გამოდარებამ -
ლამის ბერმუხაც ააოხუნჯა.
გალობს ნარჩიტთა კეკლუცა დასი,
ცრემლებს იწმინდავს დეკა და ძელქვა,
მინდა, რომ მივყვე მხარდამხარ არწივს,
მინდა ვარდების სიფრიფი მეცვას.
ამ ზენაარი ეიფორიით
ქერუბიმების ვიყნოსე გეში...
და მომავალი პრეისტორიის
გაუშუფრავი სასმისი შევსვი.

სისხამის ექო

ისე საოცრად მომეყურა
სისხამის ექო,
ბაგე გახსნილი ფანჩატური
თვალს უკრავს ბექობს.
ეს შემართება ქარაფების
ათინათია,
ცისკრის მაშხალა ქვათა ხედის
თავზე ანთია.
ჩაფარცხულია ღამის კადრი
ისე ირიბად,
ქორბუდამ ლორთქო იალაღი
მიმოირბინა.
ყოჩივარდებით მოიჩითა
ჩემი კარეტა,
ამ სილამაზემ უმწეობის
ხვატი ახვეტა.

ნურვინ

სამყაროს რომ ჩაებუდა
ქართულ გენის სიდიადე,
მთვარე ვარსკვლავს გაებუტა,
კრუხი მიწყივ იკრიახებს.
რაც არ უნდა გვაწიოკონ,
რაც არ უნდა თელონ მდელო,
საუფლისო სასიოფლოდ
ითავგვემებს საქართველო.
ნურავინ ნუ დაიჩემებს,
რომ ამ ჯიშის შესძლოს ვნება...
აცისკრებულ საირმეზე
ანგელოზი გამოჩნდება.
გვამცნობს, როგორ ვითავისოთ
განსადელის აღტკინება...
და ცდუნების სასაკლისოდ
ზეციერი წაგვიძღვება!

გაღიმების სითბო

ისე გაითოშა არემარე,
ისე ჩამობნელდა ირგვლივ,
ტაძარს ახლოსაც ვერ გავეკარე,
შარას მოსდებია ჭირხლი.
ბექობს მოეძალა წელზე ხავსი,
მთვარე დაეკიდა წკიპზე,
სულში სიმარტოვე ისე მაწვიმს -
ჟამი საქილიკოდ მიწვევს.
იქნებ წარმოსახოს ნაღვერდალი
შენი გაღიმების სითბომ...
ჰოდა, იმ კენწეროს ავეკარი,
ძირძველ საწყისთან რომ მიხმობს!



გიორგი კამკამიძე

ვეღარ

მეხსიერებამ შეიმეცნა
წარსულის ექო,
კაცი განკითხვის კარიბჭესთან
ეყრდნობა ხელჯოხს...
რადგანაც წლების ხანგრძლივობა
თავისას ითხოვს,
ზარნაშო თავზე დაჰკიოდა
წარმავალ სინდრომს.
ბრმად შენიღბული სისასტიკე
ვეღარ ნავარდობს,
ღამის სილუეტს ვინაწილებთ
ვალის საავდროდ.

რომ არ შეგეკრას

ტალღები გემბანს აწყდება,
განწყობა ითხოვს შველას,
კაცი ქაოსის თანხვედრად
მოფარებულში შევა.
გაოგნებული უცქერის
ჰორიზონტების კრუნჩხვას,
ეჰ, უნდა იყო სულგრძელი,
რომ არ შეგეკრას სუნთქვა.
სტიქიის ამრისხანება
როს ბოლო წუთებს ითვლის,
მზის სასიცოცხლო ნათება
განტევებაა სიმწრის.
გამოწკეპილი ამალა
რომ ასხივოსნა ბუნებამ,
აშკარად ააფრთამალა
მგზავრმა ავყია ცდუნება.

ლოცვათა კრთომა

როს გამიმძაფრდა მეექვსე გრძნობა,
მივწვდი სამყაროს იშვიათ სიღრმეს,
გავითავისე ლოცვათა კრთომა,
ბრძოლის მაზანდის ხვაშიადს ვივსებ.

ისე ჩამესმა სამშობლოს კვნესა,
მყოფადის სარკმელს ავხადე ფარდა,
ბრმა ქარაშოტის სიმძაფრე მწეწავს –
ვიწყებ სხეულის ახლებურ მართვას.

როცა გაჯიქდა

მარტოსულობის მავნე სახადი,
როცა გაჯიქდა ნაწამებ არსში,
ფიქრებს ლანდებად წარმოვსახავდი,
ქარი აფრების გაშლას არ მაცლის.

ვითარც ნაპირზე გედი ეული
თავჩაქინდრული გავცქერი მირაჟს,
ამ სიყმაწვილის ბრმა ათწლეული
გულში ხინჯების მარათონს კირავს.

რწმენის მხურვალე გათავისება
გაუცხოვების ქარგავდა ზეწარს,
გაიჯეჯილა თავდავიწყებამ,
ჩაუჭანჭიკდა ფუტკარი ნექტარს.

შინაგანად

უარყოფის გასაჭირი
როცა ტკივილს ამძაფრებს,
ეხამუშა ღობეს ჩხირი,
შვენის რგოლი ნაფაზებს.
როცა კაცი ვეღარ საზღვრავს,
რა გზას უნდა დაადგეს,
შენი ხატის წარმოსახვა
თოლიებმა ასანთლეს.
სვრელის თავში ვწანი ფაცხა,
ვიჯახირე, ვიოფლე...
შინაგანად მიმომთათხა
მორცხვი მრწამსის სიობლემ.

მეამა

თუ ამ დროებამ ამ ქვეყნად
ვერ მაგრძნობინა სიამე,
მელანქოლია ამხედრდა
გაუცხოების წინარე.
ორღობეებში მოარულს
მეამა შაშვის გალობა,
ლაყუჩი უთრთის ტარანტულს,
მაფხიზლებს შენი წყალობა.
რამეთუ მიწყივ თანხმობა
გულს აცისკროვნებს ნიადაგ,
ხედავ, ეს ჩვენი სერობა
გოლგოთის ბექობს მიადგა!

რომ არ

ვინ არ იწვნია ამ ქვეყნად,
ხან ქროლვა, ხანაც ჩათრევა...
ხოდაბუნი რომ გაცვდება
ჭირსო ყამირის დათრევა.
ტარიგად ჩამოელაგა
მამულს თაობათ წუხილი...
ვერ აცარგვალებს კელაპტარს
გულგატეხილი უბირი.
რაოდენ უნდა გაწბილდეს
დაუზარელი მოკვდავი,
რომ არ დალაშქროს საჯიხვე,
რომ არ გასრისოს მცოცავი!

მეგონა

უმეტესად რასაც ვწერდი,
მშრალი სიტყვის იყო ხვედრი,
მეგონა რომ ვარსკვლავს ვკრეფდი,
მაგრამ ღრუბელს ვყავდი გვერდით.
ვინ სად იყო, როს ვკეტავდით
დარუბანდის კარიბჭეს,
აშხუოდა ცას კენტავრი,
ბანს აძლევდა სალი კლდე.
სიალალე დარაჯობდა
ნიკოფსიის ბაღნარებს,
მაშინდელი სიოს ქროლვა
ჩვენს გენებში ნარნარებს.

თუ არ

როცა გვქონდა ოქროს ხანა,
როცა გული გვერჩოდა,
ძალა რიყის აღმართს ხნავდა,
ქარაფს კვნეტდა მხედრობა.
ბევრჯერ ისე დავჩიავდით,
ისე დავცალცალავდით,
სადღა იყო საღი აზრი,
ან ლაზათი თავადის.
ეჰ, დღეს ისე ფარულ გვიტევს
მტერი გამობრძმედილი,
დროულად თუ არ გავშიფრეთ,
მოგვედება კეთრივით!

უნებლიე

ეჰ, ამდენი ბჭობა, გმობა
ვერ გარანდავს ხვაშიადს,
უნებლიე გადაცდომა
ეტმასნება აშრიალს.
გაწბილება მაინც ითხოვს
თავისებურ მხილებას...
ცხადს სიზმრებით შევეთვისო,
ვენდო გამოცდილებას.
მთავარია გულმა თვისი
საზღაური იმკოს,
სინანულის ბენეფისი
დავესესხე მითოსს.

არ დააყოვნებს

იმდენად გაუარესდა
ადამის მოდგმის ცოდვანი,
ის რაც დღეს გვიჩანს საქებრად,
ხვალ გაგვიხდება ოხვრანი.

არადა, უნდა ვაახლოთ
აღტკინებული გუმანი,
თუ განვიმსჭვალეთ საავდროდ,
არ დააყოვნებს ბურანი.

რაც დაგვანათლა განგებამ,
ზენაარს დაუდგენია,
როს საწადელი ჩაცხრება,
უფერულდება დღენია!

დავით ახლოური

* * *

ციკლიდან „მომენატრა ახალგორი"

*** * ***

გაშიშვლდა ხალხი,
რაც აცვია,
იმასაც იხდის,
რა გითხრა კიკუ,
ეს სიშიშვლე,
ალბათ არ გსურდა...
ნულარ გაიხდი,
ე, მაგ გროშებს,
რა თავში იხლი,
მაგათი ფული,
რახანია,
გაუფასურდა...

შესცოდეს კიკუ,
შესცოდეს და
ხვდებიან ვერც კი,
მუცალის ნაცვლად
ჩამოტეხეს
მხარი ალუდას...
კაცობრიობას ოცდაათიც
ეყოფა ვერცხლი,
ქრისტეს ჯვარცმიდან
შეუცვლელი,
მყარი ვალუტა!

*** * ***

ქალი ვაზია,
უნდა ეფერო,
უნდა ჩაიკრა გულში
და გათბე...
მზით დაფერილი
მწიფე მტევანი
უნდა დაწურო მერე და
დათვრე...
ქალი ვაზია,
სხეული მდედრის
უნდა აქციო
ყურძნის მარცვლებად.
უნდა დაცალო
ქალი ბოლომდე
და კვლავ შეავსო
გამოსაცლელად...

*** * ***

ხმაურობს სისხლი
ზღვარწაშლილი
და ამღვრეული,
ცხელმა ტალღებმა
ბაგეები
ისევ ალეწეს
და ჩემი სუნთქვით
დაორთქლილი
შენი სხეული
ათრთოლებული მისცემია
ვნების სარეცელს...
ხმაურობს სისხლი,
სისხლი ცხელი
და ამღვრეული,
ხორბლისფერ ძუძუს
დაგიეკლავს
ვნების თარეში...
ამ ერთ ღამეში
დაქალდება
შენი სხეული
და მთელ სიცოცხლეს
გისახსოვრებ
ამ ერთ ღამეში...

ვნების ღამე

ჩაგიხუტებ,
დაგიკოცნი
ლამაზ თვალებს,
გაგათბობ და
სურვილები ასრულდება...
მომეხვევი,
შეიფერებ
მამრის ალერსს
თითები რომ
საკინძისკენ ჩაცურდება.
შეხსნილი თუ
შეწყვეტილი
ყველა ღილი
სარეცელთან
ატეხავენ
ურცხვად წრიალს,
კოცნის ჟინი
ტალღასავით გადაგივლის
და კერტები ტუჩებს
თვითონ მოძებნიან...
მომეცემი
შეშლილი და განაბული,
მერე მთვარე
გადაგვაფენს
ნათლის სვეტებს
და სხეული
სურვილისგან დანამული
ჯერ არ თქმული
სიგიჟისთვის
გაგვიმეტებს!
მყვირალობის
ჟინისფერით
შეიმღვრევი,
მინებდები უცნაურ და
თბილ სიამეს,
შენს სხეულზე...
როგორ გითხრა...
როგორც გველი,
ვნება ისე
მოუთმენლად ისრიალებს.
დააჩნდებათ მერე ტუჩებს
კოცნის კვალი,
ეს იქნება
სულ სხვა რაღაც,
სულ სხვა რამე...
იმ ერთ ღამეს
ბევრჯერ იგრძნობ
რომ ხარ ქალი
და უბრალოდ
ეს იქნება
ვნების ღამე!

ლამზირა შეყილაძე

ჯვარცმული ქრისტე

გზა ამებნა წუთისოფლის სტუმარს,
შენსკენ სავალს სულის თვალით ვიკვლევ...
ვერ დავეხსენ დედამიწის ცოდვებს,
შენ კი მაინც ტკბილ საკმეველს მიკმევ.
ისევ გყიდი ხურდაში და ვერცხლში,
მაინც შენ ხარ ჩემი სულის კვარი,
ისევ გხედავ ჩემგან ჯვარზე გაკრულს,
და გატყვია ჩემი ცოდვის კვალი.
შავი ნისლი შემომეხვა გულზე,
სული კვნესის, უცნაურად გოდებს.
სანამ ვბობღავ დედამიწის ზურგზე,
კვლავ ვაგროვებ შეუცნობლად ცოდვებს.
თუ გულწრფელად შენთან მოვალ ახლოს,
შენ ამაცდენ ჯოჯოხეთის წყევლას.
სანამ ჩემში თვით უფალი სახლობს,
სატანაც კი ვერ შემირყევს რწმენას.
არ დამტოვებს ცრუ ჭაობში პყრობილს,
ქრისტეს სულის მოკამკამე შუქი...
შენ გამიხსნი ამ უაზრო ბორკილს,
შენს გზა-სავალს გამოვყვები თუკი.

იმერეთი, დედასავით ერთი

ჩემი თვალი შენი მთების ტყვეა,
სილამაზე მხიბლავს საოცარი.
იმერეთი ჩემი სულის მზეა,
კაცხის სვეტი — ჩემი სალოცავი.
ვინატრისებ საშევარდნოს ნიავს,
ცას მოჭედილს — ვარსკვლავებით სავსეს.
იმ პატარას საპოვნელა ჰქვია,
კვლავ ბავშვივით, ოცნებით რომ მავსებს.
შენი ზეცის სილაჟვარდე მიპყრობს,
იმერეთო, ჩემო თვალხატულა.
სადაც წავალ, თვალებით ვინც დამყავს,
ეს შენა ხარ, ჩემო ჭიათურა.
მღვიმევი ხომ სახატეა ჩემი,
სიცოცხლე და სულის ღაღადისი.
იმერეთი, დედასავით ერთი,
უკვდავება, ნატვრა მარადისი.

კოკისპირული წვიმა და თქეში

გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა
და ქვაფენილი სუნთქავდა მძიმედ,
მზის ნაფეხურებს ღვარცოფი შლიდა,
მკერდიდან მგლეჯდა გიშრისფერ მძივებს.
გამოქცევია გრიგალი ზეცას,
ყოველი კუთხივ ჩახერგა გზები.
ბოღმას და ვარამს ანთხევდა მიწას,
შეშლილ ბუნებას გლოვობდა მთები.
კოკისპირული წვიმა და თქეში,
ამსხვრევდა ხეთა სიცოცხლის ტოტებს,
ცბიერი ქარი ღმუოდა მთებში,
მდუღარე ცრემლი ჟონავდა კბოდეს.
დამწუხრებული იდგა ტირიფი,
ქვები და ღორღი მოჰქონდა ღელეს.
წყალწაღებული ხმელი წიფელი,
თითქოს საშველად მიწვდიდა ხელებს.
ჭექა-ქუხილი დააცხრა ტყე-ველს,
მეხი გავარდა ახლობელ ტყეში,
გალუმპულ მუხას, ჩიტების ბუდე
ჩახუტებული ჰქონდა გულ-მკერდში.
სისხლმონანთხევი ელვა, ქუხება,
ლამობდა მთელი ქვეყნის დაძლევას.
მგზავრი, სტიქიით ნაცემ-ნაგვემი,
ფუჭად ცდილობდა თავის დაღწევას.
აღარც ზღვა ჩანდა, აღარც ხმელეთი,
მზეც იყო სადღაც, გადაკარგულში.
შეშფოთებული ტყის ბინადარნი,
შეცვივდნენ კლდეთა გამოქვაბულში.
წარღვნამ წალეკა ირგვლივ ყოველი,
ნირი ეცვალა ეზოს და ქუჩას...
დალეწილ ხეთა მძიმე მორები
ღრიალ-ღრიალით მოჰქონდა ბუჯას.
ვცახცახებ წარღვნის მიმოქცევაში,
ჩამომეფხრიწა ნისლები მხრებზე,
ბებერ მთებიდან ქვებსა და ღორღებს
მოაგორებდა მეწყერი თხემზე.
საით წავიდე... გზას ვეღარ ვიკვლევ,
შიშისგან თავბრუ მეხვევა თქეშში.
პირველად ვხედავ ბუნებას ასე...
ბუნებას ასე... ჭკუიდან შეშლილს.

...
მიწას ისე დავენარცხე,
არ მეგონა ავდგებოდი.
მტერი რომ არ მყოლებოდა
ფეხზე ვეღარ დავდგებოდი.

...
ღმერთო, ჩემო, შენ ხარ მხოლოდ,
არ დამიგე სატყუარა...
ჩემი ოფლის ხარჯზე ცხოვრობს,
თაღლითი და მატყუარა...

წუთისოფლის გადაღლილი მგზავრი

როგორ მტკივა ნატყვიარი გული,
ბედისწერას ასე ბრმად რად ვენდე,
მაცოდვილებს დღენი დანისლული,
ფერმიხდილი ძლივს ვეყრდნობი კედელს.
მწარე ცრემლი მომწვეთავდა თვალთა,
თვალსამზერზე ჯირითობდა ქარი.
უსაშველო სადარდელი მხრავდა,
ცივ შარა-გზას ძლივს კეცავდა თვალი.
რები-რაბოდ დაჰყურებდა ნისლებს,
ჭარდის რტოში გაჩხერილი მთვარე.
რა უამურ სატკივილოს მიმხელს,
ჭინკებისგან გატანჯული ღამე.
შორს დავლანდე თითქოს დედის ლანდი,
მომეჩვენა, გულში ჩამეკონა...
ვცახცახებდი, მონატრებით მთვრალი,
მერმე ფიქრმა მთებში გამიყოლა.
უღრანიდან მიყურებდა ჩრდილი,
ბილიკ-ბილიკ კვლავ რიოშად თოვდა.
მივყვებოდი ძალაგამოცლილი
გული ისევ დაბრუნებას მთხოვდა.
ბინდში ჩანდა პაწაწინა ქოხი,
ქოხში შესვლას მაძალებდა ქარი.
გზას მივდევდი წვალებით და ოხვრით,
წუთისოფლით გატანჯული მგზავრი.
მეჩვენება, თუ ნამდვილად მიცდის
ჯადოსნური, შენიღბული მთები.
როგორ სწრაფად ჩამოუფქვავს წისქვილს,
მარცვალ-მარცვალ შეგროვილი წლები.
ლამის გასკდეს გაცრეცილი გული,
ბედისწერას ასე ბრმად რად ვენდე.
მაცოდვილებს დრონი დანისლული,
"მერცხალივით ვეხეთქები კედელს".

...
სხვას რას ვერჩი, სხვასთან რა მესაქმება,
მე დავწყვიტე ჩემი გულის ძაფები...
გული მოკლა ამ უაზრო დარდებმა,
მე დავფლითე სულის ია-ვარდები.

...
სულაც არ მსურს დავემონო,
ცრუ მოციქულს, ეშმაკს ბეჩავს,
ეს ცხოვრება მოვანდომო
უსამართლო გზების კემსვას.

სასთუმალზე გაყინული იდო

გუშინ სიკვდილს შევეჩეხე გზაზე,
სახის ფერი ჰქონდა დაკარგული.
შემებრალა, დავიწვინე მკლავზე,
ტკივილისგან იყო გათანგული.
მაჯისცემა შეუნელდა თითქოს
და თვალთაგან ჩამოგორდა ცრემლი.
უსათუოდ სიცოცხლეზე ფიქრობს,
მთხოვა, გულზე რომ დამედო ხელი.
ექიმებთან მივიყვანე როცა,
ვინ არისო, განიცდიო ასე...
გასინჯეს და დანანებით მითხრეს;
მისი უბე სისხლით არის სავსე...
სასთუმალზე გაყინული იდო,
მე მივეცი გადარჩენის ფიცი,
როცა მითხრეს ძლიერ ცუდად იყო,
საკუთარი გადავუსხი სისხლი.
გამოკეთდა, წამოდგომა შესძლო,
გამოწერეს, ახლა სახლში მიმყავს.
და თუ მკითხავთ რად ვიქცევი ასე,
ჩემი წილი სიკვდილიც კი მიყვარს.

გესავ, უფალო!

დღეს ჩემი სიცოცხლე ცივი და ბაცია,
ვით ღამის წყვდიადი, ბნელი და უკუნი.
არა ვარ უფალო, მგელივით ტაცია,
გიხმობ და გეძახი, გამიხსენ ურდული.
მე მახსოვს ჩემს გულში აგიგე ტაძარი,
გულწრფელი ლოცვებით საკმეველს გიკმევდი,
მეც ვიცი, ბოლომდე რომ არ ვარ მართალი,
ჩემს ცოდვილ "კაპრიზებს" უთქმელად ითმენდი.
მოვდივარ ცხოვრებით ნაგვემი, ნაცემი,
მშიერი, მწყურვალი, მწირი და ეული
ყოველი შხამის და სიმწარის ნაგემი,
სისხლისგან დაცლილი, მიკვნესის სხეული.
მოვდივარ, ცის ტალღებს წვალებით მოვარღვევ,
მწადს ტანჯულ საწუთროს, ჯოჯოხეთს მომწყვიტო.
ყვავილთა შეგროვილ მალამოს მოგართმევ,
რომ ჩემგან ნატკენი ჭრილობა მოგწმინდო.
ვიცი, რომ დუმილსაც უთქმელად გამიგებ,
მჯერა, რომ საკმევლის სურნელით დამატკბობ.
საწყალს და უპოვარს ცის სარკმელს გამიღებ,
მცივანს და უწყალოს შენი მზით გამათბობ.

ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

ბატონ, ილია დათუაშვილის ხელმძღვანელობით, ანსაბმლთან ერთად, მე და ჩემი შვილიშვილებიც ვიყავით, კურორტ აბასთუმანში... ძალიან მოვიხიბლე და აღფრთოვანებული დავრჩი და დავწერე ლექსი აბასთუმანზე, შეძლებისდაგვარად.

აბასთუმანი!...

აბასთუმანი არც ისე დიდია,
მაგრამ საკმაოდ დიდია ბუნება...
აქ ყოფნით სიცოცხლის ხალისი გეძლევა,
გაგიჭირდება, გაუძლო ცდუნებას!..
პეიზაჟები, სასწაულმოქმედი,
კლდეებზე აკრულან ნაძვები, ფიჭვები,
სურნელი ცაცხვის და ჰაერი უთქმელი...
სუსტებად მოსული... ძლიერი ბიჭები...
გაოცებული რჩები და შინ წასვლის,
სურვილი აღარ გაქვს, აქ გინდა დარჩენა...
ერთი თვეც რომ იყო, მაინც არ გეყოფა,
თუმცა კი, შედეგი უმალვე გეტყობა...
ბუნება ყოველთვის, მშვიდი და წყნარია
აქ მოსვლის წუთიდან, ხალისით ივესები...,
აქ სამკურნალოდ გოგირდის წყალის...
აქ გული გევსება, სამშობლოს ღირსებით!...
აბასთუმანნი არც ისე დიდია...,
მობრძანდით, აივსეთ სიცოცხლის ხალისით.
აქ გადებული სიცოცხლის ხიდია.
ალიონს შეეგებეთ, იმედით ხვალისი...

ბარბარეს!

ბ-არში წვიმს და მთაში თოვს.
ა-ლბათ, მალე აქაც მოთოვს.
რ-ადგან ვხედავ აცივდა...
ბ-არბარეს კი არ სცივა...
ა-ხლა დედას მკერდს ეკვრის
რ-ადგან შია ძალიან,
ე-ძინება, თან შია,
ს-ასწაული ბავშვია.

პატივისცემით..., გურჯაანის ქართულ-ხალხური სიმღერის ანსამბლის ხელმძღვანელს, ბატონ, ილია დათუაშვილს, რომელმაც თავისი საქმიანობით, მრავალი წარმატებები მოიპოვა...

***

მადლობას გიხდით, ბატონო ილია!
რა ძალა, ენერგია გაქვთ, გვითხარ ასეთი...
სამშობლოს სადიდებლად, სამშობლოს სიყვარულით
უმღერით სამშობლოს.., ამაყობს კახეთი...
სული და გული გაქვთ, საქმეში ჩადებული,
არ იწევთ უკან, თუმცა კი ძნელია...,
ამდენი პატარა ბავშვების აღზრდა და,
ამდენი ცელქების გამოზრდა ძნელია...
ამ დიდ სიყვარულს გრძნობენ და ხედავენ,
ცდილობენ და ვხედავ, გვერდით მოგყვებიან,
სახელი, დიდება თქვენი, შორს გასულა...
სამშობლოს სიყვარულს, სიმღერით ჰყვებიან...
დაგლოცავთ! იცოცხლეთ! უფალი გფარავდეთ!..
ნიჭიერ ბავშვების სიმრავლეს, კვლავ გქონდეთ!
ნებისყოფა და სურვილი საქმეში...
უფლის ნებით თქვენ არასდროს მოგაკლდეთ!..

***

„არასაჭირო დროს ნათქვამ სიტყვას,
არასდორს არ ექნება აზრი...
რაც პირზე მოგადგება, მაშინვე თუ იტყვი,
შენც დაგეკარგება ფასი...
– ან თუ გვიან იტყვი, სათქმელს,
მაშინაც აღარა აქვს აზრი,
ამიტომ,, დაფიქრდი და გახსოვდეს,
სთქვი, როცა სათქმელია მაშინ...“

„მარიამს“

მ-ედალზე დაამთავრე სკოლა,
ა-გიხდა ოცნება კვლავ!...
რ-ადგან სტუდენტიც წარმატებული ხარ,
ი- მედი გულში მაქვს კვლავ...
ა-მაყად ვიძახი, ყველგან და ყოველთვის,
მ-იზან დასახული ხარ!..
ი-ნებოს უფალმა, შენი სიცოცხლე და,
ს-იხარულს გისურვებ კვლავ!..

„დედა-შვილობა...“

დედა-შვილობას, ვერაფერი ვერ შეედრება,
გულში ყოველთვის, სიყვარული სანთლად ანთია,
ყველას დაგლოცავთ, თქვენს შვილებთან
იცოცხლეთ დიდხანს,
ვიცოცხლოთ ყველამ, შევეგებოთ მუდამ განთიადს...
დილის რიჟრაჟზე, გამოღვიძებას განა რამე სჯობს?!
ლოცვით მივმართოთ უფალს, ზემოთ, ხელი აღვაპყროთ,
მშვიდობის ზეცა დაგვცქეროდეს, მუდამ ზემოდან,
წმინდა სანთლები, უფლისათვის გულში დავანთოთ...

ვუძღვნი ჩემს შვილთაშვილს, ბარბარე ბეჟაშვილს!..

ბედობის დღეს, ბარბარობას მოგვევლინე,
ნაადრევად გვიბოძა ღმერთმა შენი თავი...
შენს დედ-მამას გაუმართლდა, უფრო მეტად.
სიყრმის შვილი შეეძინათ სანუკვარი...
დალოცვილი იყავთ მუდამ უფლისაგან,
სიმრავლე და სიხურული, კვლავაც გქონდეთ,
არ მოგაკლდეთ, სიცოცხლე და ჯანმრთელობა.
უფლის ნებით, გამრავლება მარად გქონდეთ!..
– უკეთესი საჩუქარი არ ჰქონიათ,
როგორც ჰქონდა, იმ დღეს პაპა ლევანის!..
ღვთის მშობლემა მარიამმა იუბილარს,
უსახსოვრა მწიფე ყურძნის მტევანი!...
დაშაქრული, ჩამტკბარი და გემრიელი,
სურნელი და ფერი ვარდის კოკრების!..
საჩუქრები, კიდევ მრავლად გელოდებათ
მობრძანდება, ჯანმრთელ, ლამაზ ბოკვრების!..
ყველას ერთად გადღეგრძელებთ, უფლის ნებით,
მშვიდობას და მზიან დღეეს გისურვებთ,
დოვლათი და ბარაქა არა მოგკლებოდეთ,
იმრავლეთ და სიყვარულში იცოცხლეთ!...

(შენი დიდი ბებო ლ. ჯამასპიშვილი)

„ეკა ჯამასპიშვილის და ნუკრი ბეჟაშვილს, ვულოცავ, პირველი შვილიშვილის დაბადებას! ვუსურვებ, გამრავლებას და გახარებას!

***

ეკა და ნუკრი! დაგილოცავთ პირველ შვილიშვილს
სახლის ბუდეში, პირველ მერცხლის შემოფრინებას...
ჯანმრთელად გვყავდით... და იმედის სხივით გამთბარი
მისდიეთ ისევ, ამ ცხოვრების მდორე დინებას!..
– ეს ერთი ბარტყი, გაგიმრავლდეთ, ფრთები გაშალოს,
ცხოვრებამ მისი წარმატეიბთ, მუდა გახაროთ,
უფრო და უფრო წინსვლა გქონდეთ, ოჯახში ყველას,
ღმერთი გფარავდეთ, არ მოგაკლოთ არასდროს შველა!...

ეკას და ნუკრის...

„მიხარია, ბედნიერს რომ გხედავთ,
გაიხარეთ, თქვენს ოჯახთან ერთად...
შვილებისთვის თავგანწიურლს გხედავთ,
ჯამრთლეობა, არ მოგაკლოთ ღმერთმა.
– დაგიფასდეთ, გაწეული ამაგი...
გაგამრავლოთ, იმ დიდებულ ღმერთმა,
შვილიშვილი, შვილთაშვილიც მრავლად მოგცეთ
იხარეთ და იდღეგრძელეთ ერთად...“

„მარიამს!“

„ლაჟვარდ ცაზე, თეთრი მტრედი როგორც ფრინავს,
მუდამ ასე ფრთაგაშლილმა იფრინე!
ჩანაფიქრის გამართლება, ასრულდება,
დღემდე გაქვს და გლოცავ, კვლავ შეგისრულდეს.
– შენი მუდამდ გვჯეროდა და კვლავაც გვჯერა,
მიზანს გულში დასახულს რომ მიაღწევ,
უფლის ნებით, ბეჯითობით შენითნ ვიცი...
ცაზე ვარსკვლავს მალე ხელს რომ მიაწვდენ!

„ვუძღვნი, ჩემს სსამყო შვილიშვილს, მარიამ ბეჟაშვილს!“

სკოლა მედალზე დაამთავრე... ვამაყობთ შენით
წარმატებები დღემდე გაქვს და კვლავაც გქონდეს,
უფლისა ნებით მზიანი გქონდეს, ყოველი დღენი.
ჯანმრთელად გვყავდი, ჩემო მარიამ დიდხანს იცოცხლე!
– შენს სპეტაკ სულში, მაგ ნორჩ გულში დარი დარობდეს
ბეჯითობა და წინსვლა შენი ყველას გვახარებს!..
იხარეთ ყველამ, შენს ოჯახში მუდამ ხარობდეთ,
მარად და მარად, გვჯერა შენი, კვლავ გაგვახარებ...

„ბარბარეს!“

ბარბი კუკლას გავხარ,
დახატული კალმით,
მობრძნებას შენსას,
ვეგებებით სალმით...
გვიხარია ყველას,
რომ ხარ ასე კარგი,
რადგან შენ კარაგად ხარ,
აღარა გვაქვს დარდი...



ზეინაბ ასისტიშვილი

ქინიძე

ჩემი შვილი ოჯახით უცხოეთშია.
ფიქრით დავიღალე, რა იქნება ხვალ?
ჩემი შვილიშვილი, დავით ქინიძე
სად ისურვებს ცხოვრებას. უკვე აღარ
ვიცი რა ვურჩიო შვილსა და შვილიშვილს
და მაინც...

გელოდები

ბუდიდან რომ ამოვფრინდი
ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადალახე,
მრავალი ქვეყანა ნახე,
ბევრი კარგიც დაინახე.
ნუ დატოვებ შენს ეზო კარს,
არ ატირდეს ჩემი გული,
შენთვის ბევრი ავაშენე,
შენთვისა მაქვს ხე დარგული.
ოქროს ლარნაკს უბრალო სჯობს,
იმიტომ რომ არის შენი,
როდესაც ხარ ჩემთან გვერდში,
ჩემი გული მაშინ მღერის.
ნურც ჩემს ამაგს დაივიწყებ,
გეხვეწები, გევედრები,
ჩემი გული შენით ცოცხლობს
იცოდე რომ გელოდები.
ნუ მოვკვდები მონატრებით,
შენი ხელით სანთელს ველი,
ის უბრალოც შეიყვარე,
ჩემი შრომით, რაც შევქმენი.

შენი „ზეო“ ბებო

(შენ ხომ ასე მეძახდი)
გკოცნით და გეფერებით ყველას.

ტყე

ლამაზ ფერებში იების,
შეჯიბრი ვნახე ბარში,
ახლა მთის ფერდობს გავხედე,
ჯადოსნობაა მათში.
ბილიკს შევყევი ტყისკენ,
რაღაც მინდოდა მისი,
სუყველა გამომიწოდა,
თურმე არ იყო სხვისი.
მომხიბლეს და გამაბრუეს,
ლამაზ ჩიტების მღერამ,
ვუსმენდი გაყუჩებული,
მომინდა მათთან ფრენა.
მაყვალი შავი თვალებით,
მიპატიჟებდა გულით.
მარწყვი მწვანიდან მიცინის,
კეთილად არა შურით.
სოკო ამაყად მდგარი,
ზოგჯერ ხის ძირთან მჯდარი.
ჭინჭარი სუსხიანი,
ეკლებში ამომძვრალი.
ასკილი, ჟოლო, მოცვი,
ანწლი, კაკალი, თხილი,
წაბლი, მაჟალო, პანტა,
ცაცხვის ყვავილით მთვრალი.
შინდი, მოცვი და დეკა,
მკურნალი ყველა ჩვენი,
ხის ფუღუროშიც ფუტკარმა,
თაფლი გვიგროვა ბევრი.
იმედით ვიყოთ მუდამ,
ტყვე შეგვინახავს ჩვენ,
უნდა გვიყვარდეს ტყე,
ჩვენც არ მოვუჭრათ ხე.
ჩიტების ტკბილი ჰანგები
წმინდა, მჩქეფარე წყალი,
ყველაფრით მადლით მოსილი,
შენ ხარ დღითა და ღამით.
ზამთარში არ გავიყინოთ,
ხმელი ტოტებით სითბო,
ზაფხულში არ დავიწყებით,
ტყე ხომ თავისთან გვიხმობს.

ვუძღვნი თბილისელ ექიმსს. გელა ლაცაბიძეს, რომელიც არის უაღრესად კეთილშობილი, გულისხმიერი და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, ერთ-ერთი საუკეთესო ექიმი.

ექიმობა სულ არ არის ადვილი,
თქვენი თავი გავიწყდებათ ბევრჯერ,
სხვაზე ფიქრში ღამეც დაგათენდება,
რადგან ფიქრობთ, ნეტავ შველას შევძლებ?
ბედის მწერალს ბევრჯერ შეეჭიდები,
გინდათ ყველამ იცოცხლოს და იხაროს,
ასე თბილი და კეთილი ვაჟკაცი,
კარგად იყოთ და ოჯახი გიმრავლოთ.
ისე ჩუმად, ისე გულით, ფერებით,
ვით პატარას, უვლის თვისი მშობელი.
უფლისაგან, თქვენი დედა მშობლისგან,
სიყვარულით თქვენ ხართ მირონცხებული.
რაც კარგია, თქვენთვის იყოს ყოველი,
გაზაფხულმა სიხარულით აგავსოს,
ყოველი დღე ბედნიერი ცხოვრებით,
ყოველი დღე ღმერთმა გაგილამაზოთ.

ღმერთმა დაგლოცოთ, იცოცხლეთ და იხარეთ.
პატივისცემით ზ. ასისტიშვილი.

თებერვლის თვეში

თებერვლის თვეში გამოღვიძებულს,
შემომაფრინდა სურნელი, რისა?
გავხედე მთა-ველს ნამიან ბალახს,
სამოსი ესხა ნაკერი მთისა.
რა საოცრება იხილა თვალმა,
ამოქარგული ნაირ ფერებით,
ჩემო მამულო, როგორ მიყვარხარ,
მე წრფელი გულით მოგეფერები.
როგორც პატარძალს, კაბა ლამაზი,
ჭრელი ქათიბი გმოსავს და გშვენის,
ლეჩაქად ცისფერს გაფარებს ზეცა,
ყელსაც იღერებს ლამაზად შველი.
ხეთა ტოტები დასერილია,
კვირტები ხეთქავს, მოდიან მაღლა,
თეთრი, ყვითელი, თუ ვარდისფერი,
მათზე უკეთესს ვერაფერს ვნახავ.
თვალი მომტაცა სიტურფემ თქვენმა,
გული ამღერდა, მომეცა ძალა,
ჩემი სამშობლოს მთა-ველს დავკოცნი,
და შენ სიყვარულს გულში ვერ ვმალავ.

მარტი

მარტი ქალების რომ არის,
იაც იღვიძებს მაშინ,
ლამაზი ფერის იები,
მინდა ჩაგაწნა თმაში.
მრავალი ფერის იებით,
აჭრელებული მთვარე,
მიწიდან იის ნატყორცნი,
სურნელი მოვიპარე.
მრავალი მარტი, ლამაზი,
იის კონებით ხელში,
იყავი ხალისიანი,
ბედნიერების წლებში;
მარტმა დაბერა კვირტები,
აპრილმა დაიმღერა,
მაისმა ეს სილამაზე,
თავისად შეიფერა.
მთვარე დამთვრალი იძინებს,
თქვენს, სილამაზის მნახველს,
შერცხვა და მზეს ჩააბარა,
თქვენი ლამაზი სახე.

უნდა გამაგრდე

როგორ მიყვარხარ,
ჩემო თბილისო! ჩემო მარაბდა!
ნარიყალა და შენი მთაწმინდა,
შენი სავანე;
რამდენი ცრემლი, რამდენი დარდი,
დაასამარე;
მაინც ლამაზო!
ისევ ყვავის, შენი ედემი.
ცის ვარსკვლავები,
ისევ გიცინის, ისევ განათებს,
ოდესღაც ყველას გამოუტანს,
ღმერთი განაჩენს;
ფუძე ძლიერო, კედლებ დაშლილო,
უნდა გადარჩე,
შენ გაძლიერდი და მერე ვიტყვი,
მეც რომ გადავრჩე.
წვიმა ჩარეცხავს,
დარდს და ვარამს ჩაიტანს ხრამში,
ჩვენს ოჯახებში,
გაზრდილიყოს მრავალი ბავშვი.
ჩემო სამშობლოვ,
შენი გენი, ისევ ამაღლდეს.
დღეს ბევრი გტკივა,
მაგრამ ძლიერო, უნდა გადარჩე.

პოეტების თვალით დანახული

უშანგი მოსიაშვილი

ოთარ მერებაშვილი
სახალხო მთქმელი.

შენი მრავალჟამიერი!

მოსიაშვილო უშანგი,
დარიანო და მზიანო,
გულში ალერსით ჩაგიკრავ,
ლექსი არ დაგიგვიანო.

მარად გისურვებ სიცოცხლეს –
და იყავ მუდამ ჯანმრთელი,
სანამდე ქართულ მიწაზე
ილაპარაკებს ქართველი.

მე მიყვარს შენთან შეხვედრა
ტკბილი უებრო ენითა,
ბულბულმა ჩანგით მოგხიბლოს
ტოროლამ ცაში ფრენითა.

ვარდმა, იამ და ყაყაჩომ,
თავკვერის ყურძნის მტევანმა,
შენებრ კეთილი ფანკაცი,
მრავლად გაზარდოს დედამა.

ჩემი გვარის გყავს მეუღლე
გვარიც კარგი გაქვს, რწმენაცა,
დამისხი უნდა დაგლოცო,
ღვინით სავსე გაქვს ხელადა.

ბავშვობიდანვე მიყვარხარ,
ეხლაც მიყვარხარ, უშანგი!
გულშიაც ძმურად ჩაგიკრავ,
თუკი შემხვდები ქუჩაში.

ამ სიტყვებით გლოცავს ყველა,
და გმფარველობს ღმერთიც, ხატიც,
მსურს, დავლიო ეს სასმისი
სიყვარულით, შენი ხათრით.

გფენის, გამკობს სიყვარული,
მართალ კაცის გული მთელი,
შენი იყოს სადღეგრძელო,
შენი მრავალჟამიერი.

იზა მოსიაშვილი

მამას

შენზე ძლიერი, შენზე მამაცი
და შენზე ნაღდი ქართველი კაცი,
ასე მგონია საქართველოში
მაინც და მაინც ბევრი არ დადის.

ბავშვობის რწმენა დღესაც შემომრჩა
და სიამაყე იმდროინდელი,
იმხანად ჩემთვის არ იყო არვინ,
შენზე ჭკვიანი და უძლეველი.

ასეა დღესაც, ასე იქნება
ხვალ, ზეგ, მაზეგ და მთელი ცხოვრება,
რადგან შენა ხარ ჩვენი იმედი,
ჩვენი ცხოვრების გასხივოსნება.

თავაწეული დავდივარ მარად,
რადგანაც ჩემში შენი სისხლია,
სანამ შენ მყავხარ, იცოდე ჩემო
„თვით სიკვდილისაც არ მეშინია“.

1999 წ.

ო. კოვზირიძე
20.12.2009 წ.

ჩემო უშანგი

იყავი კარგად, გქონოდეს ჯანი,
არ დაგავიწყდეს „ა“-ნი და „ბ“-ანი,
დიდი გქონოდეს ძალაც და წევაც,
არ აეწიოს პულსსა და წნევას.

იყავ ჯანმრთელი, ნათელ გონებით,
არ სცილდებოდეს ბაგეს ღიმილი,
შემოგეაროს ზღვა და ხმელეთი
არ მოგეღალოს მუხლების ლილვი.

თავი გქონოდეს მსჯელობა – განსჯის
არ მოგერიდოს შრომის და გარჯის,
ვაჟკაცურად სიცილ-ღიმილით
გევლოს ათასჯერ ათასი მილი...

კარლო ნადირაშვილი

კასპელების სიამაყევ

კასპელების სიამაყევ,
შიდა ქართლში გაზრდილო,
დაბადების დღეს გილოცავ
სამოცდაცამეტს გავლილო.

მაღლით ღმერთი გმფარველობდეს,
შეგეწიოს გამჩენი,
ჩვენო უშანგი, შენ იცოცხლე,
კიდევ ორი ამდენი.

ძმური სიყვარულით,

მერი ჩიტალაძე

შენით ვამაყობთ

სკოლის მერხიდან, ძმაო, გიცნობდი,
თავმდაბლობდი და თავს არ იჩენდი.
შრომამ გასწავლა სწორი გზით სვლა და
შენით ვამაყობთ დღეს კლასელები.

შენ და ქარხანამ ერთად იარეთ,
წარმატებებიც მუდამ თან გდევდათ.
რაც შენ სიკეთე ხალხს მოუტანე,
ღმერთმა იცის და წინაც დაგხვდება.

ეთერ კონიაშვილი

სამადლობალი

ცხოვრება ძლიერ რთულია,
და მართლაც ბეწვის ხიდია!
დღეები, ჩვენი დღეები
მიჰქრიან, სწრაფად მიჰქრიან!
ამ უსასრულო სრბოლაში,
რომ ვეთხოვებით რიგ-რიგად,
დღეებს მზიანს, ხან ნისლიანსა,
ყველაზე დიდი სიკეთე
თვით სიკეთის ქმნის ნიჭია!
შენ იცი როგორ მოიქცე,
როგორ ემთხვიო იასა,
როგორ უშველო მოძმესა,
შეჭირვებულსა, ხნიანსა.
ღმერთს ვთხოვ,
კვლავ დიდხანს გეკვალოს
გზანი რთული და კლდიანი,
თანამგზავრებად გყოლოდეს
ერთგულნი, გამგებიანი!
დიდ სიკეთეთა სანაცვლოდ,
სულ ბედნიერი გვენახეთ,
შვილთაშვილ–შვილებიანი!
25.02.2004 წ.

თ. ლომიძე

ბ-ნ უშანგი მოსიაშვილს

საქმეშიაც და წერაშიც,
ყოვლგნით გიჭრის მარჯვენი.
კაცობის ეტალონი ხარ,
შენ დაგელოცოს გამჩენი.
ქვეყნისთვის ნაგებ ქონგურებს
გულისპირს ლექსით უქარგავ.
ბრძენსა და ქვეყნის მოკეთეს,
სამშობლო შენ არ დაგკარგავს.
ბოლომდე კაცად დარჩენას,
თავშიც კაცობა სჭირდება.
არცერთ დროს ეს არ შეგშლია,
შენს ვაჟკაცობას დიდება.
გმადლობთ იმ ყველაფრისათვის,
შენ რომ ამ გზით სვლა ისურვე.
წარმატებულსა და ზნეკეთილს,
კვლავ წარმატებებს გისურვებ.
მუდამ გიჭრიდეს ორპირად,
სიტყვა და ხმალი უჟანგი.
დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ
მოსიაშვილო უშანგი.
31.12.2010 w.

თამარ გაბოძე

აგიხდეს ნატვრა!

(რეცენზია-მინაწერი უ. მისიაშვილის წიგნზე „მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე“)

ბრმა თუ ყოფილა ჰომეროსი, ჰქონდა გონება!
ტოლს არ უდებდა კოჭლ ბაირონს ხომ ჩვენი ტატო?!
დეკლარაციით არ ითვლება ლექსი ქონებად,
განძი ნიჭია – ნაფიქრალი სიტყვებით ხატო!..

ვჭვრეტ გზას და რითმებს თქვენი ლექსის,
სადაც უვლია!
ვლოცავ იმ ფურცლებს, რაზეც უწევთ
ამ ლექსთ დარჩენა!..
წრფელი განცდები თვალხილული სასწაულია!
ღვთის ნებით აფიქსირებს მუზის ალერსს მარჯვენა!

შეუმჩნეველი ერის ნაკლი არ დაგრჩენიათ
შეგიმჩნევიათ სათქმელისთვის მღვრიე ფერები...
თქვენი დასკვნები რეალური განაჩენია,
მიწიდან ცამდე ცისარტყელას მივეფერები!..

აჩქარებული წუთისოფლის გვერგო მდგმურობა,
წარმავალია ზღვა სიმდიდრე ამქვეყნიური,
არ მომელოცა იქნებოდა უმადურობა,
უფლება არ მაქვს, არ შემექო სიტყვა ღვთიური!

ბედნიერია ჭერი, სადაც მუზა ბინადრობს!
გისურვებთ, ნაღდი ლექსის დაგრჩეთ ქანდაკებანი!
მამულიშვილი თქვენი მსგავსი ერმა ინატროს!
აგიხდეს ნატვრა და კეთილი ქადაგებანი!

30.12.2012

მანანა ყაბანაშვილი

კაცურ კაცს – უშანგ მოსიაშვილს

„მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე“!
კარგი აზრია, კარგი ნათქვამი,
კაცად – ადამად ვინაც იცხოვრა,
არ დაივიწყებს მართლაც არავინ.

დიდებულია გიყვარდეს ყველა
თანამოძმეებს დაედოთ წამლად,
შოთამ თქვა – ყველა ქონებას სჯობსო
სახელის შოვნა – მოხვეჭა მარად!

და ეს სახელი – თქვენ არ გაკლიათ,
რადგან ხართ ყველას დამხმარე, მშველი
ბატონო უშანგი, დიდხანს იცოცხლეთ,
გზები გქონოდეთ მუდამ ნათელი!

მადლობა მინდა გითხრათ გაზაფხულს,
როცა პატარძლობს ვაშლი, ატამი,
პატრიოტ კაცს და აღმშენებელსა,
სიტყვები უნდა ნაღდი, მართალი...

მინდა, ბრწყინავდეს ვით დილის ცვარი –
ისევ და ისევ ქარხანა ძველი,
თქვენი გვარიდან, ჩვენო უშანგი
ხალხი სიკეთეს კვლავაც მოელის.

„მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე“!
– სიტყვა ამზევდა ვით ნათლის სვეტი,
გამარჯვებები გქონოდეთ საგზლად,
რა უნდა გითხრათ ამაზე მეტი.
დავიმახსოვროთ,
ვინც ცხოვრობს კაცად,
მფარველადა ჰყავს მას მამა ღმერთი!

02.03.200 წ.

თამარ გაბოძე

იუბილარ ქარხანას

(„კასპიელექტროაპარატი“ – 50)

შემომეპარა ფიქრი თავნება,
ვიცი, ოცნებას რომ თქმა უხდება:
არ შეიძლება დაგვიანება,
თქვენ გულგრილობის
არ გაქვთ უფლება,

ორმოცდაათი? – ცოტაა, მაგრამ
უკვდავებას კი ესაუბრება!
ქარხნის თარიღი იუბილეს გთხოვთ,
უნდა იტვირთო დიდი მისია,
წლები განვლილი –
ცხოვრების წიგნად
შეჯამების და ქების ღირსია!
მერე იქნება პრეზენტაცია –
მერე წიგნები შვილებს დარჩება

და ძალისხმევა მუშურ ოჯახთა,
მწამს, უკვდავებით დაიფარჩება!

გაბედეთ, წერეთ, შემოუნახეთ
ქარხნის წარსული შთამომავლობას,

რომ გვამშვენებდეს, არ დავივიწყოთ,
მუშის კასპური შთამომავლობა,
წარმავალია სიამე სოფლის,
დარჩება ხსოვნა, არდავიწყება,

მოგონებები ჩვენს ქარხანაზე,
მტვრიან ქალაქის საზღვრებს გასცდება!
წიგნის ფურცლებზე ვნახავთ, მოძახილს –
პატიოსანი შრომა ფასდება!

მოგულეთ თქვენი შრომის მოწილედ,
მოგეხმარებით მეც, თუ გჭირდებით,
კასპს „გამათხოვე დამაქორწინე“
წიგნად ექნება, ნაშთად დიდების!

01.12.09.

ლერი მუსხელაძე

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს“

ვუძღვნი სკოლის მეგობარს – უშანგი მოსიაშვილს

საქმემან შენმან გამოგაჩინოს,
გვმოძღვრავს უფალი,
სიკეთის თესვას, თანადგომასაც
უფალი ბრძანებს,
წაქცეულის წამოყენება და
ცრემლის შეშრობა,
ყველას სჭირდება დიდს, პატარას,
მოხუცს თუ ბავშვებს.

ეს კარგად იცი, შენ ხომ მუდამ
ამ გზით ვიდოდი,
რაოდენი სიკეთე თესე, ჩვენ ვიცით, ძმაო,
თუ რამდენ ოჯახს დაუბრუნე ლხენა,
ღიმილი,
დღეს ეს ღიმილი გიმშვიდებს სულს
და ამით ხარობ.

მეამაყება შენი წარსული, დღევანდელობაც,
იმ დიდი ქარხნის გონივრულად,
სიზუსტით მართვა,
ეს შენ შესძელი, იპირველე და გაიმარჯვე,
არ დაიშურე მუხლაჩაუხრელი
შრომა და გარჯა.

იყავ, კვლავაც ხარ შენი კასპის ჭირისუფალი,
მშენებელი და ღირსეული სიმაღლე მისი,
პატიოსანი შრომით ქმნიდი პურს არსობისას,
არ გინატრია სიმდიდრე და ბარაქა სხვისი.

დაგილოცავ შვილთ, შვილთაშვილებსა და
მშობელს-გამჩენს,
ქალბატონ ნანის, შენს მეუღლეს, ნათელს და
მზიანს, კერას, ლხენას,
შენი ლმგულა ბიჭების სუნთქვას
და ყველა იმათ, ვისაც ოჯახის მშვენება ჰქვია.

მაშ, იდღეგრძელე, ითავთავე ბარაქით,
ლხინით.
სამშობლოს მუდამ ემზიანოს
შენს წმინდა ხატად,
დილის ცისკარი გიმშვენებდეს
მშობლიურ ზეცას
და მარად დარჩი დაფასებულ,
ღირსეულ კაცად!

ჟურნალისტი, მწერალი
2010 წ.

სოფიო მოსიაშვილი
შვილიშვილი

პაპას

დილა გათენდა და მიხარია,
რომ დღეს პაპა მყავს იუბილარი.
პაპა, რომელიც ერთი მყავს ქვეყნად,
გამორჩეული, კაცი ბრძენი, იმედიანი.
დიდი მშრომელი, დაუღალავი,
ხან მომღიმარი, ხან ნაღვლიანი,
ხან ვულკანივით ცეცხლის მფრქვეველი,
ჩემთვის კი მუდამ სხივბადრიანი.
ჩვენი იმედი და მომავალი,
მანათობელი, გზის გამკვალავი,
ქვეყნის იმედად შემართული და
ქართულ მიწაზე ურყევად მდგარი.
რა კარგია, როცა პაპა გეფერება,
რა კარგია, როცა ემღერება პაპას,
რა კარგია, როცა პაპა იმედად გყავს,
და გვისრულებს ყველა სურვილს, ყველა ნატვრას.

მარი მაღალაშვილი,
6 წლის შვილიშვილი

ჩემს საყვარელ უშანგი პაპას

გლოცავთ პაპა და გპირდებით,
ჩვენ ვიქნებით რჩეულნი,
კარგი საქმის კეთებაში
შენებრ გამორჩეულნი.

სამშობლოს არ ვუღალატებთ,
გვერდში დგომა სჭირდება,
აკვანში რომ დაგვაფიცე,

იმ სამშობლოს დიდება,
სამშობლოს და უშანგი პაპას
სულ ფერება სჭირდებათ!

ლამარა მალანია

მომილოცნია ახალი წელი

კასპში შობილხარ ვაჟკაცო,
კასპში გისვრია ისარი...
კასპია შენი სახატე
და ხატზე დასაფიცარი.
წუთია წუთისოფელი
– ამბობს ბრძენი და მოაზრე,
შენ კი ამ წუთისოფელში,
ყველაფერი ხომ მოასწრე!
ყურს ვუგდებ შენს გმირობაზე
კასპელთა სჯას და ლაპარაკს –
– რა შემართებით მართავდი
„კასპიელეტროაპარატს“.
ჯერ არ მსმენია ქარხანას ერქვას
„გამათხოვ-დამაქორწინე“,
ამით კასპელი ახალგაზრდების
გულიც ხომ ააღორძინე...
რამდენი რჩეული წყვილი
დაასახლ-დააქორწინე.
ტოლს არ გიდებენ შვილები
ზაზა, გოგიტა და კობა,
კასპში ამბობენ – ბიჭებმა
საცაა მამას აჯობა...
შენი დევიზი – „კაცურ-კაცებად
დავრჩეთ ბიჭებო ბოლომდე –
ხომ შეასრულე, კეთილო კაცო
კიდევ მრავალწელს გვყოლოდე!!
თურმე მუზაც არ გღალატობს,
ამბობენ შენი ლექსები –
გულის სითბოში ნაბანი,
გულიდან დანაკვესები.
სამშობლოს სადიდებელი,
გინდა ამოთქვას ენამა,
ღვთის მომადლებულ ნიჭს დაგილოცავ,
„მადლი გიკურთხოს ზენამა“.
შენს გვარს დიდება არ მოაკლდება
ფუძე გაქვს ისე მყარიო,
სულ იმრავლებს და იდიდებს
მოსიაშვილთა გვარიო.
იმ თქვენი ტკბილი ოჯახის
მუდამ მლოცველი ვიქნები.
ღმერთმა გიმრავლოთ შვილთაშვილები
მერცხალა გოგო-ბიჭები...
ჰე, ძმაო, ჯერ შენ სადა ხარ!
რამდენი უნდა აკეთო...
თუ ვინმეს რამე ეშლება,
შენ უნდა გამოაკეთო...
ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ,
სიბერე აღარ გაბედო!!
კაცურ-კაცობის ეტალონი ხარ,
ორლესული ხარ უჟანგი...
დიდხანს სიცოცხლე, ახალი წელი
მომილოცნია უშანგი!...

01 იანვარი, 2016 წელი

გულნაზ ხარაიშვილი

ფუნჯით და კალმით

(უშანგი მოსიაშვილს)

ქართველ პატრიოტს, რით მოგეფერო,
სულს რომ უბერავ, წარსულს და აწმყოს,
საქმენი შენი სჩანს, ნაირფერობს,
ვაზის ტოტს მწარე ტოტებზე ამყნობ.
ფუნჯით და კალმით, რაც არვის ოდეს,
შენში ჩაქარგე, სულის სამრეკლოდ...
შენ არ მოკვდები, რაც უნდა მოხდეს,
მე მინდა ქების ზარი დავრეკო.
რაც შეგიქმნია, იმით ვამაყობ,
შენ დიდ მთებზედაც უფრო დიდიხარ...
დაბადებულხარ ერის სამოყვროდ
და საქართველოს გზა და ხიდი ხარ.

ნაირა ნიჟარაძე

უშანგი მოსიაშვილს

მეგობარო, სიხარულო სულისა,
მეგობარო, სიყვარულო გულისა.
მეგობარო, იმედი ხარ ხვალისა,
მეგობარო, ციმციმი ხარ თვალისა.
მეგობრის ხმას თუკი სადმე გაიგებ,
ფიანდაზად სულის გზებზე გაიფენ.
მომშველებელო ჭირსა და ლხინში,
შენ გამხნევება ნამდვილად იცი.
უფსკრულის პირას თუ შეფერხდები,
– შესდექ, – შეგვძახებ და შეჩერდები.
თუ სიხარულის მოვა ნიავი,
– გამოდი გარეთ, – გვეტყვი სიამით.
დაჭრილს შეგვიხვევ გულის იარებს,
შენ ჩვენთვის მთები გადაიარე.
თუ დავეცემით საბრძოლო მხარეს,
მოხვალ და დროშას გადაგვაფარებ.
თუ დავიდარდებთ გვეტყვი: – ნუ სწუხარ,
და მოწყენილი, მჭვუნვარე ნუ ხარ.
მეგობარი ხარ, კაცურო კაცო,
მომშორებელო ნართა, ეკალთა.
გსურს შეგვიჩერო ცრემლთა დინება,
კეთილმა გულმა რადგან ინება.
ღმერთმა ნათელი შემოგაშუქოს,
და თქვენი მსგავსი ბევრი გვაჩუქოს!

ნელი ქველაძე

სამშობლოზე ფიქრებით...

ეძღვნება პოეტს, მხატვარს
ქველმოქმედს, პატრიოტს
ბატონ უშანგი მოსიაშვილს

ნეტავ ვინ არის, ვის ბადიშია,
შუაგულ ქართლის გმირი გუშაგი?
ჩვენი მოდგმაა, ჩვენი ჯიშია,
დგას მეციხოვნედ დიდი უშანგი!

დღევანდელ ყოფით არს დაზაფრული,
სააკაძური წვავენ ფიქრები,
მისი გულის და მიწის ზიარი,
სამშობლოს ბედზე დაფიქრებული...
სიკეთეს თესავს მისი კალამი,
ყოველი სიტყვა არის მართალი;
ჯადოსნურია მისი ყალამი,
ქართლში არ არის მისი ბადალი!
დრო არ იცდისო, მიდის ტრიალით...
და გაგვიცოცხლა გმირი წარსული:
მოსჩანს კოშკებზე ცეცხლის ბრიალი,
ისმის ყიჟინა, ხმლების წკრიალი;
ყალყზე შემდგარან გმირი მხედრები,
„ჰკა მაგასაო“! – მხნე შეძახილი,
აჰა, მერანიც ბუმბერაზ მხედრის
ელავს გიორგის დიდი მახვილი!
სულ სიკეთის და მადლის მქმნელია
საოცარ ქვეყნის არისო შვილი,
კაცურ კაცობის მატარებელი,
კაცურად იბრძვის მოსიაშვილი!
ვით მოასვენებს მამულზე ფიქრი,
მხურვალედ უყვარს სამშობლო თვისი,
რომ არ მოედოს ქვეყანას ფითრი,
არ გაჩერდება მარჯვენა მისი!
ვეღარ ძღება მშობლიური,
მთა და ველთა ფერებით,
ხატავს, ამკობს ჩვენს სამშობლოს,
„ფიროსმანის ფერებით.“

ივლისი, 2016. ერთაწმინდა.

ლეილა გაფრინდაშვილი

მხატვრის სახლია?

გადაიშალა წიგნის ფურცელი
თვალწინ გაცოცხლდნენ „არაგველები“,
„მეფე ფარნავაზ“, „მღვდელი თევდორე“
გულგანგმირული მარაბდელები.
„მინდა რომ ციდან ჩამოვიყვანო
მე ვარსკვლავების მთელი ამალა,
გავაცისკროვნო მთლად საქართველო“
– კაცმა ოცნება ვეღარ დამალა.
მერე მამულში მომიპატიჟა
ფართოდ გააღო დარბაზის კარი,
მხატვრის სახლია? გალერეაა?
ნახატთა მზერას ვერ მოწყდა თვალი.
რა უხმაუროდ მოფერებიხარ
კაცური გულით მამულს დარდიანს,
მჯერა, სამშობლოს სათაყვანებლად
ლოცვა-ვედრებით ხვდები განთიადს.
გულცეცხლანთებულ გულად ქართველთა
იმ დღეს შეგროვდა მთელი ამალა,
წვიმაც წვეთ-წვეთად შემოგვიერთდა
გვიცქირა... გრძნობა ვეღარ დამალა.

28.07.2016.

მანანა ზაზიკაშვილი

იცნოგდეთ ასეთ ღმერთკაცს

უნიჭიერესი,
უდიდებულესი,
კარგი მხატვარი და
პოეტი – უკეთესი.
ხალხის მოყვარული,
წყალობის გამცემი,
ჩვენთვის ბრწყინვალე და
მტრისთვის – ზარდამცემი...
დამშეულ პოეტებს
დაგვიდგა გვერდში,
გამორჩეულია
საკუთარ ერში.
არიგებს, თუკი რამ
იშოვა ოდეს,
ასეთი ღმერთკაცი,
ბევრს უხაროდეს!!!

03.08.2016წ.

თამარ (იამზე) ჭელიძე

* * *

გული შეგტკივა, რადგან დრო ძუნწობს
ფერი წაერთვა ხალისს და არეს...
ხანა გამოჩნდა, უჟმური, გულღრძო
შენ კი კეთილი, ჟამს მგლოვიარეს
ვერ ურიგდები, სათუთი სულით.
გინდა გაუხსნა, გზა მაღალ სურვილს
და გაახარო ადამის ძენი, იგრძნო
ცხოვრება კვლავ დამამშვენი.
შენში ბობოქრობს ვაჯკაცი სახე,
და სხვანაირად თვალს ვერ გაახელ...
ლექსი მოგყვება ყველგან ხალისით
მასში გულწრფელი შენი ხმა ისმის.
შეყვარებულის სამშობლოს ბედზე,
საუკეთესოს ეძებ და ეძებ...
ღმერთი შენთან არს, ისევ და ისევ
და ნუ მოაკლებ, სულს სიხალისეს
ხარ ანთებული კეთილი სულით
ძლიერი ძარღვი მოსდევს
შენს სურვილს
დიდ ვაჟკაცური მიგნების სავსე
სიცარიელეს შენ ყველგან ავსებ.
მზიან სურვილებს ქადაგებ დროში
დე, დაილოცოს ნაბიჯი მოსვლის,
შენი ამ დროში რომ სიძლიერემ
მარად ხალისი დანერგოს ყველგან.
გულო მოეღოს ყველგან იარებს,
ურყევი სახე სიმშვიდით შექმნის
რომ შენს ლამაზ სულს ღირსებამ ისევ
უთხრას მომწონხარ, მზერა გაქვს ღვთისკენ
დაე იარე კეთილო ასე,
ხატება ხატე კვლავ სილამაზე
დე, პოეზიის შუქმა გაგნათლოს
დიდმა სიკეთემ მარად გაგათბოს.

გურამ ჭავჭანიძე

უშანგ მოსიაშვილს

დიდებულია, ვფიცავარ გამჩენს,
თქვენი ტალანტი, თქვენი უნარი,
ჩვენს ერს ერთობა თუ გადაარჩენს
და ნიჭი, მარად გაუხუნარი.

ისევე როგორც ჩვენს მთას და მდელოს
ღმერთმა უმრავლა ზვრები, ყანები,
ასე უმრავლოს ჩემს საქართველოს
ერისკაცები, თქვენისთანები!

15.09.16

ლამზირა შეყილაძე

უშანგი მოსიაშვილს

ეს ლურჯი მთები, მთამწვერვალები
შენი, მზე გულის სანათელოა.
შენი სიცოცხლის მარგალიტები
ფიქრდარდიანი საქართველოა.
მამულის დარდში ათენ-აღამებ,
გარიჟრაჟს ხვდები მაინც ნათელი
შენც ღმერთებივით გიყვარს სიმართლე
ხარ უღალატო ნაღდი ქართველი.
ღრმა აზროვნებით ჭვრეტ წარსულს, აწმყოს,
მომავლის საქმეს ჩაეძიები.
შენ პოზიციას არასდროს არ თმობ
შენ სულში სახლობს მნათი მზეები.
მჭერმეტყველია შენი აზრები,
უხვ-კეთილ საქმის ფუძემდებელი
ტილოებს ანდე შენი განცდები
ხარ არაგვივით დაუცხრომელი.
გონების თვალით სწვდები სიღრმეებს,
და იდეებში არ გყავს ტოლია
ჩვენ ერმიტაჟს რომ სხვაგან ვისიზმრებთ,
თურმე აქ ახლოს კასპში გვყოლია.
შენ უამრავი საქმის ქმნელი ხარ
ჯერ კიდევა გაქვს ბევრი სათქმელი
სამშობლოს გულში ლეგენდად დადის
მზედ კურთხეული შენი სახელი.

ანზორ ჯაფარიძე

ბატონ უშანგის!

ბერმუხას ჰგავხარ უშანგი
მუხასებრ მყარად მდგარი ხარ
სამშობლოს ბედი გაწუხებს
მის სიყვარულით მდნარი ხარ.

შენს სამშობლოში უშანგი
მყარადა დგახარ ძლიერი
შენ გიყვარს შენი კუთხე და
კაცი ხარ გულმადლიერი.

კასპი სამშობლოს ძარღვია
კაცურ კაცებით ნაქები
შენც მან გაგზარდა უშანგი
მიტომა გვყავხარ საქები.

შენ რომ ოცნებობ უშანგი
კაცებად დავრჩეთ ბოლომდის
მხარი მხარს მივცეთ ურთიერთს
გული გავხეთქოთ ბოროტის.

ამ მიწას ჩემო უშანგი
ბევრი გმირები ჰყოლია
მარტო გიორგი გვეყოფა
ვერვინ დაუდო ტოლია.

სააკაძე ხომ ბრწყინავდა
მოდით ავუნთოთ სანთელი
მან ხომ შვილი შემოგვწირა
გადაგვარჩინა ქართველნი.

ალბათ ეს მიწა უშანგი
გმირების წარმომშობია
შენც ხომ ამ მიწამ გაგზარდა
ნუთუ შენ ვინმე გჯობია?

როგორც მეწველსა ძროხასა
ხბო შეუჯდება მშიერი
შენც ბევრი გიცქერს უშანგი
ბევრიც გყავს გულმადლიერი.

12.04.2017.

როლანდი ქუთათელაძე

ჩემს უშანგის

მე პაექრობას არვის დავუწყებ
არც პოეტი ვარ და არც მხატვარი.
მე მხოლოდ მათი ნიჭის მონა ვარ
ფუნჯის და სიტყვის ნამოღვაწარი.

ნიჭიერებას ღმერთი განაგებს
მას ვერ შეწვდება ბევრი
მავანი
უფლის რჩეულთა წმინდა
ხვედრია,
რომ შემოქმედის ზიდოს ჭაპანი.

2017 წ.

მამა ამირან ამირანაშვილი

ბატონ უშანგი მოსიაშვილს

მოურავების და სიმუსების,
გამოჭედილო დიდო ქართველო,
შენით ამაყობს ერი და ბერი,
გილოცავთ, ხარობს დღეს საქართველო,
საჭრეთლისა და ფუნჯის ოსტატო,
კალამი გიჭრის როგორც ისარი ...
რაინდობაა შენი სამყარო,
სამშობლო, გულით დასაფიცარი.
არსაკიძემ თუ ერთი ააგო,
შენს ნაამაგარს ვერ ითვლის ხალხი.
გადაარჩინე შენი ქარხანა,
უსახლკაროებს აუგე სახლი,
აკადემიის დიდმა ოჯახმა,
დაგაჯილდოვათ ოქროს ვარსკვლავით,
შენი და-ძმების უწყვეტ ფერხულში,
მტკიცედ იდექი შენი მხარ-მკლავით.
დღეს გაგვაოცე შენი ოცნებით,
ოთხი ოცი ხომ განვლე გუგუნით,
წინ გელოდება მეხუთე ოცი,
კვლავ რომ იღვაწო სულით და გულით.
დაგვილოცნიხარ უფროსო ძმაო,
უჭკნობმა ნიჭმა (დიდმა ბაბუამ)
გვსურს იჭაბუკოს.
შენი ოჯახი, შენი სამშობლო,
დღეგრძელი იყოს, ღმერთმა აკურთხოს!

2017 წ.

ბატონ უშანგის

გამოწრთობილო ფოლადის კაცო
ვერას გაკლებდა ჟამი და ჟანგი,
მტრებისთვისა ხარ ბასრი მახვილი
მოსიაშვილო ძმაო უშანგი.

ბეჭებზე დასცი ოთხმოცდაერთი,
დროსთან ჭიდილი ვერ მოგერია.
თავად უფალმა გამოგირჩია,
ვინ მოყვარეა და ვინ მტერია.

ეხლა დაიწყო შენი აღდგომა,
უფლის სისხხორცთან ნაზიარებო,
ასპიტმა თუ კი გული გატკინა,
უფალი ბრძანებს გაიხარებო.

შენი ქარხანა გალავნიანი,
ციხე-სიმაგრედ გადააქციე
როცა ანგრევდნენ, ქვეყანას ყიდდნენ
მაშინ შენ კასპი ბაღად აქციე.

უფალს ბრწყინვალე სახლი აუგე,
წმინდანებით და ანგელოსებით.
შრომით და ლოცვით წინ მიგვიძღვები
ვერას დაგვაკლებს ბარბაროსები.

გალერიები ბევრი მინახავს,
მაგრამ შენ დარბაზს არ აქვს ბადალი,
როგორ დახატეთ ჩვენი სამშობლოს
წარსული, აწყმო და მომავალი.

სიცოცხლეშივე დაიდგი ძეგლი,
უკვდავების და მადლის გაცნობის
ეტალონი ხარ ოჯახის, ძმობის,
სიყვარულის და დიდი კაცობის.

9.04.2018 წ.

მანანა ზაზიკაშვილი

თუ

თუ გულში ცეცხლი გიზგიზებს,
როგორც მზის სხივი ცაში,
სრულიად გამოიცვლები,
გარდაიქმნები წამში.
თუ სიყვარული გათავდა,
თუ ჩაირაზავ კარს,
თუ მიზანს დაეთხოვები,
დაემსგავსები მკვდარს.

ვთამაშობ როლს

სულელი პოეტის
ვთამაშობ როლს,
დავდივარ ფოთლების კრეფით,
მთაწმინდას ავყვები,
რუსთაველს ჩავუვლი,
ტაქსით კი არა, ფეხით.
აზრების გრიგალში,
ფოთლების შრიალში
ახალ ლექსს
სულ გზა-გზა ვწერ,
თუ ფული ვიშოვე,
თუ არ გამიჭირდა,
წიგნებსაც გამოვცემ
წელს.

ვინ შემომაშველებს ხელს

ნაზამთრალ მდელოზე
მიწა რომ გათბება,
ია რომ ამოყოფს თავს,
მას შემდეგ აპრილი
ამ მიწას, ამ ზეცას
ათასფერ ხალიჩად რთავს.
მარტი რომ სულს
უდგამს
იებს და
ენძელებს,
აპრილი აღვიძებს
ველს,
ჩემი გაზაფხული
როდისღა დადგება,
ვინ შემომაშველებს
ხელს?!

კაი ყმა

ერთხელ მესხეთში ვიყავი,
რა დამავიწყებს ვალესა,
ჩემი ტოლფერი ვაჟები
მიბრიალებდნენ თვალებსა.
მღეროდნენ, მერე როგორა,
იძახდნენ ვარი-ვარალოს,
ერთმა ვაჟკაცმა კი მითხრა:
– ცოლად გამომყევ, ქალაუ!
რატომაც არა, ვუთხარი,
ოღონდ ხომ არ ხარ ზარმაცი?!
– არა, ნახირიც დამყავს და
შინ საქმეს დედას არ ვაცლი! –
– კაი ყმა ჩანხარ, ტალიკა,
რით დაგიწუნო, აბა, მე?
ოღონდ მე ისიც არ ვიცი,
ძროხას სად? როგორ აბამენ?!
თუ მიგაკარო ძროხასა,
მე არ ვყოფილვარ ტალიკა,
საქმით სულაც არ გადაგღლი,
ქათამსაც ხშირ-ხშირ დაგიკლავ!
ყველგან, ყოველთვის გიშველი,
შრომით არ დაგღლი ქალაუ! –
მართლა კაი ყმა ყოფილხარ,
წამიყვა სახლში ჩქარაო!!!

ჩვენი სამოთხე

ვინც შემოვიდა, ყველა აქ დარჩა,
ყველამ გვაჩვენა თავის რაობა,
ჩვენი ქვეყანა მრავალნატანჯი,
ამ ჩიხიდანაც მგონი გამოვა.
ყველა გვებრძოდა: თათარი, ლეკი,
ოსმალო, ქურთი...
ყველას ვინ მოთვლის,
ყველას უნდოდა აქ დამკვიდრება,
სურვილი ახრჩობთ ჩვენი სამოთხის.
გვტანჯეს, გვაწამეს,
გაგვაცამტვერეს,
ყველას ეწადა ჩვენი გაქრობა,
გადამთიელი, ვინც აქ გაივლის,
დასამკვიდრებლად ისიც აქ მოვა.
ყველას აქვს თავის ნავსაყუდელი,
მაგრამ ჩვენს მიწას აღარ ეშვება,
მიისაკუთრეს ჩვენი სამოთხე,
გვებრძვიან, ვწვალობთ, აღარ გვეშველა!!!

სოხუმიც ჩემი მხარეა

სოხუმიც ჩემი მხარეა,
გაგრაც, ახალი ათონიც,
როგორ დაგითმობთ
ამ წალკოტს?!
ჩემს კავკასიონს
დათოვლილს?!

ვახტანგ გაჩეჩილაძე

მოგზაური

იცი ერთხელ, როგორ მინდა
ამ დარდს სადმე დავემალო.
მარტოხელა მოგზაურმა
მთა და ბარი მოვიარო.
მარტომ, ცაზე მოციმციმე
ვარსკვლავები დავითვალო,
მთვარეს დარდი და ფიქრები
სამუდამოდ მივაბარო.
მთაში წყაროსს მოვუსმინო,
ცაში არწივს გავეჯიბრო.
ჯიხვებს გავყვე, ქარაფები
დაუღლელად მოვირბინო.
მწყემსის სადგმოს თუ მივაგნე.
გულიანად მოვილხინო,
დილის ყვავილს ჩემი ბედის
დასასრული გამოვკითხო...
ალავერდში ლოცვა ეთქვა და
ანანაურში დავამთავრო
სვეტიცხოველს მორიდებით,
მუხლმოდრეკით მივეახლო
მერე ჩუმად, შენ რომ გძინავს
სასთუმალთან მოგეპარო,
ჩემი გული დაგიტოვო
მშვენიერო, ნატვრის თვალო!
შეგატოვო სიზმრებს მშვიდად,
ისე წყნარად გაგეცალო,
დავრჩე ნატვრად და სურვილად
ღვინის თასში დავიცალო.

16.03.2017წ.

მეფის წყალობა

მე არასდროს არ მხიბლავდა მეფის წყალობა,
დედოფლის ხელზე დაუღლელი, ფლიდი ამბორი,
მე მუდამ მწამდა კაცის სიტყვა, კაცის კაცობა
და თეთრ მანდილში გახვეული ფარული ხიბლი.
ერთი დაასხი, ჭიქა ღვინო იქნებ დამითმო,
მე უნდა გითხრა, რას ეძებდა დოქში ნიკალა
და სიტყვა ლექსში ისე უნდა მოვაჩუქურთმო,
სული დაგვიტკბოს, როგორც რთველში ვაზის მტევანმა.
ერთიც დაასხი! გეტყვი გული რატომ ამტკივდა,
ან რა უნდოდა გალაკტიონს, რატომ გაფრინდა...
დიდი მელექსე დიდ სიყვარულს რატომ გაექცა,
ან დიდ მოურავს ციხე თავზე რატომ დაექცა?!
დაასხი მიდი, სანამ გეტყვის: მერე რა მოხდა?
თუ სიყვარულის მკვდრადშობილი გაჩნდა იმედი,
თუკი იმ წუთში აქ დარჩენას სჯობდა გაფრენა
და ბრძანა მეფემ: ,, ამ სიცოცხლეს ერქვას ღალატი!“
ამ ქვეყანაში არაფერი გულით არ წყდება,
გულით დამისხი, მე ბავშვს ვგავარ, გული დამწყდება,
დამისხი, სევდა მომერია ღვინო მომინდა,
უფლის წყალობა დამიტოვე, მეფის არ მინდა!

მიწა

ალაზნის ველს გადავხედე,
დილით ადრე, ალიონზე,
სილამაზე დავინახე,
ისეთი, რომ გავიოცე.
ხვნაში ოფლით, ომში სისხლით,
დედის ცრემლით გაჟღენთილი,
მიწა შავი, მადლიანი,
გლეხის გუთნით აზელილი.
დათოვლილი მთები ვნახე,
ბუმბერაზი, ცას აწვდილი,
სიტყვები ვერ გამოვნახე,
დავრჩი ასე ხელგაწვდილი.
მივედი და დავიჩოქე,
მიწას გულში ჩავეხუტე,
უფალს ვთხოვე: ყველა კუთხე,
შენი მადლით დამილოცე.
დედას პური მოვუტეხე,
ფიალას ვსვამ ღვინით სავსეს,
სხვა რომ ვერა გამოვხატე,
სიყვარული ლექსით ვხატე...

იქნებ კარი გამიღოთ!

მზეო სხივი მაჩუქე,
გული უნდა გავითბო,
რომ ეს გული გამთბარი,
სიყვარულით ავივსო.
მქონდა, არ დამიბრუნა,
კარი აღარ გამიღო,
რა იქნება მაჩუქეთ,
რა იქნება გამიგოთ.
ისე გაბრაზებულა,
ზღვა ტალღებმა წაიღო,
მთვარე ისე დაჰყურებს,
თითქოს რამე გაიგო.
ვარდის კოკორს ბულბულმა,
ვერაფერი გაუგო.
გაშლა არ დააცალა,
ბუდე სხვაგან აიგო.
წვიმამ ველარ იდინა,
წყალში თევზი არ იყო,
უყვავილო მინდორმა
ფერები ვერ გაიღო.
მზემ სხივები მიმალა,
ყინვამ გული ,,წაიღო".
,,ჩემმა" ,, სხვისი" დაჩაგრა,
ყველაფერი აიღო!
ვიდრე აქ ვარ, დავდივარ...
ვიდრე გულმა გამიძლო,
ის კარი, რომ ჩაკეტეთ,
იქნებ მალე გამიღოთ!

შორს მთებში

სადღაც შორს მთებში, იქ სადაც,
მთის არწივები ბუდობენ,
ორი კარია, სევდის და
მტრედნი აღარ ხუნდობენ,
ყველა იმ ბილიკს მივყვებით,
ბილიკს მივყავართ შორს, სადღაც.
იმ მთების ძებნას ვანდომებთ
მთელი სიცოცხლის გზის გავლას.
ბევრი ვიარე თუ ცოტა,
მოხუცი შემხვდა თეთრწვერა,
თეთრი სამოსი ემოსა,
ღიმილით შემომეგება.
გზის გასაყართან ვიდექით,
მომხიბლა მისმა სიმშვიდემ,
ვინ საით უნდა წავიდეს,
მოხუცი ხელით უთითებს.
მე სევდის გზისკენ გამიშვა,
სულ დამიკარგა იმედი.
მოხუცო, ჩემთვის არ მინდა,
არ დავიტოვებ გპირდები!
მელოდებიან ჩემი და
ჩემი მეგობრის შვილები.
ზოგი მოზრდილი ბავშვები,
ზოგი სულ პაწაწინები...
მოხუცმა ჯვარი დამწერა,
„შენ მათთვის მუდამ იქნები,
ესაა შენი განგება,
სევდაა შენი წილხვედრი!"

წვიმამდე

ვცადე მოვიდე შენამდე,
ვერც შენ მოგიშვი ჩემამდე,
მინდა რომ გაგითამამდე,
მოვიდე მაგ შენ ქუჩამდე.
ნუ მალოდინებ წვიმამდე,
ვიცი არ გამოიდარებს.
დრო ამ ფიქრიდან ფიქრამდე
თავდება, განა იმატებს.
წამწამს ამოვთვლი დილიდან,
მოვასწრებ დაღამებამდე,
დაღამებიდან დილამდე,
ვიპოვი გზას მაგ გულამდე.
მინდა რომ გამითამამდე,
მომიშვა მაგ შენ ქუჩამდე,
ჩემიც იწამო როგორმე,
იქნებ თქვა – მოდი წვიმამდე...

ბოლო ნოტა

ბედი გვმართავს, ბედი გვწყალობს,
გვიბრაზდება, გვტოვებს მარტოს,
უქონელს და საწყალს სტანჯავს,
შეძლებულს კი ისევ ართობს...
ასე მართავს თამაშს მშვიდად,
ჩვენ ვუმადლით სასჯელს მისას,
მაინც ვცდილობთ, სწრაფად გვინდა,
ყოველთვის და ყველგან მისვლა.
ეს სიბერეც მოვა სწრაფად,
დავისვენებთ შორს წასვლისას...
ირონიით და უშიშრად,
ვიწყებთ ამ ბედის დაცინვას.
მორჩილებით მივდევთ თამაშს
გვესმის დედის იავნანა:
არის ვინაც აქ იცოცხლა
ყველა არის გამოცანა.

მსოფლიოში ვალენტინობის თუ დაბადების დღეებს ყველგან ინტერესით აღნიშნავენ.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

უმშვენიერეს ღიდი ვაშაკიძეს

მსოფლიო ვეტერინარიის ასოციაციის პრეზიდენტს, რომლის ქალიშვილი ქრისტინე დე ბაგრატიონი ესპანეთის პრინცის ხუან იოანე ბაგრატიონის მეუღლეა.

ვით ავტორს ეს სტრიქონები
თუ მიფერებად მეთვლება,
შენისთანაზე კი უთქვამთ
ქალს წლები რომ არ ეთვლება.
თუკი ჰყავთ შვილი შენებრი
ქვეყნად ამაყობს ერები,
მთელ დედამიწას უხდები
ქალური მშვენიერებით.
სახით ედემ ვარდს მოჰგავხარ,
ტანად კენარი, ქნარი ხარ,
არც მეტი და არც ნაკლები
მხოლოდ სამეფო ქალი ხარ.
ესეც ხომ თვალხილულია
არა რაიმე სამხელი,
რომ სიძვირფასეს ციაგებს
თავად ეგ შენი სახელი.
ღვთის მოყვარულო! ღვთაებავ!
შენს არსებობას დღეს ვლოცავ,
ყოველმხრივ განათლებულო
დაბადების დღეს გილოცავ!

ნანა დავითაია-ხარშილაძეს

ექიმ ვეტერინარს

ნიძლავს ჩამოვალ წამს ქეშად
მილიონიანს თუნდა,
ასეთს ნაკლებად იცნობდეთ
ყველას სიკეთე უნდა.
თბილ, გიპნოსური მიდგომით,
სიმშვიდით გიპყრობს იმ წამს,
ბანოვანები ამგვარი
ერთიორი თუ მიწამს.
პოზიტივში რომ მიბაძო,
ესაა გამოცანა,
დაბადების დღეს გილოცავ
დარბაისელო ნანა!

77 წლის

დავიკო ლიზა (იზო) ოსიაშვილ-გოგსაძეს

ვიცი შენს ხიბლს მრავალს დღესაც
კვლავაც რომ ახარბებ,
გარეგნობას ინარჩუნებ
და ამით მახარებ.
სადაც წახვალ სილამაზეს
დღესაც აფრქვევ ყველგან,
გაგიმრავლდეს ვინც კი გიყვარს
რძალი, შვილი, ყველა.
გლოვაშიაც კეკლუცი ხარ!
შენს შეგნებას ბრავო,
მინდა მარად რომა მყავდე
,,პრანჭიკელა" დაო.
მცირე ლექსით ალბათ ფიქრობ
უბრალოა ძღვენი,
კვლავ მრავალი მომელოცოს
დაბადების დღენი.

იაკო ცივიშვილს

დისშვილის მეუღლეს
თქმა სჯობს ახლა არა თქმასა,
სიმართლე რომ არი,
სან-ზონაში არავის ჰყავს
შენისთანა რძალი.
დღეს ოჯახში შენი წვლილი
მართლაც რომ დიდია,
დაბადების დღეს გილოცავ
საყვარელო ია.

თამაზი (თაზო) გოგსაძეს

დის შვილის შვილს, პაპის სეხნიას
ბევრმა იცის შენს ასაკში
რა სიმუხთლე ნახე,
თუმც სიკეთით განაცვიფრებ
შენს თვითეულ მნახველს.
კაცს ცხოვრება არვის ხვდება
თაფლად და ტკბილ ჟოლოდ,
ამიტომაც თვითეული
წამით დატკბი მხოლოდ.
ბებოს დიდო იმედო, თან
თბილო და ლამაზო,
დაბადების დღეს გილოცავ
საყვარელო თაზო.

ოთარი გოგსაძეს

შენი საქების მოსმენა
აამებს გულსა და ყურებს,
ჩემი გაზრდილი შვილი ხარ
ახლა კი თავზე დამყურებ.
ას ცენზის ცოდნას ამჟღავნებ
ისე რომ საკვირველი ხარ,
დაიკოს დიდი ოჯახის
ფუძე და საძირკველი ხარ.
თუმც თავის დროზე გამომრჩა
დეიდის ტკბილი მილოცვა,
„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს"
დაბადების დღეს გილოცავ.

თექვსმეტი წლის

მარიკუნა გოგსაძეს

დის შვილის შვილს

მოცეკვავის ტანი დაგყვა
ნარნარა და ქნარი,
სიკეთითაც შენისთანა
აბა სხვა ვინ არი.
„თავის დროზე შეარჩიე
ფულიანი ქმარი",
დაბადების დღეს გილოცავ
საოცარო მარი.

ნათია ნინუას
შვილის მეუღლეს

თუ თავად კაცი არ ვარგა
ძალისხმევები ვერ მართავს,
ამდენი ხანის რძალი ხარ
შენობით არ მოგიმართავს.
ჩემს დამწუხრებულ ოჯახში
შენით სხივი რომ ანთია,
დაბადების დღეს გილოცავ
გონიერო ნათია.



მარი იახტნიშვილს
შვილის შვილს, რომლის ლუკა ჩემი
მესამე თაობაა

დაბადებიდან ამ დღემდის
შეგხარით მთელი წლებია,
ისე გაგზარდეთ მარი რომ
ჩიტის რძეც არ მოგკლებია.
დღეს ღვთის წყალობა-კურთხევით,
ლამაზ ქმარ-შვილს დაგილოცავთ,
მეცა და შენი დედიკოც
დაბადების დღეს გილოცავთ.

მიკო ჰავლიაშვილს

ბევრი ტკივილი ვიგემეთ
დედაშვილობის მიჯნაზე,
ყველაზე კარგად იყავი
აემ ცხოვრების ჯინაზე.
ისეთი გარეგნობა გაქვს
მარად რომა შურს ბევრს,
გილოცავ და თან ვიხსენებ
შენს დაბადების დღეს.



დათო არჩვაძეს
ნანა გოგსაძის ვაჟს

სამეცნიერო ასახსნელს
უცებ წამებში ხვდები,
დედის და მამის გარეშე
ცხოვრებას მტკიცედ ხვდები.
გულის ტკივილს რომ არ იმჩნევ
სიძლიერისთვის გლოცავ,
და თანაც შენს დაბადების
დღესა და წუთსა ვლოცავ.



სიმონ ზაქაიარია

ჰასუხი „ბროწეულს“ ...

მზია ელიაშვილს

როგორ მხიბლავს შენი ლექსი, შენი მუზა,
მე, ხომ მესმის ქარიანი მუზის ფასი,
ჰოდა მინდა შენს წკრიალა ხმას მივაგო,
სათაყვანო სადღეგრძელო ღვინით თასი.
ბროწეული როცა ყვავის რომ გიღიმის,
გასუსული მზეს თაკარა სხივებს პარავს,
ოქტომბერში მკერდ აღვსილი შენკენ იღწვის,
თავდახრილი მორიდებით თვალებს ნამავს.
მიტომ მიყვარს ბროწეული შენკენ დახრილს,
ტაშს ვუკრავ და ვეფერები მის ოცნებას,
მის სწარაფვას და ჰარმონიას ვუმზერ შორით,
დამიჯერე შენი ლექსი, ჩემში იწვევს გაოცებას.
შენ რომ მოგწონს ბროწეული, ალისფერი,
ჩემს თითებში გაზრდილი და მოწეული,
მისი ფუნჯა ფესვები კი ჩემს გულშია,
სისხლძარღვებში გართხმული და მოქცეული.
ჰოდა, მზეებრ შენი მზერა უხილავი,
ღვთაებრივი ძალაა და მკურნალია,
დამილოცავს ის ბილიკი შენ რომ მოხველ,
ჩემს დაიკოს დახუნძლული ჟურნალია.

სულის სავანე

ზეცა სულის სავანეა,
მიწაზე კი ხორცი წამობს,
მინდა მავანს შევეკითხო,
აქ, სიკვდილზე რისთვის ნანობს.
არ მოგბეზრდა გვამის თრევა,
სულს, რომ ვარდის სურნელს აცლის,
მადლი ნათელ სულიწმინდას,
საუკუნეს რომ არ გვაცლის.
ნუ აგროვებ ოქროს ჯართებს,
ნუ იძახი „სულ მე მინდა“,
ემსახურე აქ შენს მამულს,
მამა ღმერთს და სული წმინდას.

ექსპრომტი ციხე ცაძრები

საუკუნეებს ისევ შეჰხარის,
ჟამთა ზარდახში გადანახული,
ალავერდი და გრემი, გელათი,
ჯვარი, ბაგრატი, ტაო, ხახული.
ნანას რომ მღერის, დედა მტკვარია,
ქართლის აკვანი რომ დაარწია
და ცერზე დამდგარ მთებს უხარიათ,
რომ დრო ვერაფერს აკლებს ვარძიას.
გვახსოვს არასდროს გაკლდა დარბევა,
დაგიქცევია სისხლი მპყრობელთა,
მთიდან მუქარით მოჰქრის არაგვი,
მაგრამ მუხლს იყრის სვეტიცხოველთან.

მეგობრობის ლამპარი

ჩვენ, მეგობრობის ვძერწოთ ფიგურა,
სამშობლოს ორგულთ გულს რომ უბზარავს,
ვინც ამ სიდიდეს ცამდე აიყვანს,
ის დაიმშვენებს ოქროს მუზარადს.
მეგობრებს უხმობს ელვა მჭექარეც,
ქუხილი, გრგვინვა მეხის გრიალი,
მეფე მიუძღვის ფიცხელ მეომრებს,
გამარჯვებულის დროშის ფრიალით.
მხოლოდ ერთობის ბურჯი გაკვალავს,
ამ წუთისოფლის გაუვალ წყვდიადს,
დე, გაუმარჯოს ყოფას მეგობრულს,
სამყაროსავით ნათელს და დიადს.
ამ დიდ სიკეთეს სულთა ერთობას,
მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სიბრძნე ახლავს,
და მეგობრობის ლამპარს ანთებულს,
ჩვენს ბედში მყოფი მდევარი ნახავს.
უზენაესი გრძნობის მორევში,
მიცურავს ჩვენი გემი ერთობის,
ის სხვა ქარავანს არ ჩამორჩება,
კურთხევა ახლავს მარადისობის.

* * *

ღამეს ებრძოდა ურჩი მამალი,
თვალს უბნელებდა წყვდიადის ფარა,
რა იცის ღამემ მის დასარბევად,
ყიყლიყოს ერთი ყივილიც კმარა.

დრო და სიყვარული

სულისკვეთება სიყვარულისა,
კი შემრჩენია უწინდელივით,
თუმცა კენტად ვარ ჩაფიქრებული,
ოდესღაც მთელი განუყოფელი.
ჩემი სიმღერის დიდი სათავე,
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია,
აქაობაში სულის სავანე,
ჩაუქრობელი წუთისოფელი.

ქეთინო ნიკურაძე

ჩემს ძმას ზურიკოს!

როცა გაიფრენს ბავშვობის წლები,
შეგეპარება თმებში ჭაღარა,
სითბოს მოგიტანს ეს ჩემი ლექსი
და გამიხსენებ შენს დას პატარას.
მე ვამაყობდი ყოველთვის შენით,
მოკრძალებული იყავ, ალალი.
ბუნების გამო „ დიდ ბავშვს“ გეძახდნენ,
თუმცა იყავი ტანად მაღალი.
თექვსმეტი წლისაც კი არ იყავი,
ჩემპიონობა რომ იზეიმე.
თითქოს სამყარო სულ ჩემი იყო,
ის ლამაზი დღე ახლაც მახსოვს მე.
მამის ოცნებას ფრთები შეასხი,
ნამდვილ ფალავნად ჩამოყალიბდი.
წაგებას ძნელად ეგუებოდი
და შენს მეტოქეს ტოლს არ უდებდი.
შორს იყო შენგან შიში, სიმხდალე,
როცა ტატამზე იყავ გასული.
მჯობნი არ გყავდა ორთაბრძოლაში,
თითქოს ლომკაცი იყავ ნამდვილი.
ბევრჯერ გვაჩუქე ზღვა სიხარული,
ყოველთვის ვიყავ შენი მეხოტბე.
ბევრი მოქიშპე გეპუებოდა,
მაგრამ ვერასდროს ვერ დაგაჩოქეს.
არ შეუშინდი არცერთ სიძნელეს,
არ ჩაგიმუხლავს არცერთი წამით.
შენ გამარჯვების ყოველთვის გწამდა,
და იმარჯვებდი ამ რწმენის ძალით.

დედას

წლებმა დანისლეს შენი თვალები,
ჩვენზე ფიქრები ძილშიც გაკრთობდა.
დედის ნანინა და დედის ლოცვა,
სადაც წავედი, ყველგან მფარავდა.
შემოგერია ჭაღარა თმებში,
ფერგასულ ტუჩებს ღიმილი გიკრთობს.
ულევ სიყვარულს ატარებ გულით
და გვინაწილებ სუყველას სითბოს.

ფოთლები

ჩუმად ყურს ვუგდებ
ფოთლების შრიალს,
ოჰ, რა საამოდ
მღერიან თითქოს.
ჩამჩურჩულებენ
ფოთლები ჩუმად,
მიზიარებენ
მეც საიდუმლოს.

გამარჯვების დღე

მზე რა უხვად გვაფენს ნათელს,
გული მეტი ლხენით მღერის.
გამარჯვების დღეს ზეიმობს,
ბედნიერი ჩემი ერი.
მტრის ჯინაზე საქართველო,
ბაღნარივით გადაშლილა.
ყველა მისი მოშურნენი,
დიდ უფსკრულში ჩაძირულა.
ღმერთო, იმ დღეს შემასწარი,
რომ არ იყოს გლოვის ზარი.
გამარჯვენას ზეიმობდეს
საქართველოს მთა და ბარი.

* * *

დღეგრძელობა ქართული გენს,
გამრავლდნენ და გაიხარონ.
შეიკარით ქართველებო,
რომ არავინ დაგამარცხონ.
მტერი ველარ მოგვერევა,
თუკი შური მოიპობა.
ერთმანეთის გვერდით დავდგეთ,
და გავწიოთ დიდი ძმობა.

სიმღერა სიყვარულზე

ყველა სიყვარულს უმრერის მარად,
მე, შენი ნახვის წყურვილი მკლავდა.
შენ კი სხვისაკენ გიწევდა გული,
ჩემს გვერდით ყოფნა არასდროს გწადდა.
და მაინც ისევ მე შენს სიყვარულს
კრძალვით და რიდით გულით ვატარებ.
შენი ქათქათა სახის ნათებას,
მზის მოციმციმე სხივებს ვადარებ.
სულ თვალწინ მიდგას შენი აჩრდილი,
სულს მოდებია მძიმე ნაღველი.
სიყვარულისგან ცეცხლი მინთია,
და ისე ვწვი, როგორც სანთელი.

მხოლოდ შენ ერთს

მხოლოდ შენ ერთს გადაგიშლი,
სიყვარულით დარდიან გულს.
მხოლოდ შენ ერთს შემოგწირავ,
თვალისჩინო, ამ ჩემსა სულს.
მე არავის ვანდობ შენს მეტს,
ჩემს პატარა საიდუმლოს,
გაგიტყდები სიყვარულში,
ოლონდ არსად დაიჩივლო.

სიზმარი

შენმა ლოდინმა და,
ფიქრებმა დამღალა.
ღვინოს დავეძალე,
ძილი მომეძალა.
სატრფო დამესინრა,
ნაზად მიღიმოდა.
გული გავუხსენი,
აღარ მიწყრებოდა.
ჩვენი ერეთგულება
ხატთან დავიფიცეთ.
დიდი სიყვარული
უფრო განვამტკიცეთ.
ბედნიერებისგან
გული მელეოდა,
შენი დალალები
ყელზე მეხვეოდა.
უცემ გამეღვიძა,
ჩამწყდა გულის ზარი.
გარეთ ქროდა ქარი,
შემოგლიჯა კარი.
ისევ დაიფერფლა
ოცნებების ფარდა.
არაფერი დამრჩა,
სინანულის გარდა.

ჩემო მშობელო მიწავ

ვუმღერ გაადაშლილ მთა-ბარს,
გულში რომ არის ხატად.
ჩემო მშობელო მხარევ,
სულ მეყვარები მარად.
სადაც არ უნდა ვიყო,
მკერდით დაგიცავ, ვფიცავ!
ჩემო მშობელო მიწავ
ჩემს თავსაც შემოგწირავ.
ჩემო მამულო ტკბილო,
გულში ჩაგიკრა მინდა
მოგიალერსო თბილად
ჩემი ხატი ხარ წმინდა.
ჩვენი წარსულის გმირებს,
არ დავივიწყებთ, არა!
გამარჯვების დღე დადგა,
მეტი სისხლისღვრა კმარა!

დამისხით ღვინო

ისევ მარტო ვარ, ისევ ეული,
უგზო-უკვალოდ დავიარები.
და როცა ღვინოს მივეძალები,
დავეძებ ჩემს სწორს ნაიარევი.
სად არ გეძებე, სად არ ვიყავი
ალბათ გაიყო კვლავ ჩვენი გზები.
საით მიდიხარ, საით მიდიხარ,
უკან მომძახის ნაცნობი ხმები.
დამისხით ღვინო, თუნდ ერთი ჭიქა,
რომ დამიამოს ეს იარები.
ღვინით დამთვრალი ძილს მივეცემი,
არ გამიხსენებს ძველი დარდები.
დამისხით ღვინო! მსურს რომ დამათროს,
შენგან გაწირულს ღვინო შემინდობს,.
მე უბედურსა, ბედნიერს გამხდის,
გულს დამიამებს, სეცდას გამიქრობს.
შენგან გაყინულს, ღვინო გამათბობს,
შემიბრალებს და სულსაც დაატკბობს.
შემივსეთ თასი პირთამდე სავსე!
ეს ერთი ჭიქა, მე რას დამათრობს.

ლალი მჭედლიძე

*** * ***

ისევ ძონძებით დადის სიმართლე
და სახურავზე ისევ ქარია...
დაჰკარგა ფიქრმა თვალის სინათლე,
და თქვენს სულებში ლურჯი ღამეა.
 გახედნის გული ტკივილს, მიმადლეთ,
ეს ერთი პეშვი სითბო რას მიზამს?
თქვენ ისევ ბოდავთ,ისევ იხარბებთ,
მე კი გავრეკავ ღრუბლებს ღამიდან.
ამდენ მლიქვნელს და ამდენ შარიანს,
ვიცოდე ნეტავ,რა მიწა გიტანთ?!
ალესილი მაქვს სიტყვა მახვილად,
ჩამომეცალეთ!
 მიზნამდე მივალ!

ედესის ჩანჩქერთან

უმზეო დღეებს ვითვლი და ვბეგრავ,
ოჰ,უშენობაც აღარ მთავრდება.
ასე ინება უფალმა ღმერთმა–
კვლავ უშენობით,მარტოდ ღამდება...
რამდენი წელი გავიდა ნეტავ?
ან რად იცვალეს ფერი ყვავილთა?
მე მავიწყდება ნელ–ნელა ყველა
და ვდგავარ ახლა უცხოდ,ნაპირას...
რად ვგრძნობ ედესის ჩანჩქერის ელდას?
ან ბროლთა მსხვრევას,ქილიკს ქარისას?!
რად მენატრება ნაცნობი მზერა,
ან რისთვის მახსოვს,რომ.მეც ქალი ვარ?!

მკათათვე.2002 წ.

*** * ***

ჩემო კეთილო, მრავალ რთვლობას და შემოდგომას
დასწრებოდე ფერად–ფერადი ოცნებებით დამშვენებული,
გალამაზებული, მომხიბვლელი!
მიილევა მალე მწიფობისთვეც და
მოვა მართლა იდუმალი და
საოცრად მისტიკური გიორგობისთვე
თავისი ფოთოლცვენითა და
ადრინდელ სიყვარულზე დარდით.
დაუწყებენ ძებნას ძველ ბარათებს
ქალბატონები და ბატონები
ყვითელ ფურცლებზე.
ამოიკითხავენ სულის
სიწმინდეს–ჟამით წარტაცებულს.....
ეგებ დაედევნოს პეპლებს–მოფარფატეს
ერთი დღისთვის დაბადებულებს,
ეგებ მოეფეროს ყვავილს – ციცქნას,
მოვლენილს სულ ერთი დღისთვის?!
ნუ დახევთ ყვითელ, მაგრამ მშვენიერება
შენარჩუნებულ ბარათებს!
იქ არ ამბობენ "მიყვარხარ",
იქ მხოლოდ გრძნობენ – სურვილთა სურვილს,
უბრალოდ გრძნობენ...
ახალგაზრდები იღიმებიან....
თქვენ მათ ვერ ხედავთ მხოლოდ იმიტომ,
რომ სადღაც გეჩქარებათ,
რაღაც დიადის ძიებაში,
მართლა დიადი და დიდებული
შეუმჩნეველი რჩება....
ღამე მთვარის აკვანში
ვარსკვლავადშობილ პირმშოს აძინებს,
ზღაპარს უთხრობს
– დიდი სიყვარულის ხანმოკლე ზღაპარს,
ულამაზეს და უთეთრესს,
უსპეტაკესს და ჭაღარაშერეული
სიყვარულის პაწაწინა ზღაპარს...
გათენდება ისევ...
ეგებ ჩრდილები შეახვედტოს
მზემ–ერთმანეთზე მლოცველთა ჩრდილები.
ხომ შეიძლება? თუნდაც, ცოტა ხნით
შემოდგომის პაემანი ფიქრთა შეჯახებით
დასრულდეს იქნებ?
იმათ ხომ ჯერაც უყვართ და
ყვითელ ბარათებს ერთადერთ განძად სთვლიან....
ნი მიუმწუხრებ მათ სიყვარულს,
უფალო, შეიწყალე!

* * *

არ ვიცი,ახლა რატომ გწერთ ბარათს,
ან მონატრებამ როგორ დამძლია?
თქვენ ალბათ ლოცვად მოსულხართ ტაძრად,
აქ კი ლოდინის თეთრი ლანდია...
ლოცვა მადლია!
მე მოვიწყინე,ვუწყრები ზამთარს
,ჩემს სამშობლოში ისევ ქარია....
ვერ შეგატოვებთ ცრემლსა და დარდთან,
ყველას გავედრებთ წმინდა მარიამს...
ლოცვა მადლია!

2003 წ.

სურწყუნისის იები

გაცვეთილი ხავერდი....ცარიელი ჭიქები...
უძველესი ავეჯი,შეჩვეული ფიქრები...
გამახსენდი,გიდარდე,ო,ვერაფრით გიშველი!
კვლავ ქარიშხალს ვებრძვი და სიცივისგან ვფითრდები.
არა,არ შემიშინდე,შენ არ დამავიწყდები.
მაქვს ლოდინის ნიჭი და დაბრუნების იმედი.
ჩემო ტკბილო სამშობლოვ,ნუთუ შენ კვლავ გჭირდები?
ნუთუ არ გავიწყდება შორს წასული შვილები?
მოვალ,როცა ზამთარი დაიცლება ფიფქებით,
როცა მიწას სინაზედ ამოჰყვება იები,
მაშინ დაგიბრუნდები,მაშინ აგიცრემლდები,
ოღონდ არ დაივიწყო სურწყუნისის იები!

აპნისი.თესსალონიკი.
2002 წ. აპნისი.

იყო ქალი და იყო ჩიორა

მე ახლაც მცივა,როგორც მაშინ,როგორც ოდესღაც,
ჩემს აივანზე გაყინულან თეთრი ვარდები.
თითქოს დღითი დღე ვემსგავსები
თოვლის დედოფალს,
შორიდან მოჩანს თეთრი ტაძრის შუქი ნათელი
და აღარავინ არ მენატრებით!
გემშვიდობებით ისევ დიდი ხნით–
ყველა ნაცნობს და ყველა მეგობარს.
იყო ოდესღაც თეთრი ზღაპარი.იყო და
თითქოს არა იყო რა....
ვერგამხელილი ჩუმი დარდივით იყო ქალი
და იყო ჩიორა.....
უსიყვარულოდ სული სტკიოდათ...
სადა ხარ ახლა ჩიტო, ჩიორავ?!

მარიამობისთვე.ელლადა.2001 წ.

* * *

შენი ნანგრევებიც ტაძარია და სალოცავი ჩემი.
სხვაგან დარია,თუ ავდარია, შენ გაზაფხულივით მელი.
შენი სიყვარულიც ზღაპარია ულამაზესი გედის,
სადღაც უმკაცრესი ზამთარია,
შენ კი მზე ჩაგიწნავს მთებში.
როგორ შემოგბედო სადღეგრძელო,
–ჟამთა გარდასულთა სუნთქვავ?
ღვთისმშობლის მადლით კურთხეულო,
უნდა გადამირჩე,უნდა!...
შენი ნანგრევებიც ტაძარია და სალოცავი ჩემი....
ღმერთო,არ ჩამიქრო საქართველო!–
დედა მარიამი გვედრის.....

მარიამობისთვე.ელლადა.2001 წ.

ქარი... წვიმები...

შენ ახლა გძინავს...შუაღამეა...
მოჰქრის ქარი და მოაქვს სიზმრები.
და ჩემს ტილოზე მუქად შავდება
ნაგრძნობი ღამისდარი ფიქრები.
ძვირფასო, უკვე დიდი ხნის წინათ
ჩვენ ერთმანეთი დავკარგეთ ნებით.
მე ახლა ისევ შენს ახლოს მინდა,
არადა, თითქოს მამძიმებს წლები...
ჰო, ძველებურად ვნატრობ და მიყვარს
დღე შორეული – თავდავიწყების.
მამადავითის ტაძართან წვიმდა,
დღე დავასრულეთ ჩვენ განშორებით.
მე უკვე გდარდობ და ისე მინდა,
შენს ახლოს ვიყო, ვიგრძნო – გჭირდები.
ო, როგორ მიყვარს, ო, როგორ მიყვარს
ქარი...წვიმები...ქარი....წვიმები...

თიბათვისა 2001 წ.

პაემანი მზესთან

ქარიშხლიანი სევდა და შორეული შუქი
მოადგა სულის სარკმელს,მე კვლავ აპრილებს ვუცდი.
მაქვს პაემანი მზესთან და მოლოდინია წუთი,
ფერთა თამაში მხიბლავს–ასე აწყვეტით ურჩი.
ვიღაც დაანთებს სანთელს და გზად მიაგდებს ტკივილს.
რა მისტიური დღეა,ცაც დამშვიდებით ლურჯი...
არ დავბრუნდები შენთან,მე გაზაფხულებს ვუცდი.
წვიმადანამულ ვარდებს და იასამნის ღიმილს....
დამაგვიანდა რადგან,როცა ყვაოდა ნუში,
ატმისყვავილისფერი აცახცახდება ტუჩი.
მაქვს პაემანი მზესთან და სიყვარულის წუთი..

ვარდობისთვე. 2001 წ.

ბელა ალანია

წვიმდა...

დილით წვიმდა პარიზში,
წვიმდა თავგამეტებით,
წვეთი შემომეჩვია
ხელის ფრთხილად შეხებით,
ერთად მოვიწანწალეთ
ელისეის მინდვრები,
ხეებს შეფარებოდნენ
გალუმპული ჩიტები,
უცხო ბიჭი ელოდა
გოგოს ია-იებით,
აქაც მოგისაკლისე
წყენის ვერპატიებით.
მაინც ყველგან გეძებდი,
ფიქრებს ვეფიცხებოდი,
სადმე შემომხვედროდი,
ანდა მომჩვენებოდი,
თავი მკერდზე მიმედო,
დამეთვალა ღილები,
დაგეკოცნა თვალები
ძებნით გადაღლილები,
შენს უბეში გამეთბო
გათოშილი თითები,
გეთქვა: ვერ გაგიმეტე,
სხვისთვის ვერასდიდებით,
ახლა უფრო მიყვარხარ,
ახლა უფრო მჭირდები...
წვიმდა, წვიმდა პარიზში,
წვიმას ბოლო არ ჰქონდა,
შენზე მონატრებული
გული ხელით დამქონდა...

* * *

ისეთი ვნებით ანათებს მთვარე,
ღამეს შეაცდენს ახლა უთუოდ,
მე მომწონს, როცა შენზე ფიქრებში
ვხდები ცელქი და ვხდები უჭკუო.
მე მიყვარს ყველა დაღლილი ღამე,
დილის იმედით რომ მითენდება.
ის ადგილები, სადაც გხვდებოდი,
ისევ რომ ბევრჯერ გაგვახსენდება.
მიყვარს თებერვლის სუსხით ნაკვები
დუნაის ლურჯი, მშვიდი პიანო,
გიგზავნი ლოცვებს, როგორც სინათლეს,
რომელიც ახლა ლექსად ხმიანობს.
მე მიყვარს შენი უთავბოლობა,
გამოგონილი ჩემზე მითები,
მაშინაც როცა ეშვება ფარდა,
კულისების რომ რჩება იმედი.
გადარეული ჩემი შიშები,
ვიცი, არაფრად ულირს სამყაროს...
მე მეშინია, ეჭვიანობამ
შენი თავი რომ გადამაყვაროს!
ბედი არ მცდიდეს და უშენობის
ძნელი გამოცდაც ვერ ჩავაბარო,
არ დაგივიწყო, როგორც სიზმარი,
ჩემი ყველაზე ჭრელი სამყარო...
წამიდან წამზე შენს ძილს ვდარაჯობ,
გაიღვიძებ და გეტყვი: მიყვარხარ!
მე მიყვარს ყველა დაღლილი ღამე ,
გულში რომ მზეს და სითბოს ინახავს.

ჩუმი აღსარება

(„ოლონდაც შენი მერქვას“
თეო ქუმსიაშვილი)

ნუღარ გეშინია ჩემი მდუმარების,
იქნებ მოუსმინო გულის უხმო ფეთქვას,
ნეტავ, რა მოხდება,
თუნდაც ერთი წუთით,
(თუნდაც ერთი ნახვით)
თუნდაც ერთი წამით,
ისევ შენი მერქვას.
ისევ მოვიდოდი შენთან ფეხაკრეფით,
მუხლსაც მოგიყრიდი
გულის ნაზი თრთოლვით,
მე რომ შენი მერქვას,
მე რომ შენი მერქვას,
დაგეფინებოდი როგორც მწვერვალს თოვლი.
კიდევ ბევრი ღამე უნდა გაგითენო,
გითხრა, აქამდეც რომ ბევრჯერ უნდა მეთქვა:
ყველგან ობოლი ვარ,
მზედ თუ არ დამყვები,
მინდა, სიკვდილამდე მხოლოდ შენი მერქვას.

* * *

როგორ მოხდა, რომ ყოველი დღე მართმევდა შენს თავს,
ველარ გავძელი, ავდექი და თვითონ წავედი,
ის რომ მცოდნოდა, რა გოლგოთაც მელოდა შენთან,
მოვკვდებოდი და არასოდეს შეგიყვარებდი.

ასე ცალ-ცალკე, ნელა-ნელა ვკლავდით ერთმანეთს,
შეგვრჩა დღეები - უგულო და უერთმანეთო,
ველარაფერი დააბრუნებს დაკარგულ ნდობას,
ერთ დროს ვფიქრობდი, ბევრი რამე გვქონდა საერთო.

როცა მეგონა, უხმოდ უნდა გაგეგო ჩემთვის,
გაუგებრობის ჩამოეშვა ჩვენს შორის ფარდა,
მე მიგატოვე და ეს დრამაც დასრულდა ასე,
დამნაშავე კი არვინაა - ჩვენ ორის გარდა.

ისე დაგშორდი, სინანული არც კი მიგრძვნია,
გაბრაზებულზე შევიხსენი გრძნობის ხუნდები,
თუ არ გელიან, დაბრუნებას არა აქვს აზრი
და რომც მელოდო - უკან მაინც არ დავბრუნდები.
მე მიგატოვე...

ვიდრე შენ მყავხარ...

მე არ მოვკვდები, რომც მოვიდეს ხვალვე სიბერე,
სანამ თვალებში ლივლივებენ ცისარტყელები.
მიწა ხარ ჩემი, მარადნორჩი სიცოცხლის ნერგი,
ვსაზრდოობ შენით, ვსუნთქავ შენით და გეფერები.

შენი პირველი გრძნობა თუკი სხვა იყო ვინმე,
გამოზაფხულზე ფიფქებივით ჩადნა ხელებში...
რაც იყო იყო, სიყვარულად მოვღელავ შენთვის,
სულ სხვა სიმძაფრით გეყვარები, სხვა გახელებით.

უკანასკნელი სიყვარულის იწყება თოვა,
ვიდრე შენ მყავხარ, სიყვარულით სავსე ვიქნები.
მე არ მოვკვდები, ვიდრე შენით ვხარობ და ვლაღობ,
სანამ ყვავიან ბაგეებზე ატმის კვირტები.

რა მომკლავს ახლა, თვალებში რომ გადნება ზეცა,
როცა ღამეებს სიყვარულის ცეცხლი ედება,
ვიდრე ჩემს თმაში ფარფატებენ ჭრელი პეპლები,
როცა სიშლეგით მარტის ქარიც ვერ შემედრება.

სანამ თებერვლის მზე ნათობს და მიწა იძვრება,
ამოსკდნენ უკვე ენძელები ნისლისფერები...
ვიდრე შენ მყავხარ და მახსენებ, როგორ გიყვარვარ
და რომ ვარსებობ მხოლოდ შენი დღის გათენებით!
ბელა ალანია

თამარ ჯაჭვაძე

მე ქალი ვარ და...

8

მე ქალი ვარ და გამეგება ამ სამყაროს ანიც და ჰოეც,
მე ქალი ვარ და სუფთა ფურცელი - ჩემი გონება.
მე ქალი ვარ და სუსტი, ჩემი ნაზი ბუნებით,
მე ქალი ვარ და უძლიერესი უნდა ვიყო, რომ გავძლო.
მე ქალი ვარ და ცხელ-თბილია ჩემი არსება,
მე ქალი ვარ და სულ გაყინული.
მე ქალი ვარ და საყვარელი ვხდები კაცისა,
მე ქალი ვარ და საზიზღარიც ვხდები იოლად.
მე ქალი ვარ და მარტივი და ხელმისაწვდომი,
მე ქალი ვარ და ურთულესი, აბსტრაქტული სამყაროსავით.
მე ქალი ვარ და სიკეთის ზღვა ვარ,
მე ქალი ვარ და ბოროტების ბუდეც, სათავეც.
მე ქალი ვარ და ერთგულება შემიძლია დაუსაბამო,
მე ქალი ვარ და მოღალატე ჩემი ბუნებით.
მე ქალი ვარ და ვარ სიცოცხლის დამბადებელი,
მე ქალი ვარ და ვშობ სიკვდილისთვის.
მე ქალი ვარ და მშვიდობის მტრედი,
მე ქალი ვარ და შუღლის პირველმიზეზთაგანი.
მე ქალი ვარ და სილამაზის ეტალონი ვარ,
მე ქალი ვარ და სიმახინჯე ენითუთქმელი.
მე ქალი ვარ და სიოსავით ჩუმი და ფრთხილი,
მე ქალი ვარ და გრიგალებზე უფრო მქუხარე.
მე ქალი ვარ და სიხარულის სათავე მქვია,
მე ქალი ვარ და მწუხარების ზღვა.
მე ქალი ვარ და ზნემაღალი ვარ,
მე ქალი ვარ და ზნედაცემული.
მე ქალი ვარ და სიმშვიდე და სიმყუდროვე ვარ,
მე ქალი ვარ და შფოთი ვარ და აურზაური.
მე ქალი ვარ და ანგელოსის ფრთები მეზრდება,

მე ქალი ვარ და კოხტა ეშმაკის განსხეულება.
მე ქალი ვარ და მზის ელვარება, მზიანი დარი,
მე ქალი ვარ და ბნელი, უკუნი, მერეხი, წარღვნა.
მე ქალი ვარ და გაზაფხული ვარ,
მე ქალი ვარ და ცივი ზამთარი.
მე ქალი ვარ და წვეთი ვარ თაფლის,
მე ქალი ვარ და მწარე ნაღველი.
მე ქალი ვარ და უსაშველოდ დიდი ტკივილი,
მე ქალი ვარ და წამალი ვარ ყველა ტკივილის.
მე ქალი ვარ და დაკარგული შენი სამოთხე,
მე ქალი ვარ და ჯოჯოხეთი ხელშესახები.
მე ქალი ვარ და დღე ვარ ნათელი,
მე ქალი ვარ და ღამე ვარ ბნელი.
მე ქალი ვარ და ჩირაღდანი ვარ ედემისა,
მე ქალი ვარ და ჯოჯოხეთის შავი მაშხალა.
მე ქალი ვარ და ბრძენთა აღმზრდელი,
მე ქალი ვარ და სიშმაგეთა წარმომშობელი.
მე ქალი ვარ და ყველა გემის ნავთსაყუდარი,
მე ქალი ვარ და გზა უსასრულო და უსამანო.
მე ქალი ვარ და სამყაროს ძიძა, დედა, პატრონი,
მე ქალი ვარ და ვეძებ იმ კაცს, ვინც მიპატრონებს.
მე ქალი ვარ და ერთი ნეკნი ვარ პაწაწინა...
და ამავე დროს მთელი შენი ბრიყვი სხეულის თავშესაფარი
ბოლოს და ბოლოს
მე ქალი ვარ და სიყვარული ვიცი უსაზღვრო,
მე ქალი ვარ და სიძულვილიც უზომო ვიცი!
მამაკაცებო, არჩევანი თქვენზეა!

ლეილა გაფრინდაშვილი

ჩემი მურა

ერთგულია ჩემი მურა, თავს მევლება,
ვერ იკმარა ამ საწურთოს გაელვება.
ციხებურჯს კი ეცრიცება გალავანი,
მურია ჰყეფს... მაინც მიდის ქარავანი.

მერჩის გული, მოთხოვნებით არ იღლება...
ქარავანი!? წუთისოფლის გზას მიჰყვება...
ჭაპანზიდში მეცვითება ქალამანი,
მურია ჰყეფს... არ ჩერდება ქარავანი.

წყნარად,მურავ, დაიღლები, ადვილია?
იქნებ იქით კიდევ დიდი მანძილია?
ყურს არ მიგდებს ჩემი მურა, არც იღლება...
ქარავანი!? წუთისოფლის გზას მიჰყვება...

გაცვეთილა, ტერფს ადნება ქალამანი...
ჰყეფს მურია, ვიდრე მოსჩანს ქარავანი...

კლდე ჩამოიშალა

კლდე ჩამოიშალა,
დაასკდა მიწაზე, ღრიალი აღმოხდა,
გრძნობისგან დაცლილმა გულცივმა მავანმა
სთქვა: მერე რა მოხდა?
ჰეი, შენ, უგულო...
კლდე მიწას იჭერდა, კლდეზე ხე ხარობდა,
ხეზე დედა ჩიტი ბუდეს ათბუნებდა,
ბარტყებთან გალობდა...
კლდის ტირილს შევესწარ,
გაგლეჯილ გულიდან ცრემლები სდიოდა,
ვიღაც გულგრილობდა,
ვიღაც არ იმჩნევდა, ვიღაცას სტკიოდა...

ზარების წკრიალი

გამორთეს სინათლე,
არსად ჩანს მთვარე,
მოვიდნენ ბიჭები,
განათდა ღამე!
გვერდით მოვიწვინე
ლუკა და გიგი,
ვხარობთ,
სიყვარულის ჩამოდგა რიგი...
12-ის, 14-ის,
ჭერ კიდევ ანცები
ჩემს ოჯახს სტუმრობენ
პატარა კაცები.
-ბებო! წარსულიდან გვიამბე რამე...
ოთახში ხალისობს უკუნი ღამე,
სოფლის და ქალაქის ვუამბე ამბები,
მერე აიშალეს ლექსებმა აფრები...
უშუქო ქალაქი ქედს უხრის განთიადს,
ჩემს სახლში ხალისის ნათურა ანთია!
ვერას შემაშინებს სიბნელე ტიალი,
იმედის ზარებმა ატეხეს წკრიალი!!!

შეჩერებული სუნთქვა

ხომ არ ჯობია ვიყო გულღრძო და გულქვა,
ვიდრე მახრჩობდეს შეჩერებული სუნთქვა?!
ვცადე სიხისტე, ვერ ვიარსებეთ ერთად,
როდემდე გაძლებ? გულო არ მექცე ფერფლად.
ეკალნაჩხვლეტზე სისხლის წვეთების ბმული...
უკვე დათმობა უაზრობაა სრული.
-სიტყვის ტყვიები... თოფის ტყვიებზე კრული-
მკაცრობს გონება, არ ეთანხმება გული.
თავშეკავება-მოთმინებას აქვს ზღვარი,
გონს მოუსმინე, გულო, დარეკე ზარი!!!

* * *

ავედევნე ქუჩაში ფიქრებს მოხეტიალეს,
გზააბნეულს ავყევი, სახლში დავაგვიანე.
დედა მელოდებოდა დაქანცული, მღელვარე,
ღამეს ეძინებოდა, კართან იჯდა მთვლემარე...
თვალი ვერ მოეხუჭა, მოლოდინი აკრთობდა,
ხეტიალა გოგონა, ფიქრის სკივრით დაქროდა.
ფიქრებს მოხეტიალეს, ჩირაღდანი ავუნთე,
ღამეს ჩემს მოლოდინში, ღამის ძილი დავუფრთხე...

მიზიდულობის ძალით

მიზიდულობის ძალით
გულში ჩამიკრეს მთებმა,
ხეთა შრიალში ჩავრჩი,
ჩამოვიბერტყე სევდა.
განცხრომის ყრუანტელმა
ამიფერმკრთალა სახე,
რაც ვერ ვიხილე ბარში
მთების სიღრმეში ვნახე.
ჩამოიმღერა წყარომ,
ამიყოლია ხმაში,
ტვირთი დავტოვე ქალაქს...
დღეს აფრენა მსურს ცაში.

ტანგაშიშვლებულ ხეებს
თოვლი აყრიათ მხრებზე,
ფითრი, ბუჩქების გროვად
დაკიდებულა ხეზე.
შემოუცვიათ ნაძვებს
ფიფქის ფუმფულა პალტო,
ზამთარი დანებივრობს,
ტყე კი გაზაფხულს ნატრობს!
მიამბობს ზეცის ამბებს,
ფანტელი თოვლის ფიფქის
გულში ჩავხედავ მამულს,
დღეს აქ დარჩენა მიღირს!!!

ცოტაც მაცადე

ფინჯანის ფსკერზე,ყავის ლექში ფიქრით ჩავეშვი
ავბორიალდი, ჩემი თითი ფუნჯად ვაქციე,
ჭიქის კედელზე მიმოვხატე გზაჯვარედინი,
შენ შორით ჩანხარ, სევდას თავი ვერ დავაღწიე.
ვდგავარ ამ სევდით, ხისტად გიცქერ სახემზიანი,
გაჯიუტებით ვერიდები გზას, შენსკენ სავალს,
ზურგი გაქციე, შემინდე, ნუ გამიჯავრდები
დროებითია ყველაფერი, როგორც ეს გაყრა.

ასაკში გავხდი მტაცებელი,სიცოცხლის ხარბი,
ცოტაც მადროვე, წლების ღვედი კიდევ გავცვითო,
შენსკენ სავალზე მოვიგროვო სათქმელი ბევრი...
ლექსის ხურჯინი ტანს ავისხა, როგორც აკიდო.
წუთისოფელი შემოარღვევს სიცოცხლეს ჯებირს...
ჩვენს შორის ახლა ბინდიანი, მუნჯი მთებია,
ჩამოჟანგულ ფრთებს დრო მოამტვრევს ჩემს სიჯიუტეს,
გაყრილი გზები ძველებურად შეერთდებიან!

მზიური დათიაშვილი-აფციაური

გიილოცავთ დაბადების დღეს, 4 იანვარს!

უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II

უ–სინათლოდ რაა დედამიწა?
წ–ილყრა მასთან, ცის სიწმინდე არის.
მ–ართალ სიტყვას უფლის რწმენით ვიცავთ,
ი–ძენს დიდ მადლს შენი ლოცვით ერი!
ნ–ათლისმცემლის მირონს გადმოგვასხამ,
დ–ა ღვთისმშობლის კალთას დაგვაფარებ...
ე–სოდენი სითბოება გვახლავს,
ს–იყვარულით ფართოდ გვიდებ კარებს.
ი–დღეგრძელე მამულისთვის ჩვენო,

დ–იად ჭვრეტაშემოსილო მნათე,
ა–რასოდეს მიგვატოვო სხვენო,

უ–წმინდესო, ჭერი გაგვინათე.
ნ–ანატრ ლოცვით აგვიხილე თვალი,
ე–დემად მყოფ მამას გვაზიარე,
ტ–ურფა ხმათა გალობები თალე,
ა–რ დაკრიფო ბადრი მსხმოიარე...
რ–ამდენ ტაროსს გაუძელი, მამა!..
ე–რესს გული ამოგლიჯე ძვირი,
ს–აქართველოს მოევლინე ნამად,
ი–ლოცე და ალოცვინე მწირი...

ს–იტყვა წმინდა, უპირველეს ყოვლის,
ა–ღსარების წმინდა საიდუმლო,
ქ–რისტეს სჯულის წმინდა მოამაგე,
ა–ნგელოზი გლოცავს მთად „ულუმბოს“!..
რ–აფაელის ნიჭი გიძღვნა ღმერთმა
თ–ქვენ ის მხსნელის მოვლინებას გამცნობს,
ვ–ით „ვულგატა“ – ბიბლიური კვერთხი,
ე–რგასის დღეს გალობებით გვამკობ...
ლ–იტანია სულს გვიწრთობს და გვშველის,

„Ო–სანა“ და ღვთისმშობელი გვლოცავს,
ს-ააღდგომო ეპისტოლე შენი,

კ–ატეხიზმო – ლოცვის მადლით გვმოსავს.
ა–თი მცნება – სულის მატიანე,
თ–ითო თითოს გზას გვიკალავს ღამის,
ო–ქტოიხოსს, პარაკლინტონს გვიქმნი,
ლ–ავრა, ღვთის კარს ფართოდ გვიხსნის, პალმის...
ი–ესოსთვის ლოცვით განმწმენდილო,
კ–ვართის მადლით, ერს, რომ წმინდავ ახლაც,
„ო–სანა“, რომ მის დიდებას გვამცნობს,
ს–ამება გვწამს მის მგალობელ ხალხსაც...

პ–აწაღია ჯვართან ერთად გვლოცავს,
„ა–ბბა!“ შენი იმედი გვაქვს მამაცთ,
ტ–რიკარით, რომ გარდმოგვსახავ ღვთის ჯვარს,
რ–ოტონდა ქუხს: „ღმერთი ჩვენთან...! კვლავაც...
ი–ერარქიამ ანგელოზთა, ამცნო ქვეყანას;
ა–ღსვლა სერაბიმთ, ექრუბიმთა და საყდრიონთა,
რ–ომ ცეცხლით მოსპობს უმადურია, დემონთ დათრგუნავს,
ქ–ერუბიმები დაიცავენ ღვთის სამოთხის კარს, –
ი–არსებებენ ქვეყანაზე წმინდა მცნებები...

ი–დუმალება სიყვარულის ლოცვით გადმოვა,
ლ–იტურგიაში ჩაბმულია ქვეყანა ვრცელი,
ი–ადონივით იგალობებს ერი ქართველთა, და
ა–ლიონი ცისკრის ზარებს აღაგზნებს გზნებით: –

მ–ამულისათვის აღენთოო მწყემსი ილია!
ე–ნატრებათ, საქართველოს გამთლიანება...
ო–მების ბელადს, წმინდა დავითს აღმაშენებელს –
რ–აინდს მთლიანი საქართველოსი, პატივ მიაგო და
ე–რთგული თავის ხალხის, ქვეყნის წმინდანად აღიარა!..
ს–ანეტარო ჯვარი გარდასახა ხვალინდელი დღის შთამომავალთ,
ქრისტიანული ლოცვა-კურთხევით!..

მ–ინდა იცოცხლო დიდხანს... მუდამ... დაუსრულებლად...
ზ–ეცას ესმოდეს უერთგულეს ლოცვა შვილისა...
ი–ლოცე, მამავ! – საქართველოს სიწმინდისათვის,
უ–სიყვარულულოდ ეს სიცოცხლე არცა რად ღირსა!...
რ–აფაელივით მოგზაურობ შენს ერთან ერთად,
ი–კურთხოს დიდი სათნოება შენი ღვთისაგან!..
ს–ამების ძალა მოგანიჭოს უზენაესმა
ა–ღავსოს რწმენა უსათნოეს ქრისტიანეთა!..
გ–იხაროდენი! – გაბრიელის წმინდა „ხარება“,
„ა–ლილო!“ – ხალხის ხსნად მოსულო ნიჭიერებავ!
ნ–ათელი გდევდეს თვით უფლისა სამყოფელამდე!..

დღეს –
2019 წლის 4 იანვარს პატრიარქის დაბადებისა და ჩემი შვილის – გიორგის დაბადების დღეს, შეგვეძინა შვილთაშვილი – ნუცა. უფალმა-ღმერთმა დღეგრძელი გამყოფოთ ყველა!..

ნუცას

გამობრწყინდება „წმინდა ნინოსი“ –
„ათინათისა“ დიდის, ციურის
და მოვლინება ჩვილის ღვთიურის,
ღვთისმშობლის ლოცვა მარადიული –
შენა ხარ – ნუცა აფციაური!..

.....

როგორ ელოდა პაპა ვასილი,
შენს დაბადებას ღვთიურო ქალო
შენ, დიდი გვარის შთამომავალი,
მის სიწმინდეთა დამცველი ხარო!

შენს ცხოვრების გზას საზღვარს უფალი,
მსურს მისი მადლით რომ გაიხარო,
დიდ სიყვარულის შთამომავალო,
წარმოშობითვე ღვთის შვილი ხარო!

ნუცას „აღსარება“

დიდება! – წმინდა სამებაო სიტყვის და ლოცვის,
მამაო, პირველ სიტყვათაო, ვედრებავ სოფლის,
მირონცხებულო იოანე! – მარგუნე შობილს,
დაბადებითვე თავდადრეკა, მუხლდრეკა მშობლის,
უმაღლესთა წინ უმდაბლესი სურვილი მოყრის...
ღვთისმშობლის გზნებით სალოცავო,
ჩემი სისხლ-ხორცის,
წმინდაო სულით საცისკროოთ, ლოცვად
სხივს მტყორცნი,
რომ აღსარებით ვაღიარო ცოდვანი მხოცნი...
ო მაპატიე სიწმინდენო ნათელლნო, გკოცნით!..
შენი სახება, მამაო და სულო წმინდაო
დიდ სიყვარულმა – ტკბილ იესომ დამაწინდაო, –
– შენა ხარ მეკვლე სიცოხლისა, რამაც მწმინდაო,
სულით და ხორცით გეაჯები, შემქმენ „წმინდაო“!..

დიდი ბებო – მზიური აფციაური,

ლევან ჩხაიძეს
I არხის ქართველ ჟურნალისტს,
(გარდაიცვალა 33 წლის ასაკში 21/I-2019წ.)

ჯაკოს

ჯ-ეილო, რა მოგივიდა, რატომ დატოვე ჯავაზი? –
ა-ტმის ყვავილებს ადარე, შენი სიცოცხლე ლამაზი,
კ-ოკორო აყვავებულო, გიხმობს ცა მისი თავაზით...
ო-ლიმპოს მთაზე მიგელის გუნდი ფრინველთა – გავაზის...

ლ-ალე, ლალე, ვერ დამალე,
ე-დემს რგული ჯავარი,
ვ-აი, როგორ ატრფიალე ახალგაზრდამ ჯადვარი,
ა-იტაცე იაგუნდი, ცას მოსწყვიტე ყამარი,
ნ-ატვრა ნატვრად, რომ არ დაგრჩა, და ეს არის მთავარი...

ჩ-აგჩურჩულებს საქართველო, აღარცა ქუხსო მტკვარი,
ხ-ალხი როგორ დაადუმე შენი დანატოვანი,
ე-ზიარე რა სიწმინდეს, სისხლი შესვი მტევარის,
ი-ლოცე ვით ვინმე ბრძენი, ან ქართველი მტბერავი...
ძ-ირი, ფუძე, ვით გოდოლი, – მონაშენი, ყევარი,
ე-რთ არსებად გარდაქმენი შენი მონაწევარი,
ს-აუკუნო სიცოცხლისთვის, დათმე შენი მდევარი!..

P.S.
ისევ გამეხსნა ჩემი ჭრილობა, სისხლმდენი, ბასრი, –
დედამ დაკარგოს ტურფა შვილი! – რაღას აქვს აზრი? –
– ვერ წავიქცევი, დავიჩოქებ, ... – ქვა კი – ბრმად ნასრი,
ვერ შეახორცებს ჩემს ჭრილობას, შვილო!.. – ვერც არსი!..

ნელი გიუნაშვილი

როჭოს ჩანჩქერი

როჭოს ჩანჩქერი მაოცებს,
სუფთა არის და ანკარა,
მის ირგვლივ ტყეა ლამაზი,
მზე ვერა სწვდება თაკარა.

ისე ცივია, როგორიც
ყინულის მონაჟურია,
მას ნახავ ცქერად იქცევი,
მისი დალევა გწყურია.

მოშხუის ხმაურიანი,
გადაქცეულა გიჟადა,
სად მიდის, სად ეჩქარება,
თავი ჰგონია ვისადა.

ჩამოუქროლებს ირემი,
სტუმარი არის ხვთისაო,
მაგრამ როგორ ვთქვა სტუმარი,
მასპინძელია ტყისაო.

რა ლამაზია საცქერლად,
როჭოს ჩანჩქერის ცდუნება,
მისი გარემო, მიდამო
მისი ლამაზი ბუნება.
ჩამოქროლება ირმების,
მათი ხილვა და ყურება.

ჩემს მეუღლეს

ამ ღამით ჩემს წინ
აიშალა ფიქრთა აფრები,
დროდადრო ჩამთვლემს
არ მასვენებს ძველი ამბები.

უმთვარო ღამით, მე ავანთე
თეთრი სანთლები,
სანთლებთან ერთად
მეც ვიწვები და ვიდაგები.
სანთლებს ცრემლები
ღვარა-ღვარად ჩამოსდიოდა,
ეს დროც უკვალოდ ქრებოდა
და ნელა დიოდა.

სანთლების ცრემლებს
შეუერთდა ჩემი ცრემლებიც,
ღია ფანჯრიდან,
ქარის კვნესა შემოდიოდა.

უმთვარო ღამით,
მთვარის ამოსვლას ველოდებოდი,
ველოდებოდი და
შენს გამოჩენას ვევედრებოდი.

სანთლების შუქზე,
შენი აჩრდილი გამოჩნდა უცებ,
ჩემთან მოსვლას და,
დაბრუნებას გეხვეწებოდი.

მე შენთანა ვარ,
ჩუმად, ჩურჩულით მეუბნებოდი,
ჩუმი ჩურჩულით, ნაზად თმებზე
მეფერებოდი.
ატირებული თეთრი სანთლები
ჩაიწვა, ჩაქრა.
ჩემს თვალწინ მდგომი
შენი აჩრდილიც ნელ-ნელა გაქრა.

ლალი ჩხეიძე

***

შენ თოლია, მე კი ზღვა ვარ...
გრძნობის ტალღებს გიგზავნი,
ვხედავ შიში სულ არა გაქვს,
ნაზად ფრთებით ეხები...
შემომხედავ გამიღიმებ,
გულში სითბო მეღვრება...
მორცხვად თვალებს როცა დახრი,
ვიცი მემშვიდობები, ფრთებს გაშლი და
ჩემო კარგო ისევ ცას უბრუნდები,
სხვა სამყაროს შვილი ხარ და
დიდხანს ჩემთან ვერ რჩები...
საკუთარ თავს ვუბრაზდები,
ვრჩები ვნება აშლილი...
ყოველ დილით გელოდები,
მზის ამოსვლას შენ ელი
და ამაყად სიმაღლიდან
ღიმილს ნაზად მიგზავნი,
მერე სწრაფად დაეშვები,
ტალღებს ეალერსები,
გრძნობებს ვთოკავ მეშინია
სიმშვიდე არ დაგიფრთხო...
როგორ მიჭირს, რომ იცოდე
შენ კი, ალბათ ვერც ხვდები...
შენ თოლია, მე კი ზღვა ვარ,
სხვა სამყაროს შვილები...
ყოველ დილით, მზის ამოსვლას,
მზის ამოსვლას ჩვენ ველით...

29/07-2018

***

იცი? – შენ, ჩემი სიყვარული ხარ
და სიცივეში მზის სხივი ჩემო...
შემოდგომის ჟამს, ფოთილცვენა ხარ,
ზამთარში კიდე, თოვლის ფანტელი...
გაზაფხულის დროს, წყაროდ იქცევი
წყურვილის მოკვლა შენით, რომ შევძლო...

***

დღეს შენი სიყვარული,
სევდად შემომაწვა.
იცი? – უშენობა მტკივა.
შენთან საუბარი,ჩემს
გულს მოენატრა.
ყინვაა,ძალიან მცივა...
შენი სითბო და შენი ალერსი,
ოცნებად გადამექცა...
ცოტაღა მაკლია,ალბათ ავტირდები,
რადგან ვეღარ ვუძლებ სევდას.
დღეები მიფრინავს.
მე შენ გელოდები.
ნუთუ დრო ჩემთვის არ გაქვს?!
ვიცი სიყვარულო,
შენთვისაც ძნელია.
რა ვქნა,შორსა ვარ შენგან.
ამდენი წლებია,
მე შენს ლოდინში ვარ.
ჩემო სიყვარულო გესმის?!
შენ გულს დაუჯერე!
გული გიკარნახებს,
რა არის საჭირო ჩვენთვის...
მე დაგელოდები.ლოდინს მივეჩვიე...
ვეცდები,გავუძლო ტკივილს.
იცი?-მონატრებამ,
დღეს თუ მე არ მომკლა...
ხვალ სევდას, გავეცლები.

18/01-2017

***

სათნოების დედოფალი ჩემი გულის გიწოდე...
გახსოვს? ჩვენი სიყვარული კარგო როგორ დაიწყო?
შენმა მზერამ მიმიზიდა, ყურადღება მიიპყრო...
შემოგხედე გამიკვირდა, შეშინებულ „მტრედს“გავდი...
შენმა სახის სინაზემ კი, დამატყვევა, დამათრო...
თვალებმა მე, გამაკვირვა თითქოს ელვის სისწრაფით შენი,
სულის სილამაზე მომაფრქვიეს სხივებად...
ჩემი სული არ დაიბნა, თავის სულის ნაწილი,
შენი სახით შეიცნო და გულის კარი გაგიღო....
სიყვარული, არ ვიცოდი, მაგრამ ძლიერ მწყუროდა....
მე, ოცნება ამისრულდა ბედნიერი ამით ვარ...
„სათნოების დედოფალო“! სიყვარულის მონა ვარ...

28/05-2018

***

შემდეგ ზაფხული, ეს ჩვენი დროა,
ეს ჩვენი დროა სიყვარულისა...
გეტყვი: – შენა ხარ, ის ერთადერთი,
რომლის ერთგულიც მინდა რომ ვიყო...
იცი? შენ, ჩემი სიყვარული ხარ
და სიცივეში მზის სხივი ჩემო...

* * *

დიდხანს ვეძებდი სიყვარულს,
თვალებს ცრემლები ნამავდა...
ვიყავი გაზაფხული და
დღეს უკვე შემოდგომა ვარ...
გადავიღალე ლოდინით,
ვაგლახ დრო ბევრი აღარ მაქვს,
ძებნით თავს აღარ ვიწუხებ,
ვთქვი: – ყველაფერი დამთავრდა...
რა სასწაული მეწვია,
შემოდგომის ჟამს თუ, იცით? –
ცხოვრების ქარიშხალმა დღეს,
ჩემი წარსულის წიგნიდან,
ყველა ტკივილი რაც იყო,
მოულოდნელად წაშალა...
ბედისწერა კი, მიღიმის
მიმოიხედე ვერ ხედავ?
– შენ, ხომ, სიყვარულს ეძებდი
დღეს გვერდითა გყავს, ნუ, კარგავ...
ცას ავხედე და ღმერთს ვკითხე:
– ნუთუ, ჩემი გზა ესაა?...
ბედისწერა კვლავ, მიღიმის
– იცი, რას გეტყვი გეთაყვა?
– ეს შენთვის საჩუქარია,
– ღმერთისგან უნდა მიიღო...
თუ, სიყვარული გაშინებს,
გეტყვი: – ზე სიყვარულიაა.

9/08–2018

***

ვიცი გიყვარვარ, ნუთუ,
ფიქრობ რომ, ყინული ვარ?! –
გეტყვი: – მაშინებს შენი,
გრძნობა წარსულს მაგონებს...
მე, მოზღვავებულ გრძნობებს ვებრძვი,
როგორც ზღვის ტალღებს,
იმის შიში მაქვს ვერ გავუძლებ, ჩავიძირები...
როგორ მაშინებს შემოდგომის ჟამს,
მე, სიყვარული, რადგან აღარ ვარ
დღეს ის ბავშვი ჩემში, რომ ეძებ...
და მოკრძალებით გარიდებ თვალებს...
გეტყვი: – არ მინდა მე ამ გრძნობის
თავიდან განცდა, დააგვიანე, იცი?
მართლა დააგვიანე...
მე თავდახრილი, დღეს ვჩურჩულებ,
ჩუმად ვჩურჩულებ, უნდა შემინდო
თუ, გიყვარვარ უნდა შემინდო,
რადგანაც ვიცი, რომ
დაგღუპავს ეს სიყვარული...
ვიცი გიყვარვარ...
გთხოვ! გამიშვა,
ხელი გამიშვა...

27/08-2018

* * *

ო, როგორ მტკივა ის ერთი ღამე,
ის ერთი ღამე წარსული გრძნობის,
მე, ამ ღამისგან ველოდი შვებას,
მაგრამ დატოვა მწვავე ტკივილი...
ის ერთი ღამე, იყო სიზმარი,
სიზმარი იყო ტანჯული სულის,
სავსე გრძნობების დაცლა გულს სურდა,
რომ მოეპოვა სიმშვიდე სულის...
ის ერთი ღამე, იყო სიზმარი,
იყო სიზმარი, რეალურ სახით...
ნამდვილი გრძნობა არ მიგატოვებს,
ის შენი სულის ბინადარია...
ხშირად, წარსულის კარი იღება,
ვიცი, ეს სულის საჩუქარია, –
პირველ გრძნობასთან პაემანი გაქვს,
ნუ აგვიანებ, მესმის ხმა მისი...
დღეს უკვე მჯერა, – დღეს უკვე ვიცი,
ის ერთი ღამე სიყვარულისა, იყო სიზმარი,
იყო ზღაპარი, ჩემი ოცნება, სულის წამალი...

30/09-2018

***

დღეს, შენს თვალებში, სიცივეს ვხედავ,
ტანში ჟრუანტელი მივლის...
რა მოხდა? მითხარი ნუთუ, გამიბრაზდი,
ნამვილად არ ვიცი,-რისთვის...
ნუ გამებუტები, ჩემო სიყვარულო...
გული, ველარ უძლებს ტკივილს...
შენს სახეს, ღიმილი უხდება ძალიან...
ჩემო ლამაზო!- იცი?
ხოდა სიხარულო, გთხოვ!-
რომ გამიღიმო...
დროა, ყინული, გალღვეს...
ცოტაც-და გამყინავს,
მე შენი,სიცივე...
იცი?-შენს სიყვარულს, ველი...
იჩქარე, ძვირფასო, ჩემს გულს,ნუ აწამებ...
შეინდე, სიყვარული!..

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

ჭიქა

ჭიქავ, ნუ დამდგარხარ უსაქმურად,
ნუთუ ვერ ხვდები მომკლავს წყურვილი,
მინდა იშრომო, რად დგახარ ყუჩად
იქნებ მომიკლა მე წყლის წყურვილი.
და იქნებ სხვა რამ დარდიც მაწუხებს,
რამეს მქონდეს წმინდა სურვილი,
დგახარ უძრავად, უტყვად, უტიფრად,
ცდილობ ფიქრისგან დაიცვა თავი.
უძრაობისგან მთლად დაბინდულხარ,
შემოგჯარვია ჭუჭყის ბურუსი,
მტვრით გაგბიდვნია შიშველი თავი,
გვერდები ტურტლით შემოგვჯარვია
შესახედავად ხარ მეტად ავი.
ჩადი წყაროს წყალს მიუალერსე,
ფშანს იქ, ქვიშნარში გული მოუჩანს
წვეთ-წვეთ ამოდის მიწის გულიდან,
წადი, მოსცილდი მაგიდის უჯრას.
გაისუფთავე ბინძური თავი
ნუთუ არა გაქვს ამის სურვილი,
ანკარა სითხით გაივსო გული
და მეც მომიკლა წყლის წყურვილი.

23.12.2018წ.

ნიჭია ჩემი ქონება

მე აქ ვარ დაბლა მიწაზე,
იქით შევყურებ ზენასა
არ ვიყო მისი მოშიში
აბა რა ვუყო ქვენასა
ვგრძნობ მე სიყვარულს ყოველის
აქ ხორიელი გრძნობითა,
მაგრამ სულიერ სიყვარულს
ვეტრფი ამ გულის გრძნობითა
გულში ეს გრძნობა შენ მომეც,
ტვინში აზრი და გონება.
არ მაქვს სურვილი სიმდიდრის
ნიჭია ჩემი ქონება.
ღმერთო მომეცი სიმდიდრე
სიკეთის მადლის გაცემის
მტერსაც ვუსურვო სიკეთე
არ ვნახო მათი დაცემის,
ჩემი სიკეთის ღონების
და არც მოშურნე ქონების
იმ ნიჭის, არც შენ მომეცი.

22.01.2019წ.

ნიორი

ცის სამყაროში დავფრინავ,
ისე, ვით მტკვარი, იორი,
ვხაზავ მე მიწის ნაკვალევს
რომ დავფლა მწარე ნიორი.
ვგრძნობ სილაღეს და სიმშვიდეს,
როგორც მდინარე რიონი,
ვამტვრევ ამ ბელტებს მიწისას,
რომ დავფლა მწარე ნიორი.
შრომა მაცოცხლებს ორმაგად,
თუმცა არ არის იოლი,
ყველა სატკვიარს მკურნალობს,
თუმცა მწარეა ნიორი.
ვერ ვგრძნობ სიმშვიდეს მძინარეც,
რომ უნდა დავრგო ნიორი,
ვიღვიძებ შუაღამისას,
ესეც არ არის იოლი.
ვგრძნობ სიფაქიზეს როს ვყნოსავ,
ტკბილ სურნელებას დიორის,
რა ვქნა, ყველა კერძს უხდება,
თუმცა მწარეა ნიორი.

8.02.2019წ.

მუხა

ამოსულა, მარტოსული,
მარტოდ მდგარს და ეულს
მიტოვებულ-მიუსაფარს,
დაუცველს და ობოლს.
დასჩხავიან ყვავ-ყორნები
არ ეძებენ საფარს.
უტრიალებს ქარ-ბორბალა
რა აჩერებს ავქარს.
სეტყვა ძლიერ საფანტს ესვრის
ჰგავს მტრად მოსულ საფარს.
თითქოს ყველას დაავიწყდა,
არვინ ეძებს მის ტოტებქვეშ საფარს.
გადიარეს ცად ღრუბლებმა
ქარიშხალიც ჩადგა.
სეტყვა წვიმად გადაიქცა
ავის ზრახვა წახდა.
ყვავ-ყორნები გაიფანტნენ
უკან გაჰყვნენ ჩაფარს.
მგალობლები მოფრენილან
აქ ეძებენ საფარს.
დგას მუხის ხე ოცნებებში
დაამარცხებს ავქარს,
და მოდიან მომავლიდან
აქ ეძებენ საფარს.
ძლიერი აქვს ფესვთა ძირი
ვერ შურყევს ნაყარს.
ელოდება ცისკრის სხივებს,
და მომავალი მაყარს.

25.12.2018წ.

ახალი კვირტები

ახალი კვირტები დაისხა რტომ ვარდის,
გაფურჩქვნა ინება თავად მზის სხივმა,
სურნელი საამოდ დაიფქვა მთა-ბარში.

იცით?

ქართლის დასაწყისი ამ გზიდან იწყება,
მინდორში ხალიჩა ყვავილთა დაგებულა,
სურნელი საამო მთა-ბარში გაიფანტა
ყაყაჩოს ანარეკლი ზეცამდე ასულა.
სისხლისფერს დასტრიალებს გუნდი ანგელოზთა

იცით?

ისმის გალობა ზეციურ-ღვთიური
ამ ქვეყნის სურნელი ზეცამდე ატყორცნილა
ნაბრძოლი დედამიწა დედისგანნ დალოცვილა
უფლისციხის ქედებზე სისხლი ჩანთხეულა.
ყაყაჩოთა ხალიჩა აქ მიტომ დაგებულა
და მთა-ბარი სიცოცხლისფრად ანთებულა.

იცით?

კოლხეთში მედეას ცრემლები დაფრქვეულა,
ცილისწამება ნიავქარს შორს გაუფანტავს
დედის ცრემლები მიწისქვეშ თუხთუხებს,
ვულკანის გარშემო მდუღარედ ბუტბუტებს
ოქროს საწმისი ჯერ არ გაბრწყინებულა
ქართველი დედის ღირსება ზეცად ციმციმებს.

იცით?
რამდენმა ტანჯვამ გაიარა,
წლებმა ტანჯულმა ჰერეთს გადუარა,
ილიას განგაშმა ზეცის ზარს შემოჰკრა
ქართლის მიწა-წყალს ირგვლივ დაუარა.
ზეცის ცრემლებმა მიწის გულს გაუარა.

იცით?

ცხოვრებამ მძვინვარემ გადაგვიარა,
მტარვალთა ფლოქვის ხმამ გულზე გაგვიარა,
მაგრამ მუხლდრეკა ჩვენი ვერ იღირსეს,
თუმცა დოლაბმა თავზე გვიტრიალა,
მაინც იმედმა ხვალისმა სისხლძარღვში დაგვიარა.

იცით?

ახალმა კვირტებმა ახლად იფეთქეს,
გულით გაუღიმეს ზეცას ნარნარად,
ნამი აპკურა წყარომ ანკარამ,
ტანჯვა წარსულის არ გვიღირს აღარად.

იცით?

ზეციდან დარეკა ზარმა წკრიალამ,
ამ ქვეყნის სამრეკლო ააწკრიალა,
იმედმა მომავლის გზა გააწკრიალა
ღმერთი მოაშუშებს ყველა იარას,
ქართულმა ცხოვრებამ რაც გამოიარა,
ახალმა კვირტებმა ცაც გააწკრიალა,
და იმედიც ხვალის გააბდრღვიალა.

14.02.2019წ.

ანზორ ჯაფარიძე

ხხაცელი

ჩემო ახატელო,
ჩემო სანატრელო,
ჩემს გულში ანთიხარ
ნათელო სანთელო.
ტანჯვა გამოვლილი
მტვრისგან დაკოდილი,
დღეს დაქუცმაცებული,
ცრემლებად დაღვრილი.
„ოდეს დიდი იყავ“,
ლაღად გადაშლილი
მტერი ბევრი გყავდა
ჭკუაზე აშლილი.
გლიჯეს ხორცები და
გული დაგიმძიმეს
წმინდა კერები ხომ
სულმთლად შეგიბილწეს.
რა ბრწყინვალე იყავ
დიადი, რა დიდი,
ცხოვრებამ ჩაგატეხა
ბედკრული გზა-ხიდი.
აღარ გაგახარეს,
აღარ შეგიბრალეს,
ცრემლები გადინეს,
მეტად გაგამწარეს.
ოდეს დიდი სოფელი
როგორ შეგამცირეს,
გადაგაშენეს და
დედა აგიტირეს.
არვინ გყავს ქომაგი,
ქართველნი დავეცით,
ამით სარგებლობენ
ხმა რომ ვერ გავეცით.
ვაჟამ ხომ დაგვმოძღვრა
შეგვიქმნა „ხიზანი“,
ეხლაც კი ვერ ვხვდებით
რა ჰქონდა მიზანი.

... შუბითიძე

მალე გაზაფხული მოვა

გაზაფხული მოვა,
მარტი უჩვეულოდ გიჟი
ატმეს დაეწყეზათ თოვა
მზესაც გაუთბეზა სხივი.

ია გაალურჯეს მდელოს,
შაშვი იგალობეს დილით,
ნამი გააზრწყინეს ღეროს,
ფეთქავს იასამნის კვირტიც.

მალე გაზაფხული მოვა
მერცხალი დაიწყეს ჭიკჭიკს,
ყინვა, უღონოდ რომ ოხრავს,
ადგილს მძიმედ უთმობს თბილ სხივს.

ჰაერს გაზაფხულის სუნი
უკვე უჩვეულოდ იპყრობს,
მალე გაზაფხული მოვა
მალე ატმეზისფრად ითოვს.

იოსებ ტაბიძე

„დონ-ჟუანის" ბოლო ბალადა აღსარებით
(თბილისური მოთხრობა)

სკვერში ვზივარ დარდიანი და ვიხსენებ ჩემს წარსულს;
ვიხსენებ თან ვუკვირდები აღსარებად დანახულს;
წლები როგორ გაფრენილან, ქრება სცენის ფერებიც.
საოჯახოდ ცოლს ვეძებდი, ლაქლაქებდნენ ვნებები.
ვის გადავცე სახლი-კარი, ვინ მოხედა ჩემს დარდებს,
ვერვინ ვნახე ნაღდი ქალი, ვერც მემკვიდრე ვერ ვნახე.
მახსოვს ტურფას ლექსი ვუძღვენ, ვაქე: – „რა წარმტაცი ხარ"...
მაგრამ იგი მეტის ქებამ, უფრო ხარბად აქცია.
თან ვატყობდი, მისი მზერა, თანდათან რომ გაცივდა.
სხვაგან უფრო ბევრს ელოდა, დავშორდი და გამცილდა.
კიდევ მახსოვს; (მეზობლების), კრება, ფული, ვახშმები..
როგორც თხის წინ დაკიდულ ტოტს, ჰგავდა მათი ამბები;
ქეიფები დღე და ღამე, სუფრები და დღეობა,
ბოლოს ისიც გადაიქცა, გაუმაძღარ ღრეობად...
ახლა კი აქ, სკვერში ვზივარ, გულმა დარდი იკმარა,
როს გავხედე გვერდით ასულს, შევადარე გიტარას.
თითქოს დარი დაიბადა, ხის შრიალებს ფოთლები,
თმებში ბზინავს ალმასებად, მისი თვალთა ბროლები
დრო არ იცდის, მე სათქმელი, ვგრძნობ რომ ვერ გამიბედავს,
დრო წლებივით გაიწელა, არავინ მყავს იმედად.
ენა მებმის როცა ვუმზერ, ენაც ჩემი მტერია.
ვუყურებ და მაინც ვუმხელ, რაც გულის სათქმელია:
– ეგ თვალ-წარბი, ტანი, მკერდი, კისერი და პირ-სახე.
მე გიტარას შეგადარე, როდესაც დაგინახე.
ვნატრობ სადმე დავიკარგოთ, იქ ვაჟღეროთ სათქმელი.
იქნებ ერთად გაგვერღვია, ამ ცხოვრების მახენი? –
გაეღიმა, შემომხედა, გულმა დარდი იკმარა,
ვუთხარ: – წამო, არ ინანებ, იყავ ჩემი გიტარა.
ვხედავ სიტყვამ გაახარა, გამომხედა, მიწამა.
– „წავიდეთო", – მითხრა ნაზად და მანაც არ ინანა...

P. S.
ბოლოს ხედავთ ეს ბალადა, მე სულ ლექსად ვაქციე.
სხვა თუ არა, მღვდელი მაინც მომიწონებს საქციელს.
და თან მკითხავს; – აღსარება ლექსად რატომ გავცერი?
იმიტომ, რომ კარგად მინდა ჟღერდეს ბოლო სათქმელი:

*

ვინც დახარბდა ფულს და (მუცელს), ვინც ვერ გაძღა ვახშამით
გზა დაეხშოთ სანელებლის, სატად ექცათ საგზალი.
ნუ აყვებით, არ დახარბდეთ, დაგმეთ ყველა ცდუნება.
არასოდეს უღალატოთ, სახლ-კარსა და ბუნებას.
გწამდეთ სულის უკვდავების, მასშტაბური სამყარო,
მზის სხივებმა, მიწის სული, ვარ-ეკლებად ახაროს...

2019 წ.

ხათუნა ჩიტაძე

წინასწარმეტყველება

ვიღაცასთან ფოთოლცვენა მეფობს,,
სულშიც, ალბათ მზემ აუგო ბინა,
ვიცი, ვიცი, ჩემო სულის მეო,
ეგ სათქმელი და თვალების მინა!
ცა შავ პერანგს ცისარტყელას უხსნის,
ეს მირაჟი არ დამტოვებს, ვიცი,
განა ყველაფერი სათქმელს უღირს?
არ მჭირდება მატყუარას ფიცი!
მედარდება, რომ ერთ დღესაც, ავბედითს,
ჩემს ბილიკებს ვერ მოხატავს ფოთოლი,
მერე როგორ დავიჯერო ბედის?
–ხომ ვიქნები ობოლი!
არც რა გესმით?
ზენა ქარი სხვაა...
დროში სადღაც გადამიცდა კენჭები,
განდეგილი წლების მთელი ზღვაა,
–ვგრნობ, თუ როგორ ვკენტდები!
ვიღაცასთან ქარი ჩუმად ღრეობს,
სულშიც, ალბათ, სხვამ მოუთბო ბინა,
არ მოტყუვდე, ჩემო გულის მეო,
არ შეუშვა ეგ ქარბუქი შინა!
2010წ.

მასწავლებელი

მამულს გვირგვინად აჩნდება
მასწავლებელის ტვირთი;
რამდენი შვილიც გაჩნდება,
ნათელ ღიმილით ითვლი.
თეთრად დაფენილ ფიქრებში,
იმედის სხივი მღერის!
მასწავლებელი! უთვლელი
სამადლობელი გელის!
2011წ

იარებს

მზის სურნელია, ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდზეცა კრიალებს,
გაზაფხულივით მიღიმის ლექსი
და ვერ დამატყობს კვალს, ნაიარევს!
ვერ დავახატე ჩემი სინათლე
გრძნეულ ჯადოქარს, უცხოს და უბირს!
შემოვიფარე ლბილი სინაზე,
დავტოვებ მარტო უღირსთან უღირსს!
გაზაფხულია ახლა ჩემი დღე,
მე დავიღალე, სხვაც დაიღალოს!
მარტო დარჩენილს უცხო ბუნაგში
ტყვია–ტყუილი გულს დაიხალოს!
ხო! ახლა მარტი მეფოფინება,
აპრილი დგას და ამაყად იცდის!
სხვას თავის სევდა ემყოფინება,
ჩემი გული კი ტკივილებს იცლის...
გაუფერულდა რადგან სიმღერა,
ვერ შევასწავლე ანი და ბანი,
როგორ მეგონა, რომ დაიმღერა,
ბედნიერებამ პატარა ქნარით!
წაბილწეს ყველა თეთრი ოცნება,
უფრთო ფიქრი და კეთილი სენი!
ვერსად ვიხილე მე გამოწვდილი
მართალი კაცის, ძლიერი ხელი!
აი, ესაა ჩვენი ცხორება,
გამოცანა და მხოლოდ ტყუილი...
მიტომ არ მოდის უფლის ცხონება, –
რჩება ტკივილი და მგლის ყმუილი!
...მაგრამ, ახლა რა მოსატანია,
ამ გაზაფხულზე ტვირთი და ვიში!
მზის სხივი ჩემთვის ხომ საფარია,
ნავსაყუდელი კი კიდევ ვისში!...
მზის სურნელია ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს...
მე დავიკარგე ისევ ჩემს ლექსში...
მე დავუბრუნდი ისევ იარებს!.....
2011წ.

* * *

სოფლის მწვანე სურნელს ვერთვი,
წყაროს წიკ–წიკ მდინარებას,
ყველა მიყვარს,
ყველას ვეტრფი,
სულ ასეთი მცინარე ვარ!
2015წ.

ყაყაჩო

ვიცი, ვიცი მე ყაყაჩოს
ხვედრი, დარდი, ნაფიქრი,
კი, სიყვარულს დაარქმევენ,
მერე?
– მერე დაფიქრდით.
ისე უფბად მოცელავენ,
ღიმილს ატც კი აცლიან,
უსათუთეს, წმინდა გრძნობას
ერთ წამში გააცლიან!
პურის ყანას ეწირება,
სისხლისფერი სინაზე,
დიდი დრო არ უწერია,
როგორც წყლის წვეთს მინაზე.
ეს იყო და არა იყოც,
სიმღერაა, არია,
სულ მგონია, რომ ყაყაჩო
მარტოსული ქალია!

2010წ.

აპრილს

(მომავალ შვილს)

როგორ ხარო? —
გამოვაღე კარები
და ეზოში გაზაფხული დამხვდა,
თავის ფერად, მოკირწყლული ხალებით,
დედოფალას ჭრელა ბაბთას ჰგავდა!
ყვითელ ფურცლებს მწვანე ნოხი ემაგრათ,
დედამიწის სამშვენისი, ერთი,
თეთრ აფრება, პაწაწინა ტყემლის ხეს,
შეაფრქვიეს ყვავილების დენთი!
მზეს არტახი შემოვსხენი ცაში,
შენთვის დავფენ ამ გაზაფხულს, ფრთიანს!
ოღონდ მალე... ცოტა დავიღალე...
ამ თვეს შენი დაბადება ქვია!

2011წ

არჩევანი

ისევ სიშორე, –
ჩემს სარკმელთან გადარჩეული,
ისევ სიზმარი, –
ამრეცილი და დარბეული,
ისევ სიმძიმე, –
ჩავლილ ღიმილს გამოქცეული,
ისევ იმედი, –
უიმედო და დარბეული!
ისევ ჩერო და,
მზე მწველი და
მოუჩრდილავი...
ვინ ვარ?
ეს მე ვარ,
და აქამდე არც კი ვიყავი!
ისევ კალამი,
უტყვი სულის გამოძახილი!
ამოძახილი!
ჩემი ფიქრის ამოძახილი!
მთვარეს შესეულ ვარსკვლავების
ციალ–ციალი...
ყოველ გაზაფხულს ამძიმილებს
ქარი! ტიალი!
ისევ იმედი,
რჩეულ გრძნობით გადარჩეული,
ფიქრი – ჭიანი!
ფიქრი – საღი
და არჩეული....
ისევ სიმძიმე,
ჩავლილ ღიმილს გამოქცეული,
არის მირაჟი,
მიქცეული,
არ მოქცეული!

2011წ

სიზმარი

ტყის ვარდებზე ვანანავე დართან,
ვეჩურჩულე პეპელას და დათვრა!
გამიღიმა, გაფრინდა და გათბა,
როგორც იქნადათბა!

მე ლი ველი,
როდის მოვა ფრტაჭრელი,
მოციმციმე–მოელვარე ბანზე,
საიდუმლოს ფრთა–ხალებით დამჭერი,
ლექსს მოიტანს სიზმარეულ ქალზე...

2010წ.

ელგუჯა სხირტლაძე

პროფესიით იურისტი.
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის წევრი.

* * *

მებრძოლე,
სადამდეც გინდა, მებრძოლე!...
მესროლე,
რამდენიც გინდა მესროლე!....
დაჯიჯგნე,
ეს ჩემი გული დაჯიჯგნე!...
ვერ ხვდები?!
მე, სული უფალს დაუნთე.
არ წარვიკვეთავ სასოს ჯინაზე,
მთლად, რომ სამყარო დასცე ყირაზე.
რით ვერ გაიგე,
ბედო უმოწყალოვ!...
მე, კაცად მოველ დედამიწაზე!

* * *

რა უღიმღამოდ გარბიან წლები,
დადუმებულა ცხოვრება თითქოს,
სულში ზამთარი დაბუდებულა,
და, გაზაფხულის შველას მოითხოვს.
როგორც გასხლილი ვაზის ლერწმიდან,
სისხლის ცრემლები, იარებს მილბობს,
და, ზამთრისაგან ხავს მოდებული,
ჩემსავე თვალწინ, მოვხუცდი თითქოს.

* * *

თუ მესვრი, პირდაპირ გულში მიმიზნე,
მუხანათურად, რად დამზდევ უკან,
თავადაც იცი, ყველა, ღმერთს მივანდე,
დე, ისე იყოს, მას როგორც უნდა.
ვერას დამაკლებ, ბედო უმოწყალოვ,
მზად ვარ ვიცოდე, გებრძოლო მუდამ,
დამიხვდე, ყველა დროის გზაჯვარედინზე,
ნაბიჯითაც, კი ვერ დამხევ უკან.
ვერას წამართმევ, მივეცი უკვე,
გული სიყვარულს, სული კი უფალს,
ვერ დამიმონებ, მთელი სამყარო,
შავი ბარხატით შემოსო თუნდაც.
ჩემი ტკივილით, თავად შენ დაგღლი,
მე, შევეჩვიე, მარტოობის ნაცნობ ტკივილსაც,
ეს, ადრე იყო, ზეცას რო სძრავდა,
კვნესა, გოდება, ჩემი სულისა.
შენს წასაღებად, არას ვიტოვებ,
მე, გაურიგდი უფალს, მერმისად,
მთელ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს ვუთმობ,
ჩემს სიყვარულთან, ღამის ჯერისად.

* * *

ნეტავ სადა ხარ ბედნიერო,
ჩემო ორეულო,
ოდესღაც ძლიერო,კადნიერო,
ცოდვას მორეულო,
ღვთის მოშიშო,სიმართლისთვის,
მახვილ მოღებულო,
ჩემსგან განსხვავებით,სიკეთეში,
გზა-კვალ არეულო,
კეთილშობილების,უანგარო,
ტკბილო მზარეულო,
როგორ მომენატრე,ჩემი ცოდვით,
ფუჭად გაბნეულო,
ჩემო ორეულო,მაგრამ ჩემგან,
უკვე შორეულო.

დედას

როგორ მენატრები, ეს ღმერთმა იცის,
როგორ მენატრება, შენს მკერდზე ტირილი,
ნატრული გავხდი, შენი ჩახუტების,
წყეული ცხოვრება, ყოფილა ირიბი.
წასულა ბავშვობა, მისდევენ დღეები,
ვინ მოსთვლის, რამდენჯერ აყვავდნენ ხეები,
დავღალე ეგ გული,ლოდინით დავღალე,
დავაჭკნე,ესოდენ ლამაზი ხელები.
გასცქერი სარკმლიდან, დაღალულ თვალებით,
ლოცულობ ყოველ დღე,ანთებულ სანთელით,
რომ შვილთან შეხვედრას დაადგეს საშველი,
და მოსულ გაზაფხულს გაჰყურებ ნაღველით.

* * *

მერამდენედ გაზაფხულდა უშენოდ,
მერამდენედ აყვავილდა ნუში.
დრო,კი ისე შეუმჩნევლად გაქრა,
თითქოს გუშინ,ჩაგიკარი მკერდში,
თითქოს იყო ყველაფერი გუშინ.
თითქოს გუშინ,საწადელი ახდა,
და,დღევანდელ ყვავილების ეშხში,
გუშინდელი მოგონება ჩარჩა...

* * *

სიტყვით მნათეო,გამანათე,
მე უღირსს,გაბრიელობა დამანათლე,
ძალაც მომეცი, რომ გავუმკლავდე,
ცოდვებს, რომელიც ამდენი ვნახე.
მომეცი,განცდა სინანულისა
ამ გრძნობით ვივლი საიქიომდე,
ჩემსგან განსხვავებით,სიკეთეში,
იქნებ,როგორმე მდუღარე ცრემლით,
გზა გავიკვლიო გოლგოთს ბოლომდე.
იქნებ მეც გავხდე,ღირსი სინათლის,
მცირედით მაინც, შორიდან გნახო,
შენს ხელს,თუ არა, შენს კალთას მაინც,
მოკრძალებულმა,ხელი შევახო...

მე მაპატიე...

მე მაპატიე, ეს თავბრუს ხვევა,
და გულს ტკივილი,რაც მოგაყენე,
მე მაპატიე, ეს სიყვარული.
გაზაფხულივით კარს მოგაყენე.
მე მაპატიე, არ მაქვს უფლება,
არც სიყვარულის, არც შენთან ყოფნის,
და, რომ არც ახსნის უფლება არ მაქვს.
და, რომ არც ახსნის სიმხნევე მყოფნის.
გაფრენილ ტყვიას ვერ დააბრუნებ,
არვის ადარდებს სიზმარი ჩემი,
ალბათ ტყუილად მივენდე უფალს,
მონატრებული,გადანაჩვევი.
და ეს ფიქრები,ღამე ნათევი,
თვით წამებაზეც კიდევ მეტია,

უშენოდ ჩემში მოკვდება რწმენა,
შენი თვალები,ჩემთვის ღმერთია.
უშენოდ ყველა გამვლელი ქრება,
და სულში ისევ, მხოლოდ ლოდია,
მე მაპატიე დუღილი სისხლის,
და სიყვარულის ეს მელოდია.

შალვა ილურიძე

გულისხრისიშვილს

ჩემო დაო და დაზე უტკბესო,
„ათინათელთა“ მფარველო დედავ.
როგორ რთვლიანობს შენი ლექსები,
ჯაგნებივით რომ ასხმულსა ვხედავ...
ცხვრის ფარასავით გაშლილხარ მთაზე
ყოველ ღვთის დილას ბატკნებს იგებენ.
რქებს მიამტვრევენ ყოჩნი ჭიდილში,
ერთნი, მეორეს ტოლს არ უდებენ...
შენი ლექსია, როგორც ჟაკანი,
თოფში ნაწივლი მოხვდება მიზანს.
და ეს ჟაკანი, ერის მფარველი,
გულს დაუნისლავს მტერსა და ხიზანს!
ზოგი ხისტია, ზოგიც რბილია,
როგორც ღუღუნა მშვიდობის მტრედი.
ქსნის ხობის კაცს, როგორ მახარებს,
დაიავ, შენი ლექსების ბედი...
პატრიარქისთვის მიძღვნილსა ლექსსა!
გულით ვგალობ და ძარღვიდან მოდის.
ჩემს ახალგორში მინდა დავჭექო!
ჩემს ერს ვუმღერო!
ვნატრობ და როდის?!.

ჩემს დაიას, დიდი სიყვარულით!
ქსნის ხეობიდან დევნილი ძმა
20.02.2019

ათინათელებო!

მე – თქვენთან ვარ მარადჟამს...

თქვენ გგონიათ!
წავედი და დაგსტოვეთ?!
თქვენ გგონიათ!
მე – გითხარით ნახვამდის?!
თქვენთან ვრჩები
ლექსითა და სიმღერით,
თქვენთან რჩება
ჩემი სული მარადის!
– თქვენთან ვსტოვებ
სიყვარულის სიმღერებს,
თქვენთან რჩება
ჩემი საგალობელი,
რომ მარადჟამს
სიყვარულის, სიკეთის,
თქვენთან დარჩეს
კარვის მახარობელი...
მეგობრებო!
მე არასდროს მიგატოვებთ,
ჩემი სული არ დაგტოვებთ
მარტო.
როგორც ერსა!
ზნემაღალს და თავისუფალს,
ბრძოლის ველზე
არ დასტოვებს ნატო!!!

უწმინდესის მტრებს

უწმიდესო და უნეტარესო,
რწმენით ებრძოდი მოსეულ მტერსა.
დღეს მე დევნილი ახალგორიდან,
საჩუქრად ვუძღვნი მათ საღირსს ლექსსა!



ფესვ ღონიერი ჯავრი ჩამეკრა,
სულის სიღრმეში, ხმალივით მწარედ.
მოკაშაშე მზე სხივთა მფრქვეველი,
გადამიქციეს სამძიმრის მთვარედ...
სიმღერა მინდა დავაგუგუნო,
როგორც ვულკანი ამოსკდეს მთაში.
მებრძოლის სულის, დიდების ჰანგი,
ისმოდეს ყველა ქართველის ხმაში...
ოცდამეერთე საუკუნემდე,
ჩვენ უწმინდესმა ლოცვით გვატარა.
მართლმადიდებლის უღელი მძიმე,
წარბშეუხრელმა მხრებით ატარა...
კაცმა, რომელმაც მირონცხებიდან,
გააცისკროვნა სიწმინდე ერის,
დრეს მის სანაცვლოდ უნეტარესი,
ქართველ კაცისგან ძაგებას ელის?!
როდის დაიწყეს ქრისტეს შვილებმა,
ეკლესიათა წალმა აგება?!
ან რომელ ქართველს მოადგა პირზე,
დღეს უწმინდესის ლანძღვა, ძაგება!!
ვაი! – ქართველო! – სირცხვილით ვიწვი,
როგორ დაჰკარგე სახე ერისა!
შენ არც მეუფის რაიმე გცხია,
არცა მამის და არცა ბერისა!!
ბრძენი არწივი ხანში შესული,
მოკვდეს ქათამზე დაბლა დავარდეს,
ქათამი როგორც მთების არწივი,
ცაში ვერასდროს გაინავარდებს!!!

ახალგორიდან დევნილი
20.02.2019

გულნაზ ხარაიშვილი

და მე კი არა

უთქვიათ ბევრჯერ, გამოგვყვაო
შენგან სიმშვიდე,
როს საუბრობო, გვეუფლება
ღვთიური გრძნობა...
კარგად მეყოლეთ,
სანამ ქებას არ დაგიშლიდეთ,
არ ვთამამდები,
გეფიცებით დობას და ძმობას.
ჩემი სიმდიდრე ლექსებია,
მით გეფერებით...
ფული არა მაქვს,
ტკბილი სიტყვით ყველას გიწამლებთ.
ბრდღვინავს სატანა,
გვემუქრება გადაშენებით...
და მე კი არა,
პირველ რიგში ღმერთი იწამეთ!

შინდის ხესავით

შინდის ხესავით ვყვავივარ ადრე,
მცვივა ნაყოფი შემოდგომაზე.
ძალიან ვფრთხილობ არ გაავდარდეს,
ვოცნებობ ერთგულ მეგობრობაზე.
ქარი ქარია, არავის ხათრობს,
ამიტომა ვარ მკაცრიც და სათნოც...
მიყვარს ცის სივრცე ძალიან ფართო,
ჩემი ერისთვის სიცოცხლეს დავთმობ.

ვალერი მოსიაშვილს

(აკროსტიხი)

ვ-იცი ელოდი სიყვარულით ლექსით მზეობას,
ა-უცილებლად მაჩუქებსო სითბოს დეიდა..
ლ-ოცვით სულ გლოცავ და გისურვებ კეთილდღეობას,
ე-ნთოს მზის სხივად ეს სიტყვები, შვილო, დღეიდან.
რ-ა დამავიწყებს შენს სიცელქეს, ან შენ ბავშვობას,
ი-ყო სილაღის სიჭაბუკის დარდიმანდობა,

მ-დინარეებზე თევზაობა, შარვლის გაშრობა,
ო-ნავრობის დროს კამათიც და ბევრჯერ დათმობაც.
ს-ერობაც გქონდა, განშორებაც ჩუმი გრძნობების,
ი-სე დინჯი ხარ, ახლა, შვილო, ბავშვიც კი გხათრობს...
ა-რის ცხოვრება სიმშვიდე და ბევრჯერ ომებიც...
შ-ორს არ ხარ, მაგრამ შენს შეხვედრას ყოველწამს ვნატრობ.
ვ-არდისფერ შენს წლებს ამჩნევია სიწმინდის კვალი.
ი-ისფერ დღეებს არ შეცვლიათ ლამაზი ფერი...
ლ-ექსით მინდა, რომ მოვიხადო დისშვილის ვალი,
ს-აამაყო ხარ, ამიტომაც კალამიც მღერის.

ბევრი მომრავლდა

ბევრი მომრავლდა
თვალცრემლიანი დედები,
მოვიმარჯვე ცელი და
დარდი ავბარდე,
ცაშია სულის ედემი,
მიწაც მეცოდება,
სამარხებით ძირი არ გავარდეს.

წერტილი დავსვი

სიკეთეს ვთესავ, არა ვარ მგელი,
წამწამებში მაქვს ცრემლი მოჩრილი...
ჩემი გულია ხასხასა ველი,
რწმენით ვარ მუდამ უფლის მორჩილი.
ჩემი გულია სიკეთის ხიდი
და მოლივლივე ზღვის ტალღის მსგავსი.
ჩემი გულის წყნარი და მშვიდი,
ქედმაღლობასთან წერტილი დავსვი!..

მეოცნებე ბავშვი

ჩიტის ბუდე ისევ იქ ჩანს,
ჩიტი გუნდად გაფრენილა...
გადაყვითლდა მწვანე ფარჩა,
თავთავებიც ჩაცვენილა.
სოფლებს მგლები შესევია,
ცხვრებს და ხარებს გაკრეს კბილი,
მთა მთის გულზე ასვენია,
ღრუბლის ფთილით დაფლეთილი.
რით ვუშველო ღობე-ყორეს,
ვერ ვპატრონობ სახლს და კერას,
კუთვნილ მიწას დამაშორეს,
ჩემიც აღარავის სჯერა.
ბუდეს გვერდი ჩამოშლია,
ჩიტიც სადღაც კენკავს ნამჯას,
ვნატრობ სიმინდს ულვაშიანს
და ვისინჯავ ხელის მაჯას...
ფეთქავს, მაგრამ სულ ნელი-ნელ
ვაყურადებ გულის წიკწიკს,
თვალს მოვავლებ მწვანე ველს და
კვლავ განვაგრძობ ნაბიჯს წინ-წინ.
რწმენას რწმენით ჩავეხუტე,
სიცოცხლე კი ღმერთს მივანდე...
წარსულს სულ მთლად გავებუტე,
გამყინა და უნდა დავდნე.
დავუქნიე ასაკს თითი,
გავაწანი სილა ყბაში.
მე ვარ ლექსი, ლექსის მითიც,
ცას დავფრინავ ლექსის რაშით.
შეიმოსა ჩიტის ბუდეც
ბალახით და ბუმბულებით.
დარდი მუჭში გამოვგუდე,
ჟღურტულებენ გუგულები.
ხელმეორედ დავიბადე,
მომეშველა ლექსის რაშიც,
ფიქრს იმედი დავაბედე,
გავხდი მეოცნებე ბავშვი.

თუ ვიღიმები

თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,
რომ ჩემში მუდამ გაზაფხულია.
არ მსურს გადვიქცე ცრემლების წვიმად,
გული ისედაც დაჩაგრულია.
თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,
რომ სხვის ტკივილებს მე არ განვიცდი,
ყველას განსაცდელს ჩემს სულში ვფინავ,
ტანს უხილავი სევდა ჩავიცვი.
თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,
ვინც მაწყენინა არა მტკიოდეს,
და თვალებს ჩემსას დარდების ბინას,
არ მსურს ცრემლები ჩამოსდიოდეს.

ჩემს იმერეთს

იმერელ ხალხს სულ სიკეთე სჩვევია,
მიყვარს მათი სიხარული – დარდიც,
ხეთა კვირტი და ქვის ღორღიც ჩემია,
ჩემს იმერეთს არც ერთ კუთხეს ვადრი.



ზღვაში ვარ

ზღვაში ვარ, ნაპირზე გამოსვლას არც ვაპირებ...
ვცურავ და ვცურავ, მაგრამ ზენიტს არასოდეს გადავცდები...
პოეზიით ვლოკავ ნაპირებს.
თავზე დამტრიალებენ გედები, მაღონებს წარსულის განცდები..
მიღიმიან ვარსკვლავები, მზე მკლავებზე მიწვენია.
მთვარეს სძინავს, როცა თვალებს გაახელს წინ შევეფეთები,
ფიქრები უსასრულოა, აკვანივით ირწევიან.

გულის წამლად
(თემურ გოგსაძეს)
აკროსტიხი

თ–ბილ-ტკბილ სიტყვებს შეგაშველებ გულის წამლად,
ე–ნაწყლიან ლექსსაც გიძღვნი თემურ, შვილო,
მ–ე დიდ დედად უამრავმა მიწამა და...
უ–ფალსა სურს, რომ სუყველა მომაშვილოს.
რ–ოს გამოჩნდი, გადაბრწყინდა გულის ველი...
გ–აიშალა ყოველი დღე ვარდებივით,
ო, –რწმენაა ადამთ მოდგმის გადამრჩენი,
გ–ულის წევრებს გიფრთხილდებით შვილებივით.
ხ–ალ კლდეების ჭიათურის ნაზარდ ფესვო,
ს–რწივივით მთას აჭრილო, საამაყოვ,
ძ–მებისათვის ცდილობ ყველგან კარგი თესო,
ე–რთ ძირ ვაზთან ლერწები გსურს დაანამყნო.

2018 წლის იანვარი

ძვირფასო ქეთი

ქ-უდბედიანო, ლამაზო და სულის ხატებავ,
ე-რუდიცია არ გაკლია, ნიჭიც ღვთიური...
თ-აკარა მზეში ნაპოვარო, ანდამატებავ,
ი-მ დღეთა შემდეგ ხელთქმნილებით ამომზიურდი.

მ-აცოცხლებელი პალიტრა და უბრალო ფუნჯი,
ა-მომავალ მზეს გირჩევნია, ძვირფასო ქეთი...
ზ-ამბახს და ვარდებს ეფერება, ცა ასე ლურჯი,
ი-ქნებ შენა ხარ საყვარელო, სიცოცხლის წვეთი.
ა-რავინ იცის უკვდავება ვისი ხვედრია,
შ-ორი ზეციდან იჭვრიტება, შენსკენ მოილტვის.
ვ-ირტუალური ხედვა ზოგჯერ წინ დაგხვედრია,
ი-ბრწყინებ მზისებრ უკვდავებას როცა მოიმკი.
ლ-ამაზ დედის შვილს გული, რომ გაქვს ძალიან ნაზი,
ს-ასწაულისაც დაიჯერე, და ღრმად იწამე,
ამოიზრდება სულის არეს ლამაზი ვარდი,
და ნარუჯ შენს წლებს, უსათუოდ ღმერთი უწამლებს.

თავკო

მონატრებას ვერ გავუძლებ ალბათ,
თამუნია, ჩემი გულის წილო,
ერთი ვარდი გამოვგზავნე აბად,
სიყვარულით რომ არ იშიმშილო.

ალბათ შევძლებ

იანვარო, ტანი სულმთლად გაიშიშვლე,
თოვლის ფატას ტანზე კაბად რად არ იცმევ?
შენს ნახვაზე ამიტანა ერის შიშმა,
ეს ბუნებაც ნამდვილ შოუდ არ გადიქცეს,
მერე მარტმა არ მოყინოს თოთო კვირტი,
ეს თვისება მას ხომ ოდით გააჩნია...

მის ხასიათს მივხვდი... ბევრჯერ დავაკვირდი,
აურ-ზაურს... თვით ბუნებაც შეაჩვია.
მწვანე კაბას ყინვით როცა შემოსუსხავს,
მოყინავს და ძირს ჩამოყრის თოთო სხეულს,
ალბათ შევძლებ და ჩემს თბილ სისხლს გადაუსხამ
მეც ვუშველი ტოტს, ჩემ გულში ჩამოწეულს.

ხარ მაგალითი
რეზო მიშველაძის მეუღლეს, ქალბატონ ნათელას

გადაიარე ბედისწერის ქარტეხილები,
დროის ჭიდილში გაიმარჯვე შენი სიდინჯით,
წარმატებებით ჩააბარე გაკვეთილები,
ქალურ მანტიას აწერია მხოლოდ სინდისი...

ხარ მაგალითი ყველა დროის ქალბატონების,
მარტის თვე არის, მოგილოცავ გაზაფხულებას,
ამოგისხნია ურთულესი განტოლება და
ესალბუნები შენს მეუღლის მწერლის ბუნებას.

როდესაც აკრისტიხის ჩარჩოში ჩასმულ სიტყვებს მოვრჩი "ა" იყო ბოლო ასო. ეს იმდენი "ა" გამოვიდა (საწყისად), რამდენი წლისაც იყო ბეჟანი გარდაცვალებამდე. არ მიჯახირ-მიწვალია, ერთი ამოსუნთქვით დაიწერა, ეს არც შედევრია და არც განსაცვიფრებელ-გასაკვირვებელი ნაწარმოები. ერთი მიძღვნაა, უბრალოდ ამბავია და რწმენა უფლისა, ჰო, უფლისა, მის გარეშე ხომ ერთი ბეწვი თმის ღერიც არ ჩამოუვარდება ადამიანს. ახლა კი მკითხველს ვთავაზობ ჩარჩოში ჩასმულ სიტყვების შინაარსს.

ს უ ლ ე ბ ი ს ე ლ ჩ ი

სულების ელჩია?!! გააუკვდავო პოეტი, ეს იმას ნიშნავს, მეორედ მოავლინო ქვეყანაზე. გელა (გიორგი) ლარიაშვილმა ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტი შექმნა. ბეჟანი აღდგაააა....

აკროსტიხი

ს–ული ცაშია მიუწვდომელი,
უ–კიდეგანო სამყაროს მიღმით...
ლ–ოდინის ცრემლი, აუხდენელი,
ე–ს ისეთია, ყველა იქ მიდის.
ბ–იძა, ბაბუა, დედა და მამაც,
ი–მედი რჩება დედამიწაზე.
ს–აიქიო რომ იხილო წამად

ე–ს უფლით ხდება თუკი იწამებ.
ლ–ამაზი არის ისე ცალსახად,
ჩ–ამიჩუმიც კი არსად გაისმის,
ი–ქ მთები არის მწვანე, ხასხასა,
ს–რასდროს ჭკნება ვარდი მაისის.
?
გ–აუკვდავება?.. თვით ღმერთით ხდება,
ს–რის განგების ხელში ყოველი.
ს–ხლა, ამ წუთში რაც თვალწინ ხდება,
უ–ფლისგან კიდევ რაღას მოველი?
ჯ–იბე ჩაუტყდა პოეტს დიდ გზაზე,
ვ–აიო შვილოს უცხოც ტიროდა.
ლ–ედა, საბრალო, არ იყო აზრზე,
ს–სე რად მოხდა?.. სიმწრით ყვიროდა.
ვ–ინა სთქვა მოკვდა, ცრუ ტყუილია,
ო–მია მუდამ ბედთან ჭიდილი,

ჰ–ოეტი მხოლოდ, მხოლოდ გულია,
ო–რჯერ ცოცხლდება ღიმილ-ღიმილით.
ე–ნატრებოდა დაღლილს რიჟრაჟი,
ტ–ანჯავდა ბაღის გადაგვარება,
ი–ს იყო დიდი სულის მირაჟი...

ე–ტრფოდა იას მიუკარებლად.
ს–ამშობლოს ერთგულს, ბრძენს და მოყვარეს,

ი–ანვარში რომ ზეიმს მიზნავდა,
მ–ამის სიცოცხლე ლაშას მოპარეს,
ს–მ სადისტობას მხეცი იზამდა.
ს–აჩხერის ცის ჭერს მოწყდა ვარსკვლავი,

ნ–ამსხვრევები კი მიწვდა გვირილას,
ი–ქ ხვანის მთებში, ოხრავს საფლავი,
შ–ავი ბარით რომ გამოპირულა.
ნ–აინანატრი ვაჟი დაობლდა,
ს–რ წავიდესო, მამა, – ყვიროდა.
ვ–ინ არ ოხრავდა, ვინ არ დაღონდა,
ს–ახე თვით მთებსაც ჩამოსტიროდა.

მ–ას შემდეგ ჯვარცმა, დარდი-გოდება,
ე-ლდა, ომები, ცრემლის ღვარ-ღვარი,
ო–ი, მოკლესო, ფიქრს არ შორდება,
რ-ამდენჯერ იცვენს ფოთლებს ჭადარი.
ე–რის ერთგული ძმა, თან პოეტი,
ლ–იდი გულის და ნიჭის პატრონი.

მ–იმინოს ფრთებით, ვით კაპოეტი,
ო–ცნებების და ფიქრის ავტორი.
ს–რ მოსწრებია ის აღზევებას,
ვ–აზის ყლორტების გადაწიდნებას,
ლ–ამაზ, ბრძნულ სტროფთა გამზეურებას,
ი–მიტომ ცრემლიც ხშირად მდინდება,
ნ–აისრ-ნაკორტნ გულს ისევე სტკივა,
ო–მია ძირს და ომია ცაშიც...

ქ–არიშხალია, ყინავს და ცივა,
ვ–აი თუ მომწვდეს სიკვდილის რაში.
ე–რთი ალალი ქმარი და შვილი,
ყ–აყაჩოსავით მოღაღანენი,
ს–ქაც მწარე ბედს მიუძღვის წვლილი,
ნ–ეკტრით მოწამლა სულის არენი.
ს–ქ შევჩერდები, ვმალავ სატკივარს...
ზ–ღვა გახდა უკვე ჩემი ცრემლები,
ე–ს ბედით მოხდა, არ ვწერ საჩივარს,

გ–ულში შემომრჩა ნაცრემლარები.
ე–ხლა სხვა რჩება უკვე სათქმელი,
ღ–ამაზი ღამის სიზმრის ხილვები,
ს–იქარგება სიტყვა ჯანმრთელი,

ღ–ალ და ფირუზში ამონავლები.
ს–მ ამბავს ასე ყვება მხატვარი:
რ–ოს თენდებოდა ვნახე თბილისში,
ი–ქ სკამზე ისხდნენ ბეჟან, თამაზი.
ს–ისს ხვდებოდნენ ორნივ ივლისში...
შ-ევშფოთდი, ჭადრებს არხევდა ქარი,
ვ–იცი, თამაზი გარდაცვლილია.
ი–ქნებ პოეტი, სტუმარი მთვარის
ღ–ამაზ სხეულში გადასულია?..
მ–ოფიქრებული აზრს ვაყალიბებ.
ს–რ მავიწყდება ეხლაც ხილვები,

ბ–ეჟან, თამაზი, აზრს ვაყალიბებ,
ე–რთად ვიხილე გარდაცვლილები.
ჟ–ამთა საწუთროს აღარ ვიდარდებ,
ს–ზრი მინდა რომ შევკრა კონებად...
ნ–აჯაფი მკლავი ისევ ივარგებს,

ხ–ვალინდელი დღის მოსაწონებლად.
ს–რ მოველოდი მეხილა ძმებად,
რ–ომ იქ მენახა ჩემი თამაზი,
ს–რ იყვნენ თუმცა ისინი ერთად,
ი–ქნებ ერთად აქვთ სულის დარბაზი?..
შ–ევფიქრიანდი, თვითონ ბეჟანი,
ვ–იცან სურათით სკოლის გახსნისას,
ი–ს ხილვა იყო საოცრებანი,
ღ–ამაზ მთვარესთან ერთი ღამისა.
ი–მან მომხიბლა ახოვანებით,
ხ–იზმრად მესტუმრა, ნახევრად მძინარს...

ბ–ეჟანი ვნახე ახლობელივით,
ი–მ წამს ჩემშივე დაიდო ბინა.
უ–ფალს გავანდე ჩემი მიზანი,
ხ–ინათლის შუქი არც კი ავანთე,
ცვ–კივილიანი დარჩა ხიზანი,
ი–მის ლექსებმა გამოანათეს.

შ–ავი ფანქრით და გულის მელანით,
ე–რთ წამს აღვიქვი პოეტის სახე,
ქ–ალბატონი ხარ, და თან მწერალი,
მ–ოგართვი კრძალვით, გთხოვ დაინახე,
ნ–აფიცმა ძმამაც ნახა ესკიზი,
ს–რ მოელოდა ლევან დღეს ღვთისას,

გ–ულით შექმნილი შავ-თეთრ ესკიზი,
მ–ართლაც ვაჟკაცი, პოეტი ძმისა.
ს–ცეკვდა ის დღე, აპეწენიკდა,
ლ–ა რა ლამაზი გახდა ის წუთი,
ღ–ურჯ ციდან სული ჩამოწიკწიკდა,
ო, – მის ცხოვრებით გულგანათუთქი...
ბ–ილიკებს ხვანის, ფიქრით გადავწვდი,
თ–ბილი ძირულაც მოვინახულე...

უ–ხელ-უფეხოდ მწვერვალებს გავცდი,
ფ–იქრით ზამთარშიც გავიზაფხულე.
ს–ხლა მინდა რომ ყანწი დავცალო,
ღ–ალს და ოქროში ამ დღეს არ გავცვლი,
ო–ი, შენ, წლებო, უნდა მაცალო.

ბ–ეწვის ხიდზე ვარ, სიცოცხლეს ვმარცვლი,
ე–ს სინამდვილე ვის დავაჯერო,
ჟ–ანგს ოქროდ აქცევს, თუკი ღმერთს უნდა,
ს–მითინათდა სული საფერო,
ნ–ამდვილად ღმერთო, ესეც შენ გსურდა,
ი–ს დღე წუთით რომ არ დამავიწყდეს,

ს–მიტომ ვჯღაბნი, ვჯღაბნი სტრიქონებს.
ლ–ონიერ რითმა სულ რომ გამიწყვეს,
ლ–ე, ცა მაწვდიდეს ქორონიკონებს.
გ–ელას, ღვთის რჩეულს ჰქონდეს დიდება,
ს–რსად არ შეხვდეს მბრდღვინავი ქარი...
ს–რ მსურს მოცილდეს სულის გალობა...
ს–ცდეს მოძმისგან ღვარძლი და შხამი.
ს–სეთ ხელოვანს ღვთით უკვდავება,

ს–რ მომწყინდება ქება გელასი...
ს–რავის სიტყვას შეედავება,
ს–რის მშველელი გულით ყველასი.
ს–რის ქართლელი, არის კახელი,
ს–რის სვანი და არის მეგრელი,
ს–რის ვაზი და არა მძახველი,
ს–რის გურული, თან იმერელიც.
ს–რავინ იტყვის ქედმაღალია,
ს–რავინ ეტყვის; წადი, მომშორდი,
ს–მიტომ ლექსიც გემრიელია,
ს–მიტომ ცრემლსაც ლექსით ვაშრობდი.
ს–რის დაბალი, არის მაღალი,
ს–რის ვაჟკაცი, არის ალალი,
ს–რის ტკივილის ტკბილი წამალი.
ს–რც დაიღალა წერით კალამი.
ს–რის მშობელი, კარგი მამიკო,
ს–რის ბაბუა პაწაწუნების...
ს–რის საძმოთა ყველას ძამიკო,
ს–რის დამთმობი, თბილი ბუნების.
ს–რის მებრძოლი, არის მორჩილი,
ს–რის მწერალი, არის მხატვარი,
ს–რის ხატებთან მუხლით მოხრილი.
ს–რის სიკეთის გულით დამტკბარი,
ს–რავინ არის მისგან რომ წყინდეს,
ს–რავის ავნებს, არავის ერჩის,
ს–ისი მინდა მით ამობრწყინდეს,
ს–ლბათ გელაა სულების ელჩი!



მოქანდაკე **გელა ლარიაშვილი**



ხვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა

ნამდვილი ამბავი

ხვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა
და ძირულის ტალღის სილრმის შენებამ,
დააწყვილა ორი გული უჩუმრად,
ორნივ იყვნენ სილამაზის მშვენება.
გოგოს ერქვა "ნანი" ფსევდო სახელად,
ამ ლექსში კი ვაჟს დავარქვათ გურამი,
სიყვარულის არცერთს სურდა გამხელა,
ივსებოდა ჩუმი გრძნობის ჟურნალი.
"ნანი" იყო ქარაშოტად ქცეული,
ლექსს ამბობდა, მღეროდა და ცეკვავდა,
ხელოვნების ცეცხლად გადაქცეული,
მთაგრეხილებს ფიქრის ლექსად კეცავდა.
გურამს სწავლა, მხოლოდ კითხვა უყვარდა,
ზრდილობითაც მუდამ გაირჩებოდა,
დიდ რუსთაველს სახე-პირი უგავდა,
ჩუმ გრძნობებთან მარტო-მარტოდ რჩებოდა.
ცეცხლის ალი ღვივდებოდა თანდათან,
წყვილი თრთოდა და შორიშორ იწვოდა,
გროვდებოდა ფიქრის გორა კარავთან,
საიდუმლო მხოლოდ ღმერთმა იცოდა.
ეშმამ თასში ჩააწვეთა წამალი,
მას ეწადა განშორება წყვილების...
შეიპარა გურამისთან დამალვით,
დააცალა ხალათს თეთრი ღილები,
მერე ძმურად გადახვია ხელები,
და შეფიცა ერთგულება ულევი,
მას თან ახლდნენ სიმაცდურის სულები,
ბოროტებით, საქმით განაფულები.
ეშმამ გურამს თასი ხელში მიართვა;
დალიე და „ნანი" შენად დალოცე,
სიტყვა თქვა და ძილმა თავი წაართვა,
ძილში ქალთან ლტოლვა ძლიერ აოცებს.
ჩემო „ნანი", ჩემო ფიქრის სამყაროვ,
არ დამტოვო, ჩემგან არსად წახვიდე,
გზის სავალზე ბედმა აღარ გაგვყაროს,
აქ ერთად ვართ, ცაშიც ერთად წავიდეთ...
მოიოხა გული ნანის ალერსით,
კრძალვით, რიდით, მაინც თავდავიწყებით.
გაიღვიძა და ქალს ხედავს ალესილს...
მე ლია ვარ, აღარ დაგავიწყდები,
ალერსის დროს სხვის სახელს რომ ბოდავდი,
მაპატიე, მაინც მოგეალერსე,
შეცდი, რადგან შენც ხარ ერთი მოკვდავი,
არ დამტოვო, თორემ დანა ავლესე.
ჰა, ხალათი სულმთლად დაგიხევია,
ჩემიცა და შენიც ხელით მოსრისე,
გადააგდე სადაც დიდი ხევია,
თორემ დღის შუქს არასოდეს გაღირსებ.
გურამს ელდა ტანზე შემოესია,
გაიფიქრა; საწამლავით დამათვრეს...
თავზე მადგას ბედისწერის მესია,
ალბათ მორჩა, სიყვარული წამართვეს.
შეამჩნია ლიამ გურამს ჭოჭმანი,
ვაჟკაცურ მკერდს ხელი მოუცაცუნა,
სადღაც ყვირის უბედობის ყორანი
და გურამი შეაშინა მაცდურმა.
ან რაი ჰქნას, ჯერ ისევე ბავშვია,
დევს უსულოდ, ლია ქალი ფლირტაობს,
წამს გურამმა ხელი იცა თავშია...
ლიამ უთხრა; მუშტს ტყუილად ირტყავო,
შენ ჩემი ხარ, თორემ წავალ, გიჩივლებ,
გამოგკეტავ ციხის ცხრაკლიტულებში,
ან კედლებში იყვირებ და იწივლებ,
ანდა ჩემთან შეებმები უღელში.
მაცდურებმა კრება ერთად გამართეს,
ითათბირეს ქორწინების შესახებ,

სიხარული გურამს ძალით წაართვეს,
მის ალალ გულს დანის წვერი შეახეს...
მოთქვამს ვაჟი, ფიქრობს „ნანის“ რა უთხრას,
რითი ახსნას მწუხრის მწარე საღამო,
გახსენებაც იმ ღამისა გულს თუთქავს,
ცდილობს სისხლი მაცდურების დაღვაროს.
ვფიქრობ, ვდარდობ, და ღმერთს უნდა მოუხმო,
გზა მიჩვენე, უფალო გთხოვ მომხედე,
ვიბრძოლო თუ ისევ მაცდურს დაუთმო,
ესა ვთქვი და ლიას თვალში შევხედე,
უნამუსოვ, წუთიერად გჭირდები,
სიყვარული შენთან ძალზე შორს არის.
ლიამ უთხრა: არც არასდროს გპირდები,
მე ვარ მხოლოდ ერთი ღამის ვაჭარი,
რა გაქვს მიზნად ის მაინც გთხოვ, მითხარი,
ის, რომ ნანის ვერ ვიტანდი თავიდან,
დაცილება არის ჩემი მიზანი,
სიყვარულის მზე იმისი ჩავიდა.
რატომ, რატომ, ის ძვირფასი გოგოა,
კარგად სწავლობს, უყვარს ცეკვა-თამაში,
ცეკვა არა, ტანით სუფთა ლოტოა,
არა ჰყოფნის პურის ერთი ლავაში,
რაო-რაო „ნანი“ სხვაში გეშლება,
ფაფუკია მისი ნაზი სხეული,
ნაწნავები მას მუხლამდე ეშვება,
ვაჟებია მასზე გადარეული.
მძულდა მუდამ იგი ასე ძალიან,
სხვებს რომ ჯობნის მეზიზღება ამიტომ,
აქ მომხედე, მისთვის არა მცალია,
მოდი ეს დღე სიყვარულით დაგიტკბო.
სიყვრული? არასოდეს ელოდე,
მე ვინც მიყვარს ვიტყვი, არ მეშინია,
მეყვარება სიკვდილამდე, ბოლომდე
სხვისი არა, „ნანი“ მუდამ ჩემია.
ნუ ქადაგობ მორჩი, იმის ხსენებას
ვიმეორებ – ციხე არა გშორდება,
რძლად მიმიღონ გიჯობს უკვე შენებმა,
ხედავ? ცრემლი თვალებიდან მგორდება.
მოინირპლა ლია, ვითომ ტიროდა
და ოთახი უცებ მიაწყვ-მოაწყო,
გურამ სჯობს შენ დღეს დამიდო პირობა,
რომ ცოტახნით აქ ოჯახი ავაწყო,
მერე წავალ, უთხრა: ცოტა მადროვე,
შენს ფერიას გულში დანა ჩავეცი,
პლანს ვეწევი და ვარ თანამედროვე,
მოდას მივდევ, თუმცა ბევრჯერ დავეცი.
მძულს ყველანი, ვინაც წესიერია,
შენი ნანიც, პატერებიც, დიდებიც,
ისინი რომ დიდ სცენაზე მღერიან,
მათ დიდებას მე ვერ შევურიგდები.
მოდი დავდოთ ერთმანეთში პირობა,
ფული მომეც პლანი სხვასაც გავუყო.
ერთხელ შენც გთხოვ ჩაიდინო გმირობა,
რომ მე ისევ მწვერვალები დავიპყრო.
ლია ამ დროს ნანის შეატყობინებს,
გიღალატა შენმა ტურფამ ნანიკო,
რა ჰქნას კარგო, ჩემს თავს ამჯობინებს და
სჯობს მოძებნო ახლა სულს სხვა ვანიკო.
„ნანიმ“ იმ წამს ეს წერილი დახია
და ღვარღვარით ჩამოყარა ცრემლები,
ვხვდები სადაც ძაღლის თავი მარხია,
ირგვლივ ბევრი არის გულის მკვლელები.
ჩუმად დარდობს და არ იმჩნევს არაფერს,
ღმერთს მიენდო და სანთელი აანთო,
ლოცვის სიტყვებს ცის კარებთან გააფენს
დარდი მხოლოდ ჩუმად უფალს გაანდო,
ლია უცდის „ნანის“ განადგურებას,
მაგრამ მისგან არაფერი არ ისმის
ველარ უძლებს თვით გურამის ყურებას,
მის ტანსაცმელს აივნიდან მოისვრის,
ახლა წადი და საცვალიც გააძრო,
წაეთრიე თვალით არ დამენახო,
მიწვდა უჯრას და სასროლი დააძრო,
მსურს ასეთი შენს ნანიკოს ენახო.
გურამს იმ წამს დაუბნელდა თვალში და...
ცას აღაპყრო ხელი ღონემიხდილმა...
ღმერთო, მათთან არ დამტოვო ვალში და...
ქვები დაფქვა უბედობის წისქვილმა.
რაღად მინდა მე ასეთი სიცოცხლე,
ან მეგობრებს თვალში როგორ შევხედო,
მე ხარივით სული ამოვიცოხნე
ნარკოტიკით ლია როგორ თავხედობს.
ნატანჯ ვაჟმა ნაგვის ბუნკერს მიაგნო,
ჩახტა შიგ და ლუკმას ძებნა დაუწყო...
გაახსენდა მეგობარი იაგო,
სჯობს იაგოს ეს ამბავი ვაუწყო.
იქნებ ისევ ბრძოლით – ბრძოლა მოვიგო,
ღმერთი ალალს არასოდეს გაწირავს,
ეს შემთხვევა ფეხქვეშ უნდა დავიგო,
შევასხვიპო ტოტი ნაწილ-ნაწილად.
ბუნკერებში ნახა ძველი შარვალი,
ფეხსაცმელიც სამოწყალოდ დაეგდოთ.
დამშვიდება არის ახლა მთავარი,
ეს ამბავი სხვას არავის გაეგო.
შემობრუნდა, მთვარეს ფიქრი გაანდო,
იქნებ მთვარევ, მითხრა როგორ მოვიქცე,
დედა არ მსურს დარდით მოვკლა დავადნო,
აქ დავრჩე თუ ისევ სახლში გავიქცე.
ამ წრიალში გაქრა ღამის წყვდიადი,
ვარსკვლავებმაც მოუმატეს ნათება...
როგორ მშია მჭადი, ანდა ხმიადი,
ცოტა ძალა კვებით შემემატება.
ტოტებისგან გააკეთა საწოლი,
წამოწვა და იქვე ჩამოიძინა...
დილით ტანზე ემჩენოდა ნაწოლი,
თავს დაადგა მეზობელი ბიძინა.
გაუკვირდა ბრძენ კაცს მისი დანახვა,
გურამ, შვილო, ტანზე რად არ გაცვია?..

დედაშენი რა დღეშია განახა,
ქალს საბრალოს, სევდის კაბა აცვია.
ადექი და სახლში ერთად წავიდეთ,
იქ მოყევი, თავზე რაც კი გადაგხდა.
დედაშენის მზე არ ჩაქრეს, ჩავიდეს,
თავს იკლავდა, აივნიდან გადახტა.
გურამს სულ მთლად დაავიწყდა სათქმელი,
თავის სხეულს ზიზღით თვალი შეავლო...
უცხო ძალამ გულს დაუნთო სანთელი,
რაღაც ძალამ თვალში ცრემლი გაუშრო.
ძია კაცო ძალა გამომეცალა,
სად წავიდე უკვე ისიც არ ვიცი...
ჯგროში მოვხვდი ერთი ქალი ეცადა,
ჩემს შეცდენას და ძალიან განვიცდი.
არ იჯავრო, მთავარია გიპოვნე,
ყველაფერი ისევ კარგად იქნება.
გადავრეკე, ტანსაცმელი გიშოვნე,
მიხვალ სახლში ტკბილად დაგეძინება.
ბიძაჩემო, ის საშიში ხალხია,
ნარკოტიკით გადამთრალი ლეშები,
ირგვლივმყოფნი ყველა ერთნი არიან,
დღე და ღამე მიჰყავთ აზარფეშობით.
კარგი, კარგი, მოვრჩეთ მათზე საუბარს,
პოლიცია მათ კვალს ჩქარე იპოვნის,
ბინძურ ხელებს რკინის ლასტით დავუბამთ,
დამთავრდება, მათი ქორონიკონი.
ტაქსი არ გსუთ? ტაქსი მათ წინ გაჩერდა,
მოდით, მოდით! მაინც ამ გზით მივდივარ,
გურამს შიში, ჯერ ისედაც დაჩემდა,
შეუყვირა, მოსაკლავად გინდივარ?..
და, არც შეცდა, ლიას ოინებია,
ნარკოტიკით მთვრალი ქალის ხრიკები.
ორი ქალი, ათ მამრს დანებებია,
დაძვრებიან როგორც მწვანე ხვლიკები.
ტაქსის მძღოლმა ლიას მისცა ნიშანი,
დაგიჭერენ, ეშმაკს უკვე არ სძინავს...
არ გიშველის ბანდის რბო და ხიზანი,
მად მოდიან გურამი და ბიძინა.
აიკრიფა ლიამ გუდა-ნაბადი,
გზას დაადგა, სად წავიდეს, არ იცის...
ვეღარ სუნთქავს, არ აქვს სულის ჟანგბადი
დამარცხებას ლია ძლიერ განიცდის.
გურამი კი სახლში დედას ეწვია,
სიცილი და ცრემლი ერთად შეერწყმა...
ეხ! სიცოცხლე მართლაც ერთი ბეწვია,
ჯანმრთელობა გურამს შიშით შეერყა.
გაიმართა სახლში დიდი ტრაპეზი,
მნახველები არ ილევა ოჯახში...
სიხარული სულ არ მოდის დაკვეთით,
როცა გული არის დარდით ნახარში.
ნარკოტიკის მიმდევართა არმია,
სამეგობრო ამ მთისა და იმ მთისა,
სამწუხაროდ ყველგან ბევრი არიან,
საქართველო სენმა, რომ მიითვისა.
ლია თუმცა საზღვრებს გასცდა, გაცილდა,
მისი მსგავსი აქეთ ძალზე ბევრია,
გზაშიც სწევენ, ცუდი სენით აცრილან...
პლანი მინდა... სიზმარშიდაც მღერიან.
ძმა-ძმასა მტრობს, მეგობარი – მეგობარს,
აქ ქართული ადათ-წესი გამქრალა...
იშვიათად ნახავთ სულის მეომარს,
უღვინოთაც ყველა ერთად დამთვრალა.
გადაწყვიტა ნანიმ ნახოს გურამი,
მხლებლად გაჰყვნენ ლევანი და არსენა,
ნანი არის კარგი სიტყვით მკურნალი
გზას გაუდგა ღმერთი რწმენით ახსენა.
მიდის, ფიქრობს, ბოროტობას რა მოაქვს,
სიძულვილი ბადებს ისევ სიძულვილს...
ყინვით ნასუსხს ხეს რომ კვირტი არ მოაქვს...
რატომ აქვს ამ ხალხს სული ბინძური...
ლიამ ბიჭებს დაურეკა მშვიდად ვარ,
მხოლოდ დარდი ნანის აქაც გამომყვა,
ცეცხლში ვიწვი, დავემგვანე ჯადოქარს,
თავს მოვიკლავ, სასროლს თითებს გამოვკრავ.
რითი მჯობნის ის წუპაკი გომბიო,
ტანი მეც მაქვს, თვალები და ფეხები,
მოხერებით? ის ხომ არის ლობიო,
ვნებიანად ათ კაცს ერთად ვეხვევი.
შეაპარეთ ნარკოტიკი იმ წუკნას,
დაათვრეთ და დანარჩენი თქვენ იცით,
ეს, საქმე კი ჩააბარეთ ჩემს ლუკას,
დაუმტკიცოს სიყვარული ღვთის ფიცით.
დატრიალდნენ ძმაკაცები ლიასი,
და გეგმები ბრძნულად შეიმუშვეს...
წამლის დოზა გაურიეს წვნიანში,
ამ საკვებით დიდ ძაღლს პირს უშუშხავენ.
ათლაფუნებს მურა წვნიანს ხარბად და...
გამოძღება, ასვალტს ჩაეხუტება,
წვნიანს ლოკავს მეზობელის წარბაც და
არ ეყო და მურას გაებუტება.
დღე დამთავრდა, წარმატების ცდების და...
მურამ, წარბამ გაიღვიძეს მთქნარებით.
დამეგობრდნენ როგორც ტყუპი დები და...
ქუჩაშია ბევრი იმისთანები.
ახლა რა ვქნათ? – მიშამ უთხრა თამაზის, –
შეფის სიტყვა მასხამს მე თავზარსაო.
ლუკა არის აქ ყველაზე ლამაზი
ნანის ლუკა შეაყვარებს თავსაო.

გაგრძელება იქნება.

ვითამაშოთ ქართულ ანბანთან ერთად

თეა კანდელაკი, ციკლიდან „საბავშვო პროგრამისთვის“

ა ბ გ დ ე ვ
ზ თ ი კ ლ
მ ნ ო პ ჟ რ
ს ტ უ ფ ქ
ღ ყ შ ჩ ც ძ
წ ჭ ხ ჯ ჰ

ანი-დან ჰოე-მდე
საიდუმლო დუღს.

ან-ი, ბან-ი, გან-ი, დონ-ი,
რა ასოა რიგში მდგომი?
ენ-ი, ვინ-ი, ზენ-ი, თან-ი,
შევისწავლოთ კვლავ ანბანი.

ინ-ი, კან-ი, ლას-ი, მან-ი,
ფეხს ამშვენებს ქალამანი.
ნარ-ი, ონ-ი, პარ-ი, ჟან-ი,
“შეჭამაო მიწამ ჟანგი”.

რაე, სან-ი, ტარ-ი, უნ-ი,
ვინ დაუდო ქართულს წუნი?
ფარ-ი, ქან-ი, ღან-ი, ყარ-ი,
კვართი შეგვხვდა წილნაყარი
და ქართულიც, ვით ლაზარე,
აღდგებაო ენა მკვდარი.

შინ-ი, ჩინ-ი, ცან-ი , ძილ-ი,
ღმერთმა მოგცეთ ტკბილი ძილი.
წილ-ი, ჭარ-ი, ხან-ი, ჯან-ი,
დაწყობილა როგორც ჯარი.

სრულყოფილი ანბანისთვის
რაც დაგვაკლდა ცოდნით ჰპოვე,
ვინ მიხვდება რა იქნება?
- ბოლო ასო ბგერა - ჰოე!

ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, თან,
რვა-რვად დავითვალოთ.
ინ, კან, ლას, მან, ნარ, ონ, პარ, ჟან,
წრეზე გავითვალოთ.

რაე, სან, ტარ, უნ, ფარ, ქან, ღან,
სწრაფად დავიმალოთ,
ყარ, შინ , ჩინ, ცან, ძილ, წილ, ჭარ, ხან,
ძებნით გადავღალოთ.

ასო ჯან-ი დაგვავიწყდა
დამალულა სადღაც,
ქართულ ანბანს ამოვქარგავთ
დავამშვენებთ ფარდაგს.

ცოდნით ყველა გავახაროთ
სიბრძნე ყველას ჰქონდეს,
თვით ღმერთიც ხომ ყველგან მყოფი
ანი არს და ჰოე!

მაცხოვრის ხატი – პანტოკრატოსი

ავტორი: **თეა კანდელაკი**

სინას მაცხოვარი – პანტოკრატოსი. ტილო 16/20.
ზეთის საღებავი, ოქროს ფურცელი, ჯვარი შემკულია
ლალის და საფირის თვლებით, ფონზე წარწერა-
ნახევრადძვირფასი ფერადი ქვები.

ამჟამად დაბრძანებულია ავტორის სახლში.

ხაბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე

ყვავილების გამოფენაზე

ვაზის თალარში მოსულა,
ლურჯი აპრილი ციმციმით,
აქ თავს იყრიან ყვავილნი,
ღიმილითა და სიცილით.

კეკლუცობენ და გვიმზერენ,
მნათი, კეთილი თვალებით,
აქ თავს იყრიან ხალისით.
ზურმუხტები და ლალები.

– ყვავილი გიყვარს?
– ძალიან,
ყველას, დიდებს და პატარებს,
ადამიანთა სიყვარულს,
ისიც სულგულით ატარებს.

***

– ჩვენი დღესასწაულია,
ვარდმა ბრძანა წყნარად,

მე ვიყავი დედოფალი
და ვიქნები მარად.

პოეტები უმღერიან
ვარდს სიტურფის მქონეს,
მიმზიდველი, სურნელებით
ყველას დაიმონებს.

ის ამშვენებს საქართველოს,
ბაღებსა და კორდებს,
ჰოლანდია გმირებს ჩუქნის
თეთრი ვარდი ორდენს.

საბერძნეთში უწოდებენ,
„ყვავილების მეფეს“,
დასარგავად მის ღეროებს,
მოყვარული ეძებს.

გმირებს ვარდებს მიართმევენ
ყველა ქვეყანაში,
ვარდი ყველგან, ნაზი ფერი
ეზოსა და ბაღში.

ვარდმა ბრძანა: მშვიდობაა
ჩემი სალოცავი,
საქართველოს შესამკობად
ზამთარ-ზაფხულს ვყვავი.

– ვარდო, ვარდო, ვარდისაო,
სიხაულო ხალხისაო,
მოგვაფრქვიე სურნელება,
მინდვრისა და მთებისაო!

ია – სულ სხვაა, პირბადრი,
ლურჯად მოხატავს გარემოს,
სურნელიც მოაქვს საამო,
ვინ არის ის რომ არ აქოს?!

ვმღერივართ – იავნანაო,
შენ მოგემატოს ნანაო,
ეთერზეთებსაც გამოვხდით
ამასაც არ დავფარავო.

სამკურნალოსა, საამო,
მუდამ კეთილი რამ არის,
ნახარში გულსაც უხდება,
ავადმოყოფობის წამალი.

ია ლურჯია, ხასხასა,
ის სილამაზის ფერია,
სიმბოლო კრძალვის, მორცხვობის,
თბილ გაზაფხულზე ელიან.

– შენ, რაღას იტყვი, იაო,
პატარავ, ცრემლის ტოლაო?
მალე ჩემს სახლში შემოდი,
გვიხარის შენი ყოლაო!

– ჩემი ფუძეა მშვიდობა,
მთლიანად დედამიწაზე,
ია ვარ, სავსე სიკეთით,
ძლივსღა მოვჩანვარ მიწაზე!

ზამბახი ცისფერთვალება,
იზრდება ყინვის ამტანი,
ხან ცისფერია, ხარ ლურჯი,
მისი მსგავსება სად არის!?

გვირგვინით, ფართო ფოთლებით,
იცნობს ევროპაც, აზიაც,
ამერიკაშიც იზრდება,
ო, მართლაც რა ლამაზია!

ის ხარობს იტალიაში
და ზღაპრულ ფლორენციაში,
გერბად ხატავენ ზამბახებს,
შესულა უკვდავთ სიაში.

ამშვენებს ირიდარიუმს,
ცივ ლენინგრადის ბაღნარში,
ცოცხლობს და ხარობს ლამაზი,
ნიავის ღია კარავში.

თალარში სხედან **ტიტები**,
შეღებილი აქვთ თითები,
ზოგი ლურჯია, წითელი,
თითქოს აანთეს ბინდები.

მაღალი ღერო უხდება,
გვირგვინი ფურცლებიანი,
მისი მოყვანა ბაღებში,
არასდროს არის გვიანი.

პოლანდიაში ხარობენ,
მართავენ დღესასწაულებს,
ისმის სიმღერა, მუსიკა,
ცეკვა-თამაშსაც უწყობენ.

აჯილდოებენ მებაღეს,
ნაზი, ფერადი ყვავილით,
ვაჟი ქალს აწვდის ღიმილით,
სიყვარულით და სურვილით.

– წითელი ვარო – გვიამბობს ტიტა,
მზეც წითელია და ძალზე მიყვარს,
ერთად ვცოცხლობთ სანახებში,
თავს კარგად ვგრძნობთ ბალახებში.

შროშანი – თეთრი ყვავილი,
მაისის თვეში იზრდება,
დღესასწაულებს უწყობენ,
საუკეთესოდ ითქმება.

თვალის და ციებცხელების,
კუჭის და გულის საამო,
მისგან მზადდება წამალი,
როგორც ნამდვილი მალამო.

მაგრამ ის შხამიანია,
ზოგი მცენარის მტერია,
ცრემლივით ტოტზე ჰკიდია,
მასთან სიფრთხილით მიდიან.

ფრთხილად იყავი ლამაზთან,
მის ახლოს თუკი იქნები,
სიკვდილთან მეტად ახლოა,
დაგიმძიმდება ფიქრები.

– შენ რაღას იტყვი, შროშანო?
ამ არემარეს მოვრთავო?
– დიახ, ვარსკვლავიც მეძახის,
ლამაზმანო და კოხტაო!

– მშვიდობიან დღეს შევხარი,
თეთყირმიზა ვარ შროშანი,
მოდის მიმღერის ბულბული,
გულკეთილია მგოსანი.

ყაყაჩო – ალისფერაო,
ვერ შეგვედრებით, ვერაო,
ყანებში გალაღებულხარ,
და ნიავ-ქარზე ღელავო.

წითლად ელვარებ ხალითა,
ველზე გაშლილხარ ხალიჩად,
ღმერთმა ინებოს, გამრავლდი,
და მოგვევლინე ხალისად.

წინათ ყაყაჩოს ხარშავდნენ
ბავშვების დასაძინებლად,
წითლად ელვარებს მინდორში,
ბუნებამ ასე ინება!

ლია ბეჟანიშვილი

ბავშვებს

თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლე,
ჩემი იმერ და ამიერ,
თქვენა ხართ ჩემი გულისთქმა
და ჩემი მრავალჟამიერ.
თქვენა ხართ ჩემი სამყარო,
ეკა, ნიკო და იმედა...
თქვენა ხართ ცაზე ვარსკვლავნი,
დაბადებულნი იმედად.

თქვენა ხართ აწმყოც, წარსულიც,
ცეცხლიც თქვენა ხართ, აბედიც,
სიზმრებში ისევ ბავშვი ვარ,
ცხადში კი, თქვენთვის დავბერდი.
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლე,
ჩემი იმერ და ამიერ,
თქვენა ხართ ჩემი გულისთქმა
და ჩემი მრავალჟამიერ!

წერილი ნათიას

წერილი რომ მივიღე,
საყვარელო ნათია,
ბებომ სიხარულისგან,
მთელი ღამე ათია.
ფისო, ყურშა, ბროლია,
ჩვენთან არის სამივე,
კარგად ვუვლით დაიკო,
უფალია გამრიგე.
ჩვენმა ნერგმაც იხარა,
შემოგევლოს საიდა,
თუთიყუში ხომ გახსოვს?
ენა უკვე აიდგა.
ახლახანს წაუკითხა,
ბაბუს შენი ბარათი.

ეს დღე დავაგვირგვინეთ,
დიდი ლხინის გამართვით.
ყველას შევატყობინეთ,
კარგად რომ ხარ, ჯანმრთელად,
გადაჭრილი ბილიკი,
ჩვენ შორის რომ გამთელდა.
მომიკითხე რუსთავი,
დედა, მამა , ბაბუა,
ჩემეული თოჯინა,
თვალხატულა, ღაბუა.
აქედან მოგიკითხა:
გუნდამ, იდამ, შაქრიამ,
ჩვენ სიყვარულს დაიკო,
ტყვიები ვერ წაშლიან!

ყოჩალი

დილიდანვე ფეხზე დგას,
დაფუსფუსებს თამარი,
ახლაც მოუცუნცულა
ნინა ბებოს წამალი.
ძამიკოსაც მიხედა,
არ გეგონოთ ზოზინა,
აბანავა ვასილი,
ქადის ცომი მოზილა.

გელას ნაცვრა

გეყო გარეთ თამაში,
შინ შემოდი გელა,
ვინმემ არ შეგაშინოს,
მზე ჩავიდა, ბნელა.
აღარ გახსოვს გუშინ ხბომ,
ლამის გადაგთელა?
-ნეტავ როდის გავხდები,
თედო პაპას ხელა...

ნაწყენი თხილები

ციყუნიამ ზამთრისთვის,
შეაგროვა კაკლები,
არც კი შემოუხედავს,
მათზე რით ვართ ნაკლები?
ბუზღუნებენ თხილები:
,,კუდიც კი არ შეგვახო,
არ აუდგეს გვერდები,
სახლში ჩვენ არ ვეახლოთ“!

ბებოს გაფრთხილება

ჩვენს ტარიელს სიცხე აქვს,
გამაფრთხილა ბებიამ,
ახლოს არ გაეკარო,
გრიპი გადამდებია.
– ლეკვს რომ ეთამაშება?
– ფისო გვერდით რომ უწევს?
– ხვალ შენც გეთამაშება,
სიცხე როცა დაუწევს.

ცნობისმოყვარე

ლოგინიდან წამოხტა
გაწეწილი ნინიკო,
– კარზე აკაკუნებდნენ,
ძამიკელა, ვინ იყო?
– სათევზაოდ მივდივარ,
მომაკითხა ნიკალამ,
– მთელი ღამე რომ წვიმდა?
– უკვე გადაიკარა.

ჰაექრობა

– პაპა, გუშინ ბოსტანში,
ონავარა ოთარმა,
გადარგული ნერგები,
ძირიანად მოთხარა.
– მზია რატომ ატყუებ?
ვინ მოთხარა, დავბარე.
სჯობს შენ საქმეს მიხედო,
სახლი კარგად დაგავე.

მეტიჩარა

ორი დღეა არ მასვენებ,
შემაწუხე ბროლა,
მაშინ უნდა დაიყეფო,
როცა უცხო მოვა,
– ქარს ვუყეფავ! –
გენაცვალე, შეაწუხა ნუში,
ვერა ხედავ მეტიჩარა,
გაკვირტას რომ უშლი?!

ზარმაცი გელა

მელიაც ვერ დახატე,
ეშმაკუნა, ფლიდი,
ზღაპარიც არ იცოდი,
ასამდეც ვერ ითვლი,
ზარმაცი ხარ, აბა რა?
საყვედურობს დარიკო,
ჩემი სამეგობროდან,
ნახავ თუ არ გაგრიყო.
დაო, ნუ გამაწითლე,
ბოდიშს იხდის გელა,
სირცხვილისგან ვიწვები,
ზღვასავითა ვღელავ.

დარიგება

დილიდანვე ტიკ-ტიკით,
რჩევებს აძლევს სონია,
დედოფალას არიგებს,
ისიც უსმენს ჰგონია.
,,ფაფა უნდა მიირთვა,
დილით თვალისჩინოო,
მეგობრები სკოლაში,
უნდა გაიჩინოო.
ვინმეს ათვალწუნება,
გოგო ცუდი რამეა,
ახლა კი დაიძინე,
შემოგევლე ღამეა.“

მეტიჩარა ელენე

მაგ ფანჯარას მოშორდი,
მეტიჩარა ელენე,
კაბას ვუქსოვ თოჯინას,
შუქი ნუ დამიბნელე!

უმადური ფისო

კამფეტი რომ გაჭამე,
შოკოლადი – ,,ბარამბო“,
ფისო არა გრცხვენია,
მადლობას რომ არ ამბობ?!

ქალაქელი

ქალაქიდან გვესტუმრა
თმაქოჩორა გუგეშა,
დედა რომ მოენატრა,
მურიამ ანუგეშა...

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

დაპატიჟება კოკეტეის წლისთავზე

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3-7 ტომსა და ჟურნალი
„ათინათის“ №№ 18-30 ნომრებში

ყირგიზი ხანების შეთქმულება

სად მზიანი ალაია,
სად მაღალი მთები არის,
შეიკრიბა ექვსი გვარის
დიდებული ექვსი ხანი.
ყაზახი კოკჩე მობრძანდა
ზღაპრად თქმული სარ-არკიდან,
და მოხუცი ხან ურბიუც
ჩამობრძანდა კემინიდან.
ერ-ტოშტიუკს ვინ არ იცნობს,
ელამანის ვაჟი არის,
სანჟიბეგიც იქ მოვიდა
დიდი ანდიჟანის ხანი,
ჟამგირჩმა და ბუზბურჩაკმა
დაუმშვენეს ხანებს მხარი,
ითათბირეს თუ რა ჰქონდათ,
საკამათო, საწუხარი.
როცა დასხდნენ სანადიმოდ,
ბუზბურჩუკმა ასე ბრძანა:
– თავსა ვგრძნობ დამცირებულად,
და სიბრაზეც მომეძალა.
ერ-მანასმა იმ წლისთავზე
ნეტა რატომ დაგვიძახა,
ყველა აბუჩად აგვიგდო
თავის ძალა დაგვანახა.
– ერ-მანასის ერთგულია
ხან-კოშოა ბუმბერაზი,
ის წყეული ალმანბეტი
და ბაკაი თავის რაზმით.
– ან ვინ არის ალმანბეტი?
სანაქებო ნეტა რა აქვს?
ჩინელების მოღალატეს
პირფერობით თავი გააქვს.
– შენც ურბიუ, ყველას თვალწინ
ასე როგორ დაგამცირა,
იმ წყეულმა ერ-მანასმა
მტერი ჩვენზე გააცინა.
– სიტყვაც კი არ გვათქმევინა,
და დაგვჯაბნა ყველაფერში,
მთელი ძალაუფლება დღეს
ერ-მანასმა იგდო ხელში.
– ჩვენთან ისე მედიდურობს,
თითქოს ჩვენი ბატონია,
კარგად ვიცით, აკარაკი
თუ რა ჭკუის პატრონია.
– ახლა გვმართებს ერთად ყოფნა,
ჩვენი დამცირება კმარა,
იმ ბაქიას და უტიფარს
დავანახოთ ჩვენი ძალა.
ხან ურბიუმ ასე ბრძანა:
– მე სიბერე მომეძალა,
ერ-მანასთან საბრძოლველად
არ მეყოფა ვიცი, ძალა.
– შენ ღირსებაც არ გქონია,
კოკჩემ ბრაზით დაიყვირა,
ერ-მანასმა რომ გაგარტყა,
ძარღვში სისხლი გამეყინა.
როდის არის მორჩილება
ხანისათვის შესაფერი,
ბარემ წადი და ერ-მანასს
მოუყევი ყველაფერი.
ურბიემ თქვა: – ერ-მანასთან
არ გიმუხთლებთ, გამჩენს ვფიცავ,
ხანის სახელს და ღირსებას
თქვენთან ერთად მეც დავიცავ.
გადაწყვიტეს ალაიში
თავისი რჩეული რაზმით,
ცოლითა და მსახურებით
მოიწვიონ ბუმბერაზი.
ღამით მოპარონ აკ-კულა,
მისი ცეცხლოვანი რახსი

აიძულონ ერ-მანასი
თავად დასთმოს ხანის ტახტი.
ამოხოცონ მთელი რაზმი,
თუკი უარს დააპირებს,
დაატყვევონ ერ-მანასი
ჩაამწყვდიონ ხანი დილეგს.
ისეთ ჯურღმულში ჩააგდონ,
რომ იწყევლოს ბედისწერა,
მშვენიერი კანიკეი,
უნდა აიყვანონ მძევლად.
წამოაქციეს ფაშატი,
ამოავსეს სისხლით თასი,
იძახიან: – „ასე მოკვდეს
თავგასული ერ-მანასი.
ილოცეს და იდუდუნეს,
ხელი დაიბანეს სისხლში,
დაიფიცეს: – ვიყოთ ერთად
მუდამ ლხინში, გასაჭირში.
და თუ ჩვენგან, თუნდაც ერთმა,
გულს გაივლოს ავი ზრახვა
სამუდამოდ შთანთქას იგი
დედამიწის შავმა ხახამ.
დე, იაროს მოღალატემ
შერცხვენილმა, შერისხულმა,
იმ ქვეყნადაც ვერა ჰპოვოს
მოსვენება მისმა სულმა.
გააგზავნეს ექვსი ელჩი,
გაატანეს თან ბარათი,
მოიწვიეს ალაიში
ერ-მანასი ამალათი.

ელჩების მისვლა მანასთან

მიიჩქარის ექვსი ელჩი
მანასის სატახტო ქალაქს,
გვირილებს და ლილიფარებს
ველ-მინდვრები დაუფარავს.
შორს გამოჩნდა ქვის კარიპჭე
და ქალაქის გალავანი,
წყლით სავეს არხია ირგლივ
მაგრამ ხიდი არსად არის.
კარიპჭეც დაკეტილია
აი, მართლა ხათაბალა,
ყაზახმა ჟორონჩუმ მანას
ელჩების მოსვლა ახარა.
„რისთვის მეწვივდნენ ელჩები
მსტოვარისგან კარგად ვიცი,
უნდათ, რომ ჭკუა მასწავლონ,
ექვსმა ხანმა შეკრა ფიცი.
მათ დავუთმო ჩემი ტახტი?
სხვა რა უნდათ სულელ ვაცებს,
რას ფიქრობენ, რომ ერ-მანასს
დაუკარგავს სიმამაცე?
ტოშტიუკთან შეკრებილან,
რას მიზამენ, ერთიც ვნახავთ,
ცეცხლს რად ეთამაშებიან
რა პირობა მოუჩმახავთ.
როგორც უძვირფასეს სტუმრებს,
პატივს სცემენ ელჩებს ჩვენში,
უნდა დავხვდეთ ღირსეულად
როცა მოვლენ სასახლეში.
გაუშალეთ ხალიჩები,
ვარდის წყლით დაბანეთ ხელი,
ოქროს ძაფით დასირმული
ტანთ ჩააცვით სამოსელი.
ბუზა, არაყი, შარბათი
სტუმრებს ასვით ვერცხლის თასით,
დაინახონ, რა სიმდიდრის
მფლობელია ერ-მანასი.
უსტარი რომ წაიკითხა
ჩაიცინა ხანმა მწარედ,
ელჩებს უთხრა: – გავეცანი
დიდებულთა დანაბარებს.
სიტყვა-სიტყვით გადაეცით:
ერ-მანასი გიძღვნით სალამს,
თავად ვიწვევ სასახლეში,
ექვსივე ხანს ველი ტალასს.
აქ განვსაჯოთ, ვინ იქნება
ხანთა ხანი, მეთაური
და ექვსივე ელჩს მანასმა
მისცა ექვსი ბედაური.
ელჩებს გადასცა წერილიც
ხანის ბეჭდით დაამოწმა,
გაატანა საჩუქრები,
გზა-სავალი დაულოცა.
– გააჭენეს ალაიში
ქანცი გაუწყვიტეს ცხენებს,
და ელჩებმა ერ-მანასის
სიტყვა ტოშტუკს მოახსენეს.
ტოშტუკმა წერილი გახსნა,
წაიკითხა, ეცა ელდა
შიშისაგან მოიკუნტა
და ლამის თვალთ დაუბნელდა.
„ერ-მანასი, ხანთა-ხანი,
დიდებულნო, სალამს გიძღვნით,
ჩემი სიტყვა, ჩემი ნება
კანონია, ყველამ იცით.
ვინც ურჩობას გამიბედავს
გავისტუმრებ სამარეში,
მთელი თქვენი მხედრიონით
ტალასს გელით ორმოც დღეში.
რა ქნან, ან რა გზას დაადგნენ
კურდღლებივით კრთიან შიშით,
თითქოს ენა ჩაუყლაპავთ,

დაიგუბეს წყალი პირში.
ტოშტუკმა თქვა: შურს იძიებს,
განა ჩვენი ტოლი არის,
ჩვენ ექვსივე ტურები ვართ,
ერ-მანასი ლომი არის.
ჯარით რატომ დაგვიბარა?
ომში გვიწვევს აღსაკალი,
ლომის ბასრი კლანჭებისგან
როგორ გამოვიხსნათ თავი.
ნეტავი რად ავიხირეთ
ალაიში მანასს ვუხმოთ,
ახლა რა წყალს მივცეთ თავი,
ნეტავი რა ვუპასუხოთ.
არვინ იცის, თუ რა გველის,
ორმოცი დღე დაგვრჩენია,
ვაი, თუ ისიც დავკარგოთ
მამა-პაპით რაც ჩვენია.
იქნებ ტალასს გვიკრას თავი
რა ტალღაა, რა ჩქერია,
ან სამარე გაგვითხაროს,
მიწაც ჩვენი სარჩენია,
რაღაც ავის მოლოდინში
გულში დარდი გაგვჩენია.

დიადი ლაშქრობა ჩინეთზე

ჰა, გავიდა ორმოცი დღე,
აგუგუნდა დილით დოლი,
ერ-მანასი გამობრძანდა
ორმოცი თანამებრძოლით.
რაზმს უბრძანა, აქ მომგვარეთ
შეთქმულების თავკაცები,
თავად მითხრან, რას ფიქრობენ
თუ არიან მამაცები.
ფერი დაუკარგავთ ხანებს,
კურდღლებივით უკრთით გული,
ღმერთსა სთხოვენ, ერ-მანასმა
აკმაროს მათ საყვედური.
ერ-მანასმა ხანებს უთხრა: –
„იცით, ბედის რჩეული ვარ,
კანონია ჩემი სიტყვა,
მორჩილებას ჩვეული ვარ.
ენა რატომ ჩაგიყლაპავთ
დიდებულო ექვსი გვარის,
ზურგს უკან შეთქმულებისთვის
რომ დაგსაჯოთ, ახი არის.
თავის ტახტს და ძლიერებას
ნებით დასთმობს ვინ სულელი.
ჩემთან მტრობა გსურთ თუ ძმობა?
პასუხს ახლა თქვენგან ველი,
აკი ძლიერ დიდგულობდით,
ახლა თავი რად დახარეთ?
თქვენ მტერი მე არა ვარ,
აგრევიათ მტერ-მოყვარე.
სიკეთე მსურს ყირგიზთათვის,
როდის უნდა მიხვდეთ ნეტა.
ის დავსაჯოთ, ვინც მოგვიწყო
სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა,
შევიკრათ ერთ ძლიერ მუშტად,
გავუწოდოთ ერთ-ურთს ხელი,
ნამდვილი მტრისგან გვაშორებს
ჩინეთის დიდი კედელი.
დავაჩოქოთ ჩინელები
მოვაშოროთ ჩვენს ხალხს ჭირი,
ვინც სალაშქროდ არ წამოვა,
სახლში წავა თავმოჭრილი.
ჩაფიქრდნენ დიდებულები,
ველარ გვიხსნის ვერაფერი,
ყველგან არის განსაცდელი
წინ წყალი, უკან მეწყერი.
წარბები კუშტად შეუკრავს
ერ-მანასი პასუხს ელის,
ისე უმზერს ხანებს, როგორც
თაგვებს მახრჩობელა გველი.
მოსულებმა უთხრეს მანასს:
– გვაპატიე, ხანთა ხანო,
ჩვენ ვართ შენი მებრძოლები
წინამძღოლი შენა ხარო.
სიკვდილამდე გიერთგულებთ,
გულში რომ არ დაგრჩეს ეჭვი,
ძმობა შევფიცოთ ერთმანეთს,
სიტყვა დავამტკიცოთ ბეჭდით.
დიდებულთა დაპირებით
ერ-მანასი გულით ილხენს,
შიკრიკს უთხრა, მეიდანზე
ჩქარა ჩემი ხალხი მიხმე.
ბრძანა: – „ხალხო, თქვენს წინაშე
კრძალვით თავს ხრის ერ-მანასი,
გულადებო, მამაცებო,
კარგად ვიცი თქვენი ფასი.
რაც თქვენ დღემდე ჭირი ნახეთ,
კაცის ენით არ ითქმება,
ისევ ავად გვიმზერს მტერი,
არვინ იცის, რა იქნება.
თავზე შავი ყორანივით
უბედობა დაგვტრიალებს,
მიწას უნდა ერთგულება,
დაცვა უნდა შვილებს, ქალებს,
ავი ამბის მოლოდინში,
ცა შავ ღრუბელს დაუფარავს,
ჩვენი განადგურება სურს
კონურბაის და ნესკარას.
ჩინეთს წავიდეთ სალაშქროდ,
მტრისგან ვერ დაგვიხსნის შიში,

სანამ თავად დაგვასწრებენ,
გაგვრეკავენ ალტაიში.
წაიშინეს თავში ხელი –
კვლავ ჩამოწვა შავი ღამე,
ისევ გველის სისხლი, ომი,
კოკე-თენგირ დაგვეხმარე!
გვინდა გავზარდოთ შვილები
ჩინეთში რა დაგვრჩენია,
მოსავალი მოვაწიოთ,
ის შევირგოთ, რაც ჩვენია.
ხედავთ, თურმე რისთვის გვიხმეს,
რა ჰქონიათ ხანებს გულში,
თუ სიკვდილი გვიწერია,
დაე, მოვკვდეთ ჩვენს მამულში.
აქ მოვედით ერ-მანასის
ხანებისგან დასაცავად,
უსინდისოდ მოგვატყუეს
ხაფანგში გავებით თავად.
თავი ზიდანში[1] ჩავიგდეთ,
ეს რა ჭირი დაგვემართა,
აჩოჩქოლდა მოედანი,
ალმანბეტმა ხალხს მიმართა:
„წუთით ვითხოვ ყურადღებას,
იცით, ჩინეთს ვიცნობ კარგად,
პირადი ჯარი ჰყავს მხოლოდ
კონურბაის და ნესკარას.
თავად ხალხი მშიშარაა,
არ იციან ცხენზე ჯდომაც,
ყირგიზს უკეთ ეხერხება
შუბის ტყორცნა, ჯომარდობა.
ერთ რამესაც გეტყვით ძმებო,
მდიდარია ჩინთა მხარე,
ოქრო, ჩაი, აბრეშუმი
უხვადა აქვთ ჩინელ ხანებს.
ბრძოლა ჩვენი ხელობაა,
ლომებივით შევებმებით,
გავიმარჯვებთ და ნადავლით
სამშობლოში დავბრუნდებით.
ხალხი დამშვიდდა, დაწყნარდა,
უსიტყვოდ დგას ექვსი ხანი,
და ალმანბეტს იმ ექვსიდან
არვინ დაუჭირა მხარი.
ვაი, გმირთა-გმირ წინამძღოლს,
მოღალატე ჯარის პატრონს,
მანასს უნდა მეომრები
სიმტკიცეში გამოსცადოს: –
„ლომგულებო, ომში გიხმობთ,
მტერს კუდით ქვა ვასროლინოთ,
მშიშრები კი სახლში წადით!“ –
წამოროშა გულუბრყვილოდ.
სასიხარულო ამბავი
რა უცებ გავრცელდა ხალხში,
ძმებო, სისხლისღვრას გადავრჩით,
ერ-მანასი გვიშვებს სახლში.
ჩინეთი წყალს წაუღია,
არც სიმდიდრე გვინდა მათი,
დალოცოს კოკე-თენგირმა
ჩვენი კეთილი ბელადი.
გაისმა შეძახილები
ყიჟინაა არნახული,
მეომრები შინისაკენ
იჩქარიან სიხარულით.
ერ-მანასმა ჯარს მიმართა: –
„ნეტა საით მიიჩქარით,
ერთგულება შემომფიცეთ,
უცებ რამ გიცვალათ მხარი.
ეს რა შიში მოგერიათ,
სახეზე გაქვთ ფერი სათის,
იქნებ ცოლები ვაომოთ
მშობლიური მიწისათვის.
კარგად მახსოვს, მტერთან თქვენი
ლომგულობა, მამაცობა,
ნეტა ასე რამ შეგცვალათ,
მიჭირს ახლა თქვენი ცნობა.
კონურბაიმ და ნესკარამ
გახსოვთ, როგორ დაგვარბიეს,
წეს-ადათი შეგვილახეს,
დაგვცინეს და დაგვამცირეს,
ყარაკირის ველ-მინდორი
დაუნამავს სისხლის წვიმებს,
ნუთუ მართლა დაგავიწყდათ,
რა შავი დღე დაგვაწიეს.

[1]ზიდანი — ციხის ორმო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Ratiani Lali
Professor Doctor deutscher Philologie
Staatlicher Universität Sochumi

WEG DES RUHMES
Fortsetzung

Meines Errachtens ist es so, als versuchten die Menschen alles in allen unberührt zu lassen, ihnen ihre eigene Form zu geben, obwohl sie sich mit einigen Dingen nicht verständigen können und anschließend doch die Veränderlichkeit besiegt.

Ich empfinde die Poesie und auch die Gebirge als meine echte Freude. Manche Dichter sagen mir, daβ ich solche Schönheiten, wie die Poesie und auch die Berge sind, als eine Frau aufnehmen soll. Was ich es weiβ, ist das , daβ ich mehr an meine eigene Einbildung vertraue.

Hamingway schrieb irgendwo, daβ das Meer eine schöne Frau ist. Diese poetische Gestalt des Dichters, Proseikers deutet auf seine höhe Empfindlichkeit… Hamingway war doch Champion der amerikanischen und Weltdichtung zu seiner Zeit und kein Halb- und unvollständiger Meister, sondern ein absoluter Leader, mit wem seine Gegner nicht konkurrieren könnten. Herr Ernst Hamingway scheint alles mit Hilfe seiner Poetizität erreicht zu haben.

Der Mond ist im Gulnasis Gedicht in der Gestahlt des Mannes oder der Mannesseele dargestellt worden.Solch eine Umwandlug des Mondes ist schon ein Mythos und der Mythus ist schon die Poesie.

Wie schnell vergeht die Zeit !

Mir ist es so, als hätte ich mit dem Schreiben dieses Buches vor kurzem begonnen und jetzt ist es schon Apriel. Die ersten Zeilen schrieb ich im Februar. Seitdem sind bei der Arbeit mehr als zwei Monate abgelaufen. Ich habe kaum bemekt, wie sich der weiβe Winter von Anfang an durch den früheren Frühling und dann durch den wahren farbigen Frühling ersetzt wurde.

Das wunderliche Erlebnis und die Frühlingsduft habe ich heute am meisten gespürt.

Ich schreibe mit veränderlichen Geschwindigkeit. Ich überlege und dann schreibe....

Seit mehr als zwei Monate denke ich ständig an das Leben des groβen Mernschen, an seinen Verdienst, seine Tätigkeit … Der Gedanke über die Persönlichkeit und das Phänomen von Charaischwili Gulnasi bohrt mir im Kopfe seit mehr als zwei Monaten, damit ich das Buch, das ich Frau Gulnasi widme, möglicherweise gut schreiben könnte.

Kurz nach dem Monat März hat man dem Maler und Schriftsteller Adamia Reso einen Abend im Pantomimentheater organisiert, wo auch Frau Gulnasi anwesend war und sie die Rede gehalten hat.

Warum erinnere ich jetzt an diese Geschichte?- Vielleicht darum, daβ Frau Charaischwili Gulnasi mit der Rede dort ihre Perönlichkeit noch mit einer scharfen Eigenschaft charakterisiert hatte..

Sie sagt, daβ das Wichtigste die Menschlichkeit und die Wohltat der Seele ist. Wenn ein groβer Künstler, als eine Persönlichkeit und ein Mensch nicht taugt, dann ist er für Frau Gulnasi verloren. Sie ist glücklich, daβ Adamia Reso nicht nur ein groβer Maler und Literat, sondern auch eine groβe Persön, eine Seele von Mensch ist.

In diesen Worten, in solcher Einschätzung zeigt sich die Natur nicht nur dieses groβartigen Malers Adamia Reso, sondern auch die Natur selbst von Charaischwili Gulnasi .

Es ist in der Tat so. Sie schenkt eine groβe Bedeutung eben der persönlichen Würde eines Menschen und das ist die wichtigste Maβeinheit für sie. Sie sucht und schätzt eben diese Eigenschaft bei Anderen. Die Dichterin bewahrt und behandelt sie freundlich auch bei sich am Meisten.

Ich habe viel an die Rede gedacht, die unsere Gulnasi, unsere groβartige Frau auf dem Schaffensabend von dem Mahler und Litarat- Adamia Reso gehalten hatte.

Ich überlege oft an die Lebensprinzipien, die Frau Gulnasi ausgearbeitet hat.

Wenn man im Auge behält, ist das alles ein ziemlich kompliziertes System.

Wenn wir einerseits eine erfolgreiche Person behandelt werden, der in seiner Beschäftigung(in der Kunst, in der Wissenschaft, im Sport...) Fortschritte macht, könnte er als Mensch schlecht und anderseits ein einfacher, aber erfolgsloser Mensch umhekehrt gutherzig sein.

Der zweite Fall ist mehr realistisch.

In Frage kommt, ob die erste Variantee reel ist, oder ob eine erfolgreiche, groβe Person ein schlechter Mensch sein könnte? Vielleicht ist es unglücklicherweise zuzulassen. Da solch ein Mensch in den bestimmten Berreichen Erfolge erzielt, soll er meiner Meinung nach doch irgedwie Werte . haben, aber…

Als Persönlichkeit kann ein erfolgreicher Mensch letzten Endes positiv nicht sein und das ist kurz , solch eine zugelassene Verordnung oder Bestimmung .

In diesem Fall hat Frau Charaischwili Gulnasi eine eindeutige Auswahl- sie zieht der kalten Maske einer genialen Menschen, ein warmes und gutes Herz vor, wenn hinter diesem genialen Larve anstelle der Menschengestalt und der Menschlichkei eine Leere steckt.

Ich weiβ es nicht, ob es das herzlose Genie gibt?

Die erfolgreichen Menschen bedeuten nicht immer, daβ sie die Genias sind. Sowohl ich als auch die Anderen verwechseln manchmal diese Termini, die Fachausdrücke miteinander. Nicht alle erfolgreichen Menschen waren die Genias und ungekehrt.

Wäre es besser, wenn sich die Genialität, der Erfolg, das groβe und gute Herz einer Persönlichkeit miteinander verschmolzen ist. Und das würde selbsrverständlich der beste Ausweg sein!.

Lassen wir jetzt den Fasaudruck- das Genie beiseite.Von diesem Wort ist dennoch Frau Gulnasi nicht bezaubert.

Da ist ja sie in der Tat eine erfolgreiche Frau und auch ein Mensch mit gorβem Herzen. Der Stil ihres Lebens besteht aus der Synthese der Höchstmenschlichkeit und des .guten Erfolgs.

Ich denke daran, ob ich, bei meinem Fall, als eine Person solche Synthese erreiche?.Nein, ich glaube nicht.

Man hält mich vielleicht für einen erfolgreichen Küstler , aber als Mensch…

Echte Menschlichkeit ist eine komplizierteste Sache. Es ist am schwersten, als eine positive Person zu sein. Ich wundere mich über solche Individuen**,** die in unserer schwierigen Zeiten versuchen, in ihrer eigenen Herzen und Vernunften die Höchstmenschlichkeit zu retten. Ein richtiger Moralist bezaubert mich, aber ich bin selbst nicht solch einer und ich kann auch nicht als solche sein. In mir vermehrten sich zahlreiche Sünden, von den einigen habe ich mich befreit, die Anderen konnte ich aber nicht verjagen. Für eine Sünde halte ich doch mein früheres Bestreben nach der Spitzen Position**,** immer einen Vorrrang zu haben und auch das Bestreben nach den poetischen Wettbewerben, wessen Zahl ich weder genau, noch ungefähr nicht sagen kann. Auf jeden Fall geht es um einige hundert poetische Wettstreitten. In diesem “poetischen Wettstreitten” hat ähnliche Anzeiger auch unser Kacha. Wir beide haben vor vielen Dichtern die Fehler begangen, wenn wir ihnen doch behaupteten, daβ wir Vorrang hatten. Der Künstler soll sich aber auf jeden Fall so nie benehmen. Jetzt bin ich solcher Meinung, besser verlieren, als jemenden kränken…Als Last hängen auf unserem Hals und Rücken auβerdem immer noch die schwierigsten Sünden

Es ist besser, die poetische Wettbewerbe zu entgehen oder einfach zu verlieren, vor allen zu verlieren, als-alle zu übertreiben und danach sich dafür zu begeistern.

Zum Unglück gibt es auch in der ganzen Welt die Sünden, die am schwierigsten sind, als solche Begeisterung…

Als Moralprediger verwandelte sich Frau Charaischwili Gulnasi für das Nachkomme allmählich in den Menschen mit der festen Sittenlehre. Wenn man beobachtet, wie sie mit sich selbst ständig kämpft und ihre eigene persönliche "Ich"dressiert, sieht man genau auf die ganze geistige Epopöe der verdienstvollen Dichterin an. Die Sittlichkeit ist auch ihre Kraft und da die christliche Religion eine feste Stütze für die seeliche Dressur der Menschen ist, versucht Frau Gulnasi immer mit unserer rechtgläubigen Kirche ganz nah zu stehen. Vielleicht deswegen ist ihre Tätigkeit so reich an kirchlichen Gesichtern, Ikonen und besonders auch ihre Gedichte, die eine ganz andere Thematik haben.

Man belehrt uns Herschaften,-daβ Herr Gott den Menschen nach seinem eigenen Bildnis geschaffen hatte…. und ich möchte mich hier an folgende Strophe erinnern:

"Gottes-Abbild hat nir damals die Hoffnungen geschenkt
Als mir der Flügel gebrochen wurde
Und es in meiner Seele schrecklich schneite;
Mit dir fühle ich mich als ein kleines Kind;
Du bist die Sonne im August!
Deshalb wärmt mich deine Hitze…

Nie war ich karg an den Lobessagungen für solche schöne Zeilen gewesen. Mir ist es so, als ob die Dichterin diese Strophe einer konkreten Pesönlichkeit, ihrer Ausgesuchten gewidmet und letzlich doch als das Liebesgebet im Allgemeinen ertönt hätte.

Gulnasis folgende Strophe ist eines der Muster der christlichen Barmherzigkeit.

" Ich versuche in alle Seellen hineinzusehen
Allen behilflich zu sein und sie zu retten
Für die Wohltat kann ich hinunterstürzen
Und alle kindlose bemitleiden."

Hätte diese Zeilen ein Anderer geschrieben, könnte ich sie vielleicht als Fälschung aufgefasst haben. Ich würde sagen, daβ sich der Autor ihre eigene Peson mit seinen Plus- und Minuspunkten von einer guten Seite zeigen will. Wenn es aber um Frau Gulnasis Strophen geht, gewinnt jeder Zeile des Gedichtes eine ganz andere Kraft und eine andere Belastung. Ja, sie ist in der Tat so. Sie kümmert sich ständig um die Anderen. Alle machen ihr groβe Sorgen, als hätte ihr eigene Trauer in diesem grauen Leben gefehlt…

Die Dichter und die Poesie gehören aber in der Tat zu einer unerkenntlichen Welt!

Stellen sie sich vor, daβ die Würde des Gedichtes mit den anderen Meβeinheiten zusammen auch dadurch gemessen wird, wer dieses Gedicht geschrieben hat. Das Gedicht ist nicht nur kein alleinstehendes Nichtlebewesen und eine Menge von den einzelnen Wörtern, sondern auch sein Autor.In ihm lebt auch dieser Mensch, wer es geschrieben hat.

Sagen wir, Schrieb Galaktion immer nur Meisterwerke?

Man sagt, daβ er mit seinen zahlreichen Meistenwerken zusammen auch viele ganz schwache Gedichte geschrieben hatte.

Wieviel sind von seinen zwanzig Bänden wertig?, zwei, drei.oder. fünf ….Bände?

Nicht alle zwanzig Bände. Kurz, soviel wieviel er geschrieben hat, weil sie eben selbst Galaktion geschaffen hatte. Es ist in allen diesen Bänden, in einzelnen diesen Geschöpfen ein Teil des groβen Menschenseele zu spüren. Wegen solcher Seelenverlagerung sind vielleicht auch die schwachen Gedichte von Gala oft besser als ausgewählte Schriften einiger Dichter, wenn es aber kein einziges Wort über die Meisterwerke des kronlosen Königs(oder eines der Könige) gesagt wird.

Es gibt die Autoren, die sich nur durch ihre Vor-und Nachnamen ihre beliebige Schriften in die Meisterwerke verwandeln.

Manche Autoren verbleichen umgekehrt ziemlich gute Schriften eben durch ihre Vor-und Familiennamen.

Ich erinnere mich wieder an die Worte, die Frau Gulnasi uns beim Aufenthalt im Pantomimentheater gesagt hatte:"Wenn der Mensch als Mensch nicht taugt, wird er sich in meinen Augen nur durch seine Begabung und Erfolge nicht erhöht werden."

Ich kann gestehen, daβ in unserer Geschichte doch solche Menschen waren, die sich durch ihre besondere Positivität nicht unterscheideten, obwohl sie nicht nur erfolgreich, sondern auch genial waren.

Ein groβer Mensch scheint, positiv oder leider auch negativ, aber nie nichts, unwichtig zu sein.(Unter den Worten–"ein groβer Mensch"habe ich in diesem Fall eine erfolgreiche Persönlichkeit und nicht die Höchstmenschlichkeit gemeint)

Der, wer groβ ist, sei er positiv oder negativ oder eine Mischung von dem Licht und dem Schatten, soll er immer vorsichtig sein, um für ewig an der hellen Seite zu bleiben, damit der Nachkomme ihn als solche behält, weil das Leben der ausgewählten Menschen oft ein Vorbild für die Zukunft ist. Wir sollen uns anderseits bemühen, die ausgesuchten Individuen richtig zu verstehen.

Von dieser Seite her ist es gut, daβ es nicht so kompliziert beim Fall von Gulnasi ist. Als Ausgewählte soll man keinen Zweifel an ihren persönlichen Würden haben. Es ist auch nicht schwer, sich mit ihr zu verständigen. Bei solchem Licht gibt es hier keinen Platz mehr für den Schatten. Es handelt sich nicht um die schwersten Spaltung, Zweiteilung, wenn es nicht klar ist, wer wer ist. Nein. Alles ist es hier ganz deutlich: Als gesellschaftliche Tätiger und Literat ist Frau Charaischwili Gulnasi auch Lichtesdiener. Wie eine Amazone, Reiterin ist sie Kriegerin und ihre ganze Kraft, Energie ist direkt gegen die Dunkelheit gerichtet. Also, Ich porträtiere das Bild der Idealisten, die ihr ganzes und bewustes Leben der Rettung und der Aufschwung georgischer Kultur zum Opfer gebracht hatte.Wir geraten über ihre Schriften und den Maβstab, den Umfang ihrer Taten in Staunen. Frau Gulnasi hat einen groβen Beitrag doch für den Fortschritt der nächsten Nachkommen geleistet. Sie lehrte, ermunterte und unterstützte die Jugendliche ständig durch Wort und Tat. Man kann dazu folgendes Beispiel anführen, daβ sie sich persönlich ein groβes Verdienst auch um mich und meine Freunde erwirbt**.** Wenn ich über sie nicht nur ein, sondern auch fünf Bücher geschrieben hätte, würde ich ihr für die Wohltaten doch Dank nicht erstatten können.

Ich kann gestehen, daβ ihrem scharfer Blick nie das Wichtigste entgangen ist, sie läβt einfach nichts auβer Acht. Sie hat doch uns von Anfang an ausnehmend ausgewählt und ich habe sie einst nach dem Grund gefragt.

Sie hat uns wegen unserer Begabung ausgewählt. Frau Gulnasi hat mir geantwortet, daβ wir Künstler mit besonderer Fähigkeit und äuβerstem Talent waren.

Frau Gulnasi haben wir im Jahre 2012 kennengelernt. Zu dieser Zeit hatten wir schon einen ziemlich langen Tätigkeitsweg hinter uns..Uns war es, als hätten wir schon alles gesehen. Es war damals ganz schwer jemanden über etwas zu erstaunen. Ungeachtet dessen hatten wir darauf nicht gewartet, daβ Frau Gulnasi die literarische Seite ihrer Zeitschrift tatsächlich uns anvertrauen und auch ihre eigene Zeitschrift deutlicherweise mit Hilfe von uns kontrollieren konnte. In ihrer Umgebung wurden wir zu den Leadern geworden. Wenn man kaum vierzig Jahre alt ist, erwartet man ganz und gar nicht eine solche Aufmerksamleit von den Persönlichkeitenn, die sechzig Jahre überschreittet haben, wenn du zu anderer Generation gehörst und du glaubst auch nicht, daβ jemand dich verstehen wird. Es geschah so, daβ wir uns sehr gut verstehen können. Folglich fanden unsere poetische Auftretten auch in anderen Akademien öfter statt und die Beliebtheit der Gruppe "Sgwari"hat im Allgemeinen ein intensives, festes Charakter angenommen. Frau Gulnasi hat dieser Sache ihr Herz gegeben. Alles wurde mit dem Abend gekrönt, den sie am dritten Apriel dieses Jahres im schöpferischem Raum des Sameba-Tempels organisiert hatte. Ich halte diese Veranstaltung für einen groβartigen organisatorischen Sieg meistens von Gulnasi und dann der Gruppe "Sgwari.

Hatten wir noch bessere Schöpferische Abende gehabt?

Vielleicht-Ja.

Aber, keiner von ihnen hatte solch eine Beliebtheit erweckt, wie dieser Abend.. An den folgenden Tagen nach dem Tempels-Triumph haben uns viele angerufen und begeistert dazu gratuliert. Unter ihnen waren auch zahlreiche Anrufe der völlig unbekannten Persönlichkeiten.Wir wissen aber nicht, woher sie über unsere Telefonnummer erfahren haben.

დათო ყანდაშვილი

გულნაზი ხარაიშვილი

ჩემო საქართველო

ჩ – ემი მიწის სურნელებით დამათვრე,
ე – კლები კი მომაცილე ღმერთო.
მ – ივსტირივარ, ის რაც ძალით წამართვეს,
ო, – ამ გულში ცეცხლი ისეც მენთო.

ს – ევდას მინდა ფიქრის კარი მიუხურო,
ა – რ დავიხრჩო ცრემლის მლაშე ზღვაში...
ქ – არბუქშიდაც სამშობლოს მსურს ვემსახურო,
ა – რ გადავცვლი ერთ გოჯ მიწას განძში.

რ – იროჭრელა მომიმრავლდეს ჩემს ბაღნარში,
თ – ბილ ბუდეში მოვეფერო ჩიტებს...
ვ – იტრიალო ძველებურად ძველ მარანში,
ე – ს იმედი გულში ამიტვირთეთ.

ლ – ომის ხახას ამაცილე გამჩენო,
ო – ლიანდრებს ფერი სევდით ეცვალა,
ჩემო ღმერთო, ცას როს მოვალ მაჩვენო,
დამანახე ის ვინც გარდამეცვალა.

Моя Грузия

Дай опьянеть радной земли благоуханием,
А от шипов освободи, мой Бог.
Оплакиваю забранное ложью и насилием,
От этих искр огонь горел, как мог.

Закрою двери мыслям о грусти и потери,
Чтобы не утануть в солённом море слёз...
И в вюгах службу родине хотела и
Даже горсть земли я не продам за грёз.

В моём саду пусть расцветают самоцветы,
Хочу – ласкать птенцов в гнезде родном,
Ухаживать за погребом вина, где все как дети;
Вот моё чаяние – ведь это всё **есть дом.**

О, огради от пасти льва, создатель,
Ведь даже листья от тоски страдают,
Когда придет пора на небо странствии,
Дай встретить тех, по кем я так скучаю.

ბეჟან ხარაიშვილი

რატომ გამიფრინდი?

ტყემლების თეთრი ფიფქი,
შენს ბაღში რომ თოვდა,
ნიავს გაზაფხულის
სუნთქვა შემოჰქონდა.

მათრობდა და მწვავდა
მაგ თვალების კრთომა,
მკერდი სავსე გქონდა,
როგორც შემოდგომა.

შენთვის ავირჩიე
ყვავილების კონა,
გვიღიმოდა არე
სხივით დაქარგული,

რატომ გამიფრინდი,
როგორც ჩიტბატონა,
ნუთუ ნაადრევად
მოდის გაზაფხული?

Почему упархнула ты?

Белых снежинок ткемали,
В твоём саду кружила,
Ветер лёгкий, весенный
Дыхание заносила.

Меня опьяняя сжигали
Проблеск очей прелестных,
Груди твой навивались
Как пейзаж осенный.

Выбрал я для тебя
Букет цветов бесподобных,
Мир улыбался нам,
Лучом создавая волны.

Почему упархнула ты,
Как жарптица сияя крылами,
О, неужель слишком рано
Весна наступила меж нами?

თარგმნა ***დათო ყანდაშვილმა***

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეზა

რომანი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28-ში)

მეორე ნაწილი
ბელურა გემის ანძაზე

ბატონო სტუდენტებო დავტოვოთ სასტიკი შუა საუკუნეები და ჩვენთვის არანაკლებ მძიმე XX საუკუნეში გადმოვინაცვლოთ.

დავით აღმაშენებლის ხმლით შემოხაზულ 300 ათასი კვადრატულკილომეტრიანი საქართველოსგან მეოცე საუკუნის პარმაღზე სულ 111 ათასი კვ.კმ შემოგვრჩა, სამწუხაროდ, ისტორიის უსამართლო დგანდგარმა სწორედ მეოცე საუკუნეში დაგვაკარგვინა 66 ათასი კვადრატული კილომეტრი და 45 ათას კვ.კმ-დე დაგვიყვანა.

რუსეთის იმპერიის დაშლით ისარგებლეს ჩვენმა მეზობლებმა და ჭილყვავებივით დაგვესივნენ.

როგორი იყო გიორგი სააკაძის შთამომავალში ქვეყნის დაცვის ნიჭი და უნარი?

* * *

„1918 წლის 24 დეკემბერს; სომხეთ-საქართველოს ომის დროს იმერეთის ასეულმა მტრის მიერ ოკუპირებულ შულავერს შეუტია და სამი სტრატეგიული მაღლობი დაიკავა. თუმცა ჩვენმა ჯარისკაცებმა იმ ღამითვე მიატოვეს სისხლისმღვრელი ბრ-ძოლით მოპოვებული პოზიციები და მახლობელ სოფელს მიაშურეს ჩაის დასალევად“.

გენერალი კვინიტაძე

გაცრეცილ ღრუბლებში მთვარე ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მოძრაობს.

დურთავს თავს, აგერ ა, კორტოხზე აშენებული საყდრის პირდაპირ მუშტისხელა ღრუბელში და თვალისდახამხამებაში მტკავლის იქეთ გამოანათებს.

ღამეა. ცივა.

შამბიანი ფერდობის წვერზე გრძელი ფარღალალა შენობა დგას.

რა შენობაა – მიტოვებული საცხოვრებელია, თავლაა, საქონლის ბაგაა, ნასკოლარია თუ ყაზარმაა, ახლა ეშმაკიც ვერ მიხვდება.

შენობის წინ, დანგრეულ კედელყორესთან ასე, ერთ ურმამდე თოვლმტვერი ჩანს.

სუსხიანი, ძვალრბილში გამჯდომი ქარი თოვლს ხან აანამქრებს და ჰაერში მიმოფანტავს, ხან ისევ შეაქუჩებს.

ამ მოსაწყენ სურათს „ყაზარმის“ დიდი უმინო ფანჯრიდან სამი ჯარისკაცი შესცქერის.

– მაინც რა სიცივე ცოდნია, ამ დასაქცევში.

– სიცივე იმდენი კი არ არის, ე ქარი შობა ყოლიფერს.

– მოთოვდეს ქე მაინც, ჩამოთბება ცოტა.

– ეტყობა, არც თოვლი იცის წესიერი. ხო ნახე, თოვლჭყაპში მოვტოპავდით მთელი დღე.

– რას გიშობა ფეხი?

– მტეხავს.

– აქანა?

– ქვეით, ნატერფალზე, თითებთან.

– მაინც, – იცინის, – შე ღმერთგამწყრალო, დროგმა რაფერ გადაგიარა?

– რა ვიცი, გოდოუშენდა პატრონი სანდუხაძეს, არ გადაკოჩოს ზარბაზანმაო და აქით რო ვქაჩავდი, ე ფეხი ქე შემცურებია ბორბლებში.

– ტალახმა გიშველა თვარა წეიღებდა თითებს.

– არ უნდა ლაპარაკი.

ხანდახან ფანჯარას მოშორდებიან და გალიის მგლებივით მიმოდიან მიწურში.

მკლავზე გათოშილ ხელებს გამალებით ისვამენ და წყლიან კუმკუმას მორიგეობით იყუდებენ ტუჩებზე, რომ შიმშილით ამბოხებული კუჭები ცოტა ხნით მაინც წაატყუონ.

– გახედე ერთი, ნიკოია, რას შობიენ პლენები.

– კისერი უტეხიათ და კინჩხი ზეთ მიუყოლებიათ, მე მაგენი არ ვინაღვლო.

– არ გააღონ კარი და არ გეიქცენ, თვარა დახვრეტა არ აგვცდება.

– რისი გამქცევები არიენ. მიეგდენ ერთმანეთზე და ძინავთ.

– წამო, წამო დავხედოყენ, ეშმაკს არ ძინავს.

შაშხანები აიღეს, იქვე მესამე კარის ურდული გადასწიეს და ნავთის ფანარი შეანათეს.

ჩაყუნცულმა ტყვეებმა თვალებზე ხელები აიფარეს და ერთ ხმაზე აწუწუნდნენ:

„ვრაც ლავა, ჰაია კოტრაწეს!..“

– თუ ამდენი იცოდით, რას მოხოხავდით სხვის მიწაზე თქვე მართლა ტრაწიანებო!

„ვრაც ლავა, ჰაია კოტრაწეს!..“

ურდულს ყოველ შემთხვევისათვის თოკი შემოახვიეს და სახურავის რკინის ჭოლოკს გამოაბეს.

აბეზარი ქარი ისევ ანამქერაბურთავებს ერთ ურემ თოვლს.

– ე, დეინახე, რავა ჩაქრა გაღმა სერზე სინათლე?

– კიე. ვინ არიან იქით, თუ იცი.

– რა მნიშვნელობა აქვს. თავს უშველეს ხო ხედავ. ამ წანწალია ღამეში ომი არ გამიგია მე.

– ერთს ვიკითხავ, ჩემი მოკლე ჭკუით, ვინც იყო აქანა გამაგრებული, ცეცხლს არ ანთებდა,

ის კვდარძაღლი?

– რავა?!

– ხო უნდა ეტყობოდეს ან ნაცეცხლარი, ან ბუხრის ნაშალი მაინც ხომ უნდა იყოს, შეშა მაინც არ უნდა იყოს მოქუჩებული სადმე?

– კი, შენ დაგიტოვებდნენ, რავარც იტყვი, სომხები. მოვა გოგიტიე და გათბებაო. ფეჩი ექნებოდათ და მეიკიდებდნენ ზურგზე.

– შეშა?

– შეშასაც წეიღებდნენ, ვინ დოუშლიდათ.

– ისე „გამაგრებული“ კი ნამეტანი ყოფილან. რავარც ორი შეუბერა ჩვენმა ზარბაზანმა, ფაცხაფუცხით გავარდნენ კარში.

– რო გევეკიდეთ?

– ტყვილა მივსდევდით, ისე, ფასონიზა. რო გაჩერებულიყვნენ და აქეთ გამოგვკიდებოდნენ, ახლა ჩვენ ვიტლინკავებდით უყეზე.

– ვითომ?

– არა ბიჭო, სომეხს შევაკლავდი თავს შულავერიზა.

– მე, მაგალითად, ერთი ვაზნა არ მქონდა ვინტოვკაში.

– რას მიახარჯე?

– ვისროდი ზეით, უპრაგონოთ და უმიზნოთ. ხვდებოდა ვინმეს თუ არ ხვდებოდა, რა ვიცი... ისროლეთო და ვისროდი.

– რას ვშობით ახლა. ამაღამ უფრო მეიმატებს ყინვა. თუ აქანა ვიყურყუტეთ, მეყოლე კარქათ. ხვალ სააღაპე ვიქნებით სამივე.

– შევიდეთ სანდუხაძესთან და ვუთხრათ.

სანდუხაძე, შავწვერა გოლიათი, გაუშალაშინებელ ფიცრებზე იწვა. ვეება თავზე ყაბალახი შემოეხვია.

მკერდზე შაშხანა აეხუტებინა და სახელოებში იქეთაქეთ ხელის მტევნები შეემალა.

თანამებრძოლებს ულვაშისხელა წარბებიდან ისე გახედა, არც შერხეულა.

– რა გინდათ?

– გვცივა და გვშია.

– მერე, მე რომელი მამაზეციერი მნახეთ.

– დევიყინებით, დავწყდებით ამაღამ.

– აპა, რავა გინდათ, ომია ბიძია ეს. ნათლობაზე კი არ ხართ დაპატიჟებული.

– ჩავსულიყავით ერთი საათით ქვეით, ეგება წეგვეხემსა და ცხელი წყალი დეგველია.

– გადეირიეთ?

– არა.

– წევიდენ სხვებიც. არსათ არ ჩანს სინათლე.

სანდუხაძე წამოდგა და ფანჯარას მიაჭიჭინდა.

– წადით თქვენ. მე არ წამოვალ. არ დაგაგვიანდეთ! ხო გეყურებათ?!

– წამოსულიყავი შენც.

– მე მეთაური ვარ, შე ბოთე. ხვალვე გამიშობენ ტრიბუნალზე, იცი შენ, რა არის ტრიბუნალი? დეპეშა მაინც არ გაგვეგზავნა ჟორდანიასთვის – შულავერი აღებულიაო.

– მერე? ტყუილია? არ არის აღებული?

– რაფრათაა აღებული, თუ აქიდან წავალთ.

– ამ ყიამეთში ვინ ამოწმებს.

– რო წამევიდენ იერიშზე სომხები?

– თუ წამევიდენ. ჩვენ ოთხი დავრჩით ამ ზეით მარტო და ჩვენ რას გავაწყობთ. ჩაგვხოცავენ თიკნებივით ოთხივეს.

– რას ბჟუტურობ, ბიჭო. ასე უგბილი რავა ხარ. სომეხი შენ გიჟი ხვარ გგონია. ამ წანწალია ღამეში, ძაღლი პურს რომ არ წაწვდება, სომეხი გიბრძოლებს? მეტი არა აქვს საქმე!

– თუ მაინც წამევიდენ... ჩვენ რო ქვევით დაგვიგულებენ?!

– თუ ღმერთი გოუწყრათ, ხვალაც ამ თვის არ არი? ხვალ დილით ქე ევიღებთ შულავერს ისევე.

– ეს ყველაფერი კაი... პლენებს რა ვუყოთ?

– რა ვუყოთ და სუჯუნს და ლავაშს ამოვუტან ახლავე. ან ჩაიზე დავპაიჯებთ სადახლოში, მაგათმა თავის ხეთქვამ. გოვუშვათ და იპოვიან თავის გზას.

– მერე?
– გაქცეულან თქვა, რავა, ცოტა პლენი გარბის?!
სანდუხაძე წამოდგა, ფანარს ხელი წამოავლო, ისე მიიქნევდა სიბნელეში, როგორც მღვდელი საკარცხულს. ბაწარი შეხსნა, მოისროლა და ურდული გამოსწია. – აბა მოუსვით აქედან, თქვენი პატრონი ქვეყანა... ტყვეები, ზურგში არ გვესროლონო, უკანსვლით მირბოდ ნენ და ჰაეროვანი კოცნებითა და „ლავ ვრაცე"ს ძახილით მთვარიან ცივ ფერდობს მიეფარნენ.

მეორე დღეს ჩვენს „ძლევამოსილ" არმიას 3500 კაციანი შეტევა დასჭირდა შულავერის დასაბრუნებლად და... დაიბრუნა თუ არა საერთოდ, საქართველოს რუკას დახედეთ და მიხვდებით.

ბატონო სტუდენტებო

თუ გახსოვთ, დაგპირდით იმგვარ შემთხვევებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, როგორი შემთხვევებისთვისაც ნაფიცმა ისტორიკოსებმა ჯერ ვერ მოიცალეს-მეთქი.

გმირულ-რომანტიკული ფაქტების ხატვასთან ერთად იქნებ საჩოთირო ამბებიც გავიხსენოთ. ასე მგონია, ეს მოთხრობაც ჩაახედებს სულში ქართველს და იქნებ სინანულიც მოჰგვაროს. მაშ ასე, 1921 წლის თებერვალში საქართველოს ჭიშკარს წი-თელი იმპერია მოადგა. დაუნდობელი XI არმიის პირისპირ კოჯორ-ტაბახმელასთან პირტიტველა იუნკრები დგანან.

***

„მაზნიაშვილმა სოღანლუღთან რუსები სასტიკად რომ დაამარცხა და 1600 ტყვე გამოგზავნა თბილისში, ვაი თუ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოსო, და ჟორდანიამ მთავრობის ევაკუაციის ბრძანება გასცა.

...შუაღამისას ჩაბნელებული, უკვე მიძინებული, მიწყნარებული თბილისიდან მთავრობა და სამხედრო ძალა იპარებოდა ხალხის გაუფრთხილებლად".

რევაზ გაბაშვილის მოგონებიდან

დილიდან აღარ თოვდა, მაგრამ ქარმა წამოუბერა და თებერვლის სიცივე ძვალრბილში ატანდა. ბოლშევიკთა მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცები დაღლილი, გაწამებული სახეებით მოტოპავდნენ თოვლნარევ ტალახს.

ისე ილაჯგაწყვეტილნი და სასოწარკვეთილნი ჩანდნენ, რომ ადევნებული ბავშვების მიერ ნასროლ ქვაჭოლოკზეც აღარ რეაგირებდნენ.

ქამარშემოხსნილებს შინელების სახელოებში იქეთ–აქეთ ორივე ხელი შეეყოთ, ყურწვეტიან პილოტურებზე ნავარსკვლავევი აჩნდათ, რეზინის ჩექმებზე გარედან თექის თუ ნაბდის ნაგლეჯები შემოეხვიათ და აჩაბაჩად მიაბიჯებდნენ.

ტყვეებს წინ უნაბისფერ ცხენზე ამხედრებული პოდპოლკოვნიკი ჯაფარიძე მოუძღოდა.

ერთმხრივ, ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, შაშხანიანი გვარდიელები მოაცილებდნენ.
ყურახვეული ტყვე გვარდიელს გაუსწორდა.
– ხომ არ იცით, სად მივყავართ?
– ქალაქში.

„ქალაქში", „ქალაქში", „ქალაქში" გაურბინა რიგებს და იქიდანვე მეორე შეკითხვა დაბრუნდა:

– ხომ არ დაგვხვრეტენ? თქვენ გეცოდინებათ, ღვთის გულისათვის, არ დაგვიმალოთ.
გვარდიელმა არ უპასუხა.

ჯერ ერთი, მან არ იცოდა, რა ბედი ელოდა ტყვეებს და კიდეც რომ სცოდნოდა, არ გაამხელდა.

ესეც არ იყოს, გამარჯვებული მხარის ბადრაგს ტყვეებზე არანაკლებ სციოდა და ცნობისმოყვარე ტყვესთან ლაილაის თავი აღარ ჰქონდა.

პროცესიამ სოღანლუღის ველებიდან მარჯვნივ ჩაუხვია და მტკვრის პირას, ფონიჭალის მისადგომებთან შეჩერდა.
ჯაფარიძემ ნაბდიან–ყაბალახიანი კაპიტანი იხმო.

– მომისმინე. მე შტაბში მივალ, ბიჭებს თვალი ეჭიროთ. თუ ვინმემ გაქცევა დააპირა, გაუფრთხილებლად ესროლეთ, ამათი პატრონი ქვეყანა.
კაპიტანს გაეცინა.
– გამქცევი არც ერთი არ არის, მაგრამ შიათ ამ ოხრებს.
– ერთ საათში დავბრუნდები, გადაწყვეტილი ექნებათ ალბათ რამე.
ცხენს დეზი ჰკრა და მეტეხისკენ ოთხით დაძრა.

***

შტაბში თევზაძე დახვდა.

თათბირობენო, ადიუტანტმა შეაჩერა, მაგრამ ჯაფარიძემ ყური არ ათხოვა, მათრახის ენატარი მუჭში მოიქცია და კარი შეაღო.

მაგიდასთან სამნი წახრილიყვნენ და საველე რუკას ჩაჰკირკიტებდნენ.

ფანჯარასთან ტელეგრაფისტი აჩხაკუნებდა.

– ბატონებო, მაზნიაშვილის დავალებით მოგესალმებით და სოღანლუღთან ბრწყინვალე გამარჯვებას გილოცავთ! – ცოტა არ იყოს მაღალფარდოვნად გამოუვიდა, მაგრამ სხვანაირად მასპინძელთა ყურადღებას ვერ მიიპყრობდა.

– ტყვეები სად არიან? – წელში გასწორდა თევზაძე.
– ფონიჭალასთან.
– მერე?
– მეც სწორედ მაგის გასაგებად გეახელით.

თევზაძე შტაბის წევრებს მიუბრუნდა. წევრებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს. თხუთმეტიოდე წუთში თევზაძე ნოე ჟორდანიას კაბინეტთან ბოლთას სცემდა.

წუხელის არ უძინია და ამ დილით ჩათვლიმა, ვერ გავაღვიძებო, მდივანმა.

– სასწრაფო საქმეა, მოახსენეთ, რომ მე ვარ!
მდივანმა კარი შეაღო.

– ბატონო ნოე, მაზნიაშვილის ტყვეები მოიყვანეს.

მთავრობის თავმჯდომარეს შეეტყო, რომ ტყვეების მოლალვა დიდად არ გახარებია.

– რა ვქნათ?

– რა უნდა ვქნათ, ბატონო ნოე, რა ვაჭამო მე ათას ექვსას კაცს.

– მართლა ამდენია?
– მეტიც იქნება.

– მოლაპარაკებამდე ვერ შევინახავთ?

– რას ბრძანებთ, ბატონო ნოე, გვარდიის მარაგი ერთი კვირაა ამოიწურა. საწყობები ცარიელია. მოქმედ არმიასაც ვერ ვაწვდით საჭმელს.

– იქნებ ქალაქი...

– თბილისი ისედაც შიმშილობს. ვის ეტყვი, დამპყრობელი ბოლშევიკი რუსისთვის ლუკმა გაიღეო, ხომ გაგვიტეხეს თავი.

– რა ვქნათ, აბა?

– რა ვიცი... ყაზარმებშიც ვერ დავტევთ...

– ცხრაჯერ ვუთხარი მაზნიაშვილს... ტყვეები გვინდა ახლა ჩვენ? მაგათ რომ რამე მოუვიდეს, ხომ დამკიდეს ყვერებით სტალინმა და ორჯონიკიძემ. ეს, რაც ხდება, გაუგებრობის ამბავია, თორემ ორივე მხარეს სოციალისტები არ ვართ? არ უნდა იცოდე, თევზაძე შენ ეს ამბავი?!

– რა ვქნათ, აბა?

ნოე ჟორდანია წამოდგა და ზურგზეხელებშემოწყობილმა ბუხრის წინ გაიარგამოიარა. შეჩერდა და თევზაძეს დააკვირდა:

– უნდა გავუშვათ, სხვა გზა არ არის.

– სად გავუშვათ, ბატონო ნოე, გადაირევა მაზნიაშვილი. ჩვენმა ბიჭებმა რაც სისხლი ღვარეს.

– პოლიტიკის ამბავია... და პოლიტიკაც არ იყოს, ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის...

***

მტკვრის პირას, ქვებზე და დამპალ ფიჩხნაფოტებზე ჩამუხლულ ტყვეებს რომ გამოუცხადეს, თავისუფალი ხართ და საქართველოს მთავრობა წინადადებას გაძლევთ, არ ჩაერიოთ ომში, დაბ-

რუნდით უკან, რუსეთში, თორემ, ვისაც იარაღით ხელში დაგინახავთ, გამოუძიებლად დაგხვრეტთო, ბევრმა ვერ გაიგო.

ვინც გაიგო, ასე გადაულაპარაკა გვერდით მდგომს: „გავარიატ, სპასაისა კტო მოჟეტ“.

რუსები ნელნელა, ზოზინით, თითქოსდა აშკარად უკმაყოფილოდ დაიშალნენ.

არ მოეწონათ, რომ მათ ამ საათიდან არავინ უბრძანებდა, თითს არავინ დაუქნევდა და, რაც მთავარია, ბალანდას და მახორკას არავინ მიაწვდიდა.

ოთხი შედარებით ცქვიტი ტყვე ისევ იმ გვარდიელს გარსშემოეწყო:

– ვი ნე ზნაეტე, გდე ზდეს ბაზარ?!

გვარდიელმა ხელი ორთაჭალისკენ გაიშვირა.

ყოფილმა ტყვეებმა ცუხცუხით მოუსვეს იქეთკენ, სადაც ბაზარი ეგულებოდათ.

***

ტაბახმელის გორაკებზე თოვლი დახატულივით იდო. დახატულივით იმიტომ, რომ მზის მხარეს თოვლი გამდნარიყო და თაგვისფერი ბალახით შემოსილი მიწა მოჩანდა.

დარჩენილი თოვლი ყინვას მოელოკა და მინასავით ირეკლავდა ძალადაცლილ სხივებს.

ჯაგნარიან მაღლობზე სამი ზარბაზანი მორიგეობით, კანტიკუნტად ყეფდა.

ჯაფარიძემ მაიორი ჩრდილელი მოძებნა.

– ბატონო პოდპოლკოვნიკო, უკვე მეშვიდე პატაკი გავგზავნე ტელეგრაფით. პასუხი არ ჩანს. რას აკეთებენ იქ, შტაბში, სძინავთ?! ხომ ხედავთ, ჩვენს სროლაზე არ პასუხობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არა უგვიანეს ხვალ დილისა შეტევაზე გადმოვლენ. სად არის მაშველი ბატალიონი, ვეშაპელი რომ დაგვპირდა? ბიჭები მეორე დღეა შავ პურზე და ცხელ წყალზე მყავს. ყუმბარები გვითავდება. სასწრაფოდ ერთი კამიონი საჭმელი, ერთი კამიონი ყუმბარები და მაშველი ბატალიონი გამოგვიგზავნონ! თუ სოღანლუღის ფრონტს ვერ ჩამოვაკლებთ, მოხალისენი მაინც შეკრიბეთ! დაგვიხოცავენ ამ ბავშვებს. გესმით!?

ჩრდილელს ხმა უკანკალებდა.

პოდპოლკოვნიკს ბოდიში მოუხადა, ზემდეგს უბრძანა პატაკი გაატანეთო და მეზარბაზნეებისკენ გაიქცა.

სანამ პატაკს გაამზადებდნენ, ჯაფარიძემ იუნკრებს ჩამოუარა.

რცხილნარში ერთიმეორეზე მიხუფლულ სახელდახელო ყაზარმებში, ფარღალალა ოდალაზარეთში, ბრეზენტის კარვებში ქარი რომ ბოლოებს უფართხუნებდა, და გადახურულ ოთხთვალებში ისხდნენ ბიჭები.

ისხდნენ მდუმარედ... გაფართოებული, ლამაზი თვალებით შესცქეროდნენ სტუმარს.

„როგორ ხართ, ბიჭებო?!“

ყველა კარავთან ერთსა და იმავეს ეკითხებოდა იუნკრებს ჯაფარიძე და ყველანი ერთნაირად პასუხობდნენ:

– კარგად, ბატონო პოდპოლკოვნიკო!

– ხომ არაფერი გიჭირთ?!

– არა! ბატონო პოდპოლკოვნიკო!

არავითარი დაჩივლება, არავითარი წუწუნი...

სიცივისა და შიმშილისგან გათანგული ბიჭები ისხდნენ სიკვდილის ველზე და მზად იყვნენ.

„მზად იყვნენ“ ამ ფრაზის სრული მნიშვნელობით.

ჯაფარიძე გაყინულ გუბურასთან ცხენს მოახტა და თავქვე დაეშვა.

თევზაძემ პატაკი წაიკითხა.

შუბლი დაეცვარა:

– მე ყუმბარებს და საჭმელს მოვიძიებ. შენ სასწრაფოდ გავარდი კანცელარიაში და მიმართვა დააბეჭდინე. მოხალისეები უნდა შევკრიბოთ!

ერთ საათში თბილისის ქუჩებში კედლებსა და ტელეგრაფის ბოძებზე წარწერები გაჩნდა:

„მოქალაქენო“, სამშობლო საფრთხეშია. ვისაც სურვილი აქვს, იარაღით (ან უიარაღოდ) გამოცხადდეს ხვალ დილით ცხრა საათზე, სერგეევის ქუჩის ბოლოში, ტაბახმელასთან გამაგრებული იუნკრების მისაშველებლად!“

დილით ამირეჯიბი, ჩხეიძე, ვეშაპელი და ჯაფარიძე ცხრა საათიდან ელოდნენ სერგეევის ქუ-

ჩის ბოლოში მოხალისეებს.

ათი საათისთვის მხოლოდ ოცდათოთხმეტი მოხალისე შეგროვდა.

სხვები?

სხვები ისე იყვნენ შეყუჟულნი თავიანთ ბუდეებში, როგორც ახლა არიან, როცა ეს ნოველა იწერება.

ოცდათოთხმეტიდან ცხენოსანი მხოლოდ სამი გახლდათ.

დანარჩენები ფეხით იყვნენ. ზურგჩანთებითა და სანადირო თოფებით ხელში.

ფეხით აუყვნენ აღმართს. რა ექნათ, აბა?

ეს იყო სულ მაშველი ბატალიონი.

ჩრდილელი შუადღემდე ამაოდ ელოდა დაპირებულ ერთ კამიონ ყუმბარებს, ერთ კამიონ საჭმელს და მაშველ ბატალიონს.

შუადღისას მტერმა იერიში დაიწყო.

***

შიშისგან სულგანაბული მოქალაქენი დაშვებული ფარდების მიღმა, დაგმანული სარკმლებიდან შესცქეროდნენ XI ბოლშევიკური არმიის შემოსვლას თბილისში.

ბატონო სტუდენტებო

ისტორია ვერასოდეს მოიწონებს ხელისუფლების გაქცევას ქვეყნიდან.

ჩვენ არც ვახტანგ მეექვსის გაქცევა მიგვაჩნია მეფის ღირსეულ ნაბიჯად და არც ჟორდანიას მთავრობის.

თუმცა... კატეგორიული განსჯაც არ ეგების. კაცმა არ იცის, გამოუვალ მდგომარეობაში, ჩვენ როგორ მოვიქცეოდით.

„ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“, – გვმოძღვრავს ქრისტე. „სხვა სხვისა ომსა ბრძენია“, – ბრძანებს რუსთაველი.

რას აკეთებდა ქართული ემიგრაცია?

არა, არ იყვნენ ფეხი-ფეხზე გადადებულნი ბოლშევიკთა მიერ დაპყრობილი საქართველოს ეს გულმხურვალე ჭირისუფლები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №28-ში)

თქვენი მორალი ისტორიული კატეგორიაა და ბუნებრივია ეპოქა მას რაღაცას დააკლებს ან რაღაცას დაამატებს, ჩვენთვის სათაყვანებელ რომელიღაც ნორმას მოძველებულად გადააქცევს და ისეთს დაამატებს, რომელიც ადრეული დროისათვის გაუგონარი და დღეისათვის წარმოუდგენელი იქნება. ესე იგი, ახალი დრო ძველს კვარცხლბეკიდან ჩამოაგდებს, გათელავს, გაანადგურებს და მასხარად აიგდებს, მაგრამ სანაცვლოდ, რაღაც ახალს გააღმერთებს, განადიდებს და კვარცხლბეკზედ დასვამს. რა თქმა უნდა, ხალხი ძველისადმი ერთგულებას იჩენს, მაგრამ კაცობრიობა როგორც არ უნდა გაუძალიენდეს, ეპოქის მსვლელობას ვერ შეაჩერებს.

– ესე იგი თქვენი ახალი ზნეობა—პატიოსნების თანახმად, თავი მზედ უნდა მოგვაჩვენო, რათა ცდომილებივით თქვენს გარშემო ვიტრიალოთ?

– რატომღაც არა თუ ამის შესაძლებლობა გვაქვს, მართალია ახლა ყველაზე დიდ ღირსებად პატისონებას ასაღებენ, მაგრამ თუ დაფიქრებულხართ რა ფასი აქვს დღეს პატიოსან კაცს? ავიღოთ ადამიანის ცალკე პიროვნება და დავახსასიათოთ ის. დავინახავთ, რომ ყოველი არაფრის შემძლე პატიოსანია, იმიტომ რომ მას არ შეუძლია მოიპაროს, წაართვას ან გამოძალოს. მას რომ რაიმეს გაკეთების მარიფათი ჰქონებოდა, დარწმუნებული ვარ ყველაზე საზიზღარი საქმის გაკეთებასაც კი არ ითაკილებდა. ასეთი პატიოსნება ადამიანის ღირსბეიდან კი არა, უუნარობიდან, უტვინობიდან, უქნარობიდან და ლენჩობიდან მოდის. ჩვენ თუ ასეთ პატიოსან ადამიანებს მივცემთ მეტ საზრიანობას, უნარს, გამბედაობას, ფხას, შნოს, ცოდნასა და გაქანებას, მაშინ თვალნათლივ დაინახავდით, თუ როგორ დაადგებიან პირადი სარგებლობისა და კარიერის ამაღლების გზას. მე ასეთ ადამიანებს პატიოსანს ვერ დავუძახებ, რადგან უსაშუალებობის გამო არიან პატიოსნები.

პატიოსანი ადამიანი იშვიათი მოვლენაა და უნიკალური ეგზემპლარია, რომელსაც ჭკუაც აქვს, გამბედაობაც, შნოცა და ლაზათიც ცოდვის ჩადენისა, უნარიც ფუფუნებაში ცხოვრებისა და სიმამაცეც ყაჩაღობისა, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ცოდვის ჩადენას გაურბის და პატიოსან ადამიანად რჩება.

– თქვენ როდესაც ყოველივეს გასაქანი გაქვთ, რატომ არ შეგიძლიათ იყოთ იშვიათი ეგზემპლიარი და პატიოსან ადამიანად დარჩეთ?

– იმიტომ, რომ ფართო გასაქანს სწორი გზიდან გადაბრირების ცდუნებაც ემუქრება. დიდ სიმამაცეს დიდი საქმის გაკეთებაც მოსდგამს. დიდი საქმის გაკეთებას კი სიღატაკიდან ფუფუნებისაკენ შემობრუნება. ასეთ ადამიანებს ცხოვრებაში ცოტა წაბორძიკება ეპატიებათ, რადგან დიდ საქმეს შეცდომებიც თან ახლავს.

– თქვენ საშინელი პიროვნება ბრძანდებით ბატონო გამომძიებელო, იმიტომ კი არა, რომ შეცდომა მოგივიდათ. არა, ეს შეცდომა შეგნებულად ჩადენილია, რომლის გამოსწორებასაც არ ფიქრობთ და თქვენი უჯიათი ლექციით მრავალი პატიოსანი ადამიანის სწორი გზიდან ბოროტებისაკენ გადაბირება შეგიძლიათ. თქვენ მართლაც უნიკალური ეგზემპლიარი ბრძანდებით, შეხედულებით ნამდვილი ქართველი რაინდი, მაგრამ შენი შეხედვა სანეხვეზე ამოსულ ულამაზეს ყვავილს მაგონებს, რომელსაც ფერი ღვთიური აქვს, სუნი კი ნაკელისა ასდის, რადგან ფესვი უწმინდურებაში აქვს გადგმული და დამპალი თესლით აღმოცნებული უწმინდურებითვე იკვებება...

მინდია ზეზე წამოიჭრა და ტყავგადაკრული კარები ისე მძლავრად გაიჯახუნა, რომ მოპირდაპირე კარები ქარმა გააღო.

ეროდი წიკლაური სახტად დარჩა, ვერ იმოქმედა თავისებურმა ახალი ცხოვრების შთაგონებამ

ყოფილ მასწავლებელზე, ფესვი გაულანძღა. წინაპართა საფლავი შეუგინა და ასე აფორიაქებული დატოვა მოხუცმა. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, შემდეგ ტელეფონის ყურმილს დასწვდა და მძღოლი გამოიძახა. ორიოდე წუთის შემდეგ შავულვაშა მძღოლი სწორედ იმ სკამზე იჯდა და გამომძიებლის შეგონებას ისმენდა, საიდანაც ამ რამოდენიმე წუთის წინ მინდია დამდუღრებულივით წამოხტა.

– ამ რამოდენიმე წუთის წინ აქედან ჩემი ყოფილი მასწავლებელი გამოვიდა...

– ვიცი წინ შემომხვდა! – სიტყვა შეაწყვეტინა მძღოლმა გამომძიებელს და თავისი ჭროღა თვალები ისე მიაპყრო თითქოს გასაუბრების გარეშე სურდა ამოეცნო იმისი გულისნადები.

– ხოდა ის კატასტროფაში მოხვდება! – თქვა მტკიცედ გამომძიებელმა და თავზე ორივე ხელები შემოიჭდო. მძღოლი ფეხაკრეფით, საჩქაროდ გავიდა კაბინეტიდან.

ხასიათ-გუნება წამხდარი მინდია მძიმედ მიაბიჯებდა ტროტუარზე, თავხედურ შეგონებისაგან გაკვირვებული და ბრაზმორეული მეორედ მოსვლას ნატრობდა ადამიანთა უმადური მოდგმის გადასაშენებლად.

– ასე აჯობებს – ფიქრობდა გზად მიმავალი, მთვრალივით მობარბაცე მინდია – რა უნდა მოუვიდეს უარესი კაცობრიობას, როდესაც უკვე მომხდარი უბედურება მისი გაჩენის გამო, ამაზე უფრო უარესი რა შეიძლება მოხდეს? მეორედ მოსვლა გაასწორებს და გაათანაბრებს ყველას, შემდეგ გაივლის მილიონი წლები და ისევ „აღმოცენდება“ ადამიანი დედამიწაზე, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქმნა, რომ პირველ ქმნილებს დაამსგავსოს მეორეც შემოქმედმა, თორემ ხელმეორედ მოუწევს წარღვნის მოვლინება. დღეს თურმე სინდის—პატიოსნებაზე ფიქრიც კი სათაკილო ყოფილა. იქნებ მართლაც მორალის გრძნობა, როგორც ყველაფერი შედარებითია და დროსა და გარემოს მიხედვით განისაზღვრება, მაგრამ მორალი ხომ ისტორიულ—სოციალური პროცესია? რომ კაცობრიობის მოდგმას მოვაშოროთ მთელი ისტორია, რაღა დაგვრჩება? – არაფერი! – ამიტომ რაც ისტორიულია, მუდმივია და რაც უნდა ცვლილება განიცადოს მორალის შემეცნებამ, ქვეყნასთან ერთად მაინც იტრიალებს თავისი ღერძის გარშემო. სამყარო სიცოცხლეს გააგრძელებს, ცხოვრებას კი თავისი ახალი კანონები ექნება და ცივლიზაციის საფეხურს, რომელზეც დღევანდელი კაცობრიობა დგას, თავისი განსაკუთრებული საჭიროებანი დაახასიათებს...

ფიქრი დაუმთავრებელი დარჩა, „ჟიგული“ ტროტუარზე შემოფრინდა და მინდია ბორბლებში მოიქცია. გაისმა მოქალაქეთა შეკივლება, უნომრო „ჟიგული“ გაუჩინარდა...

ქეთევანი ეზოში უაზროდ მიმოდიოდა, აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა, დილით წასული მეუღლე ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო და ათასგვარ შავ ფიქრებს შეეპყრო იმის გონება. ბოლოს გადაწყვიტა თვითონაც წასულიყო და გაეგო საყვარელი მეუღლის შინ მოუსვლელობის მიზეზი.. სახლში შესვლა დააპირა, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა, მაგრამ ჭიშკართან მეზობლის თოთხმეტიოდე წლის აცრემლებული გოგონა შენიშნა და მიმართულება შეცვალა, გოგონაც უხმოდ შემოვიდა ეზოში და ქეთევანს მიუახლოვდა.

– რა გატირებს თამუნა, ცუდი ამბავი ხომ არაფერი მოგიტანია? – სახეზე ფერდაკარგული და ბაგეგამშრალი შეეკითხა ქეთევანი გოგონას.

– არაფერი ისეთი დეიდა ქეთევან, მინდია მასწავლებელს მანქანა დაეჯახა და... საავადმყოფოშია მოთავსებული, ექიმი შენ გიხმობს... წარმოთქვა გოგონამ სლუკუნითა და ცრემლების შემშრალებით, მაგრამ ქეთევანს თამუნას ნათქვამი ბოლო სიტყვები აღარ გაუგონია, სიმწრით ლოყები ფრჩხილებით ჩამოიკაწრა და ღია ჭიშკარში ფეხშიშველი გავარდა.

მინდიას საოპერაციოდ ამზადებდნენ, როდესაც ქეთევანმა დაინახა: – ცოცხალია! – მიმქრალი ხმით წარმოთქმა მან და ჩაიკეცა.

ექიმებმა მალე მოიყვანეს გრძნობიაზე ქეთევანი და მთავარი ექიმი თავისი კაბინეტისაკენ წაუძღვა:

– საგანგაშო არაფერია ქალბატონო ქეთევან – დანუგეშება დაუწყო მთავარმა ექიმმა – ეს წუთია რაც რედგენით გაშუქება, სურათის გადაღება და ანალიზების აღება დავამთავრეთ, ყველაფერი დადებითია და ნორმალური, მხოლოდ რედგენმა ელენთას დაზიანება უჩვენა და საჩქარო ოპერაციას საჭიროებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ეს ოპერაცია სრულებითაც არ არის ძნელი, არის შემთხვევა როდესაც სრულებით ჯანმრთელ ადამიანს უკეთებენ ელენთას ოპერაციას: კიდევ უფრო ხშირი შემთხვევაა თანდაყოლილი ელენთას უქონლობა და ელენთას უქონლობით გაცილებით მეტხანს ცოცხლობს ადამიანი ჩვეულებრივზე.

– გმადლობთ ექიმო, თქვენ დამამშვიდებელ სიტყვებს მეუბნებით, თუმცა ჩემზედ უკეთესად მოგეხსენებათ, რომ ადამიანის ორგანიზმში ზედმეტი სხეული არ არსებობს. სიცოცხლე მაშინ არის ტკბილი თუ ადამიანი თავის გაჩენის დღეს არ დასწყევლის და არსებობის პერიოდში უდროოდ სიკდვილს არ ინატრებს. ოპერაცია კი იმ გასაღებს ჰგავს, რომელიც კეტავს და არაფერს აღებს, მაგრამ ხანდისხან მხოლოდ დაკეტვაა აუცილებელი.

– დარდი ნუ გაქვთ, სიტყვას გაძლევთ, თქვენი მეუღლე სიცოცხლეზე უკმაყოფილი არასოდეს არ იქნება. ახლა კი ბოდიში, ოპერაციაზე მიმეჩქარება, თქვენ კი შეგიძლიათ აქვე დამელოდოთ. – თქვა ექიმმა თეთრი ხალათი გაისწორა და კაბინეტიდან გავიდა.

მხოლოდ სამი საათის შემდეგ შემოვიდა კაბინეტში სახეზე ღიმილმორეული ექიმი. ქეთევანმა შეხედვისთანავე შეატყო, რომ ოპერაცია წარმატებით იყო დამთავრებული, მაგრამ მიანც შეეგება ექიმს და თვალცრემლიანი შეეკითხა:

– როგორ არის ექიმო საქმე?

– ბრწყინვალედ! შეგიძლიათ თავმდგმურობა გაუწიოთ თქვენს მეუღლეს, მხოლოდ არ შეაწუხოთ ზედმეტი შეკითხვებით.

– გმადლობთ ექიმო, მეამაყება, რომ ეს ერთი ორგანიზაცია მაინც არის ღვთიური სავანე ჩვენს ეპოქაში, დაგელოცოთ მარჯვენა და დიდხანს იცოცხლეთ ხალხის სამსახურისათვის...

– გმადლობთ! ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი სამსახურია და მოვალეობა, რომელიც ფიცის თანახმად პირნათლად შესრულებას მოითხოვს.

– ბოდიში ექიმო, ახლა წავალ და ავადმყოფს მივხედავ! – თქვა ქეთევანმა და თეთრი ხალათი მოიხურა.

მინდიამ ქეთევანი რომ დაინახა ნიკაპი აუკანკალდა და თვალები ცრემლით ამოევსო, ქეთევანი შეტორტმანდა, პირველად ხედავდა საყვარელ მეუღლეს სულიერად გაძარცვულსა და ფიზიკურად უძლურს, მაგრამ თავი შეიმაგრა, თვალები ხალათის კალთით ამოიმშრალა და გამამხნევებელი ხმით შემოუძახა:

– რა მოხდა კაცო, როგორ ქალივით იქლერცები, ვაჟკაცი არა ხარ?

მინდიას ხმა არ ამოუღია, თითქოს ცრემლების შერცხვაო, მზერა მეულეს მოარიდა, თვალები ჭერს მიაპყრო და მისუსტებული ხმით წარმოთქვა:

– სიკვდილის არ მეშინია, ის მარადიულ ძილად მიმაჩნია, სიცოცხლე წამიერი უძილობა ყოფილა მხოლოდ, რომელსაც თან ახლავს საუკუნოებრივი ბრძოლა სიცოცხლისათვის და ეს უკანასკნელი უაზრობაა და მეტი არაფერი.

– ბრძოლაში ვაჟკაცები იღუპებიან, სიკვდილზე კი უმეტესად მხდალები ოცნებობენ. სიცოცხლე იმითაა ძვირფასი, რომ ბრძოლას საჭიროებს და ვაჟკაცები ბრძოლის შედეგს ისტორიას უტოვებენ. ახლა აღარ შემეპასუხო, ექიმმა გამაფრთხილა ლაპარაკით არ შეგაწუხო, დაისვენე და ხვალ გავარგრძელოთ საუბარი სიცოცხლის აუცილებლობაზე.

მინდია არ შეპასუხებია ქეთევანს, წამწამები მძიმედ დახურა და ნარკოზით გაბრუებული ოცნებას მიეცა. ნელ-ნელა აღიდგინა მომხდარი კატასტროფა, ეჭვის გონებით გადახედა იროდი წიკლაურს, მაგრამ აზრს თავი ვერ მოუყარა და ჩაეძინა.

დილით ადრე გამოეღვიძა მინდიას, სასთუმალთან ჩამომჯდარი მეუღლე რომ დაინახა, გაეღიმა, შემდეგ გაზმორება ცადა, მაგრამ ნაოპერაციებმა თავი შეახსენა და ღიმილი სახეზე შეეყინა. ტკივილი რომ დაეფარა მეუღლეს ისევ გაუღიმა და წყნარად წარმოთქვა:

– შენ ისევ აქა ხარ ქეთი?

– აბა სად წავიდე, შენს იქით სხვა გზა ახალგაზრდობაშიაც არ მქონია და ახლა ღმერთმა ნუ მომცეს.

– არა მაგას არ გეუბნები, ხომ ხედავ ახლა კარგად ვარ, წადი სახლში, ოჯახს მიხედე.

– არსად არ წავალ, სადაც შენა ხარ ჩემი ოჯახიც იქ არის და ოჯახის დიდებაც.

– საინტერესო ქალი ხარ, ნეტავი რომ მოვკვდე საიქიოში გამოყოლას აპირებ?

– არ დავფიქრდები!

– მერე და რას გააკეთებ ასეთი წინდაუხედაობით?

– ამით სიყვარულსა და ოჯახის ერთგულებას დავამტკიცებ!

– კარგი თუ ქალი ხარ ნუ მაშინებ, თორემ არასოდეს არ მოვკვდები და დაგაბერებ ჩემი სიკვდილის მოლოდინში. რა დროს სიკვდილზე საუბარია, როდესაც სინდისი მქეჯნის იმათ წინაშე, ვინც აღესრულა, რომლებიც ჩემამდე იშვნენ და ბევრის თქმა მოასწრეს, მე ისინი

ერთჯერაც არ გამსაუბრებიან, თუმცა ზეპირად ვიცი მათი ბრძნული აზრები, ეჰ, რა ცუდ დროს დავიბადე!? ნეტავი მეც მათთან მეცხოვრა და მათთან დამემთავრებინა ჩემი კარიერა.

– სიცხე ხომ არა გაქვს მინდია, რას ბოდავ ვერაფერიც ვერ გავიგე. წინაპართა სულები ხომ არ მოგლანდებია?

– არა, სიკეთისა და პატიოსნების სიკვდილს მივტირი და არც მე მინდა ცხოვრება მათ გარეშე.

– მერე ვინ გიშლის, იცხოვრე ისე როგორც დღემდე გიცხოვრია.

– არ გესმის დედაკაცო? – მოკვდა მეთქი ის დრო როგორც მიცხოვრია. ახლა ახალი ცხოვრება უნდა შევქმნათ, პატიოსნების ნაცვლად – ღალატი, დახმარების ნაცვლად – წაგლეჯვა და სიკეთის მაგივრად – ბოროტება უნდა თესო.

– მინდია, შინ და გარეთ შენმა ფილოსოფიამ მომკლა, შენ სხვას რას უყურებ, ცუდად თუ კარგად დღემდე შენი პატიოსანი ცხოვრებით გიცხოვრია. საქმე არჩევანეზე რომ მიმდგარიყო, მე მგონია არასოდეს გაცვლიდი შენს პროფესიას ჯალათის პროფესიაზედ.

– არც გავცვლიდი, მაგრამ ახლა სიამოვნებით გავცვლი, რადგან მე ვერც შინ და ვერც გარეთ ვერ აღმიზრდია ისეთი სულის ადამიანები, როგორსაც ველოდი. იქნებ მე ერთმა სამშობლოს მეტი ზიანი მოვუტანე, ვინემ ჯალათების ხროვამ.

– რა მოგივიდა მინდია, შენ ასე არასოდეს გილაპარაკია, მუდამ შეყვარებული იყავი ცხოვრებასა და შენს პროფესიაზედ, შეჰხაროდი სიცოცხლეს, ებრძოდი სიმუხთლეს და სხვებსაც სიკეთისაკენ მოუწოდებდი!

– მართალია, მაგრამ ჩვენი შეგონება ქარში ყაყანი გამოდგა და მეტი არაფერი, სახლში შვილი ვერ აღვზარდე, სკოლაში მოსწავლე, ასე მგონია ჩვენი ცუდი აღზრდით ჩვენვე დავღუპეთ სამშობლოს მომავალი გენიოსები.

– რა მოხდა კაცო, იტყვი ბოლოსა და ბოლოს თუ არა?

– უარესი რაღა უნდა მომხდარიყო, ოჯახში რა ტრაგედიაც დაგვიტრიალდა შენც კარგად იცი, პროკურატურაში კი ჩემმა აღზრდილმა მოსწავლემ მთლად გამაგიჟა.

– რაო, რა მინდაო?

– იყოსო ციხეში მგალობლიშვილი, უკვე მიჩვეული იქნება და სასჯელის მოხდასაც შეძლებსო.

მერე სად არის შენი ადამიანობა და პატიოსნება—მეთქი, შევეკითხე: – ადამიანობა და პატიოსნება დიდი ხანია მოკვდა და ახლა ახალი ცხოვრებით ვცხოვრობთო. – ნამდვილად გამაგიჟა იმ არაკაცის ნაშიერმა. ქუჩაში რომ გამოვედი მთლად გაოგნებული ვიყავი, მაგრამ ნამდვილად მახსოვს ფეხით მოსიარულეთ შევერიე და ტროტუარს მოუყვებოდი, შემდეგ ხალხის შეკივლება გავიგონე და მეტი აღარაფერი მახსოვს...

– ღმერთმა ასე და ამრიგად შეაწუხოს შენი გულის ამაფორიაქებელი როგორც შენ მყავხარ ამ წუთში. რაღაც გული სხვას მიგრძნობს. იმ შენი ნამოწაფარის ხელი ხომ არ ურევია შენს ავადმყოფობაში?

– არ ვიცი, თუ ეს შემთხვევითი არ არის, ვიფიქროთ, რომ მკვლელს თავისი მისია ვერ შეუსრულებია, ექიმებმა კი პირნათლად შეასრულეს ნაკისრი მოვალეობა. ვნახოთ რას იზამს გამოძიება, მე მგონია არ დაიმალება ბოროტმოქმედი თუ ძიება წიკლაურისთანა გამომძიებელმა არ წარმართა.

– რა მესმის კაცო, შენ შემთხვევით გადარჩენილხარ, აბა ტროტუარზე ავტომანქანას რა უნდოდა თუ წინასწარ მოფიქრებული ბოროტი განზრახვა არ ედო გულში? ვენაცვალე იმ ბე-დისწერას, რომელმაც შენ გადარჩენა უნდა ვიწამო და ღმერთს წმინდა სანთელი უნდა აუნთო იმ ადგილზე, სადაც კატასტროფა მოგიხდა.

– პიროვნების საბედისწერო კატასტროფა ბევრს არაფერს ნიშნავს. საზოგადოება მებრალება. რომელიც ვერ ამჩნევს მოსალოდნელ კატასტროფას, დღეს ხალხს თავი ბედნიერი ჰგონია, როცა ქვეყანა შინაგან ხრწნას განიცდის. ეს კი ყოველივე საბედისწერო დასასრულს ნიშნავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სერგი ლომაძე

ანთოლოგიის მეშვიდე ტომის პრეზენტაცია

დეკემბრის დასასრულისკენ შედგა ანთოლოგიის მეშვიდე ტომის განხილვა, საჯარო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში. განხილვას ბევრი დაინტერესებული პირი დაესწრო. უამრავჯერ მითქვამს, რომ ანთოლოგია მთავარი მონაპოვარია ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიისა, ამიტომაც მისი ყოველი ტომის გამოსვლა ზეიმია ჩვენთვის.

ქალბატონმა გულნაზიმ, მამა ამირანმა, მე და კახა ბაციკაძემ, როგორც აკადემიის ძირითადმა წარმომადგენლებმა ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შემოქმედებითი საღამო მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. ოთხეულიდან სამმა მიაღწია შედეგს, მე კი, როგორც მთავარ მომხსენებელს მშვენიერ სიტყვაში ერთი მძიმე შეცდომა მომივიდა და იმ ერთმა შეცდომამ დისონანსი შეიტანა ღონისძიებაში. მიუხედავად ამისა, ოთხეულის დანარჩენი წევრებისა და მთელი დამსწრე საზოგადოების წყალობით საღამო დიდებული გამოდგა. ვიტყოდი ღონისძიება მაღალ დონეზე შედგა.

მოგეხსენებათ, რომ ანთოლოგია გულნაზ ხარაიშვილისეული სტრუქტურითაა შედგენილი თავიდანვე, პირველი ნომრიდანვე, და იგი რამდენიმე რუბრიკად იყოფა. ამაში სიახლე განა რა არისო? მეტყვით. სიახლეა ამ რუბრიკების განლაგება, უფრი კი ზოგი ახალი რუბრიკა-განყოფილება. სიახლეა განყოფილებათა შინაარსიც და თვალშისაცემი მრავალფეროვნებაც, ასევე — მცდელობა იმისა, რომ ყოვლისმომცველი იყოს ტომეულები, ყველა თაობის დამტევი (ძველი, საშუალო, ახალი, უახლესი თაობები).

მე, როგორც საშუალო თაობის ერთ-ერთ ლიდერს, დამევალა პოეზიის განყოფილების სრული მიმოხილვა. დავამუშავე მთელი მასალა, გავცდი კიდეც მის ფარგლებს, და შევეხე როგორც ყველა თაობის პოეტს, ისე — პოეზიის მიღმაც გავაანალიზე გარკვეული საკითხები. პოეტების შემოქმედება მაღალ დონეზე გავაანალიზე შეძლებისდაგვარად (დროში შეზღუდული ვიყავი), და,

საღამოს შემდეგ, ბევრი მათგანისგან მადლობა დავიმსახურე. არაა ადვილი ათეულობით ხელოვანის ნაწერ-ნაჯაფის გაანალიზება, მითუმეტეს, როცა მათ შორის არის მაყვალა გონაშვილის, ტარიელ ხარხელაურის და სხვათა და სხვათა შემოქმედება. მართალი გითხრათ, ქალბატონ გულნაზის თხოვნით, თითქმის არ მისაუბრია თვითონ ქალბატონი გულნაზისა და "ზღვარის" პოეტების შემოქმედებაზე, ხოლო ლეგენდარული მეუფე თადეოზის თემა, უაღრესად პოეტური, სასაუბროდ კახას დავუთმე. ქალბატონი მაყვალა ესწრებოდა ღონისძიებას, იგი ბატონ რევაზ მიშველაძის გვერდით იჯდა, და, როგორც შევატყვე, მაყვალა გონაშვილი კმაყოფილი დარჩა ჩემი გამოსვლით, ისევე, როგორც ბევრი სხვა. რაც შეეხება ჩემს უხეშ შეცდომას, ეს პოეზიას არ ეხება. მსოფლიოში დამკვიდრებულია დიდებული ტერმინი პროზაში — "მოზაიკური რომანი". მე, ამ ტერმინის მაგივრად, ვთქვი "მოთხრობების კრებული", როდესაც ერთ ცნობილ ნაწარმოებს შევეხე. რა თქმა უნდა ჩემმა სიტყვებმა დედააზრი, საფუძველი — იდეა სრულიად შეცვალა. რის თქმაც მინდოდა, ის ვეღარ ვთქვი, სხვა რამ ვთქვი და ღონისძიების შემდეგ რამდენიმე ღვაწლმოსილ ადამიანთან ბოდიშის მოხდა მომიწია კიდევ ერთხელ. საერთოდ, მე ამაყი ადამიანი ვარ, თავი ძლიერ პიროვნებად მიმაჩნია, მაგრამ ბოდიშის მოხდას, უკანდახევას, გარკვეულ შემთხვევებში, არ მივიჩნევ სირცხვილად. არ მიყვარს, როცა გულს ვტკენ ადამიანებს, და არის ხოლმე სიტუაციები, როდესაც უკან დამიხევია მაშინაც, მართალი რომ ვარ, ხოლო თუ ვტყუივარ, მაშინ მითუმეტეს. იყო დრო, როცა ვერ ვაკონტროლებდი ჩემს აგრესიას, თუმცა ახლა, ასე თუ ისე, ამას ვახერხებ. ყველაზე მეტი ხომ სწორედ ადამიანობა უნდა იყოს ადამიანში. უმაღლესი გადმოსახედიდან, დიდი პოეტური ფილოსოფიიდან, მე არავინ ვარ, და მინდა არავის ვატკინო გული.

ჩემზე უკეთ გაართვეს თავი სიტყვაში გამოსვლას კახამ, ეკა გოგიაშვილმა და სხვებმა, ხოლო ქალბატონ გულნაზის და მამა ამირანს რომ არაფერი შეეშლებოდათ, ეგ ისედაც ნათელია. რა თქმა უნდა სიტყვა მიეცათ, სრული რეგლამენტით, მწერალთა კავშირის ლიდერებს — ბატონ რეზოს და ქალბატონ მაყვალას. მათ აკაკი წერეთლის პრემია გადასცეს ქალბატონ გულნაზს. აკადემიის ლიდერმა სხვა სიგელიც მიიღო. მე ამ სიგელის ზუსტი რაობა არ ვიცი. მგონი ის, რეჟისორ ნიკო ბაღაშვილის ინიციატივით გადაეცა ჩვენს ხელმძღვანელს, გადაეცა კი ერთი პატარა და ძალიან ლამაზი გოგონას ხელით, რომლის სახელიც მე, ასევე, არ ვიცი და იქნებ მოგვიანებით შეჰმატოს ვინმემ ჩემს სტატიას მისი გვარ-სახელი.

მაყვალა გონაშვილი

ის ფაქტი, რომ ჩვენი აკადემიაც ჟურნალი "ათინათიცა" და ანთოლოგიაც ქალბატონ გულნაზისთან ასოცირდება. ჭეშმარიტებაა, და ვთვლი, რომ თუნდაც ამიტომ, იგი ღირსია ყოველგვარი დიდი აღიარებისა ჩემთვის დღემდე ამოუხსნელია მისი პიროვნული ძალა-ენერგია, ფენომენი, დიდამიანურობა. დავაკვირდეთ თუნდაც ერთ დეტალს: მას რომ ჰკითხოთ, აკადემიას თვითონ კი არ მართავს, არამედ — საბჭო, რომელიც შედგება ოთხი-ხუთი თანაპრეზიდენტისგან, და რომელსაც არა ჰყავს თავმჯდომარე. დიახ, ესაა, თითქოს, თანასწორთა საბჭო. სინამდვილეში ყველამ იცის, ჩვენი აკადემიის ერთადერთი და შეუცვლელი ლიდერი არის ამ ორგანიზაციის ნამდვილი პრეზიდენტი - ქალბატონი გულნაზი, ხოლო მისი ზემოხსენებული პოზიცია იმიტომ არსებობს, რომ მას არ უყვარს პირველობა და მუდამ თავმდაბლობას ქადაგებს. ესაა ძლიერი ქალი, ძლიერი პიროვნება, რომელიც ძალა-ამბიციას კი არა სითბოს და სიყვარულს ქადაგებს ადამიანთა შორის, ხოლო ემსახურება იგი ქართულ კულტურას, - ხელოვნებას, მეცნიერებას, და არის უაღრესად რელიგიური.

ხელოვნება, რელიგია, მეცნიერება, - სწორედ ესაა ანთოლოგიის მთავარი თემები. ღონისძიებაზეც ძირითადად ეს თემები გაიშალა. სხვათა შორის, სტუმართაგან ზოგი ისეთი ადამიანი დავინახე, ადრე რომ არასოდეს მინახავს ჩვენს სხდომებზე, მაგალითად — მიშა ღანიშაშვილი და თემო ცერცვაძე, დავით ახლოური... რაც შეეხება ბელა ალანიასა და მისი მეგობრების სტუმრო-

ბას, ამას მიჩვეულნი ვართ, უკვე, აკადემიაში. ეს ხალხი ასე ვთქვათ, ჩვენიანებად მიგვაჩნია. წარმოდგენილი იყო, თბილისის გარდა, რეგიონებიც. მივიღეთ ახალი წევრებიც ჩვენს დიდი და ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაში.

საერთოდ, რასაც მე ვწერ, ვთვლი, რომ ყველაფერს აქვს თავისი დატვირთვა. ისე, უბრალოდ, არაფერს ვწერ. უმნიშვნელო დეტალი შეიძლება გვეგონოს რაღაც-რაღაცეები, იმის დაკარგვით აკადემიის ისტორიის ნაწილი შეიძლება დაიკარგოს. მაგალითად, როცა აღვწერ აკადემიის პურობებს, იქ მე მართლა ჭამა-სმა კი არ მაინტერესებს, არამედ სხვა ნიუანსები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ნიუანსებზე ბევრად მეტია.

მაგრამ იქამდე, ანუ "მეორე განყოფილებამდე", ზოგი ისეთი რამის თქმა გამომრჩა, რომლის უთქმელობა არ შეიძლება. მაგალითად, - რა დამავიწყებს ქალბატონ მარინა სხირტლაძის ან ქალბატონ გულიადას გამოსვლებს დეკემბრის იმ დღეს! ერთმა ცრემლებით დაალბო დარბაზი, ხოლო მეორემ ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ორივეს მიერ მოგვრილი შთაბეჭდილება უდიდესი იყო. ქალბატონი გულიადა არტისტია, ხოლო საუკეთესოდ, იგი, თავისი პირმშოს — ედუარდ უგულავას ლექსებს კითხულობს.

რაც შეეხება სუფრას, რესტორან "ანცში", ანუ, ანზორ ჯაფარიძის რესტორანში, მისი (სუფრის) სული და გული ისევ მამა ამირანი გახლდათ, ჩემს მიერ არაერთხელ "პროფესიონალ თამადად" მოხსენიებული. იქ, სუფრაზევე, პურობისას, მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა გამოფინა, იმავე დარბაზში, მამა ამირანის ახალი პორტრეტი, რომელზედაც საოცარი ოსტატობით არის გადატანილი — აღბეჭდილი ჩვენი თეთრი დეკანოზის რაღაც თავისებური, განუმეორებელი, დაშაქრული ღიმილი. პორტრეტი ერთი თემაა, ხოლო მეორე თემაა ბატონ ალექსანდრეს მიერ ორ სალამურზე ერთდროულად შესრულებული მელოდია. ეს უცნაური მხატვარი ნამდვილად ყოვლისმომცველი კაცია, კეთილი ჯადოქარია, თითქოს, რომელიღაც მითოსიდან. მან გააზღაპრა სუფრა, და ამ დეტალს ვერ დავკარგავ. თან სუფრას ნელა-ნელა მოედო ლექსები, სიმღერები, და მივხვდი, რომ აი, აქ გაგრძელდა ღონისძიება, ღვინომ მოხსნა შებოჭილობა, დაინგრა კედლები ადამიანებს შორის, და ხელოვნება აქ უფრო აენთო. ადიადდა.

და განა ქართულ სუფრას ტყუილად ეძახიან აკადემიას?

და განა არ შეიძლება, რომ ჩვენი აკადემიური ღონისძიება აქაც, სუფრაზეც, ანუ — მეორე აკადემიაზედაც გაგრძელდეს?

და განა, ვთქვათ, მამა ამირანის ზოგი სადღეგრძელო ერთ კარგ ლექციას არ უდრის? მე, მაგალითად, ახლაც ყურში ჩამესმის სხვადასხვა დროს მის მიერ ნათქვამი სიტყვები პოეზიის სესახებ, საქართველოს შესახებ, "ვეფხვისა და მოყმის" უკვდავი ბალადის შესახებ და სხვა, ხოლო ესენი სწორედ სუფრაზე ითქვა..

მე ვიცნობ ერთ ადამიანს, რომელსაც ას ტომზე მეტი აქვს დაწერილი (თუმცა სამწუხაროდ, ვერ უვლის თავის ნაწერებს, შესაფერისად ვერ უვლის და ნაწერთა გარკვეული ნაწილი უკვე დაკარგულია). ეს ადამიანი ყველაფერს ხედავს, იმახსოვრებს, აანალიზებს პოეტურად, ყველაფერზე ფიქრობს. მას უყვარს ხეტიალი და ფიქრი, სულ ფიქრი. იგი ფიქრის კაცია, პოეზიის და ფიქრის კაცი. მან, ერთხელ, მითხრა, რომ ძნელია, ცხოვრებაში გარჩევა იმისა, რაა მთავარი, და რა მეორეხარისხოვანი. ამიტომაცო, მთავარი რომ არ გაქრეს, ყველაფერი უნდა დაიმახსოვრო და აღნუსხოო.

ყველაფრის დამახსოვრება და აღნუსხვა შეუძლებელია.

მაგრამ ცდა კი შეიძლება...

სტატიას დავასრულებ აკადემიის ჟურნალისა და ანთოლოგიის მოკლე შეფასებით: ჟურნალის ყველა ნიმერში, ანთოლოგიის ყველა ტომში. ორი-სამი ბრილიანტი მაინც არის, მეტი თუ არა, და თუნდაც ეს ფაქტი, უკვე აბსოლუტურად ამართლებს აკადემიის ღვაწლს. ჩვენი ერთობლივი მუშაობა უაღრესად პროგრესული მგონია...

თბილისი 2019 წელი

2019 წლის გახსნითი საღამო შედგა

მირზასეულ ბიბლიოთეკაში, იანვრის ოცდაცხრაში, შედგა პირველი საღამო 2019 წლისა. ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა, არადა იყო საშიშროება, რომ აკადემიური საღამო საერთოდ ჩაშლილიყო.

მადლობა ღმერთს, რომლის შემწეობითაც ასე არ მოხდა, და კიდევ ერთი წარმატება მოვიხვეჭეთ.

საღამო უკვე დაგეგმილი იყო, როცა მე და კახამ შევიტყვეთ, რომ უპირველესი აკადემიელი – გულნაზ ხარაიშვილი ვერ დაესწრებოდა ღონისძიებას, რიგ საპატიო მიზეზთა გამო. ეს იყო პირველი პრეცენდენტი ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიის ისტორიაში, არადა, ეს ორგანიზაცია ლამის ათ წელს ითვლის, და ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურია. აკადემია ქალბატონი გულნაზის გარშემოა აწყობილი, ხოლო მისი არმოსვლა გამოიწვევდა მთელ რიგ გვერდით მოვლენებს,

მითუმეტეს – თუ საღამო ჩაიშლებოდა. ორგანიზაციის პრეზიდენტმა ეს სახელოვნებო საღამო მთლიანად მე და კახას ჩაგვაბარა. ასევე მთლიანად დაგვიჭირა მხარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ქეთი ნიკურაძემ, რომელიც ჩვენთან ერთად იყო წარმოდგენილი პრეზიდიუმში. ღონისძიებას ესწრებოდნენ: გერონტი მესხი, ლეილა ვადაჭკორია, ანასტასია(ანა) კალანდაძე, მანანა ზაზიკაშვილი, ნაირა ნიჟარაძე, ცნობილი მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი, დარია ხიდეშელი და სხვები. მინდოდა მომეწვია "ზღვარის" მიერ გასულ წელს ჩატარებული ოფიციალურად პირველი პოეტური ჩემპიონატის მამაკაცთა და ქალთა შორის გამარჯვებული ნიკო კობერიძე და დიანა ლომიძე, რომელთაც მაშინ ჩვენგან მიიღეს ძირითადი და მთავარი მხარდაჭერა, მაგრამ ახლა ქალბატონი გულნაზის არყოფნაში, ისინი აღარ დამიპატიჟებია, რადგანაც წინ რთული საღამო გველოდა. არადა, შარშან ერთეულთა შორის, სწორედ ისინი იყვნენ ძირითადი გამარჯვებულები. ჩემპიონები წელსაც დავასახელეთ: ნიკო (ნიკა) კობერიძე ახლა უფრო მეტად დასახელდა, ასევე დასახელდა თაფლო ზარიძე. ეს ამბავი საბოლოოდ ახლა გადაწყდა...

დავუბრუნდეთ აკადემიურ საღამოს. პრეზიდენტის არყოფნაში ლიდერის მოვალეობა ვიღაცას უნდა ეკისრა და ეს საპატიო მოვალეობა, აკადემიის პრეზიდენტობა, საკუთარ თავზე ავიღე, იმავე წამში ვიგრძენი ტვირთის სიმძიმე (არადა ერთადერთი საღამო იყო, რაღაც ორიოდ საათი, მეტი ხომ არა), და ჩემთან ერთად, თანალიდერებად, კახაც და ქალბატონი ქეთიც დავასახელე. მოკლედ სამნი წავუძეხით საქმეს, თუმცა საღამოს გახსნაც, წამყვანობაც, მე ვიკისრე. ვიცი რომ ახლა ძალიან ამბიციური ვეგონები მკითხველს, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. დროებით არ იყო ნამდვილი პრეზიდენტი, ამიტომაც ექსტრემალური სიტუაცია შეიქმნა, სწრაფი გადაწყვეტილებები, სწრაფი (და ამავე დროს – აწონილიც, დინჯიც) მოქმედებები იყო საჭირო.

მაშ ასე: აკადემიის წევრების პოეზიის საღამო. და თავიდანვე ყველაფერი იდეალურად წარიმართა. დარბაზი ამყვა. მე არაერთხელ ვისაუბრე პოეზიის შესახებ, თან მათ მივეცი საშუალება თავიანთი ხელოვნების დემონსტრირებისა. ყველა მათგანმა დასამახსოვრებელი ლექსები წაიკითხა. შეიძლება ჩემი განწყობა იყო ასეთი მათ მიმართ, ყველას ლექსი რომ მომეწონა. ეს ხომ აკადემიის ერთგული ხალხი აღმოჩნდა, რომელთაც ქალბატონი გულნაზის არყოფნისას არ მიატოვეს აკადემია, საღამო, პირიქით მოვიდნენ, გვერდით დაგვიდგნენ, და პოეზიით აავსეს სივრცე. ასეთ ერთგულებას ხელოვნებისადმი, მხოლოდ პოეზიის პროფესორები, პოეზიის დოქტორები თუ გასწევენ, ესენი კი თავს ძალიან უბრალო ადამიანებად თვლიან, ესენი აკადემიის ყველაზე უფრო ერთგული წევრები. იმ დღეს ყველამ ათიანზე ჩააბარა გამოცდა, ხოლო გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული) მაინც განსაკუთრებით გამოვარჩიეთ.

საღამოს საოცრება იყო ორი ადამიანი; კახა და ბატონი ალექსანდრე, რომელიც მეუღლესთან ერთად გახლდათ მოსული, ერთ წყნარ, თავმდაბალ ქალბატონთან ერთად.

მე და კახა ხშირად ვმონაწილეობთ არააკადემიურ საღამოებშიც, ხელოვნებაში იქაც ძალიან ვიხარჯებით, და რადგანაც ოცდაექვსშიც ერთ-ერთ ღონისძიებაზე ბევრჯერ გამოიყვანეს კახა, მეშინოდა რომ, აკადემიის ამ საპასუხისმგებლო საღამოსთვის ის მზად არ იქნებოდა. ასე არ მოხდა, პირიქით, კახა და მისი გიტარა მთავარნი იყვნენ ოცდაცხრა იანვრის საღამოზე. რამდენიმე სიმღერა ერთადაც შევასრულეთ ყველამ. პოეზია-მუსიკა საერთოდ ძმები არიან, ასე, რომ ორივე ხელოვნება წარმოვადგინეთ, ყველამ ერთად, იმ დღეს.

რაც შეეხება ბატონ ალექსანდრეს, მან ჯერ სალამურებზე დაკვრის ხელოვნება წარმოაჩინა,

ხოლო შემდეგ, ხუთ წუთზე ნაკლებ დროში, ფანქრით, იქვე, დარბაზში, შექმნა დიდებული პორტრეტი გერონტი მესხისა. ყველა გაოგნდა. ყველამ მოისურვა, რომ ალექსანდრე ციხელაშვილს დაეხატა ისინი. ეს ნიშნად ავიღე და ქალბატონ ქეთის მივეცი საბოლოო სიტყვა სხდომის დასასრულებლად, შემდეგ კი საღამო დახურულად გამოვაცხადე და აკადემიის წევრები რიგში ჩავაყენე, რათა დიდებულ მხატვარს დაეხატა ისინი. რიგის სათავეში დარია აღმოჩნდა, მშვენიერი პორტრეტიც წაიღო სახლში!

სანამ სტატიას დავასრულებ მინდა აღვნიშნო ის, რომ ქალბატონ ქეთის, იმ დღეს, მეგობარი ახლდა, რომელმაც მშვენიერი სიტყვა თქვა, ხოლო კიდევ ერთი ადამიანი არის ბიბიოთეკის თანამშრომელი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც სულ გვერდით გვიდგას, არადა ხშირად მავიწყდება მისი გვარ-სახელი (თუმცა რამდენიმე სტატიაში მაინც დავაფიქსირე).

და რაც მთავარია:

შემდეგი ღონისძიებიდანვე დაბრუნდება ქალბატონი გულნაზი, ასე რომ, უმაღლეს დონეზე ჩატარდება საღამოები.

თუმცა ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარეთ.

ისე ქართული პოეზიის პატრიარქები, ადრე, მთელ ქვეყანას პატრონობდნენ ხოლმე, და ახლანდელ პოეტებს, როგორმე, ერთი აკადემიური საღამოსთვის კი უნდა მოგვევლო, მითუმეტეს, რომ, საერთოდ, დიდი გამოცდილება გვაქვს ხელოვნების სფეროში ყოფნისა, და აკადემიის გარეთ პირადად ჩაგვიტარებია უამრავი ღონისძიება.

მე არ ვიცი, რომელია ჩემი საუკეთესო ქმნილება. არც ის ვიცი, რომელია ჩემს მიერ ორგანიზებული საუკეთესო საღამო. თუმცა ვიცი, რომ ეს აკადემიური ღონისძიებაც ძალიან ხშირად გამახსენდება.

P. S. არაერთხელ მითქვამს, რომ პოეზია ღმერთია. არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ, ვთქვათ პოეზია პროტესტი არის. სხვადასხვა აზრები ყოველთვის არ გამორიცხავს ერთმანეთს...

თბილისი 2019 წელი თებერვალი

დიდი შემაჯამებელი ღონისძიება

2018-2019 წლების სამუშაო სეზონის პირველი სემესტრი, 25 დეკემბერს, – დეკემბრის ბოლო სამშაბათს დახურა ჩვენმა აკადემიამ, მირზასეულ ბიბლიოთეკაში, და ეს – ბოლო საღამო, ალბათ, საუკეთესო იყო მთელს 2018 წელს.

საერთოდ, დაკვირვებული ვარ, რომ დაახლოებით ორი საათის ხანგრძლივობაა, შემოქმედებითი საღამოებისთვის საუკეთესო. ღონისძიება დაახლოებით ორ საათში, ყველაფერს ამბობს, და არც მსმენელ მაყურებელს ღლის.

თუმცა სამ საათზე მეტხანს გაგრძელებული ბოლო ღონისძიება მაინც საუკეთესო აღმოჩნდა. მოკლედ, არ არსებობს ზუსტი წეს-კანონები იდეალურობისა.

პრეზიდიუმში აკადემიის ძირითადი ოთხეული ვიყავით, თუმცა მამა ამირანმა, ცნობილ მხატვარ რეზო ადამიასაც დაუძახა, და მხცოვანი მხატვარიც (იგი, ამავე დროს, წარმატებული მწერალიცაა) ჩვენს გვერდით მოთავსდა. კიდევ ორი ცნობილი მხატვარ-მოქანდაკე ესწრებოდა საღამოს – ნიკო ხერკელაძე და გელა ლარიაშვილი (ისინი დიდი მეგობრები არიან ერთმანეთისა) ასევე იყო მოსული დამწყები მხატვარი, სიმპათიური ქეთი მაზმიაშვილი, რომელსაც პირადად ქალბატონმა გულნაზიმ უძღვნა მშვენიერი სტატია. რაც შეეხება სხვა დამსწრეების, – პირველ რიგში იჯდა ლეგენდა-კაპიტანი ძველი "დინამოსი" – მანუჩარ მაჩაიძე (საუბარია დიდი ნოდარ ახალკაცის "დინამოზე", რომელიც ერთ დროს ყველას ამარცხებდა) მის გვერდით თამარ ჯაჭვაძე იჯდა. მოსული იყო ცნობილი მეცნიერი ტიტე მოსიაც. პოეტები: ილია შუღლიაშვილი, ილია ზაქარაშვილი, ედუარდ უგულავა, გურამ ჭავჭანიძე, ლეილა გაფრინდაშვილი, ნიკო ბალიაშვილი (პოეტი და რეჟისორი), მანანა ზაზიკაშვილი, მზია ელიაძე, ლეილა ვადაჭკორია, უშანგი მოსიაშვილი და სხვანი. დამამახსოვრდა სიმპათიური პოეტისა და მოცეკვავის – თეა კანდელაკის ერთი

ძალიან ახალგაზრდა ნათესავის გამოსვლაც. ვერაფრით დავიმახსოვრე ამ გოგონას გვარ-სახელი, არადა, ეს ბავშვი შესანიშნავად კითხულობს ლექსებს... ვფიქრობ, მას დიდი მომავალი აქვს.

მოკლედ ბევრი სხვადასხვა ხელობის ხალხი ესწრებოდა საღამოს, მეტწილად, ხელოვნები და მეცნიერები.

ბიბლიოთეკის დირექტორი – ქეთი კიღურაძე, ამჟამად ჩვენს წინაშე წარსდგა, როგორც პოეტი. მას წარმატებული გამოსვლა ჰქონდა.

არ მინდა დამავიწყდეს დამსწრეთა შორის მყოფი გერონტი მესხიც, პოეტი, ძალიან დასამახსოვრებელი ფსევდონიმით – სამაჩაბლოს ბულბული.

რადგანაც საღამო, ძირითადად, ჟურნალ "ათინათის" ოცდამეათე (!) ნომერს მიეძღვნა, ჟურნალის განხილვაც იყო საჭირო და მომხსენებელი თვით აკადემიის პრეზიდენტი გახლდათ. ქალბატონმა გულნაზიმ ადვილად გაართვა საქმეს თავი და მან თითქმის ყველა რუბლიკა განიხილა, გარდა პოეზიისა, პოეტებს კი ლექსების წაკითხვის საშუალება მისცა.

ყველაზე ძლიერი, მთელს შემაჯამებელ საღამოზე, იყო კახა ბაციკაძის გამოსვლები. განსაკუთრებით მოგვეწონა მის მიერ წაკითხული მისივე ლექსი – "გზა ძველებური". ოდესღაც სწორედ კახას ლექსები იყო ერთ-ერთი განმაპირობებელი აკადემიაში ახალი ეტაპის დაწყებისა. ჩემმა და მისმა აქ გამოჩენამ ბევრი რამ შეცვალა. მისი ცეცხლოვანი გამოსვლები ანთებდა საზოგადოებას, იყო სალაპარაკო თემა, თუმცა მერე კახამ აკადემიაში უკლო ლექსების კითხვას და ახლა, მისმა ასეთმა საოცარმა გამოსვლამ, წარსული გამახსენა. კახა სიტყვითაც გამოვიდა და ლექსს ორი სიმღერაც დაამატა. მეორე სიმღერა ერთობლივად შევასრულეთ დუეტში, რაც გაუკვირდა და მოეწონა დარბაზს, გაუკვირდა იმიტომ, რომ მე, საჯაროდ, იშვიათად ვმღერი, თუმცა იმდღევანდელი ამაღლებული განწყობა ინსპირატორი აღმოჩნდა სიმღერისა.

იმ დღეს ყველას გამოსვლა იყო წარმატებული. მაინც ცალკე უნდა გამოვყო მამა ანდრიას საუბარი მამა გაბრიელისა და პატრიარქის შესახებ. დეკანოზმა იუმორით შეაფერადა და ჰიპერბოლით, საინტერესო ეპიზოდები ორი უდიდესი სასულიერო პირის ურთიერთობისა. ამ ეპიზოდების დამსწრე იყო თვითონ, და კიდევ არაერთი სხვა ადამიანი. თვალწინ გადაგვეშალა უაღრესად საინტერესო სურათები სასულიერო პირთა ცხოვრებიდან. სხვათა შორის, საღამოზე არაერთხელ გაიჟღერა ლეგენდარული მეუფე-ბერის თადეოზის სახელმაც. ეს პოეტი-ბერი ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა ჩვენი აკადემიისა. იგი ხომ თავიდანვე მეურვეობდა ამ გაერთიანებას.

მე, პირადად, ამ საღამოზე არაერთი ახალი რამ გავიგე, მაგალითად ის, რომ რეზო ადამიას ლიტერატურული ქმნილება დაუსრულებია, სახელად "მზე" და მალე ამ წიგნის პრეზენტაციას გეგმავს...

ახლა, როცა ამ სტატიას ვწერ, უკვე 2019 წლის იანვარია. "ზღვარის" წევრებმა ახლახანს დავასრულეთ ახალი, დიდი წიგნი, სახელად "ათასწლეული" (უნდა ვთქვა, რომ სხვა ნაწარმოებებთან ერთად, აქ შედის ჩემი დიდი პოემაც – "ფოთოლცვენანი" – სწორედ ჩემი ეს გრანდიოზული პოემაა წიგნის მთავარი ქნმილება, თუმცა სხვა ქმნილებებიც წიგნისა, ძალიან საყურადღებო მგონია). მე ზღვარელების მთელ შემოქმედებას, ერთობლივად, ვუწოდებ ასე – "უსაზღვროეთი" და, ამ სიტყვაში ბევრ რამეს ვდებ. ამ უკიდეგანო, ყოვლისმომცველ სივრცეს კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა. "უსაზღვროეთი" კიდევ უფრო უსაზღვრო გახდა – ამ ახალი წლის პირველივე თვეს...

მოკლედ, 2018 წელი წავიდა და დადგა ახალი – 2019 წელი. ქალბატონმა გულნაზიმ, ერთხელ, საჯაროდ თქვა, რომ აკადემიის ყველაზე საუკეთესო ნაწილად სწორედ ზღვარელებს მივიჩნევო, მაგრამ რეალურად მაინც იგია აკადემიის გული (თუნდაც სახელიდან გამომდინარე გულ-ნაზი), და, ძირითადად, მაინც მისი განსასაზღვრია ახალი სემესტრის სამოქმედი გეგმა. ვნახოთ, რა იქნება ხვალ, როგორ გააგრძელებს მუშაობას აკადემია, და ავა თუ არა ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიური საზოგადოება უფრო და უფრო მაღალ მწვერვალებზე.

წლის ბოლო საღამო დასრულდა მამა ამირანის კიდევ ერთი გამოსვლით, და მისი საოცარი არიით ერთ-ერთი ოპერიდან. მიუხედავად იმისა, რომ მე ბუნებით არა ვარ აკადემიური პერსონა და უფრო ბუნტარი, მეამბოხე ვარ, მაინც აკადემიურად მიყვარს კლასიკური მუსიკა. (კლასიკა და როკი ჩემი ძველისძველი სიყვარულია)...

მაშ 2018 დასრულდა. არის 2019 თითქოს ერთი სამყარო მოკვდა და მეორე სამყარო დაიბადა. მართლაც საოცარი რამ არის ახალი წელი...

P. S. ტერმინი „სუპერრენესანსი" არაა სწორი, მართებული, რამეთუ სიტყვა "რენესანსი" უკვე მოიაზრებს თავის თავში უმაღლესს (მასზე მაღლა ანტიკაც ვერ დგას). მიუხედავად ამისა, მაინც მხიბლავს არა მარტო ახალი რენესანსის, არამედ, სუპერრენესანსის იდეაც. მინდა, რომ ჩვენი დრო, სწორედ ჩვენი დრო იყოს საუკეთესო კულტურისათვის. კულტურამ, ხელოვნების მეთაურობით, უნდა იხსნას და აღაზეოს ქვეყანა...

თბილისი 2019 წელი. იანვარი.

თებერვლის ბოლო აკადემიური ღონისძიება

რამდენიმეხნიანი არაოფიციალური განშორების შემდეგ, თებერვლის მიწურულს, ქალბატონი გულნაზი დაბრუნდა აკადემიაში, და ისევ უმაღლესი დონის შემოქმედებითი საღამო ჩაატარა აკადემიამ. მე და კახასაც, ფაქტიურად, ჩამოგვეხსნა ლიდერობის უმძიმესი ტვირთი. დიდი სიხარული განვიცადეთ ყველამ სავსე დარბაზი როცა ვიხილეთ, ოცდაექვსი თებერვლის ღონისძიებაზე, ჩვენი სუპერორგანიზაციის საჭესთან აღმართული ძველი, გამოცდილი კაპიტანი – გულნაზ ხარაიშვილი. მას მხარს ვუმშვენებდით მე და კახა. აკადემიას დაუბრუნდა მამა ამირანიც და ქალბატონ გულნაზისთან ერთად, სწორედ მან გახსნა თებერვლის ბოლო საღამო. ეს არ გახლდათ ამ სეზონის გახსნითი საღამო, ეს მეორე იყო, თუმცა პირველი გახლდათ, როცა აკადემია, წელს, სრული ძალით წარმოჩინდა. ესეც მორიგი აკადემიური სამშაბათი თუ სამშაბათობა, სამი საათი (დასაწყისი).

მირზასეული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი – ქეთი ნიკურაძე...

ჩვენი გამოსვლები, თავიდანვე, დებატური უფრო იყო, და შეეხებოდა, ძირითადად, ხელოვნება-მეცნიერებას. გამოვთქვამდით ჩვენს ხედვებს, ხოლო საუბრებს ალამაზებდა კახას გასაოცარი პოეტურ-მუსიკალური ჩანართები. სხვათა შორის, საინტერესო დიალოგი გაიმართა ამ დღეებში, კახასა და „ზღვარის“ მაღიარებლებს შორის. მაშინ განაცხადა ჩემმა საუკეთესო მეგობარმა: „ჩვენ კარგახანია მივხვდით, რომ „ზღვარი“ არაა ღმერთი, არაა მეფე, არაა მარადიული ჩემპიონი... ჩვენ უბრალო ადამიანები ვართ“. დარბაზიდან რეპლიკა წამოვიდა: „კახა არ გიხდება და არც გამოგდის თავმდაბლობა!“ მან კი უპასუხა: „სერგი რომ იყოს შენი უფროსი მეგობარი ოცდახუთი წლის განმავლობაში, ნახავ, რომ თავმდაბლობის სწავლა შეუძლებელია!“ ატყდა სიცილი და აპლოდისმენტები. არადა, მთლად ასეც არაა საქმე. პირადად მე, თავმდაბლობა, მართლა მიმაჩნია დიდ თვისებად, და ტყუილად იფიქრებთ, რომ ახლა არაგულწრფელი ვარ.

დავუბრუნდეთ თემას.

ქალბატონმა გულნაზიმ ისევ განიზრახა აკადემიის გაფართოება-გაძლიერება და ახალ წევრებად მიიღო ორი ადამიანი: ედუარდ უგულავა – პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, და ქეთი მაზიაშვილი – ძალიან იმედისმომცემი ახალგაზრდა მხატვარი, სულიერ-ფიზიკურად ლამაზი ადამიანი, რომელიც დედითა და სხვა ლამაზი ადამიანებითურთ იყო მოსული სხდომაზე. მიხარია, რომ ედუარდს პირადად მე გადავეცი აკადემიის დიპლომი. რაც შეეხება ქეთის, მან, დიპლომი აკადემიისა, მამა ამირანის ხელით მიიღო.

ღონისძიების პირველი და მთავარი ნაწილის დასრულების შემდეგ დაიწყო მეორე ნაწილი – რეჟისორი ნიკო ბალიაშვილის ფილმი ქალბატონი გულნაზის შესახებ. ნიკო ნერვიულობდა არც აპარატურამ შეუწყო ხელი, მაგრამ ფილმის პრეზენტაცია, მთლიანობაში, მაინც წარმატებული იყო. დამსწრეთაგან ბევრმა შეაქო მისი ნაშრომი, მათ შორის – ცნობილმა პიროვნებებმაც. ფილმში მართლაც იყო არაერთი კარგი ეპიზოდი, მაგალითად აი ის, როცა რეჟისორის კამერა თითქოს ცოცხალ ადამიანად აქცევს ლეგენდარული ბეჟან ხარაიშვილის ძეგლს, რომელიც გელა ლარიაშვილმა შექმნა. ეს ძეგლი შედევრი მგონია, და ვერ ვხვდები, ასე რატომ ჭიანურდება მისი დადგმა სოფელ ჭალვანის (ჭალოვანის) საჯარო სკოლის ეზოში, მითუმეტეს, რომ იმ სკოლაში სწავლობდნენ დიდი ხარაიშვილები, ამავე დაწესებულებას ეწოდება ბეჟან ხარაიშვილის სახელობის სკოლა!..

ჩვენი შემოქმედებითი საღამო კარგად დასრულდა. როგორც ჩანს, იმ დღეს ისევ ჩვენს მხარეს იყო პოეზიის ღმერთი, ხელოვნების ღმერთი, და ყველა გამოსვლა, საბოლოო ჯამში წარმატებული აღმოჩნდა, წარმატებული აღმოჩნდა ფილმიც და სასიამოვნო იყო უკვე შემდგომი გამოსვლებიც.

წინ ისევ გველის არაერთი მნიშვნელოვანი საქმე, მნიშვნელოვანი საღამოებითურთ, თუმცა ბოლო ღონისძიებამ როგორც აჩვენა, ჩვენი ორგანიზაციის პრეზიდენტი ისევ ძველებურადაა შემართული, ეს კი გარანტირებულ წარმატებებს ნიშნავს...

თბილისი. 2019 წელი. თებერვალი

მზიური დათიაშვილი-აფციაური

დამაჯერებელი ადამიანი

ამბობენ, ადამიანი გამოუცნობი ფენომენიაო. შენ ასეთი ხარ, ჩემო დამაჯერებელო და საყვარელო „დედავ“ და დაო. მე ნამდვილად მწამს, რომ ფენომენის ჩამოყალიბებაში სამყაროს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა როლი გადამწყვეტია. რიცხვთა, ბგერათა და ფერთა შესწავლამ და პრაქტიკულმა ასოცირებამ, ფენომენალურ არსებათ დიდი პიროვნული როლი დააკისრა და საზოგადოებრივი ცხოვრების ავტორიტეტებად აქცია.

2019 წლის 26 თებერვლის აკადემიის სხდომა უჩვეულო სიურპრიზით დაიწყო. ნიკო ბაღაშვილის მიერ წარმოდგენილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ამაღლებული, სათუთი,, სიცოცხლის სიყვარულით გამთბარი, შემოქმედი ადამიანების ეკრანული სახე, დაუვიწყარი მარადიულობის გზა აღმოჩნდა სამყაროში. მათ ეკრანი შექმნეს თავისი ხალასი, დაუოკებელი, გამრჯე და შეუპოვარი შრომით, რაც დიდ ადამიანურ სიყვარულს მიუძღვნეს.

გულნაზ ხარაიშვილი – დედა, და და მეუღლე, რომელმაც დაუვიწყარი სიყვარული „დარდის პირამიდა“-დ აქცია და სამების ტაძრის დედაღვთისმშობლის მშობლის წყალობის მოზიარე გახდა, ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების თანამდევი და მეგობარია. ტყუილად არ ვუწოდებთ მას „დედას“. აკადემიის მუდმივი გამომცემლობის ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორი, მის თანამეინახეებთა ერთად მკაცრი, მაგრამ საუკეთესო სახეა დიდი კეთილშობილებისა და ღვთივმინიჭებული სიყვარულისა.

ამ ფილმში მე ამაღელვა, ერთმა უდიდესმა შემოქმედებითმა მომენტმა, სადაც მისი ძმის სიცოცხლემოწყურებული ბეჟან ხარაიშვილის დახვეწილი პოეტური სახე და სამშობლო ქვეყნის დიდი სიყვარულის მაცნე, განუმეორებელ კვალს ტოვებს ისტორიაში. თავი ვერ შევიკავე, თვალებზე ცრემლმომდგარმა, გულშეძრულმა, კურცხლები გადმოვყარე, როცა ვიხილე გულნაზის ფაქიზი, ქალური კდემით, ღვთისადმი მავედრებელი კულისური ცრემლების ფრქვევა. მისთვის ეს – მერამდენე გაზაფხულის მოვლინება და დიდი გულისტკივილი იყო ერთდროულად... დაე, მარადჟამს იცოცხლონ ამ გმირებმა და მათი ეკრანული სახის წარმომაჩინებელმა, დაუღალავმა და შეუპოვარმა რეჟისორმა, სახეთა ცნობის და წვდომის ოსტატმა, პროდუსერმა და კინოს შექმნის ერთმა და მხოლოდ ერთადერთმა შემოქმედმა – ნიკო ბაღაშვილმა...

უდიდესი და ძირეული ღვაწლი ამ უპრეცედენტო ნამუშევრში, მოქანდაკე გელა ლარიაშვილს მიუძღვის. იგი ნამდვილად იმსახურებს უსაზღვროდ აღიარებული მოქანდაკის სახელს.

ამ მოულოდნელმა სიურპრიზმა ჩემში აღძრა საქართველოს კულტურის ყველა თანამედროვე ხელოვნებისა და ხელოვანის უდიდესი პატივისცემა და აღიარება მსოფლიო დონეზე.

პატივისცემით მ. დათიაშვილი
20/II-2019 წ.

გულნაზი ხარაიშვილი

იმერეთო, ჩემო ზღაპრეთო

ნუნუ მასწავლებელო, ჩემი გულის დაფაზე დიდი ასოებით დავწერე თქვენი სახელი. თქვენ ჩემში დაინახეთ ის, რაც სხვას არ დაუნახავს, დაინახეთ ტკივილით ნაშენები პირამიდები და მოინდომეთ ჩემი გულის გათბობა. მე ჩემი საჩხერიდან გამეხარდებოდა (გამიხარდა), თორემ თბილისში ჩემი ღონისძიებებით არა ერთ პიროვნებისათვის გამილღვია სულის ყინული.

პედაგოგის ძირითადი მიზანი უნდა იყოს შრომა და მარადისობა უკვდავებისაკენ. ამ თვისების მქონე პედაგოგი შემართებულია წინსვლისაკენ. პირადად მე ასეთი შთაბეჭდილებით დავრჩი თქვენს მიმართ. თქვენ არ გაკლიათ დიდების ხარისხთა კიბეებზე ასვლა და კიდევ გიჩნდებათ სურვილი წარმატებებისაკენ. თქვენ ზრდიდით და ზრდით თაობებს და დაუკმაყოფილებლობის ჟინი გაფორიაქებთ. ეძებთ, აკეთებთ, ხედავთ. თქვენი სულის ტაძარი ძიებაშია. მოვიშველიებ წმინდა ილია მართალის სიტყვებს და ვიტყვი: “რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?”

ქალბატონო ნუნუ, თქვენი ჩატარებული ღონისძიების შემდეგ ეს სიტყვები მიტრიალებდა ფიქრთა კორიანტელში; რას დავწერდი თქვენს შესახებ და როგორ გამოვხატავდი იმ დიდ სიამოვნებას, რაც მანდ ვიგრძენი. იქნებ ერთმა თბილმა სიტყვამაც იკმაროს-თქო და ათრთოლებულმა წერა დავიწყე.

იმ დღეს, როცა მდინარე ვერემ ტრაგედია დაატრიალა თბილისში, დაიხრჩო ხალხი და ზოოპარკის უამრავი ბინადარნი – მხეცები, ჩვენ ერთად ვიყავით ბოდბეში, სადაც წმინდა ნინო განისვენებს. არ მინდა მკითხველი დავაბნიოთ და აქვე ავხსნი; ჟურნალი “ათინათი” რომლის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი მე ვარ, წმინდა ნინოს ხატითაა მადლმოსილი. (ხატი ეკუთვნის ცნობილ მხატვარს და პროზაიკოსს ბატონ რეზო ადამიას). წმინდა ნინოს ხატით “ათინათის“ გული ფეთქავს. ამიტომ იყო, რომ ჩემი კუთხის “ფესვები”, თქვენი მოსწავლეები, იქ მოვიწვიე, ბოდბეში, სადაც მუშაობს ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის, ბეჟან ხარაიშვილის თანაკურსელი, ანა ბოდბელი, ღონისძიება მისი ხელისშეწყობით ჩატარდა. იქ, იმ ღვთის ადგილზე, როცა თქვენ მაღალ ფერდობზე შეაფინეთ თქვენი ანგელოზები - “ბავშვები” და როცა სიტყვას ამბობდით, იყავით რაღაც არაამქვეყნიური, ზეციური. თქვენ სიტყვას ტყის ექო იმეორებდა. შორს, შორს სადღაც მეორდებოდა მთებში სიტყვები - აღმზრდელობითი, დიდაქტიკური, ჰარმონიული ხმით აჟღერებული, შთამბეჭდავი და ამაღლებული იყო. იქ მყავდა მოწვეული მხატვარი; ხატმწერი და პროზაი-

კოსი ბატონი რეზო ადამია, ბავშვებს გავაცანი იგი და ჟურნალებიც დავურიგე საჩუქრად. იქ ნათქვამი ჩემი სიტყვები ტყის ექოსავით გაიმეორა ხუთი წლის შემდეგ შენმა მოსწავლემ, რომ მე მითქვამს;

ვდგავარ თქვენ წინაშე ერთი ჩვეულებრივი გოგონა და თავი არაჩვეულებრივი პოეზიის საუფლოში მგონია. ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია თქვენსავით ბუმბერაზ ადამიანებს ვესაუბრო, ჩემი აზრი გავუზიარო და რჩევა ვკითხო.

დიდი სიხარულით ვიხსენებ ჩემი ქართულის მასწავლებლის ნუნუ გოგოლიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ჩვენს პირველ შეხვედრას ბოდბეში, სადაც აკაკის საიუბილეო დღესასწაული თანამედროვე, გამოჩენილ პოეტებთან ერთად ვიზეიმეთ. შეუძლებელია სიტყვებით გამოვხატო მაშინდელი ჩემი აღფრთოვანება. როცა იმ ლამაზ დღეზე ვფიქრობ, ჩემს სულში ხმიანდება თქვენი საოცრად ნატიფი, სულის გამაფაქიზებელი სიტყვები, სულ სხვა ჟღერადობა რომ შესძინა უწმინდესმა ადგილმა – წმ. ნინოს სამკვიდრებელმა.

„გადამესვენა მკლავებზე მთვარე,
მომეფაქიზა გადაღლილ შუბლზე,
მითხრა: შენია ეს არემარე
და მიმანიშნა ჩემს მდიდარ სულზე.

„ოქრო რად მინდაო“– ბრძანეთ ოქროს გულის ქალბატონმა და თქვენი ცხოვრება და შემოქმედებაა ეს ოქრო!

ზღვად ჩამიგროვდა გულში ლექსები,
ტალღა მოასკდა მკერდის ნაპირებს.
ლექსით სუყველას გეალერსებით...
და... საჩუქრებსაც ლექსით ვაპირებ.
პრანჭიკელებმა იცინეს ჩემზე,
აათამაშეს კუნთით ბეჭები.
პოეტიაო, ამბობენ შენზე
აბა გვაჩვენე შენი ბეჭდები.
ოქრო? რად მინდა... განძი ლექსია,
ხან ბაჯაღლოა, ხან მზე და მთვარე,
ის მტევნებივით ჩემში ასხია,
თქვენი პასუხიც აქ დავამთავრე.
გადახარხარდნენ... ღრეობა იწყეს
ერთ მასად იქცნენ კაცი და ქალი
გულისწორები ვეღარ გაიყვეს,
დაბარბაცებდნენ ქუჩაში მთვრალნი.
გადამესვენა მკლავებზე მთვარე
მომეფაქიზა გადაღლილ შუბლზე,
მიხრა: შენია ეს არემარე
და მიმანიშნა ჩემს მდიდარ სულზე.

ამქვეყანაზე მდიდარი ის არის, რომელსაც შეუძლია სიკეთის კეთება. მე კი ასე მივმართავ ჩემი საჩხერის ნორჩ, ქორფა ყვავილს, იმ მოსწავლეს, რომ მასში გადმოსულია წმინდა ნინოს მადლი და წერა გააგრძელოს, არა მგონია ვცდებოდე, ის აუცილებლად დაადგება იმ გზას, რომელსაც მწერლობის გზა ჰქვია.



საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი წრის მოსწავლეებმა, რომელთაც თქვენ ხელმძღვანელობთ, ნუნუ მასწავლებელო, სიყვარულის ცეცხლი დაანთეს სცენაზე. 2019 წლის თოთხმეტი თებერვალი ვალენტინობა - დღე სიყვარულისა, დაუვიწყარი იქნება ჩემთვის, და იქ მიწვეული სტუმრებისთვისაც. ბავშვების მეხსიერებას შემორჩება ბატონი რეზო მიშველაძის სიტყვები. ის სცენაზე იდგა, როგორც ღმერთკაცი და თავისი ჩვეული ღიმილით საუბრობდა ჩემს პოეზიაზე. მე მწერალთა კავშირიდან მიღებული მაქვს პრემიები: მარიკა ბარათაშვილის, კულტურის ამაგდარის, ღვაწლმოსილის, გალაკტიონ ტაბიძის, ბეჟან ხარაიშვილის და აკაკი წერეთლის. იმ დღეს ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი და ჩემი ღვაწლის დამაგვირგვინებელი პრემია იყო – ბატონი რეზო მიშველაძე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული პროზის რაინდი, უამრავი წიგნის ავტორი და მათ შორის ოცდაათი ტომის შემქმნელი, გამომცემელი. როცა საუბრობდა გეგონებოდა ცის კამარა რაღაც ძალამ გახსნა და გამოჩნდა მზე, რომლის სხივები ეფინებოდა დარბაზს. სცენის მიღმა ვარსკვლავები იყო მიმალული, დედა ვარსკვლავი, ანუ თქვენ ნუნუ მასწავლებელო, პაწაწუნებს რჩევებს აძლევდით, რომ არ დაბნეულიყვნენ. ვისთვის რა არის ბედნიერება, ეს ჩემი განკითხვის საქმე არ არის, ჩემი ბედნიერება დაიწყო იქიდან, როცა საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ბეჟან ხარაიშვილის სახელი, დაარსდა მისი სახელობის პრემია... ეს ყველაფერი მოხდა ბატონი რეზო მიშველაძის ხელშეწყობით, მაყვალა გონაშვილის მხარდაჭერით, რომლის ქალობა მისაბაძია, საამაყოა, ის ჩემი სულის კრედოა, სულის არილია. 2019 წლის 14 თებერვალს კი საჩხერეში გაგრძელდა, სადაც ორი რეზო, მიშველაძე და ადამია, გიორგი ბეჟიტაშვილი, პროფესორი, აკადემიის სწავლული მდივანი, თბილისის სამედიცინო ცენტრის "მედიკის" დირექტორი, პოეტი – ლეილა გაფრინდაშვილი, ჭიათურელი პოეტი ლამზირა შეყილაძე, ცნობილი კინორეჟისორი ნიკო ბაღაშვილი და მომღერალი ომარ მუბაშვილი ჩემი დაჭრილი გულის გასათბობად იყვნენ წამოსულები.

ნუნუ მასწავლებელო, როცა გომიდან გადაუხვევ და გაცდები ვაყას, ალს, ცხედიჯვარს, იწყება საოცარი სილამაზე ბუნებისა, გორაძირამდე არის ჯადოსნური სამყარო, იკარგები, გავიწყდება ყველაფერი, სული გადადის სხვა სამყაროში, რასაც ედემი ჰქვია, მაგრამ იმ დღეს, არაფერი დამინახია, მივჩერებოდი გზას და ვფრთხილობდი, რომ გზაზე რამე ხიფათს არ გადავყროდი. პასუხისმგებელი ვიყავი, თოთოეული ამ ჩამოთვლილი პიროვნებების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე. ამიტომ საჩხერემდე, მანქანაში მსხდომის გარდა, არავინ მახსოვდა, სიხარულს ვერ ვითავსებდი. ახლა რომ ვაანალიზებ ყველაფერს, მადლობას ვუხდი; მერიის წარმომადგენელს ბატონ კახა სამყურაშვილს, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორს ბერიკა დეკანოიძის მიმართ დამეუფლა ასეთი სურვილი; მზად ვარ მივიღო ჩემი სულის წევრად, ანუ აკადემიის წევრებად მიგიღოთ ორივე. ნუნუ მასწავლებელო, თუ თქვენთვისაც რამე ღირებულებას წარმოადგენს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია, რომელიც დაფუძნებულია მოგზაურის გარდაცვალებამდე და ფუნქციონირებს უკვე ათი წელიწადი.

თქვენ, ნუნუ მასწავლებელო, ამდენი წლების ლოდინის შემდეგ, გაჭერით ჩემი სულის ლენტა და შემომაფრქვიეთ რწმენა ხვალინდელი დღისა. ვერ დავიჯერებ თქვენში პოეტის სული არ ბინადრობდეს და იცით რატომ? ჩემი ლექსები, რომელიც თქვენს მიერ იყო წარმოდგენილი საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდათა სასახლეში, იმდენად სიღრმით ჰქონდათ შესისხლხორცებული ბავშვებს, რომ იგრძნობოდა თქვენი პოეტური ხედვა. (გმადლობთ ამისათვის). ჩემს წარმოსახვაში თქვენ დგახართ მოდინახეზე, როგორც სიონის მაღლაფერდობზეა ქართვლის დედა, ხეთა სიმწვა-

ნეში, და იცავს სრულიად საქართველოს. თქვენ მოდინახედან გასძახით თაობებს, იცოდეთ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასი. აჯობეთ დროს და იწამეთ ღმერთი. იყავით მიმტევებელნი, საჭიროების შემთხვევაში მებრძოლნიც.

ისევ დავუბრუნდები ღონისძიების შინაარსის გაანალიზებას. ბავშვები იყვნენ ბრწყინვალედ მომზადებულები. სურვილი გამიჩნდა ეს გავიმეორო თბილისში, თუ რათქმა უნდა თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი.

რაც შეეხება ფინალს, პედაგოგ ნაზი არსენიძის პირველ კლასელებს, ისინი იყვნენ გაზაფხულის პეპლები და ფრთხიალებდნენ სცენაზე. ხან მერცხლებადაც წარმოვიდგინე, ჭიკჭიკებდნენ და ყვებოდნენ ლექსებს. როგორ გამოწვრთნა ნაზი მასწავლებელმა პირველკლასელები, მათ ხომ ჯერ წერა-კითხვაც არ იციან, გამახსენდა თბილისის 36-ე სკოლის პედაგოგი ციური ხოჭუა, რომელსაც მიწვეული ვყავდი. არ მოველოდი, ნახევარ საათში, ისეთი წარმოდგენა დადგეს ლექსებით, მომეწონა და იმ მოსწავლეებით გავხსენი თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩემი საღამო, რომელიც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს მიჰყავდა. ნაზის ბავშვებმა ფიქრის ზღვაში შემაცურეს. რას შევძლებ, როგორ გავაგრძელებ მათთან ურთიერთობას, ეს მათზეც იქნება დამოკიდებული. ჩემგან სიყვარულის სიტყვები და ლოცვა არასოდეს მოაკლდებათ პატარა ანგელოზებს. რაც შეეხება ქალბატონ ნაზი არსენიძეს, ის აკადემიის წევრია, თვითონ შემოქმედია, ჩემი რძალია, ჯამბული შუბითიძე – მისი მეუღლე – თანაკლასელიც იყო, ბიძაშვილიც და ყურადსაღებია ის, რომ ბავშვები სახლშიც მიჰყავდა, რომ ამხელა საზოგადოების წინაშე წარდგენილიყვნენ. ასეც უნდა გარჯილიყო ნამდვილად. ცარიელი სამადლობელი სიტყვები არაფერია, მეც სანახსოვრო ყურადღებას გამოვიჩენ მათ მიმართ.

საჩხერის საქალაქო ბიბლიოთეკას ბატონმა რეზომ საჩუქრად გადასცა დიდი საგანძური ტომეულებისა. მე პირადად საჩუქრად ჩავიტანე აკადემიის შვიდი ტომი, სადაც მკითხველი გაეც-

ნობა სიახლეს ანთოლოგიისას. თვითოეულ ტომში წარმოდგენილია: კლასიკოსი და არა კლასიკოსი პოეტები, აკადემიის ჩატარებული ღონისძიებები, პროზაული, ფილოსოფიური, ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებები. არის ყველა დარგის მასალები; ეკონომიკა, ისტორია, მედიცინა, ლიტერატურისმცოდნეობა, სოფლის მეურნეობა, თარგმანები. საჩუქრად გადავეცი ჩემი წიგნები: "დარდის პირამიდები", "ფიქრის ხეივანი" და პროფესორ ლუიარა სორდიას წიგნი: "სამების სამრეკლოდან", რომელშიც მეცნიერულად დამუშავებულ-განხილულია; ჩემი, ბეჟანის და ჩემი ძმისშვილის გვანცა ხარაიშვილის პოეზია. ლუარა სორდია ავტორია სამოცდაათი წიგნის, აქედან შვიდი წიგნი მარტო გალაკტიონ ტაბიძეზე აქვს შექმნილი, ხოლო რეზო მიშველაძის წიგნი მოიცავს ათახუთას გვერდს.

სულ ბოლო ფინალი, ბატონი თემურ გოგსაძის ინიციატივით დამთავრდა. ბატონი თემური ჭიათურელი დამსახურებული ადვოკატი და პოეტია, არ მოველოდი, ეს იყო სრულიად გაუთვალისწინებელი ამაღლებული განცდა. მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა იგი და კარგახანს არ დამცხრალა ოვაციები.

მამა გაბრიელი ამბობს: ღმერთი არის სიყვარული. ერთმანეთის სიყვარული უნდა ვისწავლოთ. ნურავის ეგონება, რომ სიყვარული თანდაყოლილი ნიჭია, სიყვარული ისწავლება და ყველამ უნდა ვისწავლოთ.

თქვენ, ნუნუ მასწავლებელო, სიყვარულით, დაუზოგავი ენერგიით გიღვაწიათ, გაგიზრდიათ თაობები... აკი თქვენი აღზრდილი არ იდგა სცენაზე, საჩხერის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი; ნაზი არსენიძე, და მის მიერ მომზადებული პირველი კლასელები. თაობათა კავშირი იყო გაერთიანებული, ისე, როგორც ჩვენს აკადემიაში. ქალბატონი მაყვალა გონაშვილი ჩვენს აკადემიას სიყვარულის აკადემიას უწოდებს. წამოვედი სიყვარულის ქარტეხილში გახვეული და გულში ვიმეორებდი ჩემივე ლექსის სტროფებს:

„წლები მიჰქრის, დამათოვა ჩუმად თმაში,
სიბერე კი დაჭიხვინებს დაზაფრული.
თამადა ვარ სიყვარულის ამოხსნაში;
იმერეთში?.. სხვა ფერია გაზაფხული!"

იგი ლამაზია აკაკითი, მუხრანით და მრავალი ღირსეული პიროვნებებით. ახლა არ მოხდა, რომ ლაშა ტალახაძემ მთელი საქართველო ასახელა? ვამაყობ ჩემი საჩხერეთი, ვამაყობ იმით, რომ ჩემი ფესვები აკაკისეულია.

აკაკის შემოქმედება მარგალიტების მთებია, მდინარე ყვირილის ტალღებია, შაშვის გალობაა, ტყის ჩურჩულია, ლამაზი დღის აისია, შეუპოვრობა და მტრის წინააღმდეგ აღმარული მახვილია, სამართლიანობაა; მისი ლექსები დედის იავნანაა, მამულის სიმღერა და ლოცვაა!

,,დიდო მგოსანო, ფრთაშესხმულო, აზრის სარდალო,
გულით გიმღერი, მოკაშკაშე ლექსით შუქმფინარს,
აბა, მე თავი მუზის ღმერთკაცს ვით შეგადარო,
მე მხოლოდ შენი კალმის ჩრდილში დავეძებ ბინას!“

აკაკი წერეთელს!

ვკოცნი შენს სიტყვებს
მოკრძალებულად,
შენი აზრია უდავოდ ძვირი,
თავს ვთვლი ყოველთვის
მე ვალდებულად
გულზე ავიბა, ვით ბრძოლის მძივი.
შენ უკვდავება გერგო ხარისხად,
მე პოეზიის აჩრდილს დავყვები,
სულის პოეტებს შენი მხარისას
მჯერა, ზეცაში ეამაყები!

ფიქრმა გამიტაცა და ყოველდღიური საქმით სულის დასაოკებლად, გულში ვნატრობდი;

ფური ვიყო, ვეწეოდე უღელს ხარად...
და ყოველდღე ჩემ თავს ვკითხო;
რა ვაკეთო ჩემი კუთხის გასახარად?

ჩემს იმერეთს დედასავით ვეფერები

ჩემი კუთხის სურნელებით დამათვრეს
მიტომ მიყვარს დედასავით, ღმერთო,
ოცნებებში ღამეს შენთვის გავათევ,
იმერეთო, ჩემო ზღაპარეთო.

დღე ხსნისწინა

2019 წელი პირველი იანვარი. იქნებოდა 4-5 საათი, საჭიროდ ჩავთვალე ფაზისის საერო –სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტისათვის ახალი წელი მიმელოცა. ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანე და ბატონ ნუგზარ ნადარაიას ახალი წლის შემობრძანება მივულოცე და კეთილი სურვილების ასრულება ვუსურვე. – იცით ქალბატონო გულნაზ, მეუბნება ბატონი ნუგზარი, ხვალ ბედობაა, ტრადიციულად ბედობის დღეს უწმინდესთან ყოველწელს შევდივართ. 11 საათზე საპატრიარქოს შესასვლელთან შეგროვდით, ერთი ათი ადამიანი უნდა შევიყვანო, უწმინდესის დაბადების დღეა კარზე მომდგარი ბევრი მნახველები იქნებიან იმ დღეს და ამიტომ ჩვენ ორში შევალთ. გამეხარდა ძალიან, წინა დღეს, 31 დეკემბერს, დედა იოანასთან ვიყავი. არაჩვეულებრივი წიგნი მაჩუქა "საქართველოს დიდება" ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ასეთი წარწერით: " უსაყვარლეს, უძვირფასეს ქველმოქმედს, გვერდით მდგომს, უერთგულესს, მოყვასის მოყვარულს, განსაცდელში მყოფ მშობელთა გამხალისებელს, სხვისი მწუხარების გამზიარებელს, ღვთისმოსავ მამა გაბრიელისაგან მინიჭებულ მადლით აღვსილს, ორმოცდაათი წლის შემდეგ რომ ეზიარა სრულყოფილ პოეზიას და ასევე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ "ათინათის" მთავარ რედაქტორს, გულნაზ ხარაიშვილს, ღვთის წყალობით გილოცავთ 2018 წლის მშვიდობიან გაცილებას და 2019 წლის შემობრძანებას.

ეს და სხვა მრავალი წელი ყოფილიყოს თქვენთვის ჯანმრთელობის, სიუხვის, სიკეთის, სასოების მომტანი, წმინდა სამებამ და უფალმა დაგლოცოს, გაგაძლიეროს ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში. მუდამ თან გდევდეს უფლის მადლი.

თქვენთვის მლოცველი, მოსიყვარულე და გულშემატკივარი მონაზონი იოანა (ონიანი) 31. 12. 18 წელი.

2019 წლის პირველ იანვარს შემოთავაზებულ პატრიარქთან მისვლის სიხარულს ფიქრში ვაანალიზებდი, მიხაროდა. გამახსენდა მამა გაბრიელის სიტყვები: "ლოცვა-კურთხევა უდიდესი მადლია, ადამიანი, რომელიც სასულიერო პირიდან ხშირად ღებულობს ამ მადლს, დაზღვეულია მრავალი განსაცდელისაგან."

გამახსენდა ჩემი ლამზირა შეყილაძე, რუსთაველი პოეტი, რომელსაც შვილი გარდაეცვალა, სამი კვირა იყო გასული. ფიქრში ამეკვიატა სხვა დანარჩენი დედები, რომლებიც ჩემნაირი ტკივილით დადიან ცოდვილ დედამიწაზე, მაგრამ ყურადღება ისევ ლამზირაზე შევაჩერე, მისი ფაქიზი გული როგორ შეეგუება ამ ტკივილს? რწმენა, მხოლოდ რწმენა თუ გადაარჩენს. მაგრამ როგორ

ვთხოვო ბატონ ნუგზარს, გამაფრთხილა მხოლოდ ათი ადამიანი შევალთ, საჩუქარი გამზადებული გვაქვსო. ისევ ღმერთის ნებას მივენდე და... თხოვნით მივმართე ბატონ ნუგზარს, რომ ლამზირაც ჩაგვერთო ამ ათკაციან ჯგუფში. რა თქმა უნდა უარი არ უთქვია, მაგრამ სია უკვე გადაცემული მაქვს და პრობლემა აუცილებლად შეგვექმნებაო. რწმენით აღსავსე პიროვნებამ, ბატონმა ნუგზარიმ თქვა, იყოს ნება ღვთისაო. ასე გავემგზავრეთ 2019 წლის 2 იანვარს მე და ჩემი ლამზო რუსთავიდან თბილისისაკენ, საპატრიარქოში, პატრიარქთან შესახვედრად. გულში ვხარობდი, რომ ბედობის დღეს ერთი მადლი გავაკეთე.

მადლი საღმრთო ენერგიაა და იგი ადამიანში მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანაზიარებით ძლიერდება, გამომდინარე იქიდან, რომ ეკლესია უფლის მისტიკურ სხეულს წარმოადგენს (ეპისკოპოსი ზენონი).

მადლი სიბრალულისა დედაა, ყველა სხვა მადლსა, ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ (წმინდა ილია მართალი).

ერთი ადამიანი რომ გძულდეს, სასუფეველიდან შორს ხარ, – გიყვარდეს ყველა, ეცადე იპოვო სასუფეველი (მამა გაბრიელი).

სწორედ მამა გაბრიელის მადლით დავდივარ და ვცდილობ მიყვარდეს ყველა, ვპატიობდე და ვზრუნავდე სხვის საკეთილდღეოდ. უფალმა თქვა გულით მოითხოვე და მოგეცემაო. სწორედ გულით მინდოდა ლამზირა პატრიარქთან შემეყვანა და თხოვნა შემისრულა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ.

შევედით საპატრიარქოს რეზიდენციაში. წამიერად გულის სუნთქვაც კი შევაჩერეთ ბატონმა ნუგზარმა მთელი წლის ანგარიში სიტყვიერად მოახსენა და ახალი გაზეთი "ფაზისი" საჩუქრად გადასცა, უწმინდესმა გაუღიმა ბატონ ნუგზარს და მშვიდი ხმით მიმართა: რას აკეთებთ ფაზისელებიო. მოკრძალებით მოახსენა მთელი წლის მუშაობის შესახებ ბატონმა ნუგზარმა იქ მისული პიროვნებები წარუდგინა და მარინე კოლხიდაშვილს სთხოვა, რომ სიმღერა შეესრულებინა. ქალბატონი მარინეს ხმა სამრეკლო ზარების რეკვას წააგავდა, უწმინდესს სახეზე სიამოვნების სხივი დასთამაშებდა. ამის შემდეგ ჩემი პიროვნება წარუდგინა და მეც არ დავაყოვნე ჟურნალი "ათინათი" გადავშალე და... – უწმინდესო, მივმართე, აკადემიასთან არსებული ჟურნალი "ათინათი" წელიწადში ოთხჯერ გამოდის ყოველი ახალი ნომერი თქვენი სურათით და თქვენზე მიძღვნილი ლექსით იწყება. საქართველოში არ არსებობს არცერთი პოეტი თქვენ რომ ლექსს არ გიძღვნიდეთ, მაგრამ იმდენად მიყვარხართ, თქვენს სიყვარულს ვერავის ვუნაწილებ და მე გიძღვნით ახალ-ახალ ლექსებს, ჟურნალი გადავშალე და კითხვა დავიწყე.

შემდეგ ანთოლოგიის მეშვიდე ტომი ამოვიღე და კვლავ ახალი ლექსი წავუკითხე, მომეფერა, წიგნი ჟურნალებთან ერთად დავდე და ხელზე ვემთხვიე. ბატონმა ნუგზარმა ლამზირასაც მიმართა ხომ არაფერს წაიკითხავო, მანაც წაიკითხა უწმინდესისადმი მიძღვნილი ლექსი. საჩუქრად სანთლები დაგვირიგეს, უწმუნდესთან სურათი გადავიღეთ და ჩვენ რომ გამოვედით უწმინდესი იქვე იჯდა და მადლიანი თვალებით გვაცილებდა.

გარეთ გამოსვლისას ბატონმა ნუგზარმა ლამზირას მიმართა, უწმინდესმა თვითონ თქვა ნუგეშის მისაცემად იმ შაოსან დედას სიტყვა ათქმევინეთო. წამოვედით ღვთით, რწმენით აღვსილები და ბატონი ნუგზარ ნადარაიას მადლიერები.

ირინა ასათიანი

შეხვედრა საპატრიარქოში

დღე სასწაული

„...შეუძლებელია, საქართველო დაეცეს, რადგან იგი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ღვთისმშობელი მარიამი, სწორედაც, წყალობისა და მფარველობის კალთას გადააფარებს: ვაზის – ჩვენი უფლის, იესო ქრსიტეს სისხლის, ხორბლის – უფლის ხორცის სიმბოლო – სამშობლოს, საქართველოს“ – ეს შთაგონება უნდა ახსოვდეს ქართველ ერს.

წმინდა გიორგი, წმინდა ნინო, ვაზი და ხორბალი არის სიმბოლო ქართველი ერისა. ჩვენ მრავალი განსაცდელი გვინახავს წარსულშიც და დღესაც მრავალი გასაჭირი გვაქვს, მაგრამ მუდამ ჩაგვესმის იდუმალი ხმა უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი – „ნუ გეშინია, საქართველოვ, მე შენთან ვარ!“ – ეს სიტყვები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II აღმაშენებლის საკვირაო ქადაგებიდანაა.

„...ბოროტება არ ინკურნება ბოროტებით. ბოროტება ინკურნება მხოლოდ სიკეთით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ის არ დაუშვებს საქართველოს დაცემას და განადგურებას, – ასე მოძღვრავს ერის სულიერი მამა თავის სამწყსოს და ღვთითკურთხეული ქვეყნის სიყვარულს შთააგონებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, მამულისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ადამიანთა „ტაძრის“ – ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის საპატიო პრეზიდენტია და სამ ათეულ წელზე მეტია ილია II-აღმაშენებლადაა წოდებული.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას ინიციატივითა და თაოსნობით, მიმდინარე წლის 2 იანვარს – ბედობის დღეს, მოეწყო შეხვედრა ერის სულიერ წინამძღოლთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია II-აღმაშენებელთან.

მეტად ემოციური და ორმხრივად ამაღელვებელი აღმოჩნდა ეს შეხვედრა. საპატრიარქოში დილიდან შეიკრიბნენ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრები, აკადემიკოსები, ერის სასახელო და ღირსეული წარმომადგენლები, რომლებიც ათეულობით წლის განმავლობაში, წარმატებით იღვწოდნენ და ოქროს ასოებით წერდნენ ულამაზეს ფურცლებს ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების მატიანეში.

წილად მხვდა უდიდესი პატივი, ვყოფილიყავი ამ ადამიანთა შორის და მონაწილეობა მიმეღო შთამბეჭდავ შეხვედრაში...

საპატრიარქოს მდივან-რეფერენტი, ქალბატონი შორენა თეთრუაშვილი, ჩვეული გულთბილობითა და ორგანიზებულობით შეგვხვდა და მიგვიწივია სრულაიდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისაღებ ოთახში, სადაც წმინდა სინოდის სხდომები ტარდება.

...და, აი, ისიც, გამოაბრძანეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ერის ჯვართმტვირთველი და თავის სავარძელში დააბრძანეს.

ამაღელვებელი, უდიდესი ემოციები დაგვეუფლა, როცა ჩვენი ლიდერი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ნუგზარ ნადარაია, მუხლმოყრილი შეეგება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს... ცრემლებს ვერ ვმალავდით...

ეს ცრემლი იყო უდიდესი სიხარულის, სიყვარულის, ბედნიერების გამომხატველი, რადგან ჩვენ ერის სულიერი მამის, ილია II-აღმაშენებლის პირისპირ აღმოვჩნდით.

„– თქვენო უწმინდესობავ! – წარმოთქვა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, – ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია გულწრფელი სიყვარულითა და უდიდესი მოკრძალებით გილოცავთ ახალი 2019 წლის დადგომას და ქრისტეშობის დღესასწაულს, რომელიც რამდენიმე დღეში აღინიშნება. ასევე, გილოცავთ თქვენი დაბადების 86 წლისა და აღსაყდრებიდან 41 წლის იუბილეს“.

შემდეგ, ბატონმა ნუზგარ ნადარაიამ, წაიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილი, პოეტი-აკადემიკოსების ლექსების კოლაჟი.

– „როგორაა საქმე აკადემიაში?“ – იკითხა მისმა უწმინდესობამ.

– „თქვენო უდიდებულესობავ! გულწრფელად მოგახსენებთ, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია კვლავაც აქტიურად მოქმედებს და ზრუნავს!“ – აღნიშნა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ. „სისტემატურად ვატარებთ სხდომებს. ღვთის წყალობითა და შეწევნით, თქვენი ლოცვა-კურთხევით, არც ერთი სესია არა გვაქვს გაცდენილი. ვიკრიბებით, ვიხილავთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მოხსენებებით გამოდიან აკადემიის ნამდვილი წევრები. ვეხმიანებით საიუბილეო თარიღებს, ასევე, კარგად მიდის აკადემიაში წვერად მიღების საკითხიც.

– უწმიდესო! ახლახან აღვადგინეთ და გამოვეცით აკადემიის გაზეთი, „ფაზისი“, რომელიც თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ გაზეთის გამოცემა მომავალშიც გაგრძელდება. გვინდა, საჩუქრად გადმოგცეთ გაზეთის საახალწლო ნომრის რამდენიმე ეგზემპლარი.

— თქვენო უწმინდესობავ! ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიამ გადაწყვიტა, „საახალწლოდ თქვენთვის მოერთმია მოკრძალებული საჩუქარი“ – და ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ ერის ძლიერ წინამძღოლს, გადასცა მაცხოვრის ხატი, რომელიც ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრის, ხატმწერის, თორნიკე ფოჩხუას მიერ, საგანგებოდ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის უანგაროდ იქნა შესრულებული. უწმიდესსა და უნეტარესს, ასევე, გადაეცა აკადემიის მიერ გასულ წლებში განხორციელებული შეხვედრების ამსახველი ფოტო-კოლაჟი, სადაც მთავარ პერსონად მისი უდიდებულესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გვევლინება.

პატრიარქის საპატივცემულოდ, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ქალბატონმა მარინა კოკხიდაშვილმა ფანდურზე შეასრულა რამდენიმე სიმღერა: „პოპური“ და „კოლხური ნანა“.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტმა, ჟურნალ „ათინათის“ მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა ქალბატონმა, გულნაზ ხარაიშვილმა, წაიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილი, აკროსტიხად აწყობილი რამდენიმე ლექსი და პატრიარქს საჩუქრად გადასცა ჟურნალი „ათინათი“ და „ანთოლოგიის“ მეშვიდე ტომი.

...მოხდა საოცარი რამ! პატრიარქმა თავადვე გამოთქვა სურვილი, აკადემიის ნამდვილ წევრს, შვილმკვდარ დედას – ქალბატონ ლამზირა შეყილაძეს, ნუგეშის ნიშნად, საკუთარი ლექსი წაეკითხა. ეს იყო ნამდვილი სასწაული ნუგეშისცემისა და დედა-შვილობის უკვდავების გამოვლინების კიდევ ერთი დადასტურებისა, რომლის ინიციატორი გახდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

შეხვედრის დასასრულს, ყველა ჩვენთაგანმა მუხლი მოვიყარეთ ერის სულიერი მამის წინაშე, ხელზე ვეამბორეთ. ყველა მათგანი დაგვლოცა და წარმატებები გვისურვა. ეს მუხლმოდრეკა ერის წინაშე გაღებული ღვაწლის დაფასებისა და მადლიერების გამოხატულება იყო.

ამ ბედნიერ ადამიანებთან ერთად იყვნენ ბატონი ნუგზარ ნადარაიას ოჯახის წევრები, მათ შორის, პატრიარქის, ნათლული ნინო ნადარაია, რომელსაც სულ მალე, 27 მარტს, 7 წელი შეუსრულდება.

...უკან დაბრუნებისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-აღმაშენებლისადმი გაასკეცებული სიყვარული და პატივისცემა გამოგვყვა, მისი ხელებისა და გულის სითბო... თაყვანისცემა მის მიერ ერის სულიერი ამაღლების საქმეში მრავალწლოვანი დამსახურებისათვის.

გამოვედით საპატრიარქოდან ამაღლებული განწყობით, ბედნეირნი, მადლიერნი. გულში ჩახუტებული მოგვქონდა ის წმინდა სანთლები, ქალბატონმა შორენა თეთრუაშვილმა რომ გადმოგვცა გამომშვიდობებისას, დასტურად მართლმადიდებლობის მარადისობისა.

2 იანვარი ჩვენთვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა, ღრმადმორწმუნე ადამიანმა, ღვთისმსახურმა, პატრიარქის შვილობილმა, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, შეხვედრის რამდენიმე მონაწილეს: ამ სტატიის ავტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრებს, ქალბატონებს – გულნაზ ხარაიშვილსა და მარინა კოლხიდაშვილს, საჩუქრად გადმოგვცა ისტორიული შეხვედრების ამსახველი ფოტო-კოლაჟები.

...ჩემს ოთახში უამრავი წმინდა ხატია დავანებული, სადაც ყოველ დილით, სანთელს ვანთებ და ვლოცულობ. ამიერიდან, წმინდა ხატების გვერდით, ეს ძვირფასი საჩუქარიც იქნება დაბრძანებული, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ბატონ ნუგზარ ნადარაიას...

მართლმადიდებელი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ 4 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, ილია II-აღმაშენებელს, დაბადებიდან 86 წელი შეუსრულდა 25 დეკემბერს კი, მისი უწმიდესობის აღსაყდრებიდან, 41 წელი აღვნიშნეთ.

კიდევ ერთხელ, ღრმა პატივისცემით ვულოცავთ ერის სულიერ წინამძღოლს ღირსშესანიშნავ თარიღებს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დღეგრძელობას, რამეთუ, დიდხანს გვესმოდეს მისი დამოძღვრა, ლოცვა-კურთხევა:

„ო, ღმერთო ჩემო, ერთარსო და განუყოფელო, დიდება და მადლობა შენდა, ღვთივკურთხეულო, მამულო ჩვენო საქართველო, უდაბნოსა შინა ყვავილო დაუჭკნობელო, ტაძარო სამებისაო, კლიტეო დავითისაო, მახვილო მესიისაო, ადიდე ღმერთი და იხარე მარად!“

უფალს შევავედროთ ქვეყნისა და ერის ჯვართმტვირთველის დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა!

ამინ!

ირინა ასათიანი,
ჟურნალისტი, ფაზისის საერო-სამეცნიერო
აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

. სხვადასხვა თვალით დანახული შთაბეჭდილებები .

რევაზ მიშველაძე

14 თებერვალი
(ამონაწერი დღიურიდან)

გულნაზ ხარაიშვილს ვახლდი საჩხერეში.

ახალგაზრდობის სასახლეში შეხვდნენ პოეტს და რედაქტორს მადლიერი მკითხველები.

ჯერ იყო და პირთამდე სავსე დარბაზმა მომხიბლა, მერე იმ ყურადღებამ რა ყურადღებითაც მშობლიური რაიონი ქალბატონი გულნაზის შემოქმედებას მოჰკიდებია.

იდგნენ სცენაზე პირველი კლასიდან დაწყებული მეთორმეტე კლასით დამთავრებული ულამაზესი მოსწავლეები და შეუმცდარი ინტონაციით, სიყვარულჩაქსოვით ამბობდნენ ქალბატონი გულნაზის ლექსებს.

მასწავლებელ ნუნუ გოგოლიძეს ცდა არ დაუკლია რომ შემოქმედებითი საღამო ლაზათიანი გამოსულიყო.

ბოლოს თემურ გოქსაძემ მოგვხიბლა თავისი მრავალმხრივი ნიჭით.

ამ შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ჭეშმარიტი ქართული ლექსის მიმართ ყურადღება არ შენელებულა

რეზო ადამია

პოეტთან შეხვედრა დღესასწაული

2019 წლის 14 თებერვალია, დღეს პოეტთან ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, მითოლოგიური საჩხერის პოეზიის გულშემატკივარნი უწყობენ მონატრებულ საპატიო შეხვედრას ვარსკვლავეთამდე გამავალი საჩხერე პოეტების სამშობლო აკვანი. დილის თორმეტის ნახევარია და თბილისიდან გავედით მერსედესის მარკის შვიდადგილიანი მანქანით ჩვენთან ერთად მობრძანდება ტკბილ მოუბარი, მსოფლიოში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურიატი და ნობელის პრემიის ნომინანტი, ბატონი რევაზ მიშველაძე, ფოლადივით უმტკიცესი სიმართლის მთქმელი... ამინდი ნორმალურია. მოლოდინის ემოციებით ვმგზავრობთ. ქალბატონი გულნაზი მზრუნველად გვექცევა ყველას. წმიდა სამართლიანად დროულად შევარქვი „ყველას დედიკო“. მართლაც იშვიათი ბუნების სიყვარულის და ზნეობის ადამიანია სახალხო ბულბული პოეტი. ჩვენთან ერთად მობრძანდებიან დიდებული პოეტი ქალბატონები ლამზირა შეყილაძე ბუნების უმძიმესი მოვლენებით გაწამებული. მკურნალი ექიმი და პოეზიაზე გადაწნული ლეილა გაფრინდაშვილი. სალონის უკან სამი მამაკაცი ზურგს ვუმაგრებთ ამ ჯანსაღ ჯგუფს, გიორგი ბეჟიტაშვილი, უნივერსიტეტის პროფესორი ნიჭიერი მეცნიერი და უაღრესად სულიერად სიღრმისეული პიროვნება. ჩვენს შუა მჯდომი, ყოველთვის ხალისი, კეთილმოსაბრე კინორეჟისორი – ოპერატორი და ცნობილი პოეტი ნიკო (ნიკოლოზ) ბაღაშვილი. შემდეგ გაირკვა ჩვენი ექსპედიციის მძღოლი, ერთდროს მოცეკვავე ყოფილა. როგორც სამართლიანად დაგიხასიათეთ, შესანიშნავი შემოქმედებითი ინტელიგენცია აცილებს და ეფერება ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს. მთავარი გზიდან მარჯვნივ გორთან ახლოს გადავუხვიეთ ზემო იმერეთის უფრო საჩხერის გზის, მერმე ვიარეთ საკმაოდ და დაიწყო ულამაზესი პეიზაჟების სერიალი თავისი გადამუდმივებული მთებით მომღიმარი გორაკებით, სადაც შეფენილია უაღრესად მხატვრული ფერ-ფორმის ულამაზესი სოფლები მოვლილი და მომხიბვლელი ეზოებით. გულღიად შეტრფი ამ

საოცარ ბუნებას და მასულდგმულებელ ფიქრებში იძირები. ჩვეულებრივ ვიარეთ მიხვეულ-მოხვეული გზები, ამწევ-დამწევი განწყობილებით და შორს ცის დასალიერში თეთრ ბაშლაყიანი კავკასიონი მოიხატა და გიგანტის ქვედა ცისფერ კალთაზე მიხუტებული მოდინახეს მთა თავისი ისტორიული მიწის ქვეშა და ზედაპირზე არსებული სანახაობიანი ჩვენს წინ ახმიანდა, საჩხერის ფერწერულ სურათებად აღიბეჭდა და შინაგან საამო ფიქრებში მტრედისფრად აყვა. თითქოს ირგვლივ აკაკის ხმა მესმის ტკბილი მაცოცხლებელი. აჰა, ნისლად ქცეული პოეტი ია-იასფრად მოფენია მშობლიურ საჩხერეს, როგორ ჰგავს ადგილობრივი ხატული ლირიკულ-მუსიკალური ბუნება აკაკის გენიას და თავად პოეტი მთლიანი სახეა ამ ღვთივკურთხეული კუთხისა. ხალხი და მთლიანი საზოგადოება ეს-ესაა ჭეშმარიტად გრძნობ, რომ აკაკისეულ გენიალოგიად ფორმირ-დება, როგორი უმწიკვლო ხელოვნება ჩაუსახია აქ უფალს, ალბათ ჩვენთვის უხილავად აქვე ისვენებს ხოლმე უზენაესი... ამდაგვარ სავანეში იშვა დიდი მუხრან მაჭავარიანი, შეუდარებელი ფორმის და სტილის მგოსანი. აგრეთვე აღმტკინებულ განთიადს ამოყოლილი პაოლო იაშვილი. თავს ვიკავებ იმ მრავალთაგანის ღირსეული შვილების ჩამოთვლაზე, რომელნიც შვა და აღზარდა აქაურთა ღვთივკურთხეულმა ბუნება-გარემომ.

უზომო სიამაყე და დაფასებაა მგოსნისათვის ასეთი კუთხე-ქვეყანა რომ მოგეფერება და ეს ყოველმხრივ დაიმსახურა თავის მშობლიურ ხალხში გულნაზ ხარაიშვილმა ყველაფერ ამაზე ვფიქრობ და ვივსები თითქოსდა უცხო სიყვარულით და კეთილადამიანური სიამაყით ამ დროს გადავხედე ჩვენს პოეტ ქალბატონს და მისეული განცდებიდან გამომდინარე ოდნავ დაღლილი, მორჩილ შინაურ მტრედს დამსგავსებოდა. ამდაგვარია, მეგობრებო, ნამდვილი ღვთიური სულის ადამიანები.

გზა ილევა და ვუახლოვდებით მოდინახეს მთის მიდამოებს და ისევ იმძლავრა ჩემში მრავალ ფერ-ფორმიანმა ფიქრებმა. ცოცხალ კადრებად მომაგონდა ათას ცხრაას ოთხმოციანი წლები, არქეოლოგმა ჯურხა შალვას-ძე ნადირაძემ, გათხრებზე მხატვრად რომ მიმიწვია, იმ წლებში ხელოვნების მუზეუმში ვმუშაობდი მხატვარ რესტავრატორად ბატონ შალვა იასონის-ძე ამირანაშვილთან. ეს იყო ჩემთვის მარად დაუვიწყარი წლები. მიმდინარეობის გათხრები, მუშები გვყავს საკმაოდ პროფესიონალები. ხდება საკვირველება, მიწის კულტურული საფარი-ფენა გაიხსნა და გვეცხადება ათასწლოვანი სამარხი, უცნობი დიდებულისა, თავისი კოლხური უტყუარი ცივილიზაციის უკვე უნიკალური მარადიული ექსპონატებით. მათი ჩამოთვლა ამ შემთხვევაში ძალიან ძნელია. ისევ საამო ფიქრები და მახსენდება მორიგი სამარხის აღწერილობა. ადამიანის ჩონჩხის (მდედრობითი სქესის) ირგვლივ თანმიმდევრულად განლაგებული თითქმის გაშავებული სხვადასხვა ფორმის და ზომის კოლხური კერამიკული წარმოების ქოთნები, ერთ-ერთ ჭურჭელში აღმოჩნდა საოცრება – ჩვეულებრივი ლობიო იყო შენახული შედარებით წვრილი მარცვლებით. შესაძლებელია დრომ და მიწის ქვეშ ყოფნამ დააპატარავა. წარმოიდგინეთ ფერიც ქონდა შენარჩუნებული, მუქი შავამდე მისული შინდისფერი. აგრეთვე ვპოულობდით სხვადასხვა სახის, ფერის და ფორმის მარცვლეულებს, რომელთა გამოცნობა მეცნიერებსაც გაუჭირდებათ, მაგრამ სწავლულებს აქვს უდიდესი საფუძველი, რათა საირხეში ნაპოვნ ოქროს გულსაკიდები მრავალი, სიმინდის ფორმის ჭედურობითაა შემკული. პლუტარქეს ნაწერებით მტკიცდება და ცოცხლდება, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით კოლხეთის ბუნებაზე და მის უმდიდრეს მცენარე-ფაუნაზე, უხსოვარ დროინდელი პლანეტის უპირველესი ბუნებრივი სიმდიდრის საჩუქარი კოსმოსისგან, მცირე აზიის და სამხრეთ აღმოსავლეთის ქვეყნებმა მიიღო, რისი ყველაზე უტყუარი მტკიცებულებანი არქეოლოგიურ ნიმუშებშია და არა ქარისგან გადატანილი მობერილი ფუყე მეცნიერებით...

დღეს ორ უდიდეს სამყაროს ვეწვიეთ, მიწისქვეშა საოცრება კოლხურ იდუმალებას და აკაკი წერეთლის ხალას გულგახსნილ იმერეთს, უდიადეს საჩხერეს: განა გენიალურად არ ბრძანა მოვლენა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ, თავის შედევრ – რომან „გველის პერანგში“ მომყავს რასის ნატეხის შეუდარებელი ფრაგმენტი: „იმერთა რასსიული დახვეწილობა და სიდარბაისლე (რომელიც ედავება ყველა რასებს). აქ, სინამდვილის ფარდა გაიხსნა სამარადისოდ...

მშვიდობით ჩავედით საჩხერეში, გავდივართ ცენტრისკენ და ჩვენი მანქანა კულტურის სახლის წინ ჩერდება. მონაბერი ნიავივით ხალხთა შეხვედრა იყო უნაკლო სულიერი და კეთილ-მოფერებითი სიხარული. მიგვიძღვებიან შესანიშნავ დარბაზში ხალხს თბილად ვესალმებით, ტაშით გვხდებიან და განწყობილება საარაკოდ ამაღლდა სცენა ხალასი, ყვავილებით შემკული მარჯვნივ ქალბატონი გულნაზის მიერ ნაჩუქარი ანთოლოგიები და ჟურნალი „ათინათის“

სხვადასხვა წლების ნომრები აწყვია რომელიც პოეტმა ადგილობრივ ბიბლიოთეკას უსახსოვრა. ისევ თაიგულები და სიყვარულით სავსე ადამიანები. ამ უბედრიერეს შემთხვევაში ნორმალური ადამიანი ბედნიერი ხდება და რაღაც ძნელად ამოსახსნელ ამაღლებასა გრძნობ. მთლიანად ჩვენი ჯგუფი ამ უმთლიანესი განწყობილებით ვიყავით გაჟღენთილი და ყოველივე კეთილის მყოფელი სხივი თუ ტალღა, როგორც მასპინძლებისგან, ასევე ქალბატონ გულნაზისგან გვეწოდებოდა, რა თქმა უნდა, ჩვენც ღირსეული მიმღებ-აღმქმელი უხილავი სულის მეგობრული თასი ვიყავით. ქართული პოეზიის საღამო შეხვედრა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილთან საზეიმოდ გახსნა შეუდარებელმა ორატორმა და დიდმა მწერალმა რევაზ მიშველაძემ, გულღიად ისაუბრა პოეტის სიდიადე, სიკეთე სიყვარული სათნოება და დაუღალავ საზოგადო მოღვაწეობაზე: სასიქადულო მწერლის შემდგომ ადგილობივი გამომსვლელების და უნიჭიერესი მოზარდებთან თუ ბრწყინვალე ახალგაზრდებთან ერთად პარალელურად მომხიბვლელი მუსიკალური დადგმები ასევე სხარტმა ქართულმა ცეკვებმა დაგვამშვენა. მათი სითბო სიყვარული და კეთილი განწყობა მხოლოდ სივრცეში თავისუფლად შეიძლება დატეულიყო. დღევანდელი ამ შემოქმედებითი მთლიანობის სულის ჩამდგემლი გახლდათ საჩხერელი პედაგოგი, ქალბატონი ნუნუ გოგოლაძე. ამდაგვარი სანიმუშო სიყვარულ-სიკეთით გამთბარი სცენის სიდარბაისელ და გრიგოლ რობაქიძისეული რასის დახვეწილობა დააგვირგვინა საქართველოს დამსახურებულმა იურისტმა უდრეკმა პატრიოტმა და საზოგადო მოღვაწემ ბატონმა თემურ გოქსაძემ, უთუოდ გამომსვლელის საამო მჭექარე ბგერათა და აზრთა შინაარსიანმა ხმამ შორეულ ვარსკვლავეთამდეც აახწია. ბოლოს საოცრება დღევანდელობის ნებისმიერ იუბილარზე ბევრად ამაღლებული და განსხვავებული პიროვნება სულგონიერი ხელოვანის გამოსვლა ქალბატონ გულნაზისა გახლდათ მრავალმხრივ მოზომილი, სითბო სიყვარულ ბედნიერება უმშვენიერესი პოეტისაგან, დართულ ანდამატური სიამაყით მოეფინა მოზეიმეთა გარემოს და დასასრულს წარმოუდგენელი სანახაობით ნასიამოვნები სტუმარმასპინძელი, ეკლესიური ლოცვითი ღიმილით ეთხოვებოდა ურთიერთს და ბედნიერნი ტოვებდნენ იქაურობას. მე ამ შემთხვევაში, მეგობარო მკითხველო, პოეზიის ანგელოზის შთაბეჭდილებებს ვეყრდნობი შემდგომ საჩხერის ერთ-ერთ კეთილშობილურ ოჯახში გადავინაცვლეთ და არნახული სუფრა და უიშვიათესი მასპინძლობა გვეზიარა, უსათუოდ აკაკი წერეთლის დიდ პოეზიასაც რომ დაამშვენებდა.

სამწუხაროდ მრავალ მიზეზთა გამო, ბოლომდე ვერ დავრჩით და ძალაუნებურად გავბზარეთ ნათელი გარემო, ვერ ვასიამოვნეთ ჩვენზე გადაგებული სულით მაღალი ოჯახი და მაცხოვარ აკაკისეული სიწმინდის ადამიანური გაუმართლებელმა სიფრთხილემ დაგვარღვევია საუკუნოვანი ქართული სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტის ხელუხლებელი ტრადიცია კანონები. სინანულად დროის დეფიციტმა და შორს გასავლელმა გზის მდგომარეობამ დაგვძლია და ქალბატონ გულნაზის ლმობიერებამაც...

იმედი მაქვს ჩვენს ირგვლივ არსებულ ჭეშმარიტ გაგებაში მუქი ლაქები არ შეიჭრება, რათა ურთიერთსიყვარულს, მეგობრობის ნაღდ ხელოვნებას უნდა ახლდეს მაცხოვრისეული სიმართლე...

გულწრველად გეტყვით, პირადად იშვიათად მინახია ნათელი, უახლოესი, მშობლიური სიმდიდრით დატვირთული ქართული საერო-სამრევლო ტრაპეზი და კეთილ მლოცველნი, სანატრელ შინაურნი. საღამოს შინისკენ რომ ვბრუნდებოდით, ისევ ფიქრები შემეყარა სამართლიანი, საქართველო არ გადაშენდება არასოდეს სანამ ზეციურ-ეროვნული ხელოვნების გული ფეთქავს ღვთიური ნიჭით სავსე. ასეთი ხალხი მარადიულია და ამინ.

2019 წ. თებერვალი
საჩხერე-თბილისი

ანზორ ჯაფარიძე

აღსარება

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№25-30-სა
და ანთოლოგიის მე-6,7 ტომებში

***

ძვირფასო მკითხველო, რომ არ დაგღალოთ და აღსარების თხრობა არ გაგიუბრალოოთ, მოკლედ გეტყვით – ბანკებთან ურთიერთობის საკითხს გადავაყოლეთ მთელი ჩვენი ენერგია და 2 წლის შემდეგღა გატყდა ნავსი: - ინგლისელების ბანკმა – I ბრიტანულმა ბანკმა მიიტანა გულთან ჩვენი გასაჭირი, უფრო სწორად, მათ ირწმუნეს, რომ ჩვენ გამკეთებლები, ამშენებლები და პირობის შემსრულებლები ვიყავით – ქართულ და არაქართულ ბანკებს თითქმის ყველას მივმართეთ – ბანკიდან – ბანკში გადადიოდა ჩვენი დოკუმენტაცია – მოდიოდნენ, აღფრთოვანებული იყვნენ ჩვენი შესაძლებლობებით, გადახდისუნარითაც კი – მაგრამ მშენებლობის ვადებზე ეპარებოდათ ეჭვი – მახსოვს პროკრედიტბანკის ოფიცერი გამაყოლეს თელავიდან ჩვენი მეურნეობის გაცნობის მიზნით. თელავში სათაო ბანკის ფილიალის თანამშრომელი დაგვხვდა, ვაჩვენე ფერმა – საქონლით არის გავსებული 420 კვ მეტრიანი შენობა, ვაჩვენე მარანი 80 ტონიანი, ვაჩვენე 20 ჰა სახნავ-სათესი ადგილები, ბიბინებს ჯეჯილი, ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, სიმინდი და ვენახებში რომ შევედით, ჩემი ფაზენდის აივნიდან გადაყურებენ ზვრებს, რეკავენ თბილისში უფროსებთან “ევრიკა” მსგავსი არაფერი გვინახავსო. თელაველი ბანკირი სოფლის მეურნეობის პროფილით იყო მოვლენილი, ასეთი მოვლილი და მაღალ სტილში გაშენებული ვენახი არ გვინახიაო – ჩამოვედით – დაიწყო განხილვა – გაიარა ყოველგვარი ინსტანცია და აი, მიადგა სამშენებლო ვადებს. კომისიაში მოიყვანეს მშენებლობის ექსპერტი და სასტიკი უარი – ჩვენ ვაცხადებდით, რომ ერთ წელიწადში შევიყვანდით სტუმარს, მათ გაფარჩხეს ფეხები და უარი გვითხრეს – ამას თქვენ 2 წელიწადშიაც ვერ მორჩებითო – ფაქტობრივად ჩვენ 8 თვეში დავამთავრეთ მშენებლობა და სტუმარიც მივიღეთ, თან ომის დროს. ეს ყოფილა თურმე როგორც მშენებლებმა მითხრეს, რეკორდი მშენებლობის ისტორიაში. – მე ბანკებს ვუმტკიცებდი, მშენებლობის დაჩქარების სათანადო გამოცდილება მაქვს და ვიცი რასაც ვამბობმეთქი, საქწიგნში მუშაობის დროს 1986-იან წლებში საშვიდნოემბროდ უნდა გახსნილიყო ვარკეთილის ახლად გაშენებულ მასივში 5 გიგანტური წიგნის მაღაზია საქწიგნის ხელმძღვანელობამ ზედამხედველობა და მშენებლობის დაჩქარება მე დამავალა, გამოცდილი ხელმძღვანელი ხარ და იქნებ შენ გვიშველო, მახსოვს მაშინ, პატიაშვილი იყო პირველი მდივანი, დღე და ღამე ვმუშაობდი, ერთ წუთს არ ვასვენებდი მშენებლებს, 7 ნოემბერს თვითონ ჯუმბერ პატიაშვილი მობრძანდა გახსნაზე – პირველ მაღაზიაში, რომ მოვიდოდა და ხელს ჩამოგვართმევდა სანამ ის გახსნის ცერემონიალს დაამთავრებდა, მე მეორე მაღაზიაში მივრბოდი შესასვლელში დარჩენილ ფილებს ვაგებდი და ასე შემდეგ, აქ კი უგულო-უსულო მევახშეები, ხალხის სულის ამომხდელები სხედან, არავითარი ალაბთობა, რისკზე არ მიდიან უნდათ მზამზარეული, დაღეჭილი გარანტირებული, უმაღლეს პროცენტებში გათვლილი მუქთა ფული, სულს გვხდიან, მადლი აღარ აქვს ამ კრედიტებს და ქვეწარმავლისაგან მონუსხული კურდღლებივით ვკანკალებთ – როდის გადაგვყლაპავენ, ჩემო მკითხველო.

გთხოვთ, არ გაყოთ მათ ყულფში თავი, არავის არ ვუსურვებ ბანკის ვალს. კიდევ შეგახსენებთ განვლილ ეპოპეას.

ბანკიდან ბანკში სირბილმა მთელი ორი წელი შეიწირა და როგორც იქნა დაგვიმტკიცეს 450000$ 2008 წლის აპრილია – სიყვარულის დღე დაემთხვა – გადაწყდა, სამშაბათია – დემონტაჟი დაიწყო 9 კაცით, სასწაულ ტემპში მიმდინარეობს – დღეს გამოგვაქვს ფულიც და სამშენებლო კომპანია “გალას” – დირექტორს გიორგის გადავცემთ რკინის, ცემენტის და სხვადასხვა მასალე-

ბის შესაძენად, სოფლიდანაც მოგვაშველეს 20 000 დოლარი, ყველა ძალებს ვრთავთ, ტემპის ასაღებად. (იძულებული გავხდით ფერმა გავყიდეთ).

დღიურიდან

18.04.08 დღეს კარგად იმიუშავეს ბიჭებმა, მაგრამ თავზე დაგვადგა ქალაქის ზედამხედველობის სამსახური, თურმე დემონტაჟი რომ მოახდინო რაიმესი, ნებართვა უნდა გქონდეს, ჩვენ ეს ვერ გავითვალისწინეთ.

23.04.08 – ვიმყოფები სოფელში და ღვთაების ეკლესიის შესასვლელში ვაშენებ ორ სვეტს მაღალს ჯვრებით დაბოლოებულს, ვკიდებთ ულამაზეს ჯვრებში ჩამჯდარ კარებებს- ღმერთო, გვიშველე, ეს შეთქმული მქონდა.

03.05.08 – დემონტაჟი დამთავრებულია, ადგილი 450 კვ მეტრი გასუფთავებულია ვიწყებთ მიწის სამუშაოებს, 8 საათზე დაიწყეს,. მოვიყვანეთ იაპონური ტრაქტორი, ძალიან ძლიერი და სწრაფი – 8 კამაზი მუშაობს 71 რეისი გაიტანეს პირველ დღეს 665 კუბური მეტრი, მეორე დღეს 87 კამაზი გაიტანეს საბოლოოდ 400 რეისამდე მიწა გავიტანეთ და 18000 ლარამდე დაჯდა ეს სამუშაოები 4,5 მეტრზე ჩავდიოდით სიღრმეს, უფრო ქვევით უკვე წყლის ბალიში აღმოჩნდა და აქ გავჩერდით. დაიწყო მაისის წვიმები და დაიწყო ამოღებული ქვაბულის კედლებმა ნგრევა, ჩამოგვენგრა თამაზ ოდიშვილის ღობის კედელი, რამაც უდიდესი ნერვიულობა მოგვიტანა, ჯერ ისედაც დაძაბული ურთიერთობა გვქონდა და ახლა მთლად დაიძაბა, იძულებული გავხდი, ჩემი სტუდენტობის მეგობარი გივი ქურდიანი ჩამერია – ეს კარგად იცნობდა მომჩივანს, ბოლოს გივიმ მოგვარიგა 18 000 დოლარის მიწა დავუთმე, კედელი აღუდგინე, ფილები დავუგე ეზოში და დაბრიზგვა, შეღებვაც კი გავაკეთე – ასე დავშორდით უბედურს. ოთხივე მხრიდან დაიწყო მიწამ დაშლა წვიმები ხელს უწყობს ნგრევას, აღარ ვიცით რაღა ვქნათ დღე და ღამეს ვასწორებ, ტემპი რომ დავაჩქაროთ, დავიწყეთ იატაკის მოსწორება. დაგვჭირდა დამტვრეული ქვის "ხრეშის" 18 კამაზის შემოტანა ტრაქტორი ჩავსვით ამწე-კრანით ძირის მოსასწორებლად, ვმუშაობთ ხელითაც, უნდა გავიხსენოთ ერთი მძიმე მომენტი 450 კვ მეტრი ფართობზე 4 მეტრის სიმაღლის ფიცრის "აპალოვკას" ვაკეთებთ მთლიან გარშემოწერილობაზე – პრარაბი გვყავს, გამოცდილი, რუსეთში ნამუშევარი, როკის გვირაბის მშენებლობის ყოფილი უფროსი, ბატონი გივი ნიკოლაიშვილი ცდილობს ყველანაირად დაიზღვიოს თავი შეცდომებისაგან, მე ვჩქარობ და სულ ვბუზღუნებ ტემპი არ მომწონს-თქო და აი ერთ დღეს დგას "აპალოვკის" 30 მეტრის სიგრძის კედელთან 15 კაცი, უნდათ გაასწორონ და გაამაგრონ საბოლოოდ, მე მაღლა ვდგევარ და რას ვხედავ, უცბად როგორც ზღვის ტალღებმა, ისე დაიწყო დაგრეხვა ამხელა ფიცრის მასამ, (ალბათ 8-10 ტონა მაინც იქნებოდა) წამოვიდა მუშებისაკენ – ერთი კი მოვასწარი, ვუყვირე, გაერიდეთთქო, წამებში გაასწრეს. მხოლოდ პრარაბს ბატონ გივის წამოარტყა თეძოზე – გაგვაცივა – ადვილი შესაძლებელი იყო ყველანი ჩიტებივით გაესრისა, რომ ვერ გაესწროთ, ღმერთმა გადაგვარჩინა – რამდენი საფრთხე, რამდენი განსაცდელი, რამდენი ნერვიულობა დასჭირდა ეს ჩემი ბავშვობის ოცნება რომ განმეხორციელებინა, ჩვენ ხომ იმ დღიდან, რაც რესტორანი არსებობს, სახლში სტუმარი არ მიგვიღია, ფაქტიურად საჭმელსაც არ ვაკეთებდით სახლში, ყველაფერი რესტორანში ხდება ცივილური მეთოდით. გული მწყდება ძვირფასო მკითხველო ჩემს ყოველდღიურ ჩანაწერებს რომ ვერ წარმოგიდგენთ, 5 საერთო რვეულით, თუ რა გადაგვხდა, დენის პრობლემასთან დაკავშირებით, რა გადაგვხდა გზის პრობლემასთან დაკავშირებით, წყლის პრობლემასთან და თითოეულ ნაბიჯზე ბიუროკრატიულ აპარატებთან ნერვების წყვეტაში და აი 15 აპრილს დაწყებული მშენებლობა დეკემბრის თვეში უკვე დამთავრებულია, იანვარში უკვე ვხსნით და სტუმარს ვიღებთ. გარეგნული იერი – ფორმა სასწაულად ჩაჯდა ამ ქუჩის კუთხის ჭრილში და შიგნით განუმეორებელი სილამაზეა, ისევ ის პატარა საქართველო იწყება "სამცხე-საათაბაგოთი" – "აჭარა" – "იმერეთი", - "სამეგრელო-აფხზეთი" "რაჭა-ლეჩხუმი" – "ქართლ-კახეთი" 300 კაციანი დარბაზი – დიდი მსუბუქი კონსტრუქციით გადახურული ეზო, ეთნოგრაფიული კუთხე ტაო-კლარჯეთი 7-8 მაგიდა, განუმეორებელი სილამაზეა.

მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, ზემოთაც აღვნიშნე, კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო, დრონი მეფობენ და არა მეფენიო – 2006 წელში, როდესაც მე ეს იდეა ჩამიჯდა ტვინში, რკინა, 1 ტონა 560 დოლარი ღირდა, ხე მასალა 150 ლარი ღირდა 1 კუბომეტრი, ცემენტი 5 ლარი ერთი ტომარა – და სხვა. მშენებლობა რომ დავიწყეთ 1 ტ. რკინა 1750 დოლარი გახდა, ხე-მასალა – 400 ლარი, 1 კუბომეტრი – ერთი ტომარა ცემენტი 12 ლარი – ასევე გაორმაგდა, გასამმაგდა აგური, ბლოკი და

თითქმის ყველა სამშენებლო მასალა, 150 დოლარს რომ ვანგარიშობდით მშენებლობას 1 კვ მეტრ ფართზე 250-300 დოლარზე ავარდა, აი აქ დაიწყო ჩვენი დაწყებული საქმის კრახი – უკვე დახარჯული გვაქვს ჩვენი თუ რაიმე გაგვაჩნდა, დავიწყე სოფელში მანქანების და თუ რაიმე გაგვაჩნდა გაყიდვა, ყველაფერს ვყიდი, ოჯახში თუ რამ გვქონდა, ყველაფერს ვწირავდით, მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ეკონომიურობისა ნახევარ გზაზე ამოგვეწურა კრედიტი 450 000$, სულს ვღაფავთ, დაიწყო ომი, დაიწყო კრიზისი, ხალხი პანიკაშია, დაიწყო პოლიტიკური დაძაბულობა, მოვექეცით ჩიხში, რამდენჯერ მიფიქრია ხომ არ გავყიდოთ ხომ არ გავიმეტოთ ჩვენი ამდენი ნაწვალები და ნალოლიავები ობიექტი, ოჯახი მტკიცედ გაიძახის არავითარ შემთხვევაში, მტკიცედ აცხადებს უნდა შევინარჩუნოთ და როგორ, არ ვიცით, შენობის დაუმთავრებლობა კრახია, თუ დავამთავრებთ კიდევ რაღაც იმედის შუქი მოსჩანს, იდეალური პირობები იქმნება სტუმრის მისაღებად, საუკეთესო თანამედროვე სამზარეულო- საუკეთესო მენიუ და საუკეთესო პროდუქტები, ნატურალური 80% - სამამულო ჩვენი "ანცი"-ს პროდუქტი. რა ვქნათ სად ვიშოვნოთ ფული, ვეძებთ კერძო სესხებს ზოგი პროცენტიანი ვალი ავიღეთ, კერძოებისგან ზოგი ღმერთმა უშველოთ წამოგვეშველა და რის პროცენტი, რა პროცენტი ძმა ხარ და ვალდებული ვარ გვერდში ამოგიდგეთო. მე მომიკვდა ისეთი მეგობარიც, რომელმაც 30 000 დოლარი მასესხა და ისე გარდაიცვალა, მე არ გამაგებინეს. გული არ გაუხეთქოთ ვალს ხომ არ მომთხოვენო – პირიქით, მაინც ის გამომიცხადეს არ აჩქარდე, როცა საშუალება გექნება, მაშინ გადაგვიხადეო. ვანო, ლადო, ქეთინო, ცისანა ყველა ჩაერთო. აი, ასეთი გზებით, ღმერთის შეწევნით, დავამთავრეთ მშენებლობა, შევიძინეთ ინვენტარი (ძველი ინვენტარიც, ძველი "ანცი"-ს), გამოვიყენეთ სამზარეულო, მოვაწყვეთ თანამედროვე დონეზე საუკეთესო სამაცივრო მეურნეობა – საწყობი, საკუჭნაოები, და ისევ გავხმაურდით, მოვიწვიეთ კარგი ესტრადის მომღერლები – ჩამოვაყალიბეთ მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლის სუხიშვილების მოცეკვავეები. ანშლაგით ტარდება ქორწილები – ნეფე-დედოფლის ხმლებში გატარების რიტუალი – ცეცხლოვანი ქართული ცეკვები – საუკეთესო განათება – ლაზერები, ფიფქები, ვენტილაცია გათბობა გაგრილება და აბა სტუმარს მეტი რა უნდა, მაგრამ გაცხოველებული კრიზისია, ხალხში ფული აღარ არის, ვისაც აქვს შიშის სინდრომით არის დათრგუნული და უფრთხილდება, სულს ღაფავს კვების მრეწველობა, ის კი არა, დღეში 10 თონის მეპატრონე მოდის და გვეხვეწება იქნებ ხანდახან ჩვენგან აიღოთ პური, პურის რეალიზაციაც შემცირდაო, ხალხი პურსაც კი ვერ სჭამს გაბედულად, მე ნერვიულობით ნევროზი მიძლიერდება, რაღაც უცნაურობა მემართება, დღედაღამ იმას ვფიქრობ, როგორ ვბედავდი ამდენი რამის გაკეთებას, რა ძალა მამოძრავებდა ან სად წავიდა ის ენთუზიაზმი, ის ენერგია, ტრიალ უკაცრიელ მინდორზე ვაშენებ ფაზენდას, იცით რა დიდი ნება უნდა რამდენი ფიქრი, ინტუიცია ახალ ფუძეს, ახალ საძირკველს, რომ ვდგამთ სადაც შემდგომში კეთილი ანგელოზები უნდა მოვიწვიოთ, ოჯახი უნდა შეიქმნას – მაცხოვრის ხატი დავაბრძანეთ ვენახების ფაზენდაში, სისტემატიურად ლოცულობენ ჩემი მევენახეები, მე და ჩემი სტუმრები როგორი დიდი გულისხმევა უნდოდა ფერმის შენობის დაგეგმვას, საიდან უფრო უბერავს ქარი, საიდან უფრო აცხუნებს მზე, როგორ უზრუნველყოფ წყლით მომარაგებას და რამდენი რამ უნდა გაიარო, ამ დიდი დაძაბული ფიქრისა და შრომის შემდეგ უკვე გიყვარს შენი ამაგჩადებული ნაშრომი, შვილივით ეფერები.

რესტორნის მშენებლობაზე ამ პომპეზური შენობის შექმნაზე განსაკუთრებით მინდა გამოვყო სამშენებლო კომპანია "გალა"-ს პრარაბი ბატონი გივი ნიკოლაიშვილი, ბრძენი კაცი, მშენებლობაში დაბერებული (77 წლის კაცია).

მას მონაწილეობა როგორც ხელმძღვანელს აქვს მიღებული მცხეთა-არმაზის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაში, როკის დაწყევლილი გვირაბის მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის დროს უდიდესი უბნები ებარა რუსეთში წლების განმავლობაში აი ამ კაცის გამოცდილება წაგვადგა, რომ იტყვიან მალამოდ და მირონად, მე და მშენებელ ალიკა ბრეგაძეს გვეგონა ძალიან იოლი იყო ყველაფერი და მარტივად ვცდილობდით, მარტივად წარმოგვედგინა ეს გრანდიოზული მშენებლობა, რომელშიც მარტო 600 კუბ მეტრი ბეტონი ჩაისხა – ერთხელ მახსოვს 450 კვ მეტრი საძირკველი (იატაკი) – მოქსოვილია რკინის ბადით 60 სანტიმეტრი სიმაღლის ბეტონია ჩასხმული, ანუ იატაკი დამთავრებულია, ვიწყებთ კედლების ჩასასხმელად "აპალოვკის" მომზადებას - გარშემოწერილობა მთლიანად გამოდის 120 მეტრი სიგრძე და 4 მეტრი სიმაღლე, იყრება უზარმაზარი რაოდენობის ხემასალა, რკინის საყრდენები, ბადეები, ბეტონი, გივი ნერვიულობს, როგორ გაუძლებს 150 კუბურ მეტრ ბეტონის ერთდროულად ჩასხმას არსებული "აპალოვკა" – უმატებს და

უმატებს საყრდენებს, ამაგრებს ხის ბიჯებით, მე და ალიკა ვნერვიულობთ ამდენი მასალა იხარჯება, რა საჭიროაო, ჩვენ კარგად არ გვესმის რა საშიშროება გველის და, აი, დავიწყეთ ბეტონის ჩასხმა. "გალამ" მოიყვანა უზარმაზარი მძლავრი, არ მახსოვს იტალიური თუ გერმანული აგრეგატი – მანქანა რომელსაც 42 მეტრის სიგრძის ხორთუმი აქვს – შენობის ყველა კუთხეს – ყველა კედელს სწვდება დგას კაცი და ხორთუმს უმარჯვებს – ბეტონი 10-12 კუბ მეტრიანი დიდი კამაზებით მოდის და უმარჯვებს ხორთუმს, დაიწყო ჩასხმა ჭახა-ჭუხი გააქვს "აპალოვკას", მე ვერც წარმომედგინა რა საშიშროება გველოდა დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე ვიყავით ამოსული რომ სულ პატარა ადგილას გაგლიჯა რკინის მავთულები და ნიაღვარივით გამოასხა ბეტონის მასამ – მთელი ბრიგადა მიესია და რის ვაივაგლახით შეაჩერა ავარია – დაღვრილი ბეტონი სულ წერაქვებით გაგვიხდა სანგრევი. არადა, ყოფილა დიდი საშიშროება. "აპალოვკის" მთლიანი გარღვევის რაც კატასტროფაა, წარმიდგინეთ 100-150 კუბ მეტრი ბეტონი გახმეს თხრილში, მისი დანგრევა შეუძლებელია, ზარალს რომ დავანებოთ თავი; ბატონმა გივიმ ყველაფერი გაითვალისწინა, ერთი ყველაზე დიდი საქმე გააკეთა კიდევ, ალიკა ბრეგაძე გაზარდა. საბოლოოდ ჩამოაყალიბა მშენებლად, ნახაზის წაკითხვა იცოდა, მაგრამ ყველა დეტალში ვერ ერკვეოდა, გივიმ ყველაფერი მისცა, ჩამოაყალიბა კარგ სპეციალისტად. ალიკა ბრეგაძე ახალგაზრდა იმერელი კაცია, ძალიან ენერგიულია და საქმის მოყვარულია, ერთხელ შევთავაზე, მშენებლობის დამთავრების შემდეგ ჩვენთან დაგვტოვებ რესტორანში სამუშაოდ ნორმალურ ხელფასს დაგინიშნავთ, სასმელი გექნება და საჭმელი-თქო. კატეგორიული უარი მითხრა, მშიერი მირჩევნია ვიყო ოღონდ მშენებლობაზე ვიმუშაოო, ეს შენობა მისთვის სადიპლომო ნაშრომია და კიდევაც ჩადო ყველაფერი, რომ შედეგისთვის მიგვეღწია, სულ იმის შიში მქონდა, უფალს ვეხვეწებოდი მიწის ზევით ამოვსულიყავით ნიაღვარი რომ არ შეგვვარდნოდა ამოღებულ ქვაბულში; ამოვედით მიწის ზევით, მადლობა გადავუხადე უფალს რომ გადავრჩით, მაგრამ, თურმე სადა ხარ, კანალიზაციის მილი შეგვყავს სარდაფში, ვეძებთ ყველაზე დაბალ დონეს, მილი 200 მილიმეტრიანი უკვე შეყვანილი გვაქვს კედელში, ეს ერთადერთი ხვრელია მთელ გარშემოწერილობაში და აი წყალკანალის ვითომ მაღალი კლასის სპეციალისტებმა დაიწყეს ტრაქტორის სამუშაოები, ტრაქტორისტის გაუფრთხილებლობით წამოედო "კოვშის" წყლის 200 მილიმეტრიან მილს და გაგლიჯა – ამოხეთქა მთელი წნევით უზარმაზარმა ნაკადმა. შევარდა სარდაფში, და სულ 10 წუთში 1 მეტრი წყალი დაგუბდა ახლანდელ დარბაზში – დაიბნენ წყალკანალის სპეციალისტები, ვერაფერს ვერ ახერხებენ, ალიკამ იყვირა ჩქარა ურო მომიტანეთო – სწრაფად მოხერხებულად შეამტვრია საკანალიზაციო ჭის კედელი და იქეთ მისცა წყალს მიმართულება – დგას მორევი დარბაზში ანუ მთლიან ფართობზე, ვფიქრობთ ტუმბოების მოტანას და ამოქაჩვას, მაგრამ არ დაგვჭირდა ერთ ღამეში გაიწოვა იატაკში და გრუნტის წყლებში გავიდა. ალიკა ბრეგაძემ ბრიგადა დააკომპლექტა სულ ახლობელი იმერელი ახალგაზრდებით, საკუთარი ბიძა და ბიძაშვილები ღალატობდნენ, სისხლს უშრობდნენ, ქურდობა, ჩხუბი, ათასი უსიამოვნება გვხვდებოდა ყოველდღე, მაგრამ მაინც დიდი ტემპით მივიწევდით წინ – ალიკა ბრეგაძემ ძირითადში კარგად შეასრულა დავალება, გამოიჩინა ნიჭი კიბის ჭრილების, თვით კიბეების რთული კონსტრუქციების გადაწყვეტაში, თითქმის ბატონ გივის აჯობა კიბეების პრობლემების გადაწყვეტაში, ბატონმა გივიმ აღიარა მე ამის გამოცდილება არ მაქვსო – საკმაოდ რთული კონსტრუქცია. კიბეების მორგება-დახრილობა, საფეხურების განლაგება, რკინის კარკასის, რკინის ბადეების მორგება – ერთი მნიშვნელოვანი და გაუთვალისწინებელი რამ გადაგვხდა "გალა"-სთან ურთიერთობაში, ჩვენს ხელთ არსებულ თანხაზე ადრევე ეჭვს გამოთქვამდნენ არ გვეყოფაო და გამართლდა კიდეც, მშენებლობის ნახევარი, რომ დამთავრდა უკვე მივხვდით, რომ არსებული თანხა არ გვყოფნის, დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ "გალა"-ს დაემთავრებინა შავი კარკასი და შემდგომი სამუშაოები ჩვენ ძალებით გაგვეგრძელებინა, 190000 ლარი მოითხოვა გიორგიმ "გალა"-ს ხელმძღვანელმა – ჩემი განუყრელი მეგობრის მურთაზ ბახსოლიანის დისშვილია, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ. გადაწყდა 190000 ლარი გადაგვეხადა "გალა"ს-თვის და დარჩენილი 260000-ის ჩვენი ძალებით გაგვეგრძელებინა, ბლოკის სამუშაოები, აგურის სამუშაოები, ლესვა, ელექტრობა, ვენტილაცია, გათბობა და სამალიარო სამუშაოები ეხლა ჩემო მკითხველო იმ ანეკდოტივით რომ არ გამომივიდეს; რაჭველი ისტორიის გამოცდას, რომ აბარებდა 26 კომისრებზე შეხვდა ბილეთი და ვეღარ აჩერებენ, თვლის: დახვრიტეს ქვე-1-ი, დახვრიტეს ქვე-2-ი და ოცდაექვსი რომ ჩათავდა, ამოისუნთქეს გამომცდელებმა, კიდევ კარგად გადავრჩით 300 არაგველები რომ არ შეხვდაო და მეც ეხლა, რომ დავიწყო ფერმის მშენებლო-

ბა, მარნის მშენებლობა, ვენახებში ფაზენდის მშენებლობა და სხვა, ალბათ, სადმე მოისვრით ჩემს ნაშრომ-ნადაგარს. ამიტომ ვწყვეტ და თვითონ წარმოიდგინეთ რა ენერგია არის საჭირო, რა ნერვები ყველაფერ ამას რომ გაუძლო.

***

ძვირფასო მკითხველო, კიდევ ერთხელ უნდა მოგიხადოთ ბოდიში და გადაგიყვანოთ ჩემი აღსარების თხრობიდან – დღეს 13 მარტია, მთელი 10 დღე კანტიკუნტად შემოდის სტუმარი, დღეს როგორღაც მოხდა სასწაული და რესტორანი თითქმის გაივსო, დარბაზში მუშაობს საესტრადო მუსიკა, მაღლა სართულზე კუპეები გავსებულია და ეზოშიც ბრძანდებიან სტუმრები, მაღლა გაისმის დოლის, აკორდეონის, დუდუკის ხმა, მღერის გიტარაზე კარლო ასათიანიც და უცებ პანიკაში ჩავარდნილი ჩვენი მიმტანი გამოვარდა: ბატონო ანზორ, კუპეში სტუმარს დაურეკეს ომი დაიწყოვო. 2-3 წუთში მთელ რესტორანში პანიკა ატყდა, გარბიან სტუმრები, მივდევ მე ვამშვიდებ, რაღაც გაუგებრობაა, როგორ შეიძლება ასე მოულოდნელად თბილისს მოდგომოდნენთქო, არადა ყვირიან, უკვე მცხეთაშია შემოსული ტანკებიო. თურმე ტელევიზია "იმედს" ჩაუდენია მიუტევებელი შეცდომა, - გააკეთეს ცრუ განგაშის სცენარი (დღესაც არ ვიცით მიზანი) – კოკოითი სასიკვდილოდაა დაჭრილი, ჩვენი პრეზიდენტის ასავალ-დასავალი არავინ არ იცის, შემდეგ აცხადებენ: პრეზიდენტიც მოკლულია, გამოყავთ ობამა, გამოყავთ სარკოზი, გამოდის მსოფლიო ჩვენს მხარდასაჭერად. ისეთი სცენარია კაციშვილი ეჭვს ვერ შეიტანს (თურმე იმიტაციას აკეთებენ) ხალხი მაღაზიებს, ბენზინგასამართ სადგურებს შეესია, ისმის სასწრაფოების სირენების ხმა, სულ 10-15 წუთში, ქალაქი პანიკაშია ჩავარდნილი – ზარები, რეკვა-განგაში – სტუმრებმა გაწყობილი სუფრები მიატოვეს – ვამშვიდებ, მაგრამ ვერ ვაჩერებ და აი სულ ნახევარ საათში, ორმოც წუთში გაისმა ხმა, რომ შეცდომა იყო დაშვებული კი გააფრთხილეს ტიტრებში, რომ ეს დადგმა იმიტირებული იცენარი იყო, მაგრამ არ იყო საკმაოდ ინფორმაცია და აი, რა პანიკა გამოიწვია. მახსენდება 2008 წლის 8 აგვისტოს ომი, ღამე 12 საათზე გავიგე, რომ ომი დაიწყო, მაშინვე დავჯექი ტაქსში და მოვირბინე მშენებლობაზე, საშინელი პანიკა დამხვდა, მუშები, რომლებიც მშენებლობაზე ათევდნენ ღამეს, ქუჩებში არიან მიმოფანტული, დავდევ და ვაგროვებ ჩხუბით – სად გარბიხართ, სირბილი რას გიშველით, უფრო საფრთხეში იგდებთ თავს-მეთქი – ერთად დავდგეთ მშენებლობაზე, აქ ვინ რას გვერჩის შეშინებულები არიან თუ სიკვდილია ჩვენს ცოლშვილთან მაინც დავიხოცებითო, ვეჩხუბებით როგორ ჩააღწევთ ოჯახამდის, მითუმეტეს დასავლეთშითქო, ბოლო-ბოლო დავძლიეთ შიში და ორმაგი ტემპით დავიწყეთ მუშაობა.

***

ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდით გადის ერთი თვე. როგორც იქნა შევაგროვეთ ბანკისათვის გადასახადი პროცენტი, გადის მეორე თვე, დავრბივართ მეგობრებში, ახლობლებში პროცენტის გადახდა გვივარდება და იქნებ ცოტა ხნით რაიმეში დაგვეხმაროთ თქო, აღარ ღირს სიცოცხლე, მომბეზრდა ყველაფერი, ნევროზი მძვინვარებს, ასეთი გულგატეხილობა არასოდეს მქონია, მე ხომ შიში და უკანდახევა არ ვიცოდი, ზოგჯერ გაუაზრებლადაც კი იმედით მივიწევდი წინ ყოველთვის მქონდა ღმერთისა და ჩემი თავის იმედი, ვხედავ მხოლოდ ღმერთის იმედიღა შემომრჩა. რომ იტყვიან ხელი გაატოკე და ღმერთიც მოგეხმარებაო – ველარ ვატოკებ ხელს პარალიზებული, დაბნეული, იმედდაკარგული ვარ. გული გამიტყდა სოფლის მეურნეობაზედაც უზარმაზარი სტრესი, შეურაცხყოფა, დამცირება განვიცადე, ყურძნის მარნებში ჩაბარების დროს. დგეხარ მათხოვარივით და შეყურებ ვიღაც ბრიყვს, ეს მანქანა ამ ტევადობის არ უნდა იყოსო, ბევრი რომ დაგიტვირთავს, ყურძენი ზიანდებაო. ეს მანქანა ასეთი არ უნდა იყოსო, ეს სეტყვა მოხვედრია და არ მივიღებო, უვლის ყურძნით დატვირთულ მანქანას ვიღაც ვიგინდარა, უვიცი დაცვის მუშაკი, ადგამს კიბეს მანქანას და ხელს ურევს ყურძენში, რამე ხომ არ შეურიეთო და შევყურებთ დამნაშავე ბავშვებივით, ჩვენს ნატანჯ ნაშრომს რა განაჩენს გამოუტანს ვიღაც უსულგულო, ტიპი – ჯერ ჩაბარება და ახლა დაიწყება ლოდინი, ფულს როდის გაიმეტებენ, კაპიკების ფასი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

***

მე გავყვირი უშველეთ სოფელს თორემ ყველაფერი თავზე დაგვექცევათქო. არარაობად ვიქცევითქო, მათხოვრები გავხდებით-თქო, თურქულის, ირანულის, ჩინურის გენმოდიფიცირებულ პროდუქტებში ჩავიღრჩვებითთქო.

ზემოთ მოგახსენე მკითხველო, რა დიდი მიღწევები მქონდა სოფლის მეურნეობაში, როდესაც სავსე მქონდა ბეღელი, სავსე მქონდა მარცვლეულის საშრობები, არავითარი კრიზისის არ მეშინოდა, იმედი მქონდა ჩემს გარშემო მყოფ 20-30 ოჯახს არაფერს გაუჭირვებდი, მაგრამ დღეს რა შემიძლია, ხელი ამაღებინეს მიწის დამუშავებაზე, როგორღაც ვენახებსღა ვუვლი სანახევროდ, მახსოვს ქერის და ხორბლის დიდი მოსავალი მივიღე, დავდივარ ლუდის ქარხნებში და ვეხვეწები იქნება 40 თეთრად ჩაიბაროთთქო – უარს ამბობენ ჩვენ უკრაინასთან გვაქვს კონტრაქტი და იქედან ვღებულობთ 60 თეთრადო, ვინ გააფორმა ეს კონტრაქტითქო – ჩვენმა ხელისუფლებამ, ხორბალი მაქვს 30 ტონა, თურქული ტილიანი ფქვილი და ხორბალი შემოაქვთ ეს უფრო ხელსაყრელია, მეტი მოგება რჩებაო, მზესუმზირა მქონდა სულ ხელით მოტეხილი და დამუშავებული 10 ტონა 40 თეთრად გამაყიდინეს, მახსოვს როგორი ზეიმი გვქონდა – ზეთის თანამედროვე ქარხნების მშენებლობას ვიწყებთო. ზეთი საზღვარგარეთაც გავაო, გვიხაროდა ცას ვეწიეთ მაგრამ ვაი უბედურებავ ეს ქარხანა, მზესუმზირის უხვმოსავლიან კუთხეში კი არ აშენდა, არამედ ბათუმში; შემოავქთ უკრაინიდან მზესუმზირა და გამოხდილ ზეთს სისხლის ფასად გვასყიდებენ, ჩვენ კი ფერმერებს ყველაფრის ინტერესი მოგვიკლეს – ყველგან ჩავვარდით. ეხლა კი როდესაც კრიზისი დაიწყო, მთელი მთავრობა მეცნიერულ გადაზუსტებას აკეთებს – რა მოხდა, რატომ ძვირდება კვების პროდუქტებიო. აი. ბედის ირონია, აი თვალში ნაცრის შეყრა.

ერთი ლექსი მაქვს – დიღმის კიტრის მეპატრონე, ჭოპორტულის მეპამიდვრე, თურქულს რატომ შეექცევით, ვერაფერი ვერ გავიგე. კიდევ ერთი ლექსი მაქვს: წყალი ღვინოზე ძვირი ღირს მოგ....ანთ სამართალია – მარამ რა ვიღონოთ, ვის შევჩივლოთ, განმკითხავი არავინ არის – დაჩოქილი ვეხვეწებოდი; პოლიტიკის მაგინებელი კაცი, შევქმნათ პარტია "სოფლის მეურნეობა გადაარჩენს საქართველოსთქო" – არ უნდათ სოფელთან მიახლოვება, არ უნდათ ჩვენი მარჩენალი გლეხი – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსო, რომელი ინდუსტრიული ქვეყანა ჩვენ ვართ. ჩვენ გეორგია ვართ, მიწის შვილები, მიწის მუშები.

სოფელში ძალიან დაძაბული მდგომარეობა მაქვს, ვეღარ ვხნავ, ვეღარ ვთესავ 20 ჰექტარი მიწა (ნაყოფიერი, სარწყავი) ასე უპატრონოდ მიგდია იმის გამო, რომ არარენტაბელური გახდა, მოგვყავს მოსავალი და ჩალის ფასად ვყიდით, თვითღირებულებასაც ვეღარ ანაზღაურებს საწვავი ცეცხლის ფასია ვენახსღა ვუვლი როგორღაც, ტანჯვით, წვალებით, ვალებით, იმ იმედით, რომ დიდ მოსავალს ველოდები 70-80 ტონა ყურძენი უნდა დავკრიფო, მაგრამ ვაი უბედურებავ, 2009 წლის აგვისტოს 10-ში დასცხო ისეთმა სეტყვამ, რაც კახეთსაც კი არ ახსოვს – ზამთარში რომ არის ხე-მცენარეები გაშიშვლებული, ჩიტიც აღარ დაფრინავს, აი ასეა ჩვენი მთელი სოფელი, ტირის საბრალო ხალხი რაღაცის იმედი გვქონდა და სულ 15-20 წუთში მოგვისპო ეს იმედი სტიქიამ, აქედან იწყება ჩემი გულის ხეთქვა, ჩემი ნერვების წყვეტა, ჩემი დარდი და ბოღმა ამხელა ვალები მაქვს ველოდები მოსავალს და აი კრახი, ამას დაემთხვა სოფლის სახლის გაქურდვა ერთადერთ ღამეს მიატოვა ქალბატონმა ქრისტინემ სახლი (შვილიშვილი გაუხდა ავად) და აი, სწორედ იმ დროს შევიდნენ ქურდები, სამზარეულოს ფანჯარაზე რკინის ბადე ააძვრეს და შეძვრნენ, სასწაული ქურდობა მოხდა, ოჯახია და რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი ღირებულების ჭურჭელი, ხალიჩები, ტანსაცმელი, სურათები გვაქვს – არაფერს არ მოკიდეს ხელი მხოლოდ იარაღი წაიღეს რაც ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასი იყო, ღამით მირეკავენ პოლიციელები – თვით თელავის პოლიციის უფროსი ბატონი შოთა, შენ არ წამოხვიდე, რაიმე არ შეგემთხვას ნანერვიულებზეო. მე ჩემი სამსახურით აქ ვარ შენს სახლში და გურჯაანიდან კინოლოგებს ველოდებითო, მეორე დღეს ჩავედი მთელი სოფელი მიყავთ (ახალგაზრდები) ხელის ანაბეჭდების ასაღებად – ორი უცხო ხელი ნახეს ხის კარადაზე – მაგრამ არადა, არ ემთხვევა არაფერი, დღემდის ეს საქმე გაუხსნელია, წაიღო გული სეტყვამ და გარეწარმა ქურდებმა, აქეთ თბილისში მოვალეები მაწვებიან – ადრე რომ მპირდებოდნენ, ოღონდ მე მამუშავე და როცა გექნება მაშინ მომეციო, ეხლა კარსა და ბანს აღარ ასვენებენ, მოვლენ და დასხდებიან აქედან ვერ წავალთ თუ ფული არ მოგვეციო, უჭირს ხალხს, უჭირს ქალაქს გმინავს სოფელი, ნუგეშისმცემელი არავინ გვყავს, მთავრობა ან სასულიერო სამსახური, ისე მაინც, რომ მოვიდეს და სამძიმარი გვითხრას ისიც ნუგეშია, კომპენსაციაზე ლაპარა-

კი ხომ ზედმეტია. გვერდში მიდგას მთელი ოჯახი, მოგვეხმარნენ ვანოს მეგობრები, ქეთინოს მეგობრები, ლადოს მეგობრები, ჩემი მეგობრები ფეხზე დგანან არ იციან საიდან როგორ მომეხმარონ, არ ზოგავენ არაფერს ჩემი მოძღვარი და ჩემი სულიერი საძმო, ლოცულობს, ჩვენს ხსნას ევედრება უფალს. ამქვეყნად იბადებიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სხვის ჯიბეში ითვლიან, ამას ამდენი აქვს და იმას ამდენიო თავისი ჯიბე მაგრად აქვთ შეკრული ფოლაქებით, ხელის ჩაყოფის ეშინია თითქოს მორიელი ეჯდეს ჯიბეში – საკმაო მარაგებიც აქვს გადანახული, მაგრამ მეჯღანუაშვილივით მოკლება არ უნდათ, მე არასოდეს არ ჩამიხედია სხვის ჯიბეში, მით უმეტეს შურით არასოდეს არ შემიხედია სხვისი ნაშრომისა და ნაღვაწისათვის, ღმერთმა ყველას მისცეს. მე მწარედ განმიცდია ისეთი შემთხვევაც, როდესაც თავზე ვევლები გაჭირვებულს და დავრდომილს მაგრამ საუბედუროდ დროთა განმავლობაში მის თვალებში დამინახია დიდი შური რატომ მას შეუძლია დახმარება და მე არაო, მე და ჩემს საქმიან მეგობრებს ჩვევად გვქონდა როდესაც სადმე საქეიფოდ მივდიოდით, გაჭირვებულ მეგობრებსაც არ ვივიწყებდით რომლებსაც ცხოვრება არ მოეწყოთ, გული გვითბებოდა მათი ნუგეშისცემით, მაგრამ რა?! გაივლიდა დრო და ბოღმას ამოხეთქავდნენ... განგაში რომ ატყდებოდა რესტორნებში, ბაზარში ფასები გაძვირდაო, ის გულის გასახეთქად გაიძახოდა, გაძვირდეს მე რა მენაღვლება მე ხომ არ ვიხდიო. მე ისიც ვნახე ერთ დიდ კაცს გვარის დასახელება არ მინდა, მინისტრი იყო სამსახურიდან ხსნიდნენ სოხუმში ომი რომ იწყებოდა ენერგომატარებლების არავითარი რეზერვი არ ჰქონდა, მკაცრად სჯიდნენ – მე მასთან ვმეგობრობდი და სასწრაფოდ შევთავაზე მე დაგეხმარებითქო და დიდი რაოდენობით საწვავი მივეცით მე და ჩემმა კომპანიონებმა. მკოცნა, მეფერა ეს რა სიკეთე გამიკეთეო, მაგრამ გაიარა ცოტა დრომ და გაცივდა: ვხედავ რაღაც გულცივად მიყურებს ნელა-ნელა ვკარგავთ ერთმანეთს, ფაქტიურად დავშორდით, საერთო მეგობარი გვყავდა საყვარელი კაცი, შევეკითხე, ასე დამემართა როგორ მოვიქცე, რომ არ დავკარგოთქო. ჰოი, საოცრებავ, იცი რა მითხრა? სხვანაირად ვერ აგიხსნიო, დგას უფსკრულის პირას ტიპი სულ პატარა ნიავია საჭირო რომ გადავარდეს, შენ დაინახე, მივარდი და მოაცილე უფსკრულს, იმ წუთას შეიძლება მადლობა გითხრას, მაგრამ მერე დაიბოღმება ჩემზე მეტი როგორ გააკეთაო. ხანდახან მიფიქრია სიხარბეში ხომ არ გადადის ამდენი შრომა და ჭაპანის წევა-თქო, ისიც გამიგია მცონარა თვით დინებით მაცხოვრებელი, თვითკმაყოფილებით აღსავსე ადამიანებისაგან, ტკბილად მძინავს, თბილ ლოგინშიო, იმან იფიქროს დღე და ღამე ვინც ვერ ისვენებს, მეტი და მეტი უნდაო, თან ხელებში ისიც შემოგყურებს. იქნებ რაიმე მომცესო. საუბედუროდ შენ თავს იკლავ როგორმე დაეხმარო, გზას აძლევ გაჭირვებიდან ამოსასვლელად და გღალატობს ვირთხასავით ხრავს, იპარავს, თავისასაც არ ინდობს, მან კი არ იცის, რომ ღმერთს ვერაფერს დაუმალავს და ღმერთის რომ უნდა გვეშინოდეს... მოვდივარ და ჭაპანის წევით მოვათრევ ჩემს ცხოვრებას, ვერ შევხედავ სხვას ხელებში.

ახლახანს არ ვიცი მერამდენეჯერ წავიკითხე ცხონებული ილია ჭავჭავაძის კაცია ადამიანი?!.

დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვნა, და წამლობა დაიწყო...

აქიმმა რაღაც წამალი მისცა მთელ ორ კვირას ასმევდა, მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმვინა...

დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა. ორი სიამოვნებაღა დარჩა ამ ტიალ ქვეყანაზედ; ერთი მადა და მეორე ის, რომ ლამაზისეული ფეხით უჯდა და როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულებზე და კანჭებზე ხელს უსვამდა და იძინებდა.

...ბოლოს ნახევარი ლიტრი კალმახი მიირთვა და ისიც მოკვდა, მოუვიდა კუჭის ანთება და ისიც ჩაბარდა პატრონს. წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა, რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა?

მოკვდა ლუარსაბიც ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

ამით ვამთავრებ ჩემო შთამომავალო, თქვენ განმსაჯეთ... ამდენი შრომა-ტანჯვა-წამება, სიხარბით მომივიდა თუ ცხოვრების ჟინით, ჩემი მიზანი იყო რაღაც შემექმნა, რაღაც დამეტოვებინა, ტყავი და ძვალიღა წამეღო იმ ქვეყანაში.

***

გაჭირვებაში ხარ და თავი ვერ გაგაქვს? გახსოვდეს ყოველთვის, – ეს ჩემგან იყო, ჩემს ხელშია შენი მატერიალური კეთილდღეობა, მინდა ჩემთან მოირბინო და ჩემზე იყო დამოკიდებული. ჩემი მარაგი ულევია.

მღვდელ-მონაზონი, **სერაფიმე ვირიცელი**.

***

ვაგრძელებთ ცხოვრებისათვის ბრძოლას, ჩვენ მაინც ვტოკავთ, ვერ ვისვენებთ.

ვეძებთ გზას კიდევ ახალ ბანკთან, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცით, ბანკის კაბალური პირობები. ვფიქრობთ, კერძო ვალების გადახდის მიზნით კიდევ ავიღოთ ბანკის ვალი, და აი გამოჩნდა ახალი ბანკი, რომელმაც 24 %-ად 100 000 დოლარი მოგვცა, ჩავდეთ საცხოვრებელი სახლი და კიდევ რაღაც მიწის ნაკვეთი – მორალურად მაინც დავისვენეთ – საშინელებაა კაცმა გასესხა, დიდი დახმარება გაგვიწია და რომ დასჭირდეს, - ფულს ვერ ვუბრუნებთ – აუცილებელი კერძო ვალები გავისტუმრეთ, დაგვრჩა ძალიან ახლობლების, რომლებიც გვეუბნებიან, როცა გექნებათ, მაშინ მოგვეცითო. სად დავუშვით შეცდომა, რა ვერ გავთვალეთ, ვერ გავითვალისწინეთ, ვერ ვხსნი – მემგონი – ყველაფერი იმის ბრალია, - დრონი მეფობენ და არა მეფენიო; - კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო, კრიზისი კატასტროფული, არნახული სეტყვა რაც კაცობრიობას ალბათ ერთეულ შემთხვევაში ახსოვს – მოისპო სოფლის მეურნეობა – განადგურდა ვენახები, ხეხილი ისე დაისეტყვა, რომ 2-3 წელი ვერ გამოსწორდება. ქურდობა, ვალები, ყველაფერი ერთად დაგვატყდა თავს. წარმატებული კაცისათვის, ვისაც ღმერთი ხელს უმართავს და ტრიუმფით მიდის წინ, კრახის უცბად შეგუება მომაკვდინებელია, თუმცა უფალი გამოცდას გვიწყობს.

აღსარებას ვამთავრებ უწმინდესის ლექსით.

როცა ვარდები დეპრესიაში
და შენი ტანჯვა, ატყობ, იწყება,
მაშინ მოუხმე თვით შთაგონებას,
თქვი: ყველაფერი კარგად იქნება!
რომც დაგარწმუნონ შენ იღუპები,
შენი სიცოცხლის წუთი ითვლება,
რწმენას მოუხმე და შენ იხილავ
რომ ყველაფერი კარგად იქნება!
თუ ცოდვები გაქვს, სულით დაეცი,
ღმერთი არ გტოვებს, შენსკენ იხრება:
ის მოწყალეა ყველა ცოდვილის
და ყველაფერი კარგად იქნება!
როდესაც იმედს აზრი აღარ აქვს
და შენი გული ბოღმით ივსება,
ერთადერთია, რაც გადაგარჩენს -
თქვი: ყველაფერი კარგად იქნება.

გვიშველე უფალო, სასომიხდილთ, სასონარკვეთილთ.

ჩემი აღსარება დაიწერა სააღდგომო მარხვის შვიდკვირეულში.

25.03.10წ.

***

P.S.

იყო დრო ძალიან მიმზიდველად მიმაჩნდა კვების ობიექტების ეკონომიკური მხარე, მარტივად ვფიქრობდი რა კარგი ბიზნესია იყიდი 1 კგ ხორცს, გამოიყვან ოთხ მწვადს, 10 ლარში ამოიღებ 20 ლარს, ასევე ნებისმიერ პროდუქტში 100%-იან მოგებას ვხედავდით, მაგრამ უფრო წინ არ ვიხედებოდით, რა წინააღმდეგობები ელოდება ისედაც დანა-სისხლად ნაყიდ პროდუქტებს, საგადასა-

ხადო ინსპექციის მძიმე გადასახადების გარდა, კომუნალური გადასახადები, ჯერ კიდევ არსებობს ბიუროკრატია და ბიუროკრატიული ხარჯები. მაგალითად, გაგითიშეს დენი, მაცივრებში გიწყვია მალფუჭებადი პროდუქტები თუ მზა ნაწარმი, მოგჭამა ჭირი. რამდენიმე საათში პროდუქტები იწყებს ფუჭებას მაცივრები იწყებს დნობას; დავრბივართ ინსტანციიდან ინსტანციაში იქნებ რაი მეს მივაღწიოთ, თავი შევაცოდოთ, სტუმრები გვყავს, კონდიციონერები არ მუშაობს, მაცივრები არ მუშაობს, სად იჩივლებ, მარტივად გვპასუხობს: სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობსო უნდა დაემორჩილო ბედს ან დანა-სისხლად ღირებული ავტონომიური კვება უნდა მოიწყო, ვის აქვს ამის საშუალება; აღებული გვაქვს დიდი შეკვეთა 200 კაციანი ქელეხის სუფრა, 10-11 საათზე წყალი შეგვიწყვიტეს. რაც ხშირად ხდება ვგიჟდებით, როგორ მივიღოთ სტუმარი. პასუხი მარტივი აქვთ გამრიცხველიანება მიმდინარებს და საღამოს 8 საათიდან გექნებათ წყალიო. ესეც ძალიან ხშირად ხდება. ჩვენ რომ ერთი დღე გადაგვიცდეს დენისა და წყლის გადასახადი, სულს ამოგვხდიან, გაგვითიშავენ და საჯარიმო სანქციებსაც დაგვიწესებენ. საურავებს, აბა გავბედოთ და ჩვენც მოვთხოვოთ რატომ გაგვიხადეთ გადასაყრელად პროდუქტები, რატომ შეგვილახეთ ავტორიტეტი სუტმართანო, ვინ მიიტანს გულთან ან სად ვიჩივლებთ, მონები ვართ, მონები! როგორც უნდათ ისე გვხმარობენ, ჯარშიც ჩვენ მივდივართ და პოლიციასაც ჩვენ ვაკომპლექტებთ. თუმცა ბევრი რამე გამოსწორდა, ადრე ქურდისა და მამაძაღლისაგან ვიყავით აკლებული; შემოვიდა კუპეში რომელიმე უბნელი ქურდების ჯგუფი, დილიდან დაიწყო და თავზე გადაივლო პურმარილი, შედის მიმტანი და სთხოვს გადახდას, სთავაზობს ჩეკს, უკეტავენ კარებს და უყენებენ ულტიმატუმს – არც ამას გადაგიხდით და პირიქით მოიყვან კიდევ გოგონებს საუნაში უნდა წამოგვყვეო, მიმტანი იწყებს ტირილს; შედის დაცვის მუშაკი და ეუბნება – ბიჭებო, ნუ დამღუპავთ, ამ სამსახურით ვაწვდი ლუკმა პურს ჩემს ოჯახსო, ძველი ბიჭები იწევენ "კალბასს" ჩაგიდებთ პირშიო, დაცვა იძულებული ხდება გამოიძახოს დამხმარე ჯგუფი, მოდიან მოხეთქილი ვაჟკაცები, შედიან კუპეში და იწყება გაწევა-გამოწევა, ძველმა ბიჭებმა ბოთლები გატეხეს და ემუქრებიან ახლოს არ მოხვიდეთო ინგრევა ფიცრული კუპე. მიდის დარტყმა, ცემა-ტყეპა, ნაწილი გაიქცა, მაგრამ ერთი ისეთი თავხედი გამოდგა, არ ემორჩილება, დაარტყამენ, წაიქცევა, საზიზღარი, უშვერი სიტყვებით აგინებს დაცვას, წამოდგება, დააგდებენ, ისევ იგინება ბოლოს ფოფხვით გავიდა გარეთ; გადის დრო და იწყება ქურდების შემოსევა – თქვენ კაცი გაგვილახეთ, სასიკვდილოდო, მე პირადად ვიგერიებ ეს ნუთუ ქურდულია უმწეო გოგოს რომ სცემთ და აყაჩაღებთქო, თითქოს გატყდებიან ჩვენ ეს არ გვეკადრებაო წავლენ, სადმე დათვრებიან და ისევ გვიტევენ, ვართ ასეთ აგონიაში, ნერვების წყვეტაში, ერთ დილას შემოვიდა რომელიღაც დაცვის ჯგუფი 7-8 კაცი, მათ შორის იყო პიროვნება, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ ყურებით ვაგონი გაათრია მოხეთქილი ჯანღონიათ სავსე ბიჭებია. უფროსს, კარგად მახსოვს, შმაგი ერქვა. დაიწყეს სმა და შვიდმა კაცმა 35 ლიტრი ღვინო დალია. დაიწყო ქაოსი, რასაც მოკიდებენ ხელს, ანგრევენ, აქცევენ; დიდი ხის ძელი გვქონდა აგურის სვეტებზე გადებული, ერთ-ერთმა რომ მოკიდა ხელი ძირს დასცა, შმაგი მეუბნება – ბატონო ანზონ, ახლოს არ მოხვიდე რასაც აფუჭებენ ხვალევე აღგიდგენთო. უარესს სჩადიან, იძულებული ვარ დაცვის დამატებითი ჯგუფი გამოვიძახო, მოდის ორი ახალგაზრდა, ერთ-ერთი შვარცნეგერსა ჰგავს, ჩემი მეგობრის შვილია ალეკო, შევეხვეწე, შენ ახლოს არ გაეკარო უბრალოდ დაზღვევაზე იყავი, ერთმანეთი არ დახოცონ-მეთქი, სადღაც მოფარებულ კუთხეში დავუდგი სკამი, აქედან ადევნე თვალი-მეთქი, საიდანღაც ერთ-ერთმა მთვრალმა დაინახა და წამოვიდა დამამცირებელი ღიმილით და ძახილით – ჰე! სუქანა, სუქანაო დაადგა თავზე ალიკოს, მე ვეფერები იქნებ ჩემს ასაკს სცეს პატივი და დაცხრესთქო, უცებ ალიკამ მომმართა ანზორი ძია შენ იქეთ გაიწიეო და ადგომის დროს ქვევიდან ისეთი აბერკოტი ამოარტყა, სადღაც გაფრინდა და ქვაფენილზე გაიშოტა, გონება დაკარგა და ფეხების და ხელების კანტუზია დაეწყო, კვდება კაცი, - მისი საძმო ამის შემყურე შეშინდა და გარეთ გაიკრიფა, - ალიკამ იყვირა – ჩქარა კოვზი მომიტანეთო, ჩაუყო პირში და ენა ამოაღებინა, ჩქარა ვედრო მომიტანეთო და აუზიდან ვედრით წყალი გადაასხა გალახული როგორღაც შეტოკდა, ცოტას გახოხდა და როგორც იქნა, ისიც გარეთ გალასლასდა, ეს ყოფილა შმაგის ძმა. გარეთ ვხედავთ რაღაცას ბჭობენ, თურმე შმაგის დაურეკეს – გვიშველე, ძმა გაგილახესო და აი, მოვარდა შმაგი, შემოყვნენ ძმანი მისნიც და დაიწყო და რა დაიწყო, ხელჩართული ბრძოლა, ინგრევა რესტორანი, ვრეკავთ მილიცაში, კაციშვილი არ აკეთებს რეაგირებას. შმაგის და ალიკას ერთმანეთისთვის პირში აქვთ ჩაჩრილი ნაგანის ლულები და ლუღლუღებენ – არა შენ ისროლე და არა შენო, სისხლში ვართ ყვე-

ლანი ამოვრილები, ბოლოს გამახსენდა! ქალაქის უშიშროების უფროსი მყავდა მეგობარი, პაატა, დავრეკე მიშველე ხალხს გვიხოცავენთქო და რას ვხედავთ, მოცვივდნენ ამათზე უფრო მხეცი ბიჭები, როგორ დაკეცეს გარმონივით და შეტენეს მანქანებში თვალი ვერ მოვკარით, წაიყვანეს ჩვენი დაცვის ბიჭებიც, დიდი პროტექციით გამოვაშვებინე. შმაგის ბიჭებს პატრონი გამოუჩნდათ, ფულიც შერჩათ და ეზოს და შენობების დანგრევაც. დღეს პოლიცია მათი რისხვა გახდა, მადლობა.

შემოდის სოლიდური წყვილი, ჯდებიან ცალკე კუპეში, მოითხოვენ თუკი რამ კარგი გაქვთ ყველაფერი მოგვართვითო, ემსახურება მიმტანი, გადის კარგა დრო და მამაკაცი გამოდის კუპიდან, ტუალეტისაკენ მიემართება და "ითესება", მიმტანი შედის კუპეში და ქალი ეუბნება რამდენი ხანია გავიდა და აღარ შემოდისო, ეძებენ და ვერ პოულობენ, მირეკავენ სახლში, ასეთი შემთხვევა გვაქვსო, მე ვაფრთხილებ, არ გაუშვათ, „აფერისტები" არიანთქო; ჩამოვედი და ჰოი, საოცრებავ, რა მემის, ქალი ტირის და მიყვება – ქუჩაში ვიდექი ბატონო, მანქანა გამიჩერა და შემეხვეწა, საჭმელს მარტო ვერ ვჭამ, შენი ჭირიმე, რესტორანში შემყევიო და აი, როგორც ხედავთ მიმატოვაო, ბოლოს ქალს პატრონები გამოუჩნდნენ, სადღაც მიმტანად უმუშავია.

ერთ-ერთ რესტორანში შედის რამდენიმე სოლიდური ახალგაზრდა და აწარმოებს მოლაპარაკებას – საღამოს 8 საათზე 100 კაცზე დარბაზში გაგვიწყვეთ, სერიოზული ბანკეტი გვაქვსო, აკეთებენ მენიუს დიდი რუდუნებით, ეს იაფფასიანი არ გვინდა, უფრო ძვირფასი რაც გაქვთ, ის შეიტანეთ, მენიუშიო და ზუსტად 8 საათზე დავიწყებთ ღონისძიებასო, აძლევენ ბეს 50 ლარს და აბა თქვენ იცით, არ შეგვარცხვინოთო, საღამოს 6 საათზე შემოდის 10 მოხეთქილი ახალგაზრდა, ცოტა ხანს იტრიალეს და მიმტანს ეუბნებიან, ასე ხომ არ ვიდგებით, ერთ კუთხეში დავჯედებით გაწყობილ სუფრასთან, მშივრები ვართო; ქეიფობენ, ქუდს ჭერში ისვრიან 8 საათი რომ სრულდება განაცხადეს, - გავალთ ჩვენს სტუმრებს შევხვდებითო და ითესებიან, ასე 50 ლარში ამხელა ზარალი მიაყენეს.

შემოდის ჩვენთან ვიღაც სოლიდური კაცი ჰალსტუხში და ცილინდრში გამოწყობილი. გრიგოლ დადიანი ვარო, შემოყვა მასავით სოლიდური 7-8 კაცი, კოცნიან და ულოცავენ, პატარა დადიანის დაბადებას გილოცავთო. ბრძანებს: ჩიტის რძეც კი არ დააკლოთ სუფრასო, ჩვენ მთელი კოლექტივი მოწიწებით ვემსახურებით. მუსიკა, ტაშფანდური მაგრად ქეიფობენ, ადგება დადიანი და უცხადებს მიმტანს ხვალ დილით ისევ ამ კუპეში ვაგრძელებ ათი კაცით ქეიფსო. გაწყობილი დამახვედრეთო. ეხლა სამშობიაროდან მოვდივარ ჯიბე-გაფხეკილი თუ რამე მქონდა ექიმებს და მახარობლებს მივეციო და დილით ერთად გადაგიხდით მუსიკოსებსაც და თქვენცო, მოგჭამათ ჭირი. შერჩათ ყველაფერი, ისეთ ხრიკებს იგონებენ, დაგაბნევენ...

რამდენი ხიფათი, რამდენი თავის ტეხა, რამდენი ნერვების წყვეტა, გარედან ქვეყანას მტერი და ავი თვალი გვითვალთვალებს. შენს საკუთარ ახლობელსაც არ სჯერა შენი გასაჭირის, ყველა ცდილობს, იქნებ რაიმე აგაფცქვნას...

მაია ფეიქრიშვილი

ხონის პოტენციალი ხალხის სამსახურში

ხონის მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში და არამარტო იმერეთში, გამოირჩევა როგორც ბუნებრივი, ისე გამოჩენილ ადამიანთა რესურსით. ამიტომაცაა **ისტორიკოსი ავთანდილ ფაილოძე ხონს უწოდებს „იმერეთის მარგალიტს“.**

ჩვენს მუნიციპალიტეტს ნამდვილად ღირსეული მერი ჰყავს **ლადო ჯურხაძე.** თუ დავაკვირდებით და თვალს გადავავლებთ მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, განხორციელებულ პროექტებს, აქტივობებს, მიმდინარე და სამომავლო გეგმებს, ამაში ადვილად დავრწმუნდებით.

ბ-ნი ლადო პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა. მისი გამოცდილება, კვალიფიკაცია, ხედვები გათვლები თვალშისაცემია და ყოველთვის მიზანმიმართულია ხონისა და ხონელების საკეთილდღეოდ...

როცა, ბ-ნი ლადო საარჩევნო კამპანიას აწარმოებდა, ყურადღებით უსმენდა მოსახლეობას, საკუთარი თვალით ხედავდა პრობლემებს, გასაჭირს და მართლაც გულით პირდებოდა შეჭირვებულ ადამიანებს დახმარებას. ახლა იგი დაპირებებს საქმედ აქცევს და სურს, ყველა სოფელში, ყველა ჩიხსა და ქუჩაზე შეძლებისდაგვარად გადაჭრას უპირველესად მოსაგვარებელი პრობლემები...

ბ-ნი ლადო ახალგაზრდა პოლიტიკოსია, რომელსაც სურს, **ხონის პოტენციალი ხალხის სამსახურში ჩააყენოს**, მაქსიმალურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები, საკურორტო ზონა და ხონი აქციოს ტურისტებისათვის მიმზიდველ, ინვესტორებისავის საიმედო და თავად მოსახლეობისათვის კეთილდღეობის წყაროდ, რათა ჩვენი მუნიციპალიტეტი შეივსოს ხონელებით – გაიღოს დაურდულებული კარი, ბოქლომდადებული ჭიშკარი, გაიწმინდოს ხავსმოდებული კიბე, ყველა სარკმლიდან შუქი გამოვიდეს და ა. შ.

მუნიციპალიტეტის მერს თავის გუნდთან ერთად სურს, სიტყვა საქმედ აქციოს და ეს ნაწილობრივ კარგად გამოჩნდა ამ მოკლე პერიოდში განხორციელებული სამუშაოების, პროექტებისა და აქტივობების სახით...

არჩევიდან დღემდე ბევრი ახალი სიტყვა თქვა ბ-ნმა ლადომ ხონის მმართველობაში. როცა მასთან ვსაუბრობთ, ეს არაა ინტერვიუ ინტერვიუსათვის, არამედ ესაა გულახდილი საუბარი ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც სურს, ყველა ვექტორი ხონისაკენ მომართოს და გაჩნდეს იმედი ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლისა, აღორძინებისა.

უნდა დავუჯეროთ ჩვენს მიერ არჩეულ, ნდობაგამოცხადებულ მერს, დავუდგეთ გვერდით, ცალ-ცალკე და ყველამ ერთად ვაკეთოთ საქმე, საქმე-კეთილი, საქმე საქვეყნო...

ხონის პოტენციალი ხალხის სამსახურში – ესაა ახალი მმართველობის მიზანი.

წარმატებები და კიდევ წარმატებები ჩვენს მერს. წლევანდელი, განხორციელებლი და სამომავლო ინფრასტრუქტურული პროექტები მართლაც რომ უპრეცენდენტოა. თქვენ, ბ-ნო ლადო, გზის დასაწყისში დგახართ, გასავლელი ბევრი გაქვთ... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!..

დღესაც აქტიურად მიმდინარეობს ხონში კულტურული ცხოვრება. საგაზეთო წერილი, ალბათ ვერ დაიტევს იმ დამსახურებებს, წარმატებებს, აღიარებებს, ჯილდოებსა და სიგელებს, რაც ბოლო ათწლეულში მიუღიათ ხონელებს...

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურს 2014 წლიდან ხელმძღვანელობს ქ-ნი მანანა გოფოძე. მისი დახვეწილი და გამორჩეული გემოვნებიდან გამომდინარე არაერთი საინტერესო, დასამახსოვრებელი, ღირსეული ღონისძიება ჩატარებულა ხონში.

მანანა გოფოძე

ქ-ნი მანანა მშვიდი, გაწონასწორებული პიროვნებაა, რომელიც გუნდთან ერთად ყოველთვის მოკრძალებულ სიტყვას ამბობს და ათასგზის ნაფიქრალ პროექტსა თუ აქტივობებს გვთავაზობს კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში. მას აქვს არაჩვეულებრივი ნიჭი ადამიანებთან ურთიერთობისა. ამიტომაც არის, რომ არ უჭირს საერთო ენის გამონახვა და ფართო მასების ჩართულობით „სულის ზეიმებს“ აწყობს ხონელებისათვის. ყველაზე მეტად კი მათ ახალისებს „გიორგობა-ხონელობა“, რომელიც ოდითგანვე აღინიშნებოდა ჩვენთან, შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო არ ჩატარებულა. წინა საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, მაშინ, როცა ხონში აღდგა ხონი-სამტრედიის ეპარქია, მაშინდელი ქალაქის მერიისა და გამგეობის ძალისხმევით, მეუფე საბას ლოცვა-კურთხევით განახლდა აღნიშნული ტრადიცია, სწორედ 1998 წელს აღდგენილ დღესასწაულზე ხონში გაიხსნა პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმი... ყოველი წლის 6 მაისს ტარდება საზეიმო წირვა-ლოცვა და მრავალფეროვანი ღონისძიებანი...

ყურადღებიანი, თბილი ქალბატონი ბევრი გაჭირვებულის გულშემატკივარია. ამიტომაც უყვართ იგი განსაკუთრებით „სათნოებისა“ და „მადლიერების“ სახლების ბენეფიციარებს.

დიდთან დიდი და პატარასთან – პატარა, მოწყენილი და მხიარული, პრინციპული და დამთმობიც, ... სხვადასხვა ამპლუაში და ყოველ ამპლუაში მაინც თვალებში სხივჩამდგარი და სახეზე ღიმილმოფენილი, თბილი და ტკბილია ჩვენი მშვენიერი, წარმატებული, ღირსეული ოჯახის საიმედო დასაყრდენი ქალბატონი მანანა...

ქალი დედაა, ქალი სილამაზეა, სიყვარულია, ბედნიერებაა. ... ქალი – ლეგენდაა და როგორ შეიძლება მას არ მოეფერო, არ მოუსმინო, თაყვანი არ სცე, გული არ მოუქარგო თაიგულებით და კიდევ ერთხელ არ უთხრა – რომ არა ის, არ იქნებოდა უკიდეგანო სამყაროს უმშვენიერესი ქმნილება ა დ ა მ ი ა ნ ი, რომ ის დედაა – სიცოცხლის საწყისი...

გილოცავთ, ქ-ნო მანანა, გაზაფხულის მობრძანებას, დედის დღეს. გაზაფხულივით მშვენიერი, აფერადებული, სიყვარულით, სიხარულით სავსე უამრავი წელი თქვენთან ერთად.

წარმატებები პირადსა და საქვეყნო-სამერმისო საქმეში. თქვენ მისაბაძი ქალბატონი, სასახელო მეუღლე, საამაყო დედა, ერთგული მეგობარი, მრავალმხრივ განათლებული და უსათნოესი ქალბატონი ბრძანდებით...

იდღეგრძელეთ და იგაზაფხულეთ

მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ!

სხვათაშორის, ქალბატონების ჩართულობა პოლიტიკაში სასურველი და აუცილებელიცაა, რამეთუ ქალის სიფრთხილე, წინდახედულება, გონება-გამჭრიახობა სწორედ რომ წაადგება საქვეყნო საქმეებს. ამ მხრივ ხონი მართლაც გამორჩეულია, რადგან ბევრი წარმატებული ქალბატონია დასაქმებული საპასუხისმგებლო ადგილებზე...

ხონი ჩემი სალოცავი და სიამყოფ...

ეს სიტყვები ეკუთვნის საკრებულოს თავკაცს, ახალგაზრდა ხელისუფალს **ვალერი ბახტაძეს**, რომლის ნამდვილი სახე, სუფთა სული, მართალი გული, კეთილი სურვილები ისეთია ჩვენ-ხონელებს რომ გვახარებს და გვეამაყება... იგი პოლიტიკაში უკეთესი მომავლის რწმენით მოვიდა. ამბობს: **„რწმენა საქმის ნახევარიაო, რწმენა მთებს ძრავსო, რწმენით, წრფელი გულითა და სუფთა ხელებით მოვედი,** სასათბურე პირობები არ მქონია და არც ზურგის ქარი უბერავდა ჩემს იალქანს... მოვედი პოლიტიკაში და ერთ დღესაც იმ რწმენით წავალ, რითაც მოვედი“...

ვალერი ბახტაძე 2014 წლიდანაა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ბევრი სირთულეები დახვდა მას, მაგრამ არასოდეს შეშინებია და არც არასოდეს დაუხევია უკან პრობლემების გამო. პირიქით, ყოველთვის სჯეროდა, რომ დალაგდებოდა, დაწყანარდებოდა, მოწესრიგდებოდა ქვეყანა და წარმატებული წლები წინ გვექნებოდა...

მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ერთმანეთის მხარდამხარ, კონსულტაციებითა და შეთანხმებებით ახორციელებენ პროექტებს და ზრუნავენ ხონისა და ხონელების საკეთილდღეოდ.

„ნდობა და მხარდაჭერა კოცონივითაა... შეიძლება უცებ მიინავლოს... ყველაფერს ვაკეთებთ ეს რომ არმოხდეს, – გვითხრა ბ-ნმა ვალერიმ და მართლაც ასეა – ენდობიან და მხარს უჭერენ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თავკაცებს – ბ-ნ ლადოსა და ბ-ნ ვალერის ხონელები და გზადაგზა საარჩევნო დაპირებებსაც ახსენებენ...

საზოგადოებასთან ურთიერთობა რთულია. მთავარია, ნდობა მოიპოვო და მერე მობილიზება გაუკეთო იმ ძალას, იმ ენერგიას, რომლის მხარდაჭერაც გაქვს. ასე მოხდა ბ-ნი ვალერის შემთხვევაში. იგი წლების განმავლობაში თბილისში მუშაობდა (სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციებზე) და ხონელები მეტ-ნაკლებად იცნობდნენ მის შესაძლებლობებს, მაგრამ დიდი მხარდაჭერით მიიღო და დღემდე ხონელები მისი მადლიერნი არიან...

საკრებულოს თავმჯდომარე და მისი გუნდი ახლებური ხედვებითა და მონდომებით მუშაობს. არის, რა თქმა უნდა, პრობლემებიც, მაგრამ ყველაფერი მოგვარებადია... ისევე როგორც ოცნება ყოველთვის განახლებადია. ასევეა შემართება და მიდგომები, სამომავლო გეგმები განახლებადი და როგორც ბრძანა ბ-ნმა ვალერიმ **„მამალივით უნდა იყივლო მთელი ღამე, რაღაცა დროს ხომ აუცილებლად გათენდებაო“.** დიახ, მომავლის იმედით მიუყვებიან ხონელები...

„ხონი ჩემი სალოცავია და როგორ შესაწირს მივიტან ამ ტაძრის საკურთხეველთან, ხალხი თავად შეაფასებს“, – გვითხრა ბ-ნმა ვალერიმ.

გულით გისურვებთ წარმატებებს. გვჯერა, იმდენს გააკეთებთ ხონისათვის, რომ უკან მოხედვისა არ შეგრცხვებათ და ხონელებს მოსაგონებლად დიდხანს გაჰყვებათ თქვენი საქმენი...

დიდი კულტურითა და გამოჩენილი ადამიანებით დამშვენებული ხონი

ხონი შორეულ ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს და დღემდე ფეხაკრეფით მიუყვება ცივილიცაზიის ბილიკს. თითქმის ყველა ეპოქაში იყო გამოჩინებული ჩვენი პატარა ქალაქი სახელოვანი, საამაყო ხონელებითა და ტრადიციებით, რომელთაც მოიტანეს ჩვენამდე ის განძი, რასაც მრავაფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა ჰქვია, რაც აწმყოში მოტივაციას გვიმაღლებს იმისათვის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა პატარა წვლილი შევიტანოთ, ვთქვათ სიტყვა ვაკეთოთ საქმე ისევ და ისევ ხონის გამზიანებისა და აღორძინებისათვის, ხონელების ისტორიული იმიჯის შენარჩუნებისათვის.

მოგეხსენებათ, XIX საუკუნის ბოლოს „ხონი ქუთაისის კულტურული დასაყრდენი იყოო“, – წერდა აკად. შალვა ნუცუბიძე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 427 კმ^2-ია. მთისა და ბარის ლანდშაფტი საოცარია, 4 კმ-ზეა გაშლილი კინჩხის ნაბეჩოს და ოკაცეს ჩანჩქერები აქვეა ნაქალაქარი კიბულა, ტარეშას სამარხები, ნასახლარ-ნადარბაზევი, ოდესღაც თვალწარმტაცი დადიანთა კარმიდამო, 5 000 წლოვანი ურთხმელი, ასხის მთის მიწისქვეშა დინებები და სიფონური ტბები, განსაკუთრებულია ტობის ტბა...

საინტერესოა ხონი, როგორც სატრანზიტო კოორდინატი, საიდანაც ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ქართლის, ლეჩხუმისა და სვანეთის მოსახლეობა და იმართებოდა ბაზრობა – „პარასკეობა“...

ჟურნალი „კვალი“ 1898 წელს (№36) წერდა: „ფული და ხონელი საარაკო მეგობრები არიან. ხონელებს ბაზარზე გამოაქვთ ნაწარმი და კარგ ფასად ყიდიან. რამდენიმე ათას მანეთს ატრიალებენო“...

XIX საუკუნის მეორე ნახევაში ამაღლდა ხონელთა კულტურული მოთხოვნილებანი და არცერთ გუბერნიას იმხანად არ ჰყავდა ისეთი დიდი ქველმოქმედი და პატრიოტი, როგორიც იყო ივანე შარაშიძე. მან ნიკოლოზ დადიანის დახმარებით გააშენა ხონის ბულვარი, ნიკო ნიკოლაძის შემწეობით გაიყვანა 1891 წელს სარწყავი არხი მათხოჯიდან იანეთამდე, 1870-72 წ.წ. გაიხსნა ივანეს ინიციატივით ორკლასიანი სკოლა, 1881 წ. ხონში ქუთაისიდან გადმოიტანა სამასწავლებლო სემინარია, დააარსა საკვირაო სკოლა, პროგიმნაზია, სახელსნო სასწავლებელი, გიმნაზიები, სულ 14 სასწავლებელი ივანე შარაშიძის სახლში 1895 წელს ნესტორ ლეჟავამ გახსნა ბიბლიოთეკა...

1529-1821 წ.წ. ხონში იყო საეპისკოპოსო კათედრა, შემდეგ ეპარქია, რომელიც აღდგა 1996 წლის ნოემბერში. ჩვენი წმ. გიორგის სალოცავი VII საუკუნისაა და იგი დღემდე დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის ცხოვრებაში...

ხონელ ინტელიგენციასთან: ბესარიონ, ნიკო, სვიმონ ღოღობერიძეებთან, სოფიო წულუკიძესთან, ილია ხონელთან, სერგო, ლუკა, ელენე ბახტაძეებთან, ილია ბახტაძესთან, ვარლამ რუხაძესთან, დავით და გიგლა მებუკეებთან ალ. მაჭარაძესთან, ალექსი ჭიჭინაძესთან, მათე და ეკატერინე ბახტაძეებთან, ... ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ილიასა და აკაკის ... 1911 წ. ხონს ლესია უკრაინკაც სწვევია. სეზონურად სტუმრობდნენ დადიანებს გორდში ეკატერინე ჭავჭავაძის მეგობრები – ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტა-სოფია კინსკი-ზუნტერი და მისი მეუღლე, მწერალი ბარონი არტურ ზუნტერი, ფრანგი მრეწველი გრაფი როზმორდუკი, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, მარი ბროსსე, იონა მეუნარგია, თედო ჟორდანია, ... გორდის სასახლე იმერეთისა და სამეგრელოს ეპისკოპოსებისა და თავადების სასტუმრო იყო...

1900 წელს ხონში მუდმივი თეატრი დაარსდა. თუმცა, პირველი სპექტაკლი 1865 წელს გაიმართა. 1967 წლიდან სახელმწიფო თეატრს „სახალხო“ ეწოდა... 1890 წლიდან სამასწავლებლო სემინარიის ბაზაზე ჩამოყალიბდა სასულე ორკესტრი, რომელიც დღემდე გვახარებს და ჩვენი სიამაყეა... ხონის მეისტორიე ბ-ნი ავთანდილ აილოძე ამ და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს, ფაქტებს, ამბებს მრავალგზის აღწერს თავის შრომებში...

დღესაც აქტიურად მიმდინარეობს ხონში კულტურული ცხოვრება. საგაზეტო წერილი, ალბათ ვერ დაიტევს იმ დამსახურებებს, წარმატებებს, აღიარებებ, ჯილდოებსა და სიგელებს, რაც ბოლო ათწლეულში მიუღიათ ხონელებს...

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურს 2014 წლიდან ხელმძღვანელობს ქ-ნი მანან ფოჯოძე. მისი დახვეწილი და გამორჩეული გემოვნებიდან გამომდინარე არაერთი საინტერესო, დასამახსოვრებელი, ღირსეული ღონისძიება ჩატარებულა ხონში.

ქ-ნი მანანა მშვიდი, გაწონასწორებული პიროვნებაა, რომელიც გუნდთან ერთად ყოველთვის მოკრძალებულ სიტყვას ამბობს და ათასგზის ნაფიქრალ პროექტსა თუ აქტივობებს გვთავაზობს კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროსი. მას აქვს არაჩვეულებრივი ნიჭი ადამინებთან ურთიერთობისა. ამიტომაც არის, რომ არ უჭირს საერთო ენის გამონახვა და ფართო მასების ჩართულობით „სულის ზეიმებს“ აწყობს ხონელებისათვის. ყველაზე მეტად კი მათ ახალისებს „გიორგობა-ხონელობა“, რომელიც ოდითგანვე აღინიშნებოდა ჩვენთან, შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო არ ჩატარებულა. 2004 წლიდან საზოგადოება „ხონელმა“ აღადგინა ეს დიდებული ტრადიცია. ყოველი წლის 6 მაისს ტარდება საზეიმო წირვა-ლოცვა და მრავალფეროვანი ღონისძიებანი...

ყურადღებიანი, თბილი ქალბატონი ბევრი გაჭირვებულის გულშემატკივარია. ამიტომაც უყვართ იგი განსაკუთრებით „სათნობისა“ და „მადლიერების“ სახლების ბენეფიციარებს.

დიდთან დიდი და პატარასთან – პატარა, მოწყენილი და მხიარული, პრინციპული და დამთმობიც, ... სხვადასხვა ამპლუასი და ყოველ ამპლუასი მაინც თვალებსი სხივჩამდგარი და სახეზე ღიმილმოფენილი, თბილი და ტკბილია ჩვენი მშვენიერი, წარმატებული, ღირსეული ოჯახის საიმედო დასაყრდენი ქალბატონი მანანა...

ქალი დედაა, ქალი სილამაზეა, სიყვარულია, ბედნიერებაა. ... ქალი – ლეგენდაა და როგორ შეიძლება მას არ მოეფერო, არ მოუსმინო, თაყვანი არ სცე, გული არ მოუქარგო თაიგულებიტ და კიდევ ერთხელ არ უთხრა – რომ არა ის, არ იქნებოდა უკიდეგანო სამყაროს უმშვენიერესი ქმნილება ა დ ა მ ი ა ნ ი, რომ ის დედაა – სიცოცხლის საწყისი...

გილოცავთ, ქ-ნო მანანა, გაზაფხულის მობრძანებას, დედის დღს. გაზაფზულივით მშვენიერი, აფერადებული, სიყვარულით, სიხარულით სავსე უამრავი წელი თქვენთან ერთად.

წარმატებები პირადსა და საქვეყნო-სამერმისო საქმეში. თქვენ მისაბაძი ქალბატონი, სასახელო მეუღლე, საამაყო დედა, ერთგული მეგობარი, მრავამხრივ განათლებული და უსათნოესი ქალბატონი ბრძანდებით...

იდღეგრძელეთ და იგაზაფხულეთ

მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ერ!

სხვათაშორის, ქალბატონების ჩართულობა პოლიტიკაში სასურველი და აუცილებელიცაა, რამეთუ ქალის სიფრთხილე, წინდახედულება, გონება-გამჭრიახობა სწორედ რომ წაადგება საქვეყნო საქმეებს. ამ მხრივ ხონი მართლაც გამორჩეულია, რადგან ბევრი წარმატებული ქალბატონია დასაქმებული საპასუხიმგებლო ადგილებზე...

სიბრძნის სკივრი

თვალთახილვა
(აზრები)

ნაირა უგულავა

* * *

ცხოვრება იმად ღირს, ყოველ დილით განთიადს შევეგებო, მზის ამოსვლა ვიხილო, შემდეგ პატარა ეკლესიის კარი შევაღო, სადაც დიდი უფალი მელოდება... დანარჩენი ცხოვრების წვრილმანები ამაოებაა – ცხოვრების ამაოება...

* * *

ჩემი ტრაგედიაა, რომ ადამიანებისადმი რწმენა დავკარგე, შვება კი – ის,

რომ ამით გამოწვეულმა ტკივილებმა ჩემში მეტი განცდა, სიყვარული და ადამიანების დახმარების დიდი სურვილი წარმოშვეს,– უფლის წყალობით. ამან მაიძულა, არენაზე გამოვსულიყავი და „წყნარად მეყვირა“.

* * *

არ მინდა, მყავდეს მტრები. მათაც კი, ჩემში წამებული უნდა დაინახონ, ვიდრე მოწინააღმდეგე...

* * *

საზოგადოებასთან ვურთიერთობ მისდაგვარად, ვაზროვნებ – ჩემდაგვარად.

* * *

მაშინ, როცა ვნახე, ყველა საბრძანებელი დაკავებული იყო... ჩემს საბრძანებელში გადავბარგდი, სადაც მბრძანებელიც ვარ და მონაც...

* * *

ყოველთვის მეძლეოდა ზუსტად იმდენი, რაც საჭირო იყო და არაფერი ზედმეტი...

* * *

ვწერ იმისთვის, რათა გაცხადდეს აზრები, ამის შემდეგ გადამუშავდეს – მიიღოს სწორი ფორმა და, რაც მთავარია, დადგეს შედეგი...

* * *

დგება მომენტი, როცა სიტყვები ძალზე უძლურია. დგება ენით აუწერელი მდგომარეობა... როცა სიტყვა მკვდარზე უფრო მეტად მკვდარია.

* * *

თუ არ იწრთობი, არაფერი გამოვა შენგან.

* * *

რაგინდ ოცნებებმა გაგიტაცოთ, სჯობს, სიღარიბის და სინამდვილის ირგვლივ იტრიალოთ; მიწის ოხშივარი ცხვირიდან არ მოიშოროთ.

* * *

კეთილშობილება წვრილმანებში უნდა ვეძიოთ...

* * *

ქმედებას ხომ მოჰყვება უკუქმედება. ბუნების კანონზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს დააკანონებს. რომ მოძალადე დაიღუპება, არავითარი წინასწარმეტყველება არ სჭირდება ამას.

* * *

იუმორი და კომედია ფარი და ხერხია ადამიანური ტრაგიზმისაგან თავდასაცავად და მის შესაფუთავად. ხშირად, მოცინარიც და მოტირალიც – ორივე თანაბრად შესაბრალებელია, სწორედ ადამიანური ტრაგიზმიდან გამომდინარე...

* * *

უნდა შეგეძლოს ადამიანების გახარება…

* * *

ნუ ვამბობთ, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების უმრავლესობა არის

უინტერესო, უნიჭო, უუნარო და მითუმეტეს – ბრბო..

გენიოსი შენთვის არის გენიოსი, ბუნებისთვის ყველა ერთნაირად საინტერესოა.

* * *

გაუღიმე ბედისწერას!..

* * *

კაცობა რა გგონია???

– ჭამა, ჩაცმა, დროსტარება თუ ბიოლოგიური ნიშნით კაცობა?..

* * *

დაუცველ (დამოკიდებულ) სამყაროში ადამიანთა გარკვეული კატეგორია ფსიქიკური აშლილობის ზღვართან იმყოფება. მართალია, სხვადასხვა ადამიანს ეს ზღვარი სხვადასხვა დონეზე აქვს, თუმცა დამოუკიდებლობის და თავისი ბედისწერის ფლობის შემთხვევაში ეს საზღვარი მაქსიმალურადაა დაშორებული სახიფათო ზონიდან.

* * *

შენ და დრომ უნდა დაამტკიცოთ, რომ მართალი ხარ…

* * *

მოწიფულობის ასაკში დგება პერიოდი – შეჩერების, ხელის ჩაქნევის , უიმედობის, შიშისა და დეპრესიის. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ იხსნება სუნთქვა, რომელშიც მთელი ცხოვრებაა ჩაბუდებული. ამ დროს ადამიანი გადის სოციალურ–როლური ან, თუ გნებავთ, ბედისწერით განსაზღვრული მდგომარეობიდან, წყვეტს მასთან დაკავშირებულ ცრუ თუ ნამდვილ ჯაჭვებს. თავისი მნიშვნელობა და როლი განვლილ ცხოვრებაში უმტკიცებს რწმენას გარდაუვალობისა, მისი მონაწილეობის აუცილებლობისა ზოგადსაკაცობრიო ყოფიერების უწყვეტ ჯაჭვში; თავისუფლად იძლევა განზოგადოებულ, ობიექტურ, სამართლიან შეფასებებს სიცოცხლის არსის, მიზნისა და დანიშნულების შესახებ,– უერთდება რა მარადიულ ღირებულებებს.

* * *

სანამ დეფიციტად გადაიქცეოდეს, დროზე აიღე, რასაც გთავაზობენ.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეროგია

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-7 ტომებსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№22-30-ში

თავი III

ვისაც არ აინტერესებს წარსული
მას მომავალი არ გააჩნია

ჭეშმარიტი არაძალადობრივი გამოვლინების რაობა
ემოცია ამბიცია
↓ ↓
გააპე ხე, ასნიე ქვა და შენ შეიგრძნობ
სიყვარულს და აღიქვამ ჭეშმარიტებას.

რატომ უნდა ვიფიქრო ნეგატიურად მასზე, რაც არ ვიცი?! ”ეს ხომ მხოლოდ ეჭვებს ჰბადებს და წარმოსახვით შიშებად გარდაქმნის. ძალადობა კი სწორედ ამ წარმოსახვითი შიშების დასაძლევად გამოიყენება.

Какую власть тебе дала судьба
Будь честен и придельно верен ей,
Всегда держи открытыми глаза,
Чтоб в них жестокость не открылобь дверь.

На сколько я умею я умен,
На сколько не умею, глуп на столько,
На сколько не умею, а хочу ,
На столько нетерпением заражен.
Насколько захочу узнать, что не умею,
Насколько знанием захочу снабдиться,
На столько страсть прозрением изменится,
И ум мой за ошибки извенится,

И Бога я в себя приму,
И ум мой Божей воле подченится
И сердце со спокойною душой
Дарить всем насложденне устремится.
А коль из за желания свой
Мой ум ответственность не хочет видеть,
То лучше высших сыл мне попросить
Отец и сын и Дух Святой пожалуйста
мне помогите.

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და წამალნი მათნი

ეს თავი, ძალიან უხეში ფორმატით თუ მივუდგებით, იმაზეა, თუ რა უნდა აკეთოს ადამიანურმა სხეულმა, როგორც გამოვლენილი ინდივიდუალური სულის ხილულმა, მატერიალიზირებულმა ნაწილმა.

იმისათვის რომ ამ შეკითხვას პასუხი გაეცეს, უნდა ვიცოდე რა არის ჩემი სხეული, საიდან შეიქმნა, რა მიზეზისა და მიზნისათვის. ჩემი ვარაუდით, სხეული სხვა არაფერია, თუ არა არასწორად შეფასებულ ფასეულობათა შედეგების შედეგად გაჩენილი სურვილების განხორციელების საშუალება, რათა თავად დარწმუნდეს ამ ფასეულობების შეფასების მცდარობაში. სხეული ხვდება ცხოვრების იმ სტილის, იმ მსოფლმხედველობის წარმომადგენელთა გარემოში, რომლებიც მის სურვილებს მიესადაგება. სულ თავიდან ანუ დაბადებიდან, დარწმუნებული საკუთარი მსოფლმხედველობის სრულ ჭეშმარიტებაში, სხეული სურვილების ცხოვრებაში უმტკივნეულოდ (აბსოლუტური ნებაყოფილობითობის პრინციპის დაცვით) გატარებას ცდილობს, ვინაიდან ეს ისე ბუნებრივად ეჩვენება. მართლაც გაუგებარია, თუ რა შეიძლება დაუდგეს მათ განხორციელებას წინ, მაგრამ მისი გულუბრყვილობისა და მიამიტობის გამო სხვა სხეულების მხრიდან დასაცინი ობიექტი ხდება და ნელ-ნელა მისი ფართო დიაპაზონით წარმოჩენილი ***ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები პირველ დარტყმას იღებს.***

ამის შემდეგ, სხეული ცდილობს გაიგოს რა უნდათ ამ სხვა სხეულებს, რომელთა მხრიდანაც გახდა დაცინვის ობიექტი. ის ყველანაირად ცდილობს ასიამოვნოს, რითაც ეს შეუძლია, ანუ მათი სურვილების დაკმაყოფილებით, რამეთუ მასში ურთიერთობების არაძალადობრივი პრინციპი სრულიად ბუნებრივად არის კოდირებული. მაგრამ გარემომცველი სხეულების მხრიდან ეს ინდივიდუალური აზროვნების სისუსტედ აღიქმება და ამ არაანგარებითი განწყობის ბოროტად გამოყენება ხდება „ჭკუასუსტი“ სხეულის დამცირების და საკუთარი ანგარებითი მიზნებისთვის გამოყენების მცდელობით. მაშინ სხეულისთვის კიდევ უფრო გაუგებარი ხდება ყველაფერი. ***ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები მეორე დარტყმას იღებს***, რაც უფრო ძლიერია, ვიდრე პირველი და ზემოთ აღნიშნული პრინციპების გამოჩინებისა და გამოვლინების დაუფასებლობის აზრს ნერგავს.

ამის შემდეგ სხეული თავისი ცნობიერების გარემოცვაში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი სხეულის ძებნას იწყებს და ცდილობს გაიგოს და დაინახოს, თუ რატომ გამოსდის მას საკუთარი სურვილების განხორციელება უფრო უკეთესად, ვიდრე დანარჩენებს. იწყებს ისევე მოქცევას, როგორც სხვები იმ გავლენიანთან მიმართებაში და დანარჩენებისადმი კი მათი გაგებისა და თანაგრძნობის ინტერესი ეკარგება, მაგრამ ამ ახლად გამომცხვარი იდეალის შესაცნობად ეს გარე ურთიერთობები არ კმარა და საჭირო ხდება უფრო ახლო დიაპაზონის რადიუსში მოხვედრა, რაც მისი „მსახურად“ გახდომის შედეგად ხდება. რაც უფრო დიდი სურვილი აქვს სხეულს მატერიალური თვალსაზრისით წარმატების მიღწევისა, მით უფრო დიდია მისი მონური სულისკვეთება და მით უფრო ახლო დიაპაზონში მოხვდება ყველაზე გავლენიან სხეულთან.

ეს მესამე დარტყმაა ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპებზე. იგი იმდენად ძლიერი აღმოჩნდება ხოლმე, რომ მთელ ზეციდან ჩამოტანილ მცდარ ფასეულობათა გამას ნოკდაუნში აგდებს.

აი, აქ მთავრდება პირველი ეტაპი ანუ ეტაპი არასწორად, მცდარად შეფასებულ ფასეულობებზე დადებული ვეტოს გაუქმებისა.

ამის შემდგომ იწყება ფასეულობათა გადაფასების პროცესი (მეორე ეტაპი).

ეს უკვე ცალსახად არჩეული კერპის შეხედულებებზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, როგორც კერპთათვის აღიარებული წესი, ისინი საკუთარი სხეულების კარგად ყოფნისთვის ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპების შენიღბულ ან აშკარად შეუნიღბავ დარღვევებზე დამყარებული კანონებით მოქმედებენ და ხელმძღვანელობენ.

რა თქმა უნდა, პირველეტაპდამთავრებული სხეულისთვის ეს პროცესი შინაგანი ბრძოლის, ძალადობასთან ძნელად შეგუების, აშკარა უსამართლობის ზეიმთან დაპირისპირების სურვილის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. მაგრამ დრო, როგორც იტყვიან, ყველაფერს არჩენს და ადამიანიც ყველაფერს ეგუებაო, ამასაც ამბობენ და დროთა განმავლობაში სხეული იმდენად ღებულობს საკუთარი კერპის შეხედულებებს იმ ფასეულობათა შესახებ, რის გამოც მოხდა მოვლინება, რომ ისინი მის საკუთარ შეხედულებებად იქცევიან და ის ზუსტად ისეთივე ხდება, როგორიც მისი კერპია და ძალიან ხშირ შემთხვევაში კი, მასზე უფრო ძლიერად დახელოვნებულიც.

ამის შემდგომ, ახალი რწმენითა და იმ გარემოსთვის შესაბამისი შეხედულებებით, სადაც იმყოფება ფასეულობებგადაფასებული სხეული, უკვე თვითგამოვლინებაზე იწყებს ფიქრს და თვითონ იწყებს სხვებთან მიმართებაში იმის კეთებას, რასაც ერთ დროს მისთვის მიუღწეველად მიჩნეული ვიღაც აკეთებდა. ***აკეთებს კი იმას სხვებთან მიმართებაში, რაც არ უნდა რომ სხვებმა აკეთონ მასთან მიმართებაში***. არადა თავის დროზე, როდესაც მას წარსულში ასე ექცეოდნენ სხვები, ძალიან არ მოსწონდა.

აი, ეს არის ნებისმიერი სხეულის სტანდარტული, სტერეოტიპული გზა, უკლებლივ ყველასთვის, რომლებიც სხეულს ცალსახად საკუთარ „მე“-დ აღიქვამენ და სხეულის სურვილების შესრულებას კი ერთადერთ მიზნად.

მაშ ასე... არიან უფრო იღბლიანი სხეულებიც, რომლებიც მიუხედავად პირველი და მეორე ძლიერი დარტყმისა, ნოკდაუნამდე საქმეს არ მიიყვანენ და დაიწყებენ ისეთი იდეალების ძებნას, რომლებიც იცავენ ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპებს. ჩვენდა საბედნიეროდ, მინდა გითხრათ, რომ დედამიწაზე კი არა მთელს სამყაროში არსებობენ ეს იდეალები, რომლებიც ფასეულობათა შეფასების ჭეშმარიტი ცოდნითა და ახსნით არიან შეიარაღებულნი. მთავარია, ამის სურვილი გაუჩნდეს სხეულს და ძებნა დაუწყოს და გარანტირებულად შემიძლია გითხრათ, რომ ისინი არ დაახანებენ და საკუთარ თავებს აუცილებლად აპოვნინებენ, რამეთუ სწორედ ისინი არიან ჭეშმარიტად უზენაესი ძალაუფლება. ***ეს იდეალები აკეთებენ სხვებთან მიმართებაში იმას, რაც უნდათ რომ სხვებმა აკეთონ მათთან მიმართებაში.*** ეს არის სწორედ ის, რაზეც ოცნებობდა ნებისმიერი სხეული მატერიალიზაციამდე და, თუ სხეულის მატერიალურ ფორმას ვიგულისხმებთ, მატერიალური დაბადების შემდგომ. მაგრამ როგორ უნდა შეძლოს სხეულმა საკუთარი სურვილები დაძლიოს და ამ სურვილთა მშობლის, არასწორად აღქმული ფასეულობების, გადასხვაფერება ნებაყოფილობით (საკუთარი ნების ყოფით) მოინდომოს ჭეშმარიტი იდეალების ფასეულობების, მსოფლმხედველობრივი შეხედულებების უპირობო მიღებითა და მათით ჩანაცვლებით.

მაგრამ რა ვუყოთ საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობას (ინდივიდუალურობის ღირსებად აღიარებულს), რომელიც ილახება, როდესაც ძალმომრეობისა და ძალადობის გარეშე, ნებაყოფილობით უნდა დაიპატარავო, როდესაც უნდა აღიარო, რომ ვიღაცის აზრი და შეხედულება რატომღაც უფრო მართალია, ვიდრე შენი? ჩემის აზრით, ამ წინააღმდეგობის გადასალახავად ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა არსს ჩავწვდომოდი და შემედარებინა ჩემი შეხედულებები შემოთავაზებულთან. და აქ არის კიდევ ერთი მაგრამ... ამის სურვილი რომ გამიჩნდეს, უნდა დავუშვა, რომ მე ეს ჩაწვდომა მართლა მჭირდება. ვინაიდან ამ მომენტში არავითარი პრობლემა არ მაწუხებს და თუ მაწუხებს კიდეც, ის აბსოლუტურად ყოფითია, სურვილის არავითარი ნიშანწყალიც არ მიჩნდება და უფრო მეტიც, სურვილი მიჩნდება იმისა, რომ ამაზე ტვინი არ ვიბურღო (ამას ზოგადად სიზარმაცეს ეძახიან), რბილად რომ ვთქვათ. ვგონებ, ერთადერთ მეგობრად აქ ნებისყოფა თუ იქნება, საკუუთარი ნების არასწორი ორიენტაციის მორჯულებისათვის. ისე რომ, ვისაც ნებისყოფა და მოთმინება არა აქვს, ზემოთხსენებულ იდეალებს ვერ დაუკავშირდებიან, ისინი მეტისმეტად ზარმაცები და ჯიუტები არიან ამისთვის. მათთვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა, ჩემის აზრით, ბრმა დოგმების, სიკვდილის შემდგომი სასჯელის შიშის შეგრძნების ქვეშ ყოფნა იქნებოდა.

რაც შეეხება სასჯელს სიკვდილის შემდეგ, მოგონილი ზღაპარი სულაც არ არის და მართლა იქნება, მხოლოდ ცოტა უფრო სხვა ფორმით და სხვა გამოვლინებით, ვიდრე დოგმებშია.

მაშ ასე, რა უნდა აკეთოს ადამიანურმა სხეულმა, როგორც გამოვლინებული ინდივიდუალური სულის ხილულმა, მატერიალიზირებულმა ნაწილმა:

1. ძლიოს საკუთარ სიამაყეს და დაიმდაბლოს საკუთარი თავი ჭეშმარიტ იდეალებთან მიმართებაში. **სიმდაბლე.**
2. სხვა სხეულებთან მიმართებაში დაიცვას ნებაყოფილობითობისა და არაძალადობის პრინციპები, ისე როგორც ამას აკეთებენ ჭეშმარიტი იდეალები მის სხეულთან მიმართებაში. **მოწყალება.**
3. ძლიოს საკუთარ სურვილებს, რომლებიც ძალისმიერებისა და სხვათა ნების იგნორირების ხარჯზე განხორციელების მცდელობითაა გაჟღენთილი. **უმანკოება.**
4. ძალადობით არ დაუპირისპირდეს სხვა სხეულთა სურვილებს, რომლებიც ძალმომრეობაზე და საკუთარი ან სხვა სხეულის ნების იგნორირების ხარჯზე განხორციელებაზეა გათვლილი. **სიმშვიდე.**
5. მატერიალიზირებული სხეულის საშუალებად აღიარების შემდგომ, როგორც ინდივიდუალურმა სულმა, ეცადოს, მიიღოს იმდენი ცოდნა ჭეშმარიტი იდეალებისაგან ზოგადი ცნობიერებისა და მისი შემადგენელი ფასეულობების ჭეშმარიტი არსის რაობის შესახებ, რამდენიც შეუძლია. რაც უფრო შემცირდება ინდივიდუალურ სულში მნიშვნელოვნება რაოდენობრივად და ხარისხობრივად, მით უფრო მცირე იქნება მატერიალური სხეულის ინტერესების დაკმაყოფილების მცდელობა და მით მეტი იქნება ჭეშმარიტი ცოდნის შეძენის სურვილი და შესაძლებლობა მისი მხრიდან. **მარხულობა.**
6. სხვა მატერიალურ სხეულებში არსებულ ინდივიდუალურ სულებს უნდა მისცეს იმდენი ცოდნა, რამდენიც საჭიროა მათთვის. ფაქტიურად, ამის კეთება საკუთარი ინიციატივით სასტიკად დაუშვებელია. ცოდნა უნდა მისცეს მაშინ, როცა ეს სხვა სხეულში მოთავსებულ ინდივიდუალურ სულს უნდა და იმდენი (არც ნაკლები და, მით უმეტეს, არც მეტი), რამდენიც უნდა. **სიყვარული.**
7. როგორც ინდივიდუალური სული, უნდა ესწრაფოდეს, შეიგრძნოს ჭეშმარიტი იდეალები, მოინდომოს ჩაუღრმავდეს, შეიგრძნოს ის, თუ რას გრძნობენ ისინი. ეს არის ყველაზე ღრმა, დიდი და უშუალო კავშირი. ამას მარტო ცოდნის დაგროვებით ვერავინ მიიღებს, მაგრამ ჭეშმარიტი ცოდნის დაგროვების გარეშე ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. ეს ისეთ შეგნება-შეგრძნებაზეა ლაპარაკი, როგორიც საკუთარ პირად შეგრძნებებში ხდება, რასაც მხოლოდ ის შეიძლება მიგიხვდეს, ვინც საკუთარი თავივით აღგიქვამს, ე. ი. ჭეშმარიტი იდეალები საკუთარ ნაწილად აღიქვამენ მას (თუ ეს შეძლო). **სასოება.**
8. როგორც უმეცრებიდან გამოსულმა „მე“-ს შეცნობილმა ინდივიდუალურმა სულმა, ნებისმიერი და ყველა მიმდინარე, თუ უკვე გასული ან ჯერ არ განხორციელებული (კონტაქტური მატერიალური, თუ სულიერი) ურთიერთობები საკუთარი ხედვის და აღქმის დიაპაზონში (თუ მის გარეთ), ანუ ნებისმიერი არსებული რეალობა ობიექტურ რეალობად უნდა მიიღოს და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს იდეისაგან შესაძლებელი სუბიექტური რეალობის, ანუ უსამართლობის არსებობის შესახებ. **თვითკმარობა.**

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა პლიუს ერთი და წამალნი მათნი — აი, რაზეა აგებული ეს რვა ჩამონათვალი, ვისაც ეს დააინტერესებს. მერვე კი არის ერთგვარი ჯამობრივი ცნება, რომელიც შვიდივე მათგანიდან მომდინარეობს და შვიდივე შიდა ემოციური ბუნების არსს გადმოსცემს.

1. **აქვარიცხვნება**	*სიმდაბლე*
2. **აგვარება**	*მოწყალება*
3. **სიძვა**	*უმანკოება*
4. **მრისხანება**	*სიმშვიდე*
5. **ნაყრილვანება**	*მარხულობა*
6. **შური**	*სიყვარული*
7. **მოწყურებულობა**	*სასოება*
8. **ლაჟვარეულობა**	*თვითკმარობა*

ალბათ ყველა დაეთანხმება იმ ფაქტს, რომ ყველა ეს ცნება, რაც ზემოთაა მოყვანილი, ურთიერთობების-და გამო, ურთიერთობების განხორციელების სურვილით ან ურთიერთობების შედეგად წარმოიქმნება, მატერიალურ სამყაროში მაინც, როგორც მინიმუმ. მეც ახლა ამ ურთიერთობათა წარმომშობი ობიექტების, სხეულთა ერთობლივი წარმონაქმნის, საზოგადოების ცნობიერ და უცნობ არსს შევეხები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შემეცნებითი საუბარი

მამა ამირან ამირანაშვილი



საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.
დასაწყისი ანთოლოგიის № 6-7-სა
და ჟურნალ „ათინათის“ №26-30-ში

ეკლესიის თვისება და მონყობა

მართლმადიდებლური სარწმუნოება აღიარებს „ერთი წმიდა კატოლიკე სამოციქულო ეკლესიას“

წმიდა, – იგი დაარსებულია თვით, უფალი იესო ქრისტეს მიერ და იგი მყოფობს მასში, მარადის მოქმედებს სულიწმიდა და იძლევა ნიჭებს, განწმენდს მის წევრებს და შეაერთებს ღმერთთან, როგორც სული წმიდის მადლის მფლობელი ეკლესია უცთომელია.

კათოლიკე, – იგი საყოველთაოა, ყოველი ერთისთვის იქადაგება გამოხსნის საიდუმლო. იგი არაა შემოფარგლული დროისა და ადგილის გარემოებით. იგი იარსებებს საუკუნეთა აღსასრულამდე.

სამოციქულო, – ქრისტემ თავის მოციქულებს მისცა ძალაუფლება, რომლითაც მათ დააფუძნეს ეკლესია. მოციქულთა ხელისუფლება გადაეცათ ეპისკოპოსებს. ამით შენარჩუნებულია ერთიანობა ეკლესიისა. ერთია ქრისტე – ერთია ეკლესია, ერთია მადლი, რომელიც, მრავალ ეკლესიებში მოქმედებს. მიუხედავად რომ, სამართლებრივად ეს ეკლესიები ადგილობრივ ეკლესიებს განეკუთვნებიან. ისინი განირჩევიან ეროვნული ნიშნებითაც და ტრადიციული თავისებურებებითაც. იგი არსებობდა პირველივე საუკუნეებიდან და იარსებებს მომავალშიც.

მაგრამ, თავიანთი დანიშნულებით, მიზნითა და სულიერი საზრდოთი ყველა ეს ეკლესია ერთიანია, ქმნის ამ ქვეყნიურ ეკლესიას, როგორც სულიერ მეუფებას, ეკლესიას არ შეიძლება ყავდეს ამქვეყნიური, მიწიერი წინამძღოლი, რომელშიც თავს მოიყრიდა მთელი საეკლესიო ხელისუფლება. ეს ხელისუფლება ნაწილდება ყველა ეკლესიაზე.

რწმენის ერთიანობა, ერთი საიდუმლოება, იერარქიის ცნება, ურთიერთის მიერ აღსრულებული საიდუმლოებათა აღიარება, სულიერი ერთობა და ურთიერთპატივისცემითი დამოკიდებულება, კანონებისა და საეკლესიო პრაქტიკის პატივისცემა, წარმოადგენს მსოფლიო ეკლესიის ერთიანობას.

ყველაზე დიდი ავტორიტეტი ეკლესიოლოგიურ სწავლებაში – კიპრიანე კართაგენელი განმარტას: კათოლიკე ეკლესია ერთია, განუყოფელი და დაუნაწევრებელი, შეერთებული იერარქთა კავშირით“. იგი ეკლესიას უფლის კვართს ადარებს. „ერთიანობის ეს სიწმინდე საკვრელი განუყოფლად შეკავშირებული თანხმობისა, სახარებაში ცხადდება იმით, რომ კვართი უფლისა, იესო ქრისტესი არანაირად არ ნაწილდება, არც იხევა, არამედ ქრისტეს სამოსზე წილისყრის ჟამს (კვართი) მიიღება, როგორც მთლიანი სამოსი და მფლობელობაში გადაეცემა დაუზიანებელი და დანაწილების გარეშე – კვართი მატარებელი იყო იმ ერთიანობისა, რაც მოდის ზეციდან ანუ ციდან და მამისაგან და რაც არასგზით არ შეიძლებოდა დარღვეულიყო მიმღებლისა და მფლობელის მიერ, არამედ იგი განუყოფლად იცავდა ერთობლივად მთლიან და მკვრივ სიმტკიცეს, ქრისტეს. შესამოსლის ფლობა არ ძალუძს მას, ვინც არღვევს და ყოფს ქრისტეს ეკლესიას“.

ეკლესიის წევრობა

ეკლესია არის ღვთივდადგენილი საზოგადოება, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან მართლმადიდებელი რწმენით, საღვთო სჯულითა, იერარქიითა და საიდუმლოებებით.

ეკლესიის დამფუძნებელმა იესო ქრისტემ, მოციქულებს მიანიჭა ერთნაირი, თანაბარი ძალაუფლება, ხოლო თავის თავს როგორც აღმატებულს უწოდა „მწყემსი კეთილი“ (იოანე 10.14) ამიტომ, მოციქულთა შორის (ქრისტეს აღთქმის მიხედვით: მარკ. 10.42-44) ძალაუფლებაში პირველობა არ იყო, ასევე, არ არის და არც შეიძლება იყოს ეპისკოპოსთა შორის. რომელ კათედრაზეც არ უნდა იყვნენ დაგენილნი, ისინი თანასწორნი არიან ღირსებითა და საკრამენტალური უფლებებით.

ეკლესია, რომელიც ქრისტეს სხელულია, ხოლო თავი თავად ქრისტე, შედგება წევრებისგან — ძმებისგან, რომელთაც თანაბრად ეძლევათ შანსი, საშუალება დაიმკვიდრონ ცათა სასუფეველი. პეტრე მოციქულის თქმით: „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილ-

ხვდომილი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან, თავის საკვირველ სანთლისკენ მოგვიხმობთ. (1 პეტრე 2.9) ეკლესიის წევრები ერთიანდებიან არა ეროვნების, ენის ან წოდების ქვეშ, არამედ ერთი რწმენისა (ეფეს. 4.5) და ერთი სულიერი სიცოცხლის (იოანე 11.25) ქვეშ.

ეკლესიის მადლმოსილ, ცოცხალ ორგანიზმში განწევრიანება იწყება ნათლისღებით, როგორც შობით ადამიანი იწყებს მოქალაქეობას, ისე „მეორედ შობით“ (იოანე 3.3-7) იწყებს სულიერ, საეკლესიო ცხოვრებას. ისევე როგორც, ეთხელ იშვება ადამიანი, ერთხელვე ინათლება (ეფეს. 4.5).

ნათლისღება

„საეკლესიო სამართლის სფეროში ნათლობას აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო სამართალში ფიზიკურ დაბადებას“ (პავლოვი).

მართლმადიდებლური წესით აღსრულებული ნათლობის საიდუმლო არ შეიძლება განმეორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მღვდელი ექვემდებარება სასჯელს. მეორედ ნათლობა დაუშვებელია (მოც. 47 კანონი).

ნათლისღება არ მეორდება, მათზე ვინც განეშორა ეკლესიას და გარკვეული დროის შემდეგ ნანობს ჩადენილ საქციელს. იგი პირდაპირ (აღსარების წარმოთქმით და მღვდლის მიერ შენდობის ლოცვების წაკითხვით) უერთდება ეკლესიას, რამეთუ ნათლობის საიდუმლო არ განქარდება, არ წარიხოცება.

თუ, კი ადამიანს არ ახსოვს იყო თუ არა მონათლული ბავშვობაში (და არ ყავს ნათესაობა მოწმის სახით), მაშინ რათა თავიდან ავიცილოთ განმეორებითი ნათლისღება, საიდუმლოს ლოცვისას ემატება სიტყვები, „უკეთუ არა არს ნათელღებულ“ (ტრულის კრების 84-ე კანონი).

ნათლისღება უნდა აღსრულდეს ტაძარში. (ლაოდიკიის 48; ტრულის კრების 59-ე კანონი) გამონაკლისი დაშვებულია აუცილებელი შემთხვევისას და ეპისკოპოსის ნებართვით. (ტრულის კრების 31-ე კანონი). თანხმობა იმ შემთხვევაში არ არის საჭირო, თუ მოსანათლს ემუქრება სიკვდილი.

მართლმადიდებელ ოჯახში ბავშვები ინათლებიან ადრეულ ასაკში. რაც შეეხებათ დიდებს, მათ სათანადოდ უნდა გაიარონ კათაკმეველთათვის ეკლესიის მიერ დადგენილი პერიოდი.

დაუშვებლად განუვითარბელნი, ვერ ფლობენ თავიანთ ნებას, გამონაკლისია შემთხვევა, როცა მათ ემუქრებათ სიკვდილის საშიშროება. (2 ტიმ).

ნათლისღებისას მოსანათლს თან ახლავს ნათლიები (მიმრქმელები), რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნათლულის სულიერ აღზრდაში. თუ მოსანათლი ბავშვია, ან ავადმყოფი, ან მეტყველებას მოკლებული, მაშინ ნათლია ვალდებულია მათ მაგივრად წარმოთქვას სიმბოლო სარწმუნოებისა და სათანადო პასუხები — (კართაგენის 54-ე წესი).

ნათლისღება აღესრულება ეპისკოპოსის ან მღვდლის მეირ (მოციქულთა 46; 47 კანონები), ფორმულა ნათლობისა მოცემული გვაქვს წმ. წერილში: „წარვედით და მოიმოწაფენით და ნათელს სცემდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება ადამიანის ხსნის აუცილებელ მდგომარეობას (მომაკვდავის) მონათვლა შეუძლია ყველა ქრისტიანს განურჩევლად სქესისა. (იხ. „მართლმადიდებლური აღმსარებლობა), შემდეგი წესის გათვალისწინებით: მომაკვდავს უნდა გააჩნდეს ნათლისღების სურვილი. ნათლობის ფორმულა აღესრულება შემდეგი თანმიმდევრობით: ნათელს იღებს მონა ღვთისა, ან მხევალი ღვთისა (სახელი) სახელითა მამისათა (შთაფვლა წყალში, ან დასხმა წყლისა), და ძისათა (კვლავ შთაფლვა, ან სხურება), და სულისა წმიდისათა (კვლავ შთაფლვა, ან სხურება).

მართლმადიდებელი ეკლესია გმობს კათოლიკე პრაქტიკას: მოუნათლავის მიერ ნათლობის „აღსრულებას“ და თვითნათლისღებას. დაუშვებელია არაქრისტიანისაგან ნათლობა.

თუკი მომაკვდავი გადარჩება, გამოჯანმრთელდება, მაშინ მღვდელმა უნდა შეავსოს საიდუმლო ლოცვები მღველდმოქმედებით, ყოველივე, ფორმულის გარდა. მირონცხება აღესრულება ნათლობის შემდეგ. მღვდლის დაუდევრობით მოუნათლავის გარდაცვალება საშინელი ცოდვაა მღვდლისთვის.

თუკი ადამიანი გარდაიცვლება მოუნათლავი, მღვდელის უყურადღებობის გამო, იგი ექვემდებარება სასჯელს. (იხ. ნომიკანონი გვ. 68).

მონათვლამდე მოსანათლი კათაკმეველია, ღვთისმსახურებას ესწრება, მხოლოდ ლიტურღიაზე კათაკმეველთა კვერექსის შემდეგ ტოვებს ტაძარს.

კათაკმევლების ინსტიტუტი უძველესი სამოციქულო ტრადიციაა ეკლსიაში. ადრექრისტიანულ ეკლესიებში არსებობდნენ კატეხიზატორული სკოლები. კატეხიზაცია სავალდებულოა დღესაც. ძველად კათაკმეველები ინათლებოდნენ დიდ შაბათს და მონათლულები ხვდებოდნენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ნათლობა სიმბოლოა დამარხვისა და აღდგომისა, ძველი ადამიანის მოკვდინებისა და ახლის, ქრისტეს ნათლით შემოსილი ადამიანის დაბადებისა. ქრისტეს ნათელთან ზიარება უპირველესად ხდება ცნობიერებაში, შემდეგ იგი გამოიხატაება წყლით ნათლობაში, რომელსაც თან ახლავს უხილავი საიდუმლოებითი მხარეც. ავადმყოფობის შემთხვევაში ნათლობა არ ფერხდება.

ნათლობაზე არ დაიშვებიან — გონება სუსტნი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათი ავადმყოფობა იძლევა გარდაცვალების საფუძველს. ან შეიძლება მოინათლონ სხვათა თავდებით.

მიმრქმელი არ შეიძლება იყოს მოსანათლი მშობელი; ბერები; მცირეწლოვანნი; სხვა სარწმუნოების მიმდევარნი. ცოლ-ქმარი არ ნათლავს ერთიდაიგივე პირს უძველესი ტრადიციის თანახმად ქალი ნათლავს გოგონას, ხოლო მამაკაცი ვაჟს.

და ბოლოს, ნათლიას (მიმრქმელი) აუცილებელად უნდა იყოს მართლმადიდებელი

ეკლესიაში შემოერთება

ნათლისღების გარდა, არსებობს მართლმადიდებლურ ეკლესიაში გაწევრიანების სხვა საშუალებაც, მაგრამ იგი დაშვებულია მხოლოდ მათთვის, რომელნიც მოინათლნენ მართლმადიდებლური ეკლესიის გარეთ. განარჩევენ მწვალებლობიდან დაბრუნებულთა სამი სახის შემოერთებას. მათ შესახებ საუბარია: I მსოფლიო კრების VIII და IX კანონებში: ბასილი დიდის I წესში, II მსოფლიო კრების VII წესში. კართაგენის კრების 68-ე კანონში.

პირველი წესით, ნათლობით, მიიღებიან უკიდურესი ერეტიკოსები: პავლიკიანელები, ევრონომანელები, საბელიანელები, მონტანისტები და ისინი ვინც არ იყვნენ მონათლულები.

მეორე წესით, მირონცხებით მაკედონიანელები, ნოვაციაველები, არიანელები, აპოლინარელები.

ტრულის 95 კანონით — არიანელებს, მაკედონიანელებს, საბატიანელებს, ნოვაციანელებს, რომლებიც თავიანთ თავს წმიდანს უწოდებენ, აგრეთვე ორმოცი დღის მიმდევრებს, ანუ ტეტრატიდებს და აპოლიანერებს ხელწერილთა და ცთომილების დაგმობის შემდეგ მიიღებიან წმიდა მირონის ცხებით, რაც შეეხება, ვენიმონელებს, რომლებიც ერთხელ შთაფვლით ინათლებიან, მონტანისტები.

მესამე წესით — სინანულით — ნესტორიანელები და მონოფიზიტები.

სხვა ეკლესიები ტრულის კრების შემდგომ რომ გამოეყვნენ ასეთი პრაქტიკით მიიღებიან: კათოლიკები, თუ ისინი მირონცხებულნი არიან, მესამე წესით.

გარდაცვლილთა საეკლესიო უფლება-უნარიანობა

მართლმადიდებლური სარწმუნოებით აღსრულებულნი ითვლებიან ეკლესიის წევრებად. ამის გარდა, საეკლესიო უფლება-უნარიანობას კარგავენ ისინი, რომლებიც განუდგნენ ეკლესიას და ისინი რომელნიც მიეცნენ ანათემას, მაგრამ ორივე შემთხვევაში საეკლესიო უფლება-უნარიანობის დაკარგვა მათთვის არ ატარებს უპირველეს ხასიათს, ნათლისღების პროცესი, ბეჭედი წარუხოცელია. ამიტომ ეკლესიიდან განდგომილსაც და ანათემირებულსაც, უფლება ეძლევა შემოუერთდეს ეკლესიას სინანულის გზით. ამისთვის კი ისინი არ საჭიროებენ ხელმეორედ ნათლისღებას.

ეკლესიის შემადგენლობა

ზეციურ სასუფეველში შესასვლელად ეკლესიის ყველა წევრი თანასწორია ხსნისუნარიანობაში, შესაძლებლობაში: „და როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ისე ეკლესიის წიაღში ყოველ წევრს თავისი დანიშნულება გააჩნია (I კორ. 12. 406).

ეფესელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეში ნათქვამია:

„მან დააყენა ერთნი მოციქულებად, მეორენი წინასწარმეტყველებად. ზოგნი მახარებლებად, ზოგნი მწყემსებად და მოძღვრებად, რათა სრულვყოთ წმინდანი მსახურების საქმისათვის, ქრისტეს სხეულის აღსაშენებლად, ვიდრე ყოველნი მივაღწევდეთ რწმენის ერთიანობას და ღვთის ძის შემეცნებას სრულქმნილ კაცად, ქრისტეს სრული ასაკის ზომის, რათა აღარ ვიყოთ ბავშვები, რომელთაც არყევს და იტაცებს მოძღვრების ყოველგვარი ქარი ადამიანთა ცბიერებით, ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით, ყოველივე ამისდა მიუხედავად, ჭეშმარიტებას სიყვარულის მთქმელნი ყველაფერში უნდა ვიზრდებოდეთ, მის მიმართ, ვინც არის თავი — ქრისტე, ვის მიერაც მთელი სხეული, შენაწევრებული და შემტკიცებული ყოველნაირი მაცოცხლებელი კავშირების საშუალებით, სხეულის თითოეული ასოს ზომიერად მოქმედებით იზრდება თავისი თავის სიყვარულში აღსაშენებლად. (ეფეს. 4.11-16).

ეკლესიის წევრები ორ ძირითად ნაწილად არიან გაყოფილნი: პირველ ჯგუფს შეადგენენ სულიწმიდის მიერ მწოდებულნი და დადგინებულნი საკელესიო მსახურების აღსასრულებლად, რათა მათ იზრუნონ ტაძრის შინაგან მოწყობა-აღმშენებლობაზე — ისინი არიან კლირიკოსები. მეორე ჯგუფს შეადგენენ საერონი, რომლებიც, ასევე, ითვლებიან საეკლესიო ცხოვრბის თანამონაწილეებად. ისინი მოქმედებენ, მოღვაწეობენ მხოლოდ ღვთის მსახურის (მოძღვრის) კურთხევით, როგორც წესი ტაძრის გარეთ. ასევე, ღვთისმსახურის არჩევანით (გამორჩევით) – საეკლესიო მართვაში.

აღმოსავლეთის პატრიარქები 1848 წლის 6 მაისის საერთო ეპისტოლეში წერდნენ, რომ „თავად ეკლესიის სხეული ე.ი. „თავად ერი“ არის „მცველი მადლმოსილებისა“. ამით მათ გამოთქვეს მართლმადიდებლური სწავლების მთავარი ჭეშმარიტება, განსხვავებით კათოლიკეთა თეოკრატიული და კლირიკალური დოქტრინისა, სადაც ეკლესიის ერთიანი სხეული გაყოფილია 2 ეკლესიად — მასწავლებლებად და მოსწავლეებად, რაც მართლმადიდებლობისათვის მიუღებელია.

იერარქია და ხელდასხმა

მაღალი და დაბალი ჩინის კლირიკოსები

უძველეს პერიდოში — უპირველესი თვისება სამღვდელო კანდიდატისათვის ქადაგების უნარი უნდა ყოფილიყო. მსგავსად მოციქულებისა, რომლებიც იყვნენ მასწავლებლები რწმენის საქმეში „წარვედით და მოიმოწაფენით“. საამისოდ ეკლესია დღიდან დაარსებისა ზრუნავდა და ამას ანხორციელებდა უპირველესად იერარქიული მოწყობითა და უხუცესთა წინამძღოლობით.

ადრექრისტიანულ ეპოქაში გახსნილი იყო — კატეხიზტორული სკოლები, მაგალითად, ეფესოს, ალექსანდრიის და ა.შ. კონსტანტინე დიდმა სპეციალური კანონი გამოსცა ქრისტიანული სკოლების ხელშესაწყობად. ეპისკოპოსები მოვალენი არიან ზრუნავდნენ კლირიკოსთა და მრევლის განათლებაზე. ამის გარეშე ძნელი იქნებოდა მოძღვრების გამრავლება და ერის ქრისტიანული აღზრდა. უმთავრესი საგანი შესწავლისათვის წმ. წერილი იყო. გარდა საღვთისმეტყველო განათლებისა სამღვდელო კანდიდატებს მოეთხოვებოდათ საერთო განათლებაც. ერთი მხრივ საჭირ იყო საერთო ხალხში მღვდლის სახელის წარმოჩენა (განათლებულობა) და მეორე მხრივ წინააღმდეგობა შესძლებოდა ცრუ სწავლებისადმი. ამიტომ, საეპისკოპოსო კათედრებთან გახსნილი იყო სემინარიები. ხოლო სადაც არ იყო სემინარიების გახსნის საშუალება, იქ მონასტრები ასრულებდნენ საგანმანათლებლო ფუნქციას. მონასტრები ყოველთვის იყო საგანმანათლებლო ცენტრი.

სამღვდელოება ვალდებულია გაცნობილი იყოს, მისი თანამედროვე კულტურის მონაპოვარისადმი. ადრეც და ამჯერადაც საღვთისმეტყველო სწავლების პროცესი დაქვემდებარებულია საკელესიო ხელისუფლებისადმი, რომელიც ახორციელებს სასურველ პროგრამებს. ამოწმებს სწავლების ხარისხს და იძლევა შესაბამის საბუთს განათლების შესაბამისად.

შესაბამისად მომზადებული კანდიდატი სამღვდელო ხარისხის სამ საფეხურს გაივლის: საეპისკოპოსოს; სამღვდელო და დიაკვნის ხარისხებს.

ეპისკოპოსები — მოციქულთა შთამომავლები არიან, რომელთაც გააჩნიათ ურღვევი (ჯაჭვური) კავშირი მათთან ხელდასხმის გზით. ისინი არიან მწყემსმთავარნი, ყოვლად უსამღვდელოესნი და თავიანთი ეკლესიის (ეპარქიის) განმანათლებლები. წმ. იოანე დამასკელის სწავლებით მათ აბარიათ ეკლესია.

პრესვიტერი — ეპისკოპოსისგან იღებს ძალაუფლებას და აღასრულებს ყველა მღვდელმოქმედებას, გარდა ხელდასხმისა, ოდიკის კურთხევისა, ხიროთესიისა და მირონის კურთხევისა. იგი მორწმუნე ერს ასწავლის სარწმუნოებრივ დოგმატებს და იღწვის მათი მადლმოსილებისათვის.

დიაკონი – ეხმარება ეპისკოპოსს და მღვდელს მსახურების აღსრულებაში. მონაწილეობს წმიდა მღვდელმოქმედებაში ტრაპეზის წინ.

მოციქულთა 39-ე კანონის თანახმად „მღვდლები და დიაკვნები ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე არაფერს წყვეტენ, რამეთუ მას აბარია ეკლესია და მათ სულებზე ის არის პასუხისმგებელი“.

მაღალ წოდების კლირიკოსები (დიაკვნები, მღვდლები, ეპისკოპოსები), ღვთისმსახურები, სამღვდელო მადლს იღებენ ხელდასხმით.

დაბალი ჩინის კლირიკოსები (იპოდიაკვნები, მედავითნეები, მგალობლები) მსახურებაზე დგინდებიან ეპისკოპოსის ხელდადებით (ხიროთესიით) ტაძარში და არა უშუალოდ ტრაპეზის წინ. ისინი ტაძარში თანამსახურებენ მაღალი წოდების კლირიკოსებთან ერთად ღვთისმსახურებისას.

ხელდასხმა ხდება საკურთხეველში. დაბალი ჩინოსნები, კლირიკოსები, მედავითნე, მგალობელი, იპოდიაკონი კი ხიროთესიით დადგინდება ტაძარში.

(გაგრძელება იქნება)

დიდი მოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა

(დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ № 26, 27, 30-ში)

ვინაიდან საავადმყოფოში ჩემი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა, ექიმმა მარტინმა ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოდან სახლში გადამიყვანა და ერთი თვე შინ მკურნალობდა. აღვიდგინე ჯანმრთელობა... ვერ მკლავენ, რადგანაც ღმერთი ჩემთან არს!

ალბათ, იკითხავთ: რა გახდა ამ კაცის თავიდან მოშორებაო. იქნება ამაში ჩემი მართებული რეაგირებები უშლიდათ ხელს? მე ხომ ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ მომხდარზე საქმის კურსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ვაყენებდი?!

ნამიბიის რესპუბლიკიდან სამხეთ აფრიკის რესპუბლიკაში გავემგზავრე. შესანიშნავი ტრანსაფრიკული გზა კალაჰარისა და ნამიბიის უდაბნოებზე გადის. პაპანაქება, ხენეში სიცხე, ხვატი, უკიდეგანო ბაითალმანობა – ალბათ, ამ დიდ მანძილზე დაუსახლებელ ადგილებში არასოდეს დაუდგამს ფეხი უფალს... ყოველწლიურად მიწევს გზის უგრძესი მონაკვეთების გავლა.

როგორ ვიტანდი?

მდინარე... ნარინჯისფერი ხიდით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გადავდივარ, ვინდჰუკიდან კეიპთაუნამდე დაახლოებით 1600 კმე-ზე მეტი გავიარე. მთელ ამ გზაზე 11-12 დღის განავლბაში თანხვედრი მიმართულებით მისწრებდნენ მსუბუქი მანქანები, რომლებზეც ორი-სამი ველოსიპედი დაემაგრებინათ, სად მიდიოდნენ?..

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა განსხვავებულია მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფოსაგან. ალბათ საინტერესოა – რით?.. ქვეყანა ძალიან თავისებური რელიეფისაა. უმდიდრესია ფლორითა და ფაუნით. ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა უნივერსიტეტების პროფესიული და სტუდენტთა მომზადების მაღალი დონით... კდიევ სხვა რამეებითაც! ... მისმა მდებარეობამ განსაზღვრა ჩემი არჩევანი – აქ გამემართა მოგზაურობების ორბიტული ცენტრი. ამ ე. წ. ცენტრიდან სამჯერ გავედი სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ და დავბრუნდი უკან. თვით იოჰანესბურგში 45 დღე დავყავი უწყვეტად. თუ რისთვის, ამას ამ ქვეყნისადმი მიძღვნილ წიგნში წაიკითხავთ.



საინტერესოა, თუ რა პირობებში მომწამლეს ქართულ ოჯახში. ამას ასე დაზუსტებით შექმნილი სიტუაციის მრავალგზის ანალიზის საფუძველზე ვამბობ. უინტერესო როდია სამხრეთ აფრიკელის ფერმაში ცხოვრებაც. იოჰანესბურგში ჩემი ყოფნის დროს, თითქმის მთელი 45 დღის განმავლობაში, ფიტნეს კლუბში ევროპის ექვსგზის ჩემპიონთან, „მისტერ უნივერსუმის“ კონკურსში გამარჯვებულთან ერთად ვივარჯიშე.

ვინ დაინტერესდა ჩემი სპორტული ვარჯიშების ჩაშლით და როგორ მოახერხეს ეს?

საინტერესოა, როგორ მოვიპოვე ბრილიანტების შემცველი 3 ვედრო მადანი?..

მრავალი სახიფათო ადგილის გავლა მომიწია, მოვყევი ბუნებრივ კატალიზმებშიც... საყურადღებო, ზღვა ინფორმაცია დამიგროვდა, რასაც, იმედია, მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს...

შემდეგ...

ლესოტოს სამეფო. ეს ციცქნა ქვეყანა ცნობილია მთიანი რელიეფით, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტორსადგურით და ... დიდებული უნივერსიტეტით, სადაც შეხვედრაც კი მომიწყეს. ამ სამეფოში ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტიაა, დედაქალაქი მასერე ბევრი რამითაა მიმზიდველი...

ურთულესი გზები ბოცვანის რესპუბლიკაში. იგი აფრიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოა. ერთ სულ მოსახლეზე ამ ქვეყანაში საერთო ნაციონალური პროდუქტი უფრო მეტი მოდის, ვიდრე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში... თუ როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებებს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ამას მომავალში გაიმბობთ.

გავიარე აპაჰარის უდაბნო და სავანები, სადაც 22000 სპილო, 2000-ზე მეტი ლომი და სხვა მრავალი მტაცებელი ბინადრობს. დავუახლოვდი ბევრ საინტერესო პიროვნებას.... დედაქალაქი გაბორონე არა მარტო ადმინისტრაციული არამედ ეკონომიური, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრია.

ზიმბაბვეს რესპუბლიკა...

ბულავაიო-ლივინგსტონის გზაზე აფთრების თავდასხმის მცდელობა..

ფანტასტიკური ჩანჩქერი ვიქტორია...

შეხვედრა მუგაბეს მომხრეებთან...

სამწუხაროდ, შევესწარი აშენებული სახელმწიფოს იავარქმნას...

შესანიშნავი ხარარე და სხვა სადამახსოვრებელი შეხვედრები...

ლივინგსტონის ხიდით ზიმბაბვეს რესპუბლიკიდან ზამბიაში გადავდივარ. ვიქტორიას ჩანჩქერი აქეთა მხრიდანაც ფანტასტიკურია. მდინარე ზამბეზი... ურთულესი გზა ლუსაკასაკენ...

წარმოუდგენელი სიღარიბე. გადავურჩი დახრჩობას... ამ ქვყნის ერთ-ერთი ძირითადი პარტიაა „დღის უწყება ზიმბაბვესათვის“. ყურადღებას იპყრობს დედაქალაქი ლუსაკა... ზიმბაბველთა კულინარია არა მხოლოდ გურმანებს, არამედ ყველა მკითხველს დააინტერესებს.

მოზამბიკის რესპუბლიკასი, ქ. ბეირაში ჩავედი. სად მოვეწყვე, იცი? ალბათ, არა? შესაძლოა თქვათ; რაში გვაინტერესებს. არადა, უდავოდ საინტერესოა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე

საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში

123. ბარძემაშვილი, ზ. ბატონო რედაქტორო! [ქუთაისის სატუსაღოში წიგნსა-ცავის დაარსების საკითხი] // დროება, 1885, N 26, 5 თებ.

124. ბაქრაძე, დიმიტრი. ბიბლიოთეკა თავად ნიკოლოზ სამეგრელო [ბიბლი- ოთეკის ზოგადი აღწერა. გრიგოლ დავითის - ძე გურიელის მიერ ნაპოვნი X საუკუნის სახარება] // გროება, 1885, N 85, 23 მაისი.

125. „გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო...“ [გეოგრაფიული საზოგადო-ების ბიბლიოთეკიდან იშვიათი წიგნების გატაცების შესახებ] // დროება, 1885, N 160, 27 ივლ.

126. [დადიანი, ნ. დ.] თავადი მეგრელისა. კნიაზო ვასილ! [წერილი ვასილ მაჩაბელს ბიბლიოთეკის შეწირვის შესახებ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის“. აქვე რედაქციის ცნობა, რომ კატალოგი შეუდგენია აკაკი წერეთელს სამეგრელოს თავადის მინდობილობით] // დროება, 1885, N 60, 19 მარტი ._ გვ. 1-2.

127. ერთი ქუთაისის სატუსაღოს ტუსაღთაგანი. ბატონო რედაქტორო! [ბიბლიოთეკის დაარსება ქუთაისის სატუსაღოში და ამასთან დაკავშირებით თხოვნა წიგნებისა და ჟურნალების შემოწირულობის სესახებ] // დროება, 1885, N 10, 13 იანვ.

128. [ზარაფიშვილი, ილ.] ნადიკვრელი. ი. პ. როსტომაშვილის მოსარჩლე კორესპონდენტს ... [თელავში წიგნთსაკითხავის გახსნის შესახებ] // დროება, 1885, N 109, 26 მაისი.

129. თელავის სტუმარი. პროვინციალურ ახალგაზრდობაზედ. თელავის სამკითხველოს გამო წერილი რედაქციისადმი // დროება, 1885, N 81, 18 აპრ.

130. მართლა, რომ მეფური შემოწირულებაა [ნ. დ. სამეგრელოს თავადის (დადიანის) მიერ წიგნსაცავის შეწირვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“] // დროება, 1885, N 60, 19 მარტი.

131. მართლმადიდებელი სასულიერო სასწავლებლის წესდება [§ 89. წიგნთ-საცავის წესდება] // მწყემსი, 1885, N 20, 15 ოქტ.

132. მატიანე საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა [ზ. ჭიჭინაძის მიერ წმ. ნინოს მონასტრის წიგნსაცავში ხელნაწერი წიგნის „საუნჯეს“ აღმოჩენა] // მწყემსი, 1885, N 2 ._ გვ. 13.

133. ნადიკვარელი. ი. პ. როსტომაშვილის მოსარჩლე კორესპონდენტს... წერი-ლი რედაქციისადმი. „დროების“ მე-85 ნომერში დაბეჭდილი წერილი „მოწაღ-მართე დასი თელავში“. წიგნსაცავის გახსნა] // დროება, 1885, N108, 25 მაისი.

134. პარიჟელი ქართველი მოსწავლეები. „ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით...“ [ქართული წიგნების შეწირვა პარიზელ ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკისათვის] // დროება, 1885, N 119, 7 ივნ. ._ გვ. 3.

135. ჟურნალ გაზეთთაგან [გაზეთ „დროებიდან“ გადმობეჭდილი დავით ბაქრაძის სტატია ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკის სესახებ] // მწყემსი, 1885, N 10 ._ გვ. 13-14.

136. როსტომასვილი, ი. პ. მოწაღმართე დასი თელავში (იხ. „დროება“ NN 108 - 109) წიგნთსაკითხავი [თელავში წიგნთსაკითხავის დაარსების შესახებ] //დრო-ება, 1885, N 123, 12 ივნ.

137. უგანათლებულესის თავადის ნიკოლოზ დავითის -ძის დადიანის მიერ ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი შემო-წირული წიგნთა სია // ივე-რია, 1885, N 12 ._ გვ. 89-97.

138. ფანცხავა, რომანოზ. წერილები რედაქტორთან [ზ. ა-ძეს ჯორჯაძის ღვი-ნის სარდაფთან გამართული ქართული წიგნების პატარა ბიბლიოთეკა] // დრო- ება, 1885, N 23, 30 იანვ.

139. ფირცხალავა, დომენტი. ამ დღეებში [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“ გაგზავნილი სხვადასხვა ქართული წიგნები გულეკარის სახალხო სკოლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ] // დროება, 1885, N 95, 5 მაისი

140. ფირცხალავა, დომენტი. შენიშვნა [სოფელ გულეკარის (სენაკის მაზრა) სკოლასთან არსებული ბიბლიოთეკა] // დროება, 1885, N 135, 26 ივნ.

141. [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საქმეთა წარმოება. 1884 წ. 15 მაისიდან 1885 წ. 15 მაისამდე [თბილისი 1885 წ. ._ 16 გვ. (20x13), [ფ. ა.].

142. შენიშვნა [სოფელ მეტეხის სკოლის მასწავლებლის ზ. გულისაშვილის საქმიანობა. ხალხში წიგნის კითხვის დიდი სურვილი და წიგნთსაკითხავის დაარსების საჭიროება გორში] // დროება, 1885, N 47, 2 თებ.
143. შინაური ამბები. თელავიდან გვწერენ [ქართული წარმოდგენის გამარ-თვა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ] // თეატრი, 1885, N 1, 14 ივლ. .- გვ. 12.
144. შინაური ქრონიკა [თელავის „საზოგადო წიგნთსაკითხავის“ გახსნა] // დროება, 1885, N 40, 21 თებ.
145. შინაური ქრონიკა[სოფელ ველისციხეში ორკლასიან სასწავლებელთან ქართული წიგნთსაკითხავის დაარსების განზრახვა] // დროება, 1885, N140, 3 ივლ.
146. „წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობის წევრნი...“ [ნ. დ. სამეგრე-ლოს თავადისაგან შემოწირული ბიბლიოთეკის ჩამოტანა თბილისში] // დრო- ება, 1885, N 72, 6 აპრ.
147. ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა- დოების“ საქმეთწარმოებისა. საზოგადოების წიგნთსაცავი // ივერია, 1886, N143, 4 ივლ.
148. ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა- დოების“ საქმეთწარმოებისა. შემოწირულებანი საზოგადოების სასარგებლოდ // ივერია, 1886, N 146, 8 ივლ.
149. ახალი ამბავი [ბიბლიოთეკის დაარსების განზრახვა რუისის სკოლასთან. მასწავლებელ ნ. საძაგლიშვილის მიერ წიგნების შგროვება] // ივერია, 1886, N 159, 24 ივლ.
150. ახალი ამბავი [თბილისის მეტეხის ტუსაღების ბიბლიოთეკისათვის შემოწირული წიგნების სია] // ივერია, 1886, N 35, 13 თებ.
151. ახალი ამბავი [თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დროებით დაკეტვის შესახებ] // ივერია, 1886, N 163, 29 ივლ.
152. ახალი ამბავი [კონცერტის გამართვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. მუზეუმის და ძველი ხელნა-წერთა ბიბილიოთეკის ფონდებით შევსება] //ივერია, 1886, N 254, 12 ნოემბ.
153. ახალი ამბავი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკისათვის ბ-ნ ვასილ ოქონელისაგან შემოწირული ძველი ხელნაწერი წიგნი ვახტაგ მეფის კანონებისა] // ივერია, 1886, N 201, 18 სექტ.
154. ახალი ამბავი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიისა და ბიბლიოთეკის გადატანა ფრეილინის ქუჩაზე] // ივერია, 1886, N 133, 22 ივნ.
155. ახალი ამბავი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცავისათვის ძველი ხელნაწერი წიგნის „ეფუთის“ გადაცემა] // ივერია, 1886, N 177, 15 აგვ.
156. ახალი ამბავი [„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ძველი წიგნების წიგნთსაცავი // თეატრი, 1886, N 17 ._ გვ. 175-176.
157. ახალი ამბები და შენიშვნები [... საიმპერატორო საზოგადოების წიგნთ-საცავში დაცული XII საუკუნის სახარების მხატვრობა ქართული ხელოვნებით შესრულებული. იმავე წიგნთსაცავისათვის საბინინის მიერ შეწირული XII საუ-კუნის ქარტული სახარება] // მწყემსი, 1886, N 19. _ გვ. 10-11.
158. „ბ-ნიალექსანდრე მაისურაზე გვთხოვს, რომ შემდეგი წერილი დავუ-ბეჭდოთ...“ [დავით ამირიძის ქართული ხელნაწერების ბიბლიოთეკა. ე. ხელაძის და ი. ჭყონიას მიერ უდიერი მოპყრობა იქიდან წაღებული ხელნაწერებისადმი] // // ივერია, 1886, N 125, 14 ივნ.
159. [ბახტაძე] ხონელი ილია. საკვირაო სხარტალა ... რა მოუვიდა ტფილი-სის გეოგრაფიის საზოგადოებას... [ამ საზოგადოების ბიბლიოთეკის განადგურება მისი გამგის, Φაბიანის მიერ] // ივერია, 1886, N 204, 21 სექტ.
160. გამრეკელი, ს. წერილი რედაქციის მიმართ /მადლობის გამოცხადება მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტებისადმი, რომლებმაც შემოსწირეს ქარ-თული წიგნები სოფელ ხელთუბნის სკოლის ბიბლიოთეკას] // ივერია, 1886, N156 , 17 ივლ.
161. ესევე გამგეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა [მადლობას უცხადებს თამარ სარაჯიშვილისას ორი ხელნაწე- რის, დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ და „კარაბადინის“ შემოწირვის გამო] // // ივერია, 1886, N 133, 22 ივნ.
162. თბილელი. თბილისიდგან [ძველი წიგნების და ხელნაწერების დაცვის შესახებ. დავით რექტორის და გიორგი ჩიქოვანის წიგნთსაცავების, აგრეთვე სხვადახვა ძველი ქართული წიგნების გაყიდვის შესახებ] // მწყემსი, 1886, N 29._ გვ. 3-5.

წერილები

ტიტე მოსია



„მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო“

მეცხრამეტე საუკუნეში ამ პრობლემაზე დაფიქრებულან და დაკვირვებები უწარმოებიათ არა მარტო ქართველ მკვლევართ, არამედ უცხოელებსაც. საგულისხმოა, რომ ამაზე არაფერი თქმულა XIX საუკნის 40–იანი წლების დასაწყისამდე.

როგორც ცნობილია, სახელგანთქმული ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე 1829 წლიდან აქვეყნებდა წერილებს ქართულ მწერლობაზე, ქართულ კულტურაზე. განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანზე“. ამ ნარკვევებში მას ერთი სიტყვაც არსად დასცდენია რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობაზე, ქრისტიანულ მრწამსზე. უფრო მეტიც მარი ბროსემ დაიწუნა ვახტანგ მეექვსის „თარგმანი“ იმ ნაწილში, სადაც საუბარია „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც საღმრთო წიგნზე და რუსთველური მიჯნურობა მონათლულია საღვთო სიყვარულად. მან ვახტანგის კომენტარებს „უშესაბამო და უხამსი“ უწოდა, რუსთაველის პოემის 1841 წლის პეტერბურგის გამოცემის „წინასიტყვაობაში“, რომელიც მარი ბროსეს ეკუთვნის, ვკითხულობთ:

„ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება, რომელიც ფრიად უშესაბამო და უხამსია. მაგალითად, სადაც რუსთველი აშიკობასა ჰსწერს, ვახტანგ მეფე თავის განმარტებაში ამბობს, რომ ეს საღმრთო ტრფიალებაზე უთქვამსო, ხოლო თვითეულმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპარია (იგულისხმება საერო შინაარსის შემცველობა — ტ.მ.) და არა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავალს მოქმედობასა „ვეფხისტყაოსნისასა“ განმარტებს საღმრთოს წერილითა და სხვა ამის მიზეზით დაუტევეთ განმარტება ესე და მის მაგივრად დავბეჭდეთ მცირე ლექსიკონი უხმართა მდაბიურს ლაპარაკში და ძველთა სიტყვათა, რომელნიც „ვეფხისტყაოსანში“ იპოვებიან“ (ვეფხის ტყაოსანი, 1841, 15). „წინასიტყვაობაში“ მარი ბროსეს არაფერი უთქვამს, საერთოდ, რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობაზე. მის ქრისტიანულ განწყობაზე. პირიქით, უგულებელყო ვახტანგის „თარგმანი“ პოემის “გაღვთაებრიობის“ გამო. მტკიცედ განაცხადა: „ვეფხისტყაოსანი“ საერო ლიტერატურული ძეგლია და არა საღმრთო წერილი“. ეს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ პოემაში მისი ავტორის რელიგიურ—ქრისტიანული მსოფლშეგრძნების დაუნახველობა ან მასზე ზოგადად მაინც ყურადღების გაუმახვილებლობა მოულოდნელიც ჩანს და საკვირველიც „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი ჩინებული მცოდნისაგან, როგორც მარი ბროსე იყო.

პლატონ იოსელიანი 1845 წელს გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში (გაზ. ზაკავკაზსკი ვესტნიკ, 1845, 3) გამოქვეყნებულ წერილში საუბრობს ქრისტიანობის როლზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მართალია, გაკვრით, მაგრამ საგულისხმოდ ეხება „ვეფხისტყაოსანს“. მკითხველს არწმუნებს, რომ, როგორც მთლიანად ქართული კულტურა, რუსთაველის პოემაც გამსჭვალულია ქრისტიანული რელიგიით.

გურამ შარაძე წერს: „რაც შეეხება რუსთაველის რელიგიურ აღმსარებლობას, პლატონ იოსელიანი მას უყოყმანოდ ქრისტიანად, ქრისტიანული მსოფლგაგების პოეტად მიიჩნევს და თვით „ვეფხისტყაოსანს“ ქრისტიანული იდეებით გაჟღენთილ პოემად აცხადებს. პლატონ იოსელიანის შეხედულებით, — განაგრძობს გ. შარაძე, — ღრმა ქრისტიანულმა მიდრეკილებებმა აიძულა პოეტი ბერად აღკვეცილიყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში“(გურამ შარაძე, 1980, 122). მართალია, პლატონ იოსელიანს სპეციალურად არ უკვლევია თუ როგორ გამოვლინდა ქრისტიანული მოძღვრება „ვეფხისტყაოსანში“ და იგი ზოგადი მინიშნებებით შემოიფარგლა, მაგრამ მის ნათქვამში მნიშვნელოვანია რუსთაველის აღიარება ქრისტიან პოეტად და პოემის ქრისტიანული იდეებით გამსჭვალვაზე მითითება, რაც მთავარია, ვახტანგ მეექვსის შემდეგ — XIX საუკუნეში მან პირველთაგანმა გამოაცხადა რუსთაველი ქრისტიან შემოქმედად.

1846 წელს დავით ჩუბინაშვილმა დაბეჭდა პეტერბურგში „ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან“, რომელსაც ერთვის მისივე ნარკვევი „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (დავით ჩუბინაშვილი, 1846, I—IX). ამ ნაშრომში დავით ჩუბინაშვილი ეხება ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებსაც: „ვახტანგი ფიქრობდა და ამტკიცებდა, რომ ეს პოემა არის ალეგორია. შექმნილი კაცთა ჭკუის სასწავლებლად. რუსთაველი, ვითარც ქრისტიანი პოეტი და ფილოსოფოსი, ღვთისმოსავი თამარ მეფის... მან „ვეფხის—ტყაოსნის“ გამოცემას

დაურთო თავისი შენიშვნები, რომლებშიც თავისებურად განმარტავს ავტორის გამოთქმებს და უკავშირებს მათ ბიბლიის ტექსტს და სახარების მოძღვრების წესებს“ (დ. ჩუბინაშვილი, 1988, გვ. 197).

დავით ჩუბინაშვილი იწონებს ვახტანგისეულ კომენტარებს, როგორც კეთილი განზრახვით ნაკარნახევს და შესრულებულს, თუმცა შენიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებისას ვახტანგი ზოგჯერ აშკარად აჭარბებს, იყენებს ბიბლიურ ტექსტებს იქ, სადაც პოემა მათგან სავსებით დაშორებულია და ავტორს სულ სხვა რამ აქვს ნაგულისხმევი. მკვლევარს უხერხულად ეჩვენება რუსთაველის პოემის რაღაც მისტიკურ ქრისტიანულ თხზულებად წარმოსახვა (დ. ჩუბინაშვილი, 1988, გვ. 197). როგორც ჩანს, მან გარკვეულწილად გაიზიარა თავისი თანამებრძოლისა და თანამოაზრის მარი ბროსეს შეხედულებანი.

ამასთანავე, დავით ჩუბინაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ განხილვისას მრავალი ადგილი ებრაელთა სასულიერო პოეზიას და სხვა თხზულებებს აგონებს: „რუსთაველის პოემის განხილვისას, ერთი მხრივ, ვპოულობთ მრავალ ადგილს, რომელიც გვაგონებს ებრაელთა სასულიერო პოეზიას, ჰომეროსს, დასავლეთის მწერლებს, ხოლო ფილოსოფოსთა დამოწმება, ზოგან აშკარად, სახელით, ზოგან კი ფარულად, ოღონდ ისე, რომ ადვილია მათი ამოცნობა, ნათელყოფს ავტორის მიერ კლასიკური ლიტერატურის ცოდნას. მეორე მხრივ, რუსთაველის ენაზე დაკვირვებისას ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით აღმოსავლურ ლიტერატურასთან მსგავსებას, უპირატესად „ათას ერთი ღამის“ მოთხრობებთან“ (დ. ჩუბინაშვილი, 1988, გვ. 215).

დ. ჩუბინაშვილი მხედველობიდან არ უშვებს იმ გარემოებას თუ რა მიზეზით ახსნა ვახტანგ მეფემ ალეგორიულად რუსთველური მიჯნურობა: „საღვთო მიზნებით დაარსებულ სტამბაში უმთავრესად იბეჭდებოდა საეკლესიო და სულისმარგებელი წიგნები. იგევე მიმართულება გამოიკვეთა რუსთაველის პოემის დაბეჭდვისას. ღვთისმოსავ ვახტანგს არ მოწონდა, რომ ჩვეულებრივი მკითხველები უპირატეს ყურადღებას აქცევდნენ პოემაში ასახულ ადამიანურ ვნებებს და გატაცებულნი იყვნენ სამიჯნურო სურათებით, რომლითაც შეეძლოთ მათ სულში უწმინდური ზრახვების აღგზნება. ამიტომ ვახტანგი ფიქრობდა და ამტკიცებდა, რომ ეს პოემა არის ალეგორია. შექმნილი კაცთა ჭკუის სასწავლებლად“ (დ. ჩუბინაშვილი, 1988, გვ. 215).

როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილი პირველად განგვიმარტავს იმ მიზეზებს თუ რატომ დასახა მეფე—კომენტატორმა „ვეფხისტყაოსანი“ საღვთო წიგნად და რატომ აღიარა პოემის სიყვარული მისტიკურ—ალეგორიულად ღვთაებრივ მიჯნურობად. რაც მთავარია, იგი რუსთაველს მიიჩნევს ქრისტან პოეტად („რუსთაველი, ვითარცა ქრისტიანი პოეტი“), ქრისტიანულ სულისკვეთებათა წარმომსახველად („ქრისტიანულ სულისკვეთებათა წარმოსახვა“), ამასთანავე, დ. ჩუბინაშვილმა მიგვანიშნა იმ ნაკლზე, რაც თან ახლდა ვახტანგის კომენტარებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით („რუსთაველის განმარტებისას ვახტანგი ზოგჯერ აშკარად აჭარბებს“).

ერთი სიტყვით, დ. ჩუბინაშვილმა რუსთაველის რელიგიურობა მარი ბროსესავით ხელაღებით კი არ უარყო ვახტანგისეულ კომენტარებში, „უშესაბამო და უხამსი“ კი არ უწოდა მას, არამედ აღიარა მისი მნიშვნელობაც და ხარვეზებიც. ხაზი გაუსვა რუსთაველის ქრისტიანულ სულისკვეთებას.

ევგენი სტალინსკი 1885 წელს თბილისში აქვეყნებს წიგნაკს —„შოთა რუსთაველი — ქართველი სახალხო პოეტი“, სადაც იგი დასაწყისშივე საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე პირველი გამოცემისთანავე. აქცენტს აკეთებს სასულიერო პირთა მხრიდან პოემის დევნაზე, პირველ რიგში ასახელებს კათალიკოს ანტონ პირველს: „წიგნის გამოსვლისთანავე დაიწყო შოთა რუსთაველის პოპულარობის ზრდა და მისი ნაწარმოების დევნა სამღვდელო პირთა, განსაკუთრებით კათალიკოს ანტონ პირველის მიერ, რომელმაც თავისი სამწყსოს დაცვის მიზნით ბრძანა „ვეფხისტყაოსნის“ ცალების შეკრება და მტკვარში გადაყრა“ (ვ. სტალინსკი, 1885, 17). ამას იგი უწოდებს პირველ უკიდურესობას, მეორე უკაიდურესობად მიაჩნია ვახტანგ მეექვსის მიერ პოემისთვის დართული კომენტარები, რომელშიც „სცადაო წიგნის შინაარსის რელიგიურ—სიმბოლური მნიშვნელობით გააზრება“. გამოდის, რომ ე. სტალინსკი არ იზიარებს ვახტანგის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ საღმრთო წიგნად აღიარებას, რუსთველური მიჯნურობის მისტიკურ—ალეგორიულ სიყვარულად გამოცხადებას.

ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ე. სტალინსკის მიერ თავის ნარკვევში გატარებული აზრი: „შოთა რუსთაველი იყო იმ პირველ პიონერთა რიცხვში, რომელნიც თავიანთ ხალხში ქრისტიანულ ცივილიზაციას ნერგავდნენ“ (ვ. სტალინსკი, 1885, 19). მართალია, მას ეს თემა არ გაუშლია, მაგრამ ამით ხაზი გაუსვა რუსთაველის პოემის ქრისტიანულ სულისკვეთებას, თვით ჩვენი გენიალური პოეტის ქრისტიანობას.

ზემოთ დამოწმებულ ციტატაში ე. სტალინსკი საუბრობდა სამღვდელოების მხრიდან „ვეფხისტყაოსნის“ დევნაზე, რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით XVIII საუკუნეში. შეუძლებელია აქ მოკლედ არ შევჩერდეთ იმაზე თუ რატომ თვლიდნენ კონსერვატიულ—კლერიკალური საზოგადოების რადიკალური წარმომადგენლები რუსთაველის პოემას არაქრისტიანულ ძეგლად. ასახელებენ რამდენიმე მიზეზს: XVII—XVIII საუკუნეების საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება საეკლესიო ხასიათის წიგნებისადმი, რაც გამოწვეული იყო „ვეფხისტყაოსნით“ (საერთოდ, საერო

ლიტერატურით) გატაცებით; სასულიერო ლიტერატურის ხელნაწერთა შემცირება, მაჰმადიანი მტრების მოძალება—ზეგავლენის შედეგად რელიგიურ—ქრისტიანული განწყობილების შენელება, „ვეფხისტყაოსნის“ განუზომელი პოპულარობით რელიგიური წიგნების დაჩრდილვა და ა. შ.

სწორედ ამას ვერ ეგუებოდა სამღვდელოების გარკვეული ნაწილი და ყოველმხრივ ცდილობდა რუსთაველის თხზულების არაქრისტიანულ ძეგლად შერაცხვას. ამ განწყობილების ერთ—ერთი ინტერპოლატორი ასეთ სტროფს ჩართავს „ვეფხისტყაოსანში“:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს ხორცს, არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად,
თუ უყურა მონაზონმა, შეიქმნების გაპარსულად“ (ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი, 1948, 2)

ამ სტროფის მეორე ტაეპი აშკარად გვიმხელს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ქრისტიანული თხზულება, ვინაიდან იგი აღიარებსო არა სულის, არამედ ხორცის არსს. მესამე ტაეპი გვარწმუნებს: რუსთაველი არ ახსენებს სამებას, ანუ ერთარსება და სამპიროვან ღმერთს, იგივე ქრისტიანულ ღმერთს.

„ვეფხისტყაოსნის“ „ავად მჩხრეკელი“ სამღვდელოების წრიდან განსაკუთრებით გმოიკვეთა არქიეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი. მან რუსთაველი და მისი პოემა კი არ დაინდო მხოლოდ, არამედ მისი პირველი კომენტატორი ვახტანგ მეექვსეც უდიერად მოიხსენია, უმეცრება დასწამა მას. რუსთაველზე კი განაცხადა: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა, ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“ (მოხილვა წმინდათა ადგილთა, 1852, 198).

ეს ციტატა ამოღებულია ტ. გაბაშვილის წიგნიდან „მიმოსლვა“, რომელიც 1852 წელს თბილისში დაბეჭდა პლატონ იოსელიანმა (მოხილვა წმიდათა ადგილთა ტიმოთესაგან, 1852, 158). ამ ამონაწერს იგი ურთავს შენიშვნას: ამავე „ჰაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონ პირველი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგის დროსა 1712 წელსა ვეფხისტყაოსანნი დაჰსწვნა და შთააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამის ქართველთა. ან კიდევ: „დღესა ერთსა (კათალიკოსმა ანტონმა — ტ.მ.) 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისა დროსა შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანთა გონებისა და გრძნობისა“ (პლატონ იოსელიანი, 1936, 182).

ვინაიდან პლ. იოსელიანს ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა არ წარმოუდგენია არარსებობის გამო, ძნელად დასაჯერებელია ყოველივე ეს. მართალია, ანტონ პირველმა თავისი იამბიკოს დასასრულს რუსთაველზე მიგვითითა: „მაგრა ამაოდ დაშვრა, საწუს არს ესე“. თუმცა ამით დაუწუნა დიდ პოეტს საერო მწერლობისთვის დამახასიათებელ თემაზე წერა, მხედველობაში ჰქონდა მიწიერ—ხორციელ მიჯნურობაზე წერა.

როდესაც ვლაპარაკობთ სამღვდელოების რეაქციული ნაწილის აგრესიულ დამოკიდებულებაზე „ვეფხისტყაოსნისადმი“, არ უნდა დაგვავიწყდეს სასულიერო პირთა გარკვეული ნაწილის მიერ პოემის მიმართ გაწეული კეთილშობილური სამსახური, რომელთა ვინაობას შევახსენებ მკითხველს: მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე (თბილელი), დეკანოზი სვიმეონ შოთაძე, იაკობ დუმბაძე—შემოქმედელი, ბერად შემდგარი სულხან—საბა ორბელიანი, პეტრე ჩხატარაისძე, მღვდელი იოვანე მამუჩაშვილი, მღვდელი იოსებ ტლაშაძე. მღვდელი ტაბლიაშვილი და ა. შ. აქვე უნდა გავიხსენოთ სასულიერო მწერლობის ძეგლებზე წარწერილი „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები.

ბერთას სახარების აშიაზე მოუწერიათ XV საუკუნეში: „მართლად იტყვის მოციქული. შიში შეიქმს სიყვარულსა“, „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ“... ვანის ქვაბთა მონასტრის კედელზე მონაზონ ქალებს XV საუკუნეში წაუწერიათ „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი: „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა“... „ნუთუ ესენი გვეგონნენ“...

აქ შეუძლებელია არ გამოვყოთ XVII საუკუნის პოეტი იაკობ დუმბაძე—შემოქმედელი: „ამ ხუცური ენით მელექსეს“ რუსთაველი დაუსახავს პოეტების მამამთავრად:

„რუსთაველი ვთქვა თავს მელექსედ, მზე კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ,
თეიმურაზ, არჩილ—მეფე—ორივ მისად მეჯუფთარედ“...

რაც შეეხება პლატონ იოსელიანს, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მიუხედავად ანტონ კათალიკოსის განქიქებისა, თავად ქრისტიან პოეტად რაცხდა რუსთაველს.

1853 წელს ნ. ბერძენოვი გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში გვაძლევს ანტონ პირველის მიერ რუსთაველზე დაწერილი იამბიკოს რუსულ თარგმანს:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,
თუ სამ ჰწადოდა, ღუთისმეტყველიცა მაღალ,
უცხო საკვირველ პიიტიკოს—მესტიხე,

მაგრა ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

აქვე ნ. ბერძენოვს მოაქვს ტ. გაბაშვილის ზემოთ დამოწმებული სიტყვების რუსული თარგმანი და ამხელს მას რუსთველისადმი მკაცრ დამოკიდებულებაში. სამწუხაროდ, ნ. ბერძენოვიც იმეორებს პლატონ იოსელიანის ნათქვამს ანტონ კათალიკოსზე ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ მტკვარში ჩაყრის თაობაზე.

1870 წელს გაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში „შოთა რუსთაველი“ პლ. იოსელიანი ცდილობს ანტონ პირველის საქციელის გამართლებას პოლიტიკურ—საზოგადოებრივი სიტუაციით, რომელიც განათლებული კათალიკოსი ამ ნაბიჯის გადადგმას უკარნახებდაო, როგორც იძულებით საშუალებას სპარსულ—მაჰმადიანური პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისათვის (პლატონ იოსელიანი, 1870, 2—4).

ამჯერად ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ამ წერილში პლ. იოსელიანის მიერ გატარებული აზრები: პოემა გამსჭვალულია ქრისტიანული იდეებით, რადგან თვით პოეტი ქრისტიანია და იმყოფება ძირითადად ქრისტიანულ ლიტერატურულ გარემოში. დავითის ფსალმუნი, სახარება, ბასილ დიდის თხზულებათა თარგმანები და სხვა მისთვის ჩვეულებრივი წყაროებია. რადგან მისი წინამორბედნი ირანული ლიტერატურის ნიმუშებზე უმეტესად იკვებებოდნენ ბიზანტიურ—ქრისტიანული ლიტერატურით, რომელთა გავლენას ის განიცდის. პოეტმა გამოხატა ქრისტიანულ რელიგიაში ასახული ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების იდეალები: რითაც ის მაღლა დგას მსოფლიო პოეზიის სხვა დიდ სახელებზე (შდრ. გაიოზ იმედაშვილი, 1957, 48—49). ამავე წერილში პლ. იოსელიანმა პირველად აღძრა საკითხი რუსთაველის მსოფლმხედველობაში ნეოპლატონური ნაკადის არსებობის შესახებ, რასაც სხვა ნაშრომში შევეხებით.

ნ. ბერძენოვი 1872 წელს გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილ სტატიაში კვლავ იმეორებს სამღვდელოების მხრიდან „ვეფხისტყაოსნის“ დევნას, ანტონ კათალიკოსის მიერ ვახტანგის მიერ დაბეჭდილი რუსთაველის პოემის ცალების შეგროვებას და მტკვარში გადაყრას, როგორც ზნეობის გამრყვნელი წიგნისა. აქვე წერილის ავტორი ალაპარაკდა ვახტანგ მეფეზე: უწუნებს მას კომენტარებში გატარებულ აზრს პოემის შინაარსის რელიგიურ—სიმბოლურ—ალეგორიულად შერაცხვის გამო. მისი თქმით, ამ კომენტარებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო, გაამძაფრა საეკლესიო—კლერიკალური საზოგადოების გულისწყრომა „ვეფხისტყაოსნისადმი“, რაც მისივე დევნის მიზეზი შეიქმნაო (ნ. ბერძენოვი, 1872, 2).

ალექსანდრე ცაგარელი 1873 წელს პეტერბურგში აქვეყნებს ნაშრომს „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“, სადაც ავტორი შეეხო „ვეფხისტყაოსანსაც“, კერძოდ, ვახტანგ მეექვსის მიერ 1712 წლის პოემის პუბლიკაციას და მისთვის დართულ კომენტარებს: „1712 წელს თბილისში ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. საღმრთო მიზანი, რომელიც ვახტანგმა დაისახა ქართული სტამბის დაარსებისას, სადაც უნდა დაბეჭდილიყო საეკლესიო და დიდაქტიკური წიგნები, აღნიშნული პოემის გამოცემაშიც აისახა. გამოცემას მან დაურთო თავისი კომენტარები, რომლებიც განსაკუთრებით იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ ნათელყოფენ იმდროინდელ მოწინავე ადამიანთა გემოვნების სრულ დამახინჯებას ხელოვნების ნიმუშთა შეფასებისას და ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის საუკეთესო თხზულების გაუგებლობას“ (ალექსანდე ცაგარელი, 1873, 215).

ამის შემდეგ ა. ცაგარელი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ კომენტარებზე. „მისი (ვახტანგის — ტ. მ.) მტკიცებით, ეს პოემა საღმრთო ალეგორიას წარმოადგენს, თუმცაღა მოწოდებულია საეროს სახით... სინამდვილეში აქ აღწერილიაო სულიერი სიყვარული ღმერთსა და ადამიანებს შორის. რუსთაველი, ვითარცა ქრისტიანი პოეტი და ფილოსოფოსი, ღვთისმოსავი თამარ მეფისა, ორი კათალიკოსისა და მრავალი ზნეობაზე გადაგებული სასულიერო პირის თვალწინ ვერ გაბედავდა დაეწერა უზნეო რამ. მისი მიზანი იყო წარმოედგინა ცოლქმრული ერთგულების სიმტკიცე და მეგობრობის ურყეობა ადამიანური ცხოვრების ყოველგვარი გაჭირვების ჟამს, ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული პოემის ყველა ადგილის ვახტანგისეული კომენტარები“ (ალექსანდე ცაგარელი, 1873, 212).

როგორც ჩანს, ალ. ცაგარელი არ იზიარებს ვახტანგის მიერ რუსთველური ამქვეყნიური სიყვარულის საღმრთო მიჯნურობად გამოცხადებას: „თავისი აზრის დასამტკიცებლად იგი (ვახტანგი — ტ.მ.) უდარებს პოემის ადგილებს საღმრთო წიგნებს და ქრისტიანული მოძღვრების წესებს, მაგრამ იჩენს ისეთ აშკარა მიკერძოებას. ამ შეფასებისას მოაქვს ისეთი ადგილები, რომლებიც სრულიად საპირისპიროს მეტყველებენ და ეწინააღმდეგებიან თავს მოხვეულ მნიშვნელობებს“ ((ალექსანდე ცაგარელი, 1873, 212). ამ მოსაზრების გამოთქმისას ალ. ცაგარელი არ ითვალისწინებს თუ ყოველივე ეს ვახტანგის მხრიდან რა მიზეზებით იყო განპირობებული. აქ მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ ალ. ცაგარელი რუსთაველს აღიარებს ქრისტიან პოეტად და ფილოსოფოსად.

1877 წ. გამოცემულ წიგნში (სპბ—მოსკოვი) „მსოფლიო ლიტერატურა“, I, შესულია ვლადიმერ ზოტოვის წერილი „ქართული ლიტერატურა“, სადაც, ცხადია, იგი რუსთველსაც შეეხო. საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე, ავტორის ბიოგრაფიულ მომენტებზე, უცხო ენების (ბერძნული, სპარსული, არაბული) ცოდნაზე, მოლარეთუხუცესობაზე.

ეხება პოემის ფაბულის ორიგინალობას, პოემის შინარსს, გმირებს. ვ. ზოტოვის მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემა შესრულებულია წარყვნილი ხელნაწერის საფუძველზე. იგი მკითხველს შეახსენებს მკვლევართა მიერ პოემის ვახტანგისეული კომენტარების გაკრიტიკებას იმ ნაწილში, სადაც მოცემულია მეფე—კომენტატორის მხრიდან თხზულების ღვთაებრივ ძეგლად გაგება“ (ვ. ზოტოვი, 1877, გვ. 343—344). თავის პოზიციას არ აფიქსირებს.

გაზეთ „დროებაში“ (1884, 13 მარტი, №56, გვ. 2) ქვეყნდება ინფორმაცია, რომ 1884 წლის 13 და 20 მარტს თბილისის „კრუჟოკში“ მასწავლებელი გულაკი წაიკითხავდა „ვეფხისტყაოსანზე“ ორ ლექციას. აქვე დართული იყო ლექციების პროგრამა, რომელსაც მთლიანად გადმოვიწერ:

„შესავალი, როდის არის დაწერილი პოემა. თარგმანები და შემოკლებანი. ბროსეს გამოცემა. რუსთველს თამარ—დედოფალი უყვარდა. აზრი ედგარ კინესი ტრუბადურის სიყვარულზე თავის ფეოდალურ გულის საყვარლისადმი. რუსთველის მოქმედების ბოლო—მონასტერი. რუსთაველის ხვედრთან შერიგება.

პოემის გარეგანი ფორმა. ლექსთაწყობილება რითმულია და არა სილაბური. ხმის შეჩერება. ღვთისადმი მიმართვა. თამარის ქება. როსტევან და თინათინი. ბუნებაც ქართულია და კაცნიც ქართველები არიან. როსტევან და მისი ქვეშევრდომნი ნამდვილი ქრისტიანები არიან. ინდოეთის, გულანშაროს და ზღვათა სამეფოს მცხოვრებნი — მაჰმადიანები, ჩინელები და ქაჯები — კერპთმსახურნი. „ვეფხვის ტყაოსანი“ მართლა სპარსულიდამ არის ნათარგმნი, თუ არა? საზოგადო შთაბეჭდილება მთელი პოემის წაკითხვის შემდეგ.

განსაკუთრებული თვისება „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირთა არის სიმამაცე, გამბედავობა, სიმართლე, სიტყვის შესრულება და სიუხვე. სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“. სიყვარული დასავლეთში. სონეტი დანტედამ. სიყვარული აღმოსავლეთში. ავთანდილის სიყვარული. მისი მიმართვა მნათობთადმი. თინათინისადმი მისი ღალატი. ფატმანის სურათი. ნესტან—დარეჯანის სიყვარული. როგორ ესმოდა თითონ რუსთველს სიყვარული? არა ამ ქვეყნიური სიყვარული. ქარატკერისტიკა როსტევანისა, ავთანდილისა და ტარიელისა“ (იხ. გაიოზ იმედაშვილი, 1957, 85).

როგორც დავინახეთ, პროგრამა საკითხთა ფართო სპექტრის მომცველია, სადაც საუბარია რუსთაველის რელიგიაზე, პოემის გმირთა რელიგიური განწყობანი (ქრისტიანობა, მუსულმანობა, კერპთმსახურება), სხვა საკითხია, მიკოლა გულაკმა (უკრაინელმა მკვლევარმა, პედაგოგმა, ჟურნალისტმა) რამდენად გაართვა თავი დასახელებული პრობლემების გააზრება—დამუშავებას. მთავარი ისაა, რომ ეს უცხოელი მკვლევარი XIX საუკუნის 80—იანი წლების დასაწყისში ღრმად იყო დაინტერესებული „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული აქტუალური პრობლემებით, მათ შორის პოემის რელიგიური საკითხებით.

გაზ. „დროების“ რედაქცია ამ პროგრამას შენიშვნას ურთავს. „უეჭველია, ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს უცხო პირის ცდას, რომ ჩვენს უკვდავს პოემას თავისებური ნათელი მოჰფინოს და ქართულის უცოდინართაც გააცნოს“.

გულაკმა პროგრამაში შემავალი საკითხები გააერთიანა თავის ნარკვევში „რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა 1884 წელს ჟურნალში „СМОМНК“, მეოთხე გამოცემა, გვ. 129—187. იმავე წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად. წერილი რუსულიდან გადმოაქართულა შემოკლებით რევაზ ხვედელიძემ. შეტანილია წიგნში: „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“, ტ. IV, თბ., 1986, გვ. 139—151.

გულაკის ამ კომპილაციური ხასიათის ნარკვევიდან გვაინტერესებს მხოლოდ ის ნაწილი, სადაც საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიურ საკითხებზე. მისი აზრით, რუსთაველის პოემის პერსონაჟები სხვადასხვა რელიგიური განწყობით გამოირჩევიან. არაბეთის მკვიდრნი ქრისტიანები არიან, ინდოეთისა და გულანშაროს მცხოვრებნი აშკარად მაჰმადიანები არიან, ხატაელები (ჩინელები) და ქაჯები კი — წარმართები ანუ კერპთმსახურნი.

მ. გულაკი წერს: „აღსანიშნავია, რომ პოემაში როსტევანისა და მის ქვეშევრდომთა მუსულმანობა არ ჩანს. პირიქით, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ქრისტიანები არიან და იცნობენ პლატონის ფილოსოფიას. მ. გულაკი იმოწმებს ავთანდილის ანდერძს:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აგვამაღლებს“, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ“.

ფსალმუნთან რუსთაველის მიმართების გამოსავლინებლად მ. გულაკი კიდევ ორ სტროფს იმოწმებს „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი, შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამის—ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.
რაცა ღმერთსა არა სწადდეს, იგი საქმე არ იქმნების,

მზისა შუქთა ვერ—მჭვრეტელთა ია ხმების, ვარდი ჭნების.
თვალთა ტურფა საჭვრეტელი: უცხოდ რამე ეშვდინების
მე ვით გავძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების“.

მ. გულაკის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ საიქიო ცხოვრების რწმენა ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ავთანდილი წამოიძახებსო: „ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა, საძაბუნოსა, პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“. ავთანდილი იმოწმებსო პლატონს: „მე სიტყვასა ერთსა ვკადრებ, პლატონისგან სწავლა—თქმულსა: „სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

არაბეთის სამეფოს გაცილებული მ. გულაკი გადადის ინდოეთსა და გულანშაროში იქ მცხოვრებთა რელიგიურობის წარმოსაჩენად: „ინდოეთსა და გულანშაროში მცხოვრებნი პოემაში აშკარა მუსულმანები არიან. ხშირად ახსენებენ წმინდა წიგნს — მუსაფს, ე. ი. ყურანს, მუსულმანების დღესასწაულს, ნავროზობას — ახალ წელს“. ხატაელები (ჩინელები) და ქაჯები წარმართებად ესახება: ხატაელები და ქაჯები წარმართები არიან. ხატაელები ფიცულობენ თავის ღმერთსა და ცას, ხოლო ქაჯნი დახატულია, როგორც სალ კლდეს შეხიზნული გრძნეულნი (მ. გულაკი, 1884, 144).

ამდენად, უკრაინელმა მკვლევარმა მ. გულაკმა რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ სახელმწიფოები და პერსონაჟები პირველად დაყო სამი სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებად, როგორიცაა: ქრისტიანობა, მაჰმადიანობა და წარმართობა. მას თინათინი და როსტევანი ქართულ სახელებად მიაჩნია, პოემის ბუნებაც ქართულიაო. ასევე, ქართულიაო გმირთა მიერ მზის დაფიცების ჩვეულება. როსტევანისა და მისი ქვეშევრდომების ქრისტიანებად აღიარებაში დანახულია პოემის ავტორის ქრისტიანული სულისკვეთება. სამართლიანად ეძებდა მ. გულაკი „ვეფხისტყაოსანში“ ფსალმუნებისა და საღვთო წიგნების კვალს. ასევე, ქრისტიანულ კვალს ხედავს იგი გმირთა რწმენაში საიქიო ცხოვრების არსებობის შესახებ. გამომდინარე აქედან, მ. გულაკს რუსთაველი ქრისტიან პოეტად მიაჩნია, ამასთანავე, სხვა რელიგიების მცოდნედაც.

1888 წელს ოლივერ უორდროპს დაუწერია ნარკვევი „საქართველოს სამეფო“. მასში ვრცლად არის მსჯელობა რუსთაველზე, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიურ საკითხებზე. გავეცნოთ რამდენიმე ნაწყვეტს:

„ავთანდილი ტიპური ქრისტიანული რჯულის რაინდია, რითაც ძალიან წააგავს როლანდსა და ჯვაროსან რაინდებს, მაშინ, როცა შმაგი ტრფობით შეპყრობილი, გრძნობის ამყოლი ტარიელი მაჰმადის რჯულის რაინდის ტიპს უფრო გვაგონებს“ (ოლივერ უორდროპი, 1888, 39). როგორც ვხედავთ, მ. გულაკივით ო. უორდროპიც „ვეფრისტყაოსნის“ პერსონაჟებს ყოფს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებად (ავთანდილი — ქრისტიანი, ტარიელი — მაჰმადიანი).

კიდევ ერთ საილუსტრაციო მასალას გავეცნოთ: „შოთა რუსთაველს ბევრი რამ შეუთვისებია პლატონისაგან და მის შემოქმედებაშიც აშკარად შეიმჩნევა ქრისტიანობასთან დამოკიდებულების იმ მეტაფიზიკურ თეორიათა მარცვლები, რაც ასევე ახასიათებდა დანტეს, მის ზოგიერთ ევროპელ თანამედროვესა და მემკვიდრეს“ (ოლივერ უორდროპი, 1888, 42).

1896 წელს თბილისში დაისტამბა მოსე ჯანაშვილის წიგნი „შოთა რუსთაველი“ (183 გვ.) „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასვხა საკითხის განხილვისას ავტორი შეეხო რუსთაველის სარწმუნოებასაც, მართალია, ძალზე ზოგადად, მაგრამ შთამბეჭდავად. ხაზი გაესმის რუსთაველის ქრისტიანობას: „პოეტი მთლად შთანთქა სარწმუნოებამ. მისწრაფებანი ჭეშმარიტებისა კეთილისა და მშვენიერებისა მან ჰპოვა ქრისტიანობასა და საეკლესიო საგალობლებში. მან აკვნესა ქნარი სიონისა და ამ მხრივ შოთა რუსთაველი სჭარბობს თვით დაღვრემილს ბაირონს. იგი უფრო სპეტაკია, ვიდრე ბაირონი, ბრწყინვალეა, ვიდრე პეტრარკა, და ზნეობრივია, ვიდრე მილტონი და დანტე“ (მოსე ჯანაშვილი, 1896, 103).

საილუსტრაციოდ კიდევ ერთ ნაწყვეტს გამოვიხმობ მ. ჯანაშვილის დასახელებული წიგნიდან: „ძველი დროის პოეტები შეეხებოდნენ ხოლმე სწავლას ღმერთთა შესახებ, რელიგიურს მითებს და ამის გამო აწყენინებდნენ ღმერთებსაცა, სარწმუნოებას და ერსაც, რომელსა სწამდა იგი ღმერთები. თვით უკვდავი დანტეც. ქრისტიანობის დროის პოეტი, ვერ ასცდა ამგვარს ზნეობრივ სიმდაბლეს. ხოლო რუსთაველი მისებრ არ მოიქცა და აიცილა ეს ბიწიერება“ (მოსე ჯანაშვილი, 1896, 106).

ამავე წიგნში მ. ჯანაშვილს მოუთავსებია „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრებილი სტროფები ღმერთზე.

ამრიგად, XIX საუკუნის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თავისი ადგილი პოვა რუსთაველის რელიგიური მსოფლმხედველობის შესწავლამ. ამ მხრივ, ქართველებთან ერთად, თავი გამოიჩინეს უცხოელმა მკვლევარებმაც. ვახტანგ მეექვსის პირველადი აღიარების კვალობაზე რუსთაველი გამოცხადდა ქრისტიან პოეტად, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ აღიარებულ იქნა ქრისტიანული იდეებით, ქრისტიანული მორალითა და ეთიკით გამსჭვალულ ძეგლად. ასევე, დაკვირვების საგნად იქცა ბიბლიური წიგნების კვალის ძიება „ვეფხისტყაოსანში“. ნაკლებად იქნა გაზიარებული (თუ უმეტეს შემთხვევაში უარყოფილი) რუსთაველის პოემის საღმრთო წიგნად მონათვლა. ზოგიერთი

მკვლევრის თანახმად, „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით სამი რელიგიის (ქრისტიანობის, მაჰმადიანობის, წარმართობა—კერპთმსახურების) გამოვლინებას. „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიური საკითხების შესწავლა უმთავრესად შემოსაზღვრულია ზოგადი მოსაზრებების გამოთქმით, არ შეიმჩნევა ტექსტის სიღრმისეული ძიებანი ქრისტიანული იდების წარმოსაჩენად. მიუხედავად ამისა, დადებითად უნდა შეფასდეს ამ მიმართულებით გაწეული შრომა რუსთაველის ქრისტიანული მსოფლმხედველობის დასადასტურებლად.

ბიბლიოგრაფია

- ვეფხის ტყაოსანი, 1841 — პოემა დაწერილი შოთთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღუაწლითა მ. ბროსსეტ, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინოვისათა, სპბ, 1841
- „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი, 1948 — „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი, ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბ., 1948
- მოხილვა წმინდათა ადგილთა ტიმოთესაგან, 1852 — მოხილვა წმინდათა ადგილთა ტიმოთესაგან, პლატონ იოსელიანის გამოცემა, ტფ., 1852
- ქართული ქრისტომატია, 1846 — ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ, სანკტ—პეტერბურგი, 1846
- გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, 1845 — გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, 1845, იანვარი
- გაზ. „კავკაზი“, 1872 — გაზ. „კავკაზი“, 1872, 5 იანვარი, №2
- რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, 1976 — რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976
- რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, 1988 — რუსთაველი მოსფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988
- რუსთავლი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, 1985, — რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985
- ნ. ბერძენოვი, 1872 — ნ. ბერძენოვი, ვეფხისტყაოსანი, გაზ. „კავკაზი“, 1872
- მ. გულაკი 1884 — მ. გულაკი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985
- ვ. ზოტოვი 1877 — ვ. ზოტოვი, ქართული ლიტერატურა, წიგნში: მსოფლიო ლიტერატურა, I, სპბ — მოსკოვი, 1877
- გ. იმედაშვილი, 1957 — გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957
- პლ. იოსელიანი, 1870 — პლატონ იოსელიანი, შოთა რუსთველი (1174—1212), ტფ., 1870
- პლ. იოსელიანი, 1936 — პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936
- ვ. სტალინსკი, 1885 — ვ. სტალინსკი, შოთა რუსთაველი — ქართველი სახალხო პოეტი, ტფ., 1885; შდრ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988
- გ. შარაძე, 1980 — გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი, თბ., 1980
- დ. ჩუბინაშვილი, 1846 — დ. ჩუბინაშვილი, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წიგნში: ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ, სპბ, 1846; შდრ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988
- ალ. ცაგარელი 1873 — ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988
- მ. ჯანაშვილი, 1896 — მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი, ტფ. 1896

ლუარა სორდია

ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველება გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში

გალაკტიონი ხედავდა სულს: „მე დავინახე მცურავი სული“ („გრიგალი“).

ხედავდა „იქაურ ცას“, ანუ უმაღლეს ცას – ღმერთების სავანეს, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“, ეწოდება: „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით“ (გობელენი) (1,72).

პოეტი ხედავდა „სხვისთვის უხილავ-ფარულს“.

„უხილავი“ და „ფარული“ ღმერთია.

პოეტების მეფეს მომადლებული ჰქონდა განსაკუთრებული ხედვა ანუ სულის თვალი, ამიტომაც ამბობდა: „ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს (1,334).

მომავლისკენ იყო პოეტის სულის მზერა მიმართული: „მიუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის, ბრძოლებში იყო ბევრის მთმენი გული პოეტის“ (1950) (2,264).

პოეტისთვის მთავარია გრძნობა, ცნობა სიცოცხლის თუ ტრფობის: „... ვინ იგრძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო, ან შვება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო“ (საღამო)(3,11).

დაკვირვება, განსჯა, ანალიზი, აი წარმატების, მომავალში ჭვრეტის საფუძველი: „არყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც ვათვალთვალე“ (დღეთა გარდასულთა) (3,119).

პოეტის დევიზია: „იცანი ყველა საამქვეყნო მიწა და მტვერი“ (ერთი სახე და ერთი ფერი) (3,104).

გრძნობით, გონებით ჭეშმარიტების წვდომა იყო პოეტის იდეალი: „იგრძენ, რაც კი შეიძლება ქვეყანაზე გულმა იგრძნოს, იცან, რაც კი შეიძლება კაცმა ქვეყნად გამოიცნოს“ (მეშჩანური გული)(3,108).

ეჩვენებოდა უწმინდესი, უდიადესი ცა, ანუ ღმერთების ზეცა, ლანდივით ნანახი ჰქონდა „ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები“ (დომინო) (1,115).

ბეჭედი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა (4,124), მოლი გრძნეულების საშუალება, ჯადოსნური ბალახი.

„მოტეხილი ზაფხული“ – უარყოფილი ღმერთია, რადგან ზაფხული საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს.65,12) (5,273).

საერთოდ, „დომინოში“ მოაზრებულია სატანისტური იდეოლოგიის ჩრდილოელი მეზობელი, აღმოსავლური ყრუ ბაითის სახით მუსულმანური სამყარო, მართლმადიდებლობის შემრყვნელი, გრძნეულება და ჯადოსნობა (ანუ ბეჭდის თვალში მოლები), ახალი კერპების ძიება კი უარყოფილია და ლექსში კანკელი აღიმართება. დომინო – თვით ავტორია, ქრისტეს მებაღე, მართლმადიდებლობის მცველი და მისი გამოჩენით სრულდება ანტიქრისტიანული ვაკხანალია.

„დომინოში“ პოეტმა ამხილა ეპოქის ურწმუნოება და იწინასწარმეტყველა ღმერთისკენ მიბრუნება.

ახალი სხივის ამოსვლას, ანუ ღმერთის (სხივი ძე ღმერთის სახელია) მოვლინებას, წყვდიადის კიბის დამხობას და „სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების კიბის“ (კიბე მარიამის სიმბოლოა) აღმართვას წინასწარმეტყველებს პოეტი ლექსში „ქალაქთა ბნელთა“ (1,703).

1915 წელს განიცდიდა „ტრფობას სრულის“ (ღმერთის), „იმ სიყვარულის“ სიყვარული საღვთო სახელია) უგულებელყოფის სიმწარეს (მიმღერე რამე) (3,11). ენატრებოდა „ნუგეში“, „სხივი პირველი“ (ნუგეში, სხივი ღმერთზე მიანიშნებს) – (ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში (3), შფოთავდა „უკანასკნელი სიყვარულის“ (ღმერთის) დავიწყების გამო (უსიყვარულოდ) (3,19), ეძებდა „წმინდა ცას“ (გრძნობათა ფერფლი) (2, 8). ყვავილებს – რწმენას (ელეგია) (3,23), მიუწვდომელ სანთლებს (სანთელი საღვთო სახელია) (სანთლები) (38), ცდილობდა ქარში ვარდების გადარჩენას (ლოცვისთვის) (3,85).

„უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ „შავი თოვლივით“ თოვდა „ჭვარტლი“ და ბურუსი თავანის“, სამრეკლოს ჯვარს ყვავები დარაჯობდნენ და თებერვალს უხმობდნენ (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში).

ესიზმრებოდა მზის ჩაქრობა (მე დამესიზმრა) (1 ,77), მზის გახელილი თვალებით სიკვდილი (მას გახელილი დარჩა თვალები) ქიმერებში ჩავარდნილი მზე (თბილისი ღამით), მზე ლანდად ქცეული (სანატორიუმში), მზის ჩასვლა, მთვარისა და ვარსკვლავების გაქრობა, ნისლის მეუფება, სიბნელის გაბატონება (მშვიდობის წიგნი).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი (ფს. 83/84,12).

აწუხებდა იდუმალი სხივის გაუჩინარება, იაგუნდის ჩამქრალი შუქი (შუქი, სხივი ძე ღმერთის სახელია).

იაგუნდი მარიამის სიმბოლოა (4,124).

სწყუროდა ცეცხლი, მაგრამ სახეზე იყო „უეზოო სახლი“ და „უცეცხლო კერა“. ეზოს სახეში ნაგულისხმევია მარიამ ღვთისმშობელი(4,121). ცეცხლი ღმერთის სახელია (6,120).

დამშრალი და ამღვრეული იყო წყარო, რასაც გულისტკივილით აფიქსირებდა.

წყარო უფლის სახელია: „სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან“ (ესაია წინასწარმეტყველი, 12,3) (7,82).

ათეისტურ ეპოქაში დავიწყებული იყო ღმერთი – სიყვარული.

პოეტმა შექმნა დალეწილი, დამსხვრეული, განადგურებული ხომალდების, გემების, ნავების რექვიემი, რადგან ნავით, გემით, ხომალდით (ეკლესიით) არის შესაძლებელი ცოდვების დამარცხება.

თვით გალაკტიონი არასდროს წყვეტდა უზენაესთან კავშირს და ზღვის წარმატებით გადავლას ყოველთვის ახერხებდა (გადავიარეთ მრისხანე ზღვები), მაგრამ მას ადარდებდა ათეიზმისგან დასნებოვნებულთა ბედი, რომლებიც ცოდვის ზღვას ჩაენთქა.

პოეტების მეფის წუხილის მიზეზი იყო გამხმარი ვაზები, თოვლიანი ალვები (ვაზები გახმა, ალვები თოვლში). ვაზი და ალვა სიცოცხლის ხის სიმბოლოებია.

გამხმარი ვაზი და თოვლიანი ალვა უარყოფილი სიცოცხლის ხეა, ანუ იგნორირებულ ღმერთზე მიმანიშნებელია.

გალაკტიონი ხედავდა ღმერთის გზისგან გადაცდენას და ამხელდა გზაგამრუდებულებს, თვით კი მუდამ „წმინდა გზის, სანაქებო მზის, ძველი გზის, იისფერი გზის“ ერთგული იყო. გზა საღვთო სახელია.

პოეტი გულისტკივილით იგონებდა თანამედროვეთაგან დავიწყებულ „ნეტარ დღეს“, „ძველ დღეს“, ანუ ღმერთს.

პოეტების მეფეს აღაშფოთებდა „მშვიდობის წიგნის“ დაკარგვა, „ძველი წიგნების“(წიგნი საღვთო სახელია) არეული გვერდები, ანუ უარყოფილი და შერყვნილი რწმენა.

დავიწყებული იყო ცხოვრება (ცხოვრება საღვთო სახელია), ჩამქრალი იყო სანთელი (სანთელი ღმერთის მეტაფორაა), საძიებელი იყო „საბედნიერო სული“ (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში). უღმერთო ეპოქაში პატივი არ მიეგებოდა ქრისტეს დედას – მარიამ ღვთისმშობელს. ჯვარზე იყო გაკრული ელვა, დანგრეული იყო ზეცა, დაკარგული იყო სამოთხე, დაცემული იყო კოშკი, დაჭრილი იყო ღრუბელი, ნიარევი იყო მთა, ბაცილებიანი იყო მთვარე, დაჩრდილული იყო ბეჭედი. მიტოვებული იყო ეზო, თოვლში იყო დაცემული ზამბახები, გაყინული იყო თასი. ელვა, სამოთხე, კოშკი, ღრუბე-

ლი, მთა, მთვარე, ბეჭედი, ეზო, ზამბახები, თასი მარიამ ღვთისმშობლის სახელებია (იხ. დაწვრილებით: ლ. სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მე-20 საუკუნის ქართული პოეზიაში, თბ.2009).

გაუდაბურებული იყო ბაღი, ანუ გატიალებული იყო უღმერთო სული, რადგან ბაღი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში.

იყო თარეში აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების, დემონების, ბელზებელ-ლუციფერების, სატანების.

პოეტი ავდრით, ზამთრით, უამინდობით, თოვლის, ყინვის ქვეტექსტებით გვამცნობდა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ტრაგედიებს.

მართალია, ღმერთისუარმყოფელ, სატანისტურ ეპოქაში იცხოვრა გალაკტიონმა, მაგრამ კავშირი არასოდეს გაუწყვეტია უზენაეს ძალებთან, გამუდმებით ესმოდა ზეციური გამამხნევებელი ხმები, ღმერთისკენ მიბრუნების რწმენას უნერგავდა სიზმრები: „მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან, მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ „სიზმარი“. (სიზმარი) (1,76).

ქარში ყვავილების გადარჩენით (ქარი ურწმუნოება, ყვავილი – ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა) ალვის ხის გადარჩენით (ალვა საღვთო სახელია), მუხების გადარჩენით (მუხა ერის სულის სიმბოლოა) მიგვანიშნა ეროვნული რწმენისკენ მიბრუნების და სულის განწმენდა – გასპეტაკების პროცესზე.

მშვიდობის წიგნის და მშვიდობის გზის სახეებით გვიჩვენა რწმენის მარადიულობა: „სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის. მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

გალაკტიონის შემოქმედება იყო „სიყვარულის სიმღერა“. სიყვარული ღმერთია (იოანე 1,4,8).

პოეტი ქმნიდაა ლოდინის სიმღერას, სჯეროდა „შორი გაზაფხულის“ „გამობრწყინების (სინამდვილეში ოცნებისას). გაზაფხული, ზაფხული საღვთო სახელებია. (ფს. 64,12).

ყვავილის ქარისგან გადარჩენა რწმენის შენარჩუნებას ნიშნავს და ეს იყო პოეტის უმთავრესი მისია (მე ამ ყვავილებს).

პოეტს თან სდევდა ნუგეშის ღმერთის სახე (სხვაგან სადაა?)

მზის გარდაცვალებას და ჩაქრობას აფიქსირებდა, მაგრამ თვით ყოველთვის მზითმოსილი იყო და სჯეროდა სიმართლის მზის მარადიულობა (რა დამშვიდებით გადავცქერი).

სიხარულით ეგებებოდა გაზაფხულს (ფანჯარას ტოტებს მიახლის).

ალვის ხის გადარჩენით მიანიშნებდა ქრისტესკენ მობრუნებას, რადგან ალვა საღვთო სახელია.

პოეტი უმღეროდა რწმენის გადარჩენის ბედნიერებას (არ დაღუპულა). კაკლების, მუხების გადარჩენით ერის სულის გადარჩენაზე მიანიშნებდა (მუხები).

„ქუხილო, გელით“ გვიჩვენებს რწმენის წყურვილს და მოლოდინს, რადგან ქუხილი ღმერთის სახელია.

„ახალი ყოფნის“, განახლების, „აღდგომის კვალის“ ანუ რწმენისკენ მობრუნების მოლოდინია ლექსში „ახალ წლის ღამეს“.

„შუქმიუვალ დღეებს“ შეენაცვლებოდა „ედემთა მსგავსი დღეები“, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები სწამდა პოეტს (ყოფილა მწარე დღეები).

მარადიულია „სიცოცხლე“ (ღმერთის სახელია), ვისაც მოაქვს სულის გადარჩენა (ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული).

გალაკტიონმა უმღერა „გათენებას“, „ალიონთა სიხარულს“, ცისკარს, (ალიონი მარიამის, სიხარული და ცისკარი ქრისტეს სახეებია).

პოემა „მშვიდობის წიგნი“ უღმერთო არსებობის კატაკლიზმებს უღრმავდება და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი რწმენის მიგნების, ერის საზრისის ძიების, სულის გადარჩენის ჰიმნია, პოეტს ესმოდა „შორის ძახილი, რომლის სახელი „განთიადია“ (მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონის პოეზიაში ისმის „გადარჩენის ჰიმნი“, პოეტი უმღერის „გადარჩენის ბედნიერებას“, „საუკუნეთა თოვლის“ დადნობას (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე).

ხომალდის გრიგალისგან გადარჩენაში რწმენის გადარჩენა იგულისხმება (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ).

თვით პოეტის შემოქმედება იყო ეპოქისეული წარღვნის – ბოლშევიზმის მომაკვდინებელი ბაცილებისგან გადარჩენა, სულის ზრდის, სულის განწმენდის დიდი მისიის აღსრულება.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებან 5 ტომად, ტ.3,თბ. 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე თბზ. 5 ტომად, ტ.1, თბ. 1993
4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ტიტე მოსია საღვთო სახისმეტყველება თბ. 1996
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

მანანა კვატაია

გერონტი ქიქოძე - ქართული ეროვნული ენერგიის ჰპოლოგეტი

მეოფცე საუკუნის დასაწყისში, სრულიად ახალ ისტორიულ ვითარებაში, ცნობილმა მოაზროვნეებმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლების ჩამოყალიბება და ქართული ეროვნული იდეოლოგიის დოქტრინის ფორმირება დაისახეს მიზნად. ერთი მხრივ, ისინი აქტიურად თარგმნიდნენ გამოჩენილ თეორეტიკოსთა იდეოლოგიურ ნააზრევს, მეორე მხრივ, თავადაც წერდნენ ორიგინალურ ანალიტიკურ ნაშრომებს, რომლებიც საქართველოს პრესაში ქვეყნდებოდა. საერთო ეროვნული იდეოლოგიური ღირებულებების შემუშავებისათვის გამორჩეული გახლდათ გერონტი ქიქოძის თეორიული ოპუსები, რომლებსაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

ევროპაში განსწავლისა და მოღვაწეობის წლები ქართველი მოაზროვნისათვის მსოფლმხედველობრივი ძიებებითა და მიგნებებით გახლდათ აღბეჭდილი. ერთი მხრივ, გერონტი ქიქოძე დარწმუნდა, რომ "დასავლეთ ევროპის კრიზისი.. მარტოოდენ ესთეტიკური ხასიათისა არ იყო; ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, მსოფლმხედველობისა და ზნეობრივი იდეალების კრიზისი" (ქიქოძე 1985: 595), მეორე მხრივ, ამგვარი პესიმიზმი პუბლიცისტმა საკუთარი სამშობლოს აღორძინების იდეით შეავსო. მისი რწმენით, "ძველი იბერიული და კოლხური ტომების ჩამომავლებს ჯანსაღი ფესვები ჰქონდათ და ბებერი მუხის ტოტებს, მრავალჯერ გასხეპილთ მტრების მიერ, ახალი ნორჩი ყლორტების გამოღება შეეძლოთ" (იქვე, 596).

1914 წლის აპრილში გერონტი ქიქოძე პარიზს გამოემშვიდობა, თუმცა სამშობლოში დაბრუნებულ სწავლულს წინააღმდეგობრივი სურათი უხილავს: "ერთი მხრით, კოსმოპოლიტები დამხვდნენ, რომელნიც სრულიად არარად თვლიდნენ ქართულ კულტურას, ხოლო მეორე მხრით, ყალბი პატრიოტები, რომელნიც მზად იყვნენ, კაცობრიობის კულტურის ისტორია ქართულიდან დაეწყოთ", - იგონებს იგი.

ცნებათა და ღირებულებათა აღრევის პირობებში გერონტი ქიქოძემ სრულიად ახალ, "ეროვნული ენერგიის" ექსისტენციალურ კონცეპტს მიმართა და მისი გამოვლენა გაანალიზა სულიერი კულტურის სხვადასხვა სფეროში. ამავე სათაურის ცნობილი ტექსტი 1914 წელს "სახალხო გაზეთში" გამოქვეყნდა და მკითხველს ქართველი ერის სასიცოცხლო პრობლემატიკის სრულიად ახლებური ხედვა შესთავაზა.

კონცეპტუალურ ოპუსში პუბლიცისტი აანალიზებს საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას და ქვეყნის გათიშულობას "ორი მოპირდაპირე მსოფლიო მხედველობის, ორი განსხვავებული ქვეყნის" შეჯახებით ხსნის. ქართველი მოაზროვნე დაბნეულ და გაურკვევლობის ბურუსში მყოფ თანამემამულეებს ჩვეული პირდაპირობით მიმართავს: "ცხოვრება ფილანთროპული დაწესებულება როდია, ის არც სანატორიუმია სისხლნაკლებთა და ნერვებაშლილთათვის. ცხოვრება დიდი დრამაა, ტიტანურ ძალთა შეტაკებაა და დრამაში მხოლოდ იმას აქვს ადგილი, ვინც მუდმივ მზადაა თავდაცვისა და ბრძოლისათვის." გერონტი ქიქოძე თანამემამულეებს აქტიურობისაკენ მოუწოდებს: "ქართველმა ერმა თვით უნდა გასჭედოს თავისი ბედი. მან უნდა აამოძრაოს მატერია-

ლური, საწარმოო ძალები, მან საძირკველი უნდა ჩაუყაროს თანამედროვე მეურნეობასა და ინდუსტრიას, გაწმინდოს თავისი ენა უცხო ელემენტებისაგან, შექმნას ახალი მწერლობა და ხელოვნება. უამისოდ მას ადგილი არა აქვს თანამედროვე ერთა დიდ კულტურულ ოჯახში"(ქიქოძე 2003: 66). გ. ქიქოძის დასკვნით, ეროვნებისათვის ყველაზე დიდი ნაკლი უენერგიობა და უნაყოფობაა და ამ ნაკლს კოსმოპოლიტური ფრაზეოლოგიის მჭევრმეტყველებით ვერ გადაფარავ.

წერილში "ეროვნება და ტერიტორია" ("სახალხო გაზეთი", 1914 წ. №№117-118, 120, 124) პუბლიცისტი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოსა და ავტონომიის კონცეპტებს განმარტავს. მათგან პირველს გათვითცნობიერებული ეროვნების შესაფერ პოლიტიკურ ფორმას უწოდებს, მეორე, მისი აზრით, "მხოლოდ საფეხურია ამ იდეალის მისაღწევად". გერონტი ქიქოძისათვის "ეროვნება ცოცხალი ორგანიზმია და ის მწვავე ტკივილებს განიცდის, სანამ შესაფერ პოლიტიკურ ფორმას იპოვიდეს".

ქართველი სწავლულის დაკვირვებით, "ურთიერთობა ეროვნებასა და ტერიტორიას შორის ორგანულია და არა მექანიკური. ეროვნება წარმოადგენს.. ორგანულ არსებას და ტერიტორია მისი ბუნებრივი საფუძველია. ეროვნული ტერიტორია ისეთივე "მოუცილებელი მოთხოვნილებაა", როგორც ეროვნული კულტურის არსებობა, ზრდა და განვითარება შეუძლებელია უტერიტორიოდ". თავისი სივრცითა და საერთაშორისო მდგომარეობით საქართველო გ. ქიქოძეს ბელგიასა და შვეიცარიას მოაგონებს და არა რუსეთს თუ ავსტრიას. შესაბამისად, მისი ფიქრით, ავტონომიურად თავისუფალი საქართველოს პოლიტიკა იმპერიალისტური და მილიტარისტული მიმართულების ვერასოდეს იქნება: "ჩვენი მომავალი არის არა მილიტარიზმსა და ომებში, არამედ თავისუფალ კულტურულ შემოქმედებაში" ("სახალხო გაზეთი", 1914 წ. №№117-118, 120, 124).

გერონტი ქიქოძე კარგად ხედავს, რომ ახალ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა მისი თანამედროვე ადამიანის განსხვავებული ტიპი: ნერვიული, მოუსვენარი, ენერგიული, რომლისთვისაც "ეს ქვეყანა ფართო სახელოსნოა. თავად კი დამოუკიდებელი ოსტატი". პუბლიცისტის აზრით, ამ თვალსაზრისით საქართველო მოწინავე ქვეყნებს ჯერ კიდევ ჩამორჩება: ხალხს აკლია სისტემატური, აუჩქარებელი, მიზანშეწონილი შრომის უნარი. "ბუნებით მოუთმენელნი ვართ და შემთხვევით ან უცაბედად გამდიდრებაზე ვოცნებობთ. ამ მხრივ საშუალო საუკუნეების მეკობრეებსა და რაინდებს უფრო ვგევართ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს", - წერს იგი და თანამემამულეებს აქტიური ქმედებისაკენ მოუწოდებს. მისი თქმით, "ოქროს მინდვრები არ არსებობს. ოქროს სილას კი შეგროვება, გაწმენდა და გადადნობა უნდა, ე.ი. ხანგრძლივი და მეთოდური მუშაობა". გ. ქიქოძე განმარტავს, რომ "ერონულ სიმდიდრეს მხოლოდ ცოცხალი ეროვნული ენერგია ქმნის."

ქართველი სწავლული პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის ფართო შემოტევას ელოდება (იხ. მისი "უცხო კაპიტალი", "სახალხო ფურცელი", 1915, №234), რაც, მისი დაკვირვებით, ამა თუ ამ ქვეყნისათვის საფრთხე არ გახლავთ, "თუ მას წინ განვითარებული ეროვნული შეგნება და დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა ეგებება.... მაგრამ, როცა ქვეყანა ეროვნულ შეგნებასა და სახელმწიფო ძალას მოკლებულია, უცხო კაპიტალის გავლენა პირდაპირ გამანადგურებელი ხდება". ამავე დროს, გ. ქიქოძეს სწამს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ფერხულში ჩვენი ბურჟუაზიაც ჩაებმება და კაპიტალის დაგროვება-კონცენტრაცია ჩვენშიც დაიწყება.

1916 წელს გაზეთ "საქართველოს" (№187) დაუბეჭდავს გერონტი ქიქოძის წერილი "მეურნეობა და ეროვნული ენერგია", სადაც გაანალიზებულია იმ დროს არაჩვეულებრივი ტემპით მზარდი მიმოსვლისა და აღებ-მიმცემობის ტენდენციები: "შრომის განაწილება საერთაშორისო ხდება. მსოფლიო ეკონომიკური წეს-წყობილება ემსგავსება ერთ დიდ სახელოსნოს, რომელშიც თითოეული წევრი ისეთ რამეს აკეთებს, რაც უფრო იაფად უჯდება და ეხერხება".

გერონტი ქიქოძე ორიგინალურად და პრაგმატულად გაიაზრებს შრომის განაწილებისა და სპეციალიზაციის პრობლემას. მისთვის ამოსავალი ქვეყნის კლიმატური პირობებია, რომლის მიხედვით, საქართველოს ზოგიერთი კუთხე შეიძლება მთლად ვენახად გადაიქცეს, ზოგიერთი — ხეხილის ბაღად (შავი ზღვის პირას — თამბაქო, ჩაი, დაფნა და ა.შ.). მაგრამ, სწავლულის დაკვირვებით, ჩვენში შრომის ასეთი დანაწილება არ ხდება, ეროვნული ენერგია უნაყოფოდ იკარგება. ამავე დროს, ჩვენს მეურნეობას შეფერხების უმთავრესი მიზეზიც აქვს: "ესაა ჩვენი უმეცრება და მცონარეობა". გ. ქიქოძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ მოწინავე ერების მეურნეობა რაციონალურ ცოდნასა და მეცნიერებაზეა დაფუძნებული, ჩვენ კი "დღესაც დაახლოებით ისე ვხნავთ და ვთესავთ, როგორც ჩვენი შორეული წინაპრები", ჩვენი სახნისები და ორთითები ამჟამად მუზეუ-

მებს უფრო შეეფერება. ამ სირთულეთა დასაძლევად გ. ქიქოძე თანამემამულეებს ქვეყანაში სამეურნეო განათლების გავრცელებას ურჩევს. ის სწავლა-განათლების არსებული სისტემითაც უკმაყოფილოა: "ჩვენ ეხლა უფრო კარგი ქვისმთლელები, მეჩექმეები და მეურნეები გვჭირია, ვიდრე ცუდი ვექილები, ექიმები ან მოხელეები".

თავის კონცეპტუალურ ოპუსებში გერონტი ქიქოძემ ქართული რეალობის მრავალი საჭირბოროტო პრობლემა გაანალიზა. კერძოდ, მწერლობის განვითარების გზებს მან მიუძღვნა "ლიტერატურა და ეროვნული ენერგია" (იხ. "სახალხო ფურცელი", 1915, №241), სადაც პუბლიცისტი მართებულად განსაზღვრავს ლიტერატურის როლს კულტუროსანი ერების ცხოვრებაში. მწერლობა, მისი აზრით, დიდი სოციალური ძალაა, ეროვნული ენერგიის გაღვივებას რომ უწყობს ხელს. ქიქოძე კრიტიკულადაა განწყობილი მხატვრული სახეებითა და შინაარსით ღარიბი მისივე თანამედროვე ქართული მწერლობის მიმართ. ის, რომ ჩვენში ბევრად მეტი ლირიკული ლექსი იწერება, ვიდრე მოთხრობა, რომანი და დრამა, ქიქოძის აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს მწერლობას შემოქმედებითი ენერგია აკლია. კრიტიკოსი შეშფოთებულია იმით, რომ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ შეუქმნია თანამედროვე რომანი. ეს იმას ნიშნავს, რომ "მას ჯერ კიდევ არ აღმოუჩენია თავისი ესთეტიური სახე". ამავე დროს, მისი შენიშვნით, მეცხრამეტე საუკუნე სოციალური და ფსიქოლოგიური რომანის საუკუნეა, სადაც გამოიხატა "თანამედროვე ევროპული კულტურის სიმდიდრე, ძალოვანება, მრავალფერადობა".

კრიტიკოსს სწამს, რომ... ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას აღორძინება მოელის, ამისათვის კი "ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას ძირითადი რეფორმა სჭირია: ის დახავსებულია ტექნიკურად და ღარიბი იდეურად." რეფორმირება აუცილებელი პროცესია, რადგან სიტყვაკაზმული მწერლობა ერთი უდიდესი ელემენტია ჩვენი ეროვნული ენერგიის გასაძლიერებლად და გასავითარებლად.

არანაკლებ კრიტიკული და ექსპრესიულია 1914 წელს "სახალხო ფურცელში" დაბეჭდილი წერილი "ენა და ეროვნული ენერგია", სადაც გ. ქიქოძე ქართული ენის განვითარების პრობლემებს განიხილავს. მისი თქმით, "ენა არ არის სიტყვათა და გამოთქმათა მკვდარი ლექსიკონი, ის ცოცხალი სალარაა იდეათა და ემოციათა" და, რაც უფრო მდიდარია ერის ისტორიული წარსული, მით უფრო მრავალფეროვანია მისი ენა. გერონტი ქიქოძე ქართველობას ენერგიული ერების რიცხვს აკუთვნებს, რადგან ეს ენერგია გამოიხატა არა მარტო ტაძრებში, ციხე-კოშკებში თუ მის მიერ გადატანილ ომებში, არამედ მის ენასა და ლიტერატურაში. თუმცა კრიტიკოსისათვის მისი თანამედროვე ენა და, შესაბამისად, აზროვნება, უფორმო და უენერგიოა, აღარ არსებობს მასშტაბურობა. მისი აზრით, იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილის მემკვიდრეები თავიანთ შემოქმედებაში ესკიზებსა და მინიატურებს ვერ სცილდებიან.

ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოსვლისათვის გ. ქიქოძე თანამემამულეებს ქართული კლასიკური მწერლობისა და ხალხური ენის შესწავლას ურჩევს, რადგან "ქართული ლიტერატურული ენა ისე უნდა გაიწმინდოს, რომ არ გაღარიბდეს". გამდიდრებული ენა კი, კრიტიკოსის აზრით, "საუკეთესო იარაღი იქნება მთლიანი საქართველოს იდეის გასამტკიცებლად. ის ხელს შეუწყობს ძლიერი ეროვნული აზროვნების განვითარებასაც". დღესაც აქტუალურად ჟღერს გ. ქიქოძის შეგონება: "ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა".

გერონტი ქიქოძემ ზუსტი ინტუიციით შეგრძნო, რომ მისი დროის საქართველო კვლავ ისტორიულ გზაგასაყარზე იმყოფებოდა. წერილში "ჯვარედინ გზაზე". პუბლიცისტი მასშტაბურად გაიაზრებს ქვეყნის ისტორიას: "ჩვენი ეროვნული კულტურა დასავლეთ-ევროპიული და წინააზიური ელემენტების თავისებურ შეუღლებაა.. თუ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში ბარბაროსობის წყვდიადი გაიფანტა, ჩვენს თვალწინ დიდი გზები გამოჩნდებიან და ხანგრძლივი გათიშვის შენდეგ იმ კულტუროსან ოჯახს დავუბრუნდებით, რომელსაც დიდი ხანია ვეკუთვნით ჩვენი სულითა და ჩვენი წარსულით"(ჟ. "საფირონი", 1916, გვ. 12).

მსოფლიოში საქართველოს ადგილისა და ფუნქციის განსაზღვრას ეძღვნება გერონტი ქიქოძის ცნობილი წერილი "დასავლეთის კარები", სადაც გატარებულია აზრი, რომ "გამანათებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერგია დასავლეთ ევროპიდან ეძლევა კაცობრიობას". ამიტომ, გერონტი ქიქოძის რწმენით, "დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემცნობი და მომქმედი ერისათვის. უამისოდ მის კერას გაციება და მის სხეულს გაყინვა

მოელის” (ქიქოძე 2003: 225) ბუნებრივია, ქართველი სწავლული თავისი ქვეყნის ისტორიულ ადგილს სწორედ ამ არეალში ხედავს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ქიქოძე 2003: ქიქოძე გ. პატარა ერის ხვედრი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2003.
2. ქიქოძე 1985: ქიქოძე გ. წერილები, ესეები, ნარკვევები. თბილისი: “მერანი”, 1985.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

უშანგი მოსიაშვილი

„...მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო
უზარმაზარი, როგორც პოეტის
შთაგონებით დასნეულება“.
პაოლო იაშვილი

შთაგონებული პოეტის, ბატონი უშანგი მოსიაშვილის ბოლოჟამინდელ შემოქმედებას ქართველი საზოგადოება კარგად რომ ცნობს ამაზე თავად მკითხველი დამეთანხმება, რასაც მხოლოდ იმას დავამატებ, რომ როცა მის ახალ ლექსს, ან წიგნს იმ თვალსაზრისით ვკითხულობ ახლებურად არის თუ არა დანახული ძირითადი კრედო, კვლავ დასტურს მივიღებ იმ თვალსაზრისით რომ თვითოეული სტრიქონი არა ხელოვნურად არამედ ბუნებრივ, უნიღბო ქარაზმით რომაა აკონილ-აძერწილი და რითაც ბოლომდის რომ იძირები მის სააზროვნო განცდაში, თითქმის წყდები გარე სამყაროს და ხვდები ნააზრევი რომ რიგითი სასიტყვეთის მპყრობელ პოეტისა კი არა, არამედ იმ უებრო შემოქმედისაა, რომელიც ამავდროულად გულმხურვალე, ცივილური მხატვარიცაა ანუ ავტორი ორჯერ შემოქმედი, ორჯერ ხელოვანია და თუ ზეციური შემომქმედი სამობითაა მისი მესამე სწორედ ის პატივსაცემი მისი თავმდაბოლობაა, რომელზეც ვრცლად საუბარი შეიძლება. თავის თავზე მწიფე თავთავის ანდაზის სიბრძნის შესაბამისად კი კერძო საუბრებში რომ განაცხადებს ხოლმე: – „მე პოეტი არა ვარო“, რასაც ალბათ ასეთი სტრიქონებიც შეიძლება მიესადაგოს:

რომ ასეთი არსებობთ
ღმერთს ამისთვის მადლობა,
ყოვლად გულსაამოა
თქვენი დიდთავმდაბლობა.

რაზეც თავად ავტორი ლექსში: „მე საქართველოს სიკეთე მინდა“, მყისიერად ამტკიცებს:

არ მიფიქრია რომ პოეტი ვარ,
და ამ სიკეთით დავიდგა ძეგლი.

ბატონი უშანგის ყოველმხრივ სიკეთეს რიცხობრივად ისიც ემატება, რომ იგი ცნობილი ქველმოქმედია და სწორედ მისი ღვაწლი უნივერსალური რომაა ამასწინად დღევანდელმა ქართულმა ლიტერატურულმა ბომონდმა ალტრუისტ პოეტს დაბადებიდან 82 წელი აღუნიშნა, რაც მრავალი გულთბილი გამოსვლის შემდეგ სუფრითაც დასრულდა. სუფრა, რომელიც ოდითგანვე აკადემიად რომაა ცნობილი და ასეთს ამჯერად პოეზიის საღამოც რომ ეწოდებოდა, რადგან მრავალმა ცნობილმა, უსათუთესმა ავტორმა წაიკითხა ბატონი უშანგისადმი მიძღვნილი ლექსები. მათ შორის იყვნენ დღევანდელი საერო პოეზიის ქალმეფედ წოდებულნი, ერის სიმდიდრენი მწერალთა კავშირის მრავალწლიანი თავმჯდომარე, უსათნოესი ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, „ქართული ლიტერატურის ჯვრად“ და „ოქროს ქოშიანად“ წოდებული ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი და სხვები. ასეთ ბუმბერაზ გამომსვლელთა გვერდით იმ ერთსტროფიანი გამოსვლით შე-

მოვიფარგლე, რომელიც ჯერ მხოლოდ საღებავშეუმშრალ გამოქვეყნებულად ითვლებოდა და რომელიც იყო წერილიდან „კოსმოპოლიტური შემოქმედი“:

თითქმის ყოველი მეფის სურათი
აამეტყველე ფერად პორტრეტად,
მარჯვენით მხატვრად დაბადებულხარ
ხოლო სულით კი ქართველ პოეტად.

აღნიშნულ აკადემიურ სუფრას უძღვებოდა ზნეწმინდა, ქართული სარწმუნოების და პოეზიის თაყვანმცემი მამა ამირან ამირანაშვილი, რომელსაც ბატონი უშანგი მისდამი მიძღვნილ ლექსში „თვითნაბად ოქროდ“ აღიარებს და თან ასე რომ ეაჯება:

კაცს მარტო მისი დანახვა
დარდიანს მისცემს შვებასაო

იმას კი რაც შეეხება, რომ თუ კი ბეთჰოვენის ხელოვნებამ არ იცოდა ასაკი არც ბატონი უშანგის პოეზიამ არ იცის იგი. სწორედ ამიტომ მაღალ კვარცხლბეკზე მდგომი, როგორც ავღნიშნე თავმდაბალი შემოქმედი კვლავ აქტიურად განაგრძობს მოწოდების სიმაღლეზე დგომას და აქტიურად ეფოფინება ახალახალ სტრიქონთა ჩამოქანდაკებას. (ამიტომაა მასზე რომ უთქვამთ: – ცხოვრება მისთვის მუდმივი ომია და უკომპრომისობა. Aამიტომაცაა ის ასე მახლობელი და საყვარელი თაობებისთვისო“.. წიგნიდან „მოდით კაცებად დავრჩეთ ბოლომდე“ გვ. 452).

ისიც რეალურ აღსანიშნავია, რომ უწვდომია რომლის მწვერვალის ფლობაა უფრო რთული პოეზიისა თუ მხატვრობისა, რომელ გამოცანასაც იოლად ხსნის ბატონი უშანგი, რადგან ორივე მათგანი ხელდებული უსასრულობაა, სულიერი საარსებო სრულყოფილებაა და რომ ორივე ნაშრომნი მისთვის პირმშოს თანაბარ ტოლფას-სადარი რომაა.

და რადგან მხოლოდ შავით თეთრზე კი არა, მიწაზე, ცაზე, ჰაერზე, ადამიანის სახეზე, თვალებში დაწერილის, თანაც გულში ან გონებაში გავლებულის ამოკითხვა შემიძლია ბატონი უშანგის თვალებში და შუბლზე იმ პოეტურ სულისკვეთებას ვკითხულობ, რომელზეც მეც, კოლეგებსაც და ოპონენტებსაც აქამდისაც არაერთხელ გვისაუბრია და რადგან ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება და ყველაფერი ბედწერაა და თან ყველაფერი შედარებითია, თუ მის შემოქმედებას მეფედწოდებულთა ლიტერატურულ სამკვიდროდ დანატოვრების ლექსწერას, ლექსწონას ვერ გავუმიჯნებ, რაც უტოპიაც ნამდვილად იქნებოდა, მაგიერში ძალიან ახლოსაა პოეზიის უცნაურ, უკიდეგანო არენაზე საუკუნოვანი გურჯის პირდაპირ, ალალ გამოსვლებთან, რომელიც ყოველთვის ცდილობდა მარტო ეპოსურ „ანა ბაჯიში“ კი არა, ნებისმიერ სტრიქონში, მხოლოდ პირდაპირ და არა მიკიბულ მოკიბულ ინკოგნიტურ, სააზროვნო ფერებით დაეტვირთა თავისი საუკუნოვანი, უალეგორიო სახალხო სათქმელი. ანუ ის პირდაპირ ამბობდა ნაფიქრს თავის სატრფიალო ლირიზმში.

ასევეა ბატონი უშანგიც რაოდენადაც ლაღად ამბობს სათქმელს სამიჯნურო ლექსში „ლამაზ ქალს“, იგი სათაურშივეა ამ ლექსის ანალოგი, „ლამაზების პრეზიდენტო შემკობილო სრულადა“, ორივე ლექსი რამის აფორიზმსაც კი რომ წააგავენ ანუ ისინი სრული ვერსიფიკაციით ერთი და იგივეა. ბატონი უშანგი აღნიშნულ ლექსს ასე იწყებს:

თმებში ჭაღარა შემომერია
და სახე უფრო გამიხდა მკრთალი,
რა კარგად მახსოვს ოცი წლის წინათ
გვრდით რომ მეჯდა ლამაზი ქალი.

ამ ორივე ლექსს ლირიკის ერთიდაიგივე ალტაზიმუტი გააჩნია ამიტომ თუ იეთიმი ამბობს:

სანამ შენ სახესა მზერდე
სულ იცოცხლე, არ დაბერდე

ბატონი უშანგი კი ფიქტიურ თუ ფაქტიურ პარტნიორზე ამდაგვარად განაცხადებს:

მე ჩემს ჭაღარას კიდევ ავიტან
გული გაუძლებს სიბერით ჭმუნვას,
მაგრამ შენს თავზე ჭაღარის კიაფს
ვეღარ ავიტან და მიტომ ვდუმვარ.

როცა მჭევრმეტყველი იეთიმი მეტყველებს:

შენთვის ვგალობ მიცან ხმაზე,
აღარავარ კაცი ჭკვაზე

ბატონი უშანგი ასე გალობს:

შენი თვალების მზერა ირიბი
ჩემს სხეულს ტანზე ჟრუანტლად უვლის,
თუ შენს მღელვარე სულს არ გავათბობ
მაშინ რად მინდა მიძგერდეს გული.

აღნიშნული ლექსი დათარიღებულია გასული საუკუნის ოთხმოცდამეექვსე წლით რაც ასე მთავრდება:

ჩემო სულისთქმავ და სიხარულო
მსურს ამოგიშრო თვალი ალერსით,
და შენ გეკუთნის რაც მაბადია
სიცოცხლე ჩემი უმხურვალესი.

იდენტურია აგრეთვე „საიათნოვას“ „ვინ დამწყევლა“ და ბატონი უშანგის ლექსი „სიყვარულს“, რომელსაც ამგვარად ამთავრებს:

მოდით ვუმღეროთ სიყვარულს
რაც ქვეყანაზე გვარობსა,
ვაქოთ ვადიდოთ ის ყველა
ვინც სიყვარულზე გალობსა.

უპრიანია ისიც ითქვას, მეფე პოეტისა არ იყოს – პოეზიაო, სიყვარულიც უპირველეს ყოვლისაა, რომელიც ბრმის სახელითაა ცნობილი. სწორედ ბატონი უშანგის მამაკაცურ გულსაც და შემოქმედებასაც იმ სიყვარულმა რომ დააჩნია თავისი მტკივნეული კვალი რომელსაც დასაბამიდან მთელი კაცობრიობა იმ დიაპაზონის ტყვეობაში ჰყავს ხან რომ აცინებს და ხან რომ ატირებს, რასაც იეთიმი სტრიქონით ამტკიცებს კიდეც:

მე რომ ვტირი შენთვის სიხარულია

(თუმცა იეთიმი ერთი მიმართულების იყო, ხოლო ბატონი უშანგი გლობალური ლირიკოსი შემოქმედია).

ისტორიულ-გენიალური, უვიწყი სტრიქონები: – „ისმოდეს საქართველოში სიმღერა საივერიო“, მაფიქრებინებს: ისმოდეს საქართველოში მხოლოდ მთელ მსოფლიოში აღიარებული, მშობლიური, ბრძნულ-კლასიკური ნაღვაწი კი არა, არმედ ასე ალაკალმოსნურ, ალამგოსნური, უბოროტო, გულტკივილიან-ქვეშეცნეული ლექსები, რომლის ავტორობის საშესაბამისო შკალას ერთი ასეთი პრივილეგირებული ქართული ხელმოწერა ამშვენებს: უშანგი მოსიაშვილი.

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

FESTSTELLUNGS- UND SYSTEMATISIERUNGSVERSUCHE DER ANTONYMIEABARTEN IN DER MODERNEN LINGUISTIK

In der vorgelegten Schrift werden in den modernen linguistischen Forschungen dargestellten Versuche der Konkretisierung des Wesens der Antonymie, der Feststeluung und Systematisierung ihrer Abarten behandelt; bestätigt wird die Richtigkeit des Erkennens des Untersuchungphänomens als Gegenstand mehrer Disziplinen und auch die Berücksichtigung strukturell-semantischer Markere der antonymischen Einheiten, die Zweckmäßigkeit der Bildung des antonymischen Wörterbuches.

Der vorgelegten Forschung wurde das Verstehen der Sprache als organisierte Ganzheit, das System, derer Elemente sich in Wechselbeziehung und Gegensätzlichkeit, oppositionellen Relationen befinden, zugrunde gelegt , die ganz tief in die Sprache eindringen und den Besitz des lexikalischen Systems der Sprache bilden. Die Notwendigkeit der Antonymieforschung wird eben durch das Wesen dieser Erscheinung bedingt.

Die Antonymie wird als eines der relevanten Mittel des Offenbaren des Systemcharakters der Sprache betrachtet. Sie wird als zwischen den sprachlichen Einheiten existierende universale und grundsätzliche Relation behandelt. Durch den Vergleich des Begriffes "Unterschiedlichkeit' wird mit Hilfe der Analyse seiner semantischen Eigentümlichkeiten in der Arbeit, der Versuch der Formulierung präziser Interpretation des Begriffes "Gegenüberstellung" gegeben. Das Fundament der Gegenüberstellung bilden die nicht nur wechselseitig unterschiedlichen, sondern auch äuβserst gegensätzlichen sprachliche Einheiten der Realität, die rückbezüglichen Erscheinungen ausdrücken. Es ist notwendig diese zwei Begriffe- "Unterschied/Differenz und "Gegenüberstellung"von einander abzusondern. Durch die Gleichheit dieser Begriffe wurden als Antonyme die Lexemen folgender Atrt anerkannt: ***Vater-Mutter; Nadelbaum-Laubbaum; erwerben-besitzen; entstehen-existieren*** *u.a.*

Für die Feststellung des antonymischen Paares reicht es aber nicht, daβ es der maximale Unterschied zwischen den Wörtern auf semantische Ebene gibt. Notwendigerweise soll ein Mitglied des Paares durch das andere negiert und ausgeschlossen werden, mit ihm in Gegenzatz stehen. Solche Relation soll in der Kombination der domminierten Semen des semischen Bestandteils der gegensätzlichen Relation realisiert werden, ein Phänomen soll die Rückseite des Zweitens darstellen. In anderen Fällen wäre es nicht korrekt über die Antonymie zu sprechen. Ausgehend von solcher Aussicht wird die Antonymie in dieser Arbeit als in logischer und semantischer Gegensätzlichkeit existierende Paarung der lexikalischen Einheiten im Rahmen der allgemein-kategorialen Gattungssemantik auf Grundlage der Markscheide/Grenzscheide der konkreten innenkategorialen Artsemantik bestimmt. Unter Antonymie ist zu verstehen: eines der auf Grundlage der Artsemantik gepaarte Glieder der lexikalischen Einheiten, das gegen der Bedeutung des zweiten Gliedes gegensätzliche, äuβerst widersprüchliche/gegentelige und völlig ausschlieβsende rückbezügliche Bedeutung ausdrückt. In solchem Masse wird als Grundlage der Antonymiebestimmung hauptsäechlich die Gegenüberstellung und rückbezügliche Relation betrachtet. Durch die Identität des Bodens wird die Āhnlichkeit der Definitionen bedingt, die es in der Linguistik gibt. ***Antonymie sind die Wörter, die wechselseitige, gegenteilige und zugleich entsprechende/aufeinanderbezogene Begriffe ausdrücken.***

Bei der ausführlichen Charakterisierung der einzelnen Eigentümlichkeiten der Antonymie werden obwohl solcher gleichen Definitionen auch unterschiedliche Gesichtspunkte abgerechnet. Die Verschiedenheit der Meinungen wird vor allem dadurch bezeichnet-welche Srtuktur die Einheit von den gegenübergestellten Lexemen besitzen soll, um sie als Antonymie anzurechnen. Als wahre Antonyme werden nach der Meinung einiger Wissenschaftler nur die Stammwörter betrachtet, in dennen die Gegenüberstellung der Bedeutungen durch die Stämme ausgedrückt sind: **arm-reich; fleissig-faul**; Was es die Gegenüberstellung der Lexemen angeht, die durch das Hinzufügen des negativen Teilchen auf das Stammwort realisiert wird : **ruhig-unruhig; Tiefe-Untiefe; ehrenhaft-unehrehhaft**; und für eines der Mitglieder die oppositionelle Bedeutung erworben oder wiederholt./abermalig ist, wird sie als Antonymie nicht betrachtet.

Bei einer Reihe von den Wissenschaftlern wird diese Behauptung weiter konkretisiert: qualitative Adjektive mit den negierenden Präfixen werden als Antonyme nur in solchen Fällen betrachtet, wenn sie die Grenzmitglieder des Paradigmas darstellen. Es gibt auch radikal unterschiedliche Meinung -*die durch das Hinzufügen des negativen Teilchen gebildete eine neue lexikalische Einheit soll bedingungslos als Antonymie des entsprechenden Wurzelwortes anerkannt werden*.

Die Meinung davon, daβ auf den identischen Stamm durch das Hinzufügen des negativen Teilchen die antonymischen Relationen befestigt werden können, soll als regelrecht angesehen werden. Solch ein Verhalten zu diesem Problem wird in vielen Forschungen geäuβert. Da als einer der produktiven Wege der Entstehung der Antonymie mittels der entsprechenden Affixe und Halbaffixe verwirklichte Wortbildung anerkannt werden soll, sind die Folgen dieser Untersuchungen der Beweis davon, daβ eben in der Wortbildung nach der Grundlage der Antonymieentstehung gesucht werden soll.

Der Beweis, der unter Vermutung die Relevantität der strukturellen Markers bei der Gegenüberstellung der lexikalischen Einheiten stellt, soll als korrekt nicht angenommen werden, weil wir es als möglich halten, ein Mitglied des antonymischen Paares als Stamm- und das Zweite als abgeleitete Einheit darzustellen.

Die antonymischen Relationen zeigen sich nicht nur auf Grundlage der Bedeutung gegenübergestellte zwei sprachlichen Einheiten. Die Realisierung der oppositionellen Semantik ist es möglich, auch im Rahmen der semantischen Struktur eines Wortes, bei der Gegenüberstellung der Bedeutungen festzustellen. Solche Gegenübestellung wird durch Termini "Enantyosemie" bezeichnet, was auf die innere Antonymie des Wortes deutet, der Begriff der Antonymie ergänzt und sich zugleich von ihm unterscheidet.

Unter Antonyme wird hauptsächlich auf Grundlage der semantischen Gegenüberstellung gepaarte Vereinigung der Wörter gemeint. Dementsprechend wird als bedeutendes Merkmal der Antonymie die Binarität genannt. Unter den Wissenschaftlern gibt es auch eine unterschiedliche Meinung davon, daβ für das Anerkennen der Wörter als Antonyme es nicht reicht, sie derartig gegenüberzustellen. Auβer der Gegenüberstellung soll zwischen ihnen auch unbedingt zweiseitige Relation bezeichnet werden. Die Antonymie ist hauptsächlich für die Klasse der Adjektive eigen, weil die Adjektive vowiegend in der Lage sind, in Verbindung der gleichen realen Einheiten die gegensätzliche Bedeutung zu zeigen. Die Antonyme treten auch bei den Verben und weniger bei den Substantiven vorwiegend in solchen Fällen auf, wenn sie von den Adjektiven abgeleitete Nomen darstellen.

Zwecks der Feststellung der Qualität der Verbreitung der Antonymie im System der Redeteile wurde in der Arbeit im Rahmen der einzelnen Redeteile die statistische Analyse durchgeführt. Zufolge der Analyse sind die überwiegende Mehrheit der Antonymie im Deutschen, Englischen und Französischen bei Adjektiven.und Verben festgestellt worden.

Um zu zeigen, durch welchen Bestand und die Struktur die antonymischen Relationen dargestellt sind, werden in den linguistischen Forschungen verschiedene Fachausdrücke verwendet werden. Einige Wissenschaftler benutzen für die Bezeichnung der antonymischen Relationen den Terminus **Gruppierung**, die entweder durch eine einfache zweigliedrige oder synonymische, mehrgliedrige Gruppierung dargestellt werden kann. Die Gegenüberstellung des Letzten vollzieht sich durch die synonymischen Reihen. Neben jedem Mitglied der Reihe steht das Glied ihres oppositionellen Paares. Sie werden als “antonymische Paare” bezeichnet werden. Obgleich auch der Terminus “Gruppierung, Gruppe nicht ausgeschlossen wird. Im allgemeinen wird dieser Fachausdruck vorwiegend für die konträre Antonymie verwendet, weil von den Arten der Gegensätzlichkeit: **kontradiktirische, konträre, komplementare, conversionale**-nur im Falle der Gegensätzlichkeit dieser Art, bei der Präzisierung der Untersuchungsrelation die Wortgruppen-korelative Reihen mehr gebräuchlich sind. Für die anderen Abarten ist hauptsächlich die Zweigliedrigkeit typisch.

Ausgehend vom Charakter der unterschiedlichen Typen der Relationen, kann man ganz bestimmt sagen, daβ die Grundlage der beliebigen Antonymiarten eindeutig der Begriff der Wechselbeziehung ist. Alle andere Merkmale der antonymischen Relationen sind zusätzliche, ergänzende Komponente dieser Erscheinung, die bei der Āuβerung der antonymischen Relationen keine entscheidende Bedeutung haben.

Im Artikel vorgelegte Untersuchung beschränkt sich nur auf unbestreitbare von allen anerkannten, **kontradiktorischen** oder auf die Analyse der äuβerst antonymische Relationen. Um einen Antonymiestatut zu bekommen, soll für das antonymische Paar beliebigen Typs auβer der Gegensätzlichkeit auch folgende Zeichen charaktristisch: **allgemeinkategoriale-Gattungs- innenkategoriale-Artsemantik, Binarität, und Grenzscheide/Terminalität**.

In der Gegenüberstellung wird der innere Widerstand zwischen dem Gegenstand oder einer Erscheinung, einer Handlung oder einem Zustand, einer Eigenshaft oder einer Zahl, einer Quantität gemeint. Soweit die Gegensätzlichkeit der lexikalischen Einheit mit der Entgegenstellung der in der Realität existierenden Begriffe völlig in Einklang sind, wäre es nicht schwer festzustellen, durch welche lexikalische Einheiten die gegenseitigen Bedeutungen realisiert werden. Obwohl solcher objektiven Grundlage, gibt es öfter die Fälle, wenn in den einzelnen Forschungen und lexikographischen Arbeiten die auβerhalb der Gegensätzlichkeit stehenden Wörter nicht so selten als Antonyme aufgenommen werden. In solchen Fällen wird es in der Arbeit zweckmäβiger zu den einzelnen semantischen Varianten die semische Analyse für die Verteidigung voller Objektivität zu verwenden. Das gibt eine Möglichkeit während der Forschung einen subjektiven Moment maximal auszuschlieβen und fördert dazu die semantische Struktur des Wortes mit absoluter Objektivität zu beschreiben.

Wenn das antonymische Paar durch verschiedene lexikalische Einheit dargestellt ist, wird bei der Gegenüberstellung ihrer semantischen Bestandteile der Unterschied nicht nur im Rahmen von einem, sondern von mehreren Sememen geäuβert. Der Unterschied beruht sich auf den gegenseitig ausschlieβenden Charakter des Zeichens und auf die Semem, die die Eigenschaft bezeichnet. z.B. die Glieder des antonymischen Paares **hart-weich** gleich dem allgemeinen kategorialen Sememen -Merkmal-Eigenschaft, Qualität entsprechen.

Der semische Bestandteil kann folgenderweise dargestellt werden: **hart** besteht aus den Sememen: ***Hartheit, Gewaltigkeit, Strengheit, Intensivität, Grobheit, Altertum;*** Im Bestandteil des Wortes **weich** werden folgende gegensätzliche Sememen festgestellt werden: ***Mildheit, Zartheit, Zärtlichkeit***. Sowohl in der semantischen Struktur von **har**t als auch von ***weich*** fixierte semantische Varianten werden durch die

bezeichneten Sememen abwechselnd realisiert -eine domminierende Position wird zu jeden einzelnen Varianten der für die realisierte Variante entsprechende Semem einnehmen.

Wenn die Gegenüberstellung zwischen den Einheiten auf einen der Mitglieder durch das Hinzufügen der negierenden Elementen verwirklicht wird, ist die Antonymie abgeleitet. Die Gegensätzlichkeit wird eben nur mit Hilfe einer negierenden Semem realisiert werden z.B. **Glück-Unglück.** Glück-*erwünschter, geistiger oder materialer Zustand der Menschen".* Alle diesen Sememen sind für den antonymischen Partner von **Unglück** charakteristisch, aber nur bei seiner negierenden Āuβerung. Eine unbestreittbare und objetkive Voraussetzung für die Feststellung der semasiologischen Wechselrelation der sprachlichen Einheiten der Antonymie ist die direkte Bedeutung.

Man stimmt einer Meinung davon bei, die Antonymie als unzertrennlicher Teil der Sprache anzuerkennen. Die Wissenschaftler heben die mit dem Erlernen dieses Phänomens verbundene Schwierigkeiten hervor. Als das Eigentum der Sprachlexik ist die Antonymie der Untersuchungsgegenstand der Semasioligie. Die semasiologische Forschung ist aber von einem subjektiven, intuitiven Moment weniger gesichert, wodurch nicht so sellten die durch die Untersuchung ergebene nicht objektive Charakter der Schluβfolgerungen bedingt ist. Das geht die Antonymieforschung auch an.

In der Sprachwissenschaft domminiert solch eine Meinung, daβ in nirgend einer sprachlichen Erscheinung die logischen und lexikalischen Kategorien miteinander so sehr verflochten sind, wie es im Falle der Antonymie ist.Eben darin besteht der Grund, daβ ein Teil von den Forschern es zweckmäβig halten, die Antonymie im Rahmen der Lexikologie, der andere Teil; aber als die Zugehörigkeit der Psycholinguistik zu behandeln. Dieser Standpunkt soll nicht völlig korrekt sein. Als Grundlage der Gegenübersteluung der Glieder des antonymischen Paares soll wie es oben erwähnt wurde, nicht nur eine Spracheinheit, sondern auch eine Redeeinheit dargestellt werden. Ausgehend davon wird die Antonymie in der vorgelegten Forschung als ein sprachliches Phänomen bestimmt, das auf der Sprachebene realisiert wird. Was es aber die Antonymie anbetrifft, die in/durch Winken der Psycholinguistik behandelt wird, wird auf der Textebene realisiert, gibt ihr eine stilische Färbung und in solchem Masse ist es möglich sie als Kategorie der Psycholinguistik darzustellen.

Die Antonymie gehören zum Bereich der Lexikologie. Ihre Forschung beruht sich auf die aktiven synchcronischen Verbindungen der Lexemen, auf die Relationen dieser Verbindungen mit der Wortblidung und mit der grammatischen Natur der gegenüberzustellenden sprachlichen Elementen.

Ausgehend von der Spezifik des lexikalisch-semantischen Paradigmas, kann die Antonymie im Kontext zusätzliche Bedeutungen gewinnen, wodurch öfter die Notwendigkeit des Wexels/der Versetzung von den Mitgliedern des antonymischen Paares bedingt wird. Auf Grundlage der im Kontext gewonnener Meinung wird dem auf paradigmatischer Ebene fixierten antonymischen Paar zusätzlich die durch den syntagmatischen Schnitt bedingte antonymische Relationen ausgesucht. Die Grundlage solcher Relationen stellt die Distribution des konkreten Wortes dar, die lexikalische Ergänzung des antonymischen Paares präzisiert, genauer formuliert, gibt eine Möglichkeit das Verhalten der Antonymie als psycho-linguistische Phänomen, zu den Einheiten der identischen Ebene- ***Synonymie, Antithese und Enantyosemie*** zu zeigen. Der Kontext Solcher Art wird als "antonymischer Kontext"benannt.

Durch den antonymischen Kontext wird im Artikel eine lexikalische Umgebung des Wortes, eine Distribution gezeigt, die nicht so selten die Gegenüberstellung solcher zwei Einheiten auf der syntagmatischer Ebene bestimmt, die auf der paradigmatischer Ebene als Antonyme nicht betrachtet werden können. Als Fundament der Gegenüberstellung ist wesentlich die subjektive Wahrnehmung einer Erscheinung, subjektive Kriterien der Einschätzung, die Pragmatität und die verschiedenen stilischen Mittel des Ausdrücks des Aufgefassten angesehen.

Die Klassifikation der lexikalischen Antonymie ist in der modernen Linguistik auf Grundlage verschiedener Merkmale verwirklicht. Sie stützt sich zwischen den morphologischen und semantischen Aspekte auf das Prinzip des Paralelismus. Aantonymische Relationen werden nur im Rahmen eines bestimmten Redeteiles zwischen den lexikalischen Einheiten mit gegenübergesetzten Bedeutung befestigt werden. Obgleich dieses Prinzip nach der Meinung der Forscher als vollständig nicht betrachtet werden kann, braucht es ebenso/ zu /reinigen. Als Basis der abgesonderten Gegenüberstellung aller Art wird die Semantik betrachtet. Die Klassifikation einer Reihe der Antonyme –stützt sich auf die Struktur in unmittelbaren Verbindung mit der Semantik.

In den Arbeiten, die den antonymischen Problematik gewidmet sind, werden hauptsächlich **identische-gleichstämmige Antonyme, differenzielle /verschiedenstämmige Antonyme** abgeteilt**.** Zu den gleichstämmigen Antonymen wird eine Klassifikation verwendet, die sich auf die im Rahmen der Antonymie

wirkende wortbildende Typen stützt. Man unterscheidet einerseits auf die identische Stämme durch das Hinzufügen der Affixen gebildete Antonyme und die Antonyme, derer strukturellen Bestand durch verschiedene Stämme und negierende Affixen dargestellt wird. Zufolge der Angaben der existierenden Forschungen, die der Beschreibung der strukturell-semantischen Typen der Antonymie gewidmet sind, könnenn die Wege der Lösung der mit der Antonymie verbundene Probleme abgetrennt werden, die Voraussetzungen der Untersuchung festgestellt und ihre vermutliche Folgen durchgedacht werden.

Für die Forschung ist vorallerdings nötig:

– Die Beschreibung der lexikonischen und kontextuellen Angaben der Untersuchungseinheit, sowohl einzeln genommene lexikonische als auch im Kontext realisierte Bedeutungen. Hier wird auch der Moment der Gegenüberstellung auf Grundlage ihrer okkasionellen Bedeutungen gemeint.

– Die Präzisierung der wortbildenden Modelle-einstämmige, einfache und mehrstämmige abgeleitete präfixal-suffixale Wöter, in dennen die Opposition sowohl durch einstämmige, primitive, als auch mehrstämmige, abgeleitete Lexeme, präfixalsuffixale Wörter erzeugt werden.

– Die Āuβerung des qualitativen, positiven und negativen Merkmals, Anzeigers.

– Feststellung der Verbreitung des Potenzials der gegenübergestellten Einheiten, auf derer Grundlage ein-und mehrdimensionale Oppositionen ausgesondert werden.

– Die Konkretisierung der logischen Relationen, die Berücksichtigung der funktionallen, semantischen, wortbildenden, grammatischen Markers, Anzeigers.

– Die Konkretisierung der in Antithese und Enantyosemie realisierte Spezifik der antonymischen Relationen.

– Auf Grund der Analyse der semantischen Gegenüberstellung und Invariantität folgende strukturelle Typen der Antonymie aussondern: **konträre, kontradiktorische, conversionelle, komplementäre.**

Die Grundlage der Feststellung der Antonymie mit maximaler Präzisierung bilden eben die semasiologischen Eigentümlichkeiten der sprachlichen Elementen. Als wahres Mittel der Aufzählung dieser Eigentümlichkeiten soll das entsprechende Lexikon anerkannt werden. Das Lexikon der antonymischen Einheiten wird richtig als Garantie der Bereicherung des Wortschatzes der Sprache und ihrer bewuβten Beherrschung behandelt. Auf Grundlage der Organisierung der Prinzipien des empirischen Stoffes und der Analyse der Srtukturierung einzelner lexikonischen Artikels wird in der Arbeit das antonymische Lexikon ebenso vom unterschiedlichen Typ, der Versuch der Feststellung des Musters seines einzelnen lexikonischen Artikels gegeben. Formiert wurden solche unbestreittbare Bedingungen, derer Verteidigung obligatorisch ist, um lexikographische Arbeit solcher Art zu bilden. Bei der Fixierung der oppositionellen Wörter soll allerdings in Betracht usuell-lexikonische Bedeutung dieser Einheiten genommen. Auf Grundlage dieser Einheiten vollzieht sich ihre Formulierung zu antonymische Paare, die Überprüfung der Objektivität der Gegenüberstellung durch die Vergleichung der semantischen Strukturen der oppositionellen Einheiten, durch die Präzisierung ihres semischen Bestandes.

ლალი რატიანი

ანტონიმთა სახეობების დადგენისა და
სისტემატიზაციის ცდები თანამედროვე ლინგვისტიკაში
რეზიუმე

წინამდებარე შრომაში კვლევა ეფუძნება ლექსიკური ანტონიმიის მასალას. ლექსიკურ ანტონიმთა კასიფიკაცია განხორციელებულია თანამედროვე ლინგვისტიკაში სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. იგი ემყარება მორფოლოგიურ და სემანტიკურ ასპექტებს შორის პარალელიზმის პრინციპს-ანტონიმიური მიმართებები მყარდება ერთი გარკვეული მეტყველების ნაწილის ფარგლებში, საპირისპირო ლექსიკურ ერთეულთა შორის. ეს პრინციპი არ მიიჩნევა სრულროფილად, იგი საჭიროებს დახვეწას, რაც მდგომარეობს ოპოზიციურ მიმართებაში მყოფ ერთეულთა რიცხობრივი პარამეტრების ზუსტ განსაზღვრებაში, რომელთა საფუძველს სემანტიკა წარმოადგენს. ანტონიმების კლასიფიკაცია ორგანულადაა დაკავშირებული ამ ფენომენის პრაქტიკულ გამოყენებასთან მისი ბუნებისა და ენის მთელი ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის გათვალისწინებით.

რიგ ანტონიმთა კლასიფიკაცია ეყრდნობა სტრუქტურას სემანტიკასთან კავშირში, ერთის მხრივ და ანტონიმების ფარგლებში მოქმედ სიტყვაწარმოებით ტიპებზე დაყრდნობით კლასიფიკაციას, მეორეს მხრივ.

ანტონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპების აღწერისადმი მიძღვნილ არსებული კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ანტონიმიასთან დაკავშირებული პრობლემების

გადაჭრის გზების გამოკვეთა, კვლევის წინაპირობის დადგენა და მისი სავარაუდო შედეგების გააზრება; ამისათვის კი აუცილებელი გახდა საკვლევი ერთეულის კონკრეტული და კონტექსტუალური მონაცემების ფლობა, სიტყვაწარმოებითი მოდელების დაზუსტება, საკვლევი ერთეულის თვისობრივ-ხარისხობრივი პოზიტიური და ნეგატიური მაჩვენებლების გამოკვეთა, დაპირისპირებულ ერთეულთა გავრცობის პოტენციალის დადგენა, ლოგიკური მიმართებების დაკონკრეტება, ანტონიმთა ფუნქციონალური მარკერებისა და დაპირისპირებულ წყვილთა სპეციფიკის გათვალისწინება, სემანტიკაში დაპირისპირებულობისა და მათი ინვარიანტულობის ანალიზის მიხედვით ანტონიმთა ძირითადი სტრუქტურული ტიპების გამოყოფა.

Ratiani Lali

Attempts of Identification and Systematization of Antonymic Types in Modern Linguistics

Summary

In this paper our study is based on the materials of lexical units. In modern linguistics the Iclassification of lexical antonyms is made on the base of differens signs. It is based on parallelism principle between morphological and semantic aspects-antonymic attitudes are based within limits of certain parts of speech, between opposed lexical units. This principle is

not regarded as perfext, it needs to be improved that means the exact definition of numerical parameters of units being in opposed relation, the base of which is semantics. The classification of antonyms is organically connected with practical use of this phenomenon taking intoaccount its nature and the whole lexical-semamtic of a language.

A number of antonyms classification is based on the structure connected with semantics on one hand and on the other hand the classification based on word-formation types within limits of antonyms.

On the base of given studies concerning the description of structural-semantic types of antonyms it has been possible to show the ways of solving problems connected to antonyms, the determination of precondition studies and the interperetation of its hypothetical results, for this it is inevitable to passess facts of research concrete and contextual unit to make more exactword-formation models, to show qualitative positive and negative indices of research unit, to show potential prevalence of opposed unuts concretization of logical attitudes, taking into account specific character of functional markers and opposed pairs in semantics, according to opposition and their invariant analysis the separation of main structural types of antonyms.

ლიანა წურწუმია

სულიერი კულტურის ფორმები:

მითოსი, რელიგია

სულიერი კულტურა სულიერი ღირებულების რეალიზაციის შედეგია. იგი ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. სულიერი ღირებულებები მიზან-ღირებულებებია. რას ნიშნავს ეს? ღირებულება და ფაქტი შევადაროთ ერთმანეთს. მარმარილოს ლოდი ბუნებრივი ნივთია, ესაა ფაქტი. როცა ამ ქვისგან სოკრატეს თავს გამოაქანდაკებს ხელოვანი, იგი სიცოცხლეს ჩაჰბერავს ბუნების ნივთს, რადგან მასში თავისი მიზანი განახორციელა. სწორედ ამ ნიშნით ხასიათდება ღირებულება. ღირებულება არის ის, რაც არ არსებობს, მაგრამ რითაც საგანი მნიშვნელობს.

სულიერ კულტურაში იგულისხმება მითოსი, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება, ზნეობა, ფილოსოფია, პოლიტიკა, სამართალი. თითოეული მათგანის წარმოშობის ზუსტი თარიღი უცნობია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მითოსი, რელიგია, ხელოვნება პირველყოფილი საზოგადოების წიაღში წარმოიშვა. პირველყოფილი ადამიანის საქმიანობას სინკრეტული ხასიათი ჰქონდა, იგი ერთი და იმავე დროს შემეცნებით-შეფასებითი და პრაქტიკულ-გამოყენებითი საქმიანობა იყო. პირველყოფილი ადამიანის ცნობიერებაც სინკრეტული იყო, დიფუზური. პრაქტიკულ-შემეცნებითი საქმიანობიდან ნელ-ნელა წარმოიშვა მითოლოგიური შემეცნება და თამაშისებური შემეცნება.

პრაქტიკულ-შემეცნებითი საქმიანობის წყალობით ადამიანი მოწყდა ბიოლოგიურ სამყაროს, ინსტიქტების სამყაროს. ბუნების შემეცნება დაკვირვებით იწყება და იარაღის კეთებაში გამოიხატა, რამაც ადამიანებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობა (თემური, ტომობრივი, გვაროვნული) დაამყარა და საშუალება მისცა ადამიანს ჩამოყალიბებულიყო ე.წ. „კულტურულ ადამიანად“.

მითოლოგიაც პრაქტიკულ-შემეცნებითი საქმიანობიდან გაჩნდა, როგორც წარმოსახვითი ხედვა სამყაროზე. მითის თავისებურება ესაა პოეტურ-მეტაფორული განზოგადება იმ ბუნებრივი მოვლენებისა, რომელთა მიმართ ადამიანს შიში ჰქონდა და ეს მოკრძალება-შიში თანდათან ამ ბუნებრივი ძალების გაფეტიშებაში გადაიქცა. ბუნების მოვლენებს მართავდნენ ღმერთები — ზოგან ანთროპომორფული სახის, ზოგან ზოომორფული. მითოსური აზროვნება ბუნებას სულიერად წარმოგვიდგენს. მითში კონკრეტული ზოგადის დონემდეა აყვანილი, რეალური იდეალურად იქცევა წარმოსახვისა და ფანტაზიის წყალობით. მითოსი, უბრალოდ, ცხოვრების წესია, რომელსაც თავისი ზნეობის ნორმები აქვს. ამრიგად, ფანტასტიკური ასახვა რეალობის ობიექტური ცოდნის სახით ჩამოყალიბდა მითში, რომელშიც ერთდროულადაა მოცემული სამყაროს რელიგიური, ფილოსოფიური და მხატვრულ-სახეობრივი ხედვა. მაგალითად, ბერძნულ-ანტიკურ ხელოვნებაში განსახიერდა წარმართული რელიგიის მთელი პანთეონი.

მითოსური ხედვა წარმართულ რელიგიას ეყრდნობა, რომელსაც პოლითეისტური ხასიათი აქვს.

რა არის რელიგია? კულტურის არსებობის არც ერთ პერიოდში ვერ მივუთითებთ თუნდაც ერთ მომენტს, სადაც მითოსი წყდება და რელიგია იწყება. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე რელიგია შეიცავს მითოსურ ელემენტებს და მითოსი ეყრდნობა რელიგიურ წარმოდგენებს. რელიგიის, როგორც კულტურის, დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბება შეიძლება ვივარაუდოთ იმ მომენტიდან, როცა ადამიანის ცნობიერებაში მკვეთრად გაიმიჯნებიან სიკვდილი და სიცოცხლე, იმქვეყნიური და ამქვეყნიური, ბუნებრივი და ზებუნებრივი.

რელიგია („რელეგარე“) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კავშირს, სიწმინდეს, ღვთისმსახურებას, კულტს, რწმენას. რელიგია, როგორც ზოგადი ცნება, აერთიანებს ყველა იმ ელემენტს, რაც ზებუნებრივ ძალასთან არის დაკავშირებული. წარმართულ, პოლითეისტურ რელიგიებში ღმერთები ბუნებრივ ძალას განასახიერებენ, ამიტომ იქ ღმერთების სიმრავლეა, მაგრამ ღმერთები ყოვლისშემძლენი არ არიან, ისინი ბედისწერას ემორჩილებიან. მონოთეისტურ რელიგიებში კი ღმერთები ყოვლისშემძლენი არიან.

რელიგიის საფუძველი არის რწმენა, რელიგია რწმენით უპირისპირდება მეცნიერებას, რომელიც, თავის მხრივ, ცოდნას ეყრდნობა. რელიგია წარმოშობიდანვე მჭიდროდ თანამშრომლობს ხელოვნებასთან. ძველი აღმოსავლეთის რელიგიური წარმოდგენები, რომლებიც სხვადასხვა რიტუალის სახით ხორციელდებოდა, ხელს უწყობდნენ ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის წარმოშობას — სასულიერო მუსიკა, საგალობლები, არქიტექტურა, სამარხები და პირამიდები, ზიკურატები, ბაბილონის გოდოლი — ყველაფერი ეს რელიგიის საფუძველზე წარმოიშვა. რელიგიური წარმოდგენები ზებუნებრივ ძალებზე აუცილებლობით ითხოვდნენ ესთეტიკური განცდის გამომწვევი საგნების შექმნას, რელიგიური რიტუალებიც „მშვენიერების კანონებით“ წესრიგდებოდა.

მეცნიერებასთან კი რელიგია მუდამ დაპირისპირებული იყო. მეცნიერული ცოდნა, რომელიც არგუმენტირებულია იმისათვის, რომ ჭეშმარიტება დაამტკიცოს, ეწინააღმდეგება რელიგიურ ჭეშმარიტებას, რომელსაც არგუმენტირება, მტკიცება არ სჭირდება. რელიგია რწმენით უპირისპირდება მეცნიერებას, რომელიც, თავის მხრივ, ცოდნას ეყრდნობა. ეს წინააღმდეგობა შუა საუკუნეებში ქრისტიანულმა ეკლესიამ „ორმაგი ჭეშმარიტების“ თეორიის შექმნით შეარბილა. მეცნიერებას ამქვეყნიური ჭეშმარიტების დადგენის უფლება მისცა, თავისთვის კი ზეციური სამყაროს ჭეშმარიტების აღიარების უფლება დაიტოვა.

ამრიგად, რელიგიის საფუძველი, საყრდენი არის რწმენა. რწმენა დარწმუნებულობის, დამაჯერებლობის განცდაა, რწმენა გამოხატავს არა საგნობრივ მდგომარეობას, არამედ ადამიანის დამოკიდებულებას მისდამი. ღმერთის ცოდნა კი არ არის შესაძლებელი, არამედ რწმენა. ღმერთი უნდა ვიწამოთ და არა ვიცოდეთ. რელიგიის სტრუქტურაში გამოიყოფა სამი მხარე — შეხედულებები, ემოციები ანუ რელიგიური ცნობიერება, კულტი და რელიგიური ორგანიზაციები (ეკლესია-მონასტრები, ეპარქიები).

რელიგიური შეხედულებები არის წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის სამყაროს მთლიან სურათს. რელიგიური ცნობიერების მიზანია ეძებოს რელიგიური ჭეშმარიტება, რაც

ღმერთის და ღვთიური ძალების არსებობას ეხება. რელიგიური ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია ლოგიკური ცნებებით, აბსტრაქციებით, პრაქტიკული შემოწმებით.

რელიგია ემოციებით იკვებება. სწორედ მას ემსახურება კათოლიკური ეკლესიების ბრწყინვალება, როგორც ფასადური, ისე ინტერიერის. რელიგია ადამიანის გულზეა მიმართული, მეცნიერება კი – ადამიანის გონებაზე. რელიგიური განცდის გასაძლიერებლად, ღვთის ამაღლებულობის საგრძნობლად ეკლესია ხელოვნებას იყენებდა და იყენებს. საორღანო მუსიკა, მესა საგალობლებით, ან მრავალხმიანი ქართული საგალობელი სწორედ ამ მიზნით ისმის ტაძარში. იგი ღმერთთან კავშირის გრძნობას აძლიერებს. გოთური ტაძრების რელიეფები ბიბლიის შინაარსს გადმოსცემს წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანისათვის. ვიზუალური სურათი ბიბლიური სიუჟეტებისა, ქვაში გაცოცხლებული, უფრო აძლიერებდა რელიგიურ განცდას უბრალო ხალხში. რელიგიები მონოთეისტური და პოლითეისტურია მისი არსებობის მანძილზე. მონოთეისტურია: იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი.

შუა საუკუნეების იდეოლოგიის წამყვანი რელიგია იყო, რომლის თეორიულ მოძღვრებას „თეოლოგიას“ უწოდებენ. თეოლოგიამ ფილოსოფია გამოდევნა. იოანე დამასკელი ამბობდა: ფილოსოფია რელიგიის მსახურია, რომელიც წინ კი არ მიუძღვის ჩირაღდნით ხელში, არამედ უკან მისდევს, რომ კაბის კალთა აუწიოსო. ქრისტიანობამ X-XI საუკუნეებიდან ხელოვნებაც თავის სამსახურში ჩაიყენა – ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა, რიტუალური ცეკვები, ლიტერატურა (ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია), დიდხანს არ წყალობდა თეატრს, თუმცა გვიან შუა საუკუნეებში (XIII-XIV) საეკლესიო ღვთისმსახურებამ თეატრალიზებული სახე მიიღო. ბერები თეატრალიზებულ სახეს აძლევდნენ საეკლესიო რიტუალებს, მალე ეს სადღესასწაულო რიტუალები ეკლესიის გარეთ გამოვიდა, გაჩნდა „საეკლესიო მისტერიები“. რელიგია ხელოვნებასთან ურთიერთობაში ფრთხილობდა, რომ ადამიანები მიწიერი სილამაზისდმი არ მიედრიკათ. ამიტომ ქრისტიანული ეკლესია რიტუალური კანონიკებით ხელმძღვანელობდა და შერჩევით უდგებოდა ხელოვნებას: იმ დარგებს უწყობდა ხელს, რომელიც ღვთის რწმენის განმტკიცებაში გამოადგებოდა. ხატები, ფრესკები იქმნებოდა საეკლესიო მამების დაკვეთით. ეს განსაკუთრებით რენესანსის ეპოქაში იგრძნობა, როცა გენიალური ხელოვანები უშუალოდ რომის პაპებისაგან იღებდნენ დაკვეთებს შესაბამისი დაფინანსებით.

წარმართული რელიგიის ერთ-ერთი საინტერესო სახეა ზოროასტრიზმი, რომელთანაც შეხება ქართველებსაც ჰქონიათ. ეს კარგად ჩანს „შუშანიკის წამებაში“. ზოროასტრიზმი, იგივე „ცეცხლთაყვანისმცემლობა“, ძველ ქართულში მას „ატროშანს“ უწოდებენ, იგივე კერპთაყვანისმცემლობაა. მას „პირველ მსოფლიო რელიგიას“ უწოდებენ, იგი მითოლოგიური ხანის პოეტური წარმოსახვისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო. ამას მე-18 ს.-ის გერმანელი პოეტები უკვე აღიარებდნენ. სპარსული ლიტერატურის რელიგიური ძეგლი „ავესტა“ ზოროასტრიზმის ძეგლია, რომელშიც ძველი ირანის ზნე-ჩვეულებებს და ყოფას უფრო უმღერიან. ისლამის გავრცელების შემდეგაც ზოროასტრიზმის გავლენა არ შესუსტებულა. ზოროასტრიზმი დუალისტური რელიგიაა, აჰურამაზდისა (სიკეთე) და აჰრიმანის (ბოროტება) — ორი საწყისის მარადიული ბრძოლის რელიგიაა, რომლის მიხედვითაც აჰურამაზდა დაამარცხებს ბოროტებას. ამ რელიგიაში ყველაფერი ბრწყინავს, ბრჭყვიალებს, ზარატუსტრას მოძღვრება ხორციელი ცხოვრების მორთვა-მოკაზმვას მიმართავს ამქვეყნიური სითბოსათვის. სილამაზისადმი მიმართება, ამქვეყნიურობის ქადაგება წმინდა აღმოსავლური მოვლენაა, რომელიც ყველაზე მეტად ზოროასტრიზმში ვლინდება. ზოროასტრიზმი წარმართული რელიგიის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის ამქვეყნიურობით ტკბობა მისი ძირითადი ხაზია. სხვათაშორის, ასეთი განცდა ყველა ერის წარმართული რელიგიის დამახასიათებელია. მაგალითად, ძველი ბერძნებისათვის ნეტარება სიცოცხლეშია, ქრისტიანისათვის ტანჯვაშია. ბერძნული ეპოსი გვამცნობს, რომ ძველი ბერძენისათვის ამქვეყნიურობისაგან განშორება სევდის მიზეზია. აქილევსი ჰადესის სამფლობელოში დაღონებული შეხვდა ოდისევსის. იგი დაღონებულია, რადგან ურჩევნია ცოცხალთა შორის მეღორე იყოს, ვიდრე გმირი ჰადესის სამფლობელოში. სულ სხვაგვარადაა ქრისტიანიზმში, სადაც სულის სიცოცხლეზეა საუბარი, რატომ დასჭირდა ღმერთს ადამიანად ქცევა? პასუხი ერთია: ქრისტემ თავისი ინდივიდუალური არსებობით გააღმერთა ადამიანი, რომ ეჩვენებინა ადამიანისათვის, რომ ღმერთი მათ სულში მყოფობს. ამით ღმერთმა მიიახლოვა ადამიანი.

ხელოვნება

რეზო ადამია



სრულიად სევდიან-დაღვრემილი ნაწარმოები
მივუძღვენი გენიალური მხატვრის
ასი წლის იუბილეს

ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე კეკუა

(გენიით დამსხვრეული დრამა და ტრაგედია)

უსასრულოდ დუმილმყოფი-მიწისქვეშა, სიცოცხლე-უკვდავ ნათელ მზიან და ზეციურ მარადიულ საქართველოს არნახული ფერებით ხილულად ხატავდა მოვლენა ნიკალა.

გამოცხადებით განკაცებული მაცხოვარი სულიერ-ხორციელად წარმოუდგენელი სიკეთე-სიყვარულით ახლოს იყო ადამიანებთან, რითაც შენობით მიმართავდნენ მხსნელს და მივმართავთ...

მხოლოდ მაგდაგვარი სრულყოფილებით ვურთიერთობთ ნიკო ფიროსმანაშვილივით პლანეტის ნებისმიერ გენიასთან, რადგან მთავარი მოქმედ-მიუწვდომლობა მხილველი ნათელი ღმერთია მათში. ნიკალას შემოქმედებაში რახან უშუალოდ უფალი მონაწილეობდა, წმინდანური თვისებების ფერმწერი თავის ირგვლივ მიმდინარე დროს ვერ ეგუებოდა და დამოუკიდებელი უახლოესი პლანეტის დარად თავადვე გამოსცემდა სრულიად განსხვავებულ პიროვნულ უჩრდილო ჟამთასვლას და ამით ქართულ გამაოგნებელ განძთა სიახლე ეპოქას ქმნიდა; თითქმის გამორჩეულ უხილავ განზომილებამდე დასული, კოსმიურთვისებიანი საკუთარი დრო წმიდად მისივე იყო და ამ სახის ზეციურობიდან იბადებოდა სიახლე შედევრები, მხოლოდ ეროვნული კი არა, მსოფლიოს განუყოფელი, მხატვრული მშვენიერების და მაღალი მიუკარება სიღრმეში დინჯად გამავალი ფარული გემოვნების, ინდივიდუალური გამორჩეულობით, უხილავ-შეზავებული ერთა შორის თვითმყოფადი ქართულისთვის დამახასიათებელი ფერ-კოლორიტ-სტილით და მთავარი მნათობიდან სხივნატყორცნი, შემოქმედებითი გმირული გამბედაობით; თანაც უშუალოდ მოძრავი და ლაღი, როგორც ნიავს ამოყოლილი სუფთა ზღვის ზედაპირისეული მწვანე ტალღები.

მზე, ვარსკვლავეთით და სავსე მთვარით ნასაზრდოებ ვაზის მწიფე მტევანია ფიროსმანი, რისგანაც სრულიად საქართველოს მაცოცხლებელი საამო ბადაგი ჟონავს...

ადამიანი გენია, ანთებული პლანეტაა, მარადიული წვით...

ფიროსმანაშვილი, ხორციელად თუ სულიერად მხსნელ იესოს შეწირული ქართველი წმიდანივით დადიოდა ურთულესთვისებიან, დუმილსავსე მიწაზე. სრულიად უცხო და გენიის კუთვნილებით საკვირველ კოსმოსს ატარებდა უკიდურესად დამუხტული.

ყოველივე ეს პირადი ფანტაზია კი არაა, მხოლოდ სინამდვილეა, წარმოსახვით ნაგრძნობ-მოწოდებული ღვთისნიერ შემოქმედზე, დედამიწაზე, სივრცეში თუ დროში.

ნიკალას განსხვავებული ცხოვრების უბრალო საზოგადოების ყველა წევრს უკვირდა და გრძნობდნენ ძალიან დიდ უცხოობას, ქვეცნობიერად თუ შეგნებით. ხოლო ნიჭიერ-ინტელექტუალნი, გარემოს მოულოდნელობით გაოგნებულნი, თანვე სიახლისგან შეძენილი ინსტინქტით ხოტბას ასხამდნენ ამ უცხოდ მოარულ ჭეშმარიტებას და მის ღვთიურ გენიას. მატერიალურად უღარიბესი, მაგრამ ფიზიკურად უნაკლო ნიკალა ყოველდღიურად, შეძლებულ-მდიდარ თანამედროვეებზე მეტად, ზღვარდაუდებლად ვარსკვლავეთური ფერწერული საოცრება განძით მდიდრდებოდა, რომელსაც ვერც ოქრო, ფული და ბრილიანტიც სიახლოვესაც ვერ უტოლდებოდა. აი, ვისთან იყო უფალღმერთის და ზეციური ტოტებაყრილი შემოქმედებითი ენერგია...

წუხელის, შუაღამეს მოურიდებლად გამაღვიძეს სულში გამჭოლმა ზეწარმოსახვებმა და პირდაპირ მიბრძანეს: – აიღე ქაღალდი, კალამი და ყოველივე ჭეშმარიტი სინამდვილით ფიროსმანის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატეო, რაშიც ქართული უფლისმიერი სიტყვები და ზეენარული შთაგონება ზედმიწევნით დაგეხმარებაო. დიდმა ემოციამ და ჩემმა ცალკე აწრიალებულმა, თითქმის გახელებულმა სულმა მთელი სხეულით, გულით და გონებით ამაწიოკა და ჩემში ნიკო ცოცხლად გაცხადებული დადიოდა. ამ შემთხვევაში ძლივძლივობით გავუძელი სრულიად მოულოდ-

ნელ ნერვიულ აგზნებით დატვირთვას. დიდება მზეს, უფალს და კოსმოსს. ეს ჩემი გადამრჩენელი ლოცვაა და მთელი არსებით ვეთაყვანები. აღმატებულ უჩვეულო აზრების წერისას სულიერი ტკივილი თან მდევდა უმოწყალოდ. ოოო! როგორი მძიმეა ამდაგვარი ფორიაქი, მისგან ხომ სრულიად განსხვავებულია სხეულებრივი ტოკვა, რომელიც მიწიერ ტანჯვასთანაა გარდამავალი და პირდაპირი შეხებითი ჭიდილ-პროცესია. ხოლო სულიერი? უხილავ-კოსმიური, თითქოსდა სივრცეში განფენილ-ლეგენდა-მითოსური უმძიმესი მოძრაობაა, მიუწვდომელი და განუსაზღვრელი სიმწვავით, სიახლე-შორეულის ხილვით და თანდაყოლილი სიამის შეგრძნებით, ისევე, როგორც თითქოსდა ახალგაზრდა ჯანმრთელი დედა შობს პირველ შვილს, თავისი გარდაუვალი ტკივილითა და ფარული ტკბობით...

ყოველი მძაფრი განწყობილება აქტიურ-მოქმედი ზემიწიერი სიცოცხლეა...

დროის, სივრცის და კოსმოსის გარემოცვაში, ნიკალა დამოუკიდებელი უძლიერესი ვარსკვლავეთური ფორმა-განზომილება გახლდათ, უთუოდ ზეძალები მძლავრობდნენ, გრძნეული მხატვრის იდუმალ ქმნილებათა თითქმის ფანტასტიურ შემოქმედებაში.

ნიკალა – ბაჯაღლო ოქრო – თვითნაბადი ბუნებრიობით, ზეციური მადლით ქმნიდა და უფლის უნაკლო იდუმალებას გულწრფელად ავლენდა. მწამს და ჩემეულ აზრებს თამამად გამოვთქვამ, რომ ღმერთივით წმიდა ხელოვანი, გულღია უშურველობას გამოხატავდა, ქვეყნისა და ერის წინაშე, რადგან მაცხოვრისეულ მადლს დღენიადაგ მზესავით ასხივებდა. ზოგიერთი თანამედროვენი კი, როგორც წერენ და ხატავენ ნიკოზე, პირადად არ მჯერა, რადგან თითქმის გამოგონილია ყველაფერი, დიდი მხატვარი ხომ თავისი უიშვიათესი გენიით სავსე-მდიდარი, ზეძალათაგან კმაყოფილ-მდუმარე სიმართლე იყო და ზედმეტი არასასიამოვნო ცხოვრებისეული მოქმედებანი მის ხასიათ-ბუნებაში არ მოიხილვებოდა. უთუოდ მხოლოდ მატერიალურად უღარიბესი და უახლოესი გარემოსაგან არამომთხოვნი ხელოვანი, თავისებურს და შედარებით მარტოხელა, შეუპოვარი თვისებებით უმძიმეს სიცოცხლისეულ და შემოქმედებით ჭაპანს ეწეოდა. სხვა მხრივ შეუძლებელია, რომ შეექმნა მსოფლიო დონის ფერწერული შედევრები. სენსაციის აღმძვრელად ნიკალას გადამეტებითი მსმელის სახელიც გაუვრცელეს. მიზეზი შემდეგში იყო: მოსიყვარულე გუნების ხელოვანი განსხვავებული ხასიათ-ემოციებით, მუდმივად ხალხში ურთიერთობდა და დაუნახავი თვალით მახინჯად აღქმულ იქნა უსახლკარო სევდიანი კაცის, თითქმის ველური გენიის კეთილი ჩვეულებრივი მოვლენები, რისგანაც ემსგავსებოდა ღრმად მორწმუნე შეწირულ განდეგილ ბერს. ისინი, ვინც ზედმეტად აზვიადებდნენ ყოველიეს, თავადვე ყოველდღე უზომოდ სვამდნენ და ნაყროვანობდნენ. ოღონდ ყოვლად უზრუნველყოფილ ჩაკეტილ უსაქმურ პირობებში. ქართული ნიჭის, პირველადი სრულყოფილი მოვლენა, ნიკო ფიროსმანაშვილი, ვარკსვლავეთური რჩეული გახლდათ, მაგრამ ხორციელ-ფიზიკურ უკვდავებას ვერ უბოძებდა ვერც ერთი სამყაროსეული ღვთიური გავლენა, რადგან ამქვეყნიურ გარდაუვალ შობა, ზრდა-სიბერე გარდაცვალების უმკაცრეს პროცესს მხოლოდ გალაქტიკების ერთობლივი ძალა და დროთა სვლა უმკაცრესი განაგებს. უშუალოდ და უსაზღვროდ კეთილ უფალს შეეძლო მხოლოდ შემოქმედებითი უდიდესი უკვდავება ებოძა და იქმნა კიდევაც...

ყოველი ჩვენგანი სხეულის უმცირეს უჯრედამდე ხომ განუყოფელი ნაწილია კოსმოსის, მაგრამ ვინ როგორი დონითაა მასთან ჩართული, მეცნიერულად არც ისე ადვილი მისაგნებია; თუმცა გამოცდილი თვალისთვის ზოგადად ხილულია, რა თქმა უნდა, იშვიათნი ამა ქვეყნისა მიუწვდომელ მთლიანობასთან გიტარის სიმივითაა აწყობილი მზიურ ჰარმონიად. თავად ნიკალა უთუოდ მაგდაგვარი განყენებული ნერვ-კაპილარის უშუალობა და ორგანულობა იყო უმდიდრესი პლანეტარიუმისა...

ჩვენი უახლოესი სიღრმისეული თხრობა რბილად ითხოვს, ბრძენთა გამონათქვამი მოვიშველიო: „ჭკვიანი მუშაობს, გენიოსი ქმნის“ (შანი).

ამიტომაც იყო ნიკალა წმიდად მოსული და სახალხო ფერმწერი, ღმერთივით კეთილი – ქმნიდა და ფერ-ტონ-ხაზთა ჯადოსმიერობით, ველური მამალი შაშვის გაზაფხულზე უწყვეტ – ტკბილ გალობასავით თავისუფალ რეგსტ-მუსიკალურ სივრცეში მაამებლად იფანტებოდა, იმდენად – დილის მზის სხივივით ვრცელდებოდა, რომ დედაქალაქიდან შორს, სამეგრელოს ერთ-ერთ მთიან ულამაზეს სოფლამდე სიამით ჩააღწია და... (ეს მოხდა ფიროსმანის, როგორც უიშვიათესი მხატვრის, აღმოჩენა-აღიარებამდე).

ნიკო ფიროსმანაშვილის თანამედროვე, ღრმადმორწმუნე-ღვთისკაც ივანე კეკუას, ისეთივე სარდაფ-დუქანი ჰქონია ძველ ქალაქში, როგორც რამდენიმე სხვადასხვა ეროვნების თბილისელს. თავისი გენეტიკური წარმომავლობითი მდგომარეობიდან გამომდინარე, ღვინით კეთილმა მოვაჭრემ, მამაპაპისეული გვარი საგანგებოდ კიკვაძედ გადაიკეთა. მეგრული წარმოშობის მეღვინესთან, თბილისელი განებივრებული მომხმარებელ-მოქეიფენი შესაძლებელია ნაკლებად მისულიყო, რადგანაც

მათი ურთიერთობა დიონისეს ეროვნულ კულტთან იყო დაკავშირებული, ხოლო შორეული ისტორიული უბედურებიდან გამომდინარე, ძველი კოლხეთის მრავალმხრივი სახელი და დიდება დიდი ხნის წინ, მიწისქვეშეთის და ზეცის ბუნდოვან სივრცეში მიმქრალიყო და ამჟამად მხოლოდ არქეოლოგიას ექვემდებარება.

უკვე ხანში შესულ, მარტოხელა მხატვრის ქართულად გამგებ, უახლოეს მეგობარ ბატონ ივანეს, მშობლიური კუთხის ნოსტალგიამ მწვავედ შეუტია და სევდიანად გადაუწყვეტია თავის მშობლიურ სოფელ ეკს, დაბრუნებოდა. შემდგომ მშვიდად ეწვია თურმე უცხო და ფასებმიუწვდომელი სიმდიდრით. ნიკოს ნაჩუქარი ათამდე სხვადასხვა ზომისა და თემატიკის უნიკალური ფერწერული ტილოები სოფელში უვნებლად ჩაუტანია, შემდეგ წინაპართა უძველესი კოლხურ-მეგრული წაბლის ხის ხუთოთახიანი ოდა, სამი ბუხრით, აივან ჩუქურთმიან ორნამენტით და რიკულებით დამშვენებული, გონსულიერად წარმოვიდგინოთ მზის შუქზე ხის ოქროსფრად მოციმციმე ძველკოლხური სასახლე, ეგზოტიკური ოდა, ნიკო ფიროსმანაშვილის შედევრ სურათების სოფლის საკვირველ მუზეუმად რომ მოუწყვია: ეპოქის, სხვადასხვა ფენის და ხასიათის ძველი თბილისელების თუ მრავალ სტუმარ-მეგობრებთან გადაღებული, უამრავი ისტორიულ-დოკუმენტური ფოტოალბომიც ჩამოუტანია. მისაღებ, მწიფე რქაწითელისფერ ზალაში მუდამ, მრგვალ მომცრო, წაბლისფერ მაგიდაზე მოკრძალებით ელაგა, ანტიკვარული ნივთები ვერცხლის დოქით, თხელი, ძველისძველი, ღვინო საფერავისგან ნაცრისფრად ჩამუქებული ფიალები და ძვირფას სტუმრებს, დასავლეთური ცოლიკაურის მომწვანო გამჭვირვალე ღვინით და თბილისური ყაიდის ზაკუსკით ისტუმრებდა. ნებისმიერ გენიას და თავად ნიკალას გამაოგნებელ შემოქმედებას იმ დონის ვარსკვლავეთური მაგიური სხივთა მიზიდულობის მაგნიტური ძალა ჰქონია, რომ ადამიანებს, ხელოვნება გაეგებოდათ, ესმით თუ არა, თვითნებურად დიდი და პატარა, ბატონი ივანეს მეზობლები და ახლო სოფლებიდანაც სურათების დასათვალიერებლად უწყვეტ ნაკადად ჩამოდიოდნენ. ერთ მშვენიერ, სხივნათელ დღეს, სენაკის ყოფილი მაზრის მწერალი, აზნაური ნიკო ადამია, უმცროს შვილთან, მიხასთან, ერთად სტუმრებია ბატონ ივანეს. მეგობრული ურთიერთობით და დიდი ხელოვნების მადლის ზიარებით, ვარსკვლავიან-მთვარიანი ზღაპრული ღამე გულჩამწვდომად სიამით ერთად გაუტარებიათ.

ნიკო ბატონი საქვეყნოდ ცნობილი, ღრმად განათლებული მწიგნობარი გახლდათ. იმ ღამეს, ნიკალას შემოქმედებით ამაღლებულს და მეცხრე ცაზე გაჭრილს, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, შეუდარებელ ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის და მრავალ ქართველ თუ უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები და, აგრეთვე, მეგრულ-ლაზური ტკბილხმოვანი ლექსები ზეპირად წაუკითხავს. ამ უზარმაზარ ხელოვანთა გვერდით, სახალხო მოვლენა ფალავანზე, ნესტორ ესებუაზეც ჰქონიათ საინტერესო საუბარ-მოგონებები და მამაკაცური მშვენება, თბილისური ყარაჩოხელები და კოლორიტული კინტოებიც არ გამორჩენიათ. მათ უჩვეულო სერობას სოფელ ეკის ორი მასწავლებელიც ესწრებოდაო და აგრეთვე ძველი, ქანდაკებასავით ნაძერწი სახის ნააბრაგალი, მწერლის მოგვარე უკვე ასაკოვანი და ფრიად საინტერესო პიროვნება, ხალხში განსხვავებული კაცურ-კაცობის გაგებით; თუ კითხავდნენ მას, ვის ებრძოდიო, უხეირო დროს მოჭრილად პასუხობდა თურმე...

გაგრძელება იქნება

თეა კანდელაკი

„ხერთვისი“-ს უკვდავი სახე მოგონებების აჩრდილიდან

(ეძღვნება ქორეოგრაფ ჯემალ სამხარაულის ხსოვნას)



(ფოტო რომელიც სამახსოვროდ გამო-მატანა აშშ გამომგავრებისას დროს)

— როგორ ხარ ჭინკა??

ოკეანის გაღმიდან, სატელეფონო ყურმილში ჩამესმა მოსიყვარულე ხმა...

ჯემალი მას!... გახარებული ხმით კითხვას უკან ვუბრუნებ

— თქვენ როგორ ბრძანდებით??

— ბრძანებას ცოტა მიკლია, მადლობა უფალს, რა მიშავს თქვენგან დავიწყებული ... ხომ ხედავ, ისევ მე დაგასწარი დარეკვა (მისაყვედურა მოსიყვარულე ხმით) აბა მომიყევი როგორ მიდის თქვენთან საქმეები, ხომ კარგად ხარ??...

...ასეთი დიალოგით იწყებოდა ყოველი შობა–ახალი წლის, 8 მარტისა და ჩემი დაბადების დღის დილა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოდან შემოსული ზარისა...

ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეგხვდებათ ადამიანი, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს თქვენს არსებასა და ცნობიერებაში, ელვად გაქროლილ მოგონებად ამოტივტივდება და ცხოვრებისეული კრედოს დაუწერელ კანონად იქცევა ხშირად...

ასეთი იყო ჯემალ სამხარაულიც, რომელიც ჩემი ცხოვრების ლამაზ ჰორიზონტად გადაიშალა... რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მსოფლიოს ლაურეატი და ღირსების მედალოსანი, ხელმძღვანელი და ქორეოგრაფ–მეთოდისტი სახალხო ანსამბლ „ხერთვისი“–სა...

საოცარი პიროვნება, რომელმაც უდიდესი ადამიანური ღირებულებებით სამუდამოდ დაივანა ჩემს მეხსიერებაში... მთიელთა სიფიცხით გვწვრთნიდა და მთის შეუბღალავ ადათ–წესებს გვინერგავდა ილეთ–ილეთს შემოპარებული დარიგებებით...

მაღალი, „ხმელი წიფელივით“აღმართული, ყელზე მოუშორებელი ბენდენით მოთმინებით იდგა და გველოდა მართლაც და ჭინკებივით მოუსვენარ მოცეკვავეებს..

ჯერ ადამიანობა ისწავლეთ! მარტო თქვენი ცეკვა არავის არ ჭირდებაო მოგვაძახებდა და ეს ძახილი დღემდე ექოსავით მომყვება დედამიწის ოთხივე მხარეს... მახსენდება ერთი დღე, დღე ჩემი დაბადებისა 22 ენკენისთვე, ანსამბლში სულ რაღაც ორიოდე დღის მისული ვიყავი და გადავწყვიტე რეპეტიციის შემდეგ, ანსამბლის წევრების უკეთ გასაცნობად ტკბილეულით აღმენიშნა. ტორტით, ხილით და ტკბილი სასმელებით დატვირთული მივედი ახმეტელის თეატრში, სადაც ჩვენი რეპეტიციები ტარდებოდა. დარბაზი ცარიელი დამხვდა, სცენაზე სამარისებული სიჩუმე მეფობდა, ცოტა არ იყოს გამიკვირდა და დაბნეული სცენის გავლით გასახდელებისკენ გავემართე.

როგორც კი ხელმძღვანელის კაბინეტს მივუახლოვდი კარი გაიღო და მომღიმარი ჯემალ სამხარაული ხელებ გაშლილი შემომეგება – იუბილარიც მოსულა... მთელს ანსამბლს მის გარშემო მოეყარა თავი... ოთახის შუაგულში მაგიდა იყო გაშლილი სურსათ სანოვაგით დახუნძლული (ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად) ... ერთ–ერთმა მოცეკვავემ ვინმე ბჟალავა მოიკითხა — ცოცხალს მოიტანს და ახლავე დაბრუნდებაო. გაკვირვებულს და გაოცებულს

არ ვიცოდი რა მომემოქმედა, ან როგორ გაიგეს ჩემი დაბადების დღე, ან ცოცხალი სად უნდა ეშოვათ... ცეკვა–სიმღერით მომილოცეს ამ ქვეყნად მოვლინება, დალოცვის დროს მეცნობოდა თვითოეული. ეს დღე ხერთვისელების დიდ ოჯახში ჩემი მიღების ულამაზეს დღედ აღიბეჭდა ...

ერთ დღეს ჯემალმა რეპეტიციის ბოლოს გამოაცხადა ოსურის „სიმდით“ გადით გოგოები სცენიდან კულისის გავლით, მე კი კულისიდან გიყურებთ როგორი ხაზი გექნებათო... გაგვიკვირდა, მაგრამ ვინ გაბედავდა კითხვას? მოვეწყეთ და დიაგონალურად დავიწყეთ „სიმდი“–ს მოძრაობა ალბათ ყველას გახსოვთ მულტიპლიკაციური ფილმი „ლურჯი მელია“ ზუსტად ისე, (ზე აწეული ხელი გარე ბრუნს აკეთებს და ხელისგულით ზემოთ ამობრუნებული დაბლა ეშვება) და ამ დროს კულისებში შესულს ხელისგულზე ვიღაც ყვავილების თაიგულს გვიდებდა... კულისის ჩაბნელებულ მხარეს, ძნელად, მაგრამ მაინც შეამჩნევდით იის კონებით სავსე პარკით მდგომ მომღიმარ ჯემალ სამხარაულს...

– 8 მარტს გილოცავთ ჩემო ჭინკებო...

საზღვარგარეთ რენდგენივით შუქდება ადამიანის დადებითი და მანკიერი მხარე, იქ, თითქოს ქვეყნის საზღვრებს გაცდენილი მორალურ საზღვრებსაც ცდება ბევრის ამბიციური ნდომა–წადი–ლი... ჩვენი მოგზაურობები ამის უდავო მაგალითი იყო. ყოველი მოცეკვავის სიხარული ახარებდა და ტკივილი ტკიოდა. ყოველი მოცეკვავის ოჯახური მდგომარეობა იცოდა და შეძლებისდაგვარად მხარში ედგა მორალურად... მისი გაზრდილი მოცეკვავე მთელს ამ ქვეყნიურ სიმდიდრეს ერჩია... შემთხვევით შევუსწარით განრი–სხებულს, ერთ მშობელს უყვიროდა; – სანამ ამ ბარხატის ფარდებში გამიხვევივარ შენი დაფინანსებიანად აქედან გამასწარი და შენი შვილიც თან გაიყოლეო...

საზღვარგარეთ მთლიანი მოგზაურობის დაფინანსების და ახმეტელის თეატრის კულისებისთვის განკუთვნილ ბარხატის ფარდებში არ გაცვალა ერთი ციდა მოსწავლის უმნიშვნელო სოლო...

წლების შემდეგ როდეცას ჩემს მიერ დაფუძნებულ ანსამბლში ‘გელათი“ შემემთხვა ანალოგიური სიტუაცია, თვალები დავხუჭე და გამეღიმა... მშობელმა გახარებულმა კითხვა შემომიბრუნა — თანახმა ბრძანდებით? ახსნა–განმარტებას ვერ დავუწყებდი და მოკლეთ მივუგე

— ქალბატონო, მე ჯემალ სამხარაულის გაზრდილი ვარ! ... უსიტყვოდ დამტოვეთ გთხოვთ!!! როგორც კი ემო მოკლე პასუხით გაოცებულმა მშობელმა დარბაზი დატოვა, ბავშვები ყიჟინით და ტაშით შემომეხვივნენ და ლამის ხვევნაში გამგუდეს... კულისებში ჩასაფრებულები გაყურსულები ელოდებოდნენ თურმე ჩემს პასუხს...

ეს იყო უდიდესი მადლიერება და შეგრძნება ბედნიერებისა , რომ სადღაც არსებობდა ადამიანი რომელიც სინდისიერების მაგალითი იყო ჩემთვის.

ჯემალ სამხარაული იყო ადამიანური ღირებულებების უდიდესი გამოვლენა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა ჩემს ქორეოგრაფად ჩამოყალიბებაში. მიუკერძოებელი, პატიოსნებისა და ქართული სულის მეხოტბე... ასეთად დარჩა ჩემს და ჩემი მოსწავლეების მეხსიერებას ეს უდიდესი ხელოვანი, რომელმაც ახმეტელის თეატრის სცენას ტრაგიკულად შესწირა სული და მეც ლეგენდად ვუყვები ახალ თაობებს მის ყოველ ამოსუნთქვას...ოც წელზე მეტია გასული რაც საზღვარგარეთ ვიმყოფები და სიხარულს მმატებს ის შეგრძნება რომ, ხერთვისელები ისევ ერთად ვართ, თუნდაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულები... რადგან ჩვენი ფესვები საქართველოში ერთ ოჯახად შეკრა ამ უდიდესმა პიროვნებამ... მე დღეს ამაყი ვარ, რადგან მყავდნენ ისეთი ქორეოგრაფები რო–გორებიც იყვნენ ჯემალ სამხარაული, მერი ხიდაშელი, ელია წერეთელი, გივი ბუაჩიძე, ნინო რამიშვილი, ჯანო ჯა–ნიაშვილი, უჩა დვალიშვილი, ჯემალ სურმავა, ჯემალ ნავროზაშვილი, მიშა შუბაშიკელი და უბრალოდ ალბერტა...

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების გამოცდა –ადამიანის უდიდესი სახელის დატოვებაა!

12/09/2018

ბრუკლინი, აშშ

ქეთი მაზიაშვილი











ნათია გაგნიძე

სალომე ზაბახიძე

დედის ივნისი – ,,სიმღერა სივერიო"

სწორედ დედების მიერ შესრულებული ამ უტკბესი ქართული სიმღერით გაიხნა დედისა და ქალის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონიძიება ა(ა)იპ ,,საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს სცენაზე მიმდინარე წლის 7 მარტს, რომელიც მონაწილეობდნენ ამ დაწესებულების სტუდია ,,ათინათის" მოსწავლეები და მათი მშობლები.

ღონიძიება ერთი სიურპრიზითაც იყო აღსანიშნავი: დაირღვა ძველი ტრადიცია: თუ მანამდე ანალოგიური ღონისძიების მაორგანიზებელი აღნიშნული დაწესებულება იყო, ახლა ეს საქმე ძირითადად, მშობლებმა იკისრეს.

რაც შეეება სტუდიას, არსებობის რამდენიმე წლის განმავლობაში იგი უამრავ წარმატებას ითვლის ადგილობრივ, რეგიონულ თუ რესპუბლიკურ ღონიძიებებზე.

სტუდიას ხელმძღვანელობს უკეთილშობილესი, უნიჭიერესი ხელოვანი, ბატონი გაგა გულიაშვილი, რომლის მოღვაწეობის სფერო საჩხერეში მარტო ამ ფორმით არ განისაზღვრება.

ამ თვალსაზრისით ტრადიცია არ დარღვეულა – კვლავ ბატონი გაგა იჯდა საკრავ ინტუმენტთან.

სტუდიის წარმატებაში მნივნელოვანი ღვაწლი, აგრეთვე უძღვის პედაგოგ ირინა მღებრიშვილს.

დედების ,,იავნანის“ შემდეგ ბატონი გაგას მიერ ელისო აბაშიძის ტექტზე შექმნილი სიმღერით ამცნო მაყურებელს ნორჩმა შემრულებელმა ლიზი ზაბახიძემ, როგორ ეთაყვანება დედას. მანვე მოგვიანებით შეასრულა სიმღერა ,,ქვეყნად გაზაფხულის“.

კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ: ლაშა-გიორგი ბრეგვაძე (ვაჟა დურგლიშვილის ,,ყაყაჩოთა სიწითლითა“), გივიკო ლომაძე (გოგი ცაბაძის ,,თბილისო“).

ნიტა ზაბახიძე (პირველად გამოვიდა სცენაზე. შეასრულა ინოლა გურგულიას სიმღერა ,,საქანელა“),

რუსა ზაბახიძე (რევაზ ლაღიძის ,,ყური უგდე საქართველოს“),

მარიამ ბარელაძე (გურამ ბზვანელის ,,სამშობლოს გასახარელი“),

ირაკლი იაკობაშვილი (სიმღერა ,,გაზაფული“),

ნია ყაველაშვილი (სიმღერა კინოფილმიდან ,,კეთილი ადამიანები“),

თორნიკე ბარელაძე (სიმღერა კინოფილმიდან ,,ბაში-აჩუკი''),

გოჩიკო დარბაიძი (სიმღერა კინოფილმიდან ,,თოჯინები იცინიან''),

ჯაბა კუჭაშვილი (სიმღერა ,, საზამთრო''),

თამარ კუჭაშვილი (სიმღერა ,,წეროები''),

ლიზი ბარელაძე (სიმღერა ,,დედაზე'').

ღონისძიება, რომელსაც რეფრენად გასდევდა მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტები, დამთავრდა დედებისა და შვილების მიერ ერთობლივად შესრულებული კიდევ ერთი საივერიო სიმღერით – ,,დედა, დედიკო, ჩემო ლამაზო“.

დათო მამიაშვილი

ვრამათემატიკური პეპელა

ციკლიდან: **''საყმაწვილო პოლიტიკური რაფსოდია''**
(ჟანრი-თვითირონია)

ფაბულა: უმუშევარი ინტელიგენტის, ანუ საზოგადო მოღვაწის ვიზიტი, ზრდილობიანი უტიფრობისა და სიბრიყვის სიბრძნის ბუტა-ფორიასთან, ანუ თანამდებობის პირთან-ჩინოვნიკთან. (ვიზიტის იდეა: "კულტ-კარგ-საზოგ-ქვეყ-ხალხ-ხელოვნ-საჭირ-ისტ-ფართ-საკითხ-ფი-ლოსოფ-ფსიქ-მესიალუურ" – მოკლედ, მშვენიერი კოხტა საქმისა).

თხრობის გადმოცემა მიმდინარეობს ადრე ჩინური სუფთა ცნო-ბიერის ფილოსოფიურ-მედიტაციური სტილით (შესაძლოა ესაა ლაო-ძის იდეების მიზეზთა საბაზისო გასაღები, ჰმ?!)

"მთავარი თმა არაა
მთავარია ვარცხნილობა"
(ფრანგული ანდაზა. ერთი რომანტიკული უკიდურესობა)
"მთავარია თმა გქონდეს,
დავარცხნას ყოველთვის მოახერხებ"!
(*ჩინური ანდაზა. მეორე პრაგმატული უკიდურესობა*)

ამბავი

ვიზიტი იწყება.. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ვიზიტი დაწყებულია: გადაწყვეტილების მიღე-ბით, დაწესებულების შესასვლელი კარის (შეგ-რძნებით საავადმყოფოს კარის) შეღებით, ინ-სტანციების გავლით, ლოდინით, მიღწევით, შესვლით, ..პირადი მდივნის ქვამსხვრევი მზე-რის გადალახვით, კარიდან მაგიდამდე არსებუ-ლი მანძილის გავლით, ჩამოჯდომით, სათქმე-ლის თავმოყრა-გაბედვით, და აწ ღელვანარევი, იმედიანი თითმტვრევით:

– იცით,.!. წიკ-ტაკ, ტაკ-წიკ. წიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ
– მდა; ბჰ-ჰხმ..
– ჰმ.., არა იცით, ეს - წიკ-ტაკ-წიკ-ტაკ, წიკკ, ჭიკ-ჭიკ ჭიკ-ჭიკ ..
– ღჰმმ... (ხმები ჩახველების მხგავსი. ზმუილი თვალებით) ხორხისა და სკამის ჭრიალი..
– შეყოვნება. ''ტაკ'' (ღელვა-თითმტვრევა, ცდა..) —არა, (მოიცათ) ჭიკ-ჭიკ-ჭიკ.. ტიკკ.. წიკ ტაკ-წიკ-ტაკ–?!!–წიკ-ტაკ, წიკ-წიკ
– ჰღმ, თანხა-რესურს – გრანტ-რესურს?!!
– აჰ, ტაკ-წიკ (უცებ რესურს..?) !!თუმც, ჭიკ-ჭიკ.. ვაი, ჭიკ-ჭიკ, წიკ-ტაკ,..ოოხხ..,
– თანხა-რესურს ღჰმ, გრანტ-რესურს?!!! ჰეჰ!
– ოარრა, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ ჭრრრ., ჭიკ-ჭიკ..
– ვალუტ?
-წიკ-წიკ, (აუჰ)
-რესურს?
-...
სიჩუმე.
სიჩუმე.
ბრაგვანი მუხლის ჩოქებზე:
- წიკ-ტაკ-წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ-წიკ-ტაკ, ჭიიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ,, ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ, წიიავ..; "ყიტ-ხორხ..'' ჭიკ-ჭიკ, ხორხ..(ვაი..)!
-ჰოდა ეეგრეე, მგრმ.. (ტუჩწკდგლაფუნი)

ყბითმზერია
თვალმზერია
–ეღხმ., კაია, მაგრმ, ვალუტ-რესურს.?! ა ეს: წიმკ-დაგრ, როგორ?-წიკ-ტაკრ., ჭრიკ-ჭიკ,- კა-ია მარაა.. გრანტ-რესურს? ჩვენც გვინდა: კარგ-ქვეყნ-საზ-ფილ-ისტ(ლიტ-ისკუსტ-შოუ)–პრეზდტ-პოლიტ-კურს-მოქ-ვალდ-ჩვენც-კულტ-ხალხ-გრანტ-ოფლ-მსოფ-ბანკ-ინვესტ-პრეზდ-კურს-ოფლ(სუნ)-ვალდ-კურს–მარაა-(ღხმ). ჩ
ეე., და იცით მეც, მეც წიკ-ტაკი, აი, (ჰმხმ):
-''ოი, ბუუ, ოი ცუუ,
ოი, კუ-კუ ცუცუ, დუუ..
კუ-კუ ცუ-ცუ,

კუ-კუ ცუ-ცუ
კუ-კუ ცუ-ცუ,
ცუ-ცუ დუუუ..
და რამე.. პოეზია; მარაა - პოლიტ სიტუც, გა-ჭირება.M მოკლედ: !!''გრანტ-რესურს-აპრიორ-კრედიტ- სა-ფუ-ძვეელ!!''
სიჩუმე.
ყბითმზერია
თვალმზერია
ღრუტ ქშეენ
(-ო ოოჰჰ!)
მნუსხავი მზერა."-აბაა"-ადგა! (ღიმილი გაჭრი-ლი ხორცია) კვლავაც.. ღიაა,.. (პირი კარები-ვით იღიმის)
გამოწვდომა:
-მშრალი ხელისგული
-სველი ხელისგული
გული?
გული!?
თვალ მზერია
თვალ ზმუილა
(-ოღმ!)
(-ეეჰ..)
ჩუმი ფაჩუნი, წყნარი უკან სვლა კარისაკენ. ''ჭღრმ-ფღრმ.''! ეს, რა ხმა იყო? ო, არა ეს ის არ იქნებოდა, ეს ალბათ იატაკის ხმა იყო. ეს ფსიქიკაა. რამსისქე ხალიჩაა, მართლაც რამ-სისქეა. კი, ფსიქიკაა, თურმე როგორ შემოდი-ხარ და როგორ.. —(''ააპრუუწ-ხიით-ხიით'')–გადიხარ"!

სცენა. (რაცხა "პონტი" ფუსფუსი მუხტი)

"ახლა მთავრობაა კულისებშიც და დარბაზშიც"

(ასე იტყოდა *ლა-ფონ-ტენი (ალბათ)*)
მზადება; <<ფარდის უკან – "ჰალსტუხი" ფარ-დის იქით–"პუბლიკა" >>
აქეთ < < ("ღმჰქნეშ") იქით>>(ლოიალ- საზო-გადოებრივი ბუბუნი)
მააღალი ფარდა ირხევა სქლად ნააზად;
ფარდის უკან: გასწორდი-''ჰმხნეშშ''-თავი-სქე-ლია-პასტელი-დაჭიმე-გალსტუხი-კიდევ-(''არ მომგლიჯოთ'')-კარგია!-აბა, ხომ იცი? რაც იცი, ხომ იცი?! -ჰეპ, აზრზე მოდი. ბარა– გავი-და'' !!
დაჩგასვლა:
- ტაში! "ხოხ, კარგით" (ან გეყოთ)
''მდაა''..(''ნნკპუუ''-აპარატურა:''პ.ფ'')
''ჰმ,იცით''..(სიჩუმე) (სიჩუმე) და:
"წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ დაა წიკ-ტაკ წიკ-ტაკ !
წიკ-ტაკ,წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ,წიკ-ტაკ *და წავიდაა..*
ტაააკ-ტაკ-ტაკ-ტაკ ტაკ-ტაკ-ტაკ-ტაკ ტაკ-ტაკ-ტაკ-ტაკ.. ჩვენ (დაჟე)..ჭიიიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ- ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ წიი...ავ, წიიიიიი... ავ,
წ,კრრრრრრრრრრრრრრრრრრრრრ...
წ,კრრრრრრრრ.. უუჰ;" მუშტი, რამე, ჰაიტ რი-ხი, თვალი-ჯიქურ პუბლიკას, სიმაართლეე და: "ოოჰჰ, ბრავისსოო", ტაში, "ბრრავისსო", 'ოო-ოჰჰ'', ტაშში. ფფარდა.
ა-ფარდა-ა!

მეგობრებო, თუმცა ხომ შეიძლება, და მეც მგონია, რომ შემდეგ, ცარიელ დარბაზში, გაის-მა ჩუმი, მორიდებული და მაინც: "წიკ-ტაკ"?! ეს, სევდაა, ცარიელ დარბაზში გამეფებული ეული სული, მარტოხელა ექო?
არა! –ეს უამბიციო, ურევოლუციო, უბატონო და თავისი თავის პატრონი სულია. ცარიელ დარბაზში და გარეთაც, ყველგან: ქუჩაშიც, სახლშიც, ტყეებში, მთებში, მაღლა და დაბლა, საძირკვლებსა თუ ქონგურებზე, და ყველას სასთუმალთან არსებული – უღმუჰუო, (უფუ-ლო), თავისუფალი: "ჭიკ-ჭიკი''!
რა, კარგიაااااა...

S. P. ამბავი დაიწერა ერთ დროს "რადიკალური ოპოზიციის" შეკვეთით, თუმცა შეთხზვის ეტაპზე უკვე დამკვეთნი არიან "მთავრობა". და რა გაეწყობა, რომ ესა რეალობაა;
თუმცა მეგობრებო, მე მაინც.. *"- "…… !*

1999წ

მურმან გელენიძე

როგორ შეიქმნა პატრიარქის შრიფტი

გასული საუკუნის ბოლოს – 90-იან წლებში, მაშინ, როცა საფუძველი ჩაეყარა სამების ტაძრის მშენებლობას, დაიბეჭდა პატრიარქის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. პლაკატზე არსებული ტექსტი უწმინდესის ხელით იყო დაწერილი. პლაკატი გავაკარი კედელზე, ჩემი სამუშაო მაგიდის წინ და ყოველდღე მიხდებოდა პლაკატის დათვალიერება. ხელნაწერი შრიფტი იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, დავიწყე ესკიზების გაკეთება და ვცდილობდი ზუსტად დამემსგავსებინა პატრიარქის ხელნაწერისათვის. გარკვეული დრიოს შემდეგ გადავწყვიტე შემექმნა პატრიარქის ხელნაწერის მიხედვით სხვადასხვა მიმართულების, დასახელების შრიფტების გარნიტურა. ანბანი, როცა ალფაბეტის მიხედვით დავალაგე აღმოჩნდა, რომ ხუთი ასო-ნიშანი პლაკატზე არ იყო გამოყენებული. ამის შემდეგ, აღნიშნულის შესახებ ვაცნობე საპატრიარქოს, რომ ვმუშაობდი პატრიარქის შრიფტის პროექტზე და ვთხოვე ქალბატონ შორენა თეთრუაშვილს, მოეცათ უფლება საპატრიარქოს არქივში მომეძებნა დანარჩენი ასოთა ნიშნები. ანბანის სრულყოფილი რაოდენობა მოვიპოვე თუ არა, გავითვალისწინე დროის სწრაფმავლობა, რომელიც ადეკვატურია დასახული მიზნის, პასუხისმგებლობის და პროფესიონალიზმის გამოსავლენად, რომლის გარეშე აღნიშნულ პროექტზე მუშაობა აზრს დაკარგავდა. შრიფტის გარდაქმნაზე მუშაობა უპრეცენდენტოა, რაზედაც მოგახსენებთ ქვემოთ.

როცა პატრიარქის ხელნაწერებიდან შევქმენი თორმეტი დასახელების სხვადასხვა მიმართულების შრიფტის გარნიტურა, ორიგინალის პირველი ალბომი ვაჩვენე მის უწმინდესობას. წარმოიდგინეთ ჩემი განცდა – ვდგევარ პატრიარქის წინაშე, ძალიან ვნერვიულობ. ეს იყო ყველაზე დიდი გამოცდა ჩემთვის, რამეთუ მრავალჯერ ვყოფილვარ ანალოგიურ მდგომარეობაში და ასეთი განცდა არასოდეს დამუფლებია.

პატრიარქმა გულდასმით დაათვალიერა ანბანის სხვადასხვა სახეები, ბოლოს დაუბრუნდა პირველ გვერდს, რომლის დასახელებაა შრიფტი “+ილია II”.. ხელნაწერი სწრაფი. ვაკვირდები უწმინდესის სახეს, ფსიქოლოგიურად ძლიერი, საოცრად მეტყველი სახე, როგორ გაუბრწყინდა და ღიმილით შემომხედა და მითხრა: “ასე მგონია მე ვწერ”. – თქვენო უწმინდესობავ – მივმართე მე – შევეცადე ზუსტად დამემსგავსებინა თქვენი ხელნაწერი შრიფტის თითოეული ასო-ბგერა და ამავე დროს შემესწავლა შრიფტის ბუნება. უწმინდესმა ისეთი ღიმილით, ისეთი სიყვარულით გამოხატა კმაყოფილება, რომ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე ვიყავი ყველაზე ბედნიერი ადამიანი ამქვეყნად.

გარკვეული დროს შემდეგ აღნიშნული შრიფტის ორიგინალიდან შეიქმნა ანბანის ელექტრონული ვერსია – მისი პოლიგრაფიული სახე.

ავხსნათ რას ითვალისწინებს ხელნაწერი შრიფტის გარდასახვა, მისი იდენტურობის შენარჩუნებით. საერთოდ ადამიანის ხელწერა — ეს არის მისი სულის ამონარიდი, ბუნება ხასიათი, განწყობა. არ არსებობს ორი ადამიანის ერთნაირი ხელწერა. ცდისპირად ავიყვანე შვიდი ტყუპისცალი და შევისწავლე მათი ხელწერა. ტყუპებიც კი ერთნაირად არ წერენ — მითუმეტეს, რომ მათი გენეტიკა ერთია.

პირველ რიგში, როცა ავტორისეულ თითოეულ ასო-ნიშანს ვსწავლობ, სხვადასხვა ტექსტს ვადარებ ერთმანეთს. რადგან ავტორი სხვადასხვა წინადადებაში, რომელ ასო-ბგერას იმეორებს, აქედან გამომდინარე, იმ ასო-ნიშანს, რომელსაც ავტორი წერის დროს იყენებს ხშირად, სწორედ ის ასო ბგერა რჩება ძალაში. ასევე ვითვალისწინებ, თითოეული ასო-ნიშნის ბუნებას, გრაფიკულ აგებას, მსგავსებას, გეომეტრიულ ადგილს. მაგალითისათვის, ყოველი ადამიანის კალიგრაფიული ხელწერა, ეს არის ოთხ ხაზს შორის განთავსებული — (გრაფიკულად ასახული) რიგი ასო-ნიშნე-

ბისა. მაგრამ ხელით ნაწერი ზოგიერთი ანბანი არ ემთხვევა სტანდარტულ ზომებს. მაგალითად; უწმინდესის ასო-ბგერა: ბ, დ, ვ, ყ, კ, ფ, რ - და ა.შ. არ ემთხვევა ხაზების თარაზულ —(ჰორი-ზონტალურ) მწკრივს. სწორედ ეს არის ანბანის ადგილის ავტორისეული ბუნება. ხოლო, როცა გადაგყავს სტანდარტულ გრაფიკულ ასახვაში, მაშინ ხდება ანბანი სტანდარტული ზომის, თუმ-ცა, კარგად თუ არ დააკვირდით ანბანის "ხელმოსმის" ტრანსფორმაციას, გაგიჭირდებათ ამოხ-სნათ, რომელია მათ შორის ავტორისეული ბუნების.

როცა ავტორისეული ხელნაწერი ანბანი, გრაფიკული დამუშავების შემდეგ მიიღებს სრულ-ყოფილ სახეს, ამის შემდეგ ხდება მრავალსაფეხურიანი კვლევითი ხასიათის "გრაფოლოგიური კრეაცია". შრიფტის ორიგინალიდან ახალი გარნიტურის შექმნისას ყოველ საფეხურზე ხდება ან-ბანის იდენტიფიკაცია... შენარჩუნებულია რა, ასო-ნიშნების ბუნება, ანბანი თანდათანობით გა-დაგვყავს მხატვრულობისაკენ და იქმნება ანბანის ახალი სახე... (შრიფტის გარნიტურა), რომე-ლიც ბოლოს იძენს აკადემიურ სახეს — შთამბეჭდავ ვერსიას, გრაფემების სახით. ანბანის ასეთი გარდაქმნა — მისი გრაფიკული მოდელირება წარმოადგენს ერთ სრულყოფილ ოჯახს, რომელ-საც "ლასკარი" ეწოდება.

ასეთი მიდგომა გამოხატავს არა მხოლოდ ულამაზესი ქართული. კერძოდ მხედრული შრიფტის წარმოუდგენელ შესაძლებლობებს, არამედ ასოცირდება ჩვენს წარსულთან, ქართულ ჩუქურთმასთან, ჩვენს ფესვებთან, რომელიც განფენილია — დროსა და სივრცეში. ასე შეიქმნა უწმინდესის შრიფტის თორმეტი გარნიტურა — (ორი ალბომი).

პატრიარქის შრიფტების გარნიტურების ჩამონათვალი:

1. შრიფტი "+ილია II" — /ხელნაწერი სწრაფი/.
2. შრიფტი "+ილია II" — /ხელნაწერი სწრაფი-სტანდარტული/.
3. შრიფტი "+ილია II" — /კალიგრაფიული/.
4. შრიფტი "+ილია II" — /ხელნაწერი სქელი/.
5. შრიფტი "+ილია II" — /ხელნაწერი კონსტრუირებული/.
6. შრიფტი "+ილია II" — /კალიგრაფიული წახნაგოვანი/.
7. შრიფტი "+ილია II" — /აკადემიური ნუსხური-ოთხხაზოვანი/.
8. შრიფტი "+ილია II" — /აკადემიური მთავრული/.
9. შრიფტი "+ილია II" — /ოთხხაზოვანი დახრილი/.
10. შრიფტი "+ილია II" — /მთავრული დახრილი/.
11. შრიფტი "+ილია II" — /ხელნაწერი დაფნის რტო/.
12. შრიფტი "+ილია II" — /ხელნაწერი აკაფული ტოტი/.

როცა დავასრულე პატრიარქის შრიფტის მეორე ალბომის პოლიგრაფიული ვერსია, აღნიშ-ნული ალბომი გადავეცი მის უწმინდესობას. ალბომის გადაცემისას უწმინდესმა მკითხა თუ რამ-დენი ხანი მოვანდომე საერთოდ შრიფტზე მუშაობას. მე ვუთხარი დაახლოებით ორი წელი. მაშინ მან მითხრა დავლოდებოდი. ქალბატონი შორენა და პატრიარქი შევიდნენ იქვე გვერდით ოთახში და დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ, როცა პატრიარქი ოთახიდან გამობრძანდა საჩუქრად გადმომცა წიგნი — "დიდნი საქმენი" და უნიკალური, შეუფასებელი ხატი ქრისტესი — "მწყემსი კეთილი", რელიეფური ფორმის — ბზაში შესრულებული, რომელიც ჩასმულია 25 მმ-იანი სისქის კაკალში. რაც შეეხება საჩუქრებს, მე ასეთი დიდ პატივი არავისგან არ მიმიღია, რაც გამოიჩინა ჩემს მიმართ — სრულიად საქართველის კათალიკოს პარტიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარე-პისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა — ილია II-მ.

პატრიარქის კურთხევით დავიწყე ვაჟა-ფშაველას ხელნაწერების შესწავლა... რა არის ადა-მიანის ნიჭიერება... ალბათ სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ. ჭეშმარიტების გზა, ხომ უფალთან მი-დის! უფლის ხელდასმით კი ეს უდიდესი გენიოსი პოეტი შეუფასებელ ნაწარმოებებს ქმნიდა. ჩემ-თვის მეორე აღმოჩენა იყო, როცა ყოველი სტრიქონი, ფრაზა შესრულებული იყო ვაჟა-ფშაველას მიერ უწყვეტად, ხელის აუღებლად. ყოველი ასო-ნიშანი გადაბმული იყო, თან კითხვადი. აი რას წერს ჩემს მიერ დამუშავებული ვაჟა-ფშაველას შრიფტის შესახებ ხელოვნებათმცოდნეობის დოქ-ტორი, პროფესორი — სამსონ ლეჟავა: "ამის შემდგომ, ჩემთვის ბევრი რამ უფრო ნათელი გახდა;

თუნდაც ის, რომ ბატონი მურმანი ქართული ანბანის მრავალსაუკუნოვან, წარმოუდგენელი სიღრმის მატარებელ ტრადიციათა ცოცხალი გამტარია. მართალია უდიდესი ოსტატობითა და ნიჭით გამორჩეული პედაგოგები ჰყავდა, ისეთი მეტრები, როგორც ლადო ქუთათელაძე და მისი მოძღვარი პროფესიაში ლადო გრიგოლია, მაგრამ ბატონ მურმანს თავისი გამორჩეული გზაც ჰქონდა და საკუთარი მეთოდებიც, სიმართლე გითხრათ, გამაკვირვა მისმა მეტად ორიგინალურმა

მიგნებამ: იგი დაინტერესდა რამდენიმე გამორჩეული ქართველი მოღვაწის ხელნაწერის თვისობრიობით. მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი ვაჟა-ფშაველას ხელნაწერებს. მხატვარმა ყურადღრება მიიპყრო ვაჟასეული "ასოთაწყობის" უწყვეტობას, რაც იმას გვაუწყებს, რომ დიდებული პოეტი ღრმად შთაგონების ჟამს, სრულებით ერთიან ნაკადად აღიქვამდა ლექსის ამოთქმას და მისტიკური პროცესის გრაფიკულ ფიქსაციასაც

ემირი ბურჯანაძე

არსებობენ ადამიანები, რომელთა შემოქმედება, შრომითი საქმიანობა, იმდენად დიდია სამშობლოს, ერის წინაშე, ტომებია საჭირო მათი ღვაწლის შესაფასებლად. სწორედ ასეთი ადამიანების გვერდითაა ბატონი ემირ ბურჯანაძე, რომლის გენიალური ნამუშევრები განფენილია დროსა და სივრცეში, რასაც დრო-ჟამი ვერაფერს დააკლებს.

ემირ ბურჯანაძე უაღრესად კეთილშობილი, თავმდაბალი, უბრალო, მშვიდი, ღვთისმიერი, ზოგჯერ საოცრად მკაცრი — ღრმად ეროვნული ხასიათით, პირუთვნელი, სულით ამაღლებული და სამართლიანი იყო.

ავადსახსენებელი 2009 წლის 24 მაისს გულანთებულ ქართველებთან ერთად, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ არსებული სატანური რეჟიმის წინააღმდეგ, იგი იდგა იქ, სადაც უნდა მდგარიყო, რომლებსაც შეესია მგლების ხროვა. პირსისხლიანები სასტიკად გაუსწორდნენ მიტინგის მონაწილეებს. არ მოერიდნენ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს... მათ შორის მდგარი ემირ ბურჯანაძე იმდენად მძიმედ იყო ნაცემი, რამოდენიმე თვე გახდა საჭირო, რომ ის გამოეყვანათ მდგომარეობიდან, შემდგომ, ჯანმრთელობაშელახული სულით არ დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ ხელებს ვერ იმორჩილებდა, ის მაინც ახერხებდა, რომ შეექმნა ახალი ნამუშევრები.

ბატონი ემირი უფლისგან დაჯილდოვებული კოსმიური ენერგეტიკით ასხივებდა უდიდეს სიყვარულს და სითბოს ყველას მიმართ. ის საოცრად კეთილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას არასოდეს არ ჰქონია ფუფუნებითი ცხოვრება, ვინც მასთან მეგობრობდა ყველა დამეთანხმება, მას ვერავინ ვერ დაასწრებდა სუფრასთან პურ-მარილისათვის ფულის გადახდას.

2000 წელს, საქართველოს პრეზიდენტის "ოფიციალურ გამოცემათა სამსახურში" ზურაბ ჯიბღაძის ინიციატივით /სამსახურის უფროსი/ შეიქმნა პირველი სამხატვრო საბჭო. ჩვენს მიერ მოწვეულ იქნა სამხატვრო საბჭოს წევრებად საერთაშორისო დონის სახალხო მხატვრები: თენგიზ სამსონაძე, დინარა ნოდია, გოგი წერეთელი, ემირ ბურჯანაძე, ზურაბ სამხარაძე, ლორეტა შენგელია და სხვები. საბჭოს ღირსებად ჩაითვლება: გაფორმდა მრავალი წიგნი, საერთაშორისო ჟურნალები, ბუკლეტები, ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული წიგნები, სადაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ემირ ბურჯანაძეს. დიდი მოწონება დაიმსახურა მის მიერ გაფორმებულმა "კავკასიის დიდი ენციკლოპედიის" გარეკანის — ისტორიული დატვირთვით სამ ენაზე შექმნილმა ემბლემებმა (ქართული, რუსული, ინგლისური). "კავკასიის დიდი ენციკლოპედიის" გამოცემის საკითხი რამოდენიმეჯერ განიხილა საქართველოს ეროვნულმა მეცნიერებათა აკადემიამ, სადაც მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, პარლამენტარები, საზოგადო მოღვაწეები, კავკასიოლოგები, კავკასიური ქვეყნების საელჩოები, სათვისტომოების წარმომადგენლები. ენციკლოპედიის გამოცემის საკითხი თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი, მაგრამ მაშინდელმა პრეზიდენტმა — მიხეილ სააკაშვილმა, 2006 წელს გააუქმა არსებული სამსახური, წიგნის პალატასთან ერთად. "პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის" ფუნქციონირების დროს დაწესდა და დამზადდა, საქართველოს "მეწინავე ბიზნესმენებისათვის" პრეზიდენტის სახელობითი მედლები — სამი სახის /ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო/ აღნიშნული მედლების ყველა ესკიზი ემირ ბურჯანაძის მიერ იყო შექ-

მნილი. მედლებს თვით პრეზიდენტი გადასცემდა, წელიწადში ერთხელმ გამარჯვებულ ბიზნესმენებს. " პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურში" განსაკუთრებული ღვაწლისათვის, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ოქროს მედლით დააჯილდოვა — საჯაროდ, ბატონი ემირ ბურჯანაძე. აღნიშნული ღონისძიებები გადაიცემოდა ტელევიზიებით და შესაბამისად აისახებოდა პრესაში.

ემირ ბურჯანაძე ხელოვნებასთან ერთად ასევე მეცნიერებაში ფენომენალურად ფლობს სხვადასხვა მიმართულებებს. ის "მეტაფიზიკური" კუთხით ირაციონალურ სამყაროში ხედავს ჩვენთვის უხილავ სივრცეს. ერთ-ერთი შეხვედრისას მეუბნება; მურმან, ხომ არ წამოხვალთ გურიის მთებში, რომ ვნახოთ დევები და ქაჯები-ო. მე სიცილით ვუპასუხე: რას ამბობ ემირ, ეს ხომ ზღაპარია! — თუ წამოხვალ შენც ზღაპარში შეხვალ-ო! — მიპასუხა სიცილით. როცა გურიიდან თბილისში ჩამოსულს შევხვდი მან მითხრა: - არ გაგვიმართლა, მთებში ნისლი ჩამოწვა და მხოლოდ ბუნდოვნად დევების 4-5 მეტრიანი სილუეტები დავინახეთ-ო.

ანალოგიური ხასიათის თემას ეხება ნაზი ხანიაშვილი 2016 წლის "ჰოროსკოპში", ნოემბრის თვეში გამოქვეყნებულია სტატია № 11 "ვეფხისტყაოსანი" და მეტაფიზიკა".

"ისტორიაში და მითოლოგიურ ენციკლოპედიებში ეს ხალხი ნათლადაა წარმოდგენილი, ქართველები ყოველთვის სამყაროს შემოქმედ ერთარსს მამა ღმერთს სცემდნენ თაყვანს, რომლის 64 სახე-გამოვლინებაა დევებთან და ქაჯებთან მებრძოლი 64 ხვთისშვილი, რომლებიც მარადიულნი და უკვდავნი არიან.

როგორც დასაწყისში ვწერ, ბატონი ემირი უფლისაგან დაჯილდოვებული იყო "კოსმიური ენერგეტიკით". იგი ქართული ანბანის საწყის ფესვებს ეძებს ათასეული წლების მიღმა. მოვიყვან რამოდენიმე ფრაზას მისივე წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა ჩემს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნში".

"ქართული ანბანური დამწერლობა სამყაროს აღქმის, შემეცნების, დროისა და სივრცის განმსაზღვრელი დიდებული ძეგლია. ეს არის 38 ნიშნიანი ანბანურ-რიცხვობრივი სისტემა, სადაც ბგერათა და რიცხვთა თანმიმდევრობა და მნიშვნელობა მათი ურთიერთდამოკიდებულება დროისა და მოვლენების პროპორციების, ფარდობითობის, კოდირებული ინფორმაციის დიდ ტილოს წარმოადგენს... ქართული ენა მეცნიერებაში აღიარებული და განმტკიცებულია იბერულ-კავკასიურის სახელწოდებით, ხოლო დამწერლობის შექმნის საწყისები უნდა ვეძებოთ იბერიულ-კოლხურ კულტურათა უძველეს სივრცეში"...

აღნიშნული წერილიდან ნათლადა ჩანს თუ რა სიფაქიზით, შინაგან წვდომით როგორ აღწევს ამ მისტიკური პროცესის მეცნიერულად ახსნას იგი "კოსმიური" ენერგიით დამუხტული. როგორი სიღრმით იკვლევს უზენაესის შთაგონებით შექმნილ ოცდათვრამეტ ნიშნიან ანბანურ რიცხვობრივ სისტემას და იგი, როგორც ადამიანი ღვთის შთაგონებით ახერხებს იმას, რომ მისი შემოქმედება-ოსტატობა, მასალის ღრმად ცოდნა, პლასტიკის გამოხატვის უნარი გრაფიკაში განუმეორებელია. ემირ ბურჯანაძე არის თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი გრაფიკოსი. თამამად შეიძლება ვთქვა "ქართული გრაფიკის გენია". ქართული ჩართული შრიფტის – "მონოგრამების უდიდესი ოსტატი".

ბატონი ემირ ბურჯანაძის მუშაობა ჰერალტიკაში ჩართული შრიფტის ასახვა, სიმბოლური ნიშნების შექმნა და მრავალი სხვა მიმართულებები... რომელთა ანალიზი მოითხოვს დაკონკრეტებას, დეტალურად შესწავლას, სიღრმისეულ კვლევას, მის ფიქსაციას – ყოველივე ეს მიმინდვია ხელოვნებათმცოდნეთათვის და ჟურნალისტებისათვის. თუმცა მასზე ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება, რადგან ემირ ბურჯანაძის შემოქმედების ანალიზი ამოუწურავია. მისი გასხივოსნებული სახე, მის შემოქმედებასთან ერთად იბრწყინებს მარადიულად.

25. 11. 2016წ.

დავით ბერძენიშვილი

ბატონი დავითის გახსენება მაგონებს წარსულს-სტუდენტობის წლებს. მაშინ, როცა ჯერ კიდევ სტუდენტში მიიპყრო პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება, როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ. მისი პედაგოგები იყვნენ ლადო გრიგოლია, ლადო ქუთათელაძე, ვლადიმერ კეშელავა, ზურაბ ლეჟავა და სხვები. სწორედ სტუდენტობის წლებში მან შექმნა სასაქონლო ნიშნები, ემბლემები, ლოგოები, ბლიფვანგები და სხვა. ამავე დროს პარალელურად მუშაობდა – ქართულ-მხედრული მხედრული ანბანის მოდელირებაზე. შრიფტზე მუშაობისას ის ასევე სხვადასხვა მიმართულების – კომპონენტებს სწავლობდა: მხედრული აკადემიური – მთავრული ორხაზოვანი, ნუსხური ოთხხაზოვანი ასო-ბგერები შტრიხის სხვადასხვა მოდულების გამოყენებით.

ქართული მხედრული ანბანის ანალიზის შესწავლისას მას აღმოაჩნდა საოცარი ნიჭი, რომ უფრო გაეღრმავებინა და დამოუკიდებლად შეექმნა სხვადასხვა დასახელების ანბანი, სქელი და ერთ შრიხიანი შრიფტის სახეები: საპლაკატო, სარეკლამო, დეკორატიული, მხატვრული და სხვა. ყოველივე ამას ის აღწევდა მისტიკური პროცესის ფონზე... უფლისაგან გადმოსული სული გაივლიდა რა სიგარეტის კვამლში (გარდაცვალებამდე ის იყო სიგარეტის მუდმივი მწეველი) და გარკვეული ფიქსაციის შემდეგ გონებაში გარანდული, დიდი ოსტატის ხელით ქმნიდა კვლევითი ხასიათის ქართულ ალფაბეტს – მსოფლიოს იმ უძველეს თოთხმეტ დამწერლობათა შორის ერთ-ერთს.

ქართული ენის ასო-ბგერათა ასე ღრმად დაუფლებაში მის გრაფიკულად ასახვაში მას ეხმარებოდა ის ტრადიციები უძველეს სივგანთავსებული, ათასეული წლების მიღმა შექმნილი ასო-ნიშნები, კოდირებული, შემდეგ დახვეწილი 38 ანბანურ რიცხობრივი სისტემა, რომელთა ფესვებზე გენეტიკურად გაიზარდა ჩვენი თაობა.

მსოფლიოში არ არსებობს ერი, რომლებსაც სამი დამწერლობა აქვს. ჩვენმა წინაპრებმა კი შექმნეს სამი სახის ანბანი: მრგვლოვანი-ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. ბატონი დავითი, როცა ჰქმნიდა შრიფტის ახალ გარნიტურს, მას შთაგონებაში გააზრებული ჰქონდა ჩვენი ძველი უნიკალური ხელნაწერები, ისტორიულ ძეგლებზე შემორჩენილი წარწერები. ამდენად მის ყოველ ასო-ბგერას ახლავს დიდი ოსტატობა და პროფესიონალიზმი. მისი ყოველი შრიფტი არის წინაპრებიდან აშენებული ტაძარი. ამიტომ, მის მიერ შექმნილმა ასო-ბგერებმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, რომელიც მარად დარჩება ჩვენს შთამომავლობას.

ბატონი დავითი როგორი იყო სტუდენტებთან... ის თითქმის მეგობრობდა მათთან. მის ლექციებს ესწრებოდა უმრავლესობა. ის, მთელი თავისი პედაგოგიური გამოცდილებით, გადასცემდა სტუდენტს იმას, რაც მის პროფესიონალიზმთან, ოსტატობასა და მოცემული საგნის სიყვარულის დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა.

ბატონი დავით ბერძენიშვილი იყო ძალიან თავმდაბალი, უპრეტენზიო, სამართლიანი, მეგობრობდა, როგორც უფროსი, ასევე თავისი ასაკის ხალხთან და უმცროსი ასაკის ახალგაზრდებთან. მიუხედავად თავისი სიგამხდრისა, როცა შეგხვდებოდა და ხელს ჩამოგართმევდა, რკინისებურ ძალას გრძნობდი ასევე გაუტეხელი იყო სულიერადაც. თურმე ძალიან უჭირდა... რადგან უეცრად გარდაიცვალა — გადაინაცვლა მარადიულ საცხოვრისში. იგი ჩვენთვის ისეთივე ამაღლებულია, ძლიერია და მარადიულია, როგორც მისი შემოქმედება.

15.12.2016წ.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ქართველები ირანში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-30-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6,7 ტომებში)

ირანის გზამ დამიდაგა გული,
დამეხუთა ყაენთანაც სული.
ხალხური

მარტყოფის მოვლენების განხილვა

როდესაც გვიხდება ამგვარი მოვლენების განხილვა, მარტო უნდილაძეებზე ვერ შევაჩერებთ ყურადღებას; იმ დროს ირანში იყვნენ და მოღვაწეობდნენ სხვა ქართველებიც, რომელნიც, შეიძლება ითქვას არც ნაკლები ფინანსური შეძლებისა და პასუხისმგებელი თანამდებობის პატრონები იყვნენ მათგანაც ისევე მოსაკითხია საქართველოს ბედ-იღბალისათვის მათი საქმიანობა.

ესენი იყვნენ: ფეროს-სულთან ქართველი – ბეგლარ-ბეგი დარუბანდისა; სეფი-ყული-ხანი შირ-ალი ქართველი – ბეგლარ-ბეგი არაბული ერაყისა; ჯემშიდ-სულთან ქართველი – ბეგლარ-ბეგი ავშარისა და ხორასნისა; ალი-ყული-ბეგ სააკაძე – სპასალარი და ბეგლარ-ბეგი თავრიზისა. გააკეთეს მათ რაიმე თავიანთი ქვეყნისათვის? ყველას რომ სააკაძის მეათედი ეზრუნა და ეფიქრა საქართველოსათვის, შესაძლოა, კახეთი ასე არ განადგურებულიყო. (არას ვამბობთ ირანში, თავის ნებით თუ იძულებით, მოხვედრილ იმ ქართველებზე, რომელიც ბევრიც იყო, მაგრამ მთავარი აქ რა არის, ზოგ მათგანს თავის გატანის საშუალებაც არ ჰქონდა, ამიტომ ბევრსაც უნდა მივუტევოთ, აქ საუბარია პოლიტიკურ თუ ნივთიერად შეძლებულ ქართველებზე, ისინი უნდა ყოფილიყვნენ სხვათათვის მაგალითის მიმცემნი).

და როცა ჩვენ მარტყოფის ომის შინაარსზე ვსაუბრობთ, მისი ხასიათები, ვფიქრობ, იმ მოვლენებიდან აითვალა, აითვალა სააკაძის მხრიდან ირანში ყოფნის დროს, სადაც მან დაინახა და შეიგრძნო შაჰ-აბასისა და წარჩინებულ ქართველთა ურთიერთობა, საქართველოსათვის რომ არაფერ შეღავათს არ იძლეოდა. დაინახა, რომ შაჰი ამბიციური იყო და თავისი გონებით წყვეტდა მისთვის ყველა სასურველ მოვლენას და საქართველოს ბედსაც. ე.ი. სააკაძისთვის ყველაფერი წინ დაიდო ნათელ-ხილულად და რეალურად. მას ბააკა ხერხეულიძის სუფთა სინდისი კვლავდაკვლავ გულში ეჯდა და თავს ახსენებდა, ქართულმა მხარის ცოდვილმა ნაწილმა გასაწირად გაიმეტა, სული დაუხუთა, ეიფორიაში ჩააგდო, მაგრამ წავკისის იმ ქუფრიანი ღამის წყვდიადში გადაძახებული ხერხეულიძის ხმა – თავს უშველე გიორგიო. წონასწორობას უნარჩუნებდა და იქ ირანშიც არ ასვენებდა, მისი ხმით სამშობლო ეძახდა და ელოდებოდა. სწორედ ხერხეულიძის გადამრჩენელმა ხმამ ჩაახედა იმ სიღრმეებში, რაც ირანში ხდებოდა, გახელილი თვალი უფრო აუხილა. რენტგენის შემცველობის უნარით შეიმოსა და უნდილაძეთა თუ სხვა იქ მოღვაწე ქართველთა გულის კედლები გამჭვირვალე გახადა, დალაგდა მის ცნობიერებაში ყველაფერი, ვინ ვინ იყო და ქვეყნის საპატრონოდ ვისი და რისი შნო ჰქონდა. ადამიანური ენერგია ვის რისთვის ან ვისთვის ჰქონდა გამეტებული, გამოისახა და გამოჩნდა პირადულში მეტის მდომნი იყვნენ თუ საზოგადოდ ქვეყნისათვის.

თვალსაჩინო ხდება ერთი გარემოებაც: სააკაძისაგან იმ დროს ირანელ ქართველთა საზეპურო საზოგადოების წრეებში ღრმა ურთიერთობები არა ჩანს გარდა დელიკატური, პოლიტიკური აუცილებლობისა, ისე, რამდენადაც ითხოვს და ესაჭიროება იმ მომენტებში არსებულ ვითარებასა და კონკრეტულ საქმეს, არც მეტი არც ნაკლები განსზაღვრული და ზომიერი. ამიტომ გ. სააკაძის სიახლოვე ხოსრო-მირზასთან სხვაა, სულისმიერ და აზრობრივ, ქვეყნის სასარგებლო ერთიანობას ნიშნავს. საიდან დაიწყო ათვლა მათი საერთო ენის გამონახვამ, გარდა იმისამ რომ ის

დედით წავკისელი გლეხის ქალი იყო, ამასაც უნდა გამოეღო მნიშვნელოვანი შედეგი ურთიერთობათა მიმართებაში, უნდილაძეთა ფონზე როგორ ისახებოდა მისი პორტრეტის კონტურები. რითი უნდა დაინტერესებულიყო უპირველესად სააკაძე ხოსრო-მირზათი? ალბათ, ერთ-ერთი ხანგრძლივი ფსიქოლოგიური დაკვირვებებით, განსჯით, საერთო აზრი სხვადასხვა საკითხების ირგვლივ არსებული თუ მოსალოდნელი მოვლენების მხრივ, დასკვნების გამოტანა, შეხედულება, განსაზღვრა და შეფასების სისწორე უნდილაძეთა და სხვა ირანში წარმატებულ ქართველთა საქმიანობის შესახებ, მათი აღმატებულება, შესაძლებლობები და ზრუნვის ხარისხის განსაზღვრებები საქართველოსთან მიმართებაში. აინტერესებდათ თუ არა სამშობლოს ყოფა და თუ აინტერესებდეთ რით ან სად ჩანდა მათგან ზრუნვის შედეგი.

ჩვენ რაზეც რეალურად შეგვიძლია რაიმე მოსაზრების თქმა, ალბათ, ერთ-ერთი ის არის, რომ ორივე – გ. სააკაძეც და ხოსრო-მირზაც საქართველოს ბედ-იღბალს გულის სიღრმის თვალებით უყურებენ. აწუხებთ, შფოთავენ და გამოსავალი გზების პოვნასაც ცდილობენ. მაშ საიდან უნდა ვიფიქროთ ის მოვლენა, რომ გ. სააკაძემ ღრმა სამეგობრო გულის მრწამსით დაკავშირება იქ მყოფ ქართველებთან ვერავისთან თუ არავისთან ვერ მოახერხა, მაგრამ აი, ხოსრო-მირზასთან კიდეც ისურვა და მოახერხა. მათ საერთო ენა გამონახეს, რით ან რაში აისახებოდა სააკაძისა და ხოსრო-მირზას საერთო ენის გამონახვა.

თვით ხოსრო-მირზა, დაუდ-ხანის შვილი, დევნილი იყო საქართველოდან. მიზეზი კი დაუდ-ხანის არასამართლიანი დამოკიდებულება იყო თავის ძმასთან სიმონ I-თან. მათ შორის ე.ი. ძმათა შორის შეტაკებაც მოხდა, იგი დამარცხდა. შემდეგ იძულებული გახდა ირანისათვის შეეფარებინა თავი, შვილთან – ხოსრო-მირზასთან და ცოლთან ერთად. დაუდ-ხანი ირანული ორიენტაციის მატარებელი იყო. ირანში ჩასულები, როგორც ისინი მოელოდნენ, არ იყვნენ კარგ პირობებში. მათთვის თავს არავინ იტკივებდა, მით უმეტეს მისი მამის – დაუდ-ხანის გამოც. იგი გაუწონასწორებელი ადამიანი იყო და ირანის მოსახლეობისა და იქ მყოფ ირანელ ქართველებს შორის უნდობლობის განცდას ტოვებდა. შაჰ-ისმაილსაც დროებით სჭირდებოდა იგი. იმ დროის საქართველოსა და ირანს შორის საურთიერთობო მიზნებისთვის სიმონ I მეტად საიმედოდ მიაჩნდათ, გამომდინარე ოსმალეთთან ირანის დაპირისპირების საფუძველზე.

ასეთი ვითარებიდან გამომდინარე ხოსრო-მირზა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა და მისი ოჯახი. ე.ი. თავისი მამის ამბიციური პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოდან დევნილი შეიქმნა ხოსრო-მირზა, მხოლოდ მსუბუქ ფორმებში სააკაძესთან შედარებით. ე.ი. მათი საერთო ენის გამონახვის პირველი საფუძვლები ორივეს დევნილობა იყო, მაგრამ ამ დევნილობაში მათ შორის დიდი სხვაობანიც, კერძოდ, სააკაძე „ტაშისკარის ომის“ ორგანიზატორი, ქართველი ერის წინაშე ამაგდადებული და მეტად გამორჩეული, შემდეგ მოშურნეობის ნიადაგზე ქვეყნიდან გაძევებული.

ხოსრო-მირზა დაუდ-ხანის შვილი იგი ძმაზე სიმონ I-მეფეზე – წაკიდებული, ქართლის ტახტის მაძიებელი და შემდეგ თავისივე ამბიციებით დამდგარი ირანის გზაზე.

თვით ხოსრო-მირზას მამას დაუდ-ხანსაც საქართველოში ჰყავდა მომხრეები, და არც თუ მცირე ჯგუფი, მაგრამ ქართული ეროვნული სამართლიანობა სიმონ I-მეფის გვერდით იდგა.

ამ ორ პიროვნებას – სააკაძესა და ხოსრო-მირზას შორის საერთო ენის გამონახვის საფუძველი, ვფიქრობ, გასაგებია. მათ ერთმანეთის ტკივილი ესმოდათ, შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთიც სტკიოდათ. ძირით-ძირობამდის გაშიფრული ექნებოდათ საქართველოში მიმდინარე მოვლენები, შედარებას მოახდენდნენ ირანში განვითარებულ მოვლენებზეც. ეს იმ ვითარებებში, როცა უკვე შაჰი საქართველოში ლაშქრობებს ახდენდა. მართალია, ხოსრო-მირზას მამა – დაუდ-ხანი საქართველოსათვის არასასურველი პირი იყო, მაგრამ ბიძამისი – სიმონ I ხომ იყო დიდი ღირსებებით სავსე და ხოსრო-მირზასთვის სწორედ სიმონ I გახდებოდა მისაბაძი მაგალითი. ვინაიდან მათში ერთი გენეტიკური სისხლიც ჩქეფდა. და თუ ისტორიული თვალებით გადავხედავთ მათ, სიმონ I-ისა და ხოსრო-მირზას გზებს, დავინახავთ, რომ ხოსრო-მირზა ბიძას უფრო ჰგავს ვიდრე, მამას, რათქმაუნდა, თავიანთი ნაღვაწ-ნაშენით, შედარებითობის მომენტით. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვინაიდან ხოსრო-მირზა სააკაძისგან იყო ირანში დაკვალიანებული, მისთვის როგორც იდეოლოგი, ქართული იდეების გამტარებელი, შეეცდებოდა ხოსრო-მირზაში სწორი სამართლიანი პატრიოტული მარცვლების გაღვივებას, რის საშუალებას აძლევდა ის რომ თვითონაც სიმონ I მეფის აღზრდილი იყო.

შაჰ-აბასის წინადადებაზე, თუ ვის შეიძლებოდა დაეკავებინა ისპაჰანის ტარუღის პოსტი, სააკაძის მიერ ღირსეულად წარდგენილი ხოსრო-მირზა ამ პოსტზე, ღირსეული ერთგულების შემსრულე გახდებოდა ჯერ შაჰისათვის, მერე სააკაძისათვის. ფაქტიურად ორივე ერთნაირ მდგომარეობაში არიან, მოჩვენებითი ერთგულება უნდა გამოხატონ შაჰთან, მეორეს მხრივ კი თავიანთ ქვეყანაზე იზრუნონ. რადგან შაჰს სააკაძემ ხოსრო-მირზა წარუდგინა ისპაჰანის მმართველად (ტარუღა), ასეთი პოზიციით წინასწარ მოიმზადა მყარი ნიადაგი, ურთიერთ-თანამოაზრეობით საქართველოს ბედზე ეზრუნათ, ირანში საიმედო კაცი ჰყოლოდა და მისაგან დავალებულიც, ე.ი. ხოსრო-მირზა თავისი შესაძლებლობების საფუძველზე დავალებულიც შეიქნა სააკაძის მიმართ. მათი ურთიერთობების საქმით დატვირთულ შედეგებს ჩვენ ბევრჯერ შევეხებით.

საკითხავია, მარტყოფის წინარე მოვლენებში, რაც ირანშივე მზადდებოდა, იქნებოდა ცნობილი ხოსრო-მირზასათვის ეს მოვლენა. თუ არა მაშ რისთვის ჭირდებოდა სააკაძეს ნიადაგების მომზადება? ასე ვთქვათ პოზიციების სიმტკიცე, თანადგომა, გაზიარება ყველა საჭირ-ბოროტო მოვლენისა თუ არა მომავალი აჯანყებისათვის მზადება? სავარაუდოა რომ ხოსრო-მირზას მარტყოფის აჯანყების ამბავის შესახებ ყველა ნიუანსი უნდა სცოდნოდა.

მარტყოფის ომის შინაარსი და მნიშვნელობა ქართველი ერისათვის მეტად დამაფიქრებელი და ამ მხრივ მრავალი კუთხით ანგარიშგასაწევია, გამომდინარე იქიდან რომ საქართველოდან გაძევებული კაცის მიერ იქნა ორგანიზებული.

ამ გაძევებულ ადამიანს, გ. სააკაძეს, ორივე მხრიდან მოთვალთვალე და მოყურადე მუდამ ჩასაფრებული ჰყავდა.

მისი სამტრო მხარისაგან, ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თვალთა ხედვა, მერყევ მდგომარეობაში იქნებოდა დარჩენილი.

მარტყოფის ომის ძირითადი განმსაზღვრელი ფსიქოლო-გიური მდგომარეობა იქნებოდა, რის მოპოვებასა და შენარჩუნებას დიდი ენერგია დასჭირდებოდა, რაც ზომიერ ტაქტიკას, მოთმინებას და ნებისყოფას საჭიროებდა. ომის გეგმა საომარი სამზადისის, ატმოსფეროს გაკრისტალებას ითხოვდა უპირველესად ერთსულოვნების განმტკიცებისათვის.

მართალია, სააკაძეს საქართველოში ჰყავდა გულითა და სულით თანამზრახველნი, მაგრამ მისი მოძულე მხარის ავი საქმიანობა მაინც გავლენის მქონე გახდებოდა ხალხის შეკავშირებასიმტკიცეზე.

ასეთ მოვლენებში ირკვეოდა შავისა და თეთრის სხვაობა, აბსტრაგირება მთავარი საკითხის ნათელმოსილების ირგვლივ. მხარეთა აზრთა შეჯახება გაბუნდოვანების ამინდს ქმნიდა, წინა პლანზე ჩნდებოდა სკეპტიკოსთა დიდი ბირთვი, რომელნიც ცალკე მხარეობას განაპირობებდა.

სააკაძის გარშემო მყოფთა ზნეობრივ ეროვნული თვალთახედვა იმდენად მტკიცე იყო, რომ საზოგადო მიმართებებში გულს გული გრძნობდა და ღონეს ღონე. ნდობა იყო პირველ პლანზე წამოსაწევი, რათა ქართველ მოსახლეობას ერთმანეთში გაენაწილებინა ლუკმა პურივით ჭირი და ლხენა, რაც სააკაძის ამაღლებულ მოთმენასა და სულგრძელობას ეყრდნობოდა. სწორედაც ამის გამოა, მარტყოფის ომი ჯერ ფსიქოლოგიური ძალების მოკრებით დაიწყო, ხანგრძლივი პროცესები გაიარა, ჩამოყალიბდა, შემოიკრიბა ეროვნული ძალები და მყარ პოზიციაზე მდგომი, გადამწყვეტი დარტყმისთვის მოემზადა. მარტყოფის ომის სიდიადე, უპირველეს ყოვლისა, ცხადად დანახულია, მერე ეწყება ქართველ კაცს ცნობისმოყვარეობა, რა ლაბირინთები გაიარა ამ ომმა, ვისი და რა ძალის ფსიქოლოგია უძღვოდა წინ. ქართული ბუნებისათვის ომის სიდიადე გაცნობიერებულია, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ გვტოვებს, თუ როგორ გაართვეს თავი ომის ორგანიზატორებმა შაჰის ყოვლის დასამორჩილებელ ბუნებას. მაგრამ მათ ფსიქოლოგიაში დამატებით ნათდება „ტაშისკარის ომის“ გამარჯვების ავტორთან იმედის განცდა, შემდეგ ყოველი ბნელი, აზრ-მოუვალი კუნჭული ნათლით იმოსება.

ჩვენი დიდად სათაყვანებელი, მეფეების მიერ, თადარიგდაჭერილი და მოგებული ომები, უმეტესად, პირველ რიგში, ინფორმაციაზე იყო დაყრდნობილი, შემდეგ მოდიოდა ტაქტიკა და ბოლოს მიზან-გეგმის სწორი განსაზღვრით, რაც სტრატეგიულ თადარიგიანობით შეიმოსებოდა, და ბოლოს ომებში გამარჯვებაც გარდაუვალი ხდებოდა.

ერის დიდებამ, დავით აღმაშენებელმა, თავისი მაღალი ზნეობრივი მოთმინებით ტკივილები დაუამა ქვეყანას. იგი მოთმინების ხარჯზე 10 წლის მანძილზე ხარკს უხდიდა თურქ-სელჩუკებს, ელოდებოდა დროის მომწიფებას, ტაქტიკური გზით ჯერ ხარკი შეეწყვიტა მოძალადისათვის, და შემდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის მომზადებულიყო. ეძებდა დროის ისეთი გარემოს შექმნი-

სათვის, რომ მთელი მობილიზებული ქართული ენერგია ერთი მთავარი მიზნისაკენ წარემართა, როგორიც იყო „დიდგორის ომი“.

მარტყოფის მოვლენებში ნიშანდობლივია განისაზღვროს უმთავრესი ის, რომ ფარული ქვენა დინებით იგეგმებოდა ორივე საპირისპირო მხარეების ცალ-ცალკე თავ-თავიანთი საბრძოლო მიზნები და გეგმები.

სააკაძე და ზ. ერისთავი როდესაც ისინი შაჰმა გაიწვია ქართლიდან ირანში საიდუმლო თათბირი გამართეს ყორჩი-ხა-ხანის თანდასწრებით, აქედან გამომდინარე მათ კარგად ეუწყათ, თუ რა ეწადა შაჰ-აბასს საქართველოსათვის. ზ. ერისთავი პირდაპირ შემსრულე იყო შაჰის გეგმებისა, სააკაძეც მოჩვენებითი ერთგულებით შაჰთან იგივე აზრს იზიარებს. საქართველოში 30 ათასიანი ირანული ჯარის შემოსვლისას მდგომარეობა იცვლება. ზ. ერისთავი მოულოდნელად იგებს სააკაძის მიზნებსა და გეგმებს ქართლის გადასარჩენად. ირანში შაჰს იმედი აქვს თავისი ჯარების წარმატებული მოქმედებისა, სააკაძის იდეები და შაჰის გეგმები საქართველოში საპირისპირო მხარეზე დგებიან, ქართული ქედმოუხრელი სული ძალებს იკრებს, 30 ათასიანი მტრის გასანადგურებლად. ყორჩიხა-ხანიც იმ ეტაპზე დამშვიდებულია თავიანთი გეგმების შესრულების წარმატებაში, სანამ ეჭვი გაუჩნდება უკვე თავის მიწაზე მყოფი სააკაძის საქმიანობაში. კონსპირაციულად ფხიანდებოდა ქართული ხმალ-შუბის პირები, ახლდებოდნენ ომებში ნატრიალები მორყეული სატევრები, ოფლშეუშრობლად მიმოქროდნენ ავისმაუწყებელნი ქართველი მხედრები ჯარის შესაგროვებლად.

მართალია, ათი ათასობით ირანულმა ჯარმა ქართლში დაიბანაკა, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად თავიანთი უპირატესი შეიარაღებისა, დიდი მანძილი გამოიარეს ირანიდან საქართველომდის, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა თვით მანძილს ქვეყნიდან ქვეყნამდის, იმ მხრივ, რომ საჭირო სათადარიგო გადაწყვეტილებანი შაჰ-აბასთან შეთანხმებას ითხოვდა, რომელიც ფაიქთა საშუალებებით ხორციელდებოდა. თუ რა დროში უნდა დაეფარა გზა საჭირო აზრის გასატარებლად, ეს მომენტიც საიმედოდ და უკეთ სათადარიგოდ ქართველთა მხარეზე იხრებოდა. ფარული თვალი და ფარული ყური თავის წილით აქტიურობდნენ, ქართული სამართლიანი სული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ითხოვდა, არავისზე ბატონობას არ აცხადებდა, ამის წადილი თავისი არსებობიდან არც ჰქონია, მხოლოდ ერთადერთი თავის მეს, ქართულ მიწას, არ მოწყვეტოდა ფესვებიდან.

საქართველოში ირანული 30 ათასიანი ჯარის შემოსვლით, ვითომ მაყრიონის სტატუსით, აბნევდა და გაორების ეიფორიაში ახვევდა ქართულ მოსახლეობას. რაღაც ეტაპზე ვერ გარკვევის და ავად მოსისინე ენებით გაჟღენთილ ბაცილას სარბიელზე გამოსვლის დრო დასდგომოდა, და დროებით გაურკვევლობის სინდრომს ბადებდა.

ქართლიდან შაჰის მიერ ლუარსაბ II წაყვანილია, „რახან მისაგან წაყვანილია მისგანვე უნდა მოინახოს სხვა კანდიდატურა“, რომ აღმოსავლეთი საქართველო ისევ მის მორჩილებაში დარჩეს, ამიტომ შერჩეული არის მეფე სიმონ II და მზადყოფნაში დგას ირანული ჯარი, ქართლის მოსახლეობაც გრძნობს, მეფე აღარა ჰყავს ქართლს, ამიტომ მეფეს საჭიროებს. მაგრამ ამოდენა რიცხვი ყიზილბაშებისა? განა სჭირდებოდა საქორწინო სუფრას ან ქართულ ადათ-წესებს? აქ დაიბადებოდა ეჭვი ქართულ ფსიქოლოგიაში, ეჭვი სამართლიანი და საფუძვლიანი, ახსოვთ ქართველებს შაჰის წინადადებები, უვნებლად გავა ირანული ჯარი კახეთიდანო, მოხდა ასე? აქვე მინდა აღვნიშნო, შაჰ-აბასისაგან აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად დაპყრობა-დამორჩილების შემთხვევაში, თავადები ე.ი. დიდებულები დარჩებოდნენ თავიანთს უფლება-მოსილებაში, მაგრამ ქვე-შევრდომებად შაჰისაგან დანიშნული ირანელი პირები იქნებოდნენ. ასეთი მდგომარეობა თავადებში ეჭვს ბადებდა, ისინიც მშვენივრად იცნობდნენ შაჰის ფსიქოლოგიას. საბედნიეროდ ასეთმა ეჭვებმა, გამომდინარე შაჰის მოქმედებებიდან, დადებითი იმიჯი შექმნა მარტყოფის ომში. შაჰისგან დაგეგმილი მიზნები, მტრისაგან სწრაფ დაჩქარებით პროცესებს ითხოვდა. მათი აზრით რატომ უნდა მდგარიყვნენ უფუნქციოდ ყიზილბაშური არმიები ქართულ მიწაზე, მით უმეტეს დაგეშილი ირანელი ჯარისკაცები, გონებაში მარტო ავლა-დიდების ხელში ჩაგდებაზე რომ ოცნებობდნენ.

გ. სააკაძეს ესმის ქართული მოსახლეობის მოთმინებითი დრტვინვა. ძალდატანებით ვერც ვერაფერს დააჩქარებს და ვერც მოვლენებს გაუსწრებს წინ. სრულყოფილი მდგომარეობა წინაპირობა უნდა შეიქმნას გადამწყვეტი მოქმედებისათვის, რომ წყალი არსაიდან გაიპაროს, საომარი ენერგია არ დასუსტდეს, ძალ-ღონე მოკრებილნი მედგრად დახვდნენ მტერს და მალევე და-

ამთავრონ მათი მტრობა. ქართლის მოსახლეობა ჩაკვირვებული იყო კახეთის მოსახლეობის ვარამს, ესმოდათ შაჰისაგან მიყენებული დამდუღრებული ყოფა. ქართლის მოსახლეობის, თავიანთ თანამემამულეთა, კახეთის მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი ტკივილი გაცნობიერებული ექნებოდათ, რის საფუძველსაც მათი ტრადიციული ნათესაური, რძალ-სიძური, მოყვრული კავშირები აძლევდათ. აქედან გამომდინარე, მათი მდგომარეობის შემხედვარენი, შეშინებულნი, შეფიქრიანებულნი, რა უბედურება დაატყდებოდათ შაჰის ჯარებისგან იმ ეტაპებზე დროებით გაურკვეველ მოვლენებში გარინდებულიყვნენ. სააკაძე მათ აუწყებდათ, ირანული ჯარების სიმრავლე ნუ გაფიქრებთ, „ეს საქმე მე დამადევითო“. ამ სიტყვებიდან გაშიფრული აზრი დასტურია მარტყოფული აჯანყების მომწიფებისა და სიახლოვისა. რაც მისი შინაარსი ქვეცნობიერად მიგვანიშნებს იმას რომ სააკაძეს პაატა უკვე გამოტირებული ჰყავს. ამდენად მარტყოფის ომის შინაარსი პირველ-ყოვლისა, ზნეობრივი, ტოლერანტობის გამოვლენის, შემწყნარებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული უშეცდომო სვლაა გამარჯვებამდის.

პეტრე ხიზამბარელის ნაამბობიდან

1614 წელს, როდესაც შაჰ-აბასი კახეთის საზღვრებს მოადგა, მთელი ორი თვის მანძილზე, იგი საომარ მოქმედებებს არ აწარმოებდა, ის მოუწოდებდა თავის სარდლებსა და მეომრებს, ზიანი არ მიეყენებინათ მოსახლეობისათვის, მეორე მხრივ კი მოქმედებდა ფარულად.

თავისი მოენეებისაგან მიღებული ინფორმაციით, მან იცოდა, კახეთის მხარეში, თითოეულ სოფელში რამდენი მჭედელი და მათთან ერთად რამდენი შეგირდი ემსახურებოდა საომარი იარაღის დამზადებას.

თავი მოუყრია ამ მჭედლებისათვის, ვითომ რაღაც მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. ასაკოვანი მჭედლები დაუხოცავთ, მათი შეგირდები ირანში გაუგზავნია. რადგან ომებში ხმალ-შუბიც იმტვრეოდა, შაჰ-აბასს ასეთი ვერაგი ხერხით, წინასწარ თადარიგი დაუჭერია, რომ ამ მჭედლებს საომარი იარაღის ხელახალი გაჭედვა-განახლება ვეღარ შესძლებოდა.

ირანში მყოფ გ. სააკაძეს სცოდნია ეს მოვლენები, და როცა 1620 წელს შაჰისაგან, ქართლში, გამგებლად დანიშნული იყო სვიმონ II და მის თანაშემწედ კი გ. სააკაძე დანიშნა. იმ ხანებში, 1620 წლიდან 1625 წლამდე, ქართლის ყველა სოფელში და ყველა დაბაში, მჭედლები მხოლოდ სამეურნეო სამუშაო იარაღებს ამზადებდენო.

ეს იყო გ. სააკაძის დიპლომატიური ხერხი შაჰ-აბასის ყურადღების მოსადუნებლად, ვითომ, რადგან ქართლში საომარი იარაღის დამზადება არა ხდება, არც აჯანყების რაიმე საშიშროებაა მოსალოდნელი.

მკაცრი რეალობა კი სხვა იყო. გ. სააკაძეს თავის მოძულე მხარესთან შერიგების გზა მოძებნილი ჰქონდა. რაც 1620 წელს, მის მიმართ დიდებულთაგან საფიცრის წიგნების მირთმევით აისახა. მაგრამ გ. სააკაძეს მათდამი სრული ნდობა მაინც არ ჰქონია. სინამდვილეში პეტრე ხიზამბარელის ნაამბობით, ყველა მოულოდნელი მოვლენისაგან თავის დაზღვევის მიზნით, მარტყოფის აჯანყებისათვის საჭირო საომარი იარაღი იმერეთის მეფის გიორგი III-ისა და გ. სააკაძის ურთიერთშეთანხმებით, დასავლეთ საქართველოს მიუვალ ადგილ მღვიმეებში დამზადდაო ფარულად.

როცა ნოსტეში ავდიოდი და ხატვით გულს ვიჯერებდი, მივაშურებდი პეტრე პაპას, რომელიც სოფლის მიდამოებში ცხვარს აძოვებდა. მე ბევრჯერ მქონდა მისი მონაყოლი მოსმენილი, თითქმის ყველა ზეპირად ვიცოდი და რადგან იმ ხანებში 22-23 წლის ვიყავი, მის ცხენზე ჯირითი უფრო მეხალისებოდა. თუ ცხენი უნაგირის გარეშე იყო, თვითონ დაადგამდა, თასმებს მაგრად მოქაჩავდა, აღვირსაც გაასწორებდა და მე გადმომცემდა. ელვისებურად მოვევლებოდი უნაგირზე, უზანგებსაც კარგად მოვირგებდი და აბა, ჰერი, დავქროდი ნოსტეს მიდამოებში. ჩემი თავი გ. სააკაძის თანამებრძოლი მეგონა. ხიზამბარელმა იცოდა ჩემი ჭაბუკური გატაცება, სანამ ცხენზე ჯირითით გულს არ ვიჯერებდი, არ ვიცოდი მისთვის ხალისიანი მოსმენა.

ხიზამბარელი ამბობდა

მე გიორგი სააკაძეზე მოგონებები ბევრისთვის მომიყოლია. ზოგი ბეჯითად მისმენდა და იმახსოვრებდა, ზოგი არა. შენ ბეჯითად ცხენზე ჯირითის შემდეგ მისმენ, მაგრამ მაინც არ

იწერ. დაწერე, შვილო, დაწერე – გამოგადგება. ი, როგორ დაგიხატია თავღორანთი და სიდამონიძიანთ ძველი სახლები. ე, მაგ ქაღალდების მეორე მხარეს ხო ცარიელია, იმაზე დაწერე.

ვიცოდი, დღეს ნოსტეში რომ ამოხვიდოდი. ი ცხენი ხო აჯირითე, ახლა პატარა პური შევჭამოთ და კარგი მოგონებები კიდევ მაქვსო.

აი, შენთვინაცა წამოვიღეო, მაწონია კოჭობითა, ჩემმა დედაკაცმა გამომატანა, ეგ შენი პატარა ძმობილი ნიკოი როა, მთელი დღე ნოსტეშია, პური არ მოშივდებოდაო? აი, ეგ პური თვითონ, მრგვლად შემოჭრა, გული ამოიღო, მის მაგივრად კარაქია და ზემოდან პურის ყუა აქვს დაფარებულიო. აი, ლიტრა, ეს წყარო საიდანაც გამოდის, ხო იცი, ფეხმარდი ბიჭი ხარ, აირბინე და ცივი წყალი ჩამოიტანეო. მერე დავსხდეთ, სააკაძის კოშკის ზემოთ ვაკეზე, ჩრდილში, უკვე მოშუადღევდა კიდევაცა და წავიხემსოთო.

როცა ხევის სიღრმიდან ცივ წყალს ჩამოვიტანდი, შემდეგ გავემართებოდით კოშკის ზემოთ, სადაც ვაკე და მყუდრო ჩრდილები იყო. პეტრე პაპა ჯერ ყურადღებით დაათვალიერებდა ჩემს ჩანახატებს. შექებას ზომიერად იტყოდა, ბევრი გიმუშავიაო, შემდეგ საყვედურ-ნარევი ტონით განაგრძობდა, შენ ხომ შემპირდი, თბილისში რომ ჩავალ, რაც ჩემი მოგონებანი ამ ჩანახტის ფურცლების მეორე მხარეს რომაა დაწერილი, სულ სქელ რვეულში გადავიტანო?

ცოტას ვეჭვობ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, შენს დადებულ პირობას შეასრულებო, ჯერ ახალგაზრდა, დაუღვინებელი ჯეელი ხარ, მოვა დრო, ღრმად და შინაარსიანად გააანალიზებ, ჩემს მიერ მონაყოლს და ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც. გაგახსენდები, ვიცი, ტკბილად მომიგონებ, აი, მაშინ მიხვდები თუ როგორ გამოგადგება, ჩემს მიერ მონაყოლი მოგონებები გიორგი სააკაძეზეო.

ახლა კი მეორე საქმეს მივხედოთ და კარგი ხასიათი დავუყენოთ ჩვენს თავსაო.

პეტრე ხიზამბარელი გახსნიდა თავის აბგას, ერთ მაწონით სავსე კოჭობს ჩემსკენ გადმოდგამდა, მეორეს თავისთან დაიდგამდა, მერე ამოიღებდა ღვინით სავსე ჩარექიან ბოთლს, პატარა ყანწს მოიმარჯვებდა, ღვინით აავსებდა, რაღაც მძიმედ დაფიქრდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ სითბო ჩაუდგებოდა ზეცისაკენ აპყრობილ თვალებში და წარმოსთქვამდა: ღმერთო მაღალო, აცხოვნე გიორგი სააკაძის სული, რომელიც თავის სამშობლოს სანთლად და მსხვერპლად დაუნთოვო!

2800 მარტყოფელი შაჰისევანი

მარტყოფის ომში 27 ათასზე მეტი ირანელი ჯარისკაცი განადგურდა. მხოლოდ 2800-მდე კაცი გადარჩენილა ცოცხალი.

საკითხავია, რა ბედი ეწიათ მათ, ან ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ისინი, ჩააღწიეს ირანში თუ არა?

მარტყოფის ომის დასრულებიდან სულ მალე ზ. ერისთავმა და გიორგი სააკაძემ ხორნაბუჯში გამაგრებული ფეიქარ-ხანისა და ირანული ჯარის ნაწილების განადგურება განიზრახეს. რომც გადაეწყვიტათ ამ გადარჩენილებს, გზაც იოლად გაეგნოთ ხორნაბუჯამდე და შეერთებოდნენ ფეიქარ-ხანის ჯარს, მაშინ ხომ მიემატებოდნენ ეს გაქცეულები იქ გამაგრებულ ირანელებს და ასეთ შემთხვევაში გულმოცემული ფეიქარ-ხანი თავქუდმოგლე-ჯილი არ დატოვებდა გამაგრებულ პოზიციას და ყარაბაღში არ გაიქცეოდა.

მეორე მხრივ, ვერც ყურის ძირში თბილისის ციხეში მისვლას გაბედავდნენ.

მესამე, საფიქრებელია, ისევ ირანისკენ აეღოთ გეზი, მაგრამ დამარცხებულები, რა ხალისით ან რა კარგის მაუწყებლად უნდა ხლებოდნენ „ირანის ლომს“.

ისტორიული წყაროებით მათი შემდგომი თავგადასავალი ცნობილი არ არის.

ვინაიდან გიორგი სააკაძეს აჯანყების გეგმა კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი ჰქონდა, იმასაც გაითვალისწინებდა, მტრისთვის გასაქცევი გზები ჩაეკეტა და საშუალება არ მიეცა, გადარჩენილები რევანშის ასაღებად წამოსულებს შეჰმატებოდნენ. გიორგის ისიც გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი აღმოსავლეთ საქართველო გაეთავისუფლებინა ყიზილბაშებისგან, ზედიზედ აიღო არა მხოლოდ საქართველოს ციხეები, ყარაბაღშიც მუსრი გაავლო მტერს.

აქედან გამომდინარე, მარტყოფში გადარჩენილ ირანული ჯარის 2800-ზე მეტ მეომარს ცოცხლებს გაუშვებდა? თუ გაუშვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ესენი ირანში მცხოვრები ქართული წარმოშობის გამაჰმადიანებული მეომრები, „შაჰისევანები“ ანუ შაჰის მეგობრები უნდა ყო-

ფილიყვნენ. საფიქრებელია ისიც, რომ აჯანყების მზადებისას ამ ქართველ მეომრებთან ან მათ ერთ-ერთ მეთაურთან ფარული მოლაპარაკება ჰქონოდა, რომ ერთად ემოქმედათ სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომ ისინი ბრძოლაში არ ჩართულიყვნენ, რადგან ქართველ მეომრებსაც გაუჭირდებოდათ მათზე ხელის აღმართვა.

სააკაძემ კარგად იცის საქართველოს მოსახლეობის სიმცირე. აქედან გამომდინარე, იცის თითოეული მეომრის მნიშვნელობა, სიცოცხლის ფასიც. არ მოიპოვება ზუსტი ცნობა, რამდენი ქართველი მებრძოლი დაეცა მარტყოფის ბრძოლაში, ეტყობა, იმდენად მცირე, რომ სათქმელადაც არ მიიჩნიეს.

იმავე 1625 წელს, მარაბდის ბრძოლაში 20 ათასამდე ქართველი მეომარი მონაწილეობდა (შესაძლებელია, მარტყოფში გადარჩენილი ის 2 800 ქართული წარმოშობის გასპარსელებული მეომარიც მიმატებოდა ქართულ რიგებს.

პეტრე ხიზამბარელის ნაამბობიდან

მარტყოფის აჯანყება რომ დამთავრებულა, ომის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ბაადურ ციციშვილს დაევალა, დაღუპულ, როგორც ქართველ, ისე ირანელ მეომართა სათვალავის შედგენა (აღრიცხვა).

(ომში დაღუპულ ქართველი მეომრების რაოდენობა, მათი სიმცირის გამო, უცნობია).

შაჰ-აბასის 30 ათასი მეომრიდან 27 ათასმა მარტყოფის ველზე დააღამა სიცოცხლე.

ბრძოლების მიმდინარეობისას, ან ომის დასასრულს, საგანგებოდ შექმნილი ბრიგადები პირველ რიგში, მძიმე და საშუალოდ მძიმე დაჭრილ ქართველ მეომრებს აღმოუჩენდნენ სასწრაფო დახმარებას, სადაც თავდაუზოგავ მუშაობას ეწეოდნენ იმ დროის ხალხური მკურნალობის სპეციალისტები.

(ერთ-ერთი სამკურნალო მეთოდი ასეთი ყოფილა, სხეულის დაჭრილ ადგილას წითლად გავარვარებული ლითონით (დაშაშხავდნენ) დადაღავდნენ, ინფექციის შეჭრისაგან დაცვის მიზნით, შემდეგ ანწლის არყით ახდენდნენ ასეთი ადგილების დამუშავებას საბოლოო განკურნებამდის.

საომარი ვითარებების დასასრულს ომში მონაწილე, იმ მხარის, ხეობის საერისთავოს, წარმომადგენლების მიერ, დავალებული პრიგადებისაგან ხდებოდა, პირველ რიგში დაღუპული ქართველი მეომრების ამოცნობა, მათი რაოდენობრივი აღრიცხვა, შემდეგ შაბიამნითა და მარილით დამუშავება, შორი მანძილისა და დროის გამო, გვამებს მწერი რომ არ დახვეოდა, და ამის მერე, ურმების საშუალებით, მიასვენებდნენ იმ მხარეში, საიდანაც იყვნენ წარმოსულები და საგვარეულო სასაფლაოებზე კრძალავდნენ.

რაც შეეხება, ირანელ მთავარ სარდლებს, რომელნიც გ. სააკაძის ხუთ კაციანი ჯგუფისაგან დაიხოცნენ, გადმოცემის მიხედვით, მათი მდგომარეობა ასეთი ყოფილა: ყორჩიხა-ხანის, მისი შვილი იმამვერდი-ბედის, შირვანის ბეგლარ-ბეგი იუსუფ-ხანის, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგის, მოჰამედ-ყული ხან-ზიად-ოღლის გვამები, საფასურის გადახდის გზით, ირანში წაუსვენებიათ.

რამოდენიმე სარდლის მოკვეთილი თავი, მარილში დამუშავებული, ირანულ დროშებთან ერთად, გ. სააკაძის ინიციატივით ოსმალეთის სულთნისათვის გაუგზავნიათ, იმის ნიშნად, რომ შაჰ-აბასის უძლეველი ჯარების დამარცხებაც შეიძლება, თუ ურთიერთთანადგომას მოვახერხებთ.

რაც შეეხება მარტყოფის ომში ათასობით დაღუპულ ირანელ მეომრებს, იმ ეტაპზე ქართლის გამგებლობიდან, ასეთი გამარჯვებით უკვე იგნორირებული სიმონ II-ს შაჰ-აბასისაგან მიუღია წერილი, სადაც იტყობინებოდა, ომში დაღუპული ირანელი მეომრები, მაჰმადიანური წესების აღსრულებით, მიწისათვის მიებარებინათ. ასეთი საქმისათვის ქართულ მხარეს სიმონ II-სათვის დახმარებაც აღმოუჩენიათ, ეპიდემიისაგან დაზღვევის მიზნით.

ყორჩიხა-ხანმა და მისმა თანაშემწე სარდლებმა იცოდნენ, რომ ქართველები ქრისტიანულ დღესასწაულებზე ბრძოლებს არ იწყებდნენ, ამიტომ, ხარების დღეზე რომელიც შვიდ აპრილს აღინიშნებოდა, მათ არავითარი შიში არ ჰქონდათ იმისა, თუ ქართველები მათ ბანაკზე იერიშს მიიტანდნენ. როგორც კი თენება დაიწყო, გ. სააკაძის გეგმით, ქართველ მეომართა ჯგუფს დავალებული ჰქონდათ, ყიზილბაშთა კარვების მოპირდაპირე მხარეს მყოფი დასვენებული, უნაგირმოხსნილი ცხენთა რიგები ჩამოეშორებინათ ბრძოლის ველიდან და შორს მანძილზე გაერეკათ. ასეთი მანევრით, დიდი უპირატესობა ეძლეოდათ ცხენებზე ამხედრებულ ქართველ მეომრებს, ცხენებგარეშე დარჩენილ ირანელ მეომრებთან. ირანელთა ბანაკში მრავლად ყოფილა

ტვირთის მზიდავი ჯორ-აქლემები, რომელნიც, ისტორიული, საომარი სტრატეგიული მნიშვნელობით, ჯარის დაბანაკების დროს, ცალკე განკუთვნილ ადგილს იკავებდნენ.

ბაადურ ციციშვილის მითითებით, თავი მოუყრიათ მრავალ ათასობით ცხენებისათვის, რომელნიც კახეთის ველ-მინდვრებში ყოფილან გაფანტულნი და მათგან 90% უნაგირის გარეშე, შეუკაზმავი იყოვო. საგანგებო ჯგუფის თადარიგიანობით აღირიცხა ყველა ის იარაღი, რაც ირანელებისაგან მარტყოფის ომში იქნა გამოყენებული (მარტო უნაგირების, მარტყოფიდან თბილისში ჩამოსატანად 50 ურემი 10 დღის მანძილზე ეზიდებოდაო). აღივსნეს საშოვრითა ოქროთი, ვერცხლითა, თვალითა მარგალიტითა, მრავლისა უცხოური ნაქსოვითა, მრავლისა ხალიჩითა, და ფარდაგებითა, სანოვაგე ჭურჭლითა, დიბა-ატლასითა, ფორნებითა და საზიდარებითა, – აღნიშნავდა როსტომ მეფე.

მარტყოფის ველზე ყოფილან ისეთი დაჭრილი ირანელი მეომრები, რომელთა მკურნალობაც შეიძლებოდა. ასეთებს ცალკე განკუთვნილ ადგილას უყრიდნენ თავს, რომელთაც საქართველოში დარჩენის სურვილიც გამოუხატავთ.

მარტყოფის ველზე დახოცილი მტრის მეომრებიდან ზოგი ხმლის ან შუბის ისეთი ძლიერი დარტყმით და ძგერებით იყვნენ განადგურებულნი, რომ შეიმჩნეოდა განსხვავებულობა იმ ნიშნით, რომ ბრძოლის ველზე მალევე ჰქონიათ მოსწრაფებული სიცოცხლე და აღარ გმინავდნენ: – თავ-შუა გაპობილები, წელთ-შუა გაწყვეტილები, შუბით ნაძგერალნი, მიწაზედ დაჭედილები, თავი-ტანთ გაშორებულნი, სიცოცხლეწართმეულნი, უძრავნი, არა მკვნესარნი ქვადმოქცეულნი.

ასეთების უმეტესობა გ. სააკაძის ხელით იყოვო მოკლული.

შაჰ-აბასისა და ირანელი სარდლების გათვლა-გაანგარიშებით ყოველ მეორე მეომარზე ორი ცხენი ყოფილა გამოყოფილი, ეს იმიტომ, რომ ომებში ცხენებიც იხოცებოდნენ, და უცხენებოდ დარჩენილი მეომრები საომარ შემართებას კარგავდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად, სათადარიგო მეორე ცხენს იყენებდნენ. ამიტომ მარტყოფის ომში ირანელებს 45 ათასი ცხენი ჰყავდათო.

იყო მეორე ვარიანტიც. თუ ირანულ ჯარს, საქართველოში დიდხანს, თვეობით უხდებოდათ დარჩენა, მაშინ ცალკე, დამატებით დასახმარებლად იგზავნებოდა ირანიდან 10 ათასობით ცხენიო.

* * *

როს აჩრდილი გაიელვებს,
ველზე დიდი მოურავის,
მარტყოფი და ტაშისკარი
მის წინაშე ქედს კვლავ იხრის
და... დილამდე უსმენს მტკვარი
სააკაძის რაშის ჭიხვინს.

ვაჟა ეგრისელი

„იმ დღეს თავი ვინ დაზოგოს, ისიმც კაცი დაიწყევა,
რა გაჭირდეს, უკეთ შევძლი, ასრე მქონდა ომის ჩვევა!“

მარტყოფის ღამის ვარსკვლავებად მოჭედილი გამარჯვება, ისტორიის ღერძზე ლამაზად ბრუნავს, ყიზილბაშთა სიცოცხლის გულში ჩამხუტებელმა სიკვდილმა დააღამა და დაამთავრა „მარტყოფის ომი“. მარტყოფში ამოცისარტყელდა ბრწყინვალე გამარჯვება. ქართლში მოსალოდნელი, კახეთში გაღვივებული ცეცხლის დროება, მარტყოფის გამარჯვებამ ჩააქრო.

1614-1617 წლები ტყვე ქართველთაგან ტირილად გაწოლილია ირანის უნდო გზაზე, მათ თვალებში ამონაყულ ცრემლსა და გოდებას ყიზილბაშური ცინიზმი და გულგრილობა მიაცილებდა. მაგრამ ქართველებზე ზეციდან მუდამ მოდიოდა უფლის წყალობა, და მთვარის რკალში ანტონ მარტყოფელის მფარველი ძალით გალობდა. მარტყოფის ომში გ. სააკაძის ფილტვები ქურასავით ქშინავდა და საომარ ველზე ქარიშხლებს აყენებდა, სადაც ყიზილბაშნი შემოდგომის ფოთლებივით იფანტებოდნენ. წარმოუდგენელია შებრალება სიკვდილისაგან, მაგრამ ისეთი თავგანწირვა გამოშხუოდა სააკაძის გულიდან, რომ თვით სიკვდილი ელდანაკრავი, იხევდა უკან. ყიზილბაშური ყაშყაშისა და აღტყინებას გნიასად შერეულ ცხენთა ჭიხვინთან საქართველოს და-

სარბევად მოეშურებოდნენ, მარტყოფში კი მათივე დამარცხებულ განწირულ გოდებად შეიცვალა.

„მარტყოფის ომი“ უთეიმურაზოდ მოხდა, მას ამით არაფერი დაშავებია, არც მეფური რეპუტაცია შერყეულა, პირიქით – გ. სააკაძემ, ქართლ-კახეთის დიდებულებთან შეთანხმებით, ცენტრალური ხელისუფლებისადმი მართებული პოზიცია მორჩილებით გამოხატა და აცნობეს აღნიშნული მოვლენა გონიოში მყოფ თეიმურაზს. ვფიქრობ არ იქნებოდა ურიგო თუ ვიტყვით, მარტყოფის გამარჯვება უფრო ახარეს მას, როგორც შაჰისაგან მრავალჯერ იავარქმნილი კახეთის მიწაზე საომარი ფეხის დადგმას ბოლო რომ მოეღო „მარტყოფის ომით“. საფიქრებელია, რომ ასეც იქნებოდა, მარტყოფის ომის ორგანიზატო-რებისაგან თეიმურაზ I-ის მიმართ, უფრო რომ ახარეს, ისა ნიშანდობლივი და რა ხან ქართლი იმ შემთხვევაში უმეფოდ იყო დარჩენილი, ქართლ-კახეთის მეფედ მოიწვიეს უკვე იმედ-გადაწურული თეიმურაზი. გვახსენდება პოეტ არჩილის ნათქვამი: „უჩემოდ რათ იმღერეთა“. იქნებ ნაგულისხმევია „უჩემოდ ვინ ისარდლეთა“.

იქნებ „მარტყოფის ომის“ შემდეგაა საძიები ისეთი მოვლენებიდან გამომდინარე, როცა შაჰ-აბასი ოთხჯერ შეესია კახეთს, ვერ გამოიძებნა წინააღმდეგობა, დიდი ძალა ქართველთა მხრიდან, რომ ხელი აეღო შაჰს კახეთის ქართველთა იავარქმნაზე. მართალია, დაუმორჩილებელი იყო კახური სიმტკიცე, დავით ჯანდიერის, ნოდარ ჯორჯაძისა და თამაზ ვაჩნაძის აჯანყებებით, და მნიშვნელოვანი გამარჯვებით „წიწამურის ომის“ სახით, სადაც ქართველთა ჯარს თეიმურაზ I სარდლობდა. მაგრამ „მარტყოფის ომმა“ სულ სხვა სიმყარე და სიმტკიცე აჩვენა შაჰის ყიზილბაშურ ჯარს. ფაქტი კი ჯიუტია: მარტყოფის ომის შემდეგ შეწყდა კახეთზე შაჰ-აბასის ლაშქრობები.

ქვეცნობიერი განცდა, იქნებ სავარაუდოდ, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს, იქნებ ეს მოვლენა შეიქნა შემაწუხებელი, ზოგიერთ დიდებულთათვის, რომ მდაბიო გ. სააკაძემ როგორ შეძლო „მარტყოფის ომის“ გამარჯვებით დამთავრება, და ჩვენ მეფემ და დიდებულებმა, რატომ ვერ უნდა შევძლოთ მარაბდაში გამარჯვების მიღწევა.

მეფეთ წინა სამსახური, მე მინდოდის ყოველთვის დიდათ,
ამხანაგთა ვსათნოობდი, ვიყვი კრძალვით, მომარიდათ;

ქართველთა ჯარებზე მტერი ყოველთვის ბევრი იყო, ერთს მეორე ცვლიდა, არც ერთი საუკუნე არ დამთავრებულა ისე, რომ საქართველოს მრავალი შემოსევა არ მოეგერიებინოს. გ. სააკაძეს, უზენაესისაგან მოვლენილს, დანათლული ჰქონდა ყველა ის უტეხი თვისება, რაც თვით ქართულ სულში ფოლადივით იყო ნაწრთობი. ამავე დროს სამაგალითო პირობად ქცეული, ერის მეობის თვით შეცნობის, თავის თავში ჩახედვისათვის.

ჩვენი მტკიცე მოსულდგმულეობა ღმრთისაგან ბოძებულია, და მიწიერ ყოფაში, ყოველი დღე, წუთი, კი მოთმინების გრდემლზე იწრთობოდა. ქართველ ერს მუდმივად სჭირდება ეს მისია, რომ შორი გზის მგზავრობისათვის სიმტკიცემ არ უმტყუნოს.

ქართული სისხლი ყოველთვის, თავისი არსებობის გაგრძელებისათვის, ხარკს სწირავდა, რომელიც ნორმად და აუცილებელ ტრადიციად მომდინარეობდა, დედას შვილი, და უფრო კი შვილები, მსხვერპლად მიეყვანა სამშობლოს დასაცავად და გადასარჩენად. „მარტყოფის ომის“ შემდეგ გ. სააკაძის საქციელი – ქვეყნისათვის შვილის შეწირვის ფაქტი – ამაღლებულ ნიშანსვეტად იყო ქცეული, ქართველი ერის ცნობიერებაში, თუ რა ზვარაკის გაღება ესაჭიროებოდა მიწა-წყალს ქართველი ერის სანუგეშოდ, ასეთ აუცილებლობას, ცრემლებით სავსე ქართლის ცხოვრება ითხოვდა, და შესაწონობა კი სიცოცხლითა და სისხლით უნდა აწონილიყო. ასეთ ვითარებებში აუცილებელზე აუცილებელია ითქვას თეიმურაზ I-ის მდგომარეობაც მისაგან შვილების და დედის სიცოცხლის დაყენება ქვეყნისთვის სამსხვერპლო აუცილებლობაზე. მისი ასეთი მეფური ხარკის გაღებით, ქართველი მოსახლეობა ზნეობრივად ამაღლდა. მას აკლდა მეფური სიმტკიცე და შორს გახედვის უნარი, მაგრამ მას შეეძლო ქვეყნისათვის გაემეტებინა და ჩაენაცვლებინა ყველაზე სანუკვარი განძი შვილებისა და დედის სახით.

(გაგრძელება იქნება)

მანუჩარ მაჩაიძე

ერი და თანამედროვეობა

გაგრძელება (დასაწისი „ათინათის“ №30-ში)

არა ერთხელ თქმულა, რომ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ძალიან ჰგავს მის მდგომარეობას მეოცე საუკუნის დასაწყისში. ჩვენი ქვეყნის მცირე დროით დამოუკიდებლობის მოპოვებას, წინ უსწრებდა გააფთრებული ბრძოლა, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეთა შორის. დამოუკიდებლობის მომხრეები, ეროვნული მსოფლმხედველობის ნაციონალისტები იყვნენ. მოწინააღმდეგე – სხვადასხვა ყაიდის ინტერნაციონალისტ-კოსმოპოლიტი სოციალ-დემოკრატები, რომელთა შორის მიმდინარეობდა მძაფრი პოლემიკა.

დღევანდელ საზოგადოებაშიც ზუსტად ასეთი აზრთა სხვადასხვაობაა. შევეცდებით მოვახდინოთ შედარებები წარსულსა და დღევანდელობას შორის.

მოგეხსენებათ რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, საქართველოში მრავლად იყვნენ რუსეთის აგენტები, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან.

მოგვყავს ნაწყვეტი არჩილ ჯორჯაძის ნაშრომიდან “სამშობლო და მამულიშვილობა“ (ეროვნული პრობლემა საქართველოში) დაიბეჭდა 1911 წელს. მკითხველს ვთხოვ მიაქციოს ყურადღება მოსაზრებათა მსგავსებას მაშინდელ და დღევანდელ “ზოგიერთ წრეებს“ შორის.

1 “აღმოჩნდა, რომ ჟამთა მსვლელობაში, საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ყვაოდა, დღეს ოდნავღა მოსჩანს ქართული ეროვნების ნაშთი, რადგან ეროვნული შემეცნებაც მიმქრალა, ენაც ისპობა. ჩვენი ცხოვრების უკუღმართი მხარე, თუ გნებავთ, სწორედ აქ არის. აქ არის, განსაკუთრებით, იმიტომ, რომ ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში, სასაცილოდაც არ ჰყოფნით ამ საგნის შესახებ ლაპარაკი. როგორ, თქვენ გინდათ შეზღუდოთ სხვა ხალხის ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, გინდათ გარეკოთ არაქართველნი საქართველოდან? ეგ ხომ შოვინისტობაა, ეგ ხომ ნაციონალისტობაა! და სხვა ამგვარი. საქმე კი უბრალო გაუგებრობაშია. ჩვენ არც მისვლა-მოსვლის მოწინააღმდეგენი ვართ, არც უცხოელების გარეკვის აზრი გვაფრთოვანებს, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხი მოწესრიგებული უნდა იქნას, თანახმად სამართლიანობისა და კავკასიის ყველა ერთა ინტერესებისა“.

დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ და “რომანტიულ“ ინტერესს წარმოადგენს, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო საგანს, იმისთანა რამ საგანს, რომელიც ჰყოფს ქართველს ინტელიგენციას ორ დიდ ბანაკად, ორ მთავარ ბანაკად, მაშინ, როდესაც ამ საგანს ორ პროგრესულ პარტიას შორის ქიშპობა და მძულვარება კი არ უნდა გამოეწვია, არამედ შეთანხმებული და ერთი აზრით განმსჭვალული მოქმედება. დღეს ჩვენს საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფის კლასიფიკაციის საფუძვლად ეროვნული პრობლემა გახდა. იმას არავინ დაეძებს, თუ რა მსოფლმხედველობის პატრონი ხართ საზოგადოდ, რა თვალით უყურებ შრომის ორგანიზაციის საქმეს, რა გიყვართ ხელოვნებაში და რას ეძებთ, რას ესწრაფვით სიცოცხლეში – ყოველივე ეს დღეს საინტერესო არ არის. საინტერესოა ერთი რამ, სახელდობრ, ის, თუ როგორ გესმის ეროვნული პრობლემა, ავტონომისტი ხარ, თუ ავტონომიის მოწინააღმდეგე, ამაყად ატარებ ქართველი კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვი იმ უბედურების გამო, რომ განგებამ გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა, თუ აშკარადაა ნათელი ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი, დანარჩენი ყოველი ნათელით იფინება. თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ “ქართველობა“ არც გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ, შავრაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია,

შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩაში გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან, აი, ჩვენი მხსნელი, აი თავისუფლების მოციქული, და "შავრაზმელ-ნაციონალისტთა ამომგდებიო!"

მკითხველი დამეთანხმება. რომ იმ დროიდან, როდესაც ეს სტრიქონები იწერებოდა, დღემდე საქართველოში არაფერი შეცვლილა უკეთესობისაკენ. პირიქით კი ნაციონალისტს, შავრაზმელს, შოვინისტს, დაემატა ფაშისტი. იმ დროს ფაშიზმი რა იყო არ იცოდნენ.

მინდა ბოდიში მოვიხადო, რომ საკმაოდ დიდი ამონაწერები მომყავს სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებიდან, მაგრამ იმისათვის რომ კარგად გავერკვეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობაში, იმისათვის, რომ გავიგოთ, რა ასაზრდოებდათ წარსულში და ამჟამადაც ქართველ ანტიპატრიოტებს, ანტინაციონალისტებს და ვინ იყვნენ მათი იდეური მამები, კერპები, ეს ალბათ აუცილებელია. ამიტომ მე თავს უფლებას მივცემ და კვლავ გავაგრძელებ არჩილ ჯორჯაძის თხზულების გარჩევას.

2. ანტიპატრიოტიზმის ავი და კარგი. გ, ერვე.

"წარსულ წელს ევროპაში ორი სოციალისტური კონგრესი მოხდა. ერთი კონგრესი ნაციონალისტური – საფრანგეთში (ნანსი), მეორე – შტუტჰარტში, ინტერნაციონალური. ამ კონგრესებზე მთავარი განსახილველი საგანი ეროვნული პრობლემა იყო. სოციალისტ-ანარქისტ-სინდიკალისტთა წრეებში ეროვნულ პრინციპს მკაცრი მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ. გაჩნდნენ ანტიმილიტარისტები და ანტიპატრიოტები, რომელნიც ჯარში ეწევიან პროპაგანდას და იმას უქადაგებენ ჯარისკაცებს, რომ თუ ვინიცობაა სადმე ევროპაში ომი გამოცხადდა, ჯარისკაცებმა უარი უნდა სთქვან ომში გასვლაზე და აუჯანყდნენ იმ მთავრობას, რომელიც გზავნის მათ ომშიო. ამ მოძრაობის ბელადად და იდეოლოგად გამოვიდა გიუსტავ ერვე. აღსანიშნავია, რომ გ. ერვეს სასტიკ მოწინააღმდეგეებად ევროპის სოციალ-დემოკრატია გამოვიდა. სოციალ-დემოკრატია მხურვალედ გამოესარჩლა ეროვნულ პრინციპს და აშკარად გამოამჟღავნა თავისი პატრიოტული გრძნობანი.

გ, ერვეს მახვილიც სწორედ ამ პატრიოტ-სოციალისტების წინააღმდეგ არის მიმართული. თავის წიგნში "სოციალიზმი და პატრიოტიზმი" მოჰყავს საყურადღებო ცნობები ევროპის სოციალ-დემოკრატიის პოზიციების გამოსარკვევად ამ საგანში. 9 ივნისს 1903 წელს საფრანგეთის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც სხვათა შორის, ნათქვამია: "ინტერნაციონალიზმი არც სამშობლოს გაუქმებას მოასწავლებს, არც მის უარყოფას".

1891 წელს კ. ლიბკნეხტმა გერმანელების ნაციონალურ კონგრესზე სთქვა: "მე იმას მაყვედრებენ, რომ განვაცხადე, თუ გერმანიას სხვა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა, თუ მტრის მოსაგერიებლად ომი მოგვიხდა, ჩვენ დავიცავთ სამშობლოს-მეთქი."

ჟორესმა განაცხადა: "ნაცია და სამშობლო ჩემთვის იმგვარი ფაქტებია, რომელთაც სოციალისტური და ჰუმანური ღირებულება აქვს. განსაზღვრული ღირებულება ნაციას არც სოციალისტურ საზოგადოებაში ეკარგებაო."

ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, გ. ერვე თუ მისი მოწინააღმდეგენი? გ. ერვეს აზრების გაცნობა ხელს შეგვიწყობს, უფრო ღრმად ჩავუფიქრდეთ საგანს და გამოვააშკარაოთ ნამდვილი სახე ეროვნებისა. თავდაპირველად უნდა გვახსოვდეს, რომ გ. ერვე საუბედუროდ მარტოოდენ ევროპელთა საქმეებს ეხება, მას ევროპელთა სახელმწიფოები და ერნი ჰყავს მხედველობაში და ეს საკმარისი არ არის ეროვნული პრობლემის სავსებით გადაწყვეტისათვის. ევროპის შესახებ კი გ. ერვე ამნაირად სჯის: "იქ დღეს ყველგან დაახლოებით ერთნაირი პირობები დამყარდა. კაპიტალი მთელს ევროპას მოეფინა და მთელ ევროპაში მსგავსი ეკონომიკური პირობები შეჰქმნა.

თეონა ბერიძე

08.08.2008 – 08.08.2018 –

10 წლიანი გზა ტკივილიდან პროგრესამდე

ეძღვნება რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან 10 წლისთავს, რომელიც 2018 წლის 5 აგვისტოს, ათენში, სინდაღმის მოედანზე საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ომიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებისთვის დავწერე. შემაჯამებელი სიტყვით გამოსვლის პასუხისმგებლობა საბერძნეთსა და სერბეთის რესპუბლიკებში საქართველოს ელჩმა ბ-მა იოსებ ნანობაშვილმა, როგორც "წლის ქართველი სტუდენტი საბერძნეთში 2017" ნომინაციაში გამარჯვებულს, დამაკისრა, რისთვისაც გულითად მადლობას ვუხდი მას.
თეონა ბერიძე განათლების მაგისტრი, დოქტორანტი

თურმე შესაძლებელია, ერთმა გზავნილმა სამყარო სრულიად შეცვალოს შენთვის და მასთან ერთად შენც გარდაგქმნას! ასეთი მეტამორფოზა გავნიცადე ზუსტად 10 წლის წინ. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ერთი, სულ რაღაც სამსიტყვიანი მესიჯი, რომლით გამოწვეული ტკივილი წლებმა ვერ წაშალა, რადგან დღესაც ისევ ისე მანგრევს, როგორც მაშინ, როცა სანთელივით ჩამეღვენთა სულში!

ზუსტად 10 წლის წინ, 2008 წლის აგვისტოს პირველ დღეებში, საქართველოდან მეგობრის მესიჯმა გამაღვიძა: "თეო, საქართველოში ომია!" ეს იყო გზავნილი, რომელიც ალბათ ყველაზე ბევრჯერ წავიკითხე, ჩიხში მოქცეული სხვა, ახალ მესიჯს ველოდი.., მაგრამ არა....! ეს ის გზავნილია, რომელიც დღემდე ცოცხლობს ჩემში, მტკივა და ტანში მცრის. ეს იყო ბურთი, რომელიც მაშინ სამშობლოდან ცხრა ზღვას იქეთ მყოფს ყელში გამეჩხირა და მეგონა, იქ რომ ვყოფილიყავი ომს შევაჩერებდი. იმ წუთას, ჩემს უძლურებას მხოლოდ სიშორეში ვხედავდი. შეიძლება, ისე ვერ განვიცადე, როგორც ჩემმა თანამემამულეებმა, რომელთა თვალწინაც ყველაფერმა ცხადად გაიარა, ვინც თავს უცბად დამტყდარ ომის ქარიშხალს შიშველი ხელით შეეხო... ან იქნებ, უფრო მტანჯველი იყო ის კოშმარი, რომ ვერ ვეხებოდი და ..... სიზმარი მინდოდა ყოფილიყო!

და კიდევ ... მახსოვს ომის ცრემლები, რომელსაც ბერძნები მწმენდნენ, მათ შორის სრულიად უცნობებიც, რომლებმაც უბრალოდ იცოდნენ რომ მე ერთი უცხოელი სტუდენტი ვიყავი... სტუდენტი საქართველოდან...მათი მზერა სამუდამოდ დარჩა ჩემში, მზერა თანაგრძნობისა და ადამიანობის უმაღლესი გამოხატულებისა.

ჩვენ ვერ დავიცავით შენი ამაყი სული და ვერ დავრეკეთ სიონის ზარები. ვერ ჩავაქრეთ ცეცხლის ალები შენს რუკაზე და დამარცხებული კაცის სიმღერა ავაჟღერეთ აგვისტოს ბოლოს. იწვოდა ჩვენს თვალწინ, ჩვენ კი ცრემლით ვაქრობდით, ღმერთო! შვილს კარგავდა და ცრემლი სდიოდა ამაყ იბერიას. არ ეპატიება შენს ნაწილს უკან არ დაბრუნება, ჩვენ დავაბრუნებთ, სწორედ იმ გზის გავლით, რომელიც ერთიან სამშობლომდე მიგვიყვანს და შევქმნით სრულიად ახალ სიმღერას, გამარჯვების ჰიმნს! რადგან მე აღარ მინდა სიმღერა პროტესტის.. არამედ უსამართლობის დამარცხების ზეიმზე.

"ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ ხალხო!" ჩვენში სწორედ იმ მშვიდობის შიშმა დაისადგურა, რომელმაც დამარცხება გვარგუნა და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, რას ნიშნავს სხეულის ნაწილი წაგართვან და შეუფერებლად მიაკერონ სხვას, რომელიც ვერასოდეს მოიხდენს მის სილამაზეს.

არ მინდოდა დაჩოქილი საქართველო მენახა, მინდოდა ტყვიაგამძლე აღმოჩენილიყო და ფენიქსივით აღმდგარიყო. და თუ ეს გარდაუვალი იყო, მე შემძლებოდა მისი ფეხზე დადგომა. ამბიციამ იფეთქა ჩემში მაშინ, იმ დროს, აქ, სხვაგან, უცხო მიწაზე... და წლების ქარაშოტში, ნაომარი ქვეყანა ცდილობდა ომის

ნარჩენებისგან გათავისუფლებას, მხრებში გამართვას, უღმერთობის, უსამართლო ტკივილის ჩამობერტყვას და წინ მიიწევდა... არდაჩოქილი გმირების მხრებზე იდგა მართალი იბერია!!! 10 წელი გავიდა.. როგორც მას შეჰფეროდა და გული უცემდა.. როგორც ცეცხლში გამოწრთობილი რკინა გაუტეხელი სულით გვირაბს მიანგრევდა.. იმ იმედით, გვირაბის ბოლოს სინათლე რომ ჩანდა...

და მაინც, ქვეყანამ, რომელსაც ისევ ჩამოატეხეს ფრთა, არ მიატოვა განვითარების გზა... კუს ნაბიჯებს გვითვლიდა მტერი, გულში იცინოდა, პირში გვიცინოდა და ამ ორპირ, და ამ ასგზის დაუნდობელ ბრძოლაში იბერია პროგრესის გზას ადგა... არ ნებდებოდა დაჭრილი არწივი. მომავლის ხმა ძალას და მხნეობას მატებდა, ევროპული ტრადიციების ოდითგანვე მატარებელი ისევ ევროპულ გზას ადგა.. ტკივილის ფონზე და ისე როგორც ეს მას შეშვენოდა. ამ უთანასწორო ბრძოლაში მან მოიპოვა საერთაშორისო რეაქცია ევროკავშირისა და აშშ სახით, რომლებმაც უპირობოდ დაუჭირეს მხარი საქ–ოს ტერიტორიულ მთლიანობას.

საპროტესტო ტალღა რუსეთის წინააღმდეგ: "STOP RUSSIA!!!" ამ ლოზუნგით ევროპასა თუ ამერიკაში გაბნეული ქართველი სტუდენტ–ახალგაზრდობა და არამარტო, ერთად დადგა... ჩვენც ვიდექით ხელჩაკიდული უკიდეგანო ეგეოსის ზღვის სანაპიროზე თესალონიკში, მაგრამ მაშინ ყველაზე ნაკლებად გვჯეროდა გამარჯვების, იმ წამს ჩვენ დამრცხებას ვაპროტესტებდით. ჩვენ, ჩვენს როლს ვასრულებდით იბერიის ტკივილის სადარაჯოზე. მაშინ წარმოუდგენელი იყო დღევანდელი შედეგი – ვიზალიბერალიზაცია! 2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურმა ჟურნალმა ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის ცვლილების შესახებ გვამცნო, რომლის თანახმადაც, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.

და მაინც სულ ვფიქრობ: რატომ ვერ დაგიცავით ჩემო ქვეყანა, რატომ დადგა აგვისტო?

ვერ გაგამტყუნებთ, ვინ გაგამტყუნებს? როგორც შეგეძლო და შეძელი ჩემო იბერია, ჩემო სამშობლო, ჩემო საქართველო... რომელიც თავისი არსებობის დღიდან უსამართლობას ებრძვის და სამართლიანობისთვის უთანასწორო ბრძოლაში შვილებს კარგავს. სულით არ დაეცი, წამოდექი და არჩეული გზა გააგრძელე, გზა ღირებულებებისკენ, ევროპისკენ, პროგრესისკენ. ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს გვეკითხები: ჩვენ თუ დაგიდექით გვერდით?! და მე კადნიერებით გიპასუხებ: იქნებ ერთად მივუყვებოდით ამ აღმართს და გამოგყევით გოლგოთის გზაზე. იქნებ ხელი ჩაგჭიდეთ და შენს მაჯისცემას ისე ვგრძნობდით, როგორც არადროს... იქნებ ათწლიანი ტკივილის ჟინით, ერთად გვინდოდა გაბზარული გულივით გაგვემთელებინე! როგორ შეძელი წაგებული ომის მოგება?! როგორ მოახერხე ევროპას საზღვარი გაეხსნა ჩვენთვის და ქართული პასპორტი ეღიარებინათ?! რამდენი შეიძლება გითხრათ? რამდენი უთქმელი სიტყვა დაგვიგროვა ამ 10 წელმა... და მაინც, რატომ დადგა აგვისტო? ნუთუ იმიტომ, ჩვენ ეს გზა გაგვევლო და დღეს აქ ვმდგარიყავით...?

01.08.2018

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.
პროფესორი

თამუნა მჭედლიშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.
ბაკალავრიატი

"ესტონური მოდელის" გავლენა საქართველოს ბიუჯეტზე

შესავალი. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა სტაბილური ბიზნესგარემოს შემქნა, მყარი გარანტიები ინვესტიციების დაცულობისა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, სახელმწიფოს სწორი და გააზრებული ეკონომიკური ხედვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოში გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები ეკონომიკის ფისკალური სტიმულირებისა და განვითარების კუთხით. 2003 წელს შეცვლილი ხელისუფლების ეკონომიკურმა გუნდმა მოახდინა გადასახადების რეფორმირება და 36 სახის გადასახადი 6–მდე დაიყვანა. აღნიშნულმა ცვლილებამ, შეძლო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ლიბელარული იმიჯის შექმნა ინვესტორთა თვალში.

საქართველოში ბიზნესის დაწყება გამარტივდა. ამ ფაქტს, ბოლო ათწლეულში საქართველოს მოწინავე პოზიციები მოწმობს მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში. სამწუხაროდ, ეკონომიკური ზრდა ნამდვილად არ შეიმჩნევა ისეთივე სწრაფი ტემპით, როგორც ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობა. ვინაიდან ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლის ყველაზე სანდო და პოპულარული ინდიკატორი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპია, საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის გადაწყვეთილებით მშპ–ის ზრდის ტემპის დასაჩქარებლად აუცილებელია ახალი საგადასახადო პოლიტიკის გატარება. რაც გულისხმობს ქვეყანაში გადასახადების „ესტონური მოდელის" დანერგვას.

ძირითადი ნაწილი. საგადასახადო კანონმდებლობის სისტემაში წამყვანი ადგილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსს" უკავია. იგი წარმოადგენს კომპლექსურ ნორმატიულ აქტს, რომელიც არამხოლოდ მატერიალურ, არამედ პროცესუალურ ნორმებსაც მოიცავს. მას გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, დამახასიათებელია საგადასახადო ლიბერალიზაცია. საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ეკონომიკურ ზრდას უნდა შეუწყოს ხელი, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემა ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებით უზრუნველყოფაა. ხოლო ამ უკანასკნელის დეფიციტის პრობლემა, თავისთავად იწვევს საშინაო და საგარეო ვალების ზრდას. ამასთან დეფიციტის ზრდა, ინფლაციური პროცესების მაპროვოცილებერია.

საქართველოს ხელისუფლებამ გლობალური კრიზისის ფონზე აქცენტი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარებაზე გააკეთა. მოქმედი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან და იგი მოიცავდა უამრავ დებულებებს ბიზნესის სტიმულირების მიმართულებით. კერძოდ: მცირე ბიზნესისთვის გამარტივდა საგადასახადო რეგულირება (მიკრო და მცირე მეწარმეობა); ამოქმედდა გაფრთხილების ინსტიტუტი, როგორც დაჯარიმების ალტერნატივა; შეიქმნა საგადასახადო ომბუდსმენდის ინსტიტუტი; მოხდა კანონმდებლობის კონსოლიდაცია; გაერთიანდა საბაჟო და საგადასახადო კოდექსები.

საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივებისა და გადასახადების განაკვეთების შემცირების მიუხედავად, საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ არასრულყოფილია და მისი დახვეწა დღემდე გრძელდება. 2017 წლიდან კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომელიც მოგების გადასახადის რეფორმას და მისი განაწილებული მოგების გადასახადით ჩანაცვლებას გულისხმობს.[1]

„ესტონური მოდელის" დანერგვა საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვან ცვლილებებს მოუტანს. მას შემდგომ, რაც იგი ძალაში შევა, საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების დიდი ნაწილი ნაწილობრივ განთავისუფლდება მოგების გადასახადისგან. კერძოდ, ბიზნეს სუბიექტები დაბეგრებიან იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მოგების გაცემა დივიდენდის სახით, ან მოგებას ისე გადაანაწილებენ რომ იგი არ დაუკავშირდება კომპანიის საქმიანობას. ე.ი :ესტონური მოდელი" ითვალისწინებს დაბეგვრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მოგების განაწილებისას.

2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაანონსა მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება „ესტონური მოდელის" დასანერგად. საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეებმა არ უნდა გადაიხადონ მოგების გადასახადი, თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტრებას მოახდენენ ბიზნესში, ფულს დახარჯავენ სამეწარმეო საქმიანობის მიღმა და არ გაწევენ სამეწარმეო საქმიანობისთვის დადგენილ წარმომადგენლობით ე.წ სადღესასწაულო ხარჯებს ფირმაზე მეტად, არ შეამცირებენ ურთიერთდამოკიდებულ და ოფშორულ კომპანიებთა საბაზრო მომსახურებას. ნაკლები საბაზრო ურთიერთობები ექნებათ ოფშორულ და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან და სხვა. ამ სიახლის მიზანი დადებითი გავლენის მოხდენა იყო ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებაზე.

თავად ესტონეთში, მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმები დაიწყო 1995 წლიდან. უშუალოდ გადასახადის რეფორმა 2000 წელს განხორციელდა. ამ რეფორმის მიხედვით, მოგების გადასახადით აღარ დაიბეგრებოდა გაუნაწილებელი მოგება.

„ესტონური მოდელის" სასახელოდ უნდა ვახსენოთ „საერთაშორისო საგადასახადო კონკურენტუნარიანობის ინდექსი", რომელიც ზომავს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში" (OECD) შემავალი ქვეყნების საგადასახადო სისტემის ეფექტურობას ბიზნესის წარმოების ხელშეწყობის კუთხით. ესტონეთს კი უკანასკნელი წლებში, ამ ინდექსის უმაღლესი მაჩვენებელი აქვს.

საქართველოში, სადაც საგადასახადო სისტემა ისედაც ლიბერალურია, „ესტონური მოდელისგან" იმაზე ნაკლები სარგებელია მოსალოდნელი, ვიდრე თავად ესტონეთში. უყურადღებოდ არც ის მოსამზადებელი პერიოდი უნდა დავტოვოთ, რომელიც ესტონეთმა განვლო რეფორმის გატარებამდე. თითქმის 10 წლის განმავლობაში ეტოპაბრივად მიმდინარე ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა საგადასახადო გარემო, რომელიც გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ესტონეთში გაუნაწილებელ მოგებაზე 21 %–იანი გადასახადი გაუქმდა, საქართველოში კი რეინვესტირებულ ან დაგროვებულ მოგებაზე 15–პროცენტიანი გადასახადის ანულირება იგეგმება.

ალექსანდრ ლუნგვისტისა (ნიუ–იორკის უნივერსიტეტი) და მიხაილ სმოლიანსკის (ფედერალური სარეზერვო სისტემა) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი ამყარებს იმ მოსაზრებს, რომ მოგების გადასახადის შემცირებას მნიშვნელოვნად დადებითი ეკონომიკური შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც ამგვარი ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური რეცესიის დროს ხორციელდება. მკვლევარები ასევე ვარაუდობენ, რომ მოგების გადასახადის შემცირების დიდი მასშტაბებია საჭირო იმისთვის, რათა მიღწეულ იქნას რეალური ეკონომიკურ–სოციალური სარგებელი.

„ესტონური მოდელის" პერსპექტივები სხვა კუთხითაც უნდა განვიხილოთ. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში იაფ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გართულებულია, დაუბეგრავი გაუნაწილებელი მოგება, რომელიც განაპირობებს რეინვესტირებისთვის მეტ განკარგვად რესურს, იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. „კვლევა და განვითარება", რომელიც კომპანიებისგან დამატებით ხარჯებს ითხოვს, სწორედ ის აუცილებლობაა, რასაც ქართულ კომპანიათა დიდი უმრავლესობა საჭიროებს, ესტონური მოდელი სწორედ მსგავსი რეინვესტირების მაპროვოცირებელია. ქართული კომპანიებისთვის ევროკავშირის ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, თითქმის, შეუძლებელია დამატებითი ფინანსური ხარჯების გარეშე. ევროკავშირის ბაზარზე პოტენციური ექსპორტიორების

დაუბეგრავი გაუნაწილებელი მოგება კი, შესაძლოა, წარიმართოს სწორედ ამ საექსპორტო პოტენციალის ასამაღლებლად.

გადასახადის ადმინისტრირების კუთხითაც „ესტონური მოდელის“ შემოღება მომგებიანი იქნება. ვინაიდან, საქართველოს ფინანსური სექტორისთვის უცხო არ არის მოგების გადასახადის დათვლის პრობლემურობა.„ესტონური მოდელი“კი კომპანიებს ფინანსურ აღრიცხვას გაუმარტივებს. ეს მოდელი, ასევე გაზრდის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მუშაობის ეფექტურობას. მაგალითად, ესტონური მოდელი გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთი ხარჯი ან განაცემი, რომლებიც შინაარსობრივად არ უკავშირდება კომპანიის ბიზნესსაქმიანობას, დაიბეგროს მოგების გადასახადის განაკვეთით, რათა თავიდან აიცილონ მოგების შეფარული განაწილება ხარჯების სახით, ანუ ერთის მხრივ, კომპანიებსაც გაურთულდებათ მოგების გადასახადის შეფარვით განაწილება, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო სამსახურები შედარებით უფრო ზუსტად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. ამ მოდელის დანერგვის შედეგად, ჩვენ მივიღებთ შედარებით უფრო ეფექტურ და, ამავე დროს, სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ საგადასახადო გარემოს.

რაც შეეხება საქართველოში კონკრეტულად საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელის დანერგვას, ამ მიმართულებით რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი (RIA), USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში, 2018 წლის ბოლოს მომზადდა. ანგარიშის მიხედვით, მოგების გადასახადის რეფორმა ამოქმედებიდან 1,5 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაზე შემდეგი მიმართულებებით მოახდენს გავლენას:

გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, 3,23 %-ით გაიზრდება კაპიტალის მოცულობა.

რეფორმის დადებითი ეფექტი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელში 1,44 %-ით აისახება. მოსალოდნელია მოხმარების ხარჯების 0.85 %-იანი ზრდა.

ამასთან, რეფორმის შედეგად წლიური საბიუჯეტო დეფიციტის 3 %-მდე გაზრდაა მოსალოდნელი. ანგარიშის მიხედვით, მთავრობას შეუძლია აღმოფხვრას ეს დისბალანსი, თუ საშემოსავლო გადასახადს 1 პროცენტული პუნქტით ან დღგ-ს 1,25% პროცენტული პუნქტით გაზრდის. თუმცა მოგების გადასახადის კლებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკარგების ასანაზღაურებლად გაცილებით ოპტიმალური და რეკომენდებული გზა საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაა.[1]

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია მოკლევადიან პერიოდში ესტონურ მოდელთან ასოცირებულ რისკებზეც: კერძოდ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, საგადასახადო შემოსავლების კლებაა. მოგეხსენებათ, ბიუჯეტის შემოსულობები მეტწილად საგადასახადო შემოსავლებზეა დამოკიდებული. 2015 წელს დამატებული ღირებულების გადასახადმა საგადასახადო შემოსავლების 45 %, საშემოსავლო გადასახადმა 27 %, ხოლო მოგების გადასახადმა 13 % შეადგინა. თუ, საქართველოში, ესტონეთის მსგავსად, საწარმოები მოგების 50 %-ის რეინვესტიციას მოახდენენ და, შესაბამისად, არ დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მოგების გადასახადის სახით, დაახლოებით, 540 მლნ. ლარი დააკლდება. გარდა ამისა, მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს მხოლოდ გადასახადების შემცირებით ვერ შევქმნით. იმისათვის, რომ ქვეყანაში მოხდეს ახალი ინვესტიციების განხორციელება აუცილებელია მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება. კერძოდ: ეროვნული კურსის სტაბილურობა, სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო, შრომის ბაზარი და ა.შ

დასკვნა. დასკვნის სახით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ესტონური მოდელის“ დანერგვას მნიშვნელოვანი დადებითი ეკონომიკური ზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოჰყვება, თუ ფისკალური პოლიტიკა განხორციელდება ეკონომიკური რეცესიის დროს. რეალური სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მისაღებად, აუცილებელია მოგების გადასახადის შემცირების დიდი მასშტაბები. თუმცა აღნიშნული მოდელი, მნიშვნელოვნად აუმაღლებს მოტივაციას მცირე ბიზნესის მეწარმეებს, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

[1] ბაქრაძე, ძიმცეიშვილინ., „ფინანსური აღრიცხვის და განაწილებული მოგების დაბეგვრის პროცე-დურული საკითხები“, გლობალი-ზაცია და ბიზნესი N3/2017. http://oaji.net/articles/2017/4783-1519239669.pdflast modified 18.12. 2018

რეზიუმე

საქართველოში მიმდინარე თითოეული ფინანსური ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არამხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტზე, არამედ ყოველ მის მოქალაქეზე.

ნაშრომში განხილულია საკანონმდებლო ინიციატივა საგადასახადო სისტემის ესტონურ მოდელზე გადასვლის შესახებ, რომელიც ეფუძვნება ე.წ „გაუნაწილებელი მოგების გადასახადს". აღწერილია, ესტონური მოდელის ქართული თავისებურებები. ასევე, გაანალიზებულია აღნიშნული რეფორმის მოსალოდნელი შედეგები.

კვლევის მიზანიამნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ასპექტების განხილვა, რომლებიც დიდ გავლენას მოახდენს ბიზნეს სექტორზე, თუ საქართველოში გადასახადის „ესტონური მოდელი" დაინერგება.

საკვანძო სიტყვები: მოგების გადასახადი; ესტონური მოდელი; რეფორმა; საქართველოს საგადასახადო კოდექსი; შედეგი.

ბიბლიოგრაფია

1. http://moe.gov.ge/res/images/file-manager/proeqtebi/mmartveloba.pdflast modified 15.12. 2018
2. https://mof.ge/5187last modified 21.12. 2018
3. http://eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/, last modified 21.12. 2018
4. http://www.rs.ge/4713last modified 21.12. 2018
5. http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10174last modified 26.12. 2018

ნოდარ ხარაიშვილი

კომპანიის იმიჯის ფორმირება - თანამედროვე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

როცა საუბარია კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციაზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს HR-ბრენდის შესახებ. HR-ბრენდი - კომპანიათა იმიჯის ფორმირება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, ფსიქოლოგიური და პროფესიული სარგებლის ნაკრებს. ანუ ეს არის ის, თუ როგორ გამოიყურება კომპანია დასაქმებულთა, სამ-სახურის მაძიებელთა და კონკურენტების თვალში, ასევე ის მოიცავს პროცესს, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის პერსონალის მოტივაციასთან, ზრუნვასთან და თითოეული კადრის განვითარებასთან. დღესდღეისობით HR-ბრენდინგის ცნება შედარებით ფართოა, ვიდრე უბრალოდ კომპანიის იმიჯზე მუშაობა. ის დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობის ყველა პროცესთა. დღეს HR-ბრენდინგის მიზანია ისეთი ორგანიზაციული კულტურის შექმნა, რომელიც განსხვავებული და მნიშნელოვანი იქნება თითოეული თანამშრომლისთვის

HR - ბრენდინგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კადრების შეხედელებებზე და საქმიანობაზე. ეს პროცესი მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და შენარჩუნებას.

კომპანიის იმიჯზე მუშაობა პირდაპირ დაკავშირებულია ორგანიაციის კულტურასთან ორგანიზაციის კულტურასთან რომელიც მოიაზრებს ფასეულობებს, ჩვევებს, წესებს და სოციალიზაციის პროცესს, ეს პროცესი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყალიბდება და ქმნის ორგანიზაციის იმიჯს, ორგანიზაციული კულტურა გადაეცემა ყველა თანამშრომელს ზეპირი ფორმით. უნდა აღინიშნორს, რომ ორგანიზაციული კულტურა ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებლებს მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენად შეესაამება მათ ფასეულობებს ესა თუ ის ორგანიზაცია.

HR–ბრენდინგის ერთ–ერთი წამყვანი სპეციალისტი ბრეთ მინჩინგტონი წერს: „ნიჭიერი თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება ბიზნესის წარმატების ძირითადი ფაქტორი ხდება". თანამედროვე ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია მიზნობრივი აუდიტორიის გამორკვევა და მათი მოლოდინების შესწავლა. კომპანიის ბრენდის აუდიტორია შესაძლოა იყოს როგორც მოქმედი ისე ყოფილი თანამშრომლები და მომავალი კანდიდატები

მსოფლიოში ჩატარებულ კვლევათა დიდმა ნაწილმა აჩვება, რომ HR–ბრენდინგი დიდ გავლენას ახდენს კომპანიის ეკონომიკურ შედეგზე. კომპანიის კონკურენტული უპირატესობა შესაძლოა გამოვლინდეს პერსო–ნალის შერჩევისთვის ხარჯების და კადრების დენადომბის შემცირებაში, ასევე პერსონალთა გადამზადების ხარჯების ოპტიმიზაციაში. კომპანიის ძლიერ იმიჯს შეუძია საშუალო საბაზრო მოთხოვნასთან შედარებით 20–30% დაბალი ანაზღაურების დაწესება, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კომპანიის HR– ბრენდის კონცეფცია უზრუნველყოფს კარიერულ განვითარებას, კადრების გადამზადებას, პერსონალის ქცევის მართვას, პერსონალის სოციალიზაციასა და შრომით ადაპტაციას, ასევე კომფორტულ სამუშაო გარემოს, ეს ყველაფერი კი არის ძირითადი პირობა დასაქმებუთა კმაყოფილების გაუმჯობესებისთვის

ასოციაციის Greatplacetowork მონაცემებით, რომელიც ადგენს ჟურნალ «Fortune»–სთვის 100 საუკეთესო დამსაქმებლის რეიტინგს, ძლიერი HR–ბრენდის მქონე კომპანიებს აქვთ 7 მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა, კერძოდ: 1. შრომის უფრო მაღალი პროდუქტიულობა და რენტაბელობა. 2. მდგრადობა ეკონომიკური კრიზისების დროს. 3. უფრო მეტი კვალიფიციური კანდიდატის არსებობა. 4. პერსონალის დენადობის შემცირება. 5. თანამშრომლებზე სტრესის ნეგატიური გავლენის შემცირება. 6. კლიენტების კმაყოფილებისა და ლოიალობის დონის ამაღლება. 7. თანამშრომლების მხრიდან უფრო მეტი ინიციატივა, შემოქმედება და ინოვაციები.

დღეს თანამედროვე კომპანიათა დიდი ნაწილი ფიქრობს შექმნას ძლიერი იმიჯი, რომელსაც წარუდგენს სხვებს. იმიჯი ყოველთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების აზრზე და ბიზნესის წარმატებაზე.

ორგანიზაციები HR–ბრენდინგით ახორციელებენ კადრების შერჩევას, აქ მცირდება შეუსაბამო რეზიუმეები და – იზრდება მოტივირებული კანდიდატთა სია. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიებში ძლიერ HR – ბრენდინგს ქმნიან თანამშრომლები. სწორედ შრომითი რესურსების საშვალებით შეუძლია კომპანიას კონკურენტუნარიანობის მოპოვება, დღეს ისე როგორც არასდროს ორგანიზაციებს სჭირდებათ და იბრძვიან კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე.

რა ნაბიჯები უნდა გაიაროს კომპანიამ რათა მიმზიდველი იმიჯი შექმნას ?

– პირველი ნაბიჯი – მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორი დამსაქმებელია ორგანიზაცია, რა ღირებულებების გადაცემა სურს საკუთარ პერსონალზე და გარე გარემოზე, ეს ყველაფერი მოიცავს სამსახურის მაძიელბლებს, მომხმარებლებს, კონკურენტებსა და პარტნიორებს. თავდაპირველად კომპანიას სურს მიიღოს საუკეთესო კანდიდატი, რომელიც შეესაბამება მათ მოთხოვნილებებს.

HR–ბრენდინგს შემდეგი უპირატესობები აქვს: პერსონალის შერჩევაზე ნაკლები დანახარჯები. რადგან კანდიდატები სწრაფად რეაგირებენ იმ კომპანიათა ვაკანსიებზე, რომლებსაც უკვე მოხვეჭილი აქვთ „სახელი". საკადრო რეზერვის არსებობა. HR–ბრენდს რეზიუმეს უგზავნიან მიუხედავად იმისა, მას გამოცხადებული აქვს თუ არა ვაკანსია. თანამშრომლების დენადობის შემცირება.

თანამედროვე კომპანიათა დიდი ნაწილი თვლის რომ წარმატებული ორგანიზაიის მთავარი მონა–პოვარი მათი რეპუტაცია და სანდო იმიჯია. ამ ყველაფერს კი ქმნის ერთიანი გუნდი, რომელიც ორგანიზაციის ძირითადი ღირებულებაა, ეს არის შეკრული მექანიზმი, სადაც დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომელთა პროფესიონალიზმს და მათ დამოკიდებულებას ორგანიზაციის ფასეულობებისადმი

ძლიერ HR– ბრენდინგს ასევე ქმნის კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობა და მათი პატივისცემა. ბრენდინგი შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ, რომ კომპანია არის საკუთარი პროდუქტის მომხმარებელი, რაც გამორიცხავს დაშორებას კომპანიასა და მომხმარებლეს შორის

ძლიერი ბრენდის შესაქმნელად აუცილებელია კომპანია მუდმივად ზრუნავდეს მომხმარებელზე და სწრაფად რეაგირებდეს მათ სურვილებზე უნდა დაპირდეს მხოლოდ იმას რისი შესრულებაც შეუძლია.

HR-ბრენდინგი ყველა დროში მნიშვნელოვანი იყო ბიზნესისთვის, ქვის ხანიდან მოყოლებული დღემდე, შეიცვალა მხოლოდ ბრენდინგის ფორმა— მაგალითად თუ საუკუნეების წინ ნახატების გავრცელების გზით ხდებოდა ბრენდირებული რეკლამირება, დღეს სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით არის შესაძლებელი ბრენდირებული რეკლამის განხორციელება, ამ პროცესის საფუძველს წარმოადგენს იდენტურობა, მნიშვნელოვანია HR - ბრენდს შეეძლოს ძლიერი მესიჯის გაგზავნა ყველა პირისთვის ვინც კომპანიის საქმიანობაში არის ჩართული და ასევე ყველა მომხმარებლისთვის

ამერიკელი მკვლევარები თვლიან, რომ თანამედროვე ბიზნესის იმიჯის შესაქმნელად მნიშვნელოვანია: ნდობის შექმნა კლიენტსა და მომსახურე პერსონალს შორის; იმფორმაციის საჯაროობა; მუშაობის უზრუნველყოფა კონფლიქტის გარეშე; ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას; პრობლემურ სიტვაციაში თანამშრომელთა დახმარება; მომავლის მიმართ ოპტიმისტური განწყობის გაძლიერებას.

როგორ დასაწყისში ავღნიშნეთ HR- ბრენდინგისთვის თუ როგორ შეინარჩუნოს კომპანიამ მოტივირებული და კვალიფიციური თანამშრმელი ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი არის სამსახურეობრივი კმაყოფილება

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევაში კითხვარი შემდეგნაირად გამოიყურება - კომპანიის HR-ბრენდინგის იმიჯის შექმნა არის გრძელვადიანი პროცესი, რომელიც მოითხოვს კვალიფიციური კადრების არსებობას, ასევე თანამშრომელთა განვითარებას და მომხმარებელთა სურვილების დაკმაყოფილებას. ეს პროცესი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყალიბდება და ეფექტური უკუგების მოტანა მოკლე დროში არ შეუძლია.

კომპანია მისი არსებობით იღებს გაუმჯობესებულ კადრებს, ამის საფუძველზე ასევე ხდება დენადობის შემცირება და თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება

დღეს კომპანიებს მოუწევთ იმ საკითხებზე მუშაობა, რომელი უკავშირდება HR-ბრენდი, კერძოდ: არსებული კორპორაციული კულტურა. მოტივაციისა და კარიერული ზრდის სისტემა. სოციალური პაკეტით შემოთავაზებული თავისებურებები. სწავლებისა და პროფესიული განვითარების სისტემა. საკომპენსაციო თანხების ოდენობა, სხვადასხვა პრიზები და პრემიები.

კომპანიისთვის მნიშვნელოვანი საკითხია ცნობადობის მოპოვება პოზიტიური კუთხით. ამის საშვალებით კომპანია ხდება სასურველი ყველა სამსახურის მაძიებლისთვის.

როგორ შეიძლება კარგი დამსაქმებლის იმიჯის ფორმირება? იმისათვის რომ, კომპანია იყოს სასურველი როგორც თანამშრომლებისთვის ასევე სამუშაოს მაძიებლებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: კომპანია ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა სოციალურ პროექტებში. ჰქონდეს ბაზრის შესაბამისი ანაზრაურების სისტემა. ფლობდეს მნიშვნელოვან ღირებულებებსა და ფასეულობებს. მოიპოვის სამართლიანი კომპანიის სტატუსი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://prclubgeorgia.wordpress.com/2013/09/23/7.
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.HASH019765c0dd1cff0f0160e22e.19
3. http://seu.edu.ge/uploads/files/kvleva/1.1._teqsti.pdf.
4. http://www.davidkenchadze.ge/ka/migweva/full/81.

ჯუმბერ ხარაიშვილი

ტურიზმის სექტორის განვითრება – უმუშევრობის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი

ტურიზმი არის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნებში, ქალაქებსა თუ პროვინციებში ახალი შემოსავლის წყაროსა და უცხოური ვალუტის შემოდინებას. ტურიზმის გავლენა ეკონომიკაზე შეიძლება იყოს უზარმაზარი, რამდენადაც ის ქმნის სამუშაო ადგილებს, ამცირებს უმუშევრობას,ხელს უწყობს მეწარმეობას, სტიმულირებას უწევს კვების წარმოებას და ადგილობრივ რეწვას, მოითხოვს ეფექტურ კომუნიკაციებს, ხელს უწყობს კულტურულ გაცვლებსა და ადგილობრივი ტერიტორიის,სახელმწიფოს, რეგიონის, ქვეყნის და მსოფლიოს უკეთ აღქმას.

ტურიზმი არის საქმიანობა, რომლის სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა საუკუნის უკანსაკნელ მეოთხედში.წარსულში ტურიზმის შესწავლა გულისხმობდა მხოლოდ ვიზიტორთა დახასიათებას, მათი მოგზაურობის პირობების და მიზნების აღწერას, მაგრამ უკანსაკნელ პერიოდში გაიზარდა ტურიზმის მნიშვნელობისადმი დამოკიდებულება. ყველამ გააანალიზა, რომ ტურიზმი როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გავლენას ახდენს დასაქმების დონეზე, ადამიანთა პირად და სახელმწიფო შემოსავლებზე და ა.შ. ტურიზმის ზეგავლენა ქვეყანაში საგადამხდელო ბალანსზე დიდია, ეს ძირითადად შეეხება ფინანსურ ტრანსაქციებს (ინვესტიციები, სესხები) და მასთან დაკავშირებულ ნაკადებს (პროცენტი, დივიდენდები). ასევე მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმს წამყვანი როლი ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. ტურიზმი უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ დარგებზე, როგორებიცაა: ტრანსპორტი, კომუნიკაციები, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვ. თავის მხრივ, ტურიზმის განვითარებაზე, მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: დემოგრაფიული, ბუნებრივ–გეოგრაფიული, სოციალურ–ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკურ –საკანონმდებლო და სამეცნიერო– ტექნიკური. ტურიზმის დარგის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე, თავისუფალი დროის ხანგრძლივობა, კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილის ზრდა, ეკონომიკური, პოლიტიკური სტაბილურობა და სხვ. ამგვარად შეგვიძლია თამამად ვთქვათ,რომ ტურიზმი გვევლინება, როგორც სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კატალიზატორი. ტურიზმის ინდუსტრია ერგება ტექნოლოგიურ ცვლილებას, პროდუქტის ინოვაციებსა და ახალ ბაზრებს. ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მან უზრუნველყოს, სახელმწიფომ (რეგიონი ან დასახლებული პუნქტები) მიიღოს რაც შეიძლება მაქსიმალური სარგებელი ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური შემოსავლებიდან.

ტურიზმის როლის ეკონომიკაში. ტურიზმი, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნების უმრავლესობისათვის, სპეციალიზაციის მიუხედავად, განიხილება, როგორც: ეროვნული ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, დივერსიფიკაციის ფაქტორი, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის გენერატორი, კრიზისების დაძლევის ძირითადი ინსტრუმენტი. წარმოადგენს რა, ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების ერთობლიობას, მისი განვითარება ეკონომიკის მყისიერ სტიმულირებას ახდენს. იმავე პრინციპით, გარკვეული ჩავარდნები დარგში პირდაპირ აისახება ამ უკანასკნელის სასიცოცხლო ციკლზე, რის გამოც, ხშირად, მისი როლი ეკონომიკაში ნეგატიურად ფასდება. ეკონომიკურ სისტემაზე ტურიზმის გავლენის ძალის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ ქვეყნების ორი ძირითადი ჯგუფი. პირველი ჯგუფის ქვეყნებისთვის გავლენის საერთო სტრუქტურაში ტურიზმის შედარებით მცირე წილის მქონე პირდაპირი გავლენა შედარებით დიდ, ირიბ და ინდუცირებულ გავლენას წარმოშობს. მეორე ჯგუფში ტურიზმს საკმაოდ სუსტი გავლენის ძალა გააჩნია და შედარებით დიდი წილის მქონე პირდაპირი გავლენა შედარებით მცირე ირიბ და ინდუცირებულ

გავლენას წარმოშობს. თუმცა, არსებობს სპეციფიკური ეკონომიკური სისტემის და ტურისტული საქმიანობის მქონე ქვეყნები, რომლებშიც ტურიზმის გავლენის ძალა არ ხვდება არც ერთ ზემოთ ნახსენებ კატეგორიაში.

ტურისტული ინდუსტრია – ზოგადად, ყველა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომელთა საქმიანობაც ემსახურება მოგზაურობის დროს ტურისტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი მომსახურე დარგისაგან, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ტურიზმისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნის, წარმოების პროცესში სამუშაო ძალის მომზადების, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ფასეულობის შესწავლისა და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების საფუძველზე ტურისტული პროდუქტით და მომსახურების ტურისტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ტურიზმი:

○ ხელს უწყობს ტურიზმის ზემოქმედების გზების გაგებას ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ სფეროებზე;

○ ხელს უწყობს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს უშუალოდ ადგილობრივი ტურიზმისა და მის მონათესავე სფეროებში;

○ ხელს უწყობს მომგებიანი ადგილობრივი დარგების განვითარებას – სასტუმროები და სხვა სარეკრეაციო ობიექტები, რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, სატრანსპორტო სისტემები, ხალხური რეწვა და საექსკურსიო–საინფორმაციო საქმე;

○ ხელს უწყობს რეგიონში უცხოური ვალუტის შემოსვლას და ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებას. ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, სადაც დასაქმებას შეიძლება ჰქონდეს სეზონური ან შემთხვევითი ხასიათი;

○ მოითხოვს სივრცით დაგეგმვასა და ზონირებას, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი ეკოსისტემის გამტარუნარიანობას; გადაწყვეტილების მიღების პროცესში რთავს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს;

○ ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას;

○ ქმნის რეკრეაციულ ობიექტებს, რომლებითაც სარგებლობა შეუძლიათ როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე ტურისტებს;

○ ბუნებრივი ტურიზმი ხელს უწყობს იმ მიწების პროდუქტიულ გამოყენებას, რომელთაც არა აქვთ სასოფლო–სამეურნეო მნიშვნელობა;

○ კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებას;

○ ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი ნათლად გვიჩვენებს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დიდ მნიშვნელობას სოციალ–ეკონომიკური განვითარების საქმეში და ხელს უწყობს მის დაცვას.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის რეკომენდაციების მიხედვით ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებისას აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

○ რესურსების მდგრადი მოხმარება (რამდენადაც ბუნებრივი, სოციალური და კულტურული რესურსების დაცვა და მდგრადი მოხმარება ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობის საწინდარია);

○ ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება (რამდენადაც ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება ტურისტული საქმიანობის წარმატებისა და მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორია);

○ ტურიზმის ინტეგრირება დაგეგმვის პროცესში (სოციალ–ეკონომიკური კონცეფციის შემუშავებისას, ტურიზმის განვითარების ინტეგრირება გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს ტურისტული საქმიანობის წარმატებას);

○ ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა (ტურიზმის მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას, ითვალისწინებს გარემოზე მიყენებული შესაძლო ზიანის კომპენსაციას, თავის მხრივ იცავს და ამცირებს, როგორც კულტურის ძეგლებზე, ასევე ველურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას);

○ ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობა (რადგან ადგილობრივი თემის თანამონაწილეობას არა მარტო ეკონომიკური სარგებელი მოაქვს, არამედ გაცილებით უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ტურისტულ პროდუქტს);

○ კონსულტაციები და თანამშრომლობა (რამდენადაც აუცილებელია ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილების უზრუნველყოფა);

საერთაშორისო ტურიზმს აქვს უდიდესი გავლენა ტურისტული ქვეყნების საგადამხდელო ბალანსზე, რადგანაც მოხმარება თან სდევს მომხმარებელთა გადაადგილებას. ზოგიერთი ქვეყნისათვის საგადამხდელო ბალანსის პუნქტი – „მოგზაურობა" ერთ-ერთი უმთავრესი შენატანია საქონლისა და მომსახურების ბალანსში. ხშირ შემთხვევაში ამ პუნქტის წმინდა ღირებულება შესაძლებლობას იძლევა გადაწონილ იქნას ვაჭრობაში იმპორტისა და ექსპორტის უარყოფითი ბალანსი. ეს ეფექტები არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული ტურისტული საქონლის მოხმარების ტიპებით (ბინა, ადგილობრივი ტრანსპორტი, კვება, ა.შ.), არამედ მოიცავს ნებისმიერ საქონელსა და სერვისს, რომელიც მოხმარებულია ვიზიტორთა მიერ გადაადგილების დროს, თუნდაც ეს გადაადგილება იყოს ქვეყნის შიგნით (უცხოური საკვები და სასმელი, შემოტანილი საქონელი).

უნდა ითქვას, რომ ტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქვეყნისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და მნიშვნელოვანი, საინტერესო კულტურული მემკვიდრეობით. რაშიც თამამად შეგვიძლია შევიყვანოთ საქართველო. რამეთუ საქართველოს, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი, კულტურული რესურსები და მემკვიდრეობები ცნობილია ძალიან ბევრ ქვეყნაში. საქართველო გამოირჩევა კურორტების სიუხვითაც.

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. ვიზიტორების რაოდენობის მზარდი ტენდენციით დაიწყო 2018 წელი. იანვარში საქართველოს 444,2 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 14.8%-ით მეტია, ხოლო თებერვალში ვიზიტორების რაოდენობამ 440,8 ათასი შეადგინა და 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.8 პროცენტით გადააჭარბა. ჯამურად, 2018 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში 885 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რაც 17.2 პროცენტით მეტია 2017 წლის იგივე პერიოდზე, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 325,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 27.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 27.1 პროცენტით გაიზარდა, რაც 587.3 მლნ აშშ დოლარით მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებაა წინა წელთან შედარებით. ბოლო ათწლეულის მანძილზე, ტურიზმის სექტორი დაახლოებით 9-ჯერ არის გაზრდილი. 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა პირველად გადააჭარბა 2 მილიარდ აშშ დოლარს. 2017 წელს, საქართველოს 7 555 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 18.8 პროცენტით აღემატება, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 753 მლნ აშშ დოლარი შედგინა და წინა წელთან შედარებით 27.1 პროცენტით გაიზარდა.

გასული ექვსი წლის მანძილზე ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხა მცირედით გაიზარდა, თუმცა გლობალურ საშუალო მაჩვენებელს ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ხარჯვის დაბალი ნიშნული ძირითადად ვიზიტორების წარმომავლობით არის განპირობებული. მათი დაახლოებით 88% მეზობელი ქვეყნებიდანაა და 85% სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის საქართველოში. საჰაერო ტრანსპორტით ვიზიტორების მხოლოდ 13% სტუმრობს ქვეყანას.

2018 წლის იანვარი-მარტის თვის მონაცემებით, საქართველოს 1,463,561 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +15.5%-ია.



გამოყენებული ლიტერატურა

1. www.Nplg.gov.ge
2. www.Geostat.ge
3. www.Economy.ge
4. www.Atsu.edu.ge
5. www.Gnta.ge

ქეთევან ცაბაძე

იაპონური მენეჯმენტის ფსიქოლოგიური ასპექტები

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასწყისში, ცნობილი მოვლენებით დაზარალებული იაპონია, თავისი, მისთვის სპეციფიკური ეკონომიკური ბიზნესის განვითარების პოლიტიკით, საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულებით, ახდენს სწრაფ რეალიზაციას და ბიზნესის განვითარებას, რომელსაც ზოგიერთი ავტორი „იაპონურ სასწაულს“ უწოდებს. ხელისუფლება დაბ ბიზნესი მჭიდრო ურთიერთობით გამოირჩევა, რომლის ნაყოფია ის მნიშვნელოვანი, ეკონომიკაზე კეთილი ზეგავლენის მქონე რეფორმები და კანონები, რომელიც განაპირობებს საწარმოთა ნორმალურ რეჟიმში განვითარებას, მცირე ბიზნესში არსებული პრობლემების გადალახვას. იაპონია მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყანაა, ის თავს ირჩენს მხოლოდ თავის ქვეყანაში წარმოებული მაღალხარისხიანი პროდუქციის ექსპორტით.

მსოფლიო ეკონომიკის არსებული სირუაციის ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღინიშნოს, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის იაპონის მუდმივად დაბალი უმუშევრობის მაჩვენებელი აქვს. იგი არის ლიდერი ქვეყანა მსოფლიოში სამეცნიერო კვლევების მხრივ, მას ჰყავს 22 ნობელის პრემიის ლაურეატი ისეთ ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგებში, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, მედიცინა.

ბიზნესი ვერ განვითარდება, თუ ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი ეკონომიკური გარემო. მსოფლიოში აღიარებულია იაპონური კომპანიების ტექნოლოგიური მიღწევები. ქვეყნის მართვის სწორმა მენეჯმენტმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა მისი ეკონომიკისა და ბიზნესის აღმავლობას. ამის შედეგად იაპონია 80–იან წლების ბოლოს უძლიერესი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა ხუთეულში შევიდა და ეკონომიკის მრავალ დარგში ლიდერი გახდა. საგადასახადო შეღავათების და ფინანსური სტიმულირების გარდა, რითაც იაპონიის მთავრობა ათწლეულების განმავლობაში ეხმარებოდა ბიზნესს, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ საწარმოებში მსოფლიო დონის სამეცნიერო–ტექნიკური და სამეცნიერო მიღწევების დანერგვის ხელშეწყობა, რის შედეგადაც ამ კომპანიებში შესაძლებელი გახდა იმ ინოვაციური პროდუქციის წარმოება, რომლითაც იაპონურ კომპანიებს გაუადვილდათ მსოფლიო ბაზრებზე შესვლა[1].

ახალი იაპონური განვითარების კურსის საფუძველს კარგად აყალიბებდა ფირმა „მაცუსიტას“ დამფუძნებელი კონოსუკე მაცუსიტა. იგი ხაზს უსვამდა საზოგადოების ცხოვრებაში საწარმოთა და ახალი თაობის მენეჯერთა დიდ მნიშვნელობას და აღნიშნავდა, რომ ისინი საზოგადოების ნორმალურ ფუნციონირებას განაპირობებდნენ; რომ ადამიანთა კეთილდღეობისთვის საჭიროა ქვეყანაში საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირება, ეს კი დამოკიდებულია მართვის თანამედროვე ინოვაციურ მეთოდებზე, მენეჯერთა დაუღალავ ძალისხმევაზე. მაცუსიტა განმარტავდა, რომ ყოველ კომპანიას, მიუხედავად სიდიდისა, გარდა მოგების მიღებისა, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული მიზანი, მიზანი, რომელიც ამართლებს მის არსებობას. მას უნდა ჰქონდეს საკუთარი მისია მსოფლიოში. თუ ხელმძღვანელს აქვს ამის გაგება, ის შეძლებს, მიიტანოს ეს აზრი თანამშრომლებამდე. თანამშრომლები თუკი გაიგებენ, რომ მუშაობენ არა მხოლოდ ხელფასისათვის, მაშინ ისინი მიიღებენ სტიმულს, რომ იშრომონ მეტი ენერგიით კომპანიის მიზნების მისაღწევად. მაცუსიტას იდეების დაწვრილებითი შესწავლის შემდგომ ჯგუფმა „დოიკაიმ“ 1956 წელს მიიღო რეზოლუცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იაპონიაში მართვის ახალ მეთოდებს და იდეოლოგიას

იაპონელებისთვის ნიშანდობლივია, რომ საწარმოებში ძნელად თუ გამოარჩევ დირექტორს, მუშას და ინჟინერს ერთმანეთისაგან, ყველას ერთი უნიფორმა აცვია. იგივე ითქმის ცხოვრების წესზე, ქცევაზე და ა.შ. იაპონური კომპანიები დიდ დროს ხარჯავენ წინდაწინ პოტენციურ კლიენტებთან ან მომწოდებლებთან

[1] https://www.cia.gov

ურთიერთობის ასაწყობად. კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამდნენ, ანუ გააფორმებდნენ მათთან ხელშეკრულებას. მათ აქვთ ყოველივე საუკეთესოს გადმოღებისა და შემდეგ მისი გაუმჯობესების უნარი. მათგან განსხვავებით, ამერიკელები არიან უფრო შედეგზე ორიენტირებულნი. იაპონელები კი – პროცესის გაუმჯობესებაზე. თუ ისინი ერთხელ რამეს გაკეთებას ისწავლიან, მალევე დაიწყებენ მუშაობას მის გაუმჯობესებაზე. ისინი აფასებენ ძალისხმევას და არა რეზულტატს. იაპონურ კომპანიებში მნიშვნელობით პირველი ადგილი უკავია მომხმარებელს, შემდეგ თანამშრომლებს, მათ შემდეგ მომწოდებლებს, ბოლოს საზოგადოებას და ქვეყანას. სულ ბოლოს კი მეწილე–აქციონერებს. ამერიკულ კომპანიაში კი პირველი ადგილი უკავია მეწილე–აქციონერს.

იაპონურ კომპანიაში მეტად ჰუმანური ატმოსფეროა, ყველაფერი თანამშრომლების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. თუ ამერიკულ კომპანიაში დირექტორის მარჯვენა ხელი არის ფინანსური მენეჯერი, იაპონიაში დირექტორის მარჯვენა ხელი არის კადრების მენეჯერი. იაპონურ კომპანიაში ყველაზე გამართლებული გუნდური მუშაობაა, რაც ნიშნავს ერთმანეთის დახმარებას. ამერიკულში კი გუნდური მუშაობა ნიშნავს მუშაობის მაქსიმიზაციას მეტი შედეგის მისაღებად. იაპონური მენეჯმენტი ცდილობს დეპარტამენტებს შორის იყოს საუკეთესო კომუნიკაცია, თავისუფალი ურთიერთობა, როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად. ამერიკული მენეჯმენტი აქცენტირებას აკეთებს ძლიერ სპეციალიზაციაზე, უამრავ ინსტრუქციაზე. პიროვნება შებოჭილია მითითებების და ვალდებულებების ჩარჩოებით, რაც აფერხებს კომუნიკაციების ელასტიურობას.

დასაქმება იაპონურ კომპანიაში ნიშნავს ადამიანის გარანტირებულ დასაქმებას საპენსიო ასაკამდე. ეს ძირითადად გამოიყენება დიდ კომპანიებში, ამ თემაზე არ ხდება არავითარი წერილობითი შეთანხმება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის (Kono.. 2001). დასაქმებულთა დაახლოებით 30 პროცენტი იღებს ასეთ გარანტირებული დასაქმების ზეპირ შეთანხმებას, ძირითადად ახალგაზრდობა, რომელნიც უნივერსიტეტებიდან და კოლეჯებიდანაა მიღებული (Bird 2002). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მუდმივვადიანი დასაქმებული თანამშრომლები ძირითადად მამაკაცები არიან, ხოლო ქალები ძირითადად იაპონურ კომპანიებში აჰყავთ ნახევარ განაკვეთიან სამუშაოებზე. მას შემდეგ, რაც მუდმივვადიანი დასაქმებით აყვანილი ახალგაზრდა დაიწყებს მუშაობას კომპანიაში, თავდაპირველად მას ასწავლიან არა რაიმე სპეციფიკურ შრომით ჩვევებს, არამედ უტარებენ ტრენინგებს, რათა გააცნონ კომპანიის ისტორია, ის სულისკვეთება, რაც დამახასიათებელია კომპანიისათვის, მისი ფილოსოფია და გუნდური მუშაობის მეთოდები, აცნობენ ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად სამსახურებრივი ურთიერთობების წესებს და ა.შ. ახლად აყვანილ თანამშრომელს მიამაგრებენ ერთ ან რამდენიმე განყოფილებას იმისათვის, რომ დააკვირდნენ მის შრომით ქცევებს, შეასწავლონ მოვალეობები და კომპანიაში ქცევის ნორმები. სამ წელიწადში ერთხელ თანამშრომელი გადაყავთ სექციიდან სექციაში, განყოფილებიდან განყოფილებაში, ფინანსური დეპარტამენტიდან მარკეტინგულ დეპარტამენტში, იქიდან კი, საწარმოო საამქროში და პირიქით, რათა მოხდეს მისთვის უნივერსალური შრომითი ჩვევების გამომუშავება (Sasaki 1990).

მსხვილ კომპანიაში 30 წლამდე ასაკის ადამიანის დაწინაურება არ ხდება, ხოლო 30 წლიდან 40 წლამდე დაწინაურება კი ნელა ხდება. ამ პერიოდში ერთი ასაკის თანამშრომლები ერთი ტემპით წინაურდებიან და ეს ხელს უწყობს მათ შორის ამხანაგური სულისკვეთების ჩამოყალიბებას და ჰარმონიული ურთიერთობების ხელშეწყობას კომპანიაში. კარიერის პირველ ეტაპებზე მნიშვნელოვანი სახელფასო წახალისებები არ ხდება, მაგრამ ახალგაზრდა და ნიჭიერ თანამშრომლებს წაახალისებენ სხვა ხერხებით: ასეთ ახალგაზრდებს მიამაგრებენ ხოლმე გამოცდილ პროფესიონალებს ან გადაყავთ ცენტრალურ ქალაქებში, პრესტიჟულ ფილიალებში, ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე. უნარიანი თანამშრომლის წასახალისებლად შესაძლებლია მისი გადაყვანა კომპანიის ცენტრალურ შტაბბინაში (სათაო ოფისში).

პროფკავშირის ლიდერები, კომპანიის თანმშრომლები არიან, მათ გარკვეული პერიოდის შემდეგ კომპანიაში მოწინავე თანამდებობების დაკავება უხდებათ, რათა იცნობდნენ ყველა პრობლემას. ისინიც, თავის მხრივ, დაინტერესებულნი არიან კომპანიას შეუნარჩუნდეს ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის სულისკვეთება. პროფკავშირის ძირითადი მისიაა ფირმის ხელმძღვანელობასთან ხელფასის გაზრდის თაობაზე მოლაპარაკებების წარმოება (ე.წ. ტერმინი „შუნტო მოლაპარაკება''), რათა

იცოდნენ თანამშრომლებმა, თუ მთელი წლის განმავლობში რა იქნება მათი რეალური ხელფასი არსებული ცხოვრების დონის, ფასებისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ასეთი მოლაპარაკება ამცირებს გაფიცვებისა და დაპირისპირების ალბათობებს კომპანიაში.

იაპონურ კომპანიაში არსებული შრომითი ურთიერთობები ხელს უწყობს თითოეული პიროვნების ჰარმონიულ დამოკიდებულებას დანარჩენ კოლექტივთან, მცირდება კომპანიიდან კვალიფიციური კადრების გადინება და ყველას ეძლევა დაწინაურებისა და კარიერული ზრდის შანსი. თანამშრომლებს არ აქვთ ხვალინდელი დღის შიში. ისინი ერთგულებით ემსახურებიან კომპანიას. კომპანიაც ანაზღაურებს მათ შრომას მათი ნიჭისა და ძალისხმევის შესაბამისად; ასაკთან დაკავშირებული შეღავათები გულისხმობს ადამიანის ოჯახური ხარჯებისა და მოთხოვნების შესაბამისად ხელფასის ზრდას, დაოჯახების, შვილების აღზრდის, საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრას. ყველაფერი ეს ეტაპობრივად კომპენსირდება კომპანიის მხრიდან დასაქმებულის ცხოვრებისეული ეტაპების შესაბამისად, მაგრამ ეს არახელსაყრელია იმ დასაქმებულთათვის, თუ მოისურვებს სხვა კომპანიაში გადასვლას. ამ შემთხვევაში იგი კარგავს ასაკთან და შრომით სტაჟთან დაკავშირებულ პრივილეგიებს.

ბოლო ათწლეულში, ძირითადად, 2000 წლიდან დაწყებული, იაპონიაშიც შეინიშნება მენეჯმენტის არსებული სისტემის ტრანსფორმაცია. ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ცვლილებები მართვაში, არის შემდეგი: ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება, გაყიდვების და მოგების შემცირება, სამუშაო დანახარჯების ზრდა, იაპონური საზოგადოების დაბერება, იენის კურსის მკვეთრი მერყეობები, საზღვარგარეთული ფირმების მხრიდან გაძლიერებული კონკურენცია, კომუნიკაციების, ინფორმაციის გადამუშავების აუცილებლობა, ინფორმატიკული ტექნოლოგიების არნახული განვითარება. ამ გამოწვევებმა იაპონურ კომპანიებში დღის წესრიგში დააყენა შემდეგი პრობლემების დაძლევის აუცილებლობა: პროდუქტიულობის გაზრდა თეთრსაყელოიან თანამშრომლებში (მენეჯერებში), ბიუროკრატიის შემცირება, შეფასების ეფექტიანი სისტემის განვითარება, მოტივაციისა და შემოქმედებითობის განვითარება ახალგაზრდებში, გამოცდილი თანამშრომლებიდან ახალ თანამშრომლებზე ცოდნის გადაცემის ეფექტურობა, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე დასაქმებულთა რიცხვის გაზრდა, ძირითად და ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულთა შორის ხელფასის განსხვავებები, ქალთა დასაქმების გაზრდა კომპანიაში, სტრესისა და დეპრესიის მოხსნის ეფექტურობა სამუშაო ადგილებზე.

მკვლევარებში მიმდინარეობს დებატები, თუ როგორ და რა მიმართულებით შეიცვლება და განვითარდება იაპონური მენეჯმენტი უახლესი ათწლეულის განმავლობაში. წავა თუ არა ეს ცვლილება უფრო გლობალიზაციისკენ, თუ შეინარჩუნებს ძირითად იაპონური მენეჯმენტისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს, როგორიცაა მაგალითად, მუდმივვადიანი დასაქმების სისტემა. კვლევები ცხადყოფენ, რომ წარმატებულმა იაპონურმა კომპანიებმა შეძლეს არახელსაყრელ ეკონომიკურ გარემოში შეენარჩუნებინათ ტრადიციული მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი ასპექტები და პარალელურად მოეხდინათ საჭირო ცვლილებები კომპანიაში.

ხშირად სვამენ კითხვას, დღეს რატომ უნდა დაინტერესდნენ ტრადიციული იაპონური მენეჯმენტით. ხომ არ მოძველდა იგი? ტრადიციული იაპონური მენეჯმენტი სიცოცხლისუნარიანია: მუდმივვადიანი დასაქმების სისტემა, ასაკზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემა, პროფკავშირების სპეციფიკური სისტემა და გადაწყვეტილებების მიღების უნიკალური „რინგი“. სისტემა დღემდე წარმატებით განაგრძობს არსებობას. მისი განვითარება ხდებოდა წარსულშიც, ხდება ახლაც. იაპონური მენეჯმენტი ემყარება ძირითად ადამიანური რესურსების მართვას, რაც ნამდვილად ერთადერთი ყველაზე ღირებული რესურსია იაპონიაში. იაპონია არის მაღალგანვითარებადი, თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება. მისი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა არის უძველესი მსოფლიოში. დღეს იაპონური მენეჯმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ტრადიციული მახასიათებელია მუდმივვადიანი დასაქმება. თუმცა ამ პრაქტიკას ყველა იაპონური კომპანია არ იყენებს და იქ, სადაც იგი გამოიყენება, გამოიყენება არა ყველა თანამშრომლის მიმართ, არამედ, გარკვეული შერჩეული ჯგუფისათვის. იგივე უნდა ითქვას სახელმწიფო ორგანიზაციებზეც. იაპონიაში დასაქმებულთა დაახლოებით, 30–35 პროცენტი სარგებლობს მუდმივვადიანი დასაქმების პრივილეგიით, რაც ნიშნავს გარანტირებულ დასაქმებას საპენსიო ასაკამდე.

იაპონურ კომპანიებში, როგორც წესი, ფილიალების ძირითად თანამშრომელთა გუნდს არჩევენ შიდა რესურსებიდან, ხოლო დროებით ან ნახევარ განაკვეთებზე მომუშავე პერსონალს არჩევენ უმეტესწილად ადგილობრივი ტერიტორიებიდან, სადაც იხსნება ფილიალი. შიდა შრომითი რესურსის ასეთი გამოყენება აიხსნება იმ გარმოებით, რომ კომპანია დიდ დროს, თანხებს და ენერგიას ხარჯავს კადრების გადამზადებაზე და ეს ძვირფასი შრომითი რესურსი, რა თქმა უნდა, უკვე არსებული შტატებიდან ჯობია იქნას გამოყენებული. აქედან გამომდინარე, ფირმის ეკონომიკური წარმატება მნიშვნელოვნად არის განპირობებული ფილიალების ტრანსფერების დანახარჯების შემცირებაზე. ძირითადი გუნდის თანამშრომელს უჭირს კომპანიის დატოვება, რადგან მან იცის, რომ ის ვერ გამოიყენებს მოცემულ კომპანიაში შეძენილ ძალზე სპეციფიკურ უნარებს სხვა კომპანიაში და ამასთან, მას მოუწევს საკუთარი კარიერის თავიდან დაწყება და ასაკზე დაფუძნებული და უკვე მიღწეული პრივილეგიების დაკარგვა. ამიტომ კადრების დენადობა არის დაბალი, რაც კომპანიას ეხმარება დაამაგროს ადგილზე საკუთარი კადრები. დროებით სამუშაოებზე და ნახევარგანაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებს არ მოეთხოვებათ რაიმე სპეციფიკური კვალიფიკაციის ცოდნა, მათთვის ზოგადი შრომის უნარიც საკმარისია.

იაპონურ ფილიალებში უპირატესობას ანიჭებენ იმ ადამიანებს, რომელთაც სხვადასხვა პროფესიის ათვისება შეუძლიათ და არ არიან „ჩაკეტილნი“ ერთი რომელიმე ვიწრო სპეციალიზაციით. ასეთი უნარის მქონე თანამშრომლები უპირველესი მოთხოვნით სარგებლობენ, ყურადღება ექცევა მათ ზნეობას, მორალურ და ეთიკურ თვისებებს და სურვილს იმისა, რომ ისინი მზად არიან ერთგულად ემსახურონ კომპანიის ინტერესებს.

არსებობს იაპონური მენეჯმენტის შემდეგი ძირითადი დამახასიათებელი პრინციპები: 1) ხანგრძლივვადიანი დასაქმება (shushin koyo); 2) ასაკზე და შრომით სტაჟზე დაფუძნებული სახელფასო პრომოცები (nenko joretsu); 3) შიდა კომპანიის სპეციფიკური იუნიონიზმი (Kumiai shugi). ეს სამი ნიშანი შეტანილია ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ანგარიშში, როგორც იაპონური მენეჯმენტის ყველაზე განსაკუთრებული და დამახასითებელი შტრიხი. ამ პრინციპებს შემდგომში კონომ დაუმატა კომპანიაში შეღავათების და სტიმულების მთელი სისტემა, რომელიც ეხმარება ამ მახასიათებლების კომპლექსურად წარმოდგენას. ეს პრინციპებია კომპანიის შიგნით კარიერული ზრდის პოლიტიკა, მცირე ჯგუფების აქტივობა, პერსონალის როტაცია და ინტენსიური ტრენინგები, თანამშრომელების ფრთხილი შერჩევა, კომუნიკაციის დახვეწილი სისტემა, კორპორაციული კულტურისა და ფილოსოფიის განვითარება.

როდესაც იაპონელი მენეჯერები ცდილობენ, აიყვანონ დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა, ყველაზე კარგ კანდიდატურად თვლიან, ჯანმრთელ ახალგაზრდა ქალს ადგილობრივი რაიონიდან, რომელიც,,მარტოხელაა და არ არის დაოჯახებული“. ამ შემთხვევაში მცირე მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო გამოცდილებას და განათლების დონეს. მენეჯერთა დასაქირავებლად პრიორიტეტს ანიჭებენ დაოჯახებულ მამაკაცს, რომელიც კარგად ფლობს ინგლისურს, კარგი ურთიერთობებით გამოირჩევა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, არის კომუნიკაბელური და გააჩნია მართვის გამოცდილება. იაპონურ კომპანიებში ჩარხებთან და დანადგარებთან ძირითადად მუშაობენ ქალები. ქალები არიან მომსახურების პოზიციებზეც, ხოლო პროფესიონალი პერსონალისა და მენეჯერების ძირითადი ბირთვი მხოლოდ მამაკაცები არიან. იაპონელი მენეჯერების თვალსაზრისით, ქალთა კატეგორია ყველაზე ადვილი სამართავია და ისინი ყველაზე პროდუქტიულნი არიან (www.emeraldinsight.com).

საზღვარგარეთის იაპონურ ფილიალებში ინერგება სწორედ მენეჯმენტის ის ელემენტები, რაც დროის მოცემული მომენტისათვისაა გამოსადეგი და ეკონომიკურ გარემოში ადაპტაციას ემახურება. იაპონელი მენეჯერების მიერ იაპონური მენეჯმენტის გამოყენება ამ ქვეყნებში ხდება ძალზე ფრთხილად და მოქნილად, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.იაპონურ კომპანიაში შენარჩუნებულია გუნდურობისა და კოლექტიური მუშაობის სულისკვეთება, რომელიც ცვლილებების შემთხვევაში არ არღვევს ურთიერთობების ჰარმონიას მაშინაც კი, როცა ეს ცვლილება ქვედა ეშელონის თანამშრომლებიდან მოდის. ასეთი დამოკიდებულება კი გუნდური მუშაობის საფუძველს წარმოადგენს. არა მხოლოდ პიროვნებაა პასუხისმგებელი მიზნის მიღწევაზე, არამედ, მთელი კოლექტივი და პროექტის ჩავარდნის შემთხვევაშიც

კოლექტივია პასუხისმგებელი, რაც სამუშაო რეჟიმში ინტენსიური კონსულტაციებისა და კონსენსუსის მიღწევის შედეგია.

იაპონურ საწარმოებში იწვევენ ახალგაზრდებს უშუალოდ სკოლიდან, კოლეჯიდან და უნივერსიტეტებიდან. ისინი ყურადღებას აქცევენ არა მათ სპეციალურ ცოდნას, არამედ, პიროვნულ ღირსებებს, შრომისა და სწავლისმოყვარეობას, ლოიალობას, ზნეობას და ცდილობენ, ფირმის კედლებში გაზარდონ ისინი როგორც პროფესიონალები და კომპანიის წევრები. მართალია, მათი კარიერის პირველი 10–15 წლის განმავლობაში არ ხდება წინსვლა, მაგრამ შემდგომ წლებში, კომპანიაში შრომა კარგად ნაზღაურდება და დაქირავებულიც ერთგულებით პასუხობს კომპანიის ხელმძღვანელობას. პიროვნების შეფასება ხდება კოლექტივის მიერ და პიროვნებაც ცდილობს ჰარმონიაში იყოს კოლექტივთან. იაპონური კომპანიები დიდ ინვესტიციებს დებენ თანამშრომელთა განსწავლაში და წვრთნაში. პრაქტიკაში იყენებენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ როტაციებს და თანამშრომლებს აძლევენ უნარების განვითარების საშუალებას, რაც ეხმარებათ მათ კომპანიის ყველა პრობლემების უფრო უკეთ გაცნობაში და კარიერულ წინსვლაში. ჩვენ არ გვაინტერესებს ისეთი მენეჯერების მიღება, რომელთაც კაბინეტებში ჯდომა და ჰალსტუხების ტარება სიამოვნებთ, ჩვენ არ ვიღებთ ასეთი ტიპის ადამიანებს, რადგან არ გვჭირდებიან ისინი. შეხვედრები და თანამშრომლების სისტემატური ინფორმირება, ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მომსახურე პერსონალს ანგარიშს უწევენ, მათ შეხედულებებს პატივს სცემენ. ეს ამტკიცებს კორპორატიულ სულისკვეთებას და მნიშვნელოვნად ამცირებს თანამშრომელთა გადინებას კომპანიიდან.

როგორც ჰიდეკი იოსიჰარა აღნიშნავს, „უცხოეთის ფილიალების იაპონური მართვის სისტემის დეტალური განხილვისას ნათელი ხდება, რომ მართვის ეს ხერხები არ არის რაღაც უჩვეულო და არგაგონილი რამ. მართვის იაპონური მეთოდები ცალ–ცალკე არ წარმოადგენს უჩვეულო სიახლეს, მაგრამ კარგი მენეჯერების მიერ მათი მეთოდური, გეგმაზომიერი, მიზნობრივი გამოყენებით და ოპერატიული მონაცვლეობით მიიღება ის შედეგები, რაც ასე წარმატებულს ხდის იაპონურ საწარმოს“.

იაპონური კომპანიის ორგანიზაციული კულტურა კარგად ვლინდება „ტოიოტას“ კორპორაციის ორგანიზაციული კულტურის მაგალითზე. ამ კომპანიაში ინდივიდს იმ სამუშაო ჯგუფთან იდენტურობის შეგრძნება აქვს, რომელსაც ის ეკუთვნის. მას მიაჩნია, რომ მისი ყველა თანამშრომელი მასთან ერთად ერთ ბედს იზიარებს, ე.ი. არსებობს თანაზიარობა, როგორც წარმატებაში, ისე მარცხში. ტოიოტაში დიდ ყურადრებას აქცევენ თანამშრომლების ფირმისადმი ერთგულებას და ცდილობენ, რომ კომპაინიაში საყოველთაო ნდობისა და ერთიანობის კულტივირება მოხდეს. კომპანიის ჰიმნები, უნიფორმა, დილის ვარჯიშები სამუშაოს შემდეგ სოციალური შეკრებები და ცერემონიები, ყოველივე ეს ის ორგანიზაციული პოლიტიკაა, რომელიც ქმნის ტოიოტას კულტურას. იმისათვის, რომ დაინერგოს კაიზენი, საჭიროა განვითარდეს ისეთი ორგანიზაციული კულტურა, სადაც ადამიანს არ ეშინია, არ რცხვენია თავისი სამსახურებრივი პრობლემების აღიარებისა, ყველას უნდა შეეძლოს მისი თავისუფალი განხილვა ჯგუფის შიგნით. ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ ხშირად მას არ სურს სისუსტეების და შეცდომების აღიარება. ამის გადასალახავად უნდა არსებობდეს თანამშრომელთა შორის ნდობა და სიახლოვე და მენეჯერთა მხრიდან მათდამი ყურადღება. ურთიერთთანადგომის განვითარება, ადამიანებმა ერთმანეთში თავისუფლად გაცვალონ ინფორმაცია, გამოცდილება და ცოდნა, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე,ეს ყოველივე კაიზენის მისიაა. „ტოიოტა“ აქცენტს აკეთებს შიდა განვითარებაზე. მშრომელთა კოლექტივში ანვითარებს ნდობას, თანამშრომლობას, გულითად ურთიერთობებს. ასეთ გარემოში უცხოა შიდა დაპირისპირებები. იმ კომპანიებში, რომელთაც აქვთ ვერტიკალურ–იერარქიული სტრუქტურა და ზევიდან ქვევით მიმართული კონტროლის არხები, ძნელია მიაღწიონ გუნდური მუშაობის მოდელისა და ურთიერთნდობის დამკვიდრებას. იერარქიული კულტურის ორგანიზაციაში კარგად არის გაწერილი, დაგეგმილი და განსაზღვრული ქცევის და მუშაობის ხერხები. აქ ლიდერები უფრო იმპერატიულნი არიან და პირადი წარმატებით დაკავებულნი. ეს ყოველივე განაპირობებს იმას, რომ კომპანია უფრო მოკლე დროში განსახორციელებელ მიზნებზე არის ორიენტირებული, ხოლო თვითონ კოლექტივში არსებობს ერთგვარი შენიღბული.კონკურენცია, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მორალურ კლიმატზე და აფერხებს ურთიერთობათა ნორმალურ განვითარებას. მოსალოდნელია, რომ ამ ვითარებაში ადამიანებს აღარ აინტერესებდეს ერთმანეთი, მოხდეს ობსტრუქცია და

ერთმანეთის გეგმების განზრახ ჩაშლა, იქამდეც კი, რომ შეწყდეს ელემენტარულად თანამშრომლობა დასახული მიზნის მისაღწევად. ეს კი კაიზენის დანერგვისათვის ძლიერ ცუდი გარემოა.

საწარმოო უბნებზე აკრძალულია სიგარეტის მოწევა და საზოგადოდ ერიდებიან ასეთი თანამშრომლების აყვანას, რადგან კომპანიებში მათი კონტროლი ძვირი ჯდება და თუ გავითვალისწინებთ თანამდევ ჯანმრთელობის პრობლემებს, მასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ხშირ გაცდენებს, ბუნებრივია, ასეთი თანამშრომლის აყვანა კომპანიისთვის არარენტაბელურია. სინგაპურში მაცუსიტას და სანიოს ქარხნებში სიგარეტის აკრძალვა ნორმაა. სისუფთავე და წესრიგი საწარმოო უბნებში და საწყობებში, ქმნის დადებით გარემოს, სადაც ადვილდება კოლექტივის მართვა, მაღლდება დასაქმებული პერსონალის პასუხისმგებლობა და შრომისუნარიანობა.

იაპონურ მენეჯმენტში მთავარი ადგილი ეკუთვნის კაიზენს, რაც ნიშნავს მუდმივ განვითარებას და გაუმჯობესებას. მუდმივი სრულყოფა მიჩნეულია საწარმოს კონკურენტურიანობის შენარჩუნების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. მკვლევარი იმაი განმარტავს კაიზენს, როგორც მიმდინარე სრულყოფას, რომელიც მოიცავს კომპანიაში ყველას — ზემდგომ დირექტორატს, მენეჯერებს და მუშებს. მისი თქმით, კაიზენი იწყება პრობლემის აღიარებიდან და „თუ ის არ არსებობს, მაშინ არ არსებობს განვითარებისთვის საკმარისი პოტენციალი“.

იაპონიაში სახელმწიფოს ზემოქმედება ეკონომიკაზე ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: 1) განსაზღვრავენ ეკონომიკის განვითარების წამყვან პროფილს, რომელზეც ხდება ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაცია. 2) მეორე მიმართულებაა შეუნელებელი ზრუნვა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

იაპონურ მენეჯმენტში წარმოების პროცესში სამუშაო დროის ყოველი წუთის ინტენსიურად და ეფექტიანად გამოყენების ტოლფასოვნადაა მიჩნეული არასამუშაო დროის, იგივე თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება. ამ უკანასკნელს აქვს არა მარტო თავისთავადი მნიშვნელობა, არამედ იგი სამუშაო დროის განმსაზღვრელი ფაქტორიცაა. იაპონური მენეჯმენტის სპეციფიკური ეროვნულ ნიშნებად ითვლება მუშაკთა მუდმივი დაქირავება, შრომის ანაზღაურება და პერსონალის თანამდებობის მიხედვით დაწინაურება ასაკობრივი საფეხურების გათვალისწინებით და მცირე ჯგუფების ფსიქოლოგიის კულტივირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქუთათელაძე გ. „იაპონური მენეჯმენტი და მისი ტრანსფერის თეორიულ-ემპირიული შესაძლებლობა საქართველოში“, თბილისი 2015.
2. გუგეშაშვილი მ. პერსონალის მართვა იაპონიაში, თბილისი 2004.
3. https://prclubgeorgia.wordpress.com/2013/09/23/7- last modified 08/02/2019;
4. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/ff0f0160e22e.19 last modified 04/02/2019;
5. http://seu.edu.ge/uploads/files/kvleva/1.1._teqsti.pdf last modified 21/01/2019;
6. http://www.davidkenchadze.ge/ka/migweva/full/81 last modified 26/01/2019;
7. https://www.cia.gov last modified 10/02/2019.

სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ჩანდლერის ჯიშის კაკლის

ჩანდლერის კაკალი ამერიკული ჯიშია, რომელიც გამოიყვანეს პარადოქსის საძირეზე, კალიფორნიაში, 1979 წელს. საქართველოში კი მხოლოდ 2014 წელს შემოიტანეს და წარმატებით მოხდა მისი ადაპტაცია. ჩანდლერის კაკლის პოპულარობა საქართველოში ყოველდღიურად იზრდება. ჩანდლერი საქართველოსთვის ინოვაციური ჯიშია.

კაკლის სიმაღლე 4-5 მ აღწევს, ხასიათდება თხელი ნაჭუჭითა და თეთრი გულით. ნიგოზის გამოსავლიანობა 60%. აქვს საშუალოდ მოტკბო გემო. ცხიმიანობა 63-68%. უხვმოსავლიანია. ნაყოფის მოცემას იწყებს 3 წელიწადში. ნაყოფის მოცემის სრული ფაზა იწყება 8 წელიწადში.

პლანტაციის გაშენებამდე აუცილებელია შეირჩეს ხარისხიანი ნერგი. უკეთესია თუ ნერგი იქნება სერტიფიცირებული, სიმაღლეში 80 სმ-ზე მეტი —1 მ-მდე.

ჩანდლერის კაკალი მომთხოვნია წყლის მიმართ. კაკლის ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით იოდს, ამიტომ მაღალი სიცხეების დროს, როდესაც ჰაერში ტემპერატურა 30^{0}C-ზე მეტია, აუცილებელია მორწყვა, ძირითადად ივლისსა და აგვისტოში. იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობა და დაიცვათ მცენარე სტრესული მდგომარეობისგან, რეკომენდებულია სადრენაჟე სისტემის მოწყობა.

ქარსაფარის მოწყობა: ჩანდლერის ჯიშის კაკლის ინტენსიურ ბაღში ყველა სახის კომპონენტის შესანარჩუნებლად, აუცილებელია ქარსაფარი ზოლის მოწყობა. ქარსაფარი ხელს უწყობს წყლის ინტენსივობის შენარჩუნებას, მაქსიმალურად ზღუდავს ე.წ საგაზაფხულო წაყინვებს. ქარსაფარის მოწყობა შესაძლებელია როგორც წიწვოვანი, ასევე სხვა, სწრაფმზარდი კულტურებით.

ჩანდლერის ჯიშის კაკალს აქვს მთელი რიგი უპირატესობებისა, რომელთა გამოც იგი გამორჩეულია სხვა ჯიშებისგან, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იგი საკმაოდ პრეტენზიული მცენარეა მოვლის მხრივ, საჭიროებს მუდმივ ყურადღებას, რომ მოხდეს სწორი სხვლა-ფორმირება, მორწყვა, წამლობა და საკვები ნივთიერებების დროული მიწოდება.

სწორად ჩატარებული დარგვისა და შემდგომში სხვადასხვა ოპერაციების ჩატარების შემდეგ მიიღებთ ჩანდლერის კაკლის ინტენსიურ ბაღს, რომელიც მალევე იძლევა უხვ მოსავალს, ადვილად ფორმირდება, ხასიათდება რბილობის მაღალი გამოსავლიანობით. ნიგოზი არ ყვითლდება და არ მწარდება.

ნიადაგის შერჩევა

ნიადაგის ტენიანობა კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 45%-ს (არ იგულისხმება ატმოსფერული ნალექები), ნიადაგის ტემპერატურის ოპტიმალური მოცემულობა — 14-30*C, განათება საშუალო ან მაღალი, ნიადაგის pH — 5.8-8.0-ის ფარგლებში უნდა იყოს. კაკალი კარგად ხარობს ღრმა, ნოყიერ, თიხა-კირიან, ქვაღორღიან, ქვიშნარ, შავმიწა, თიხნარ ნიადაგებში. გრუნტის წყლის დონე არ უნდა იყოს 2 მეტრზე ახლოს.

დამამტვერიანებლის შერჩევა

ნაყოფის ფორმირებისა და უხვი მოსავლისათვის ჩანდლერის კაკალი საჭიროებს დამამტვერიანებელს, ჩანდლერის ჯიშის კაკლის საუკეთესო დამამტვერიანებელ საშუალებას წარმოადგენს ფრანგული წარმოშობის კაკლის ჯიში — ფრანკეტი ან ამერიკული წარმოშობის კაკლის ჯიში — პედრო.

აღნიშნულ ჯიშებს აქვთ ზუსტად იგივე სავეგეტაციო-ყვავილობის პერიოდი, რაც ჩანდლერს. გაშენების სქემა 9+1 სისტემით, ანუ ყოველ 9 ძირ ჩანდლერზე მოდის 1 ძირი დამამტვერიანებელი. კვების არე 7X5 ან 8X6მ.

ნიადაგის პლანტაჟური დახვნის წინ ნიადაგში შეგვაქვს ორგანული სასუქი 40—50 ტონა 1 ჰა ტერიტორიაზე და ხდება მისი დამუშავება ერთობლიობაში. იმ შემთხვევაში თუ პირველადი დამუშავებისას არ მოხდა ამ წესით ნიადაგის სასუქით გაჯერება, აუცილებელია დარგვის პროცესში ორმოებში შტანილ იქნას ორგანული სასუქი 8-10კგ ოდენობით. ნერგების დარგვის წინ ბაღის მაკრატლით ეკვეცება ფესვები, მუშავდება სტიმულატორში და ირგვება ისე, რომ ნამყენი არ მოხვდეს მიწის სიღრმეში. დარგვის შემდეგ მცენარე აუცილებლად უნდა მოირწყას 8-10ლ წყლით. სასურველია აიკრას სარზე, გადაიჭრას 50-60 სმ სიმაღლეზე. გადანაჭერზე უნდა წაუსვათ ბაღის მალამო და შევათეთროთ ძირები კირისა და შაბიამნის 2-3% ნაზავით. მოვლითი სამუშაოები იწყება გაზაფხულზე და ტარდება მთლი სავეგეტაციო პერიოდი. რა დროსაც კეთდება გაფხვიერება, გამოკვება მინერალური სასუქით, საჭიროების შემთხვევაში მორწყვა, თუმცა უმჯობესია წვეთოვანი მორწყვის სისტემის მოწყობა.

წამლობა:

1. **მოსვენების ფაზაში(კვირტების დაბერვამდე) როდესაც ტემპერატურა აღწევს 10—15*, 0,4 გრ ზეთოვანი ემულსია +1,5 გრ კონფიდორ მაქსი +5გრ ლიგნოჰუმატი 10 ლ წყალში.**
2. **კვირტების დაბერვისას: 0.25გრ კუპერვალი(ბორდოს ნარევი) +1გრ დეცის პროფი+5გრ ლიგნოჰუმატი 10ლ წყალში.**
3. **12—14 დღის შემდეგ 0,3კგ ანტრაკოლი+3გრ ზატო +1გრ კონფიდორ მაქსი +5გრ ლიგნოჰუმატი 10ლ წყალში.**
4. **12—14 დღის (დაყვავილების)შემდეგ: 0.3 კგ ანტრაკოლი +3გრ ზატო +1გრ კონფიდორ მაქსი +5გრ ლიგნოჰუმატი 10 ლ წყალში.**
5. **12—14 დღის შემდეგ: 0.3კგ ანტრაკოლი +3გრ ზატო +1გრ კონფიდორ +5 გრ ლიგნოჰუმატი 10ლ წყალში.**

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობა

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია 2π პერიოდული ფუნქცია $f: R \to R$. დავუშვათ $f \in L[-\pi; \pi]$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty} (a_n cosnt + b_n sinnt),$$

ხოლო მის შეუღლებულ ტრიგონომეტრიულ მწკრივს ექნება სახე:

$$f \sim \sum_{n=1}^{\infty} (-b_n cosnt + a_n sinnt),$$

სადაც,

$$a_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t) cosktdt, \qquad b_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t) sinktdt, k \in N.$$

მაშინ ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივის კერძო ჯამს ექნება სახე:

$$S_m(t; f) = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(y+t) D_m(y) dt,$$

სადაც

$$D_m(y) = \frac{1}{2} + cosy + \cdots + cosmy = \frac{sin\left(m + \frac{1}{2}\right)y}{2sin\frac{y}{2}},$$

რომელსაც დირეხლეს ბირთვი ეწოდება.

$\{\chi_m(t)\}_{m=1}^{\infty}$-ით ავღნიშნოთ ორთონორმირებული ჰაარის სისტემა, სადაც $t \in [0; 1]$.
ჰაარმა დაამტკიცა, რომ თუ $f(t) \in L[0; 1]$, მაშინ ფურიე-ჰაარის მწკრივი

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m(f)\chi_m(t),$$

კრებადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ შუალედზე $f(t)$ ფუნქციისკენ, სადაც

$$a_m(f) = \int_0^1 f(y)\,\chi_m(y) dy$$

მტკიცდება შემდეგი

ლემა 1. არსებობს 2π-პერიოდული $\{\varphi_n(t)\}_{n=1}^{\infty}$ ფუნქციათა მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

1. ფუნქცია $\varphi_n(t) \geq 0$, როცა $t \in [0; 2\pi]$, ხოლო ინტეგრალი
$$\int_0^{2\pi} \varphi_n(t) dt = 2 \quad (n = 1,2, \dots);$$
2. $\varphi_n(t)$ ფუნქცია $[0; 2\pi]$ შუალედში გააჩნია შემოსაზღვრული ვარიაცია.
3. ყოველ $\varphi_n(t)$ ფუნქციისთვის შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთი დადებითი რიცხვი M_n, სიმრავლე $E_n \subset [0; 2\pi]$ და q_n მთელი რიცხვი ისეთი, რომ
$$\lim_{n\to\infty} M_n = \infty;$$
$$\lim_{n\to\infty} mes\, E_n = 2\pi$$

ყოველი t წერტილისთვის E_n სიმრავლეში არსებობს $p_n(t)$ ნომერი ისეთი , რომ

$$p_n(t) \leq p_n \text{ და } \left|S_{p_n(t)}(t,\varphi_n)\right| > M_n \qquad (n = 1,2,\dots),$$

სადაც $S_p(t,\varphi_n)$– ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამია.

ამ ლემის საფუძველზე მტკიცდება

თეორემა1. (ა.კოლმოგოროვ) არსებობს$\Phi(t) \in L(0;2\pi)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი განშლადია თითქმის ყველგან.

თეორემა 2. არსებობს

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m \chi_m(t)\,, \qquad \text{სადაც } \sum_{m=1}^{\infty} a_m^2 < \infty$$

მწკრივი, რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0;1]$ -ზე.

თეორემა 3. $L^2(0,1)$ სივრცეში, ნებისმიერი $\{f_i\}_{i=1}^{\infty}$ ბაზისისთვის არსებობს $F \in L^2(0,1)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს მწკრივი

$$F(t) = \sum_{k=1}^{\infty} \alpha_k f_k(t) \quad \left(\alpha_k = (F,\psi_k)\right),$$

რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0;1]$ -ზე. სადაც $\{\psi_k\}$, არის $\{f_k\}$ სისტემის შეუღლებული სისტემა.

ლიტერატურა

1. П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.
2. Л. В. Жижиашвили некоторые вопросы теории тригонометрических рядов Фурье и их сопряженных Издательство Тбилисского университета 1993г.

ინტერვიუ

ეკა ბრეგვაძე
ჟურნალ ,,მეოხის" კორესპოდენტი.

,,უბრალოება სიბრძნეა ჩემი!"

როდესაც ბატონ თემურ გოგსაძესთან, ამ ინტერვიუსთვის მომზადება დავიწყე, უამრავი ინფორმაცია მოვიძიე, მრავალ დოკუმენტს გავეცანი...

მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი გენეტიკური ნათესავია, ჩემი ოჯახისა და ჩემი მასწავლებელ-მეგობარია და მეგონა, რომ კარგად ვიცნობდი, აღმოვაჩინე, რომ თითქმის არაფერი მცოდნია მის შესახებ.

სხვადასხვა პერიოდის, პირადი არქივის ზერელე გაცნობამაც კი დამარწმუნა, რომ ერთ ინტერვიუში შეუძლებელია სრულად წარმოაჩინო მისი პიროვნულ-პროფესიული მრავალფეროვნება.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, ჩემის აზრით,განსაკუთრებულ და გამორჩეულ მოვლენებზე გავაკეთო აქცენტი და მკითხველს რამდენადმე სრულყოფილი წარმოდგენა შევუქმნა, ამ უნიკალურ მოღვაწესა და ძალიან უბრალო ადამიანზე.

აკი, თვითონაც ამბობს, ერთ-ერთ ლექსში – ,,უბრალოება სიბრძნეა ჩემი!"

მეც ამ ფრაზას ჩავეჭიდე და პირველი კითხვაც დაიბადა:

– ბატონო თემურ, რას ნიშნავს თქვენეული ,,უბრალოების სიბრძნე?"

– უბრალოების სიბრძნე, ღვთაებრივ თავმდაბლობასა და გარესამყაროსადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაში გამოიხატება!

კოსმიურად ტევად ქართულში,უნიკალურია სიტყვა – **უ-ბრალ-ო !** რაც სამართლებრივი ენით,რომ გითხრათ ბრალის გარეშეობას ნიშნავს. ამ კანონიკითაც, უბრალოება-უფალთან, სამშობლოსთან, ოჯახთან, მოყვასთან, ღირსებასთან, მომავალთან, ბრალის გარეშე ცხოვრებას ნიშნავს!

ამიტომაც,ბრძანებს,უძველესი ქართული სამართალი – **,,ხოლო უბრალოთა მოიპოვონ გზაი სამოთხისა და არა,ჩინისა და ვერცხლისა მოყვარულთა...**

– შთამბეჭდავია! ამ სიტყვებმა, თქვენი მუდმივი პაექრობა გამახსენა უცხოელ კოლეგებთან. თქვენს გამოსვლებში, მუდმივად ხასგასმით საუბრობთ ძველი ქართული სამართლის ღირსებებზე.

– მე ამას პაექრობას არ დავარქმევდი, ბევრისთვის ეს შეხსენებაა, ზოგიერთისთვის სწავლება და მთლიანობაში იმის საფუძვლიანი დემონსტრი, რომ ჩვენი ქვეყანა და ქართველი ერი უუძველესი სამართლებრივი აზროვნებისა და კულტურის სამჭედლოა!

ბუნებრივია, უზარმაზარია, ჩვენი უცხოელი მეგობრების დამსახურება, თუმცა ჩვენც ვამდიდრებთ დანარჩენ, კულტურულ კაცობრიობას,ჩვენი გამორჩეული ღირებულებებით.

– თქვენის ნებართვით, ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა გელდიის წარმომადგენელ–რობერტ ლამონტის შეფასება უნდა წარვუდგინო მკითხველს!

– კეთილი.მანამდე ვიტყვი,რომ რობერტ ლამონტი საქართველოს მეოცე საუკუნის 90–იან წლებში სტუმრობდა საქმიანი მისიით და იმდროინდელ იურდიულ საზოგადოებას მნიშვნელოვანი თანადგომა გაუწია! ის რეგულარულად ესწრებოდა ჩემს პროცესებს და ეს არჩევანი მან თვითონვე გააკეთა.

მე დღემდე ვმეგობრობ მასთან!

– წარმომიდგენია, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისი შეფასება, არამარტო თქვენთვის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისათვის.აი,როგორ გაფასებდათ რობერტ ლამონტი:

,,...ჰოლივუდის დრამატიზმს დაუმატეთ უფრო მკაცრი რეალობა – შეიარაღებული პირების ზეწოლის ქვეშ – მიმდინარე სასამართლო სხდომები და ამ ფონზე – უპრეცედენტო პრინციპულობა, ფაქტების, მოვლენების, მტკიცებულებების, ლოგიკური დალაგებისა და გადმოცემის, ზუსტი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასების უნიკალური უნარი და დახვეწილი ორატორის მანერები.

პროფესიონალი ადვოკატისათვის, ეს ჩვეულებრივი რამ არის, თუმცა, საქართველოში, საამისო გარემო არ არის და საოცარია, როგორ მოახერხა, ასეთი ზრდა, ამ ახალგაზრდა კაცმა?!"

– ბუნებრივია, ნებისმიერ ადამიანს ესიამოვნებოდა ამგვარი შეფასება,და არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. თუმცა ბატონ რობერტ ლამონტს, ოფიციალურ თუ პირად საუბრებში განვუცხადე, რომ ქართული ადვოკატურის ფესვები, უძველესი ქართული სამართლიდან მომდინარეობს და რომ „მეოხთა" (დამცველთა) ინსტიტუტი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა... და რომ **„შემდგომად მეოხთა ქმნეს სამართალი კაცთა მეოხებისა საყოველთაო".**

დააკვირდით,თანამედროვე გაგებით, განა ეს საერთაშორისო სამართალი არ არის?!

– დარწმუნებული ვარ,აქედან იღებს სათავეს თქვენი ჟურნალისა და იურდიული კომპანიის სახელწოდებაც?

– რა თქმა უნდა! მე გავაცოცხლე მრავალ მნიშვნელობატევადი სიტყვა ,,მეოხი" და ახლებური ელვარებით დავუბრუნე ის საზოგადოებას!

მეამაყება, რომ ,,ადვოკატი–მეოხი" საქართველოს ჟურნალისტიკის და სამართლის ისტორიაში პირველი თავისუფალი, დამოუკიდებლი სამართლებრივი ჟურნალია,რომელიც იცავს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს!

ხოლო იურდიული კომპანია, აღმოუჩენს მათ პრაქტიკულ დახმარებას,როგორც ადვოკატი,ექსპერტი. პირველად საქართველოში ჩვენ დავამკვიდრეთ საკონტრაქტო სამართალი. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში დაკავების ან სხვა პრობლემების არსებობისას, ნებისმიერ ტერიტორიაზე ვემსახურებით 24 საათის განმავლობაში.

ჩვენი ჟურნალი პერიოდულად გამოსცემს იურიდიულ ლიტერატურას, ლექსიკონებს, ნორმატიულ აქტებს, კომენტარებს, ახალ კანონმდებლობას, რაც მთავარია, საქართველოში, არცერთ სფეროში, სამართლებრივი რეფორმა, არ განხორციელებულა, ჩვენი წვლილის გარეშე.

– უშუალოდ საადვოკატო საქმიანობაზე რას გვეტყვით?

უკანასკნელი ათწლეულების ყველაზე გახმაურებული და სკანდალური საქმეები მე მიყავდა.მათ შორის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მისი მომხრეების საქმეები. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ტერაქტის საქმე. დავით გარეჯის საქმე, აფხაზეთის ომის შემსწავლელი კომისიის შემადგენლობაში ყოფნისას სხვადასხვა საიდუმლო საქმეები და უამრავი სხვა...

ოცდაათწლიან საადვოკატო საქმინობაში შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა.

– ცნობილია, რომ თქვენ, პირველი ქართველი ადვოკატი ხართ, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში ადვოკატის სტატუსისთ მოღაწეობს. გვიამბეთ, ამ ისტორიული ფაქტის შესახებ?

– ჩემი მოგვარის – ხათუნა გოგსაძის უკანონო მსჯავრდების გამო, საბერძნეთის სააპელაციო სასამართლოში გავემგზავრე, როგორც უფლებადამცველი, ევროსასამართლოს საჩივრის მომზადების მიზნით. მოხდა ისე, რომ იმ დროს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. მეც ეს შანსი ხელიდან არ გავუშვი და მართალია, დიდი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ მაინც დამიშვეს ადვოკატად. წარმატებამაც არ დააყოვნა და უკანონო პატიმრობაში მყოფ ქალბატონს, ჯერ მუდმივი პატიმრობის სასჯელი მოვუხსენით, ახლა კი,მის სრულ გათავისუფლებაზე ვმუშაობთ. ამას მოჰყვა პროცესები–სერბეთში, მაკედონიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და გერმანიაში.

– და ამის გამო,გადმოგცეს ადვოკატთა უმაღლესი ორდენი,არა?

– არა,ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი მანამდე მივიღე,რომელიც ევროპის ასოციაციის პრეზიდენტმა – მარია სლაზაკმა გადმომცა. ,,ევროპაში გასვლისთვის“ კი ალბათ,ილია მართლის ორდენს მივიღებ!(იცინის!)

– ბატონო თემურ,გასული წლის დეკემბერში თქვენ აგირჩიეს მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად,როგორი იყო გზა,ამ უმაღლეს სამეცნიერო აღიარებამდე?

– გადაჭარბებულად თუ არ ჩამეთვლება ვიტყვი, რომ სკოლის პერიოდიდანვე ვმონაწილეობდი ოლიმპიადებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. ასევე გაგრძელდა უნივერსიტეტში. ყველაზე ღირებული კი, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იურდიული სამსახურის ხელმძღვანელად მოღვაწეობა.

იურდიული და ადამიანის უფლებათა სფეროს აკადემიკოსი,ამჟამად ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტიც ვარ და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაკვეთით ვმუშაობ სახელმძღვანელოზე – **,,ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება“.**

რაც შეეხება,ამ აკადემიის მიერ გაცემულ აკადემიკოსის დიპლომის საერთაშორისო კომპეტენციას, წლის ბოლომდე,ევროკავშირის შვიდი ქვეყანა ცნობს.

– და მაინც რას ნიშნავს თქვენთვის აკადემიკოსობა?

– უპირველესად, ეს არის უზარმაზარი პასუხისმგებლობა,შენი ქვეყნის ,მეცნიერული პოტენციალის ასამაღლებლად, ინოვაციური და კრეატიული აზროვნების დასამკვიდრებლად და მეცნიერული აზრის პრაქტიკაში დამკვიდრების და გამოყენების თვალსაზრისით.

– ბატონო თემურ,ახლა კი მოდით,თქვენი წარმოშობის ,განათლების და ოჯახის შესახებაც გვიამბეთ?

– დიდი წარმოშობა დიდუბული რაჭიდან მაქვს.გოგსაძეების შტო სრულიად საქართველოში განსახლდა. მე იმერეთის სამეფო კარზე გადასულთა შთამომავალი ვარ. დღემდე ტკივილად გვაქვს 1924 წლის აჯანყება,შორაპანში უამრავ ადამიანებთან ერთად, ჩემი სისხლი და ხორციც დახვრიტეს.

დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც დავეუფლე ჟურნალისტის, იურისტის, ეკონომისტის სპეციალობებს. ვმუშაობ სამივე სპეციალობით. ჩემი საადვოკატო და სამეცნიერო–პედაგოგიური საქმიანობა შეხამებულია, როგორც იურდიულ, ისე ეკონომიკურ საქმიანობასთან. როგორც ჟურნალისტი კი, დიდი ხანია ვმოღვაწეობ ქართული პრესის ლიდერებთან. ტელევიზიასა და ახალი ამბების სააგენტოებში, როგორც ზემოთაც ვისაუბრეთ, ვარ ჟურნალ ,,ადვოკატ–მეოხის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი.

მყავს იურისტების ოჯახი, სამი შვილი და ჯერჯერობით სამი შვილიშვილი მყავს.

– იცნობდით თუ არა ბატონ, ჯუმბერ ლეჟავას და რამდენად ამართლებს მისი სახელობის აკადემია დღევანდელ პირობებში თავის დანიშნულებას?

ბატონ, ჯუმბერს მთელი მსოფლიო იცნობდა. მე მქონდა, ბედნიერება მევარჯიშა კიდეც ამ ლეგენდა–ადამიანთან ერთად. დღემდე მრჩება შეგრძნება, რომ მას უცხოეთში უფრო აფასებენ, ვიდრე ჩვენთან. თუმცა, მისი სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის დაარსება უნიკალური და ისტორიული ფაქტია.რაც შეეხება საკუთრივ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას,გასაოცარია ჩვენს პირობებში,როგორ ახერხებს ამდენს!

ჩემთვის, როგორც მეცნიერებათა აკადემიის სივრცეში კარგად გათვითცნობიერებულისათვის, ცნობილია ყველა ის სიძნელე, რომელიც უმძიმეს გამოწვევად დგას მეცნიერული საქმიანობის წინაშე.

სახელმწიფო,პრაქტიკულად არ ეხმარება მეცნიერებას,ამიტომ შესაშურია ამ აკადემიის მოღვაწეობა.

– რას იტყვით ჟურნალ ,,ათინათზე", მის რედაქტორზე,ქალბატონ, გულნაზ ხარაიშვილზე?

– ჟურნალ ,,ათინათს" უფრო ადრე ვიცნობდი, ვიდრე ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს.

ჟურნალი, ყოველ ახალ გამოცემაში იზრდება და იხვეწება. გამოირჩევა მრავლფეროვანი და აქტუალური თემატიკით, სიღმისეულობით და რაც მთავარია სიყვარულით.

ყველაფერ ამის შემოქმედი კი, მისი რედაქტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილია, რომელიც შეუძლებლობების შესაძლებლობებად გარდაქმის უნიკალურ უნარებს ფლობს და სასწაულებს ჩადის–საზოგადოებისთვის, სამშობლოსათვის და ნიჭიერი ადამიანებისათვის!

– როგორ უთავსებთ,თავბრუდამხვევ პროფესიულ საქმიანობას–სპორტსა და შემოქმედებას, ან თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?

– მორაგბე ვარ და დროს მისთვის ვათავისუფლებ. მეამაყება, რომ ამ დიდი და

ღირსეული ოჯახის წევრი ვარ და სამშობლოს გამარჯვებებს ვჩუქნით.

ძალიან მიყვარს პოეზია. სამი პოეტური კრებულის – ,,ლოცვასავით თქმული", ,,მონანიების მელოდია" და ,,სიყვარულის მარადისობა" – ავტორი ვარ,კიდევ უფრო მეტად მიყვარს –ხატვა. ჩემი რამდენიმე საავტორო ნამუშევარი არის იტალიაში, აშშ–ში, ისრაელში, თურქეთსა და აზერბაიჯანში. საერთოდ ხელოვნებით ვცოცხლობ.და არის კიდევ უმთავრესი – ჩვენი შორეული წინაპრისა და უსახელო მოძღვრის აღთქმა უნდა, აღსრულდეს–იმერეთში, სოფელ ბიღაში, საელიოს მთაზე, წმინდა ელიას სახელობის ეკლესიის მშენებლობის ორგანიზება დავიწყე.

პატრიარქის ლოცვა–კურთხევითა და ღვთის შეწევნით – ტაძარი უსათუოდ აღიმართების!

– ყველაზე დიდი სურვილი,რომელიც ამჟამად გაქვთ?

– მინდა, საბერძნეთის ციხეში, უკანონოდ გამომწყვდეული სოხუმელი გოგონა გავათავისუფლო და მასთან ერთად სოხუმში ვიცეკვო ტანგო!

უფალს ვთხოვ, იბერია გამთლიანდეს და ჩვენს სამშობლოში სიყვარული მოვიდეს,დამკვიდრდეს და არასოდეს არ დარჩეს ორ ადამიანს შორის სიძულვილის ადგილი. ჭეშმარიტი სიყვარული იყოს ჩვენი ყოველი ხვალის განმსაზღვრელი, ვინაიდან ხსნა ჩვენი სიყვარულშია!

– და ბოლოს, რას უსურვებდით მომავალ თაობას?

– თავისუფლებას, თავისუფლებისათვის ბრძოლას, თავისუფალ აზოვნებას, ღირსებას, გონივრულ შრომასა და კეთილშობილებას!

ნორჩი ათინათელები

ლიზი ნადირაშვილი

საამაყო ქართველები აშშ-დან
ინტერვიუ ნიკოლოზ და ალექსანდრე სუხიაშვილებთან

ოჯახი არ არსებობს საქართველოში ვისაც სულს არ უშფოთებს აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ტკივილი რომელსაც დრო ვერ კურნავს და სიშორე ვერ აუფერულებს... ტკივილი, რომელიც ფანტომის დარად თან გდევს ჩრდილივით ადევნებული უსაზღვრობის ოთხივე მხარეს...

ოჯახი, რომელზეც მოგითხრობთ აფხაზეთიდან შორს, უკვე მეორე ემიგრაციაში იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახალგაზრდა წყვილი – გიორგი სუხიაშვილი და ხათუნა გადრანი ქ, სოხუმიდან აფხაზეთის დაცემის შემდეგ ქ. თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, ზუსტად აქ, 2008 წლის 29 ივნისს მოევლინა ქვეყანას მათი პირველი ვაჟიშვილი – ნიკოლოზ (ნიკო) სუხიაშვილი, 2009 წელს კი ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრძელებს ცხოვრებას სადაც შეეძინათ მეორე ვაჟიშვილი -- ალექსანდრე (სანდრო) სუხიაშვილი.

პატარა ქართველები ნიუ-იორკის შტატში, ქ. ქვინსის ქართველი ებრაელებით დასახლებულ ერთ-ერთ ცნობილ უბანში – რეგო პარკში იზრდებიან, რომლებმაც არაერთგზის ასახელეს საქართველო და ქართული დიასპორა.

ნიკოლოზი და სანდრო თავიდანვე გამოირჩეოდნენ ნიჭიერებით, რის გამოც მოხვდნენ ნიჭიერთა კლასში და არაერთხელ იყვნენ დასახელებულნი სკოლის საუკეთესო მოსწავლის ტიტულით, სხვადასხვა საგნებში ჩატარებული კონკურსის შედეგად კი მიღებული აქვთ უამრავი სიგელი.

ბიჭების წარმატებას თვალსაჩინოს ხდის მათი ჭადრაკის მიმართ ინტერესი და ნიჭი, რომელთაც, ბავშვობიდანვე მამა – გიორგი სუხიაშვილი ასწავლიდა.

– ნიკო, მოგვიყევი, როდის და როგორ დაიწყე ასპარეზობა როგორც მოჭადრაკემ?

ნ.ს. – 2016 წლის 7 თებერვალს მონაწილეობა მივიღე პირველ ტურნირზე სადაც დავიკავე I (პირველი) ადგილი და გავხდი პირველი თასის მფლობელი.

2017 წლის 4-5 თებერვალს კი გაიმართა კასპაროვის სახელობის საჭადრაკო ჩემპიონატი სადაც დავიკავე II (მეორე) ადგილი და თავად კასპაროვისგან გადმომეცა სამახსოვრო ავტოგრაფი...

– რას გვეტყვით ნიუ-იორკის შტატის მიერ ჩატარებულ ჩემპიონატზე?

ნიკა.ს – 2017 წლის მაისში ჩატარდა ნიუ-იორკის მერის სახელობის ჩემპიონატი, სადაც ავიღე I (პირველი) ადგილი და გადმომცეს ნიუ-იორკის მერის სახელობის თასი და როგორც პირველი ადგილის მფლობელი მომენიჭა „ქალაქში საუკეთესო“-ს ტიტული – „BEST IN THE CITY”.

ასევე სარატოგა სფრინგში, 2018 წლის მარტში გაიმართა ნიუ-იორკის შტატის ჩემპიონატი, სადაც მე და ჩემი ძმა სანდრო შევედით ნიუ-იორკის შტატის ასაკობრივ კატეგორიის საუკეთესო ათეულში და ორივე გავხდით თასის მფლობელები.

ამავე წლის დეკემბერში კი I (პირველი) ადგილი დავიკავე სასკოლო ტურნირის ღია ჩემპიონატში.

სანდრომ ჭადრაკის სწავლა ხუთი წლის ასაკში დაიწყო და ერთ წელიწადში საკმაოდ დიდ რეიტინგს მიღწია – იგი ექვს წლამდე ასაკის ბავშვებში რეიტინგით მეექვსე ადგილს იკავებდა მთელი ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით.

ჭადრაკს ბავშვობიდანვე მამა გვასწავლიდა, ბოლო ერთი წელიწადია, რაც სკაიპით გვეხმარება საქართველოს ქალთა ოლიმპიური მეორე ნაკრების მწვრთნელი – პარმენ გელაზონია.

ქადრაკის გარდა თუ ხართ დაკავებული რაიმე სპორტით ან ხელოვნებით?

ნიკა. – ვეუფლებით ქართულ-ხალხურ ცეკვებს T.K. ART SCHOOL (თი-ქეი ხელოვნების სკოლა)-ში ჩვენ უსაყვარლეს ქორეოგრაფ – თეა კანდელაკთან. ქართული ცეკვების გარდა ვმუშაობთ პროექტზე ემიგრანტი ბავშვებისთვის – „ვითამაშოთ ქართულ ანბანთან ერთად“.

პარალელურად გამიჩნდა ახალი ჰობი, ვქმნი ელექტრონულ მუსიკას... რომელიც განთავსებულია youtube-ზე – i slsts songs.

სანდრო.ს – I'm proud (მეამაყება) რომ ამერიკაშიც ვსწავლობთ ქართულ ცეკვებს და გვაქვს ურთიერთობა ქართულ ენოვან ბავშვებთან.

2019 წლის 8-10 მარტს ქალაქ სარატოგა სფრინგში იმართება ნიუ-იორკის შტატის საჭადრაკო ჩემპიონატი, სადაც მეც და ნიკოც ვიღებთ მონაწილეობას და დიდი იმედი გვაქვს გამარჯვებისა...

სამომავლო გეგმებზე დასმულ კითხვას კი ერთხმად უპასუხეს, მათი დიდი სურვილი გამომგონებლობაა... რა ვიცით, იქნებ ზუსტად ამ პატარა ემიგრანტების ინოვაციამ შეცვალოს სრულყოფისკენ მომავალი ...

იმედია 2019 წლის ჩემპიონატიდან ძმები გამარჯვებულები, თასებით დაგვიბრუნდებიან. მინდა წარმატებები ვუსურვო პატარა ქართველ ემიგრანტებს და მშობლიურ აფხაზეთში დაბრულება.

02/24/2018, ნიუ-იორკი აშშ

გახსენება

ალიკა ცერაძვილის ეახლენება

როს დედაჩემი შეგხვდებათ გზაზე

ჩემი შვილის ნათელ ხსოვნას

უეცრად სენმა დამრია ხელი...
და სამი კვირა ვებრძოდი სიკვდილს.
ქრისტე მიკვლევდა ზეცისკენ სავალს,
ქრისტესთან ხომ არ შევჭამდი სირცხვილს.
წავედი გამყვა სუყველას დარდი,
დედა დავტოვე თვალცრემლიანი,
ლანდივით დადის, ვით ცოცხალ-მკვდარი,
ჩაუქრა ჩინი, თვალთა ციალი.
თავზე დააცხრა ღრუბელი შავი,
სიცოცხლის წყარო შეუწყდა სხეულს.
ბნელ უდაბნოში დაჰკარგა თავი,
მღვრიე ტალღები ერევა ეულს.
შემოჯარვია წუხილი, ურვა
მწარე ტკივილით არის პყრობილი,
გამშრალი ქალი, მუჭისოდენა,
საფლავზე არის თავდამხობილი.
მწუხრით გაივსო ის მყუდრო ბინა,
თბილი კედლები გაცივდა ერთობ.
სხეულში ყინვა ჩაუდგა მცივანს,
მდუღარე ცრემლით ასველებს ბექობს.
საბნის მაგიერ ახურავს მწუხრი,
ლების მაგიერ შავი ნისლები.
ველარ ერევა უმძიმეს წუხილს,
ცის სიღრმეს ზვერავს დედის ფიქრები.
საბრალო შვილი დავტოვე ობლად,
ვერ გავუწიე მამობა ტკბილი...
მიმზერდა ხოლმე რიდებით, მორცხვად,
მისი თვალები მზესავით თბილი.
ახლა კი დადის, დამეძებს ყველგან,
დღისით თუ ღამით, სიზმარში, ცხადში.
ნეტავი მართლა მე შემძლებოდა,
არ გამეხვია უცნაურ კვამლში...
აწის ზეციდან ვილოცებ მისთვის
და სული ჩემი მოგძებნით ყველას,
ორი სიტყვაც კი არ მითქვამს დისთვის,
ვიცი მწუხრისგან ზღვასავით ღელავს.
მინდა, რომ ცრემლი შეიშროთ თვალზე,
სიკვდილს არა აქვს თავი და ბოლო.
როს დედაჩემი შეგხვდებათ გზაზე,
გთხოვთ, უნუგეშოდ არ დამიტოვოთ.
მთელი ცხოვრება რასაც ვეძებდი,
დედის თვალებში ვიპოვე მხოლოდ.
როდესაც სასმისს აიღებთ ხელში,
გულწრფელად მინდა რომ მომიგონოთ.

2019წ. 02 იანვარი
შენი გულმკვდარი დედა.

შვილის მონატრება

ჩემო სიცოცხლევ და სულის ერთავ,
ცხოვრება ვლიეთ ტანჯვა-წვალებით.
დილით სარკის წინ ვიდექით ერთად,
ერთურთს სარკეში შევხვდით თვალებით.
რას ვიფიქრებდი თუ დამტოვებდი,
იმ დღეს სიცოცხლე ჩამიქრებოდა.
ბედი – მწარე და ბედი – მუხთალი,
დედა-შვილს ასე დაგვაშორებდა.
შენზე ვინ მითხრა... აღარ არისო...
ეს ვინ მაუწყა, იმ ცოდვით სავსემ.
მას შემდეგ გული გლოვით ამევსო,
არ შემშრობია ცრემლები თვალზე.
სადაც კი წავალ, დამყვები ყველგან,
დაჰყვები დედის უმწეო აჩრდილს.
კვლავ ყავარჯენად უდგეხარ დედას,
ამ წუთისოფლით ნატანჯს და დაცლილს.
ვერ ვიტან იმ დღეს, შენ რომ არ
მყავხარ...
და ჩემი გული ყოველდღე კვდება...
შენი სურათი დევს სასთუმალთან,
შენი სამოსი კვლავ გელოდება.
დარდებით სავსე ხურჯინი დამაქვს,
გონების თვალი მიმიძღვის მზისკენ.
უკვე სიცოცხლის სურვილი არ მაქვს,
მთელი სისწრაფით მივილტვი ცისკენ.
რარიგად ვჩქარობ, მოვიდე შენთან,
მინდა გიამბო აქის სიზმარი...
შემეგებები ცის კარიბჭესთან,
ვითარც ერთგული უფლის მციხარი.
შემოგხვევ ხელებს, ჩაგიკრავ გულში,
და შევიმეცნებთ ციურ მზისობას,
სულთა ერთობით ვიფრენთ ზეცაში,
შევუერთდებით მარადისობას.

სიკვდილიც კი ჩაფიქრდება წამით

ეს ზამთარი მიიწურა თითქმის,
გაზაფხულის მოსვლას ელის მთები.
რა გაჩერებს, ბიჭო, ახლა გარეთ,
როცა დედას ასე ენატრები.
შენი თვალით შევხაროდი აისს,
მიხაროდა გაზაფხულის მოსვლა...
მე უშენოდ როგორ შევხვდე მაისს,
შენი წასვლით ვიტანჯები როცა.
გაზაფხული შემოლეწავს კარებს,
და სიცოცხლეც ამღერდება ხევში.
შენ შემორჩი ჩემს უჩინო თვალებს,
და სურათი მიცახცახებს ხელში.
გაიშლება ყვავილები ველად,
ყვავილებში იჭიხვინებს ქარი.
ვინც მიყვარდა სიცოცხლეზე მეტად,
ის წავიდა და დამტოვა მკვდარი.
ძველებურად ისევ გელი, თრთოლვით,
თეთრ ღამეებს შენს ლოდინში ვწველი.
ამ უმწეო, შეკვეცილი ფრთებით,
ვწვალობ, მაგრამ მაინც დაგეწევი.
დედის ცრემლებს ბილიკებზე გავშლი,
ცის სიღრმეში მოგიძიებ თვალით,
მერე, ისე ჩაგიხუტებ მკერდში,
სიკვდილიც კი ჩაფიქრდება წამით.

ლამზირა შეყილაძე

ნანა ყალიჩავა

ალიკ

შენი ღიმილი შემორჩა სურათს,
რომელიც თითქოს რაღაცას მალავს...
წახვედი, სადღაც გაუჩინარდი,
როგორ დააკლდი მშობლიურ ქალაქს!
ბედს ალბათ ქვეყნად ვერავინ შეცვლის,
შენც ხომ იცოდი დარდის დათმენა...
ხელები ფრთებად გაშალე ერთხელ,
გეჩქარებოდა ცაში გაფრენა.
თითქოს მაგიურ წრეს გააღწიე...
და ახლა ალბათ ღმერთთან საუბრობ,
შენ სხვაგან ყოფნა არჩიე ალიკ,
ცაში მონახე შენი საუფლო.
დედაშენს ლამზოს რომ ეძახოდი
ვინ გადააჩვევს დარდებს და ლოდინს,
ახლა არ არის დედა შენს ახლოს
და ანგელოზი გისწორებს ლოგინს.
შენი ღიმილი შემორჩა სურათს,
რომელიც ალბათ რაღაცას მალავს.

უნდა გაუძლო შენ ამ განსაცდელს.

ჩემს უსაყვარლეს მეგობარს
ლამზირას

ახლა შავები გიფარავს სხეულს
და უსასრულო დარდებით დაღლილს
უფალს თხოვ, ხშირად გასიზმროს შვილი
შენ შველას ისევ მოელი მაღლით.
მოდიხარ სანთლით და ყვავილებით
იქ, შენი შვილის არჩეულ სახლთან,
მუხლზე დამდგარი კითხულობ ლოცვებს
და წითელ ვარდებს დაუწყობ თავთან.
დილის ცვარია შენი ცრემლები
და საოცარი სხივით ციმციმებს...
აქ სიჩუმეა და მარტოობა
გაუსაძლისი, ზამთრის სიცივე.
უნდა გაუძლო შენ ამ განსაცდელს.

გულნაზი ხარაიშვილი

ალიკს

შენგან მორთმეული ვარდები ალიკ,
დაჭკნენ და ახალს ველი საჩუქრად...
შემომახვიე სიმწუხრის ალი,
და იმედებმა სულმთლად გამქურდა.
უთქმელ დედიკოს ცრემლი ჩამოსდის,
უსასრულობის ზეცით მივფრინავ...
მზე შენი ჩადის, აღარ ამოდის,
შენ მინდობილხარ ბედის თვითმფრინავს.
სოფოს და მერის გულისტკივილი
ერთნაირია თან უცნაურიც...
მათ ენატრებათ შენი ღიმილი...
წყნარი და მშვიდი გულის ხმაური.

მზევინარ ჯუმუტია – სოხუმი

ჩემო ძმაო ოთარ!

ახლოვდება მეორმოცე დღე - უშენოდ. რაც დრო გადის უფრო მეტად მენატრები და მაკლიხარ, აკლლიხარ ყველას, შენს ოჯახს, შენს შვილიშვილებს. შენი ცუდი არავის არ ახსენდება. კარგის მეტი. რატომ არ დაგინდო ულმობელმა სიკვდილმა. რა უსამართლობაა. ნაადრევად წახვედი იმ ქვეყნად. ძალიან დამწყვიტე გული, ერთი შენ მყავდი დარჩენილი ოთხი დედ-მამიშვილებიდან. დამიტოვე დარდი და წუხილი. ჩემი მოურჩენელი ტკივილი ხართ სამივე და-ძმანო.

შენს და-ძმასთან ირჩიე სამუდამო ცხოვრება. მხოლოდ მანძილია შორი - აფხაზეთი. მე დამტოვეთ მარტო კენტად. ვიცი არ გინდოდა სიკვდილი. მაგრამ არ გეღირსა შენს მიწა-წყალზე დაბრუნება. სამაგიეროდ ჩემო ოთარ პირობას გაძლევ, უფრო მალ-მალე მოვალ შენს სასაფლაოზე. მადონა და მურმანის საფლავები აფხაზეთშია. აგრეთვე დედას და მამას. შორიდან ვტირი, ვეფერები მათ საფლავებს. ჩემს გულში სამუდამოდ დარჩებით ტკივილად.

დაიძინეთ მშვიდად სამუდამო სასუფეველი თქვენ ოთარ, მადონა, მურმან.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ.

ლოდინი

დღე დაბადებისა მოდის,
შენი აპრილი დედა...
ვერ ვუძლებ ამდენ ლოდინს,
დღეები მიმოკლდება,
ტკივილით როცა გშობდი,
სიხარული იყო შვილო...
ცრემლები... როს დამშორდი,
მითხარი ვის ვუჩივლო.
გაურბი დარდსა და წუხილს,
სხვა გზა არც დამიტოვე...
ყურს ვუგდებ გულის ქუხილს
დარდები დამათოვე...
მწარედ ამეწვა ყელი,
თითქოსდა ვიღაცა მახრჩობს...
მერე ღვთის ძალა მშველის,
და ჩემში უჩინმაჩობს.
ლანდი გაქრება წამში,
სიმშვიდე მეუფლება –
გავრბივარ წვიმას და ქარში,
სადაც ხმა მეგულება.
მესიზმრე, ვის აქვს ბრალი,
ექიმს თუ ბედისწერას...
და ვაი მისი ბრალი,
და მისი ჯვარისწერა,
როგორ შეგელიე შვილო,
ანდა დარდს როგორ ვუძლებ...
ხან ვფიქრობ ვიშიმშილო,
რომ შენს გზას გამოუდგე.
მაგრამ სხვაცა მაქვს ტვირთი,
რადგან ვარ დარდის შვილი,,
შენც უცებ გამიფრინდი,
როგორც ის მამიშვილი.
ბეჟან, ლევანი, იუზა,
ჩემი ძმებია დედი..
ბეჟან თვითონაა მუზა,
მისთვის დარდს შევაბერდი.
ოჯახი შევქმენ შრომით,
უღალატო და წმინდა,
არ მაკლდა წვიმა, თქორი,
შვილიც ცას გამიფრინდა.
რას არ დავთმობდი შენთვის,
რომ კვლავ მეხილე აქეთ,
იმედს ფიფქები ერთვის
ვამკლევ და ვამკლევ ნამქერს
ვიცი შენ მაძლევ ძალას,
შენ იცი ჩემი ფასი...
ვიქეცი ამორძალად,
გულს მოვაცილე ხავსი...
რას მომწყდი თვალზე ცრემლო,
არა სთქვან, რომ ვარ სუსტი...
გულო, რკინავ და გრდემლო,
გელას ჩვენ სახლში ვუცდით.
მერე ცას როცა ავალთ,
შეგვეგება გელა...
აქ ვიქცეთ სხვისთვის წამლად,
სხვებსაც ხომ უნდა შველა,
ჩაყორნისფერდა დღენი,
ღრუბლისებური ფერით
გასამხნევებლად მღერი,
და ჩემს ტკივილებს ვმალავ.
ასე ყოფილა ოდით,
დედა-შვილს მამულს უზრდის,
სისხლი ძუძუდან მოდის,
ცრემლი თვალებში უდუღს.
მინდა გადვიქცე ყველას
დედა და მამაშვილი –
ბოლოს მანდ მოვალ, გელა,
მად მოვალ, ფრთებგაშლილი!

გულნახ ხარაიშვილი

კლავდია და ბახვა სამხარაძეებს



ტკბილმოჟღურტულე ცოლ-ქმარს გაღმერთებთ,
გულით გლოცავთ და გესათუთებით,
აგაცდენთ ღმერთი დარდის აღმართებს,
სულში გინთიათ ელნათურები.
მადლით ვივსები თქვენ სიახლოვით,
რადგან ეს გული დანათუთქია.
თქვენახართ ჩემი სიმშვიდის ხომლი,
თქვენი სიკარგე სხვებსაც უთქვიათ.
ტრადიციული მინდა სხვაც იყოს,
მოდის ამყოლებს ლექსებით ვძრახავ...
ჩვენი რაც გვქონდა არ ამოძირკვონ.
მინდა მოგბაძონ სუყველამ ბახვა...

ეს ღამაზი ცოლ-ქმარი წლებმა და ბედისწერამ დააშორა. ქალბატონი კლავდია ცათა სასუფევეელიდან ლოცავს მეუღლესა და შვილებს (შვილიშვილებს). ქალბატონო კლავდია და ბახვა სამხარაძე არიან ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრები.

აკადემია ბატონ ბახვას უსურვებს გამძლეობასა და მოთმინებას.

მილოცვა

მილოცვა

ბატონო რეზო, გილოცავთ იუბილეს!

უმორჩილესად გთხოვთ, თავს გაუფრთხილდეთ! თქვენ დიდხანს უნდა ჰყავდეთ საქართველოს.

უფალს ვთხოვ თქვენს დღეგრძელობას!

დავესესხები ბატონ რევაზ მიშველაძეს: მართლაც დიდი ბედნიერებაა, რომ თქვენ ცხოვრობთ საქართველოში.

ახალგაზრდობაში სურამში მინახავს ის პატარა, თეთრი ოთახი, სადაც დგას ერთი უბრალო, რკინის საწოლი და სადაც იწვა სულით ავადმყოფი ტერენტი გრანელი. ვეძებდი გრანელზე მასალებს. განსაკუთრებით ჩემი სამაგიდო წიგნი გახდა ლერი ალიმონაკის წიგნი. თითქოს გული მიგრძნობდა, ტერენტი გრანელის პოეზიას ბავშვებსაც რომ ვაყვარებდი.

და ჰა, ეს ინტერესი გააძლიერეთ თქვენ, ბატონო რეზო! დიდი მადლობა ამისათვის. თქვენს წიგნს ყველას ვაკითხებდი. ასე მეგონა, ჩემსავით აინტერესებდა სხვასაც. კადნიერებაში არ ჩამითვალოთ, ჯერ კიდევ არ იცნობენ ტერენტის გენიას. ზოგიერთი გაოცებას ვერ მალავდა მისი და თქვენი ნახატების გამო.

სტუდენტობის დროს ვნახე კინოფილმი „ვედრება“. ჩვენების დროს დარბაზში სამი ადამიანი დავრჩით. დაცინვაც კი დავიმსახურეთ. მე კი რაღაც ძალა მიზიდავდა, რომ ბოლომდე მენახა ხელოვნების ეს შედევრი. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მთლიანად შევიგრძენი ვაჟას სიტყვის გენია, მაგრამ მაინც უსაზღვროდ კმაყოფილი დავრჩი.

თურმე რამდენი რამ არ გვცოდნია ბუნების ამ დიდ მგოსანზე. გასაოცარია მისი ცხოვრების გზა. თქვენ სულ სხვა კუთხით დაგვანახეთ ეს გზა. მე მიყვარს ვაჟა, თუნდაც მისი დუხჭირი, მაგრამ რომანტიკული ცხოვრების ისტორიის გამო. ეს სიყვარული გააძლიერა თქვენმა წიგნმა „ვაჟა-ფშაველა და დრო“.

ძალიან ბევრჯერ დავმტკბარვართ თქვენი შემოქმედების ხილვით, როცა სალხინოს პეიზაჟს ხატავდით. ბევრჯერაც მოიხსენიეთ სალხინოს სიამაყე – წაჩხურა და შიგ მოსრიალე წითელწინწკლებიანი კალმახი.

დიდი მადლობა ამისათვის! უყვარხართ სალხინოელებს და აფასებენ თქვენს მრავალფეროვან შემოქმედებას.

ბატონო რეზო, მაპატიეთ, თუ ისე ვერ გამოვთქვი ის აღფრთოვანება, რაც თქვენმა ესეებმა განმაცდევინა.

ახალ წარმატებებს გისურვებთ!

მიიღეთ სალხინოელთა უსაზღვრო სიყვარული.

თქვენი მრავალფეროვანი ნიჭის თაყვანისმცემელი
სულიკო ბასილაია

ბატონო რეზო, გილოცავთ 80 წლის იუბილეს!

კოლხური ოდების გადარჩენაზე ზრუნვა რამდენიმე წლის წინ დაიწყეთ და ამ პროექტისათვის მხატვრული ტილოები შექმენით. თქვენი კოლექცია ათეულობით ნამუშევარს მოიცავს.

შესაშური ენერგიით აღსავსე ბრძანდებით, ბატონო რეზო. თქვენ კოლხური ოდების ულამაზესი ვერნისაჟი შექმენით.

გვიხარია, რომ თქვენს შემოქმედებაში ხონში შემორჩენილი ოდებიც აისახა და მომავალშიც აისახება, ალბათ.

მთელი გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, ახალ-ახალ წარმატებებს თქვენს თვალსაჩინო ეროვნულ საქმიანობაში.

პატივისცემით,
ნანა ჩხენკელი
მაგდა ნასყიდაშვილი
აშშ, ნიუ-იორკი
2019 წ.

ბატონო რეზო, გილოცავთ იუბილეს!

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავ თქვენს მრავალფეროვან ფერწერას, რომელიც ირეალურია და თქვენი ქართული სულიერი სამყაროს ნაწილია; პარიზული ხედები კონტრასტულ ხილვაში წარმოგვიდგება და სწორედ ეს არის თქვენი მხატვრული ფერწერის ეშხი.

მადლობას გიხდით ამგვარი მშვენიერი ფერებისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს!

ფელიქს ბრუნო
პარიზი, მსოფლიო ხელოვნების
ცენტრის პრეზიდენტი

ჯემალ გორდულაძე

გურამ ჭავჭანიძე – 87

ამბობენ, რომ ყველა ქართველი ბუნებით პოეტი და შემოქმედიაო, და ეს არცაა სადავო და გასაკვირი, რადგან ყოველ ქართველ კაცს ოდითგანვე ასაზრდოებდა და ასულდგმულებდა პოეზიისა და ლიტერატურის სიყვარული. ქართული თავანკარა პოეზია იყო მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, შემწე და პატრიოტული სულისკვეთებით აღმზრდელი. ქართული სული, ქართული კულტურა და ყოფა იმთავითვე მჭიდრო თანაარსებობაში იყო პოეზიასთან, ლექსთა თქმასთან. ამაზე მეტყველებს ქართული ლექსის განვითარებაც, ძველი სასულიერო პოეზიიდან მოყოლებული დღევანდლამდე. ბოლო ათწლეულებში მრავალი ახალი პოეტი წარმოჩინდა და შეემატა ქართულ პოეზიას, რომელთა შორისაც არიან რჩეული პოეტები. ამ რჩეულთაგანს მიეკუთვნება გურამ ჭავჭანიძე, თავისი მომხიბვლელი პოეტური სამყაროთი. დღეს ყველასათვის ცნობილი პოეტი გურამ ჭავჭანიძე ბავშვობიდანვე ეზიარა პოეზიის სიყვარულს. იგი ყმაწვილკაცობიდანვე დაეწაფა და გატაცებით კითხულობდა ქართულ კლასიკად ქცეულ ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს და სხვათა შედევრებს, სულსა და გულს უთბობდა მათი ხმატკბილი ლირიკა. მრავალმხრივი ნიჭიერება და პოეზიის ღვთაებრივი სიყვარული ბატონ გურამს დედაბუნებამ დააბერტყა, ლექსთა თქმამ აამღერა და შეაქმნევინა არაჩვეულებრივგი ლექსები...

ბატონ გურამს 30 იანვარს 87 წელი შეუსრულდა, ეს ლამაზი ასაკი მის ნათელ პოეზიას საერთოდ არ ეტყობა, თითქოსდა ახლა არის შემოქმედებითი აღმავლობის ხანაში, _ მხნე, სულიერად ძლიერი, შემართული რწმენითა და ოპტიმისტური განწყობით სავსე; მისი არასრული რეგალიები ასეთია: სამთო ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი, მუსიკოსი მთარგმნელი, მომღერალი, შესანიშნავი ქართველი და მამულიშვილი; შემთხვევითი არ

არის, რომ ხმატკბილმა პოეტმა თავისი ლექსების მეოთხე კრებულს „ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი უწოდა“, ამ კრებულში ჩააქსოვა პოეტმა თავისი ღვთაებრივი სიყვარული სამშობლოსადმი, მოყვასისადმი, მეგობრებისადმი, უგალობა საქართველოს მთასა და ბარს, მის მშვენიერ და თვალწარმტაც ბუნებას, ყური მივუგდოთ მის პოეტურ ღაღადისს, მიძღვნილს მეგობრებისადმი: „მიყვარხართ ყველა, გიხუტებთ გულში და ამ სიმართლით ვივლი ხატამდე, არ დავიღლები თქვენს სიყვარულში განთიადიდან განთიადამდე!“...

შემთხვევითი არ არის, რომ ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ნეტარხსენებულმა ჭაბუა ამირეჯიბმა ჩვენს ხმატკბილ გურამს ოჯახში სტუმრობის ჟამს თავისი გენიალური წიგნი „დათა თუთაშხია“ აჩუქა ავტოგრაფით: „ბატონ გურამ ჭავჭანიძეს _ ღირსეულ მამულიშვილსა და ბრწყინვალე პოეტს“, ამ მრავლისმეტყველი, თბილის სიტყვებით გამოხატა დიდმა მწერალმა თავისი პატივისცემა და აღტაცება ბატონი გურამის პოეზიისადმი; დიახ, ძვირფასო გურამ, სახელოვანი მწერალი არ შემცდარა თქვენი პოეზიის შეფასებაში; ვინც დაკვირვებით წაიკითხავს თქვენს ლექსებს, დარწმუნდება, რომ სახეზეა ნიჭიერი შემოქმედი თავისი თვითმყოფადი პოეზიით, საოცრად მუსიკალური ჟღერადობით, ორიგინალური პოეტური აზროვნებით; ჩინებული ანდამატი და სურნელი აქვს თქვენს მშვენიერ ლექსებს, ერთიმეორეზე არაჩვეულებრივსა და საუკეთესოს, შინაარსიანსა და სამახსოვროს; თითქმის ყოველი მეორე ლექსი სასიმღეროდაა შექმნილი და დაწერილი, გამღერებს და აგამღერებს. გურამ ჭავჭანიძის შემოქმედებაში ულამაზესი პოეტური მეტაფორებითაა შემკული დედა თბილისი, ძმობისა და ტრფობის, აშუღების, მეგობრობისა და სიყვარულის ქალაქი, სამახსოვროდ და შთამბეჭდავადაა გაშუქებული მისი ბოჰემური წარსული... ამის ნათელი დადასტურებაა ლექსები: „თბილის ქალაქს“, „ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი“, ჩამო თბილის ქალაქო“, „ღმერთო თბილისს უმრავლე ეშხიანი ქალები“, „საქართველოსთვის თუ არ გვეცლება“, „სხვა საქართველო სად არის“, „თბილისს“, „ისე მიყვარხარ“, „არდაჩოქილ საქართველოს“, „აპრილი“, რომლებშიც მაღალმხატვრული პოეტური ოსტატობით, სათუთად და დიდი განცდითაა გამოხატული პოეტის სიყვარული თბილისისადმი, საქართველოსადმი. ამ მშვენიერი ლექსების (და სხვა მრავალი) ყოველი სტრიქონი საოცარი ექსპრესიითა და პატრიოტული შთაგონებითაა გასხივოსნებული, გამოხატულია წრფელი თაყვანისცემა მამულისადმი. უდავოა, გურამ ჭავჭანიძის პატრიოტული ლირიკა მეტად შთამბეჭდავია, გულწრფელობითაა გამორჩეული. მისაბაძი და დასაფასებელია მისი დიდი სიყვარული ხონისა და ხონელებისადმი. ამ თემას პოეტმა არაერთი ლექსი მიუძღვნა, – „ოდა ხონელებს“, „ხონელების გულის სითბოს გაუმარჯოს“ და სხვა...

გურამ ჭავჭანიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ამშვენებს ჩინებული პუბლიცისტური წერილები, არაჩვეულებრივი თარგმანები, ა. პუშკინის, თ. ტიუტჩევის, ა. ბლოკის, ვ. მაიაკოვსკის და სხვა ცნობილ პოეტთა შემოქმედებიდან. ისიც ხომ ფაქტია, რომ თავის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს თავადაც შესანიშნავად ასრულებს, მისი ჟღერადი ხმა ღრმად წვდება სულსა და გულს.

გულწრფელი მადლობა ბატონ გურამ ჭავჭანიძეს ამღერებული პოეზიისათვის, მოფერებისათვის, სიყვარულისათვის, მისეულ ლამაზი პოეტური სამყაროს წიაღში ჩვენი მიწვევისათვის, ჩვენდამი პირადული დამოკიდებულების ტკბილად გამოხატვისათვის...

ბატონო გურამ, დაბადების დღეს გილოცავთ გაზეთი „ხონელი“ და თქვენი საძმოს ხონელთა ამქარი, იდღეგრძელეთ.

მანუჩარ მაჩაიძე – 70



ვახტანგ გოგოლიშვილი

ბატონო მანუჩარ! ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, ჟურნალ "ათინათის" რედაქცია, აკადემიის წევრები გულითა და სულით გილოცავთ თქვენი ცხოვრების სამოცდამეათე გაზაფხულს! იცოცხლეთ დიდხანს! ბედნიერი, გამთლიანებული და გახარებული გენახოთ თქვენი საქართველო! ისევ და ისევ წარმატებები ხელოვნებაში, მეცნიერებაში, პირად ცხოვრებაში!

ბატონო მანუჩარ, საქართველოს უყვარხართ!

გიორგი სსაკაძე

მანუჩარ მაჩაიძეს

სამშობლოსათვის ხარჯა მარჯვენი,
იცოდა ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ,
მამული ჰყავდა ერთი გამჩენი
და მამულიდან გააგდეს ბოლოს.
შორს დაუმიწდა მკერდი მთებური,
თურქეთის მიწა ერგო სამარედ...

ახლაც ამ მტრობით გაოგნებული,
შეშფოთებული დგას სააკაძე.
გადურჩა ათას მტერს და მარაბდას,
ქართველი კაცის შურს ვერ გადურჩა...
კი არ გადარებ, ღმერთი გფარავდეს,
მაგრამ რად გიკვირს, ჩემო მანუჩარ?!

თამარ ჯაჭვაძე

მე უკვდავებას ვეთამაშები

მანუჩარ მაჩაიძის მონოლოგი

ეწირებიან ბედის ავ დარებს
ვარდისფერთვალა ცოდვის ვაშლები,
თქვენთან თამაში აღარ მადარდებს,
მე უკვდავებას ვეთამაშები.
ჩამოიცალა ქვიშის საათი,
თავაწყვეტილი რეკენ ზარები...
შეშლილო ბედო, ღამეს გაათევ,
დამარცხებული გამეპარები.
თუ ზღვა მშვიდია, არ დაუჯერო,
მეამბოხეა მისი ბუნება...
დედამიწაზე შემაგვიანდა,
გადავდე ჩემი შინ დაბრუნება.
ავადმყოფია მთელი სამყარო,
პარაზიტი ხარ, ადამიანო,
არა-რა ნიჭი – არ შემარჩინო,
არა ტკივილი – არ დამიამო.
ვიცი, ერთხელაც გაიაპრილებს
თავისუფლება, სულის ამშვები...
თქვენთან თამაშებს აღარ ვაპირებ,
მე უკვდავებას ვეთამაშები.

გულნაზ ხარაიშვილი

ყველა ნახატი

(მანუჩარ მაჩაიძეს)

გაგილამაზა თვით სული ღმერთმა,
ფუნჯი შენს ხელში არის მორჩილი.
ყველა ნახატი სურნელით ფეთქავს
და მოკრძალებით არის მოხრილი...
ვარდის სურნელის გწყურია ნამი,
მზის სხივს რომ მოჰყავს ათინათებად,
შენი ცხოვრების წუთი და წამი
არის მომავლის გამონათება.

Європейський Університет

ქ. კიევში
არსებული IVდონის
აკრედიტაციის
მქონე „ევროპული
უნივერსიტეტის“
წარმომადგენლობა
საქართველოში
www.kavkasia1.ge

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე:
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი #1

Документы принимаются по адресу:
Грузия, г Тбилиси, Просп. Ак. Церетели №1

Ünvanında qəbul olunur
Sənədlər: Tbilisi, Ak. Tsereteli prospekti # 1

ტელ: Тел: Tel:

322181904; 322180518; 322181997; 322181874
577423978; 558299010; 599617259; 599517131;
597516519; 599290097; 599588537; 555958958

www.kavkasia1.ge

www.kavkasia1.ge

ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВО В ГРУЗИИ «ЕВРОПЕЙСКОГО УНИВЕРСИТЕТА» ГОРОДА КИЕВА С АККРЕДИТАЦИЕЙ IV УРОВНЯ

IV SƏVIYYƏLI AKKREDITASIYA ILƏ KIYEV ŞƏHƏRINDƏ YERLƏŞƏN "AVROPA UNIVERSITETI" NÜMAYƏNDƏLIYI GÜRCÜSTANDA

IVდონის აკრედიტაციის მქონე
„ევროპული უნივერსიტეტი“
ამზადებს ბაკალავრებს
შემდეგ სპეციალობებში

- სამართალმცოდნეობა
- ეკონომიკა
- მარკეტინგი
- მენეჯმენტი
- ფინანსები საბანკო საქმე და დაზღვევა
- აღრიცხვა და აუდიტი
- ეკოლოგია,
- კომპიუტერული მეცნიერებები
- პროგრამული ინჟინერია
- საქმიწარმოება და საინფორმაციო საქმიანობა
- საწარმოო უსაფრთხოების მენეჯმენტი
- ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტი

უნივერსიტეტში ჩასაბარებლად საჭირო საბუთები
- განცხადება
- ატესტატი, ატესტატის დანართი 2 ეგზ. (დედანი)
- სამედიცინო ცნობა (ფ.100)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- პასპორტი
- დაბადების მოწმობა
- 10 ფოტო 3x 4, დისკით
- ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი უკრაინულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიულად

უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა შესაბამის სპეციალობებზე

«ЕВРОПЕЙСКИЙ УНИВЕРСИТЕТ» ГОТОВИТ БАКАЛАВРОВ ПО СПЕЦИАЛЬНОСТЯМ

- Правоведение
- Экономика
- Маркетинг
- Менеджмент
- Финансы, банковское дело и страхование
- Учет и аудит
- Экология,
- Компьютерные науки
- Программная Инжинерия
- Делопроизводство и информационная деятельность
- Управление промышленной безопасности (Менеджмент)
- Управление информационной безопасности (Менеджмент)

Необходимые документы для поступления в университет
- Заявление
- Атестат, приложение к атестату в двух экземп. (оригиналы)
- Медицинская справка (ф. 100)
- Удостоверение личности
- Паспорт
- Свидетельство о рождении
- 10 фото 3x4, с диском
- Все документы должны быть переведены на украинский язык и заверены нотариально

В университете функциунирует степень
Магистра

IV SƏVIYYƏLI AKKREDITASIYA ILƏ KIYEV ŞƏHƏRINDƏ YERLƏŞƏN "AVROPA UNIVERSITETI" NÖVBƏTI IXTISASLAR ÜZRƏ BAKALAVR HAZIRLAYIR

- Hüquq
- İqtisadiyyat
- Marketinq
- Menecment
- Maliyyə, bank və sığorta
- Mühasibat və audit
- Ekologiya,
- Kompüter elmləri
- Proqram mühəndisliyi
- İdarəetmə və informasiya fəaliyyəti
- Sənaye Təhlükəsizliyi İdarəetməsi
- İnformasiya Təhlükəsizliyi İdarəetməsi

Universitetə daxil olmaq üçün lazım olan sənədlər
- Ərizə
- Atestat , Əlavə 2 nüsxə. (Əsli)
- Tibbi arayış (f. 100)
- Şəxsiyyət vəsiqəsi
- Pasport
- Doğum haqqında şəhadətnamə
- 10 şəkil 3x 4, disk
- Bütün sənədlər notarial qaydada Ukrayna dilində tərcümə olunmalıdır

Universitetdə magistr proqramı müvafiq ixtisaslar üzrə fəaliyyət göstərir

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი. უნდა იცოცხლო უწმინდესო 2
მამა გაბრიელი 3
გიორგი და **ხატია ლარიაშვილები.** მთავარანგელოსთა დასი 4
გიორგი და **ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე.** ჯვარცმა. 5
აღდგომა 6
გულნაზ ხარაიშვილი. მამა მერაბი 8
მამა ამირან ამირანაშვილი. საქართველოს საპატრიარქო წმიდა სინოდი: წმინდანად შემრაცხველ კომისისას 8
მეტად საყურადღებო მდგომარეობითი ანალიზი. 8
პაატა სააკაძე 9
ლევანი და ალექსანდრე თეიმურაზის-ძე ბაგრატიონები 9
შაჰ-აბასის ბუნება და ხასიათი 10
გულნაზ ხარაიშვილი. „ათინათო“ 11

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი). ნუ მოგვიშალოს; აჭარა, ერი ჟამთა ხსოვნაში; *** სხივს ნუ მოგვაკლებ, მზევ, თბილო, ... 12
ქალი და ყვავილი ერთია (ძველი ლექსებიდან);ჯვრის მონასტერს; სად ყვავილი სამოთხის; მთები 13
მამა ამირან ამირანაშვილი. უფლის ნება; სამების მადლით; სუფსარქისი 14

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე. არარსებული წერილი ნიკო სამადაშვილს; კომშის სურნელი; უსაზღვროეთი 15
შუქი ღამეში; მიძინება; აისი 16
ქალი 17
კახა ბაციკაძე. სივრცე შევაღე; შეძახილი 17
გზა ძველებური; სიტყვების ტანგო 18
გიორგი ზუხბაია. უსასრულო მარტოობები; იბრალული; ჰაერის ია 19
გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი). ვარძია 20
სამყაროს სპირალზე; მდინარემა სთქვა ერთხელა 21
ზედაშე უკვე შეისვა 22
მარეკ, გვესტუმრე!; უქროლავთ, უქროლავთ გრიგალებს; ჩვენ სულ სხვა კაცნი ვიყავით;
მე, რაობას დავეძებდი 23
ვეფერებოდი მზიურ ღამესა; როგორც ნიავი მიჰყვები ქუჩებს; იქ, თამარი ბრძანებულა 24
გვემოსა ზეცა ოცნების დარი;შენ მოდიოდი სოველი თმებით 25
სივრცეთ მატიანენი, ერთხელც დაიმქუხარებს; კლდეს აჩეხილ-ჩაჩეხილსა 26
იქნება არც კი ვიყავი?!; სიჩუმე 27
ჩვენ გამოვეკიდეთ ზეცაში 29
იმ ქარს; ამ წვეთებს ღვარცოფი მოჰყვება; უზარმაზარი ჩრდილი; ჟღერანი სიმთგამძლე; იმ სისრულეში
ფრთებით მოვედი; უკვე ღამდება 30
მიძინება ხუროთმოძღვრისა. ვინ იყო ოთარი; *** ის, დაეძებდა ხაზებს, ის დაეძებდა ფერებს;
*** აქ, მობინადრე ყველას ქალაქელები ერქვა 36
*** აუსრულებელ ოცნებაში ვეძებთ სასწაულს, ... 37
ოთარის მეუღლე სასაფლაოს ბაღში; *** ბაღში სიმშვიდე გადი-გამოდის; *** არის მიძინება კედრების
მიღმა; *** მკრთალ სიწყნარეში მშვიდად გაისმის; *** ბაღში ისეთი სიმშვიდეა შვიდივ ფერისა; ის, რაც
უთქმელი დარჩა ოთარის მეუღლისადმი 38
ხუროთმოძღვარი მოვა 39
ედვარდ უგულავა. ბოლო დროს; ნინო; შენ რომ არა; ბედი ჩემი 40
სოფელი; სასაფლაო; ახლა შინ წადი 41
ნაირა უგულავა. სიცოცხლე ადიდა; პოეტი — პოეტს; გაზაფხული მოგილოცე დედა; მე მესმის შენი... 42
სევდის ანგელოზი; ავი სიზმარი; გმადლობ, უფალო 43
გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული). *** თოვს და; *** გზაო, ფიქრებით დატვირთულო და საკვირველო;
*** ამ ზამთარში თოვლმა თავი დაიძვირა; *** ეს შემოდგომაც ჩაილია წელიწადივით; *** დრო,
გაჟღენთილი ბოროტებით, ცოცავს ტაატით; *** ხოგი ორმოცის ბრძენად დუღდება, ... 44
*** ერთი ისე შემომცინე; *** დეკოლტე-ცისფერი; *** გზაჯვარედინი 45
შორენა მამალაშვილი. *** წვიმა უკრავს შემოდგომის ელეგიას; *** არ შემიყვარო! 46
*** ეს შემოდგომა ვიცი უფრო ცივი იქნება; *** და ჟინჟლავს მთელი დღე უგემურად;
*** ზოგჯერ მგონია, ... 47
ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე. ქალი ღვთისა; *** გაღიმებულ ვარდებს; *** ქვეყნიერების აღთქმა; გარდასახვა 48
*** ვარდის რტოები ლაჟვარდებს; *** ჩემი ლურჯი ფერია; *** სულის განა; *** სამყაროს აზრი 49
რუსუდან ანასტასია კალანდაძე. ჭიშკარი 50
მზია ელიაძე. ჩემი ცხოვრება; ბავშვობის წლები დაუვიწყარი; უსიყვარულოდ 52
დგას კვლავ უტეხად ციხე-ქალაქი...; მომნატრებია 53
თემურ გოგსაძე. *** შენში სიცივე ვერ შევაჩერე!; *** მე მარადისობიდან მოვედი!..; ავტოპორტრეტი 54
*** ჩემი სხეული არის ტაძარი...; განთიადი; მრწამსი; ბედნიერია 55
ლეილა ვადაჭკორია. წმინდა ნინო; წარსულის კვალი; ვინ გაყო ჩვენი გზები; სულის ანარეკლი 56
დაბრუნება; ნიღბები; სიკეთის თესლი; *** როგორ შევცდი, რომ მივენდე; *** გამოანათე, გაათბე 57
გურამ ჭავჭანიძე. ასე ცხოვრება არ შეიძლება!; ქართული ანეკდოტი; არდაჩოქილ საქართველოს!;
*** არა მგონია, იყოთ მართალი; *** დღეს მეტად გვმართებს ძმობა, გატანა; მარტყოფის ველზე!; ვერ
გადავრჩებით უსიყვარულოდ!; სიყვარულის დღესასწაული 58
მართალს ვიტყვი; *** ადრეც ბევრი დაგვიშავდა; *** ქვეყანაში რაც დღეს ხდება; ნეტა მართლა;

*** ასე ჩაწიხლული და ასე გადანათელი; *** ვაჰ, დრონი, დრონი, მოსანატრონი; *** ერი ძლეული, რჯულმორყეული; *** აღარც ცოტნეა, აღარც თევდორე; *** ვაი, სირცხვილო, რამ დაგვაკნინა; *** ნეტავი ჩაწვდეთ ძია სემს სულში, ... 59
პაპუნა ქვარიანი. ღვთიური წვლილი; ღირსების მადლი; შეკრთა საღამო; მიტოვებული ტაძარი 60
წამოდექ; ნიღბების ცვენა; სამხილი; კვლავ ჯიქურ; მიწის ბღავილი 61
ეკატერინე ციცქიშვილი. ყინვის სითეთრე; ბინდის წიოკი; თუ შერჩა; გაკვესა; მძიმე ჯვარი 62
მჭვალავს; საცდურის საგმობი; სისხამის ექო; ვარდების სიფრიფი; ნურვინ; გაღიმების სითბო 63
გიორგი კამკამიძე. ვეღარ; რომ არ შეგეკრას; ლოცვათა კრთომა; როცა გაჯიქდა; შინაგანად 64
მეამა; რომ არ; მეგონა; თუ არ; უნებლიე; არ დაყოვნებს 65
დავით ახლოური. ციკლიდან „მომენატრა ახალგორი"; *** გაშიშვლდა ხალხი; *** ქალი ვაზია; *** ხმაურობს სისხლი 66
ვნების ღამე 67
ლამზირა შეყილაძე. ჯვარცმული ქრისტე; იმერეთი, დედასავით ერთი; კოკისპირული წვიმა და თქეში 68
წუთისოფლის გადაღლილი მგზავრი; *** სხვას რას ვერჩი, სხვასთან რა მესაქმება; სასთუმალზე გაყინული იდო; *** სულაც არ მსურს დავემონო; გესავ, უფალო! 69
ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი. აბასთუმანი!...; ბარბარეს!; *** მადლობას გიხდით, ბატონო ილია!; *** „არასაჭირო დროს ნათქვამ სიტყვას; „მარიამს"; „დედა-შვილობა..." 70
ვუძღვნი ჩემს შვილთაშვილს, ბარბარე ბეჟაშვილს!..; *** ეკა და ნუკრი! დაგილოცავთ პირველ შვილიშვილს; ეკას და ნუკრის...; „ვუძღვნი, ჩემს საამაყო შვილიშვილს, მარიამ ბეჟაშვილს!"; „მარიამს!"; „ბარბარეს!" 71
ზეინაბ ასისტიშვილი. ქინიძე; გელოდები; ტყე 72
ექიმობა სულ არ არის ადვილი; თებერვლის თვეში; მარტი; უნდა გამაგრდე 73

პოეტების თვალით დანახული

უშანგი მოსიაშვილი

ოთარ მერებაშვილი. შენი მრავალჟამიერი! 74
იზა მოსიაშვილი. მამას 74
ო. კოვზირიძე. ჩემო უშანგი 75
კარლო ნადირაშვილი. კასპელების სიამაყევ 75
მერი ჩიტალაძე. შენით ვამაყობთ 75
ეთერ კონიაშვილი. სამადლობალი 75
თ. ლომიძე. ბ-ნ უშანგი მოსიაშვილს 75
თამარ გაბოძე. აგიხდეს ნატვრა! 76
მანანა ყაბანაშვილი. კაცურ კაცს — უშანგ მოსიაშვილს 76
თამარ გაბოძე. იუბილარ ქარხანას („კასპიელექტროაპარატი" – 50) 77
ლერი მუსხელაძე. „საქმემან შენმან გამოგაჩინოს" 77
სოფიო მოსიაშვილი. პაპას 78
მარი მაღალაშვილი. ჩემს საყვარელ უშანგი პაპას 78
ლამარა მალანია. მომილოცნია ახალი წელი 78
გულნაზ ხარაიშვილი. ფუნჯით და კალმით 79
ნარა ნიჟარაძე. უშანგი მოსიაშვილს 79
ნელი ქველაძე. სამშობლოზე ფიქრებით... 79
ლეილა გაფრინდაშვილი. მხატვრის სახლია? 80
მანანა ზაზიკაშვილი. იცნობდეთ ასეთ ღმერთკაცს 80
თამარ (იამზე) ჭელიძე. *** გული შეგტკივა, რადგან დრო ძუნწობს 80
გურამ ჭავჭანიძე. უშანგ მოსიაშვილს 81
ლამზირა შეყილაძე. უშანგი მოსიაშვილს 81
ანზორ ჯაფარიძე. ბატონ უშანგის! 81
როლანდი ქუთათელაძე. ჩემს უშანგის 82
მამაო ამირან ამირანაშვილი. ბატონ უშანგი მოსიაშვილს; ბატონ უშანგის 82
მანანა ზაზიკაშვილი. თუ; ვთამაშობ როლს; ვინ შემომაშველებს ხელს; კაი ყმა; ჩვენი სამოთხე; სოხუმიც ჩემი მხარეა 83
ვახტანგ გაჩეჩილაძე. მოგზაური; მეფის წყალობა; მიწა 84
იქნებ კარი გამიღოთ!; შორს მთებში; წვიმამდე; ბოლო ნოტა 85

მსოფლიოში ელექტრონიკის თუ დაბადების დღეს ყველგან ინტერესით ჯენიშავენ.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე. უმშვენიერეს ლალი ვაშაკიძეს; ნანა დავითაია-ხარშილაძეს; დაიკო ლიზა (იზო) ოსიაშვილ-გოგსაძეს 86
ოთარი გოგსაძეს; თამაზი (თაზო) გოგსაძეს; ნათია ნინუას 87
მარი იახტნიშვილს; მარიკუნა გოგსაძეს; მაიკო პავლიაშვილს; დათო არჩვაძეს 88
სიმონ ზაქაიარია. ექსპრომტი ციხე ტაძრები; პასუხი „ბროწეულს"...; მზია ელიაშვილს; სულის სავანე; მეგობრობის ლამპარი; *** ღამეს ებრძოდა ურჩი მამალი; დრო და სიყვარული 89
ქეთინო ნიკურაძე. ჩემს ძმას ზურიკოს!; დედას; ფოთლები; გამარჯვების დღე; *** დღეგრძელობა ქართული გენს 90
სიმღერა სიყვარულზე; მხოლოდ შენ ერთს; სიზმარი; ჩემო მშობელო მიწავ; დამისხით ღვინო 91
ლალი მჭედლიძე. *** ისევ ძონძებით დადის სიმართლე; ედესის ჩანჩქერთან; *** ჩემო კეთილო, მრავალ რთვლობას და შემოდგომას 92
*** არ ვიცი, ახლა რატომ გწერთ ბარათს; სურწყუნისის იები; იყო ქალი და იყო ჩიორა; *** შენი ნანგრევებიც ტაძარია და სალოცავი ჩემი; ქარი... წვიმები...; პაემანი მზესთან 93
ბელა ალანია. წვიმდა... ; *** ისეთი ვნებით ანათებს მთვარე, ; ჩუმი აღსარება 94
*** როგორ მოხდა, რომ ყოველი დღე მართმევდა შენს თავს; ვიდრე შენ მყავხარ... 95

თამარ ჯაჭვაძე. მე ქალი ვარ და... ... 96
ლეილა გაფრინდაშვილი. ჩემი მურა; კლდე ჩამოიშალა; ზარების წკრიალი; შეჩერებული სუნთქვა ... 98
*** ავედევნე ქუჩაში ფიქრებს მოხეტიალეს; მიზიდულობის ძალით; ცოტაც მაცადე ... 99
მზიური დათიაშვილი-აფციაური. გილოცავთ დაბადების დღეს, 4 იანვარს! ... 100
ნუცას; ნუცას „აღსარება"; ლევან ჩხაიძეს ... 102
ნელი გიუნაშვილი. როჭოს ჩანჩქერი; ჩემს მეუღლეს ... 103
ლალი ჩხეიძე. *** შენ თოლია, მე კი ზღვა ვარ... ; *** დღეს შენი სიყვარული; *** სათნოების დედოფალი
ჩემი გულის გიწოდე... ; *** იცი? – შენ, ჩემი სიყვარული ხარ ... 104
*** დიდხანს ვეძებდი სიყვარულს; *** ვიცი გიყვარვარ, ნუთუ; *** ო, როგორ მტკივა ის ერთი ღამე;
*** დღეს, შენს თვალებში, სიცივეს ვხედავ ... 105
ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი. ჭიქა; ნიჭია ჩემი ქონება; ნიორი ... 106
მუხა; ახალი კვირტები ... 107
ანზორ ჯაფარიძე. ახატელი ... 108
... შუბითიძე. მალე გაზაფხული მოვა ... 108
იოსებ ტაბიძე. „დონ-ჟუანის" ბოლო ბალადა აღსარებით (თბილისური მოთხრობა) ... 109
ხათუნა ჩიტაძე. წინასწარმეტყველება; მასწავლებელი; იარებს; *** სოფლის მწვანე სურნელს ვერთვი ... 110
ყაყაჩო; აპრილს მომავალ შვილს); არჩევანი; სიზმარი ... 111
ელგუჯა სხირტლაძე. *** მებრძოლე; *** რა უღიმღამოდ გარბიან წლები; *** თუ მესვრი, პირდაპირ
გულში მიმიზნე ... 112
*** ნეტავ სადა ხარ ბედნიერო; დედას; *** მერამდენედ გაზაფხულდა უშენოდ; *** სიტყვით მნათეო,
გამანათე; მე მაპატიე... ... 113
შალვა ილურიძე. გულნაზ ხარაიშვილს; ათინათელებო! მე – თქვენთან ვარ მარადჟამს... ... 114
უწმინდესის მტრებს ... 115
გულნაზ ხარაიშვილი. ვალერი მოსიაშვილს; და მე კი არა; შინდის ხესავით; ბევრი მომრავლდა; წერტილი დავსვი ... 116
მეოცნებე ბავშვი; თუ ვიღიმები; ჩემს იმერეთს; ზღვაში ვარ ... 117
გულის წამლად (თემურ გოგსაძეს); ძვირფასო ქეთი; თაკო; ალბათ შევძლებ; ხარ მაგალითი ... 118
სულების ელჩი ... 119
ხვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა (ნამდვილი ამბავი) ... 122

ხუბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე. ყვავილების გამოფენაზე ... 125
ლია ბეჟანიშვილი. ბავშვებს; წერილი ნათიას; ყოჩაღი; გელას ნატვრა ... 129
ნაწყენი თხილები; ბებოს გაფრთხილება; ცნობისმოყვარე; პაექრობა; მეტიჩარა; ზარმაცი გელა;
დარიგება; მეტიჩარა ელენე; უმადური ფისო; ქალაქელი ... 130

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი პოემა: დაპატიჟება კოკეტეის წლისთავზე – მარ ბაჯიევი ... 131
Ratiani Lali. Weg des Ruhmes Fortsetzung ... 135
დათო ყანდაშვილი. ჩემო საქართველო **Моя Грузия** – გულნაზი ხარაიშვილი ... 139
რატომ გამიფრინდი? **Почему упархнула ты?** – ბეჟან ხარაიშვილი ... 140

პროზა

რევაზ მიშველაძე. რომანი „წამება" (მეორე ნაწილი) ... 141
გარი ჩაფიძე. სიყვარულის ლაბირინთი ... 148
სიყვარული ... 148
სერგი ლომაძე. ანთოლოგიის მეშვიდე ტომის პრეზენტაცია ... 152
2019 წლის გახსნითი საღამო შედგა ... 155
დიდი შემაჯამებელი ღონისძიება ... 156
თებერვლის ბოლო აკადემიური ღონისძიება ... 159
მზიური დათიაშვილი-აფციაური. დამაჯერებელი ადამიანი ... 160
გულნაზი ხარაიშვილი. იმერეთო, ჩემო ზღაპარეთო ... 161
დღე სასწაული ... 168
ირინა ასათიანი. შეხვედრა საპატრიარქოში ... 170
დღე სასწაული ... 170
. სხვადასხვა თვალით დანახული შთაბეჭდილებები .
რევაზ მიშველაძე. 14 თებერვალი (ამონაწერი დღიურიდან) ... 173
რეზო ადამია. პოეტთან შეხვედრა დღესასწაული ... 173

ანზორ ჯაფარიძე. აღსარება ... 176
მაია ფეიქრიშვილი. ხონის პოტენციალი ხალხის სამსახურში ... 186
ხონი ჩემი სალოცავი და სიამაყეა... ... 187
დიდი კულტურითა და გამოჩენილი ადამიანებით დამშვენებული ხონი ... 188

ხიბრძნის ხეივრი

ნაირა უგულავა. თვალთახილვა (აზრები) ... 190

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი. სულიერ ფასეულობათა ანბანი ... 192

შემეცნებითი ხასიათი

მამა ამირან ამირანაშვილი. საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ ... 195
ეკლესიის თვისება და მოწყობა ... 195
ეკლესიის წევრობა ... 195

ნათლისღება 196
ეკლესიაში შემოერთება 197
გარდაცვლილთა საეკლესიო უფლება-უნარიანობა 197
ეკლესიის შემადგენლობა 197
იერარქია და ხელდასხმა 198
ჯუმბერ ლეჟავა. დიდი მოგზაურობა 199

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში 202

წერილები

ტიტე მოსია. „მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო“ 204
ლუარა სორდია. ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველება გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში 211
მანანა კვატაია. გერონტი ქიქოძე — ქართული ეროვნული ენერგიის აპოლოგეტი 214
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე. უშანგი მოსიაშვილი 217
Ratiani Lali. Feststellungs- und Systematisierungsversuche der Antonymieabarten in der modernen Linguistik 219
ლიანა წურწუმია. სულიერი კულტურის ფორმები: მითოსი, რელიგია 224

ხელოვნება

რეზო ადამია. ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე კეკუა (გენიით დამსხვრეული დრამა და ტრაგედია) 227
თეა კანდელაკი. „ხერთვისი“-ს უკვდავი სახე მოგონებების აჩრდილიდან (ეძღვნება ქორეოგრაფ ჯემალ სამხარაულის ხსოვნას) 230
ქეთი მაზიაშვილი. ნახატები 232
ნათია გაგნიძე, სალომე ზაბახიძე. დედის იავნანა – „სიმღერა საიერიო“ 234
დათო მამიაშვილი. არამათემატიკური პეპელა. ა მ ბ ა ვ ი 236
მურმან გელენიძე. როგორ შეიქმნა პატრიარქის შრიფტი 238
ემირი ბურჯანაძე 240
დავით ბერძენიშვილი 242

ისტორია

ნიკო ხერკელაძე. ქართველები ირანში 243
მანუჩარ მაჩაიძე. ერი და თანამედროვეობა. გაგრძელება (დასაწისი „ათინათის“ №30-ში) 252

ეკონომიკა

ვალერი მოსიშვილი, თამუნა მჭედლიშვილი. “ესტონური მოდელის“ გავლენა საქართველოს ბიუჯეტზე 256
ნოდარ ხარაიშვილი. კომპანიის იმიჯის ფორმირება – თანამედროვე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი 259
ჯუმბერ ხარაიშვილი. ტურიზმის სექტორის განვითრება – უმუშევრობის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი 262
ქეთევან ცაბაძე. იაპონური მენეჯმენტის ფსიქოლოგიური ასპექტები 266

სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა. ჩანდლერის ჯიშის კაკლის 272

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა. ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობა 274

ინტერვიუ

ეკა ბრეგვაძე. ,,უბრალოება სიბრძნეა ჩემი!“ 276

ნორჩი ათინათელები

ლიზი ნადირაშვილი. საამაყო ქართველები აშშ–დან (ინტერვიუ ნიკოლოზ და ალექსანდრე სუხიაშვილებთან) 280

გახსენება

ალიკა ტერაშვილის გახსენება როს დედაჩემი შეგხვდებათ გზაზე (ჩემი შვილის ნათელ ხსოვნას) 283
ლამზირა შეყილაძე. სიკვდილიც კი ჩაფიქრდება წამით 284
შვილის მონატრება 284
ნანა ყალიჩავა ალიკ 285
უნდა გაუძლო შენ ამ განსაცდელს (ჩემს უსაყვარლეს მეგობარს ლამზირას) 285
გულნაზ ხარაიშვილი. ალიკა 285
მზევინარ ჟუმუტია. – სოხუმი ჩემო ძმაო, ოთარ! 286
გულნაზ ხარაიშვილი. ლოდინი 287
კლავდია და ბახვა სამხარეძეებს 288

მილოცვა

სულიკო ბასილაია. მილოცვა 289
ნანა ჩხენკელი, მაგდა ნასყიდაშვილი. ბატონო რეზო, გილოცავთ 80 წლის იუბილეს! 290
ფელიქს ბრუნო. ბატონო რეზო, გილოცავთ იუბილეს! 290
ჯემალ გორდულაძე. გურამ ჭავჭანიძე – 87 290

მანუჩარ მაჩაიძე _ 70

გოგოლიშვილი, გიორგი საკაძე (მანუჩარ მაჩაიძეს) 292
თამარ ჭაჭვაძე, მე უკვდავებას ვეთამაშები (მანუჩარ მაჩაიძის მონოლოგი) 293
გულნაზ ხარაიშვილი, ყველა ნახატი (მანუჩარ მაჩაიძეს) 293

ავტორთა ყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას ხატი .....

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული
აკადემიის ვიცეპრეზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
სოფლის მეურნეობის განყოფილების რედაქტორები: ანზორ ჯაფარიძე, სიმონ ზაქარაია და
ონერ ძაძუა

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „.....“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მამა ამირან ამირანაშვილმა გზა დაულოცა სკოლისაკენ პატარა დაჩი ივანიშვილს

დადგა გაზაფხული და პატარებმაც გამოხატეს წელიწადის ამ ლამაზ დროსთან დაკავშირებით თავიანთი დამოკიდებულება. სუსხიანი ზამთრის შემდეგ თბილი და სურნელოვანი გაზაფხულის მობრძანება საბავშვო ბაღშიც აღნიშნეს. დაჩი ემზადება ბაღის დამამთავრებელი ზეიმისთვის. საბავშვო ბაღი სრულდება და დაჩიც ცხოვრების ახალი ეტაპისთვის ემზადება პოზიტიური განწყობით. მისი პატარა დაიკო თინიაც ჩართულია ამ ეტაპისთვის სამზადისში და ამხნევებს მას. წარმატებებს ვუსურვებთ დაჩი ივანიშვილს ცხოვრების ამ ახალ გზაზე!

დაჩის სიხარული მამა ამირან ამირანაშვილმა გაიზიარა, ციცი ჯაფარიძესთან და ციცის ბაბუა – ანზორ ჯაფარიძესთან ერთად ეწვია ბაღში დაჩის და სკოლისაკენ გადადგემული ნაბიჯი დაულოცა. დაჩის ბაბუა, ონერ ძაძუა კი, დღე და ღამე ზრუნავს იმისათვის, რომ შვილიშვილებს არაფერი მოაკლოს.



9 772233 331008